ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISNN-1512-09-53

შრომები

ტომი 2 (36)
სოციოლოგიურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISNN-1512-09-53

შრომები

ტომი 2 (36)

სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: აკად. ავთანდილ ნიკოლეიშვილი

მთავარი სარედაქციო საბჭო: ვახტანგ ამაღლობელი, თორნიკე ეფრემიძე (სარედაქციო–საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე), შალვა კირთაძე, ომარ ლანჩავა, გიორგი ონიანი, ლევან სვანაძე, გურამ ჩაჩანიძე, მარინე ქაცარავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნატო წულეისკირი (მდივანი).

Editor in Chief: Academician Avtandil Nikoleishvili

Editorial Board: Vakhtang Amaglobeli, Thornike Efremidze (Chairman of Editorial Board) Shalva Kirthadze, Omar Lanchava, Giorgi Oniani, Guram Chachanidze, Marine Katsarava (Deputy Editor in Chief), Nato Tsuleiskiri (Secretary).

რედაქტორი: ლევან სვანაძე

სარედაქციო კოლეგია: ევგენი ბლიაძე, რობერტ გოლეთიანი, რევაზ კაკულია, იაკობ კუჭუხიძე, გივი ლობჟანიძე, მერაბ მაღრაძე, იაკობ მესხია, ომარ მინდაძე, შოთა რამიშვილი, გივი სანიკიძე, მამუკა შენგელია, ოთარ ჭუმბურიძე, მანანა ჩიტეიშვილი, კოტე ხურცილავა.

Editor: Levan Svanadze

Editorial Board: Evgeni Bliadze, Robert Goletiani, Revaz Kakulia, Iacob Kuchukhidze, Givi Lobjanidze, Merab Magradze, Iacob Meskhia, Omar Mindadze, Shota Ramishvili, Givi Sanikidze, Mamuka Shengelia, Otar Chumburidze, Manana Chiteishvili, Kote Khurtsilava.

© სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგა აბრამიძე

ეგვიპტის საკითხი რომის სენატში (ძვ. წ. 56 წ.)

შიდა დაპირისპირებების შედეგად ეგვიპტიდან გამოძევებული მეფის პტოლემაიოს ავლეტის რომში გამოჩენამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია იქაურ პოლიტიკურ წრეებში. მართალია, მან რომში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო, მაგრამ საკმაო ხანი და დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ გარკვეული დასაყრდენი მოეპოვებინა სხვადასხვა გავლენიან დაჯგუფებებში. მისი მთავარი მიზანი გვირგვინის დაბრუნება იყო, რომლის მიღწევაც საკუთარი ძალებით არარეალური ჩანდა.

რომის ისედაც მძაფრი პოლიტიკური ცხოვრება ეგვიპტის საკითხის გააქტიურებით კიდევ უფრო დაიმუხტა. რომაელ მოღვაწეთაგან, საკითხი ისე იდგა, რომ ვინც ამ პრობლემას მოაგვარებდა, ბრწყინვალე შესაძლებლობები ექმნებოდა რომის პოლიტიკურ ავანსცენაზე ლიდერის პოზიციების განმტკიცებისათვის. ამ საკმაოდ მიმზიდველი მდგომარეობის მოპოვებისათვის რომის პოლიტიკური ელიტა თავის ფარულ ზრახვებს ავლეტისადმი გულშემატკივრობის საბურველში ახვევდა. სენატის სხდომებზე ეგვიპტის საკითხმა ხანგრძლივი დისკუსიები გამოიწვია, რის შესახებაც დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ციცერონი თავის წერილებში. კამათი ძირითადად მიმდინარეობდა იმაზე, თუ რა გზით უნდა დაებრუნებინათ ავლეტი ეგვიპტეში და ვინ იქნებოდა ის პიროვნება, ვინც ამ მისიას შეასრულებდა. დებატები რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ეს გარემოება თავისთავად მიუთითებს ავლეტის ეგვიპტეში დაბრუნების ხერხის რაგვარობის მნიშვნელობაზე რომაელ მოღვაწეთათვის.

ეგვიპტის მეფის ტახტზე აღდგენის ერთ-ერთი ყველაზე რეალური და პირდაპირი გზა, რა თქმა უნდა, სამხედრო ძალის გამოყენება გახლდათ. მაგრამ ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, როცა სახალხო ტრიბუნმა გაიუს კატონმა 56 წ. ე.წ. „სიბილას წინასწარმეტყველება" გამოაქვეყნა, რომელიც ეგვიპტეში სამხედრო გზით შესვლის შესაძლებლობას გამო-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

აღიარებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ა. ფურცელაძე ერების გაერთიანების წინააღმდეგია. მაგრამ ეს გაერთიანება ნებაყოფლობით უნდა მოხდეს და ეს იქნება საწინდარი ომებისა და სხვა უბედურების თავიდან აცილებისათვის.

ა. ფურცელაძის საერთო პოზიცია, რაც კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობით არის ნასაზრდოები, კარგად ჩანს მშობლიურ ენაზე გამოთქმულ თვალსაზრისში. იგი წერილში – „ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ" აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა ერების ერთმანეთთან დაახლოება, თუკი ამის საჭიროება შეიქმნება. ამასთანავე, თუკი ამის საჭიროება არ იქნება, ფიქრობს ფურცელაძე, „მანამ ყველამ თავისი ენა დაიცვას".[1]

როგორც აღნიშნულიდან ცხადად ჩანს ფურცელაძის შეხედულებები ეროვნულ საკითხზე წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. შინაგანად მას სურს ეროვნული საკითხის გააზრება ობიექტურად, მაგრამ კოსმოპოლიტურ პოზიციაზე მდგომი საბოლოოდ მაინც ერებსა და ერების ერთიანობის შესაძლებლობას აღიარებს, რაც ნამდვილად ვერ ჩაეთვლება მას დამსახურებად.

ქართული ხალხოსნობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის გიორგი მაიაშვილისათვის (ზდანოვიჩი) ეროვნული პრობლემატიკა მეორე პლანზეა გადატანილი. მაიაშვილის შეხედულებები ეროვნული თავისუფლება „მონატილ" ეკონომიკურ სიდუხჭირეზე ჩვენი დონის ნიჭილისტებთან ამყარებს სიახლოვეს. ამ ყაიდის ადამიანებისათვის ყოველგვარი უკეთურება, უძლურება, რომლებიც გარდამავალი პერიოდის საზოგადოებაში იჩენს თავს, თურმე დამოუკიდებლობის ბრალია.

მაიაშვილის აზრით, ქვეყნის ფეხზე დაყენება შესაძლებელი არაა უცხო მმართველობის მოცილებით და მის ადგილზე ეროვნული ხელისუფლების მოსვლით. სინამდვილეში, თავისუფლებისათვის ბრძოლა უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკის განახლებასთან. „მხოლოდ ღრმა ეკონომიკური ცვლილებებისათვის ბრძოლა არის გზა ნამდვილი თავისუფლებისად-

---

[1] ჟურნალი „ცისკარი", 1867, №1.

კერძო პირებიდან უნდა არჩეულიყვნენ. ეს, პროექტის ავტორის აზრით, გამორიცხავდა ერთი ადამიანის ხელში სრული ძალაუფლების თავმოყრას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მას, იგი თავისი სურვილისამებრ, უკონტროლოდ გამოეყენებინა. ე.ი. საქმის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ არ დაეშვათ რომელიმე გავლენიანი პირის მიერ რომის სახელით ეგვიპტის გამოყენება თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. თავდაპირველად წინადადება ორ ნაწილად გაყვეს და ისე განიხილეს. კერძოდ, ბიბულუსს დაეთანხმნენ საკითხის რელიგიურ ასპექტში. სენატში იმდენად მომწიფდა "წინასწარმეტყველებისადმი" ანგარიშის გაწევის სიტუაცია, რომ შედავებას აზრი აღარ ჰქონდა, ვინაიდან იგი ეგვიპტეში ჯარით დაბრუნებას გამორიცხავდა. ამ წინადადების განხილვამ სენატის არაერთი უშედეგო სხდომა შეიწირა და ბოლოს ის საერთოდ უარყვეს.

ასევე სამი ელჩის დანიშვნას სთავაზობდა სენატს კრასუსიც, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ერთ-ერთი ამ ელჩთაგან აუცილებლად სამხედრო ძალაუფლებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. სავარაუდო კანდიდატებს შორის იგი ამით არ გამორიცხავდა პომპეუსს. სამი ელჩის დანიშვნას ეთანხმებოდა ყველა ყოფილი კონსული, გარდა სერვილიუსისა, რომლის აზრით, საჭირო არ იყო უკან დაებრუნებინათ ავლეტი, რაც ალექსანდრიელთა სურვილიც იყო.

ამდენად, სერვილიუსი ერთადერთი პიროვნებაა, რომელიც ალექსანდრიელების ინტერესების გამომხატველად და დამცველად შეიძლება მივიჩნიოთ სენატის სხდომებზე.

სენატური ოლიგარქიის ოფიციალურ კანდიდატს წარმოადგენს კილიკიის პროკონსული ლენტულუს სპინტერი. მის ინტერესებს სენატში ციცერონი გამოხატავდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ სენატორებმა გაითვალისწინეს ლენტულუსის ღირსებები და მხარი დაუჭირეს, რადგანაც ის ამ საქმეს სახელმწიფოსთვის სასარგებლოდ მოაგვარებდა. იანვრის სხდომებზე ლენტულუსს ხოტბას პომპეუსიც ასხამდა, რაც იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ მას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, თუ ალექსანდრიის მეფის დაბრუნების საქმეს სპინტერი ჩაუდგებოდა სათავეში. მაგრამ ვოლკაციუსის წინადადება, რომელიც სენატს ბიბულუსის წინადადების უარყოფის შემდეგ გადაეცა განსახილველად, პირდაპირ მოითხოვდა ეგვიპტის საკითხის მოგვარება პომპეუსს დავალებოდა, რასაც მხარს უჭერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პომპეუსის ყველა მეგობარი სხვადასხვა წოდებიდან. ასეთი გულმოდგინება უთუოდ მიუთითებდა იმაზე, რომ თავად პომპეუსს ეს დანიშვნა ძლიერ სწყუროდა და აქტიურად იღწვოდა ამისათვის. პომპეუსის ორმაგი თამაში დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ლენტულუსს. ციცერონის თავგამოდება ლენტულუსისათვის ხშირად ეფექტური გახლდათ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და ისიც გასათვალისწინებელია, რომ პომპეუსის მოწინააღმდეგენი არც ლენტულუსის მომხრეები იყვნენ.

იანვრის იდებში დიდი დებატები გამოიწვია ჰორტენსიუსის წინადადებამ - დააბრუნოს ავლეტი სპინტერმა ჯარის გამოყენების გარეშე. რაც მეტად არარეალური ჩანდა. ამდენად, მართალია ლენტულუსის მხარდამჭერებმა ჰორტენსიუსმა, ლუკულუსმა და ციცერონმა ჯარის გამოყენების უარყოფით ანგარიში გაუწიეს რელიგიურ აკრძალვას, მაგრამ მათ ეს დიდი ენთუზიაზმით არ გაუკეთებიათ.

„სიბილას წინასწარმეტყველების" უპირობო მიღების შემდეგ სენატში შექმნილი მდგომარეობა სხვაგვარი მოქმედების საშუალებას არ იძლეოდა. მითუმეტეს, რომ ადრე გადაწყვეტილი იყო ეგვიპტის მეფე ლენტულუსს უნდა დაებრუნებინა.

სენატს არავითარი ისეთი დადგენილება არ მიუღია, რომელიც ჩამოაშორებდა ლენტულუსს ალექსანდრიის მეფის აღდგენის საქმისაგან. რელიგიურ საკითხში კომპრომისით ლენტულუსის მომხრეები დიდს არაფერს კარგავდნენ.

მისი მოწინააღმდეგე სახალხო ტრიბუნები, თავის მხრივ, ცდილობდნენ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა ხრიკების მეშვეობით გაეჭიანურებინათ. მიმართავდნენ ინტერცესიებს (intercesio - ჩარევა) - სახალხო ტრიბუნების უფლებას, რომლის ძალითაც მათ სხვა თანამდებობის პირთა დადგენილების ან მოქმედების შეჩერება შეეძლოთ. ასევე მათ ჰქონდათ უფლება, რეგლამენტის გარეშე ელაპარაკათ სენატში, რასაც ოსტატურად იყენებდნენ და ხშირად შუაღამემდეც საუბრობდნენ.

იანვრის იდებში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა კამათი კონსულ გნეუს კორნელიუს ლენტულუს მარცელიანუსსა და პომპეუსის მხურვალე მხარდამჭერ სახალხო ტრიბუნ კანინიუსს შორის. მარცელიანუსი სამხედრო ძალების საშუალებით ავლეტის ტახტზე აყვანის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და, მისი აზრით, ეს საქმე არც სამხედრო ძალაუფლებით

აღჭურვილ პირს უნდა დავალებოდა. ამით ის საერთოდ გამორიცხავდა, როგორც პომპეუსს, ისე სპინტერს. მართალია, ის კეთილგანწყობილი იყო ლენტულუსისადმი, მაგრამ ავლეტის მტრობა ჰქონდა და სწორედ ეს განსაზღვრავდა მის ასეთ პოზიციას.

თებერვლის დასაწყისში კიდევ უფრო გამწვავდა ეგვიპტის საკითხი. დაიძაბა ურთიერთობები დაპირისპირებულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის. როცა კატონმა ყველასაგან მოულოდნელად გამოაქვეყნა კანონ-პროექტი კილიკიიდან ლენტულუსის გამოწვევის შესახებ, ხოლო კანინიუს გალამ კანონი იმის შესახებ, რომ ავლეტის ტახტზე აყვანა დავალებოდა პომპეუსს ორი ლიქტორის თანხლებით. როგორც პლუტარქე წერს, პომპეუსი ამ წინადადებით უკმაყოფილო არ იყო, მაგრამ იგი უკუაგდო სენატმა. თავის გასამართლებლად კი მისი პირადი უსაფრთხოების გამო შიში მოიმიზეზა, რომ ისეთი დიდი კაცი, როგორიც პომპეუსი იყო, შესაძლოა განსაცდელში ჩავარდნილიყო (2, 126). როგორც ჩანს, სენატორთა ირონიას საზღვარი არ ჰქონდა. არც პომპეუსისა და არც ლენტულუსის მომხრეები უკან დახევას არ აპირებდნენ. სენატში მდგომარეობა უკიდურესად დაძაბული და არამყარი იყო.

6 თებერვალს სახალხო კრებაზე კლოდიუსმა და მის „ხროვამ" ობსტრუქცია მოუწყო პომპეუსს. კლოდიუსელებმა საჯაროდ ამხილეს პომპეუსის ნამდვილი ზრახვები. კლოდიუსის კითხვაზე – „ვის სწყურია ალექსანდრიაში გამგზავრება? „ისინი პასუხობდნენ: „პომპეუსს". ხოლო კითხვაზე – „თქვენ ვისი გაგზავნა გინდათ ალექსადრიაში? პასუხი იყო – „კრასუსის" (1, 217). ეს არის ერთადერთი წყარო, სადაც ჩანს კრასუსის მისწრაფებები მას დააკისრონ ავლეტის ტახტზე დაბრუნების მისია. კლოდიუსელთა გამოსვლამ კიდევ უფრო სკანდალური გახადა არსებული სიტუაცია. ამის შემდეგ აპოლონის ტაძარში შეიკრიბა სენატი, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომ რაც მოხდა თებერვლის იდებამდე 6 დღით ადრე, ანტისახელმწიფოებრივი ქმედება იყო. აღნიშნულ სხდომაზე კატონის რისხვა ყველაზე მეტად პომპეუსს დაატყდა თავს. თავად პომპეუსი კატონის მწვავე ბრალდებებს არ გამოხმაურებია, რის გამოც ციცერონმა მიიჩნია, რომ მან ალექსანდრიის საქმე სრულიად მიატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტის საკითხს სენატის არაერთი სხდომა მიეძღვნა, სიტუაცია ავლეტის და მისი ტახტზე აღდგენის შესახებ გაურ-

კვეველი რჩებოდა. ცხადია, ავლეტის მომავალი ერთნაირად "აღელვებდა" მის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს შორის გამარჯვებულს ეგვიპტე დიდ პერსპექტივებს უქადდა, რადგანაც მის ხელში აღმოჩნდებოდა არა მარტო ამ ქვეყნის უდიდესი სიმდიდრე, არამედ მნიშვნელოვნად ამაღლდებოდა მისი პოლიტიკური რეიტინგი რომში. სენატში პრობლემის გადაწყვეტის დრო ჯერ არ დამდგარიყო, რადგანაც "არვის სურდა დაეთმო ეს მსუყე ლუკმა" (3, 325).

Inga Abrämidse

DIE ÄGYPTISCHE FRAGE IM ROMISCHEN SENAT IM 56 V.U.Z

(Resumee)

Die vorliegende Abhandlung bezieht sich auf die Verschärfung der ägyptischen Frage im Römischen Senat, was mit der Flucht von Ptolemaios Auletes aus Ägypten Verbunden war.

Der verjagte König versuchte in römischen politischen Kreisen die Unterstützung zu finden und mit deren Hilfe semen Thron zurückzugewinnen. Die Verfasserin zeigt das Pro und Kontra im Senat und entlarvt die wirkeichen Ziele des römischen politischen Spektrums.

ლიტერატურა:

1. Письма Марка Туллия Цицерона, т. I, М.Л. 1949.
2. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, ტ. I, თბ., 1957.
3. Бенгстсон Г., Правители эпохи эллинизма, М. 1982.

მსოფლიო ისტორიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა არველაძე

ანტიციპაციის კავშირი მხატვრულ-საშემსრულებლო პროცესების კოდირებასთან

ხელოვნება პირობითად „სტატიკურ" და „დინამიურ" სახეებად იყოფა. პირველი სივრცული ფორმით ხასიათდება, მეორენი იმავ დროს წარმოგვიდგებიან ერთგვარი პროცესის სახით. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მუსიკალური ხელოვნება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ შემოქმედებით პროცესთან: ესაა მხატვრული ფასეულობის შექმნა, ანუ კომპოზიტორის შემოქმედება და ამავე მხატვრული ფასეულობის აღქმა ანუ ხელახალი შექმნა", ეს შემსრულებლის შემოქმედებაა, სწორედ ის განსაზღვრავს მუსიკალური ნაწარმოების ე.წ. ყოფით სტატუსს ანუ არსებობის წესს. (1, გვ. 263-267).

ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, შევეცადოთ ერთიან სისტემად გავიაზროთ მუსიკალური შემსრულებლობის რთული ფენომენი ისეთ ძირეულ კომპონენტებთან, როგორიც არის: დრო და სივრცე, მუსიკალურ-მხატვრული ფასეულობა, შემსრულებლის სმენით-აზროვნებითი და მოძრაობისეული სისტემები, დისკრეტულისა და პროცესუალურის ფენომენი შემსრულებლობაში, ამ პროცესის შემაფერხებელი პირობები და მათი ძიება.

დრო და სივრცე ჩვენს მიერ განხილულია, როგორც მხატვრული ნაწარმოების, ე.წ. „მატერიის" არსებობის ძირითადი ფორმა. მათი შინაარსობრივი მხარე განხორციელებულია ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში.

ჩვენს მიერ დამუშავებული ლიტერატურიდან გამომდინარე გამოიკვეთა სივრცისა და დროის სამი ძირითადი ტიპით ოპერირება: 1. რეალური დრო და სივრცე, როგორც მატერიის არსებობის ფორმები; 2. პერცეპციული დრო და სივრცე - რეალური სამყაროს გრძნობის ორგანოებით უშუალო ასახვა და 3. კონცეპტუალური დრო და სივრცე-განსხვავებული შემეცნებითი მოდელები, რომელთაც აგებენ ფილოსოფოსები, მათემატიკოსები,

ხელოვანნი, რომელნიც თავის შემოქმედებაში მუდმივად იღწვიანენ ...
რებაში ჭეშმარიტების, ხოლო ხელოვნებაში კი- მხატვრული სიმართლის ამოცნობისა და დადგენისათვის (2; 3; 4).

მუსიკოს-შემსრულებელს საქმე აქვს არა მხოლოდ ობიექტურ რეალობასთან, არამედ პირველ რიგში, მხატვრულთან და აქედან გამომდინარე, ის ერთგვარად ორ დროით-სივრცობრივ პლასტში იმყოფება ერთდროულად.

I ობიექტურ დროშია განფენილი თავად საშემსრულებლო პროცესი; II-ში კი შემოქმედებითი პროცესი, რომელიც დაკავშირებულია შემსრულებლის მიერ მხატვრული სახეების განცდასა და განსახიერებასთან, ის თითქოს "გადის" დროის სუბიექტური პარამეტრებიდან, განერიდება მას.

ჩვენი აზრით, ნაწარმოებზე მუშაობის პროცესში, როდესაც შემსრულებელი არ იმყოფება დროითი "ლიმიტის" პირობებში, მას ეძლევა საშუალება, ცალკეული მოძრაობების აუცილებელი დისკრეტულობიდან თვისობრივი გადასვლა მოახდინოს გამთლიანების პროცესისაკენ. ეს მაშინ, როდესაც იგი უკვე თავისუფლდება ცნობიერის ჩარევიდან, რაც ესოდენ აფერხებს საშემსრულებლო პროცესს.

საშემსრულებლო დრო-სივრცის პრობლემებს მრავალი ასპექტი შეიძლება მოვუნახოთ. ამჯერად ერთ-ერთზე შევჩერდებით - კოდირების მექანიზმზე. დეტალების გამთლიანების პროცესი იძლევა დროის სხვა მასშტაბებში გადასვლის საშუალებას - ობიექტურად არსებული გარე დრო სინთეზირდება დროის შინაგან წარმოსახვა-შეგრძნებასთან და ამით ხდება დროის შემჭიდროება, თითქოსდა შეკვეცა. ბგერები, ბგერათ ელემენტები და უფრო მსხვილი ნაგებობები კოდირდება სისტემებში, მათი ოპერირება კი განშლად საშემსრულებლო პროცესში გაცილებით უფრო ეფექტურია როგორც შემსრულებლის თვითშეგრძნების, ასევე შესრულების შეუფერხებლობის და მთლიანობის თვალსაზრისით. ამგვარი "კოდირების" მექანიზმი მით უფრო მაღალეფექტურია, რაც უფრო მაღალნიჭიერი და კვალიფიციურია შემსრულებელი (5, გვ. 15).

პროფ. ვ. გრიგორიევის აზრით, სწორედ ამგვარ "კოდირებულ" პროფესიულ ინფორმაციაში ძევს "პაგანინის საიდუმლო" (6, გვ. 3).

საერთოდ, კოდირებული აზრი ააქტიურებს გონებრივ საქმიანობას (7, გვ. 15). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოდირების უნარები შემოქმე-

დებითი აქტებისათვის, როდესაც ხდება ფორმულების განშლა რეალურად-აჟღერების პროცესში. ნებისმიერი რთული ქმედების დაგეგმვისას სწორედ შემჭიდროებად, დროში შეკუმშულ კოდურ სისტემას ვიშველიებთ. მუსიკალური შემსრულებლობაც ამგვარ კოდირებას გულისხმობს: სმენით - აზრობრივ, სმენით - მოძრაობისეულ, პირველ რიგში სმენით - ინტონაციურ აზროვნებით პროცესებზე დაყრდნობით. ამგვარი ორმაგი დროითი მექანიზმი თავად მუსიკის, როგორც ფენომენის ბუნებაშია დაფარული.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვესახება მოცარტის მოსაზრებანი ნაწარმოების შექმნის პროცესებზე, კომპოზიტორის უნარზე, რომ ერთდროულად დაინახოს მთელი ნაწარმოები შინაგანი ხედვით ისე, როგორც მხატვრული ტილო.

ავსტრიელ მკვლევარს ი.გ.ეიბლის მოჰყავს რამდენიმე ციტატა მოცარტის I ბიოგრაფის, ჩეხი ფ. ნემიჩეკის წიგნიდან: სამეფო კარის კაპელმეისტერის ვ. ა. მოცარტის ცხოვრება: ვის წარმოსახვაშიც ნაწარმოები წარმოჩინდებოდა, როგორც დაუნაწევრებელი მთლიანობა, რაღაც ერთიანი, ცოცხალი და მკვეთრი" და კიდევ-ვიდრე საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, მის ცნობიერებაში ნაწარმოები უკვე ცხოვრობდა, როგორც დასრულებული მთლიანობა". (8).

ამის დამადასტურებელია ვ. ვაგნერის მოსაზრებაც, რომ ოპერა „ტანჰოეიზერის უვერტიურა მის გონებაში წარმოიქმნა, როგორც ერთდროული ჟღერადობა.

როგორც ცნობილია, საქმიანობის საბოლოო შედეგების შინაარსი ფუნქციონალური სისტემის მიერ წინასწარ ფორმირდება მოდელის სახით (ი. პავლოვი - „მიზნის რეფლექსი"; პ. ანოხინი - „წინასწარი ასახვა", ნ. ბერნშტეინი - „სასურველი მომავლის მოდელი"). ეს პროცესი უმაღლესი კორტიკალური დონის პრეროგატივაა. ბუნებრივია, რომ სმენითი წარმოსახვა წარმოქმნის იდეომოტორულ აქტს, რომლის საშუალებითაც მიზანშეწონილი უნდა იქნას კონკრეტული ჟღერადობის რეალური განხორციელება. ამგვარად, კორტიკალურ სმენით-მოძრაობისეულ ცენტრებში ხდება წინასწარი მექანიკური პროგრამის შერჩევა მოსალოდნელი მოტორული აქტის მიმართ.

ჩვენ შევეცადეთ სისტემურ-სტრუქტურულ მთლიანობაში წარმოგვედგინა საშემსრულებლო პროცესი, რომელშიც ვგულისხმობთ დრო-სივრცე-

ში მიმდინარე პროცესს, რომლის საფუძველიც სმენითი და მოძრაობისეული რთული სისტემების ურთიერთკორელაციაა, იდეოკუსტიკური და იდეომოტორული წარმოდგენების რეალურ აქტში გადაყვანისას (54, 15).

მთელი ეს სისტემური წარმოდგენები დაგვჭირდა იმისათვის, რომ დაგვენახა მათში ანტიციპაციის ადგილი და მნიშვნელობა. ანტიციპაცია ცნების დონეზე ეს არის უნარი, იმოქმედო და მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება გარკვეული დროით - სივრცული წინასწარობით მოსალოდნელი მოვლენის მიმართ.

ტერმინი anticipatio ნიშნავს წინასწარმზაობას, წინასწარჭვრეტას, ჩვენს შემთხვევაში „წინასწარსმენას", მაგრამ ამ წინასწარჭვრეტას არ აქვს ცნობიერი განცდის ხასიათი. ანტიციპაციური პროგრამა იქმნება განწყობის დონეზე და მოცემულია მოქმედებისათვის სუბიექტის მთლიანობით მობილიზაციაში (9).

ანტიციპაციის პრობლემა წინა პლანზეა წამოწეული როგორც ფსიქოლოგიაში, ასევე ფიზიოლოგიაში. ძირითად ნაშრომს წარმოადგენს ბ. ლომოვისა და ე. სურკოვის ერთობლივი მონოგრაფია „ანტიციპაცია საქმიანობის სტრუქტურაში", გამოვარჩევთ ანტიციპაციის ორ მექანიზმს: - დისკრეტულსა და პროცესუალურს, რომელიც ეყრდნობა განსხვავებულ ამოცანათა ბუნებას: I - ნაწარმოებზე მუშაობის პროცესი, რომელშიც წარმოებს აზრობრივ - სმენით-მოძრაობისეული კოდირება. ამ პროცესებში ყურადსაღებია ანტიციპაციები წარმოდგენათა დონეზე, სივრცულ-დროითი ანტიციპაცია და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ანტიციპაციათა ფორმირება ინტონაციური ფორმათქმნადობის დონეზე.

II - პირველისაგან პრინციპულად განსხვავებული - საჯაროდ შესრულების პროცესი, როდესაც საქმე გვაქვს კოდირებული მასალის დროსა და სივრცეში მხატვრულ შემოქმედებით განშლადობასთან. ეს გახლავთ ურთულესი და ძალზე საპასუხისმგებლო ეტაპი, რომლისკენაც არის მიმართული მუსიკოსის მთელი შემოქმედება, აქტი, რომელსაც ახასიათებს უწყვეტობა და შეუქცევადობა. ამ შემთხვევაში წამყვანი პერცეფციული დონის ანტიციპაციების სენსომოტორული ავტომატიზმებზე დაყრდნობით.

საშემსრულებლო პრობლემატიკა, ბუნებრივია, უკავშირდება პედაგოგიურ სფეროს, რომლის გარეშეც პიანისტურ-საშემსრულებლო სრულყოფა შეუძლებელია. ამდენად, ნიშანდობლივია ვ. ლომოვისა და ე. სურკოვის

შემდეგი მოსაზრება: „ნებისმიერ სფეროში სწავლების მეთოდების დამუშავებისას, საჭვოა მოველოდეთ მაღალ შედეგებს, თუ ეს მეთოდები არ ახდენენ ადამიანში ანტიციპაციური პროცესების ფორმირებას იმ დონეზე და იმ რანგში, როგორც ეს ესაჭიროება საქმიანობის მოცემულ სფეროს" (გვ. 28).

А.Г. Арведадзе

СВЯЗЬ ХУДОЖЕСТВЕННО-ИСПОЛЬНИТЕЛЬСКИЙ ПРОЦЕССА С КОДИРОВАНИЕМ АНТИЦИПАЦИИ

В статье рассматривается проблема как представить исполнительский процесс музыкально-художественного произведения в виде целосного системно-структурного образования.

Эта взаимосвязь времени и пространства представляется нами как один из элементов художественно-исполнительского процесса конкретного музыкального произведения.

Большую роль в этом играет антиципация, в частности "предслышание".

ლიტერატურა:

1. Асафьев Б. - Критические статьи, очерки и рецензии. Из наследия 10-х начала 30-х годов, М., 1967.

2. Ломов В., Сурков Е. - Антиципация в структуре деятельности, М., Наука, 1980.

3. Понамарев Я. - Психология творческого мышления, М., Наука, 1960.

4. რ. ხოჯავა - დრო და ხანიერება მუსიკაში - ჟურნალი „რელიგია", 1994, №9.

5. ა. არველაძე - მუსიკალურ-საშემსრულებლო პროცესის უწყვეტობის საკითხისათვის (ანტიციპაციის თეორიული პრობლემატიკის შუქზე), ავტორეფერატი, თბილისი, 1999.

6. Григорьев В. - Николо Паганини, Жизнь и творчество, М., 1987.

7. Бехтерева Н. и др. - Мозговые коды психической деятельности, Л., 1974.

8. Званцов К. - О музыкальном творчестве Моцарта, Письмо Моцарта к барону Ф. (пер. К. Званцова). Музыкальный и театральный вестник, №23, 10 июня, 1956.

9. Д. Узнадзе - "Труды", т. 6,75 г.

ესთეტიკური აღზრდის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ევგენი ბლიაძე

ალექსანდრე ამილახვარი პოლიტიკის შესახებ

საკითხის გარკვევისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ „პოლიტიკის" ცნება ალ. ამილახვრის ნააზრევში. როგორია მისი დამოკიდებულება პოლიტიკისადმი ვფიქრობთ, ყველაზე მიზანშეწონილი ამ მიმართებით მისი დრამატული ნაწარმოების „მოქმედება ასტრახანში" განხილვა იქნებოდა (4:491-499). იგი აგებულია ორი მოქმედი პირის, ვიბორგის ყოფილი ოფიცრისა და ქართველი თავადის ამირ-ახორის დიალოგზე. ამ დიალოგში ავტორი გადმოგვცემს თავის შეხედულებას პოლიტიკაზე. მისი მრწამსი ასეა ჩამოყალიბებული: „პოლიტიკა ასე კარნახობს და ვინ გაბედავს არ უსმინოს მას: გინდ მეფე იყოს და გინდ მისი კარისკაცები" (4:493).

ავტორს მიაჩნია, რომ კაცობრიობა დასაბამიდან განიცდის პოლიტიკის ზემოქმედებას, მას შესწევს სატანის შესაძლებლობა და უნარი გააჩნია, უდიდესი ბოროტება კვლავაც ჩაიდინოს. ერთადერთი, რაც პოლიტიკას ეწინააღმდეგება და რასაც პოლიტიკა გაურბის, ავტორის აზრით, დროა, „დრო მასზე ბევრად ხნიერია და თან ძლიერი. როცა იგი პოლიტიკას თუნდაც ოდნავ ალმაცერად შეხედავს, პოლიტიკა ისე გარბის, რომ მწევარი ძაღლებიც კი ვერ დაიჭერენ მას" (4: 495). აქვე ამირ-ახორი ოფიცერს გაანდობს, რომ თვითონაც პოლიტიკის მსხვერპლია. „ნუთუ სქართველოშიც არის ის დაწყევლილი კაცი?" - კითხულობს ოფიცერი. „მას ყველგან ნახავთ, - პასუხობს ავტორი, - თუმცა ქართველები მას დიდად არ უპყრობენ ყურს, მხოლოდ ირაკლი, დიდხანს რომ იმყოფებოდა სპარსეთში, დაუახლოვდა მას. რაკი ამ „ბებერმა ქოფაკმა" დაინახა, რომ ირაკლის საქართველოში გავლენა აქვს, ესტუმრა მას; ამან წარმოშვა საქართველოში დიდი ბოროტება" (4:495).

როგორც ვხედავთ, ალ. ამილახვარი პოლიტიკის მიმართ თავის განწყობასაც ამჟღავნებს და პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებსაც სათა-

ნადოდ გაიაზრებს. ამასთან მიგვაჩნია, რომ იგი სრულებითაც არ არის დახატული მუქ ფერებში და ძირითადად შეესაბამება სინამდვილეს. ვფიქრობთ, ისეთი სიმწარის მნახველ ადამიანს, როგორც ალ. ამილახვარი იყო, ნამდვილად შეიძლებოდა უფრო მძაფრად ეთქვა თავისი სათქმელი. ისტორიული სინამდვილე არის ავტორის შემდეგ სიტყვებშიც „პოლიტიკამ ის (ერეკლე) აიძულა, თავი რუსეთისათვის შეეფარებინა... პოლიტიკამ რუსებს კიდევ ბევრი რამ აფიქრებინა: საქართველოს მეშვეობით თურქეთის განდევნა ევროპიდან; ირანის, რომელიც იმ დროს აღრეულობაში იყო, სრულიად დაპყრობა, რუსეთის მსოფლიო მონარქიის იდეა. რუსეთმა დიდი პატივით მიიღო პოლიტიკის რჩევა: მიიღო ირაკლი თავისი მფარველობის ქვეშ" (4: 496). ამის მიუხედავად, წინ კიდევ ბევრი და ამოუცნობი პროცესებია პოლიტიკისა, ამიტომაც არის საჭირო განსაკუთრებული სიფრთხილე მის მიმართ. საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმე, როგორც ავტორი ფიქრობს, ამით არ დამთავრებულა, ვინაიდან... „პოლიტიკა იმთავითვე როდი იძლევა სარგებელს. იგი ასეთის მიღებას აღგითქვამს რამდენიმე საუკუნის შემდეგ" (4: 496). დღეს ეს სიტყვები არც თუ უსაფუძვლოდ ჟღერს, ავტორი აჯამებს სათქმელს, თუმცა თავის მთავარ მიზანს ოდნავადაც არ სცილდება: „დრომ, დაინახა რა ამდენი უწესობანი პოლიტიკისა, გაურისხდა და იმ ქვეყნად გაამგზავრა სიბერითა და მწუხარებით დაქანცულნი ეკატერინე ხელმწიფე და ირაკლი მეფე. და გაამეფა რუსეთში პავლე პირველი, რომელმაც სრულიად უარყო პოლიტიკა ყველა მისი მომხრეებით, საქართველოში – კი გიორგი ირაკლის ძე, რომელსაც სრულიად არაფერი გაეგებოდა პოლიტიკის ენისა" (4:496). ვფიქრობთ, ბევრი არაფერია სადავო ამ სიტყვების ავტორთან. მას არც პოლიტიკური შეფასება-განსჯის უნარი ღალატობს და არც ცხოვრებისეული მოვლენების წვდომის ალღო. პოლიტიკამ გაწირა საქართველოს უკანასკნელი მეფეც. მან „შთააგონა გიორგის ძმები ამხედრებულიყვნენ ძმის წინააღმდეგ და მათი მეოხებით მთელი სახელმწიფო შფოთისა და უთანხმოების სარბიელად გადააქცია; ძმებისაგან შევიწროებული მეფე გიორგი მთარგმნელების მეშვეობით შთააგონა საქართველო სრულიად გადაეცა რუსეთისათვის. სიკვდილის სარეცელზე მწოლი „გიორგი მეფე ადვილად მოტყუვდა" და საქართველო რუსეთს გადასცა..." (4: 497).

ვერც ამ შეფასებაში შევედავებით ალ. ამილახვარს. იგი სწორედ დიდი

პოლიტიკური მოაზროვნის თვალით აფასებს მომხდარ მოვლენებს, თუმცა თავისი სათქმელი ჯერ დასრულებული არ აქვს. ჯერ კიდევ დროა საჭირო მისი აზრების ჭეშმარიტების დასადგენად. „პოლიტიკა ქმნის მხოლოდ ჩვეულებრივ მეფეებს, - განაგრძობს ალ. ამილახვარი, - ხოლო დროგანსაკუთრებულ მეფეებს, რომლებსაც პოლიტიკა ვერ გაბედავს დაენახოს და რომლებსაც იგი სრულებითაც არ ესაჭიროებათ, მანამ, სანამ მხოლოდ მათი ნება-სურვილი შეადგენს სახელმწიფოებრივი მართვა - გამგეობის საფუძველს და სანამ მათ დრო წყალობს, ვერავინ და ვერაფერი წინ ვერ აღუდგება" (4: 498). ფინალი ამ ფილოსოფიური განსჯისა დროისა და პოლიტიკის შესახებ შესაბამისია. იგი მოცემულია ოფიცრის კითხვაზე: „კარგი იქნებოდა, თუ მისწერდით ჩვენს მოწყალე ხელმწიფეს და აუხსნიდით, თუ როგორ ატყუილებს მას ეს წყეული პოლიტიკა". ამირ-ახორის პასუხში - „მე ამას ვერ ჩავიდენ ორი მიზეზით: პირველი - ჭკუიან ადამიანს ერთსა და იმავე საქმეში მხოლოდ ორჯერ მიეტევება შეცდომა, მესამეჯერ - კი არა. მე უკვე მივსწერე მის ბებიასა და მამას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მესამეჯერ კი ჭეშმარიტი გონების განსჯა ამის ნებას არ მაძლევს. თუმცა, შენზე უფრო ჭკვიანებსაც ურჩევნიათ ეს... მეტი რა უნდა ვქნა? დროს მოვუცადოთ და, თქვენი ანდაზისა არ იყოს, ეგებ დრომ გაგვაბედნიეროს, ამოხილოს ჩვენი თავიდან ის რწყილები და სისაძაგლე, რაც ჩვენში პოლიტიკას ჩაუნერგია" (4: 498-499).

როგორც ვნახეთ, ამ ნაწარმოებში ალ. ამილახვარს რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ საწინააღმდეგო აზრი აქვს გამოთქმული. სამწუხაროდ, მისი ბევრი მკვლევარი სწორედ ამ მიმართებით განიხილავდა დასახელებულ ნაწარმოებს და წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით ახდენდა ავტორის შეხედულებათა შეფასებას.

ტრ. რუხაძის აზრით, „ალ. ამილახვარი ულტრასატირიკოსია, ის არავის არ ზოგავს: რუსის მეფეებსა და ოფიცრებს, ირაკლისა და გიორგი მეფეს... საერთოდ, ძნელია იმის თქმა, ვის მხარეზეა მწერალი: იგი პავლე პირველსაც ჰკიცხავს და მის წინააღმდეგ შეთქმულებასაც არ ინდობს. იგი, ვგონებ, ყველას ებრძვის (4: 246).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული დებულების ავტორი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ ალ. ამილახვარი გადაჭრით დადგეს ერთ მხარეს, რათა შავი და თეთრი იოლად გავმიჯნოთ. ტრ. რუხაძე განაგრძობს: „ალ.

ამილახვრის „სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი", თქმა არ უნდა, მავნებელი, ავანტიურისტული იყო ქართველი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან ის მიმართული იყო ირაკლისა და გიორგი მეფის ერთადერთი სწორი კურსის წინააღმდეგ" (4:246). დაახლოებით ასეთივე შინაარსის არის გ. აკოფაშვილის შეფასებაც: „ფრიად დამახასიათებელი ჩანს ის გარემობა, რომ. ალ. ამილახვარი თავის პოლიტიკურ მიზნებს უკავშირებს არა რუსეთს, არამედ ისეთ ჩამორჩენილსა და რეაქციულ ძალას, როგორსაც ირანის სახელმწიფო წარმოადგენდა. მართალია, არა პირდაპირ, მაგრამ საკმაოდ თვალსაჩინოდ იგრძნობა ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოსადმი და იმ დაახლოებისადმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დამდეგს რუსეთსა და საქართველოს შორის" (1:283-284).

როგორც ვხედავთ, ალ. ამილახვრის ამ ორ შეფასებას შორის განსხვავება მხოლოდ ავტორებსა და დროშია. სინამდვილესთან კი ორივეს ძალიან ცოტა აქვს საერთო... გ. აკოფაშვილის ასეთ შეფასებას არ ეთანხმება ვ. კიკნაძეც (3:127).

ვერ დავეთანხმებით პროფესორ ივ. სურგულაძესაც იმაში, რომ „არ არის მართებული ალ. ამილახვრის მოსაზრება, რომ პოლიტიკა შედეგს იძლევა, ანუ, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირდება" სარგებლობის მოტანას რამდენიმე საუკუნის შემდეგ" (5:269)... აღნიშნული სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ალ. ამილახვრის დამოწმებულ სიტყვებს, პოლიტიკაზე მის შეხედულებას, რადგან პატივცემული პროფესორი იქვე მიანიშნებს: „ის, რომ გარკვეული პოლიტიკის წარმოებამ, საშინაო იქნება ის თუ საგარეო, შეიძლება სახელმწიფოს მხოლოდ მომავალში მოუტანოს სარგებლობა, სწორია. ავტორის აზრით, პოლიტიკა ისეთი ძალაა, რომელიც ყოველთვის მოქმედებს... ამ შემთხვევაში ავტორის მოსაზრება მართებულია" (5:269). პ. გელეიშვილის აზრით, „ავტორი ამჟღავნებს საზოგადოდ დიდ ერუდიციას, თავისი დროის პოლიტიკური ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნას" (2: 58).

ასეთია ალექსანდრე ამილახვრის ამ პატარა ნაწარმოების დიდი პოლიტიკური პათოსი. ამ საკითხების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მისი ავტორის პოლიტიკური აზროვნების შესახებ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

E. Bliadze

ALEXANDER AMILAKHVARI ABOUT POLITICS (RESUME)

In the work of Political attitude of Alexander Amilakhvari is described his dramatical work "Activities in Astrakhani". The author speaks about the problem of time and political relationships. He considers that the time is the only power and politics and politicians have no power against it.

In the work Amilakhvari expressed his non-Russian orientation. That is why his other works were treated critically.

ლიტერატურა:

1. აკოფაშვილი გ., საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში მე-18 საუკუნის დასასრულს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1955 წ.

2. გელეიშვილი პ., ალექსანდრე ამილახორი, თბილისი, 1936.

3. კიკნაძე ვ., ტრაქტატი ბრძენი აღმოსავლეთისა, წიგნში: „ალექსანდრე ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა", თბილისი, 1997.

4. რუხაძე ტრ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბილისი, 1949 წ.

5. სურგულაძე ივ., საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1986.

ქართული პოლიტიკური აზროვნების
ისტორიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელენე გეგეშიძე

ქართული ხალხური სპორტული სანახაობა მე-19 საუკუნის ქუთაისში

მე-19 საუკუნის რიონისპირა ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი ხალხურ თამაშობებს ეკავა. ხალხში ჯერ კიდევ ცოცხლობდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი, ლელო, კრივი, ჭაკუნობა, ჭიდაობა და მრავალი სხვა.

საუკუნეების მანძილზე ახალგაზრდობის სწორი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა იმერეთის სამეფო კარის ყოველდღიური ზრუნვისა და განსჯის საგანი იყო.

საუკუნეების მანძილზე ქუთაისსა და მის შემოგარენში რამდენიმე საასპარეზო სარბიელი არსებობდა. ერთ-ერთი ასეთი კეთილმოწყობილი და სპეციალური გალავნით შემოვლებული საასპარეზო მოედანი „ოქროს ჩარდახის" გვერდით მდებარეობდა. იგი მოიცავდა დღევანდელ ბულვარს, სადაც იმართებოდა სამხედრო ვარჯიშობანი, სპორტული თამაშობანი თუ თეატრალიზებული დადგმები. მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ზემოთხსენებულ ადგილებში ბულვარი გაშენდა, მოსახლეობაც კომპაქტურად დასახლდა და სახელმწიფო დანიშნულების შენობაც აიგო. საასპარეზო სათამაშო მოედანს შეუცვალეს ადგილსამყოფელი, და როგორც ქუთაისის თეატრის მკვლევარი ვ. აფრიდონიძე განსაზღვრავს, გადატანეს ქალაქის სამხერთ აღმოსავლეთით, დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „დინამოს" სტადიონის ტერიტორიაზე. რადგან ახალ კეთილმოწყობილ სარბიელზე ძირითადად ბურთაობა იმართებოდა. მას სახელად საბურთალო ეწოდა.

ქუთაისში ასეთივე საასპარეზო ადგილი ქალაქის დასავლეთით მდებარეობდა, მდინარე ოღასკურას მიდამოებში, რომელიც მოიცავდა ე.წ. „ბაინდუროვების ბაღის" და „ლაგირის" ძველ ტერიტორიებს, დღევანდელი

სასწრაფო დახმარების, ბავშვთა სავადმყოფოს და სამშობიაროს სახლის ტერიტორიას. აღნიშნულ მიდამოებში გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საინტერესო სპორტული ღონისძიებები იმართებოდა როგორც ბურთაობაში, ასევე ცხენოსნობის სახეობის მრავალფეროვან სახეობებშიც. რაც მთავარია, ასეთ მასობრივ სპორტულ ღონისძიებებს ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა. იმერეთის სამეო კარს მრავალი სანადირო ადგილი ჰქონდა, ცნობილია, რომ გეგუთის, საღორიის, მაღლაკის, ოკრიბის, ბაღდათის და საჩინოს ტყეები მდიდარი იყო ფრინველ-ნადირით.

სამონადირეო საქმესთან ერთად, იმერეთის სამეფო კარზე პრესტიჟულად ითვლებოდა მეთევზეობაც. რიონის გარდა თევზით მდიდარი იყო ყვირილა. ვახუშტის სიტყვებით "ყვირილას შინა იპყრობის თევზნი ყოველნი თვინიერ ზუთხისა, ხოლო საჩხერის ზევით არს კალმახთა სიმრავლე[1], თევზით მდიდარი იყო ქუთაისზე გამავალი მდინარეებიც; წყალწითელა და ოღასკურა.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქვეყნის მეფე მთავრებს ძვალრბილში ჰქონდათ გამჯდარი სიყვარული და ინტერესი ნადირობისადმი. იმერეთის უკანასკნელი გვირგვინოსანი ნადირობის მოყვარული ყოფილა. ამასთან დაკავშირებით, 1860 წელს ჟურნალი "ცისკარი" წერდა: „ნადირობა მეფისთვის იყო უპირველესი შესაქცევარი. ზაფხულში ცხოვრობდა ქუთაისში და ნადირობდა დილაზე ადრე საქორისში და რიონის მინდვრებში, სადაც მრავალი იყო კურდღელი და ხოხობი[2].

სოლომონ მეორეს განსაკუთრებით თოფის მიზანში სროლა მოსწონდა. ხშირად სამეო კართან არსებულ სასპარეზო მოედანზე იმართებოდა შეჯიბრი ტყვიით მიზანში სროლაში. ვინც ზუსტი ჩუბინი იქნებოდა, მას მეფე იარაღით და ტანსაცმლით ასაჩუქრებდა.

მართალია, ძველ იმერეთში ფიზიკური აღზრდა მაღალი წრისათვის სათანადო დონეზე იდგა, მაგრამ ამ მხრივ, მდაბიო ხალხის სწორი ფიზიკური და სულიერი აღზრდის თავისებურებანიც არ უნდა დავივიწყოთ. რა თქმა უნდა, სოფლად გლეხებს და ქალაქში ხელოსნებს და ვაჭრებს მათთვის ხელმისაწვდომი გართობა - თამაშობების მრავალფეროვანი „პროგრამა" ჰქონდათ, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მათში გავრცელებული და პოპულარული იყო სპორტის ისეთი სახეობები, რომლებიც ინდივიდის ფიზიკურ ძალაზე, სიმარდესა და სისწრაფეზე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამკოიდებული: ლელობურთი, ჭიდაობა, ლახტი და სხვ.

მე-19 საუკუნეში ლელობურთი დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. ქუთაისში ლელობურთის სათამაშო ადგილები იყო საფიჩხიაზე, ე.წ. ხარაზოვის ბაღის მიდამოებში, ოღასკურას ბოლოს – ყოფილი ბანდუროვის ბაღის მიდამოებში. საყურადღებოა, რომ ბჟოლებთან დღევანდელი გ. ტაბიძის და დავით, კონსტანტინეს ქუჩების ტერიტორია ჯაჭვის ხიდამდე ხშირად საასპარეზო ველად იქცეოდა, სადაც ხელოსნები სამუშაოს დამთავრების შემდეგ თამაშს გააჩაღებდნენ. მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა ხონში გიორგობის დღესასწაულისამდი მიძღვნილ ბურთაობას. ეს თამაში ფართოდ იყო დამკვიდრებული, როგორც ქუთაისის, ასევე მთელი იმერეთის სპორტულ ცხოვრებაში და მას როგორც ერთ-ერთ უპირველეს სპორტის სახეს, გამორჩეული ადგილი ეჭირა ქალაქის და მისი ახლო-მახლო რეგიონების ყოველდღიურ ყოფაში.

ლელობურთს ყველა თამაშობდა, განურჩევლად ასაკისა და წოდებისა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ბურთაობა აყალმაყალითა და მუშტიკრივით მთავრდებოდა. ზედმეტად ფიცხი მობურთავები ხელს იარაღზეც გაივლებდნენ. ასეთ შემთხვევაში საქმეში გავლენიანი თავადაზნაურობა, ან გამოცდილი პირები ჩაერეოდნენ და შერიგდებოდნენ კიდეც მეტოქეები.

1875 წელს ქუთაისში ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ჭიჭინაძემ კერძო სასწავლებელი დაარსა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები სასწავლებლის თავკაცის დახმარებთი თამაშობდნენ ლელობურთს. ცნობილი პედაგოგი ლელობურთს მიიჩნევდა ადამიანის ფიზიკური აღზრდის კარგ საშუალებად და აღნიშნავდ: „ჩვენი ბურთაობა" იპყრობს ყოველგვარ გიმნატიკურ ვარჯიშებს და საუკეთესოდ ანვითარებს ადამიანის სხეულს. იმ პერიოდში, ქუთაისში მომუშავე ცნობილი საზოგადო მოღვაწეები კარგად გრძნობდნენ, რომ ეროვნულ ხალხურ სპორტულ თამაშობებს ღირსეული ადგილი უნდა დაეჭირა მომავალი თაობის სწორი ფიზიკური და გონებრივი აღზრდის საქმეში.

რაც შეეხება მეფის ბიუროკრატიულ აპარატს, იგი ყოველნაირად ხელს უშლიდა ქართული ეროვნული სპორტული თამაშების მოწყობას, რუსეთის იმპერიის ერთგულ მსახურებს განსაკუთრებით აშინებდა ასეთი ღონისძიებების მასიურობა და ორგანიზებულობა, რადგან ხალხის თავყრი-

ლობასა და ერთიანობაში „ბუნტის" საშიშროებას ხედავდნენ და ყოველივე ამას პოლიტიკური კუთხით ჭვრეტნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო დოკუმენტი ინახება ქუთაისის ცენტრალურ არქივში: 1894 წლის 14 ივნისს ქალაქ ფოთის პოლიციის უფროსი ოფიციალურ მიმართვას უგზავნის ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს.

„ქალაქ ფოთში და გუბერნიის სხვა ადგილებში დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად გარკვეულ დღეებში მართავენ ბურთის თამაშს, ამასთანავე ამ თამაშებს თან ერთვის ჩხუბი და აურზაური. იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხალხის თავყრილობა, მსგავის უწესრიგობანი, სამოქალაქო საქმის მთავარმართებელმა კავკასიაში 1893 წლის 19 ივლისს გამოსცა ბრძანება ცირკულარის სახით, რომელიც კრძალავს მსგავსი სახის გართობებს. სასურველია მთლიანად აიკრძალოს ბურთის თამაში მრავალრიცხოვანი თავშეყრის ადგილებში, უნდა გამოიძებნოს ისეთი ხერხები, რომელიც აკრძალავდა ან შეზღუდავდა ჩხუბს და აურზაურს[3].

მე-19 საუკუნის ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეროვნული სპორტის საცხენოსნო სახეობები, რომელიც ქალაქის გარეუბნებში, კეთილმოწყობილ იპოდრომზე, ოღასკურაზე - სოფელ ბანოჯასთან ახლოს, საღორიის მიდამოებში და სხვა ადგილებში იმართებოდა და, რაც მთავარია, ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან ცხენი ქართველურ ტომებში პროფესორ ავ. იოსელიანის აზრით, როგორც მისი თავდაცვის უებარი, განსაკუთრებული მნიშვნელობის საშუალება და დიდი ძალა, იმთავითვე საპატიო ადგილს იკავებს და ადრინდელ ისტორიულ ეპოქაში საკულტო შინაარს იძენს[4]. ქართული ცხენი კი ოდითგანვე განთქმული იყო მთელ მსოფლიოში. ისიც ცნობილია, რომ თემურლენგს სხვა საჩუქრებთან ერთად მეფე გიორგი მე-7-მ 7 ათასი ჯიშიანი ცხენი მიართვა. ქუთაისსა და მთელ იმერეთში მე-19 საუკუნეში კვლავ ყურადღების ცენტრში იყო ყაბახი, ისინდი, დოღი და სხვა. ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობას ასეული ცხენი ჰყავდა, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცხენს, როგორც გამწევ საშუალებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთელი ქალაქის, ასევე მთელი გუბერნიის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქში არსებობდა მეფაიტონეთა. მეკაჭკეთა და მედროგეთა საზოგადოებები, რომლებშიც ასულობით კაცი იყო გაერ-

თიანებული, ნათლად მეტყველებს, რომ ცხენოსნობა კარგად იყო განვითარებული. ბუნებრივია, საცხენოსნო სპორტული ღონისძიებებიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მასიურობით, ხალხმრავალი აუდიტორიით და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით.

საქართველოში ჭიდაობას, ისევე როგორც სხვა სპორტულ თამაშობებს, დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან სამხედრო ფიზიკური აღზრდა აუცილებელი პირობა იყო ერის სიძლიერისთვის. ჩვენში ჭიდაობას განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას პრივილეგირებული ადგილი ეკავა მოზარდი თაობის ფიზიკურად სრულყოფის საქმეში. კარგი მოჭიდავე ფიზიკურად ძლიერი, განვითარებული პიროვნება იყო. ამიტომ შენიშნავდა ცნობილი ქართველი მწერალი ანტონ ფურცელაძე: „ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ნაქცევიო"[5]. ქართული ჭიდაობა რომ საუკუნეების მანძილზე ჩვენში ასეთი პოპულარობით სარგებლობდა, ნათლად ჩანს ალავერდის ტაძრის ფრესკური მხატვრობიდანაც, სადაც დღემდეა შემორჩენილი უცნობ ფალავანთა ნათელი სახეები.

საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებს ჭიდაობის სიყვარულში არც ქუთაისი ჩამორჩებოდა. ოდითგანვე ქალაქის განაპირა ადგილებში – ოლასკურასა თუ საფიჩხიაზე, გაბაშვილის გორასა თუ კახიანურში, გოჭოურასა თუ რიონის ნაპირებთან დილიდან საღამომდე ახალგაზრდობა ცდიდა ძალებს, ჭიდაობდნენ თავდავიწყებით.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისში ცნობილმა ვაჭრებმა ხარაზაშვილმა, ააგეს ცირკის შენობა, რომელიც ივარით ჰქონდა აღებული ცნობილ საქმოსანს ტომსონს, ეს უკანასკნელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ცირკის მსახიობებთან ერთად სტუმრად იწვევდა ცნობილ მოჭიდავეებსაც. ამ პერიოდში ქუთაისში ახლად ჩამოყალიბებული იყო მსახიობთა დასი და ის-ის იყო იქმნებოდა თეატრალური საზოგადოება. ბნუებრივია, ახლადშექმნილ თეატრალურ დასს თავისი შენობა არ ჰ ქონდა, ცირკი კი ყოველდღე დაკავებული იყო და მსახიობებს ძლიერ უჭირდათ ბინის ხელში ჩაგდება. გაზეთი „დროების" ფურცლებზე საინტერესო მასალებია მიმოფანტული, რომლებიც ქუთაისში ცნობილ ფალავანთ გამოსვლებს ეძღვნება.

ქუთაისის ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი ქართველი ფალავნები:

ნესტორ ესებუა, კულა გლდანელი, რაჭველი ქვათაძე და სხვები. 1884 წლის 1 დეკემბრის "დროების" ცნობით, კულა გლდანელს კვლავ გამარჯვება მოუპოვებია ქუთაისში, ასპარეზობას დიდძალი ხალხი დასწრებია. იმ დღეს კულას სამი ქუთაისელი ფალავანი წაუქცევია. სამწუხაროდ, გაზეთი არაფერს გვაუწყებს კულას მეტოქეების შესახებ[6].

1885 წლის 6 ივლისს "დროებაში" საინტერესო ცნობაა მოთავსებული, რომელსაც ხელს აწერს ვინმე "ქუთაისელი მემატიანე". გაზეთის ცნობით, 1 ივლისს ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი ფალავნები ნესტორ ესებუა და რაჭველი ქვათაძე. "დროება" წერს: ამ თვის პირველს ჭიდაობა იყო გამართული თეატრში. მოჭიდავენი იყვნენ იყო ფალავანი – მეგრელი ესებუა და რაჭველი ქვათაძე. ორ ფალავანს თავიანთი ღონე ნაცადი აქვთ გლდანელთან, ჯობნით რომელმა აჯობა, ძნელი სათქმელია[7]".

ქუთათურებს ნესტორ ესებუა, თავიანთ საყვარელ ფალავნად მიაჩნიათ და ბნუებრივია, მის ყოველ გამოსვლას საჭიდაო სარბიელზე გულშემატკივართა დიდი ამალა ესწრებოდა.

900-იანი წლების მიწურულს ევროპიდან რუსეთში ფართოდ მოიკიდა ფეხი მოჭიდავე ქალთა ტურნირებმა. სულ მალე მანდილოსანი ფალავნები საასპარეზოდ ქუთაისში ჩამოვიდნენ. ბნუებრივია, დიდი იყო მასპინძელთა ინტერესი ლამაზი სქესისი წარმომადგენელთა მიმართ. საყურადღებოა, რომ ქუთაისის ხშირი სტუმრები იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი შვედი პეტერსონი, ინლისელი ფალავანი რეიტერი, ესპანეთის ჩემპიონი ჯერალდ გოლდი, ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენელი ოჰფენ ბახერი, შოტლანდიის ფალავანი კელტი, მალოროსიის წარმომადგენელი შევჩენკოს ქალი, "შავი ნიღაბი" და სხვები.

ქუთაისში ცნობილი კინოთეატრი "თამარი" მანდილოსან ფალავანთა საერთაშორისო ტურნირების საასპარეზოდ იქცა.

მე-20 საუკუნეში ქუთაისის საოჯახო სალონებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჭადრაკი. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან საუკუნეების მანძილზე საქართველოს მეფე-დიდებულთა თუ აზნაურთა სასახლეებში ჭადრაკი საკმაოდ პოპულარული ყოფილა და როგორც არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, გართობისა და დასვენების ერთ-ერთი მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა. ცნობილი იყო მამია გურიელის, დიმიტრი ნაზარიშვილის, ფოტნე ჩიქოვანის, კლდიაშვილების, დადიანებისა და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოჯახო სალონები. გადმოგვცემენ, რომ ერთხელ მამია გურიელმა ბარ-ტია წააგო ფოტინე ჩიქოვანთან. პოეტმა მწარედ განიცადა ეს მარცხი, ქართველი მანდილოსანი ფოტინე ჩიქოვანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოჭარაკე იყო, რომელსაც საოჯახო სალონებში არაერთი ჭადრაკის მოყვარული მამაკაცი დაუმარცხებია. ჩვენი ქალაქის ხშირი სტუმარი იყო ცნობილი მოჭადრაკე ანდრია დადიანი, რომელიც ქუთაისელებთან ე.წ. მსუბუქ პარტიებს თამაშობდა. მაშინ სასიქადულო მამულიშვილის სახელი ცნობილი იყო რუსეთის ფარგლებს გარეთაც და საზღვარგარეთის მთელ რიგ ჟურნალე-გაზეთებში სისტემატიურად იბეჭდებოდა მისი ნათამაშები პარტიები.

ჩვენამდე მოაღწია და ამჟამადაც საქართველოს დამსახურებული ექიმის ვახტანგ გიორგაძის ბინაში ინახება დიმიტრი ნაზარაშვილის საოჯახო ჭადრაკი, რომელზეც არაერთხელ უთამაშნიათ ჩვენი ერის სახელოვან შვილებს, მათ შორის აკაკი წერეთელსაც. იყო ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა ქუთაისში ჭადრაკის პოულარობას და მასობრიობას. ქალაქში არ არსებობდა უბრალო საჭადრაკო ოთახი, რომ არაფერი ვქთვათ კლუბზე, რომლის აუცილებლობა თვალნათლივი იყო. ამის გამო მაშინ ქლაქის საჭადრაკო ცხოვრება არ სცილდებოდა საოჯახო სალონებს და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი შორს იყო საჭადრაკო "ციებ-ცხელებისაგან".

სწორედ დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა იკისრა ფრიად საპატიო მისია - გაეხსნა ქუთაისში ჭადრაკის ოთახი, რაც იმ პერიოდში მეტად რთული საქმე იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შრომის ვეტერანის ა. ჩორგოლაშვილის მოგონება, რომელიც ქუთაისის ბულვარის წინამდებარე წიგნების მაღაზიაში ნოქრად მუშაობდა. აკაკი წერეთლის ამ მაღაზიის ხშირი სტუმარი იყო, ერთობოდა არამარტო მაღაზიის თანამშრომლებთან, არამედ წიგნის საყიდლად მოსულ ქუთაისელებთანაც საუბრითაც. მისი ინიციატივით მოსკოვიდან გამოიწერეს ჭადრაკის კომპლექტი. აკაკი წერეთლის წერილზე პასუხმაც არ დააყოვნა და ამანათი მალე მიიღო მაღაზიამ, რომლის ხელმძღვანელობამაც იქვე გამოყო ჭადრაკის ოთახი, სადაც აკაკი წერეთელი ხშირად დადიოდა გასართობად.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ველოსიპედი ქუთაისელებისათვის უცხო ხილი იყო და მასზე ბუნდოვანი წარ-

მოდგენა ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც ქალაქში გაისხნა ვალოდია ტერეზინ საფირმო მაღაზია - სახელოსნო, ქუთათურების ყურადღება უცხოური ფირმის ველოსიპედებმა დაიპყრო. საყურადღებოა, მაღაზიის პატრონს რუსეთიდან ჩამოჰქონდა ველოსიპედები გასაყიდად. ბუნებრივია, მაღალი ფასის გამო, ბევრს არ შეეძლო ველოსიპედის შეძენა, მაგრამ იყო ერთი გამოსავალი - მაღაზია ახდენდა ველოსიპედის გაქირავებას სხვადასხვა ვადით. ცხადია სათანადო გასამრჯელოს ფასად. მთავარი ის იყო, რომ თვით ვალოდია ტერკი დიდ პოპულარობას უწევდა ველოსპორტს და ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, მისი ინიციატივით ქუთაისში, საღორიის ტყის მიდამოებში, სისტემატიურად ეწყობოდა ველოსიპედისტთა შეჯიბრებები.

მე-19 საუკუნის ქუთაისის მდიდარმა და საინტერესო სისხლსავსე ცხოვრებამ ესტაფეტა ღირსეულად გადასცა მე-20 საუკუნეს.

1. ვახუშტი - აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973;
2. ჟურნალი „ცისკარი", 1860;
3. ქ.ცა. ფონდი 195. საქმე 615;
4. ა. იოსელიანი - ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973;
5. ა. ფურცელაძე - რჩეული ნაწერები, თბ., 1958;
6. გაზ. „დროება" 1884 წ. 1 დეკემბერი;
7. გაზ. „დროება" 1885 წ. 6 ივლისი;

E. Gegeshidze

GEORGIAN FOLK SPORTING COMPETITIONS IN KUTAISI. (XIX CENTURY)

Resume

The author depicts the history of Georgian sport in nineteenth century.On the basis of data obtained the colonial policy lad in Georgia starist Russia was unable eradicate great cultural traditions of Georgian nation.

The system of new physical education, was created in Georgia in the twentieth century. Our era has inherited national spiritual values accumulated over the centuries.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგი გორგასლიძე

ეროვნული სიმდიდრის არსის საკითხისათვის

ეროვნული სიმდიდრე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია; იგი არის ქვეყნის მატერიალური დოვლათი, რომელიც შექმნილია მრავალი თაობის შრომით მთელი განვლილი დროის მანძილზე. ეროვნული სიმდიდრე ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც საზოგადოების მიერ მთელი მისი საწარმოო მოღვაწეობის მანძილზე შექმნილი და დაგროვილი ღირებულების ერთობლიობის ფულადი გამოხატულებაა დროის მოცემული მომენტისათვის.

ეროვნული სიმდიდრე პირველად ინგლისელმა ეკონომისტმა უ. პეტიმ გამოიანგარიშა 1664 წელს, ხოლო საფრანგეთში - 1789 წელს გაიანგარიშეს; აშშ-ში - 1805 წელს, რუსეთში - 1864 წელს. 1947 წელს შეიქმნა ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული სიმდიდრის პრობლემათა საერთაშორისო ასოციაცია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ სტატისტიკაში ეროვნული სიმდიდრისა და ეროვნული შემოსავლის ცნებების მკაფიო გამიჯვნა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მოხდა[1].

ეროვნული სიმდიდრის ცნების განსაზღვრა უძველესი დროიდან იწყება, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩამოყალიბდა აზრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ. ინდოელი კაუტილია, ბერძენი ფილოსოფოსები - ქსენეფონტი, პლატონი, არისტოტელე, რომაელი კატონი (ძველ მსოფლიოში), არაბი იბნ-ჰალდუნი (შუა საუკუნეებში) ცდილობდნენ ამ საკითხის გარკვევას ვერბალურად (სიტყვიერად). მათ აინტერესებდათ საკითხი სიმდიდრის წარმოქმნისა და განახლების შესახებ ქვეყანაში. აღსანიშნავია არისტოტელეს ერთი შესანიშნავი იდეა - ეკონომიკისა და ქრემატისტიკის დაპირისპირება. ქრემატისტიკა ნაწარმოებია სიტყვიდან - ქონება, სამ-

[1] Политическая экономия, Энциклопедия, Т.I. М. 1972. с. 168.

ფლობელო, ხოლო არისტოტელესათვის ეკონომიკა - ბუნებრივი, მეურ-
ნეობრივი საქმიანობაა, რომელიც დაკავშირებულია ცხოვრებისათვის აუ-
ცილებელი პროდუქტების, სახმარი ღირებულების წარმოებასთან. ქრემა-
ტისტიკა ესაა „ქონების მოპოვების ხელოვნება", ე.ი. საქმიანობა მიმართუ-
ლი მოგების ამოსაქაჩავად, სიმდიდრის დაგროვებისაკენ, განსაკუთრებით,
ფულად ფორმაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრემატისტიკა - ეს კაპიტა-
ლის დაბანდებისა და დაგროვების „ხელოვნებაა".

სიმდიდრისადმი ინტერესი შემდგომ პერიოდში უფრო იზრდება, განსა-
კუთრებით ეს ახასიათებს კაპიტალის თავდაპირველ დაგროვების ეპოქას,
რომელიც წარმოადგენს წარმოების შედარებით სწრაფი გადიდების, სა-
ვაჭრო და სამრეწველო ქალაქების ზრდის, მეცნიერებისა და ტექნიკის
განვითარების ეპოქას. ეს არის აღორძინების ეპოქა, რომელსაც ათასწლო-
ვანი შეჩერების შემდეგ თან მოჰქონდა კულტურისა და ხელოვნების
აყვავება. ამ პერიოდს ეკონომიკური თეორიის განვითარების მერკანტი-
ლისტური საფეხური დაემთხვა. „ერის სიმდიდრეს" მერკანტილისტები არ-
სებითად განიხილავდნენ სავაჭრო კაპიტალის ინტერესების პოზიციებიდან.
ამიტომ სიმდიდრეს უპირატესად მის ფულად-ოქროსა და ვერცხლის-
ფორმაში ხედავდნენ.

ეროვნული სიმდიდრე მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა რიგს მიეკუთ-
ვნება. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზის პირველ ცდას წარმო-
ადგენს ფრანგი ფიზიოკრატის ფ. კენეს ნაშრომი „ეკონომიკური ცხრილი",
რომელიც მატერიალურ ფასეულობათა ნატურალური (საქონლური) და
ფულადი ნაკადების პირველი მაკროეკონომიკური ბადეა. მასში ჩაქსოვი-
ლი იდეები - ეს მომავალი ეკონომიკური მოდელების ჩანასახია.

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში უ. პეტი პირველი იყო, ვინც
წამოაყენა საკითხი სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის შექმნის შე-
სახებ და მოხაზა მონაცემების შეგროვების ზოგიერთი ძირითადი ხაზი.
უ.პეტის ცნობილი ნაშრომი „პოლიტიკური არითმეტიკა" იყო სტატისტი-
კის პირველი სახე: მისი სურვილი იყო რაოდენობრივი ფორმით მოეცა
მისი დროის ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება. იგი შორ-
სმჭვრეტელურად წერდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის
გაანგარიშების მნიშვნელობაზე - მაჩვენებლებზე, რომელნიც თანამედრო-
ვე სტატისტიკაში და ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებენ. პეტიმ

პირველმა გამოიანგარიშა ინგლისის ეროვნული სიმდიდრე.

ინგლისის მატერიალურ სიმდიდრეს უ. პეტი 250 მლნ გირვანქა სტერლინგად აფასებდა, მაგრამ გვთავაზობდა ამისათვის დაგვემატებინა თვით მოსახლეობის ფულადი შეფასება 417 მილიონის ოდენობით. ეს პარადოქსული იდეა უფრო ღრმაა, ვიდრე შეიძლება იგი ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს: უ. პეტი ეძებდა ხერხს, როგორმე შეეფასებინა საწარმოო ძალების პირადი ელემენტის – შრომითი ჩვევების, დახელოვნების, ტექნიკის განვითარების პოტენციალის მოცულობა. უ. პეტიმ გამოიანგარიშა ინგლისის ეროვნული შემოსავალი. ამ საწყისიდან აღმოცენდა ეროვნულ გაანგარიშებათა თანამედროვე სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განზოგადებული ფორმით გარკვეული ზომის სიზუსტით ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორია წარმოების მოცულობა მოცემულ ქვეყანაში, როგორ ნაწილდება შემოსავალი და ა.შ.

ადამ სმითი თავის ცნობილ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებებს „სიმდიდრის" არსის შესახებ – „ყოველი ადამიანი მდიდარია ან ღარიბი იმ ზომით, რა ზომითაც მას შეუძლია უზრუნველყოს თავისთვის არსებობა, კომფორტისა და სიამოვნების საგნებით სარგებლობა"[1]. იგი გვაძლევს სიმდიდრის ბუნებრივი განვითარების დახასიათებას. „საგანთა ბუნებრივი მსვლელობისას, ყოველ განვითარებაში მყოფი საზოგადოების კაპიტალი პირველყოვლისა მიმართულია მიწათმოქმედებისაკენ, შემდეგ – მანუფაქტურებისაკენ და ბოლოს – საგარეო ვაჭრობისაკენ. ეს წესი ისე ბუნებრივია, რომ იგი ყოველ საზოგადოებაში, რომელსაც რაიმე შესამჩნევი ტერიტორია ჰქონდა, ყოველთვის სრულდებოდა ამა თუ იმ ზომით. მიწების ნაწილი უნდა დამუშავებულიყო მანამდე, ვიდრე რამდენადმე მნიშვნელოვანი ქალაქები შეიძლება წარმოშობილიყვნენ. და ამ ქალაქებში უნდა არსებულიყო რაიმე, თუნდ განუვითარებელი მრეწველობა, ვიდრე მათთვის შესაძლებელი გახდებოდა იმაზე ფიქრი, რომ საგარეო ვაჭრობისათვის მოეკიდნათ ხელი"[2].

---

[1] ადამ სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ინგლ. თარგმნ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, გვ. 424, თავი I, წიგნი III. თსუ, 1938.

[2] იქვე, გვ. 436, თავი I. წიგნი III.

ადამ სმითი ყურადღებით იკვლევდა სიმდიდრის ბუნებრივ განვითარებას და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „სიმდიდრე და, რამდენადაც ძლიერება სიმდიდრეზეა დამოკიდებული, ძლიერება ყოველთვის შეფარდებულია მისი წლიური პროდუქტის ღირებულებასთან, ე.ი. იმ ფონდის ღირებულებასთან, საიდანაც, საბოლოო ანგარიშით, გადახდილი უნდა იქნეს ყველა ხარკი და ყოველი ქვეყნის პოლიტიკური ეკონომიის მთავარ ამოცანას შეადგენს ქვეყნის სიმდიდრისა და ძლიერების გადიდება"[1].

სიმდიდრის ცნების საინტერესო ანალიზი მოგვცა დ. რიკარდომ თავის წიგნში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები". კერძოდ, სიმდიდრეს და ღირებულებას იგი განიხილავს ერთმანეთთან დაპირისპირებულებაში: „ღირებულება არსებითად განსხვავდება სიმდიდრისაგან, რადგან ღირებულება დამოკიდებულია არა სიუხვეზე, არამედ სიძნელესა და სიადვილეზე წარმოებისა. ერთი მილიონი ადამიანის შრომა ფაბრიკებში ყოველთვის ერთსა და იმავე ღირებულებას წარმოშობს, მაგრამ ყოველთვის არ წარმოშობს ერთსა და იმავე სიმდიდრეს"[2].

დ. რიკარდო შეცდომად თვლიდა ღირებულების და სიმდიდრის გაიგივებას და ღირებულების მასშტაბის შერჩევაზე ამახვილებს ყურადღებას: „ბევრი შეცდომა პოლიტიკურ ეკონომიაში წარმოსდგა მცდარი შეხედულებიდან ამ საგანზე სახელდობრ იქიდან, რომ სიმდიდრის ზრდას და ღირებულების ზრდას ერთი და იმავედ სთვლიდნენ, აგრეთვე იქიდან, რომ დაუსაბუთებელი ცნებები ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს ღირებულების ნორმალურ საზომს. ზოგი ფულს სთვლის ღირებულების მასშტაბად, და, მისი აზრით, ერთი უფრო მდიდარი ან უფრო ღარიბი ხდება შესაბამისად ფულის მეტი ან ნაკლები რაოდენობისა, რომელზედაც შეიძლება გაცვლილ იქნეს ყოველგვარი მისი საქონელი. სხვები ფულს სთვლიან ძალიან შესაფერ საშუალებად გაცვლითი ვაჭრობის მიზნებისათვის, მაგრამ არ მიაჩნიათ იგი ვარგის საზომად. რომლის მიხედვით შეიძლებოდეს სხვა საგნების ღირებულების შეფასება; მათი აზრით, ღირებულების ნამდვილ საზომს პური წარმოადგენს, და ქვეყანა მდიდარი ან ღარიბია

---

[1] ადამ სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ინგ. თარგმნ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, გვ. 424, თავი I, წიგნი III.

[2] დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, ინგლ. თარგმ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თავი მე-20, გვ. 228, თსუ. 1937.

იმის მიხედვით, პურის მეტ თუ ნაკლებ რაოდენობაზე გაიცვლება ხოლმე მისი პროდუქტები. სხვები კიდევ ფიქრობენ, რომ ქვეყანა მდიდარია, თუ ღარიბი არის შრომის იმ რაოდენობის მიხედვით, რომლის ყიდვა მას შეუძლია"[1].

დ. რიკარდომ მოგვცა ქვეყნის სიმდიდრის ორგვარი გზით ზრდის შესაძლებლობა. იგი შეიძლება გადიდდეს შემოსავლების უფრო დიდი ნაწილის გამოყენებით პროდუქტიული შრომის შესანახად, რაც გაადიდებს არა მარტო საქონელთა მთელი მასის რაოდენობას, არამედ მის ღირებულებასაც; ანდა შეიძლება გადიდებულ იქნეს შრომის დამატებითი რაოდენობის დაუხარჯავად, შრომის იმავე რაოდენობის უფრო პროდუქტიულად გადაქცევის გზით, რაც გაადიდებს პროდუქტების რაოდენობას, მაგრამ არა მათ ღირებულებას.

პირველ შემთხვევაში ქვეყანა არა თუ მდიდარი გახდებოდა, არამედ მისი სიმდიდრის ღირებულებაც გაიზრდებოდა. ქვეყანა გამდიდრდებოდა დაზოგვის გზით, იმით, რომ იგი შეამცირებდა ხარჯებს ფუფუნებისა და კომფორტის საგნებისათვის და ამ დანაზოგს რეპროდუქციისათვის მოიხმარდა.

მეორე შემთხვევაში არ შემცირდებოდა აუცილებელი ხარჯები ფუფუნებისა და კომფორტის საგნებისათვის, არც გამოყენებული პროდუქტიული შრომის რაოდენობა გაიზრდებოდა, არამედ იმავე შრომით მეტი პროდუქტი იქნებოდა წარმოებული; გაიზრდებოდა სიმდიდრე, მაგრამ არა ღირებულება. სიმდიდრის გადიდების ამ ორის წესიდან უპირატესობა უნდა მიეკუთვნოს უკანასკნელს, იმიტომ რომ იგი იმავე ეფექტს წარმოშობს და იმავე დროს მას არ ახლავს ის შემცირებები, რაც აუცილებლად შეკავშირებულია პირველ წესთან. კაპიტალი ქვეყნის სიმდიდრის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება სამერმისო წარმოების მიზნით და შეიძლება იმავე წესით იქნეს გადიდებული, როგორც სიმდიდრე.

დ. რიკარდო საინტერესოდ გვიხსნის რენტის სიდიდის ცვლილების შედეგს სიმდიდრის ზრდაზე. „რენტის ზრდა ყოველთვის ქვეყნის სიმდიდრის ზრდისა და მისი გადიდებული მოსახლეობის საზრდოთი მომარაგების სიძნელის შედეგი არის. ეს ნიშანია სიმდიდრისა, მაგრამ არასოდეს

---

[1] დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თარგ. ინგლ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თავი მე-20, გვ. 228, თსუ, 1937.

არაა მისი მიზეზი, ვინაიდან სიმდიდრე ყველაზე უფრო მაშინ იზრდება, როდესაც რენტა სტაციონალურია, ან ეცემა კიდეც. რენტის ზრდა უსწრაფესია მაშინ, როდესაც ადამიანთა განკარგულებაში არსებული მიწა უაღრესად ნაყოფიერია. სადაც იმპორტი ყველაზე ნაკლებ შეზღუდულია და სადაც, სამიწათმოქმედო გაუმჯობესებათა გზით, პროდუქტების რაოდენობა შეიძლება გამრავლებულ იქნეს შრომის რაოდენობის პროპორციულ გაუდიდებლად, სადაც, მაშასადამე, რენტა ნელა იზრდება"[1].

ჟან ბატისტ სეი, როდესაც ადამ სმითის ნაწარმოების ღირსებასა და ნაკლზე ლაპარაკობს, შეცდომად უთვლის სმითს იმას, რომ იგი მარტო ადამიანის შრომას მიაწერს ღირებულების წარმოშობის უნარს. მას მხედველობაში აქვს ა. სმითის სიტყვები – სიმდიდრე სხვა არა არის რა, თუ არა დაგროვილი შრომა და რომ შრომა ერთადერთი საზომია სიმდიდრისა ანუ პროდუქტების ღირებულებისა – უფრო ზედმიწევნით ანალიზი გვიჩვენებს, რომ ღირებულება წარმოსდგება შრომის ანუ, უფრო სწორად, ადამიანთა შრომისმოყვარეობის, ბუნებრივი ძალის და კაპიტალის შეერთებული მოქმედებით. ამ პრინციპის უცოდნელობამ ხელი შეუშალა ა. სმითს დაემყარებია ჭეშმარიტი თეორია მანქანების გავლენისა სიმდიდრის წარმოებაზე. წინააღმდეგ ადამ სმითის შეხედულებისა, ჟან ბატისტ სეი ლაპარაკობს ღირებულებაზე, რასაც პროდუქტებს აძლევენ ისეთი ბუნებრივი ფაქტორები, როგორიცაა მზე, ჰაერი, ატმოსფეროს წნევა და სხვ. რომელნიც ზოგჯერ ადამიანის შრომის მაგივრობას ეწევიან და ზოგჯერ მასთან ერთად მოქმედებენ წარმოებაში.

როგორც აღვნიშნეთ, „სიმდიდრის" ცნებას იმთავითვე მიაპყრო ყურადღება მოაზროვნე ადამიანებმა, რომელთა ნაშრომებშიაც მეტ-ნაკლები სიზუსტით იქნა დახასიათებული იგი. ისინი განიხილავენ ამ კატეგორიას მის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებელთან ერთიანობაში, საზოგადოებრივ ფორმებთან მოძრაობასა და ნივთობრივ სტრუქტურასთან კავშირში, კონკრეტულ ისტორიულ პირობებსა და საზოგადოებრივი კვლავწარმოების სხვა კატეგორიებთან კავშირში; ასევე ზოგჯერ იყენებენ ტერმინს „სიმდიდრეს" – „სიღარიბის" საწინააღმდეგო ტერმინად. „სიმდიდრე"

---

[1] დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თარგ. ინგლ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თავი II, მე-20, გვ. 45-46, თსუ, 1937.

გამოიყენება როგორც ეკონომიკური მოვლენების დასახასიათებლად, ასევე ბუნებრივი ფაქტორების მდგომარეობისა და საზოგადოების სულიერი ცხოვრების ცვლილებების გასაგებად.

ეროვნული სიმდიდრე - ეს არის საერთო შედეგი მუდმივად განმეორებადი საზოგადოებრივი პროცესისა ეროვნული ეკონომიკის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე.

ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული სიმდიდრე განისაზღვრება როგორც ყველა სამეურნეო სუბიექტების საკუთარი კაპიტალის ღირებულება; მასში მატერიალური რესურსების გარდა, ჩართულია ფინანსური აქტივები, არასაწარმოო მატერიალური აქტივები (საავტორო უფლება, ლიცენზია და ა.შ.) მაგრამ აკლდება ფინანსური ვალდებულებები.

ეროვნული სიმდიდრე, ფართო გაგებით, წარმოადგენს ყველაფერს, რასაც ფლობს ერი. ამ აზრით, ეროვნულ სიმდიდრეს მიეკუთვნება არა მარტო მატერიალური დოვლათი, არამედ ყველა ბუნებრივი რესურსები, კლიმატი, ხელოვნების ნაწარმოებები და ბევრი სხვა, მაგრამ ყველა ამათი დათვლა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია. ამიტომ ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკაში გამოიყენება ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელი ვიწრო გაგებით, რომელსაც მიეკუთვნება ყველაფერი ის, რაც ადამიანის შრომითაა შექმნილი და შეიძლება მისი კვლავწარმოება. სხვა სიტყვებით, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე წარმოადგენს მატერიალური და კულტურული დოვლათის ერთობლიობას, რომელიც დაგროვებულია ქვეყანაში მისი ისტორიის მანძილზე (დროის გარკვეული მომენტისათვის). ესაა ადამიანთა მრავალი თაობის შრომის შედეგი.

ასეთი სახით, ეროვნული სიმდიდრე უცილობლად დაკავშირებულია საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებასთან და მის კვლავწარმოებასთან. ეროვნული სიმდიდრე, უპირველეს ყოვლისა, იზრდება და მატულობს საზოგადოებრივი პროდუქტის ხარჯზე, ე.ი. მოცემულ წელს მიმდინარე მოთხოვნილებასთან საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების ამაღლების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, ეროვნული სიმდიდრის წყაროდ ითვლება საზოგადოებრივი პროდუქტი, რომელიც იკვლავწარმოება გაფართოებულ საფუძველზე. მაგრამ, ამასთან საქმე გვაქვს მათ შორის უკუკავშირთან:

საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა, მისი ტემპები, აბსოლუტური [illegible] ოდენობა დამოკიდებულია ეროვნული სიმდიდრის მოცულობაზე და მის სტრუქტურაზე. რაც უფრო მეტია ეროვნული სიმდიდრის მოცულობა და ეფექტურია მისი სტრუქტურა, მით უფრო ჩქარა იზრდება საზოგადოებრივი პროდუქტი.

ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურის განსაზღვრისათვის საჭიროა გავარკვიოთ ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ნაწილები. პირველი ნაწილი წარმოიქმნება ადამიანთა მიერ წარსულში გაწეული შრომის შედეგად შექმნილი მატერიალური დოვლათის დაგროვებით. იგი კვლავწარმოების მრავალი ციკლის განმავლობაში გროვდება. საქმე იმაშია, რომ წარმოების მოცულობა ყოველ მოცემულ მომენტში აჭარბებს საწარმოო და არასაწარმოო მოხმარებას. ამ პირველ ნაწილს ეწოდება ეროვნული ქონება.

მეორე ნაწილი ბუნებრივი რესურსებია და მისი კვლავწარმოება თვით ბუნების მიერ ხდება.

ეროვნული სიმდიდრე ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და საზოგადოებრივი პროდუქტის გაფართოებული კვლავწარმოების მატერიალური საფუძველია, ამიტომ მისი მოცულობისა და შედგენილობის შესწავლა ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

Megi Gorgaslidse

JUR FRAGE DES WESENS DES NATIONALREICHTUMS

Das Nationalreichtum ist einer der wichtigen kennziffer der ökonomishen stärke des Landes.

Es ist der Geldausdruck der Einhait des während der ganzen Tätigkeit von der Gesellschaft geschaffenen und gesammeltten wertes zum bestimmten zeitpunkt.

Die Kategorie des nationalen Reichtums umfasst ein weites spektrum der kennziffer, deren Verständnis uns eine Möglichkeit gibt von dem ökonomischen Potential unseres Landes eine vollständige Vorstellung zu haben.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ინგლ. თარგ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თსუ, 1938 წ.

2. დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, ინგლ. თარგ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თსუ, 1937 წ.

3. Р.У. Голдсмит, Национальное богатство США в послевоенный период, перевод с англ. М. Статистика. 1968.

4. Дж. Кендрик, Совокупный капитал США, перевод с англ. М. 1978г.

5. Политическая экономия, Энциклопедия, Т. I, М. 1972 г.

6. ი. არჩვაძე, საქართველოს ეროვნული სიმდიდრე და მისი ელემენტები, თბილისი, „საქართველო", 1992 წ.

7. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, ავტ. კოლექტივი, თსუ, 1998 წ.

ეკონომიკის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ნათელა ვაშაკიძე, დეზდემონა ვალლაკელიძე

წლიური ბალანსი და მისი შედგენის მეთოდიკის საკითხები

საწარმოს და მის კლიენტს, მომწოდებელს, პერსონალს ან მფლობელს შორის გარიგებებს ასახავს ფინანსური აღრიცხვა, რის საფუძველზე მენეჯერებმა უნდა მოახდინონ იმის ანგარიშგება, თუ როგორ იქნა გამოყენებული მათზე მინდობილი ფონდები და ამიტომაც აუცილებელია აქტივებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია, რომელიც კეთდება ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშგების შედგენით, როგორც მინიმუმი წელიწადში ერთხელ. ყოველივე ამას აგრეთვე მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპები, რადგან ეს უკანასკნელი ემსახურება ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების ინტერესებს. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა"- მოთხოვნებს. ამ სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი და მისი პირველი ფორმა ბალანსია. საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენა მოითხოვს ტრადიციული არსებული წესების სრულყოფას, რაც მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით და განვითარებით იმ დონეზე, რომელსაც ექნება უნარი დააკმაყოფილოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესები.

ბალანსი ასახავს საწარმოს ქონებას და მისი წარმოქმნის წყაროებს, რომელიც დგება საანგარიშგებო წლის ბოლოს 31 დეკემბრის მდგომარეობით ანუ როდესაც მთავრდება სააღრიცხვო ციკლი. სააღრიცხვო ციკლი ან სააღრიცხვო პროცედურა ეწოდება სააღრიცხვო პროცესის თანმიმდევრობას ბუღალტრული ანგარიშების გახსნიდან წლიური ანგარიშგების შედგენამდე.

საწარმოებს, საანგარიშგებო წლის დამთავრების შემდეგ, გამოყოფილი

აქვთ სამი თვე - იანვარი, თებერვალი და მარტი, რათა ამ პერიოდის განმავლობაში დაასრულონ წლიური ბალანსის შედგენა, რომელიც უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

საანგარიშგებო წლის ბოლოს ჩასატარებელი სააღრიცხვო სამუშაოთა მოცულობა საკმაოდ დიდია. რის გამოც აუცილებელია ამ სამუშაოთა გარკვეული თანმიმდევრობით შესრულება. პირველი, რითაც უნდა დავიწყოთ, ანგარიშებში ნაშთების გამოყვანაა. სააღრიცხვო პროცესის განსაკუთრებით შრომატევადი ეტაპია ბუღალტრულ ანგარიშებში ნაშთების განსაზღვრა, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ინვენტარიზაციის ჩატარებასთან. საწარმოს ქონების მთელი შემადგენლობის და ვალდებულებათა აღწერა გარკვეული დროისათვის შესაძლებელია ინვენტარიზაციით, კერძოდ, საინვენტარიზაციო აღწერილობის შედგენით. ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა, ვალდებულება გამომდინარეობს იქედან, რომ ინვენტარიზაცია ახალ ფუნქციებს იძენს ფინანსურ აღრიცხვაში, რომლის უმთავრესი მიზანია ქონების ფაქტიური რაოდენობის დადგენა აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად. ინვენტარიზაცია ბუღალტრული აღრიცხვის მეტად საპასუხისმგებლო ეტაპია, რადგან, როგორც ვხედავთ, იგი ბალანსის შედგენის საფუძველს წარმოადგენს. მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია უნდა მოხდეს მინიმალური შეფასების პრინციპის გათვალისწინებით. წლიური ბალანსის შესადგენად აუცილებელია დაზუსტდეს მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალური ოდენობა.

როგორც წესი, ზოგიერთი ბუღალტრული ანგარიში მათი დანიშნულებიდან გამომდინარე იხსნება საანგარიშგებო წლის დასაწყისში და გამოიყენება წლის ბოლომდე, ისინი დროებითი ანგარიშებია და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დახურვას ექვემდებარებიან. 1999 წლის 12 აგვისტოს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის №1 დადგენილების თანახმად საქართველოში შემოღებულ ანგარიშთა გეგმიდან დროებითი ანგარიშებია: 6000 - შემოსავალი ძირითადი (სამეწარმეო) საქმიანობიდან; 7000 - ძირითადი (სამეწარმეო) საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები; 8000 - არაძირითადი (არასამეწარმეო) საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები; 9000 - გაუთვალისწინებელი შემოსავლები და ხარჯები. ანგა-

რიშების დახურვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ანგარიშის დებეტისა და კრედიტის ბრუნვებს შორის სხვაობის ერთ-ერთ მხარეს დამატებითი ჩანაწერით სადებეტო და საკრედიტო ბრუნვები თანაბრდება და რადგანაც მოცემულ ანგარიშს საწყისი ნაშთი არ გააჩნდა, საბოლოო ნაშთიც ნულოვანი ხდება. ანგარიშები ნულოვანი ნაშთით ბალანსში არ აისახება. დახურვის ოპერაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში. ანგარიშების ბალანსში ასახვის დაბალანსება ან დახურვის საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულება გააჩნია ამა თუ იმ ანგარიშზე ასახულ ინფორმაციას ფინანსური შედეგის მიმართ. აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე ბალანსში ასახვას ემსახურება ის ანგარიშები, რომლებშიც დაფიქსირებული სამეურნეო ოპერაციები ნეიტრალურია საანგარიშგებო წლის შედეგის მიმართ. ანგარიშთა გეგმის მიხედვით საბალანსო ანგარიშებია: 1000 - მიმდინარე აქტივები; 2000 - გრძელვადიანი აქტივები; 3000 - მიმდინარე ვალდებულებები; 4000 - გრძელვადიანი ვალდებულებები; 5000 - კაპიტალი.

ანგარიშზე საბოლოო ნაშთის განსაზღვრა ანუ ანგარიშის დაბალანსება არის პროცესი, რომლის შედეგადაც ანგარიშის დებეტი და კრედიტი ერთმანეთს უთანაბრდება ნაშთის მოპირდაპირე მხარეს ჩაწერისა და ბალანსში დაფიქსირების გზით. დაბალანსება გულისხმობს სამეურნეო საშუალებათა აქტივიზაციას და საშუალებათა წყაროების პასივაციას. აქტივაცია გულისხმობს სადებეტო ნაშთის განსაზღვრას აქტიურ ანგარიშებში და მის ჩაწერას ამავე ანგარიშის კრედიტსა და ბალანსის აქტივში. პასივაცია კი არის კრედიტის ნაშთის დადგენა პასიურ ანგარიშებში და მისი ჩაწერა ამავე ანგარიშის დებეტსა და ბალანსის პასივში. ეს ჩანაწერები დასკვნითია და მათ შემდეგ დაბალანსებული ანგარიშების დებეტის ჩანაწერების ჯამი უნდა დაემთხვეს კრედიტის ჩანაწერების ჯამს, ანუ შედგება ბალანსი, რომელიც საცდელი ბალანსია და გარკვეული პროცედურების შემდეგ ღებულობს გარეთ გამოსაქვეყნებელ ბალანსის ფორმასა და შინაარსს.

ბალანსში არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სურათი, რომელიც აქტივისა და პასივისაგან შედგება. მასში ასახული ინფორმაცია სრული და არსებითი ხასიათის უნდა იყოს. ბალანსი ეფუძნება ცნობილ წონასწორობას: აქტივები=საკუთარი კაპიტალი+ვალდებულებები.

აქტივები არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური ქონება, რომელთა გამოყენების შედეგად შესაძ-

ლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივების წყაროა მოქმნის წყაროა ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი, რაც შეესაბამება პასივს. ვალდებულებად იწოდება ნასესხები თანხები, რომელიც საწარმომ უნდა გადაიხადოს. აქციონერებიდან მიღებული თანხები სააქციო კაპიტალია, ასევე საკუთარი კაპიტალის წყაროა გაუნაწილებელი მოგება.

ბალანსის შედგენისას საკმაოდ რთულია ბალანსის გარეგნული ფორმის და ბალანსის მუხლების განლაგების თანმიმდევრობის დადგენა. როგორც ცნობილია, აღრიცხვის მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს ბალანსის ერთიანი ნომენკლატურა, ასევე არაერთგვაროვანია ბალანსის აქტივისა და პასივის მუხლების განლაგების თანმიმდევრობა. გარეგნული ფორმით ბუღალტრული ბალანსი შეიძლება შედგეს ერთგვერდიანი ანუ ვერტიკალური სახით, ან ორგვერდიანი ანუ ჰორიზონტალური სახით. ერთგვერდიანი ანუ ვერტიკალური ბალანსის ფორმა მარტივია და არაპროფესიონალებისათვის ძნელად აღსაქმელია, ხოლო ჰორიზონტალური ანუ ორგვერდოვანი ბალანსი, რომლის პრაქტიკა ჩვენს სააღრიცხვო პრაქტიკაში არსებობს, შედარებით რთული ფორმაა, მაგრამ ბალანსი თვალსაჩინო და ადვილად აღქმადია როგორც პროფესიონალების, ისე არაპროფესიონალებისთვისაც კი. ორი მიდგომა არსებობს ბალანსის აქტივისა და პასივის მუხლების განლაგების თანმიმდევრობისადმი. პირველი - როცა ბალანსში მუხლები ჩაითვლება ლიკვიდობის ზრდის მიხედვით და მეორე - ლიკვიდობის კლების მიხედვით. ლიკვიდობის ცნება ნიშნავს აქტივების ადვილად რეალიზებადობის თვისებას და გულისხმობს მატერიალური და არამატერიალური საშუალებების ფულად გადაქცევის უნარს. ამდენად, ფული ითვლება ყველაზე ლიკვიდურ საშუალებად. სასურველია უპირატესობა მივანიჭოთ ჩვენში არსებულ პრაქტიკას ანუ აქტივის მუხლების განლაგებას - ლიკვიდობის ზრდის მიხედვით, რაც არსებითაც ბასს არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან არ აუარესებს ბალანსში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულის, სიზუსტისა და არსებითობის ხარისხს. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა თანამედროვე ეტაპზე უფრო სწორად ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმისას ბუღალტრებს უადვილებს ბუღალტრული ბალანსის არსის შემეცნებას, რაც საწინდარია ბასს-ის პრინციპებით ბალანსის შედგენისა. წლიური ბალანსი შეიძლება შემდეგი სახის იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11	აქტივი	თანხა		11	პასივი	თანხა	
		წლის დასაწყისი	წლის ბოლო			წლის დასაწყისი	წლის ბოლოს
1.	I გრძელვადიანი აქტივები ძირითადი კაპიტალი (2100)			1.	I საკუთარი კაპიტალი საწესდებო კაპიტალი (5100)		
2.	არამატერიალური აქტივები (2500)			2.	პარტნიორთა კაპიტალი (5200)		
3.	გრძელვადიანი მოთხოვნები (2300)			3.	მოგება-ზარალი (5300)		
4.	გრძელვადიანი ინვესტიციები (2400) სულ I განაყოფი II მიმდინარე აქტივები			4.	რეზერვები და დაფინანსება (5400) სულ I განაყოფი		
5.	სასაქონლო-მატერიალური მარაგი (1600)			5.	II ვალდებულებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (4100)		
6.	მოკლევადიანი მოთხოვნები (1400)			6.	გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები (4200)		
7.	მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები (1500)			7.	ანარიცხები (4300)		
8.	დარიცხული მოთხოვნები (1800)			8.	გადავადებული შემოსავალი (4400)		
9.	მოკლევადიანი ინვესტიციები (1300)			9.	მოკლევადიანი ვალდებულებები (3100)		
10.	ფული საბანკო ანგარიშებზე (1200)			10.	მოკლევადიანი სესხები (3200)		
11.	ნაღდი ფული (1100)			11.	საგადასახადო ვალდებულებები (3300)		
12.	წინასწარგაწეული ხარჯები (1700)			12.	დარიცხული ვალდებულებები (3400)		
13.	სხვა მიმდინარე აქტივები (1900) სულ II განაყოფი ბალანსი				სულ II განაყოფი ბალანსი		

ასეთი ფორმით და შინაარსით ბალანსის შედგენა და წარდგენა მისი ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს მიაწვდის რეალურ, არსებით და სრულყოფილ მონაცემს საწარმოს საქმიანობის შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბალანსი აგებულია ლიკვიდობის ზრდის მიხედვით, ე.ი. დასაწყისში მოცემულია ნაკლებად რეალიზებადი აქტივები, მერე შედარებით ადვილად რეალიზებადი და ბოლოს ადვილად რეალიზებადი. ასევე ვალდებულებებიც დაყოფილია გრძელვადიან ვალდებულებებად და მოკლევადიან ვალდებულებებად, რაც ასევე წარმოადგენს ბასს-ის ძირითად მოთხოვნას.

ბალანსის შემდგენისათვის წლიური ბალანსის შედგენისას აუცილებელია საბალანსო პოლიტიკის განსაზღვრა, და თუ ის ერთი წლიური ანგარიშგებით აპირებს საანგანიშგებო ინფორმაციაზე სამეწარმეო და საგადასახადო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაშინ საბალანსო პოლიტიკაც ერთიანი უნდა იყოს შერჩეული, რომ წლიური ბალანსის შედგენის დროს გამოყენებულ იქნას სამეწარმეო-სამართლებრივი, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და ამავე დროს გათვალისწინებული იყოს საგადასახადო-სამართლებრივი შეზღუდვები.

ამრიგად, აუდიტებული წლიური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბასს 1-ით განსაზღვრულ კომპონენტებს: ა) ბალანსს; ბ) მოგება-ზარალის ანგარიშგებას; გ) საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ამსახველ ანგარიშგებას; დ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას; ე) სააღრიცხვო პოლიტიკას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს;

და ბოლოს, ბალანსი, როგორც პირველი კომპონენტი განსაზღვრავს საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებს და შესაბამისად მისი მიზანია საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო წრეს, რათა მიიღონ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებები. აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება ბალანსის შედგენის მეთოდიკის სრულყოფა, რომლის კვლევა დღეისათვის ფართო ფრონტით მიმდინარეობს ქართველი პროფესიონალი ეკონომისტი მეცნიერების მიერ.

Nathela Vashakidze, Dezdemona Maglakelidze

ANNUAL BALANCE SEET AND METHODS OF ITS PREPARATION

The financial accounts of an enterprise must correspond with the international standards of accounting. The full share of financial accounts is determined according to the standards and its initial form is Balance. To make the financial accounting oriented on market economy requires the impovement of already exsisting traditional rules, that is achieved by implementing and developing international standards of financial accounts, wich will meet the needs of the information user.

The research of balence sheet preparation methodology aiming to achieve the goal is carried out by professional Georgian economists.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. ბასს-შესავალი-ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები

2. ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

3. ი. მესხია, დ. მაღლაკელიძე, ნ. ვაშაკიძე, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, თბილისი, 2001.

4. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ფინანსური აღრიცხვა, თბილისი 2000.

5. პ. მიქაძე, მმართველობითი აღრიცხვა, თბილისი, 2000 წ.

6. ჟურნალები ბუღალტრული აღრიცხვა, 2000 წ. და 2001 წ.

საბუღალტრო აღრიცხვის,
ანალიზისა და აუდიტის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ნარა ჭირსალაძე

საბაზრო ეკონომიკა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ეკონომიკურ-სტატისტიკური მაჩვენებლები

ეკონომიკა შინაგანად უკავშირდება ადამიანის ბედს, მისი მოღვაწეობის მიზნებს. ადამიანი უშუალოდ მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში, პროდუქციის წარმოებასა და მოხმარებაში. იგი ერთდროულად მესაკუთრეც არის, ეკონომიკური საქმიანობის მთავარი ფაქტორიც და მომხმარებელიც. ამიტომ, ბუნებრივია, ეკონომიკის უზენაესი მიზანი ადამიანის მრავალმხრივი ინტერესების რეალიზაცია უნდა იყოს.

საზოგადოება, თავისი განვითარების ყოველ საფეხურზე, ცდილობდა და ცდილობს წარმოების სრულყოფით გაიუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა, დაიკმაყოფილოს მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. თუ როგორ ახერხებს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას თითოეული ადამიანი თუ საზოგადოებრივი ჯგუფი, ამას გვიჩვენებს ისეთი განზოგადებული მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორიცაა ცხოვრების დონე. "ცხოვრების დონე გამოხატავს მოსახლეობის კეთილდღეობის რაოდენობრივ მხარეს და ასახავს საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე მოცემულ ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონესა და ხარისხს" [3,452].

ცხოვრების დონე ცვალებადი მაჩვენებელია. ისტორიული პერიოდების შესაბამისად იცვლება თვით მოსახლეობის მოთხოვნილებებიც. ცხოვრების დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონტინენტები, ქვეყნები და თვით მოსახლეობის ფენებიც. ცხოვრების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საკუთრებითი ურთიერთობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი, სადაც კერძო საკუთრებაა, საკუთრების მთავარი და მამოძრავებელი ფორმა, სრულიად ახლებურად ისმის ცხოვრების დონის შეფასების საკითხი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოების თითოეული წევრის შრომითი საქ-

მიანობის შედეგები ძირითადად ფულით ფასდება, ფული ცხოვრების დონის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია.

ცხოვრების დონეს განიხილავენ ვიწრო და ფართო გაგებით. "ვიწრო გაგებით იგი გულისხმობს ადამიანთა მხოლოდ პირად მოხმარებას, ხოლო ფართო გაგებით ცხოვრების ყველა მხარეს, როგორც ეკონომიკურს, ასევე სოციალურს".[1,218]

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება მოსახლეობის ცხოვრების დონის კატეგორიის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა, აგრეთვე სადაოა იმ მაჩვენებელთა ჩამონათვალიც, რომლებიც აუცილებელია მისი სტატისტიკური დახასიათების ადეკვატურობისათვის. ჯერჯერობით საკმაოდ გავრცელებულად ითვლება მეთოდი, რომლის თანახმად მოსახლეობის ცხოვრების დონე განისაზღვრება, პირველყოვლისა, როგორც საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა, რომლითაც სარგებლობს ცალკეული ადამიანი, ოჯახი, ან მოსახლეობის სოციალური ჯგუფი. ამასთან, ცხოვრების დონის ერთ-ერთ ძალზე მნიშვნელოვან ინდიკატორად, როგორც წესი, ითვლება საოჯახო მეურნეობების შემოსავლები. შინამეურნეობების გამოკვლევას ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ სახის პირველი კვლევები საქართველოში ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში ხორციელდებოდა.

შინამეურნეობების კვლევის მექანიზმი აგებული იყო სოციალისტური საზოგადოების მოდელზე და ბუნებრივია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად მომხდარი ცვლილებები ამ კვლევებში ვერ აისახებოდა. რის გამოც 1995-97 წლებში დაინერგა შინამეურნეობების გამოკვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემა. ახალი სისტემით დამუშავებული მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე ცალკეული რეგიონების მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის ცხოვრების დონის სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოსახლეობის შემოსავლებს და ხარჯებს, მოხმარებულ მატერიალურ დოვლათსა და მომსახურებას. საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის კრებულის „საქართველოს შინამეურნეობები 1997 წელს" მიხედვით იმერეთის რეგიონში მოსახლეობის საშუალო თვი-

ურმა შემოსავლებმა სულ ფულადი და არაფულადი სახსრების მიხედვით შეადგინა 27,2 მლნ. ლარი, რაც მთელი ქვეყნის საშუალო თვიური შემოსავლების 16,3%-ს შეადგენს. საშუალო თვიურმა შემოსავლებმა ერთ შინამეურნეობაზე შეადგინა 130,4 ლარი. საშუალო თვიური შემოსავლებიდან ფულადმა შემოსავლებმა და ტრანსფერტებმა 75,6 ლარი ანუ 58%. არაფულადმა შემოსავლებმა - 41,2 ლარი, ანუ 31,6%, სხვა ფულადმა სახსრებმა კი- 13,6 ლარი ანუ 10,4% [6,32]. უნდა ითქვას, რომ იმერეთის რეგიონში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს შემოსავლებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან (25; 1 ლარი ანუ 19,2%) და დაქირავებული შრომიდან (20,5 ლარი ანუ 15,7%).

„მოსახლეობის საშუალო თვიურმა ხარჯებმა 1997 წელს მთლიანად იმერეთის რეგიონში შეადგინა 36,8 მილიონი ლარი. სამომხმარებლო ხარჯებმა 25,2 მლნ ლარი, აქედან სურსათზე დაიხარჯა 14,1 მლნ ლარი, ანუ 56%. ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიურმა ხარჯმა 1997 წელში შეადგინა 176 ლარი. აქედან სამომხმარებლო ხარჯია 120,5 ლარი. სამომხმარებლო ხარჯებიდან 67,3 ლარი, ანუ 55,8% მოდის სურსათზე" [6,33].

უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოცემული მაჩვენებლები გამოხატავს შესასწავლი კატეგორიის რაოდენობრივ მხარეს.

ცხოვრების დონის განზოგადებული დახასიათების მიზნით სტატისტიკაში უფრო მეტად გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა, მაგალითად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, წარმოებული ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე და ა.შ. ეს მაჩვენებლები გამოხატავენ არა მარტო ცხოვრების დონეს, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორები არიან. ამ სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი (შემოსავალი, მოხმარება) ჩვეულებრივ განიხილება როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცხოვრების დონის ანალიზისათვის, თუმცა, ისინი არ შეიცავენ შესასწავლი კატეგორიის ყველა ასპექტს. ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში განიხილება საკითხი ცხოვრების დონის განზოგადებული მაჩვენებლის გამოანგარიშებაზე და მიზანშეწონილობაზე. მართალია ზოგიერთი სპეციალისტი სკეპტიკურად უყურებს ამ საკითხს, მაგრამ მეცნი-

ერთა გარკვეული ნაწილი ცდილობს წარმოადგინოს მოსახლეობის კეთილდღეობის განზოგადებული მაჩვენებლის გამოანგარიშების სქემა. ასე მაგალითად, სულ რამოდენიმე წლის წინათ დაიწყეს „ადამიანური განვითარების ინდექსის" გაანგარიშება. ამ ინდექსის მიხედვით საქართველო ბოლო პერიოდამდე მიეკუთვნებოდა განვითარებული ქვეყნების კატეგორიას, ხოლო 90-იანი წლებიდან, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის გამო, ამ მაჩვენებლის მიხედვით იგი განვითარებადი ქვეყნების დონეზეა. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (მიახლოებით ამჟამად იგი 68,5 წელია), სადღეღამისო მოხმარებამ შეადგინა 1695 კ/კალორია, მაშინ, როდესაც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი შიმშილის ზღვარი შეადგენს 2400კ/კალორიას. დაეცა მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე. თუ 1990 წელს ერთ სულზე იგი შეადგენდა 2063 აშშ დოლარს, 1997 წელს შეადგინა 740,8 აშშ დოლარი. ამასთან 1998 წლის ბოლოს მოხდა ლარის მკვეთრი დევალვაცია, რამაც უფრო მეტად დასცა მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი. 1997 წლის ბოლოს საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის 110,9 ლარით, ხოლო 4 სულიანი ოჯახისათვის 1994, 6 ლარით განისაზღვრა, ამჟამად ნომინალური ხელფასი ერთი დასაქმებულისათვის 40,7 ლარია, ხოლო მინიმალური ხელფასი 20 ლარს შეადგენს, რაც საარსებო მინიმუმის მხოლოდ 16 პროცენტია. მოსახლეობის 52 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც არსებული მონაცემების მიხედვით ფიზიკურად ვერ უნდა იარსებოს, 40 პროცენტს შეადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის შემოსავლების უდიდესი ნაწილი (70 პროცენტამდე) გამოიყენება სურსათის შესაძენად, რაც სიღარიბის ერთ-ერთი არსებითი მაჩვენებელია. გარდამავალ პერიოდში მოხდა მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია, მისი „უმდიდრესი" 20 პროცენტის შემოსავლები კონტრასტულად აღემატება „უღარიბესი" 20 პროცენტის შემოსავლებს. ამ პროცესს თან ახლავს განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროს კრიზისის გახანგრძლივება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. დღეისათვის მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით საქართველოს შედარება განვითარებულ ქვეყნებთან შეუძლებელია. უკიდურე-

სად დაბალია მთლიან შიდა პროდუქტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა ხარჯვის ხვედრითი წილი. ოჯახის მთლიან შემოსავლებში სოციალური ტრანსფერტები (პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები) მხოლოდ 5–6 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან პენსიონრები და მარტოხელები. სოციალური დაცვის სისტემა კი, რომელიც ქალებს და ბავშვებს შეეხებოდა, ქვეყანაში ფაქტიურად აღარ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორს არის თითოეული ოჯახისთვის ცხოვრების უნარიანობის უზრუნველმყოფი ფაქტორების ამოქმედებისაგან. ცხადია, ასეთ პირობებში საჭიროა თანამედროვე ბერკეტების ამოძრავება. რამაც უფრო მეტად დაუცველი ფენების საკვებით, ტანსაცმლით და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პრობლემა უნდა გადაწყვიტოს.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი სტატისტიკური მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე, ჩვენს ქვეყანაში, ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია. კონტრასტულია განსხვავება, შემოსავლებისა და დანახარჯების მიხედვით უმდიდრესთა და უღარიბესთა შორის. სავარაუდოა, რომ საბაზრო ეკონომიკის შემდგომ განვითარებასთან ერთად ეს განსხვავება კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო დიფერენციაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი (დიფერენციაციის კოეფიციენტი) შემცირდება და მოხდება მოსახლეობის მომიჯნავე დეცილურ ჯგუფებს შორის ცხოვრების დონის თანდათანობით დაახლოება.

Naira Virsaladze

MARKET ECONOMY AND ECONOMIC AND STATISTIC DATA OF POPULATION'S LIVING STANDARD

abstract

Modern statistics has rich and many-sided resources of estimation of the current events and processes among population. But socio-economic situation of the country is generally characterized by choosing of domestic economy and realizes on the base of research. Modern investigations in field of domestic economy, processing of data received in terms of corresponding system of international standard gives us an opportunity to judge the living standard of population, like on a scale of the whole country, so in separate regions as well.

For the purpose of population's characteristic of well-being nowadays statistics applies to "Mankind Evolution Index". According to this index until recently Georgia was ranked among the category of advanced countries, but from the beginning of 1990s depending on the slump of living standard it is on the level of developing countries.

ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკის მოკლე კურსი, თბ., 1998.
2. Экономическая статистика, из. Москва, 1998.
3. ეკონომიკური თეორია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1998.
4. ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997.
5. „სოციალური ეკონომიკა", №1; 2; 3; 1999
6. „საქართველოს შინამეურნეობები 1997 წელს", - ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული, თბ., 1998 წ.
7. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები., II ნაწილი, თბ., 1999.

ეკონომიკის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მელანო კარანაძე

ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სამართალში (საავტორო სამართალი)

კერძოსამართლებრივი ურთიერთობების განვითარების, ცივილური საზოგადოების ჩამოყალიბების პირობებში, ყველა სხვა ფასეულობისდაცვისგვარად მნიშვნელოვანი გახდავთ ინტელექტუალური საკუთრების სამართლით განმტკიცებულ ობიექტთა დაცვა. ინტელექტი, რომლის პარამეტრები დროის სიახლესა და პროგრესთან მიმართებაში საგრძნობად იზრდება, სახასიათოს ხდის ხალხის, ერის კულტურას, მის წინვლას ეხმარება, ხოლო ინტელექტუალური შესაძლებლობების დაცვით სახელმწიფო „თავს იწონებს" როგორც ბჭე და გარანტი, როგორც ამ შეუდარებელ ფასეულობათა ღირსეული დამცველი და მოჭრინახულე.

და მაინც, როგორია დღეს ომებითა და დაპირისპირებულობით აღსავსე ჩვენს დროში პირთა უფლებები ამ სფეროში? ქართულმა სამართალმა ინტელექტუალური საკუთრების სამართალი სამართლიანად მიაკუთვნა კერძო სამართლის სფეროს, რომელიც ორ შტოდაა გაყოფილი. საავტორო და სამრეწველო საკუთრების სამართლად 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ". კანონის მიხედვით ავტორად მიიჩნევა პირი, რომლის ინტელექტუალურ შემოქმედებით შრომის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები. ავტორთა უფლებები კი ორი სახის ქონებრივ და არაქონებრივ (მორალურ) უფლებებად დიფერენცირდება. მორალური უფლებების დაცვა კონტინენტური ევროპის სამართლის პირმშოა და იგი საერთო სამართლის ქვეყნებითაცაა მოწესრიგებული. არც ქართულმა საავტორო სამართალმა აუარა მას გვერდი და უფლებების ამგვარივე დიფერენცირება მოახდინა.

პირადი არაქონებრივი უფლებები დამოუკიდებელია პირადი ქონებრივი უფლებებისაგან. და მოქმედებს არა მარტო ავტორის სიცოცხლეში, არა-

მედ მისი გარდაცვალების შემდეგ. პირის უპირველეს არაქონებრივ უფ-ლებად მისი ავტორის უფლება სახელდება. რაც შესაძლებელობას ანიჭებს ავტორს წინ აღუდგეს სხვა პირის მიერ ამ ფაქტის ხელყოფას. ამასთან, ავტორობის ფარდ უფლებად განიხილება სახელის უფლებაც რომელიც ავტორობის უფლებასთან ერთად განუსხვისებელი უფლებაა. ავტორის მორალურ უფლებებში მოიაზრება შესაძლებლობა დაცული იქნას, ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან. ავტორისაგან პატივისა და ღირსების შეულახაობის პრინციპიდან გამომდინარე, რითაც არამარტო ნაწარმოების შინაარსია დაცული, არამედ დაცულია ფორმა, რა სახითაცაა იგი წარმოდგენილი რაც საავტორო სამართალში რეპუტაციის პატივისცემის უფლებად იწოდება. ავტორის უფლებაა თავად გამოიხმოს ნაწარმოები თუმცა გამოხმობის ხარჯების მთლიანად ავტორი გაიღებს მის ვალდებულებაში შედის გამოხმობის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთება.

Melano Karanadze

ABSTRACT

This work deals with the non-property qualification (moral) rights in the intelectual property law, mainly with the rights of the authorship and reputation of the work.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო კაშია

ეკოლოგიური უფლების ინფორმაციული უზრუნველყოფა

მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკოლოგიურ უფლებას. აღნიშნული უფლების ინფორმაციული უზრუნველყოფა, ე.ი. მოქალაქეთა მიერ ეკოლოგიური მნიშვნელობის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების დონეს, ნდობის ხარისხს მოქალაქეებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. საზოგადოებრიობის ინფორმირება ზრდის ადამიანის სამართალშეგნების ხარისხს, ხელს უწყობს ეკოლოგიური პრობლემების გააზრებასა და მათ გადაჭრაში უშუალო მონაწილეობას. 1995 წ. 23-25 ოქტომბერს ქ. სოფიაში მიღებული იქნა ეკოლოგიური პროგრამა ევროპისათვის, სადაც აღნიშნულია, რომ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ აადვილებს გადაწყვეტილების მიღებას პოლიტიკასა და პრიორიტეტებთან მიმართებაში; ხელს უწყობს მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელებას, უზრუნველყოფს გამჭვირვალობას. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებისას თანამშრომლობის განვითარება და გაფართოვება დამოკიდებულია მონაცემების ხარისხის გაზრდაზე და უტყუარობაზე.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ყოველი ადამიანის უფლებას თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია (მ. 24); გარდა ამისა 37-ე მუხლი ადგენს ადამიანის უფლებას მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მიღებული ერთიანი ნორმატიული აქტი, რომელიც მოაწესრიგებდა

ეკოლოგიურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც შეეხება ეკოლოგიური ინფორმაციის შინაარსს, ზოგიერთი ავტორის აზრით იგი ცნობებს საგნების, ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს გარემოს, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამასთან დაკავშირებით ზუსტი ცნება იქნა შემუშავებული თანამეგობრობის ქვეყნებისათვის სამოდელო კანონის სახით. აღნიშნულია, რომ ეს არის ნებისმიერი ინფორმაცია წყლების, ატმოსფეროს, ნიადაგის, დედამიწის, წიაღის, ცოცხალი ორგანიზმებისა და ეკოსისტემების ცვლილებების შესახებ; ასევე იმ საქმიანობის, ფაქტორებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ გარემოზე; ასევე შეიცავს ინფორმაციას ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ან განხორციელებული საქმიანობის შედეგების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემა არ ამოიწურება მხოლოდ ეკოლოგიური უფლების ცნების გარკვევით. პრობლემის მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია რამდენადაა ხელმისაწვდომი და რა სახის ცნობების მიღებაა შეზღუდული მოქალაქეთათვი.ს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლი ადგენს, რომ თავისი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას ყოველა ადამიანი იმგვარად უნდა შეიზღუდოს, რაც კანონითაა დაწესებული, ე.ი. სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის, დემოკრატიული მოთხოვნების, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის დაკმაყოფილების მიზნით. ადამიანის უფლება-თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციამ შემოიღო დამატებითი შეზღუდვები ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესები იქცა პრობლემატურ მომენტად ინფორმაციული უფლების განხორციელებაში. ცხადია ერთი მხრიდან საჭიროა ამ უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრიდან სახელმწიფოს ინტერესების დაცვა. როგორც ჩანს მოცემული წინააღმდეგობის გადაწყვეტა დამოკიდებულია ორი პირობის შესრულებაზე: 1. ეკოლოგებმა უნდა აღიარონ, რომ ეკოლოგიური ინფორმაციის რაღაც გარკვეული ნაწილი შეიძლება იყო გასაიდუმლოებული; 2. პოლიტიკოსებმა კი აღიარონ, რომ ეროვნუ-

ლი უსაფრთხოება არ დაიყვანება მხოლოდ მოწინააღმდეგისაგან თავის დაცვაზე. სამართლებრივი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს პრიორიტეტების გულმოდგინე ანალიზის გზით. უნდა იქნეს გათვალისწინებული ის პრინციპი, რომ დემოკრატიულ, სამოქალაქო საზოგადოებაში პირველ ადგილზე დგას პიროვნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა, შემდეგ საზოგადოების და ბოლოს სახელმწიფოს. ამიტომ ხდება აუცილებელი ეკოლოგიური ინფორმაციის საკანონმდებლო რეგულირება და იმ საფუძვლების ამომწურავი ჩამოთვლა, რომლითაც უარი ითქმება მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენაზე. მოქალაქეთა მიერ გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის პრობლემა ფართო დებატების თემაა ევროპის ქვეყნებში. 1990 წ. ევროპის საბჭომ მიიღო დირექტივა „გარემოს შესახებ ინფორმაციის თავისუფლებაზე", რომლის შესაბამისად წევრმა-სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ხელისუფლების ორგანოების ვალდებულება წარუდგინონ ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს მათი შეკითხვის ინტერესების მიზეზები გარკვევის გარეშე; ასევე დაადგინონ ამგვარი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფის პრაქტიკული ზომების სისტემა. დირექტივა ადგენს იმ საფუძვლებს, რომლითაც შეიძლება უარის თქმა ასეთი ინფორმაციის გაცემაზე. ეს შემთხვევებია:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მუშაობის კონფიდენციალური ცნობები;
- მონაცემები, რომლებიც ეხება სახელმწიფო უსაფრთხოებას;
- საქმეები, რომლებიც წინასწარი გამოძიების სტადიაზეა;
- კომერციული და სამრეწველო საიდუმლოება;
- პერსონალურ მონაცემთა ბაზის ან დოსიეს საიდუმლოება;
- მასალები, რომელთა გახმაურებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს.

- ამავე საკითხზე მიღებულ იქნა დეკლარაცია რიო-დე-ჟანეიროში 1992წ. სადაც აღინიშნა, რომ ეკოლოგიური პრობლემები უნდა იქნეს განხილული ყველაზე უფრო ეფექტურად ყველა დაინტერესებული მოქალაქის მონაწილეობით.

- დღეს აშკარა ხდება საქართველოში ეკოლოგიური ინფორმაციის შესახებ საკანონმდებლო აქტის მიღების აუცილებლობა, სადაც იქნება

ეკოლოგიური ინფორმაციის ზუსტი დეფინიცია, მისი მიღების წესი, ასევე გამონაკლისები და შეზღუდვები ამგვარი ინფორმაციის მიღებაზე. ამ პროცესს კი შეუძლია რეალურად იმოქმედოს სახელმწიფოს საქმიანობაში ლეგიტიმურობისადმი ნდობის ხარისხზე საზოგადოების მხრიდან. ამის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის დანაწესი, რომ სრულად, ობიექტურად და დროულად აცნობონ მოსახლეობას მოსალოდნელი და მომხდარი იმ მოვლენებისა და შედეგების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ მათზე.

ABSTRACT

The main right of the citizens-the realization of the personal right is the most important part of the democratic state. Ecological right takes a particular place among them, the opportunity of getting information about it helps to solve this ecological problems justly. According to the constitution of Georgia every person has a right to receive or spread information. Every citizen has a right to have information about his or her living environment. And the legislative regulation of this right maybe realized as by inner state acts as by international pacts and agreements.

ლიტერატურა:

1. О.С. Корху, правовое регулирование права на экологическогоинформации, М. 2001. ст. 3—4.
2. А.Л. Архепов реальное гарантии права граждан на экологического информацию, М. 2000 г., стр. 6
3. Экологическая информация и принципы работы 2001, стр. 12—13.
4. Модельный закон об охране окружаюшей среды, страсбург, 1994г., ст. 12—13.
5. საქართველოს კონსტიტუცია - 1995 წ.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ომარ კასიძე

პლატონის ატომისტიკა

ფილოსოფიის ისტორიაში ჯერ არავის დაუკავშირებია ერთმანეთთან ფილოსოფია და მოძღვრება ატომის შესახებ ისე, როგორც ეს დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა გააკეთა. ეს საკითხი მან განიხილა „პლატონის ენციკლოპედიად" და „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინად" წოდებულ ნაშრომში, დიალოგ „ტიმეოსში". ამ წიგნს იკვლევდნენ თეოლოგები და ფილოსოფოსები, ფილოლოგები და მათემატიკოსები, ბიოლოგები და ანთროპოლოგები, ფიზიკოსები და ასტრონომები, ფსიქოლოგები და მედიკოსები. მიუხედავად ასეთი ღრმა შესწავლისა, იგი მაინც რჩებოდა და დღესაც რჩება ანტიკური ეპოქის „ყველაზე ბნელ და ბუნდოვან წიგნად". ამის მიზეზი ის არის, რომ პლატონი აღნიშნულ ნაშრომში იკვლევს ისეთ ურთულეს პრობლემებს, როგორიცაა: სამყარო, ადამიანი, ბუნება, ატომები, ვარსკვლავები, გალაქტიკები, უსასრულობა, მარადისობა, სული და გონი. ეს საკითხები კი ისეთი „ბნელი" პრობლემებია, რომ ადამიანთა მოდგმას ჯერ არც-ერთ მათგანზე ჭეშმარიტი და ამომწურავი პასუხი არ გაუცია.

ტიმეოსიდან ჩანს, რომ პლატონი კარგად იცნობდა დემოკრიტეს ატომისტურ შეხედულებებს. მათ შორის დიდი მსგავსებაცაა და განსხვავებაც. მაგალითად, დემოკრიტესთან სული მატერიალურია, პლატონთან იმატერიალური, პირველის მიხედვით სული მოკვდავია, მეორეს მიხედვით-უკვდავი. ისინი აღიარებენ მიკრო და მაკრო სამყაროს არსებობას. ორივენი აღიარებენ გონმისაწვდომ სამყაროს რეალობას. ორივეს ატომიზმი მატერიის მათემატიკური კონცეფციისაგან იღებს დასაბამს. მიუხედავად ამ მსგავსებისა, თანამედროვე „ფიზიკის მიღწევების ფონზე - აღნიშნავს „ტიმეოსის" ქართულ ენაზე მთარგმნელი ბაჩანა ბრეგვაძე თავის წინასიტყვაობაში - თანდათანობით გამოიკვეთა რადიკალური სხვაობა პლატონისა და დემოკრიტეს ატომიზმს შორის, ასე რომ, რაც მეტად თუ

ნაკლებად მისატევებელი ჩანდა მეოცე საუკუნის დამდეგს, სრულიად შეუწყნარებელი შეიქნა დღეს" [1,44].

თანამედროვე თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ვერნერ ჰაიზენბერგი, ადარებს რა მეცნიერთა მიერ აღმოჩენილ ელემენტარულ ნაწილაკებს პლატონის ტიმეოსის წესიერ სხეულებს, აღნიშნავს: „ისინი პირველ სახეებია, მატერიის იდეებია... ეს პირველსახეები მთელ შემდგომ პროცესს განსაზღვრავენ. ისინი ცენტრალური წესრიგის წარმომადგენლები არიან" [2,303].

პლატონის მოძღვრება მიკროელემენტების შესახებ უფრო მაღლა დგას უწესრიგო ფორმის მქონე დემოკრიტეს ატომების კონცეფციაზე და იგი ახლოს არის თანამედროვე მეცნიერთა მიერ მიკვლეულ მიკრონაწილაკთა სურათთან. დემოკრიტეს თანახმად, ატომები არიან უცვლელნი და მარადიული, ისინი ერთმანეთზე არ დაიყვანებიან, ხოლო პლატონის მიხედვით, პირიქით, ატომები იცვლებიან, ჩნდებიან და ქრებიან, გარდაიქმნებიან და ერთმანეთშიც გადადიან. პლატონის ამ უდიდესი აღმოჩენის შესახებ სამართლიანად აღნიშნავს ბაჩანა ბრეგვაძე: „მხოლოდ დიდი მათემატიკოსისა და ბუნებისმეტყველების იშვიათ ნიჭთან ორგანულად შერწყმულ გენიალურ ინტუიციას თუ შეეძლო ღრმად შეჭრილიყო მიკრონაწილაკთა იდუმალ სამყაროში და ჩამოეყალიბებინა თავისი სირთულითა და სითამამით გამაოგნებელი ჰიპოთეზა, რომელიც წინ უსწრებს მთელ ანტიკურობას და თანამედროვე ატომური ფიზიკის თვალსაზრისს უახლოვდება" [1,47].

პლატონიდან ოცდაოთხი საუკუნის შემდეგ ატომური ფიზიკისა და ქიმიის მკვლევარებმა: ბეკერელიმ, კიურებმა, რეზენფორდმა და სხვებმა ექსპერიმენტებით დაამტკიცეს, რომ დემოკრიტეს დებულება ატომთა უცვლელობის შესახებ მცდარია, ქიმიურ ელემენტთა ატომები რადიაქტიული დაშლის შედეგად სხვა ნივთიერებათა ატომებად გარდაიქმნებიან. 1919 წელს რეზენფორდმა ლაბორატორიაში შეძლო გაეხლიჩა ატომური ბირთვი, რომელიც დემოკრიტეს განუყოფელი, უცვლელი და გარდაუქმნელი ეგონა და განახორციელა ისტორიულად ჩვენთვის უცნობი ელემენტთა გარდაქმნის პირველი ხელოვნური რეაქცია. ალფა ნაწილაკებით აზოტის ბირთვის ბომბარდირების შედეგად ბირთვიდან ამოვარდა პროტონები, ხოლო აზოტი ჟანგბადად გადაიქცა. ამ აღმოჩენამ დაადასტურა პლატო-

ნის მოსაზრება ატომის ცვალებადობისა და გარდაქმნის შესახებ. მაგრამ, ამ ექსპერიმენტმა სამწუხაროდ ისიც დაადასტურა, რომ ფიზიკოსები ფილოსოფიისაგან შორს იდგნენ, რადგან ამ ექსპერიმენტის ჩამტარებლებმა არ იცოდნენ, რომ მათ მიერ აღმოჩენილი ატომის თვისებების შესახებ ოცდაოთხი საუკუნის წინ იწინასწარმეტყველა არა ფიზიკოსმა, არამედ ფილოსოფოსმა პლატონმა. თუმცა ფილოსოფოსობა მაშინ ფიზიკოსობასაც, მათემატიკოსობასაც და ბევრ სხვა რამესაც ნიშნავდა. ძალიან გაუჭირდათ ფილოსოფიისაგან შორს მდგარ მეცნიერებს ამ აზრის აღიარება, მაგრამ ჭეშმარიტება და ბუნება პლატონის მხარეზე იდგა. ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ჰაიზენბერგი აღნიშნავდა: "დემოკრიტეს ფილოსოფიაში ატომები მატერიის მარადიულ განუყოფელ ერთეულებად გვევლინებიან, მათ არ შეუძლიათ ერთიმეორედ გარდაქმნა. თანამედროვე ფიზიკა დემოკრიტეს ამ დებულების წინააღმდეგ გამოდის და პლატონისა და პითაგორას მხარეზე დგება. ელემენტარული ნაწილაკები არ არიან მატერიის მარადიული და განუყოფელი ერთეულები, ფაქტიურად, მათ შეუძლიათ ერთიმეორედ გარდაიქმნან... თანამედროვე ფიზიკური წარმოდგენებისა და პლატონისა და პითაგორელების შეხედულებათა მსგავსება კიდევ უფრო ღრმაა. ელემენტარული ნაწილაკები, რომლებიც განხილულია პლატონის "ტიმეოსში", ბოლოს და ბოლოს მატერია კი არა, მათემატიკური ფორმებია. თანამედროვე კვანტური თეორიის მიხედვით, შეუძლებელია იმაში დაეჭვება, რომ ელემენტარული ნაწილაკები, საბოლოო ანგარიშით, მათემატიკური ფორმებია. თანამედროვე ფიზიკა იმავე გზით მიიწევს წინ, რომლითაც მიდიოდნენ პლატონი და პითაგორელები. ფიზიკის ეს განვითარება ისე გამოიყურება, თითქოს ამ გზის ბოლოს მიღწეული უნდა იქნეს ბუნების კანონის ძალზე მარტივი ფორმულირება, ისეთი მარტივი, როგორის ხილვასაც, იმედითა და სასოებით მოელოდა ჯერ კიდევ პლატონი" [3,48-49].

საუკუნეების განმავლობაში, ფილოსოფიისადმი ცალმხრივმა და არაობიექტურმა მიდგომამ გამოიწვია ატომისტიკაში პლატონის შეხედულებათა იგნორირება და გაყალბება, რამაც დიდი უარყოფითი გავლენა იქონია არა მარტო ფიზიკისა და ასტრონომიის, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებაზეც. სამართლიანად აღნიშნავს ბაჩანა ბრეგვაძე, რომ „სკოლის მერხიდანვე ვეცნობით ნივთიერების ატომური აგებულების

დემოკრიტესეულ კონცეფციას, მაგრამ პლატონის ატომებზე მსჯელობა-
რატომღაც „აკრძალულ ხილად" ითვლებოდა მეცნიერებაში და მხოლოდ
ამ ბოლო წლებში გახდა შესაძლებელი, რომ მეცნიერებს თამამად, ყოველ-
გვარი მიკიბვ-მოკიბვისა და „მობოდიშების" გარეშე განეცხადებინათ: „მა-
ტერიის აგებულების პლატონური თეორია არც დემოკრიტეს მოძღვრების
გამეორებაა, არც მისი გადმოცემა თუ გადამუშავება. ესაა სრულიად
ორიგინალური ფიზიკური თეორია, გაცილებით უფრო რთული, უფრო
ღრმა და... უფრო საინტერესო ჩვენი დროის ფიზიკის თვალსაზრისით,
ვიდრე ყოველივე ის, რასაც დემოკრიტეს ატომისტიკაში ვპოულობთ...
პლატონის მიერ „ტიმეოსში" გადმოცემული ატომისტური კონცეფცია არა
მარტო განკერძოებით დგას ანტიკურ მეცნიერებაში: ესაა გამაოგნებელი,
უნიკალური და, გარკვეული თვალსაზრისით, პროვიდენციული მოვლენა
ევროპულ ბუნებისმცოდნეობის ისტორიაში. [1,79]

მეოცე საუკუნეში ფიზიკის დარგში გაკეთებულმა უზარმაზარმა აღმო-
ჩენებმა ხელი შეუწყვეს იმას, რომ პლატონი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც
იკავებს თავის საპატიო ადგილს ატომური ფიზიკის კვლევის დარგში. ამ
აღმოჩენებმა აიძულა ფიზიკოსები, რომ აქამდე იდეალიზმის სიმბოლოდ
წოდებული პლატონი, მატერიის კვლევის საქმეში, მატერიალიზმის
სიმბოლოდ აღიარებულ დემოკრიტეზე მაღლა დაეყენებინათ. თუ ფიზიკო-
სებმა სამართლიანობა აღადგინეს, ასტრონომებმა აწი უნდა გააკეთონ
იგი. პლატონი ისე შორს წავიდა ასტრონომიის გაფილოსოფოსების საქმე-
ში, რომ მან ასტრონომია არა მარტო ფილოსოფიას, არამედ სიყვარულს
დაუკავშირა. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პლატონი ასტრონომიის
განმარტებას „ტიმეოსში" კი არ ახდენს, რომელიც სამყაროს წარმო-
შობაზეა მიძღვნილი, არამედ დიალოგ „ნადიმში", სადაც მხოლოდ სიყვა-
რულის საკითხები აქვს განხილული და აცხადებს, რომ „მეცნიერებას
ვარსკვლავთა წრიულ მიმოქცევასა და წელიწადის დროთა ბუნებაზე,
სიყვარულის გავლენის შესახებ ასტრონომია ეწოდება" [4,31].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პლატონის შემდგომ და დღევანდელ
ასტრო-ფიზიკოსთა მიერ ნაკვლევ ნაშრომებს პლატონის მიერ მიკვლეუ-
ლი სიყვარული აკლია, რომლის გარეშე ვერც კოსმოსი და ვერც სი-
ცოცხლე ვერ იარსებებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Omar Kakhidzé

ATOMISTIQUE DE PLATON

Résumé

Dans l'ouvrage sont traitées les opinions de Démocrite et de Platon sur l'atome.

Les analyses des découvertes de physique quantique permettent de tirer la conclusion qu'on peut donnez une appréciation plus haute à la doctrine de l'idéaliste Platon sur l'atome qu'aux opinions atomistiques de Démocrite, matérialiste.

ლიტერატურა:

1. პლატონი, ტიმეოსი, თბილისი, 1994.
2. ჰაიზენბერგი ვ., ნაწილი და მთელი. თბ. 1983.
3. Геизенберг В., Физика и философия, М., 1963.
4. პლატონი, ნადიმი, 1964

პოლიტოლოგიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მანანა კოპალიანი

ივანე ჯავახიშვილი, როგორც იურისტი

დიდი გოეთე ამბობდა: "გამოჩენილ ადამიანთა გახსენება დროდადრო ფიქრებს აგვიშლის ხოლმე. ისინი წამოიმართებიან ჩვენ თვალწინ, როგორც ანდერძი თაობებისა".

ივანე ჯავახიშვილი სწორედ ასეთი ადამიანი იყო. მისი მოღვაწეობა ჭეშმარიტი ანდერძია შემდგომი თაობებისადმი.

ივ. ჯავახიშვილი მეცნიერული იარაღით იცავდა ქართველი ხალხის მონაპოვარს სამართლებრივ სფეროში. იგი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საკუთარი აზრის დაფიქსირებით, არამედ თამამად ასწორებდა ყველა მნიშვნელოვან მიდგომას ამ საკითხებისადმი. აკრიტიკებს რა რუს მეცნიერთა მ. კოვალენსკის და თ. ლეონტოვიჩის ნაშრომებს კავკასიელი და ქართველი ტომების ადათობრივი სამართლის ინსტიტუტების შესახებ, მიუთითებს, რომ ისინი თანამედროვე ზნე-ჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდნენ, ამ მეთოდით მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონე ერის სოციალური ისტორიის შესწავლა შეუძლებელია და აუცილებლად მცდარ შედეგს მოგვცემს.

ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში უდიდესი ნაშრომი "ქართული სამართლის ისტორია", რომელიც ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს და შესანიშნავ წარმოდგენას გვიქმნის ივანე ჯავახიშვილზე, როგორც იურისტზე. დასახელებული ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი ავტორს წინათაც ჰქონდა გამოქვეყნებული. მაგალითად, "Государственный строй древной Грузии и древной Армений, პეტერბურგში 1905 წელს. იმავე 1905 წელს თბილისში ჯერ გაზეთ "ცნობის ფურცელში", ხოლო შემდეგ ცალკე ამონაბეჭდის სახით გამოქვეყნდა ნაშრომი „საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია" და სხვა.

1907 წლისათვის ივ. ჯავახიშვილის უკვე დაწერილი ჰქონდა "ქართუ-

ლი სამართლის ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული მე-13 საუკუნის დამდეგამდის", რომლის ბეჭდვაც დაიწყო კიდეც 1909 წელს ალმანახში "ერი", მაგრამ ცენზურისაგან ორგანოს შეჩერების გამო პუბლიკაცია მალე შეწყდა. 1919 წელს ქუთაისში გამოქვეყნდა "ქართული სამართლის ისტორია" I წიგნი, რომელიც სინამდვილეში II წიგნის I ნაწილს წარმოადგენდა.

1928 წ. გამოქვეყნდა "ქართული სამართლის ისტორიის" პირველი წიგნი. I წიგნში განხილულია ქართული სამართალი და საეკლესიო სამართლის წყაროები. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი მთავარ ყურადღებას წყაროების განხილვასა და სამართლის ტერმინოლოგიას აქცევს, რადგან სამართლის ამ საკითხების გარკვევა სამართლის ისტორიის ნამდვილ საფუძველს შეადგენს. აქ ავტორი იკვლევს ყოველი ძეგლის შედგენის დროს, პირობებს, მიზნებს და მოქმედების ასპარეზს, პირვანდელი ტექსტის სახესა და მისი დანაწილების წესებს. ამ საკითხების შესწავლამ ცხადყო, რომ ძველად საქართველოში იურიდიული ძეგლის შედგენის გარკვეული წესები ყოფილა შემუშავებული, რომელთა ცოდნა აუცილებელია ქართული სამართლის ძეგლების დამახინჯებული ადგილების აღდგენისათვის.

"ქართული სამართლის ისტორიის" II წიგნი ორ ნაკვეთად გამოქვეყნდა. პირველში განხილულია მე-9-13 საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო სამართლის, ტერიტორიის, მოსახლეობისა და სამოხელეო წყობილების საკითხები, ხოლო მეორე ნაკვეთით მთავრდება საქართველოს სახელმწიფო, სისხლისა, საკორპორაციო, სამოქალაქო სამართლისა და სამართალწარმოების ისტორია მონღოლთა შემოსევამდე. ამრიგად, მეორე ნაკვეთი პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილმა ქართველოლოგიის მრავალ დარგს ჩაუყარა საფუძველი. ჩვენთვის, იურისტებისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული სამართლის ისტორიაში.

ივ. ჯავახიშვილმა ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა დაიწყო სამართლისა და სამართლის აღმნიშვნელი ტერმინების გამოკვლევით. მან პირველმა მიაკვლია, რომ ტერმინი "კანონი" ქართული არ არის. იგი ქართულში ბერძნულიდან შემოვიდა, ხოლო თვით ბერძნულში ერთ-ერთი სემიტური ენიდან უნდა იყოს შესული, სადაც "კანონი" ლერწამს, ლელს ანუ სწორს ნიშნავდა, ბერძნულში კი კანონს თავდაპირველად ხუროს ერთ

ხის იარაღს ეძახდნენ, რომელსაც ოსტატები მუშაობის დროს თავზეს მაგიერ სისწორის დასაცავად ხმარობდნენ ხოლმე. ამრიგად, ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია „კანონი", სისწორის სინონიმია, რომელიც სათნოებისა და ბოროტების საზომად ითვლებოდა, მე-2 საუკუნიდან კი „კანონი" სარწმუნოების წესს ნიშნავდა, რომელიც უნდა შესრულებულიყო[1]. ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია, აგრეთვე, სხვა იურიდიული ტერმინები, კერძოდ, „უფლება", „სჯული", „კანონიერება", „კანონმდებლობა", ასევე მრავალი სისხლის და სამოქალაქო სამართლის ცნებების აღმნიშვნელი ტერმინები.

ივ. ჯავახიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ქართული სამართლის, როგორც საეკლესიო, ისე საერო წყაროები. კერძოდ, ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის" კანონი, „დიდი სჯულის" კანონი, ასევე ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლები: რუის-ურბნისის 1103 წ. კრების „ძეგლისწერა", „კათალიკოზთა სამართალი" და მრავალი სხვა.

საერო-საკანონმდებლო ძეგლებიდან ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს „ხელმწიფის კარის გარიგება", „წესი და განგებაჲ მეფედ კურთხევისა", „დასტურლამალი"(ეს ძეგლები ქართული სახელმწიფო სამართლის ანუ კონსტიტუციური ხასიათისაა). რაც შეეხება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ძეგლებს, ივ. ჯავახიშვილს განხილული აქვს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდადება", ბექას და აღბუღას სამართლის წიგნი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და კოდიკო, ასევე ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის დროინდელი სახელმწიფო და სისხლის სამართლის ძეგლები.

ქართული სამართლის ტერმინებისა და ძეგლების შემდეგ იხილავს საქართველოში საგვარეულო წეს-წყობილებას და უძველესი პერიოდის სახელმწიფო წყობილებას[1].

ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გაერთიანებული ფეოდალური ხანის სახელმწიფო წყობილებას. მან ამომწურავად შეისწავლა ამ პერიოდის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, მათი ჩამოყალიბების წესი და მოხელეთა უფლებამოსილება[2]. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, საქართველოში ამ პერიოდის ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ეწოდებოდა „დარბაზი", ხოლო მმართველობის უმაღლეს ორგანოს „სავაზირო". მას განხილული აქვს ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა რგოლი და მასში შემა-

ვალი ყველა თანამდებობის პირი: დარბაზის რიგის მოხელენი და ადვოკატ-
რები[2].

გარდა სახელმწიფო სამართლისა, ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს ქართული სისხლის სამართალი[2]. მას გამოკვლეული აქვს დანაშაულის შესახებ ზოგადი მოძღვრება, დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინები, დანაშაულის კლასიფიკაცია, ბრალი და ბრალეულობა, თანამონაწილეობა დანაშაულში, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები[2].

ქართული სისხლის სამართლიდან ივ. ჯავახიშვილი ცალ-ცალკე იხილავს დანაშაულის ისეთ სახეებს, როგორიცაა სახელმწიფო დანაშაულები (განდგომა და ღალატი, მეფის შეურაცხყოფა), სქესობრივი და ზნეობრივი დანაშაულები, დანაშაული ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები[2].

სისხლის სამართლის დანაშაულებთან ერთად ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს სასჯელთა სისტემა და დასჯის საშუალებანი, როგორც საერო, ისე საეკლესიო სამართალში[3]. ივ. ჯავახიშვილი იხილავს შემდეგი სახის სასჯელებს: ქონებრივი სასჯელები, გვემითი სასჯელები, თავისუფლების აღკვეთა, საპყრობილეთა ორგანიზაცია, ექსორია და გაძევება, ასოთმიღება ანუ განპატიჟება, სიკვდილით დასჯა. დიდი ყურადღება ეთმობა სასჯელის მიზნებს და დანიშნულებას ქართულ სამართალში.

ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს ქართული სამოქალაქო სამართალი. იგი იხილავს ნივთებს, მათ სახეებს, ასევე ქონებას, მფლობელობას, საკუთრებას და ვალდებულებით სამართალს, ხელშეკრულების ცალკეულ სახეებს[3].

ივ. ჯავახიშვილი სამოქალაქო სამართალში იხილავს საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს, კერძოდ ქორწინებას, ცოლ-ქმრობის წესებს, განქორწინებას და საცოლქმრო საკუთრებას. სამემკვიდრეო სამართლიდან შესწავლილი აქვს კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა[3].

ძალზედ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ივ. ჯავახიშვილს ქართულ სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის პრობლემებზე. მას განხილული აქვს ქართული სასამართლო წყობილება, ქართული საპრო-

ცესო სამართალი, კერძოდ სისხლის სამართლის პროცესი და დამამტკიცებელი საბუთები[3].

ივ. ჯავახიშვილის ნაღვაწი ქართული სამართლის ისტორიაში მონღოლთა შემოსევამდე მოდის. შემდგომი პერიოდის ქართული სამართლის ისტორიაში მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ: პროფ. ი. სურგულაძეს, პროფ. ი. დოლიძეს, პროფ. ა. ვაჩეიშვილს, პროფ. გ. ნადარეიშვილს, პროფ. მ. კეკელიას და სხვებს.

ივანე ჯავახიშვილმა უდაოდ ფასდაუდებელი ღვაწლი გაწია ქართველი ხალხის სამართლებრივი ფენომენის ყველა ასპექტის გამოსაცემად. მან შექმნა ის ფუნდამენტი, რომელზედაც დგას ქართული სამართალი.

როგორც ცნობილია, მან პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი დაამთავრა და სპეციალური იურიდიული განათლება არ მიუღია. სამართლის მეცნიერებას იგი დამოუკიდებლად დაეუფლა. მან საფუძვლიანად შეისწავლა რომის სამართლის ისტორია და სისტემა, რომელიც სამართლის ისტორიის საფუძველს შეადგენს, ხოლო შემდეგ გამორჩეული მეცნიერების: პ. ბრუნერის, რ. შნედერის, ა. ესმენის, ვ. სერგეევიჩის ფუნდამენტური შრომების მიხედვით გერმანული, ფრანგული, ბიზანტიური და რუსული სამართლის ისტორიას დაეუფლა.

მან საფუძველი ჩაუყარა ქართული იურისპუდენციის შეუცდომელი გზით განვითარებას და ეს ფუნდამენტი ივანე ჯავახიშვილის მიმართული სამართლებრივი მასალით ისე მყარად იქნა აშენებული, რომ თანამედროვე სამართლის მეცნიერება თამამად დგას ამ ძირძველ ეროვნულ საძირკველზე. აი, სწორედ ეს არის უდიდესი დამსახურება ივანე ჯავახიშვილისა ქართული სამართლებრივი მეცნიერების წინაშე.

ეს ბუმბერაზი მეცნიერი – დიდი ივანე მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ასცდა ბუნების კანონზომიერებას – გარდაცვალებას, მაგრამ ჭეშმარიტად ეს იყო გარდაცვალება და არა სიკვდილი.

არწივები თავის სტიქიაში აფრენილნი კვდებიან თურმე, დიდი ივანეც, როგორც თვითონ ამბობდა თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას წავიდა ამ ქვეყნიდან, მოკვდა ლამაზად, მოკვდა ისე, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იხდიდა ვალს ქვეყნის და ხალხის წინაშე.

М.В. Копалиани

И.А. ДЖАВАХИШВИЛИ, КАК ЮРИСТ

Резюме

В работе подчеркивается, ту огромную роль великого ученого, сыгравшую в систематизации древногрузинской юридической литературы. Известно, что ему принадлежит фундаментальный труд, „История грузинского права", который был опубликован в дух частях.

В данной статье утверждается, что И.А. Джавахишвили способствовал развитию грузинской юриспруденции по верному пути, и этот фундамент оказался настолько прочным, что современная прововая наука до сих пор твердо стоит на этой национальной основе.

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, სრული კრებული XII ტ., ტ. VI, თბ. 1982 წ.
2. ივ. ჯავახიშვილი, სრული კრებული XII ტ., ტ. VII, თბ. 1984 წ.
3. სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა, თბილისი, 1984 წ.

სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მედეა ლომინაშვილი [1]

ადგილობრივი ბიუჯეტის როლი იმერეთის მხარის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევის საქმეში

გარდამავალი პერიოდის საქართველოს ურთულეს პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონალურ დონეზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რეგიონის განვითარებაში არსებული დისპროპორციები, რომელმაც მწვავე გამოვლინება ჰპოვა გარდამავალი კრიზისული პროცესების ფონზე. რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის დეპრესიულობის უფრო თვალსაჩინოდ ასახვის მიზნით საჭიროა რეგიონალური სიტუაციის ცალ-ცალკე გაანალიზება, თუმცა ახლა ძნელად თუ ვინმეს გააკვირვებს ეკონომიკური დაცემის და დეგრადაციის ფაქტების გამოვლენა, უფრო მეტიც, უკვე მოსაბეზრებელიც კი გახდა მასობრივი ინფორმაციის წყაროების მხრიდან ამ ფაქტების გაშუქება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მსგავსმა ინფორმაციამ შეიძლება უბიძგოს მართებული გადაწყვეტილების იმპულსის მიღებისაკენ, ამისათვის ანალიზი უნდა იძლეოდეს ტერიტორიის ეკონომიკური მდგომარეობის რაოდენობრივ შეფასებას, რომელიც მოგვცემს რეგიონის რეალური ეკონომიკური შესაძლებლობების დანახვის საშუალებას. ეს საკითხი იმდენად აქტუალურია, რამდენადაც ცალკეულ რეგიონს შეაქვს გარკვეული წვლილი ქვეყნის ეკონომიკური კლიმატის ფორმირების საქმეში.

ცენტრალიზებულ-გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი, განსაკუთრებით მძიმე იმერეთის მხარისათვის, როგორც მთლიანად საქართველოში, იყო 1992-1994 წლებში. 1995-1998

[1] იბეჭდება, როგორც „ფინანსების და კრედიტის" კათედრის ასპირანტის ნაშრომი. ხელმძ. ეკონ. მ/დ, პროფ. რევაზ კაკულია.

წლებში შეიმჩნეოდა მეტ-ნაკლებად სტაბილური და აღმავალი განვითარება, რომელიც 1999 წლის ბიუჯეტის დეფიციტით შეიცვალა. საბიუჯეტო კრიზისი სწორედ ამ ტრანსფორმაციულ პროცესებს უკავშირდება, რომელსაც საფუძველი 90-იან წლებში ჩაეყარა. ქვეყნის ახალი გზით წაყვანისათვის საჭირო იყო რადიკალური ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მისი ისეთი სეგმენტის ჩამოყალიბებას, როგორიცაა ადგილობრივი, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ოპტიმალური მექანიზმი, რაზეც ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა. ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდმა მკაფიოდ გვიჩვენა, რომ საბიუჯეტო პოლიტიკის ცივილიზებული მოდელის შემუშავება-რეალიზაციამდე ჯერ კიდევ შორს ვართ. საბიუჯეტო სისტემის სტაბილურობის მიღწევის პირობაა თითოეული რეგიონის ბიუჯეტისთვის საკუთარი და მარეგულირებელი შემოსავლების სწორი განსაზღვრა. ამასთანავე საჭიროებისამებრ ხდება მათი დაფინანსება ზემდგომი ბიუჯეტის მიერ, მაგრამ მთავარი არის მაინც საკუთარი საშემოსავლო წყაროებით უზრუნველყოფა, ამასთან დაკავშირებით 2000 წლის იმერეთის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტის დამტკიცებისას გაჟღერდა ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსული თანხების მთლიანად მათ განკარგულებაში დარჩენის საკითხი, რამეთუ ქვეყანაში გამძაფრებულმა საბიუჯეტო კრიზისმა გაართულა ცენტრალური ბიუჯეტის მხრიდან ტერიტორიული ერთეულების დაფინანსების საკითხი. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემების გაანალიზებისას (ცხრილი 1) თვალსაჩინო და გამჭვირვალეა იმერეთის ცალკეულ რეგიონზე ტრანსფერტის გადაცემის დინამიკა, ჯერ კიდევ 1998 წელს იმერეთის რეგიონზე გაუცემელმა ტრანსფერტებმა შეადგინა 2079,0 ათასი ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებული თანხის 26,6 პროცენტია, ხოლო 1999 წელს მისი სიდიდე იყო 2696,0 ათასი ლარი. მაშასადამე, 1999 წლის მონაცემებით იმერეთის მხარეს დააკლდა გადასაცემი ტრანსფერტის 30,3 პროცენტი, ამ უკანასკნელს დაემატა ბიუჯეტის 5983,0 ათასი ლარით - 16,85 პროცენტით შეუსრულებლობა (ცხრილი 2), შედეგად იმერეთის მხარე დადგა ისეთი პრობლემის წინაშე, როგორიცაა გაუცემელი პენსიები, დახმარებები, განათლების მუშაკთა ხელფასები და სხვა. ტერიტორიული ერთეულების ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხს კიდევ უფრო მეტი საშიშროების წინაშე აყენებს 2000 წლის ბიუჯეტის დამტკი-

ცების დაგვიანებული პროცესი.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ადგილობრივ ბიუჯეტებზე მიმაგრებული გადასახადები საკმარისი არ არის მათზე დაკისრებული ამოცანების დასაფინანსებლად. მაშასადამე, ტერიტორიული ერთეულების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჭიროა მათთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება, დღესდღეობით, პირიქით, იზრდება ცენტრალურ ბიუჯეტთან დამოკიდებულების საკითხი. ეს უკანასკნელი ხდება ტერიტორიული ერთეულების მხრიდან სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამების დაუფინანსებლობის მიზეზი.

იმერეთის მხარის ტერიტორიულ ერთეულებზე ბიუჯეტიდან ტრანსფერტების გადაცემის დინამიკა

ტერიტორიული ერთეულების დასახელება	1997			1998			1999			
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	პროექტი
იმერეთის მხარე	5916.0	5679.7	96.0	7811.0	5732.0	73.4	8887.0	6191.0	69.7	11535.0
ქუთაისი	1805.0	1700.0	94.2	2600.0	1890.0	72.7	1960.0	1517.0	77.4	3630.0
ქ. ჭიათურის ზონა	906.0	806.0	89.0	865.0	865.0	100	978.0	663.0	67.8	1080.0
ქ. ტყიბული	623.0	681.7	109.4	666.0	575.0	86.3	944.0	630.0	66.7	975.0
ქ. წყალტუბოს ზონა	348.0	348.0	100	603.0	334.0	503.2	743.0	533.0	71.7	1010.0
ბაღდათის რაიონი	258.0	258.0	100	306.0	215.0	702.6	455.0	325.0	71.4	630.0
ვანის რაიონი	146.0	146.0	100	380.0	335.0	88.2	431.0	314.0	72.9	650.0
ზესტაფონის რაიონი	100.0	100.0	100	48.0	20.0	41.7	313.0	61.0	19.5	280.0
თერჯოლის რაიონი	328.0	328.0	100	396.0	265.0	66.9	591.0	410.00	69.4	690.0
სამტრედიის რაიონი	50.0	50.0	100	382.0	171.0	44.8	382.0	145.0	38.0	180.0
საჩხერის რაიონი	634.0	544.0	85.8	555.0	320.0	57.7	792.0	602.0	76.0	900.0
ხარაგაულის რაიონი	441.0	441.0	100	533.0	391.0	73.4	630.0	485.0	77.0	780.0
ხონის რაიონი	227.0	227.0	100	477.0	351.0	73.6	668.0	506.0	75.7	730.0

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

რეალურად ადგილობრივი საბიუჯეტო სისტემის მოწყობა უკავშირდება საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებას, რაც გულისხმობს მათზე ისეთი საშემოსავლო წყაროების მიმაგრებას, რომლითაც მიღწეული იქნება საჭირო ოდენობის საბიუჯეტო შემოსავლების მიღება, ანუ დღევანდელ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შემოსავლების მაქსიმიზაცია და სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. პრობლემის აქტუალობას ხაზს უსვამს იმერეთის რეგიონებისა და ქალაქების 1998-99 წლების კლებადი საშემოსავლო მაჩვენებლები. თუ 1998 წელს მისმა გეგმიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 30955,5 ათასი ლარი, ფაქტიური თანხა იყო 30862,5 ათასი ლარი, ანუ საშუალოდ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი იყო მაღალი - 99,69 პროცენტი, 1999 წელს შემოსავლების გაუმჯობესების ნაცვლად დაფიქსირდა მისი 83,15 პროცენტით შესრულება, ე.ი. წინა წელთან შედარებით ბიუჯეტის დეფიციტი გაიზარდა 16,54 პროცენტამდე (ცხრილი 2). ბიუჯეტის შემოსავლების არასტაბილურობის გამო აქცენტი უნდა გაკეთდეს ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ზოგიერთი გადასახადის წილობრივი სიდიდის ცვლილებაზე.

იმერეთის რაიონის საბიუჯეტო შემოსავლები 1998-2000 წლებში (ათას ლარებში)

ცხრილი №2

რაიონის დასახელება	სულ შემოსავლები						2000 წ. პროექტი
	1998 წელი			1999 წელი			
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	
ქუთაისი	14609.6	14674.7	100.4	15960.0	12971.2	81.3	15000.0
სამტრედია	3104.2	3268.2	105.3	3623.6	3638.6	100.4	3800.0
წყალტუბო	1932.5	2056.7	106.3	2123.0	2191.4	103.2	2351.0
ტყიბული	908.1	706.9	77.8	954.7	678.9	709.34	1046.0
ბაღდათი	792.3	805.0	101.6	810.0	811.2	100.1	930.0
ზესტაფონი	3864.0	4363.4	112.9	3662.3	3255.6	88.9	3795.0
თეკოლა	1605.00	1307.4	81.5	2068.2	1333.9	64.5	1700.0
ხონი	659.7	586.1	88.4	614.0	619.4	100.9	1000.0
ვანი	848.8	867.7	102.2	1136.4	793.7	69.8	1100.0
ხარაგაული	405.0	386.7	95.5	588.5	358.8	60.97	550.0
ჭიათურა	1627.0	1161.7	71.4	3111.9	2225.5	71.5	4200.0
საჩხერე	599.3	678.0	113.1	854.0	645.0	75.5	900.0
სულ იმერეთის მხარე	30955.5	30862.5	99.69	35506.6	29523.2	83.15	36372.0

წყარო: იმერეთის მხარის ეკონომიკის დეპარტამენტის დაცული მუხლების მონაცემები.

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ საბიუჯეტო დეფიციტის მიზეზი მხოლოდ ზემოთ თქმული არ არის, როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე იმერეთში. უკანასკნელს ამწვავებს ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი ხვედრითი წონა და გადამხდელთა დაბალი საგადასახადო კულტურა,

რაც ხშირად ხდება ქვეყანაში ეკონომიკური დესტაბილიზაციის მიზეზი და ქვეყანა დგება სოციალური პრობლემების წინაშე. ამ სფეროს რეორგანიზაციაში არც თუ უმნიშვნელო წვლილი დაკისრებული აქვთ ადგილობრივი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობას. მათ დონეზე უნდა განისაზღვროს რამოდენიმე წლის სოციალურად ორიენტირებული პროგრამები, რაც მეტად რთული და საპასუხისმგებლო მისიაა, რომელიც მოითხოვს დიდ ენერგიასა და ფინანსებს, ეს იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მეტი ავტონომიურობის მინიჭების საკითხის წამოჭრის საბაბს.

Medea Lominashvili

LOCAL BUDGET'S ROLE ABOUT THE COPE OF SOCIAL END ECONOMICAL PROBLEMS IN THE REGION OF IMERETI

At present the problem of budget order in Georgia is sharp work and needs ugent maintenance, both in the seperate regional levels as well.

We can note, that it's the main problem. Cardinally must be changed the prinsiple of budget working out. All first policy must be defined and then the ground economic programme must be worked out.

In 1995-98 more or less rising budget was changed by budget crisis. The deficit in the region of Imereti included 5.9834 thousand lari. Situation was strained by the delayed process of passing budget for 2000.

Fore going gives us ground to say, that reform changes taken place letely proved to be nonadequate of existant situation and their further perfect is urgent.

ლიტერატურა:

1. იმერეთის მხარის ეკონომიკის დეპარტამენტის 1998-1999 წლებისა და 2000 წლის პროექტის დაცული მუხლების საპასპორტო მონაცემები.

2. В.Н.Лексин А.Н. Швецов "Государство и регионы", Масква. 1995 г. стр.: 15-63.

ფინანსებისა და კრედიტების კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ნიკოლოზ ლომთაძე [1]

მიმოქცევაში ქაღალდის ფულის დამკვიდრება ევროპასა და აშშ-ში

(კრედიტი არის ძალა, რომელიც შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ შეუძ-ლებელია კონსტრუირებულ იქნას)

მას შემდეგ, რაც მოიპოვება წერილობითი დოკუმენტები, ე.ი. უკვე 3000 წლის წინ, ძვირფასი მეტალები უწევდნენ ადამიანებს ფულის მაგივრობას. უძველესი თიხის ფირფიტები ჩვ.წ.აღ-მდე 3 ათასწლეულიდან მოწმობენ, რომ უკვე იყიდებოდა მინდვრები ვერცხლზე. ვერცხლი უძვე-ლესი დროიდან ასრულებდა ფულის ფუნქციას. ფულის განვითარების ისტორიისთვის ოქრო თამაშობდა მეორეხარისხოვან როლს ვერცხლთან შედარებით. და საერთოდ, ძვირფას მეტალებს გაცილებით დიდი ისტორია აქვთ ქაღალდის ფულთან შედარებით.

იმ დროს, როცა 17-18 საუკუნეებში მიმოქცევაში შემოვიდა ოქროს ვალუტა და თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მე-19 საუკუნეში, ვითარდებოდა აგრეთვე ქაღალდის ფული.

დამრგვალებული რაოდენობის გამომხატველი, დაბეჭდილი ქაღალდის ფული ევროპაში პირველად შვეიცარიაში გამოვიდა მიმოქცევაში 1661 წელს. მაგრამ მე-17 საუკუნეში გამოგონება ქაღალდის ფული ჯერ კიდევ ჰაერში იყო გამოკიდებული. ქაღალდის ფულის პირველმა ნაკადმა ვერ ჰპოვა სწრაფი გავრცელება, რადგან იგი ასოცირდებოდა მიმოქცევაში მყოფ თამასუქებთან. ქაღალდის ფული უფლებამოსილებას აძლევდა მის მფლობელს, მიეღო იმ დროისათვის შვეიცარიაში მიმოქცევაში მყოფი სპი-ლენძის ფულის განსაზღვრული რაოდენობა. ამ ეკონომიკური ინსტრუ-მენტის გამომგონებელი იყო იოჰან პალმსტრუხი, რომელიც წარმოშობით იყო რიგიდან და იმ დროისათვის მსახურობდა შვეიცარიის მეფის კარზე.

---

[1] გერმანიის რესპუბლიკის ქ. საარბრიუკენის უნივერსიტეტის სტუდენტი და პროფ. რ. კაკულიას ასპირანტი.

ქაღალდის ფულის უპირატესობას წარმოადგენდა მისი დაბალი წონა სპილენძის ფულთან შედარებით; 10 ტალერიანი სპილენძის მონეტა იწონიდა დაახლოებით 20 კგ-ს, 2 ტალერიანი - 3,5 კგ-ს. ქაღალდის ფული, თავისი დაბალი წონის გამო, შესაძლებლობას ქმნიდა, გადაჭრილიყო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ბანკნოტების განაღდება ხდებოდა სტოკჰოლმის ბანკის მიერ ("Stockholm Banco"). ბანკნოტების გასანაღდებლად აუცილებელი სპილენძის რაოდენობა, რეზერვად შენახვის ნაცვლად დაგირავებულ იქნა ბანკის მიერ. ამიტომ უკვე 2 წლის შემდეგ 1663 წელს ბანკს აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ბანკნოტების განაღდება. ამის გამო 1664 წელს სტოკჰოლმის ბანკი დაიხურა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1661 წლამდეც არსებობდნენ ქაღალდის ბანკნოტები, მაგრამ მხოლოდ როგორც სადეპოზიტო ბარათები ღირებულების გამოხატვის წილადური ფორმით. სიახლე პალმსტრუხის კონსტრუქციაში იყო ის, რომ ბანკნოტები

- გამოსახავდნენ ღირებულების დამრგვალებულ ერთეულს
- იყვნენ დაბეჭდილნი

ამ ბანკნოტებზე, გარდამავალი ჩეკებისგან განსხვავებით, არ იყო დაფიქსირებული გაცემული იყვნენ ისინი ბანკში არსებული ძვირფასი ლითონის მარაგის საფუძველზე, თუ ბანკის მიერ შექმნილი კრედიტით. ეს კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საკრედიტო ურთიერთობების განვითარებისთვის.

ბანკნოტების გამომშვები შემდეგი ბანკი იყო ინგლისის ბანკი ("Bank of England"), რომელიც დაარსდა 1694 წელს. საკუთარი ვალის ასანაზღაურებლად, რომელიც შეადგენდა 1,2 მლნ. ფუნტს, მთავრობამ ინგლისის ბანკს მიანიჭა უფლება, გამოეშვა ქაღალდის ფული, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება განაღდებულიყო მეტალის მონეტებით. მიუხედავად არადივერსიფიცირებული პორტფელისა, ბანკის სოლვენტობის გარანტს წარმოადგენდა ნდობა სახელმწიფოსადმი.

100 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ინგლისის ბანკის ბანკნოტები მიმოქცევაში და მათი განაღდება შესაძლებელი იყო ვერცხლით ან ოქროთი. 1797-დან 1820 წლამდე საფრანგეთთან ომის გამო მოხდა ბანკნოტების განაღდების სუსპენდირება. იგივე განმეორდა პირველი მსოფლიო

ომის პერიოდში 1914-1918 და ომისშემდგომ წლებში 1925 წლამდე. 1925 წლიდან შეწყდა ინგლისის ბანკის ბანკნოტების განაღდება მხოლოდ ოქროს მონეტებით, ხოლო 1931 წელს შეწყდა საერთოდ ოქროთი განაღდება.

ჯონ კენტ გოლბრაითი თავის წიგნში - ფული, საიდან მოდის ის და საით მიდის - აღნიშნავს: „თუ სავაჭრო ბანკების ისტორია ეკუთვნის იტალიელებს და ცენტრალური ბანკის - ინგლისელებს, მაშინ მთავრობის მიერ გამოცემული ქაღალდის ფულის ისტორია ეჭვგარეშე ეკუთვნის ამერიკელებს."

უკვე 1690 წელს უშვებდა მასაჩუსეტის კოლონია 10 შილინგიან კუპიურებს, რომელთა განაღდება სახელმწიფო სალაროებში 5%-იანი პრემიით ხდებოდა. მალე დანარჩენმა კოლონიებმაც მიბაძეს მასაჩუსეტს. 1751 წელს ინგლისის პარლამენტმა აკრძალა ქაღალდის ფულის გამოცემა ნიუინგლენდში (ინგლისის კოლონია ამერიკაში) და შემდეგ დანარჩენ კოლონიებშიც.

აგრეთვე კანადაში, საფრანგეთის კოლონიებში, 1685 წლიდან უკვე გამოიცემოდა „სათამაშო კარტის ფული". ჯარისკაცებისათვის გადასაცემი სოლდების ტრანსპორტირება გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელი დე მიულე მივიდა დასკვნამდე, რომ მიმოქცევაში მყოფ კარტის ფულზე გაეკეთებინა თავისი ხელმოწერა; ამით იგი იძლეოდა პირად გარანტიას განაღდებაზე. ამ მცდელობამ მართლაც გაამართლა, როგორც მიულე აღნიშნავდა საფრანგეთის მთავრობისადმი გაკეთებულ მოხსენებებში. სათამაშო კარტის ფული 1685 წლიდან მე-18 საუკუნის შუახანებამდე დარჩა მიმოქცევაში კანადაში (საფრანგეთის კოლონიებში).

ამერიკაში სამოქალაქო ომის დაწყებასთან ერთად ქაღალდის ფულის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი - ჭენებითი ინფლაცია.

1775-1779 წლებში ამერიკის კონგრესმა გამოსცა „ბილზ ოვ კრედიტი" ("bills of credit" ანუ იგივე "continental money"), 1781 წელს ღირებულებითი თანაფარდობების შემოწმებისას უცხოურ ვალუტებთან, ფულის კურსმა შეადგინა თავდაპირველი ღირებულების 1%. ამის გამო მოხდა „ბილს ოვ კრედიტის" რეპუდირება ანუ მიმოქცევიდან მისი ამოღება.

აშშ-ში ქაღალდის ფულის წარუმატებელი სტარტის შემდეგ მისი რო-

ლი შემდგომ წლებში საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკაში იმატა მცირე კერძო ბანკების რაოდენობამ: 329 ბანკი - 1829 წელს, 1600 ბანკი - 1861 წელს. 1600-მა ბანკმა გამოუშვა 7000 სხვადასხვა სახის ბანკნოტები, რომელთაგან 5000 გაყალბებულ იქნა.

აშშ-ში ჭენებითი ინფლაციის პერიოდი, რომელიც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, დაიწყო სამოქალაქო ომის დაწყებასთან ერთად და მისი ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ომის დაფინანსება ხდებოდა სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ქაღალდის ფულით "გრინბეკი", რომელიც წარმოადგენდა კანონიერ საგადამხდელო საშუალებას და ეროვნული ბანკების მიერ გამოშვებული ბანკნოტებით, რომელთა განაღდებაც შეიძლებოდა "გრინბეკით". მაშინ, როცა სხვა ბანკნოტების ღირებულება 43-ჯერ დაეცა, გრინბეკმა შეძლო შედარებით შეენარჩუნებინა თავისი კურსი; მისი ღირებულება მხოლოდ 2-ჯერ დაეცა. 1879 წლის 1 იანვრიდან იგი უკვე შეიძლებოდა ოქროთი განაღდებულიყო ისე, რომ მისი რაოდენობა მიმოქცევაში არ შემცირებულა.

1913 წელს ძალაში შევიდა ფედერალური სარეზერვო აქტი და 1914 წელს დაარსდა ფედერალური სარეზერვო სისტემა. მის მიერ გამოცემული ბანკნოტების მოცულობა ძალიან მცირე იყო და მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია დიდ მასშტაბებს.

საფრანგეთში ქაღალდის ფულის გამოშვებასთან დაკავშირებული პირველი ნაბიჯები უკავშირდება შოტენ ჯონ ლოს სახელს. მან 1716 წელს დააარსა გენერალური ბანკი ("Banque Gènérale"), რომლის ფუნქციონირება წარიმართა ინგლისის ბანკის მოქმედების პრინციპით. გენერალურმა ბანკმა თავის თავზე აიღო სახელმწიფო ვალის ნაწილი და გამოსცა ბანკნოტები, რომელთა განაღდება შესაძლებელი იყო მიმოქცევაში მყოფი მონეტებით. ჯონ ლომ მოახერხა შეექმნა სპეკულატიური ჰავა, რის გამოც გენერალური ბანკის და ბანკთან არსებული საზოგადოებების აქციებმა საკმაო წონა შეიძინეს. თანდათან ბანკნოტებმა მყარად მოიკიდა ფეხი მიმოქცევაში. ამას ხელი შეუწყო მეტალის მონეტების 2-ჯერ შეცვლამაც. ისინი გამოცხადდა გაუქმებულად და შეიცვალა ახლად გამოშვებული მონეტებით, რა თქმა უნდა, ნაწილობრივი პროცენტული დაქვითვის ხარჯზე, რაც ნიშნავდა მეტალის ფულის მფლობელთა დაბეგვრას. სწორედ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზით ამოღებული თანხის საფუძველზე ხდებოდა ბანკნოტების გასანაღდებელი თანხის უზრუნველყოფა.

მაგრამ ბანკმა ვერ შესძლო დაეძლია დაკისრებული ამოცანა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფო ვალი დაეფარათ ბანკნოტებითა და აქციებით. ბანკნოტებზე მოთხოვნა რომ გაზრდილიყო, მათ უნდა შეესრულებინათ ფულის ფუნქციები და მიმოქცევაში უნდა დაეჭირათ მონეტების ადგილი. ამიტომ აკრძალულ იქნა გადახდა მეტალის მონეტებით და საბოლოოდ 1720 წლის 1 მაისს აიკრძალა ოქროთი გადახდაც. მიმოქცევაში მყოფ ქაღალდებზე კონტროლის შესანარჩუნებლად გამოცემულმა კანონმა 1720 წლის 21 მაისს, რომელიც ანახევრებდა ბანკნოტების ღირებულებას, კრახი განიცადა. უკვე მეორე დღეს მილიარდობით ღირებულების აქციებმა და ბანკნოტებმა დაკარგეს თავიანთი ღირებულება. ასეთი გამოცდების შემდეგ მომდევნო ათწლეულებში ქაღალდის ფულმა ველარ მოიკიდა ფეხი. მხოლოდ 1776 წელს კვლავ დაარსდა ბანკი, რომელმაც მოახდინა ბანკნოტების ემისია. 1793 წელს ბანკი დაიხურა და მოხდა მისი ბანკნოტების განაღდება ასიგნატებით. ასიგნატებზე დიდ დაწოლას ახდენდა მიმოქცევაში მყოფი ფულის დიდი რაოდენობა, ამის გამო მისი ფასი თანდათან ეცემოდა.

1793 წელს იმ პირს, რომელიც განსხვავებულ ფასებს მოითხოვდა ასიგნატებითა და მეტალის მონეტებით გადახდის დროს, ელოდა 6 წელი პატიმრობა. 1794 წლის მაისში გამოცემული კანონის თანახმად სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა ყველას, ვინც კი სავაჭრო გარიგებაში მიუთითებდა მონეტებით მომხდარიყო გადახდა თუ ასიგნატებით. ამ "ტერორისტულ" რეჟიმს ბოლო მოეღო 1794 წლის 27 ივნისს რობესპიერის სიკვდილით დასჯის შემდეგ.

1796 წელს იყო მცდელობა აღდგენილიყო ნდობა დისკრედიტირებული ქაღალდის ფულის მიმართ. ამისათვის მას ეწოდა ახალი სახელი --- "ტერიტორიალური მანდატი", მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვე აღარ შეიძლებოდა მოსახლეობის იძულება აეღოთ ქაღალდის ფული, რადგან ასიგნატებმაც და ტერიტორიალურმა მანდატმაც სრულიად დაკარგეს თავიანთი ღირებულება ჭენებითი ინფლაციის გამო.

1800 წელს დაარსებულ იქნა საფრანგეთის ბანკი ("Banuqe de France"),

რომელსაც 1803 წელს მონოპოლია ჰქონდა პარიზში და 1848 წელს უკვე მთელს საფრანგეთში ბანკნოტების გამოშვებაზე. პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან საფრანგეთის ბანკმა მოიშორა ვალდებულება მეტალის მონეტებით გაენაღდებინა თავისი ბანკნოტები, ხოლო საბოლოოდ ოქროთი განაღდება შეწყდა 1936 წელს.

გერმანიაში რაიხის დაარსებისას 1871 წელს არსებობდა 33 სანოტო ბანკი, რომლებიც უშვებდა ბანკნოტებს. ამ ბანკებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ავსტრიის ეროვნული ბანკი ("Die osterreichishc Nationalbank"). და პრუსიის ბანკი (Die Preußische Bank"). ავსტრიის ეროვნული ბანკი დაარსებულ იქნა 1816 წელს და ჰქონდა ბანკნოტების მიმოქცევის ყველაზე დიდი მოცულობა. პრუსიის ბანკმა მოქმედება დაიწყო 1847 წელს და მისი ბანკნოტების განაღდება შეიძლებოდა მეტალის მონეტებით სხვა ბანკების სალაროებშიც, თუმცა ისინი არ წარმოადგენდნენ კანონიერ საგადამხდელო საშუალებას. პრუსიის ბანკის წინამორბედს წარმოადგენდა პრუსიაში 1765 წელს დაარსებული სამეფო ბანკი ("Königliche Bank"), რომელმაც 1766 წელს მიიღო ბანკნოტების გამოშვების უფლება. 1806 წელს ნაპოლეონთან ომის დროს ბანკმა შეაჩერა ბანკნოტების გამოცემა და კვლავ განაახლა 1820 წელს, მაგრამ ძალიან შეზღუდული რაოდენობით.

რაიხის დაარსების შემდეგ 1875 წლის 14 მარტს დაარსდა რაიხის ბანკი ("Reichsbank"), რომელმაც მოქმედება დაიწყო 1876 წლის 1 იანვარს. ამ ბანკის მიერ გამოშვებული ბანკნოტები 1909 წელს გახდა კანონიერი საგადამხდელო საშუალება და მიმოქცევაში იმყოფებოდა სხვა ბანკნოტებთან ერთად, რომელთა რაოდენობა საკმაოდ შეზღუდული იყო. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დროს შეწყდა ბანკნოტების ოქროთი განაღდება.

პირველი მსოფლიო ომის დროს და განსაკუთრებით ომის შემდგომ წლებში 1923 წლამდე მოხდა რაიხსბანკნოტების დიდი მოცულობის ემისია და საბოლოოდ 1923 წლის დეკემბერში მიაღწია 496 ტრილიონ მარკას. ასეთი დიდი ემისიის გამო მოხდა ფასების ძალიან სწრაფი და არანორმალური ზრდა, რამაც ჰიპერ-ინფლაციის ძლიერი ტალღა გამოიწვია.

ფულის მზარდი გაუფასურების გამო ხალხი გადავიდა ნატურალურ-გაცვლაზე. საშინელი კრახი განიცადა საკრედიტო ბიზნესმა. კრედიტები გაიცემოდა 1 დღიანი ვადით და საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 10% დღეში. 130 სტამბა და 30 ქაღალდის ფაბრიკა იყო დაკავებული საემისიო ბანკნოტების ბეჭდვით და მოთხოვნილება დღითიდღე იზრდებოდა. ინფლაციის ასეთი მაღალი დონე გამოიწვია მიმოქცევაში დიდი ფულადი მასის დაგროვებამ. ამის ძირითადი მიზეზი იყო რაიხის დეფიციტი, რომელიც დაფარულ იქნა ხაზინის ხარჯზე და ამიტომ 1919-1923 წწ ხაზინამ დაკარგა ქონების ნახევარი. რაიხის დეფიციტს ჰქონდა სხვადასხვა მიზეზები, მათ შორის: 1918 წლის რევოლუცია, გერმანიის დასავლეთ საზღვარზე საბაჟო კონტროლის გადასვლა საფრანგეთის ხელში და რურის ოლქის დაკარგვა.

1923 წელს დაფიქსირდა დოლარის კურსი მარკასთან მიმართებაში და 1 ოქროს დოლარმა შეადგინა 4,2 მილიონი მარკა, რის საფუძველზედაც 1923 წლის ნოემბერში შეწყდა კრედიტების გაცემა რაიხის მიმართ, ამით შეჩერებულ იქნა ინფლაციის პროცესი. 1924 წელს მოხდა დოლარის შესასყიდი კურსის ზედა და ქვედა ზღვრის დაფიქსირება. 1930 წელს უკვე შეიძლებოდა რაიხსმარკის ოქროთი განაღდება.

Nikoloz Lomtadze

PAPER MANEY APPEARANCE IN THE USA AND EUROPE

Abstract

Centuries ago precious metal was used instead of maney.

Gold currency appeared in XVII-XVIII cc and its final development took place in XIX c. It also was the time when papermoney appeared.

In Europe printed paper money first appeared in Sweden in 1661. Its greatest advantage was very low weight and was very convinient for transportation.

Bank-notes' further production was made by the English Bank and these bank-notes had been in use for 100 years.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. რ. კაკულია, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, თბ., 1996 წ.

2. რ. კაკულია, ფინანსების საფუძვლები, თბ. 1999 წ.

3. რ. კაკულია, გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2000 წ.

3. Friedman, Milton; Schwatz, Anna Jacobson: "A Monetary History of the United States 1867-1960", Princeton, 1971.

4. Bagehot, Walter: "Lombard Street, A Description of the Money Market", Homewood 1962.

5. Studensky, Paul; Kross, Hermann E.: "Financial History of the United States", New York, Toronto, London 1952.

6. Stucken, Rudolf: "Deutsche Geld- und Kreditpolitik 1914-1963", Tübingen 1964.

7. Deutsche Bundesbank: "Von der Königlichen Bank zur Deutschen Reichsbank" 1940.

8. Borchart, Knut: "Währungs- und Finanzpolitik von der Reichsgründung bis zum I. Weltkrieg", Frankfurt, 1976.

9. Gabraith, John Kennth: "Geld. Woher es kommt, wohin es geht", München/Zürich 1976.

ფინანსების და კრედიტების კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ზოია რამიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი II ინტერნაციონალის კონფერენციებზე (1919 წ)

1998 წლის 26 მაისს დღის 5 საათსა და 10 წუთზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა და ეს ამბავი რესპუბლიკის მთავრობამ იმავე დღეს უცხოეთის სახელმწიფოებს აცნობა. მაგრამ, თითქმის მთელი წლინახევრის მანძილზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ცნო მხოლოდ სამმა ქვეყანამ, კერძოდ, თურქეთმა, 1918 წლის 26 მაისს დე ფაქტოდ და 3 ივნისს დე იურედ; გერმანიამ და ავსტრიამ - 1918 წლის 10 და 18 ივნისს, დე ფაქტო. ამიტომ საქართველო სრულიად სამართლიანად ცდილობდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისათვის თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ნებისმიერი სახის საერთაშორისო ფორუმები. ამის ნათელი დადასტურება იყო რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა ევროპის სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობისათვის, მისი ცდები პარიზის (ვერსალი) საერთაშორისო საზავო კონფერენციაში (1919 წლის იანვარი - 1920 წლის იანვარი) მონაწილეობის მისაღებად, საერთაშორისო ორგანიზაციის - ერთა ლიგის სრულუფლებიან წევრად საქართველოს მიღებისათვის და სხვ. მაგრამ I მსოფლიო ომის მიმდინარეობის გამო საქართველოდან ევროპაში მიმოსვლა თითქმის შეუძლებელი, ხოლო ევროპის სახელმწიფოებთან საქართველოსათვის აუცილებელი ურთიერთობის დამყარება უაღრესად გართულებული იყო.

რესპუბლიკის მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის აზრით, რათა მომენტი ხელიდან არ ყოფილიყო გაშვებული, საჭირო იყო ევროპის სოციალისტებთან, პირველ რიგში კი II ინტერნაციონალთან კავშირის გაბმა, მასთან მუშაობის გაწევითა და მისი მორალური დახმარებით ევროპის სახელმწიფოების მხრიდან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობის

ალიარება. სწორედ ამ მიზნით 1918 წლის ოქტომბერში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სპეციალური მემორანდუმით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თავისი ერთი წევრის გაგზავნის შესახებ, რომელიც მიმართული იქნებოდა სოციალისტური ინტერნაციონალისა და მის ყველა სექციისადმი. ასეთი ქმედებით ჩვენი ქვეყნის ოფიციალური დიპლომატიის გვერდით პარტია მიზნად ისახავდა პროპაგანდისტულ მუშაობას ევროპის სახელმწიფოების სოციალისტურ წრეებში, მის პარალელურად, კი ცდილობდა ნიადაგი მოემზადებინა, რათა ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ შედგენილ მემორანდუმში მოკლედ იყო გაშუქებული საქართველოსა და მისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორია, იმ დროინდელი საერთაშორისო ვითარება და ის პირობები, რომლებიც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა: „რევოლუციის ქარცეცხლში, - ხაზგასმული იყო მემორანდუმში, - გამოსჭედა ჩვენმა ხალხმა თავის სახელმწიფო და მან გადასწყვიტა მთელი თავის ძალღონით ბოლომდე დაიცვას იმ სახელმწიფოს არსებობა. ამაში ის ხედავს ერთადერთ საწინდარს თავის არსებობის შენახვისას და კულტურული განვითარების შესაძლებლობას" [1,4].

ევროპაში წასვლა და მემორანდუმის დანიშნულებისამებრ გადაცემა დაევალა ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს კონსტანტინე გვარჯალაძეს.

მემორანდუმი (ნოე ჟორდანიას კერძო წერილთან ერთად), პირველ რიგში, გადაეცათ ევროპის საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის თვალსაჩინო მოღვაწეებს, კერძოდ გერმანიაში: შეიდემანს, კაუცკის, ბერნშტეინს, ჰაასზეს და სხვ. (აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიას მანამდეც ჰყავდა გაგზავნილი თავისი წარმომადგენელი გერმანიაში - ვლადიმერ ახმეტელაშვილი, შემდგომში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში); სკანდინავიის ქვეყნებში - დანიაში - შტაუნინგს, ჰიუსმანს (II ინტერნაციონალის მაშინდელ მდივანს); შვეციაში-ბრანტინგს; ინგლისში-ჰაიდმანს (მან, თავის მხრივ, მემორანდუმი გააცნო ლაბურ პარტიის გენერალურ მდივანს მიდლეტონს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ლის და იმ

დროს ლონდონში მყოფ ბელგიელ სოციალისტებს ანსელესა და ბანდერველ-ს, აგრეთვე ფრანგ სოციალისტს ლონგეს); საფრანგეთში რენოდელსა და ბრიუკერს და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებში სოციალისტებს შორის გაწეულმა მუშაობამ სასურველი შედეგიც გამოიღო და ევროპელმა 1919 წლის II ინტერნაციონალის საერთაშორისო კონფერენციებზე სოციალისტებმა დიდი თანადგომა გაუწიეს ქართველ სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მხარდაჭერის საკითხში.

პირველი დიდი საერთაშორისო ფორუმი, სადაც ქართული დელეგაციის მონაწილეობით განხილულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი, მოწვეული იქნა 1919 წლის აპრილში II ინტერნაციონალის ბერნის (შვეიცარია) სოციალისტური) კონფერენციის, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკაკი ჩხენკელი (შემდგომში საქართველოს სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენელი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) და ხარიტონ შავიშვილი (შემდგომში საქართველოს წარმომადგენელი შვეიცარიასა და ერთა ლიგაში).

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა აკ. ჩხენკელმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ჯერჯერობით არ ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩვენს მხარეში, – აღნიშნა მან, – უმთავრეს როლს თამაშობენ სოციალისტები, რომელთაც არ სურთ გვცნონ, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად დამოუკიდებელნი ვართ.

მიმართა რა კონფერენციის მონაწილეებს, აკაკი ჩხენკელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის მხარე, რომლის მთავარი სახელმწიფო მოღვაწეები თავისი ამხანაგები იყვნენ, თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას ინტერნაციონალიდან მოელოდნენ და თან დარწმუნებული იყო, რომ ეს იმ დღესვე მოხდებოდა. ასეთი მორალური მხარდაჭერა კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართული დელეგაციისათვის, რომელიც შემდგომ პარიზის კონფერენციისაგან გაორკეცებული ენერგიით მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

მან კონფერენციის მონაწილეებს შეახსენა, რომ დიდ სახელმწიფოებს, როგორც ამას გაზეთები იტყობინებოდნენ, განზრახული ჰქონდათ ახლადშექმნილი სახელმწიფოებისათვის „ოპეკუნები" (მეურვეები) დაენიშნათ. ამ მიზნით ისინი აგროვებდნენ ე.წ. მანდატარიებს, რომლებიც ამ მხარეებში

უნდა გაბატონებულიყვნენ.

აკ. ჩხენკელმა, თავისი პარტიისა და ქართველი ერის სახელით, კატეგორიული პროტესტი გამოთქვა ასეთი განზრახვის წინააღმდეგ, რადგან თუ საქართველომ შეძლო ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, იგი ასევე აქტიურად შეებრძოლებოდა მთელს მსოფლიოს, იმპერიალიზმს, მხოლოდ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისა და საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით [2,2].

ქართულმა დელეგაციამ კონფერენციაზე გაიტანა რეზოლუციის პროექტი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. მას, სხვებთან ერთად, მხარი დაუჭირეს რუსმა მენშევიკებმა და ესერებმა. რეზოლუციის პროექტი ერთხმად მოიწონა სათანადო კომისიამ. რადგან რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული ახალი სახელმწიფოებისა და ერების შესახებ სხვა რეზოლუციები მზად არ იყო, ამიტომ კონფერენციის პლენუმს ქართული დელეგაციის რეზოლუცია არ განუხილავს და იგი გადასცა პერმანენტულ კომისიას, რომელმაც ადრინდელი საერთაშორისო ბიუროს ადგილი დაიკავა და რომლის შემადგენლობაში საქართველოს წარმომადგენელიც იყო შეყვანილი.

1919 წლის 6 ივნისის გაზეთის „ერთობა" მეთაურ წერილში სათაურით - „პატარა ერები და დიდი დიპლომატები" აღნიშნული იყო, რომ „ბერნის სოციალისტურმა კონფერენციამ ქებით მოიხსენია საქართველოს დემოკრატიის შეგნება და სახელმწიფოებრივი უნარი და ჩვენი დამოუკიდებლობა იცნო" [3-1].

ამ კონფერენციის მუშაობაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის შესახებ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ინფორმაციაში სათაურით - „ბერნის სოციალისტური კონფერენცია და საქართველოს დამოუკიდებლობა" იუწყებოდა, რომ საქართველოს დელეგაციამ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციას გადასცა ინტერნაციონალისადმი მიმართული რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა. რეზოლუცია რუსეთის დელეგაციასთან შეთანხმებით იყო შედგენილი, მას ხელს აწერდნენ: აქსელროდი და გავრონსკი, აგრეთვე კონფერენციის პრეზიდენტი ბრანტინგი, კონფერენციის მდივანი გიუსმანსი, ჰენდერსონი, უსტონი, რენოდელი, ალბერ ტომა და სხვ.

გაზეთში გამოქვეყნებული იყო კონფერენციის მიერ მიღებული რეზო-

ლუცია: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდების საპასუხოდ, რომელიც მიმართული იყო ინტერნაციონალისადმი ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია აცხადებს, რომ ის სთვლის საქართველოს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებად მის ნაციონალურ დამოუკიდებლობას, რომელიც ეთანხმება ხალხთა უფლების უმთავრეს დებულებას, თვითგამორკვევას, რომელიც დიდი ხანია რაც გამოაქვეყნა ინტერნაციონალმა, და რომელიც მიღებულია პრეზიდენტ ვილსონის პროგრამაში, როგორც საფუძველი ზავისა. ქართველმა ხალხმა გამოიჩინა უდავო პოლიტიკური შეგნება, როდესაც, ყველაზე მძიმე პირობების მიუხედავად, დემოკრატიული და რესპუბლიკანური წეს-წყობილება შექმნა და დამოუკიდებლად ცხოვრობდა უკვე რვა თვის განმავლობაში. ამიტომ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მოითხოვს საზავო კონფერენციისაგან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად იქნეს ცნობილი, რომელიც უარყოფს ყოველგვარ ოპეკას, როგორიც არ უნდა იყოს ის, ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოს მხრივ და რომელიც აგრეთვე უარყოფს ყოველგვარი თვალყურის დევნებას მის დემოკრატიულ დაწესებულებებზე" [5,2].

II ინტენაციონალიის კომისიამ, რომელიც არჩეულ იქნა ბერნის კონფერენციაზე, პარიზის საზავო კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისადმი მხარდაჭერა იყო გამოთქმული.

კომისია ცნობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას (1919 წლის მარტი) და მიუთითებდა, რომ ქართველმა ხალხმა დაამტკიცა თავისი პოლიტიკური ნიჭი, უცუდეს პირობებში შექმნა და განამტკიცა რესპუბლიკურ-დემოკრატიული კონსტიტუცია. კომისიამ განაცხადა, რომ ქართველი ხალხის მოთხოვნა სამართლიანი იყო და შეეფარდებოდა ვილსონის პროგრამას. ამის საფუძველზე კომისია მოითხოვდა, რომ ქართველ ხალხს მინიჭებოდა სრული დამოუკიდებლობა და განთავისუფლებულიყო უცხოეთის ყოველგვარი თავდებობისაგან [6,2].

ლონდონიდან ჩამოსულმა საქართველოს ელჩმა ინგლისში დავით ღამბაშიძემ 1919 წლის 9 ივლისს რეპუბლიკის დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში გააკეთა მოხსენება თემაზე: „საქარ-

თველოს საკითხი ევროპაში და კერძოდ საზავო კონფერენციაზე". სხვა საკითხებთან ერთად იგი ბერნის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლობის საკითხს შეეხო და აღნიშნა, რომ ქართული დელეგაციის მონაწილეობას ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის მიერ საქართველოს გაცნობის საქმეში, რადგან "... ევროპაში მასსა არ იცნობს არამც თუ საქართველოს, არამედ - მათ ხშირად ასეთი წარმოდგენა აქვთ, რომ ვენის იქით აზია არის და შავკანიანი ხალხი ცხოვრობსო. ბერნის კონფერენციის დადგენილება ჯერ ერთი რომ გავლენას იქონიებს ევროპის პოლიტიკურ სფეროებზე, აგრეთვე ამით მუშათა კლასი გაეცნო საქართველოს და ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს" [7,2].

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის სასარგებლოდ ბერნის კონფერენციის გადაწყვეტილების ანალოგიური რეზოლუცია მიიღო ქ. ამსტერდამში (ჰოლანდია) II ინტერნაციონალთან არსებულმა სოციალისტთა საერთაშორისო მუდმივმა კომისიამ, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა ირაკლი წერეთელი. აი, ამ რეზოლუციის ტექსტიც:

"ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს ხალხისა იყო დადასტურებული ერთხმად თფილისში 12 მარტს 1919 წ. დამფუძნებელ კრების მიერ, რომელიც არჩეულია ყველა 20 წლოვანი მოქალაქის მიერ განურჩევლად სქესისა, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქართველმა ხალხმა შექმნა და იცავდა ისეთ კრიტიკულ პირობებში რესპუბლიკანურ, დემოკრატიულ კონსტიტუციას და მართავდა რა რესპუბლიკას ნორმალურათ საკუთარი ძალით ერთი წლის განმავლობაში, დაუმტკიცა მთელს ქვეყნიერებას თავისი უდავო პოლიტიკური ნიჭი, მუდმივი ინტერნაციონალური კომისია სცნობს ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი სამართლიანად, რომელიც ეთანხმება ხალხთა უფლებას განაგოს თავისი ბედი თითონ, რაც დიდი ხანია აღიარა ინტერნაციონალმა და დღეს შეტანილია პრეზიდენტ ვილსონის პროგრამაში ზავის ერთ მთავარ პირობად.

კომისია დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საზავო კონფერენციამ პარიზში და სახელმწიფოებმა ფორმალურად იცნონ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, რომელიც უარყოფს ოპეკას ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოსას და ყოველ უცხოეთის კონტროლს მის დემოკრატიულ დაწესებულებებზე" [8,2].

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მიზნით სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის აუცილებლობის საკითხზე რესპუბლიკის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს ერთგვაროვანი შეხედულება არ ჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერდა მთავრობის პოლიტიკას ყველა შესაძლო გზით მიეღწია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის უცხოეთის სახელმწიფოების მხრივ, ამ პოზიციას ოპონენტებიც ჰყავდა. ამის მაგალითი იყო დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ივნისის სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის, ნაფიცი ვექილის, გიორგი გვაზავას მიერ წარმოთქმული სიტყვა.

„მართალია – განაცხადა მან, – ჩვენ გავგზავნეთ დელეგაცია პარიზში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროდ, ჩვენი დელეგატები, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს წარმოდგენისა და მისი ინტერესების დაცვისა, უფრო პარტიულ მუშაობას განაგრძობდნენ, ვიდრე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურს, არ შორდებოდნენ სოციალისტურ წრეებს, მიდიოდნენ ხან ბერნში, ხან ამსტერდამში, მონაწილეობას იღებდნენ იქაურ სოციალისტურ და რევოლუციურ მოძრაობაში და...ამით, ეჭვი არ არის, ასამარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს ცნობა, დამოკიდებულია პარიზის კონფერენციაზე და არა სხვა უპასუხისმგებლო პარტიულ ყრილობებზე. ეს გზა ჩვენ სიკეთეს ვერ მოგვიტანს, ამიტომ მთავრობამ უნდა მიიღოს ზომა, დელეგაცია ჩააყენოს მისი მოვალეობის ასრულების ფარგალში და საზოგადოდ გამოსცვალოს თავისი საერთაშორისო პოლიტიკა... [9,2]

საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგ. გეგეჭკორმა დამფუძნებელი კრების მონაწილეებს შეახსენა, რომ დელეგაციის გაგზავნის წინ გ. გვაზავა წერდა და ამტკიცებდა, რომ თუ პარიზში სოციალისტები გავგზავნეთ, კონფერენციაზე არ დაუშვებენო: „...მაგრამ თქვენ ხედავთ და გვაზავამაც იცის, რომ სოციალისტები გაუშვეს, მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ გვაზავას ალაპარაკებს მხოლოდ პარტიული ინტერესები, ვინაიდან ობიექტური მხარე საქმისა საბუთს არ გვაძლევს ასეთი გამოსვლებისა. დღეს მის აქ გამოსვლას, უნდა ვსთქვა, რომ გლახა სუნი უდის, ერთი რომ სიმართლეს ღალატობს... [10,2]

შემდეგ ევგ. გეგეჭკორმა უპასუხა გ. გვაზავას კითხვას ირ. წერეთლის ამსტერდამის კონფერენციაზე დასწრების თაობაზე და აღნიშნა, რომ ქართულმა დელეგაციამ თავისი მოვალეობა შეასრულა, რადგან სხვანაირად არ შეეძლო. მისი აზრით, საქართველოს მოთხოვნებს სიმპათია უნდა მოეპოვებინა საერთაშორისო დემოკრატიის თვალში, რაც მთავრობის მთავარი მიზანი იყო. მართალია, გ. გვაზავა ლაპარაკობდა დემოკრატიულ პოლიტიკაზე, მაგრამ სულ სხვა შინაარსით. მთავრობისათვის კი დემოკრატიული პოლიტიკის შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულ დემოკრატიას მჭიდრო კავშირი გაება სხვა ქვეყნების დემოკრატიასთან.

და აი, გ. გვაზავას რეპლიკაზე – ინტერნაციონალის საშუალებით? ! ევგ. გეგეჭკორმა უპასუხა – დიახ, ინტერნაციონალის საშუალებით.

იმავე სხდომაზე განმეორებით სიტყვით გამოსულმა გ. გვაზავამ პარიზის კონფერენციის მნიშვნელობაზე უფრო დაწვრილებით ისაუბრა და განაცხადა: „ის სისხლი, რომელიც ჩვენ დავღვარეთ გერმანიის საზღვრებზე... უნდა იქნეს გატანილი და დადებული საერთაშორისო სასწორზე, სადაც სწყდება ჩვენი ბედი. გაიტანეთ და წარადგინეთ ეს დოკუმენტები? არა. ჩვენი დელეგაცია ივიწყებს ამას და გადადის მოწინააღმდეგის ბანაკში. ეს ბანაკია – ბერნი და ამსტერდამი, და იქიდან ემუქრება ინგლისს და საფრანგეთს რევოლუციით, თითქოს იქაური რევოლუცია რაიმე სიკეთეს მოუტანს საქართველოს" [11,2].

ევგ. გეგეჭკორმა ისევ მოითხოვა სიტყვა და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ინტერნაციონალზე დამყარებული პოლიტიკა ძალიან სასარგებლო იყო.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო მის მიერ ნათქვამი ლიტონი სიტყვები. მან, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, კარგად იცოდა ბერნისა და ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციების და საერთოდ, II ინტერნაციონალის გადაწყვეტილებები საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის მხარდაჭერის თაობაზე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზემოთ აღნიშნული პოზიცია გამოხატულ იქნა გაზეთ „საქართველო"-ს (ამ პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო, რედაქტორი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი გერონტი ქიქოძე) 20 ივნისის მეთაურ წერილში – „ევროპის ინფორმატორები" და „ჩვენი დელეგაცია".

გაზეთი წერდა, რომ ევროპაში მუყაითად მუშაობდა საქართველოს საწინააღმდეგოდ მიმართული უჩინარი ხელი. თავდაპირველად ოფიციალურად თითქოს არავინ არ იყო წინააღმდეგი ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისა, მაგრამ დიპლომატიურ კულისებში და მრავალ არაოფიციალურ გავლენიან წრეებში საქართველოს დამოუკიდებლობა აშკარა უკმაყოფილებას იწვევდა.

„შემთხვევა გვქონია მრავალჯერ მიგვეთითებინა ამ გარემოებაზე ჩვენი „დიპლომატების" (სიტყვა „დიპლომატები" ბრჭყალებში იყო ჩასმული. შ.რ.) ყურადღება, რათა სპეციალურად გამგზავრებულ საქართველოს დიპლომატიურ დელეგაციას გაეთვალისწინებინა ყველა საწინააღმდეგო ფაქტორები და სათანადო ზომები მიეღო მათ გასაბათილებლად". [12,1]

გაზეთის მტკიცებით, ევროპის მმართველ და პასუხისმგებელ წრეებში საქართველოს წინააღმდეგ სპეციალური „ინფორმატორები" მოქმედებდნენ, რადგან ცხადი იყო, რომ გადამწყვეტი მსჯავრი სწორედ ამ წრეებიდან იქნებოდა გამოტანილი. ათას რჯულის აგენტები საზიზღარ ჭორებსა და ინსინუაციებს ავრცელებდნენ საქართველოს შესახებ.

კიდევ უფრო მძაფრი ტონით იყო დაწერილი მეორე სარედაქციო წერილი 1919 წლის 21 ივნისის გაზეთში „საქართველო".

1919 წლის 2-9 აგვისტოს ლიუტერნში (შვეიცარია) ჩატარდა II ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა ირ. წერეთელმა აღნიშნა:

„თუ ჩვენ დავინახავდით, რომ ბოლშევიკურ დიქტატურას მიჰყავს მთელი პროლეტარიატი სოციალიზმის განხორციელებისაკენ, მაშინ, მიუხედავად ტერორისა, ჩვენ ვაღიარებდით, რომ ბოლშევიზმი ჩვენ წინაშე მართალი აღმოჩნდა. მაგრამ ის წარმოადგენს უმცირესობის დიქტატურას და მიჰყავს ქვეყანა დანგრევისა და გახრწნისაკენ.

ამ დანგრევისა და გახრწნის მიზეზები უნდა ვეძებოთ არა ბლოკადაში, არამედ - ბალშევიკური რეჟიმის რაობაში. პროლეტარიატის სიმპატიები ბალშევიზმისადმი შეცდომის ნაყოფია. პროლეტარიატს წამს, რომ ბალშევიზმი სოციალიზმის გამარჯვებას ამზადებს. ეს შეცდომაა, რომელიც უნდა გაფანტულ იქნეს ყველა ზომებით, რადაც არ უნდა დაჯდეს. საჭიროა აშორებულ იქნას ბალშევიკური ექსპერიმენტების განმეორების შესაძლებლობა" [13,3].

9 აგვისტოს ლიუცერნის კონფერენციამ ჰილფერდინგისა და ირ. წერეთლის მიერ შედგენილი რეზოლუცია (რუსეთის საქმეში ჩარევის შესახებ) მიიღო, რომელშიც გამოთქმული იყო მხარდაჭერა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი. მასში, გარდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ადგილზე ჩამოყალიბებული ახალი სახელმწიფოების ცნობისა, შეტანილ იქნა მუხლი, რომელიც ყველა ნაციონალურ სექციასა და პარტიას ავალებდა, რომ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობისათვის მხარის დაჭერის მიზნით სისტემატურად გამოსულიყვნენ როგორც თავიანთი ქვეყნების პარლამენტებში, ისე - სხვაგან. [14,2]

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ სწორი იყო ბერნის სოციალისტური კონფერენციისა და ინტერნაციონალის მუდმივი კომისიის რეზოლუციებში, ბერნის კონფერენციაზე აკაკი ჩხენკელის სიტყვაში გამოთქმული შეშფოთება იმის თაობაზე, რომ პირველ მსოფლიო ომში მოკავშირე ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, აშშ და იაპონია) ფიქრობდნენ ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოების არა სრული დამოუკიდებლობის აღიარებას, არამედ მათზე ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მეურვეობას, მათზე ერთი ან რამდენიმე მანდატის (ხელმდებლობის რწმუნებულობა) გაცემას და მათ დემოკრატიულ დაწესებულებებზე თვალთვალს. სწორედ ასეთი ჩანაფიქრის განხორციელების სურვილზე მიუთითებდა გაზეთ „ფაქტი"-ს წერილის - „აღმოსავლეთის საკითხი და ამიერკავკასიის რესპუბლიკები" შემდეგი მტკიცება: „გენ. ჰარბორდის მისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ აღმოსავლეთის ხალხთა არსებობის დასაცავად ამერიკამ უნდა მიიღოს მანდატი არა მარტო ოსმალეთსა და სომხეთზე, არამედ აზერბაიჯანსა და საქართველოზედაც". [15,2]

გაზეთ „საქართველო"-ს 1919 წლის 14 ღვინობისთვის (ოქტომბერი) მეთაურ წერილში სათაურით - „აღმაშფოთებელი განცხადება" - საუბარი იყო გაზეთში „სახალხო საქმე" (გაზეთი „სახალხო საქმე" იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო) 7 ღვინობისთვის ნომერში მოთავსებული ცნობის შესახებ, რომ ლიუცერნის სოციალისტურ კონგრესზე ამიერკავკასიის საქმეების გამო ცხარე კამათი გამართულა. ამის საბაბი კი გამხდარა საქართველოსა და სომხეთის თხოვნა ინგლისელებისადმი, რომ მათ, გარკვეული დროის მანძილზე თავიანთი ჯარები არ გაეყვანათ ამიერკავკასიიდან. ამ

პირობით მოკავშირეთა საზღვარგარეთელ წარმომადგენლებს "ლიბერალების პარტიისათვის" მიუმართავთ, რომლის მოთხოვნითაც მიჰყავდათ ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარები.

ლიუცერნის კონგრესში მონაწილეობა მიუღიათ მიქ. ვარანდიანსა და ს. აკიბიანს. ვირანდიანის სიტყვის შემდეგ კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვდა ამიერკავკასიიდან ინგლისელთა ჯარების გაყვანის დროებით გადადებას: "ამ ფორმულის წინააღმდეგ სიტყვა წარმოუთქვამს ქართველ მენშევიკების წარმომადგენელს წერეთელს..." [16,1] ხაზგასმა გაზეთისაა შ.რ.), რასაც ქართულ საზოგადოებაში სამართლიანი აღშფოთება გამოუწვევია.

ჩვენ, - წერდნენ ეროვნულ-დემოკრატები, - არა ერთხელ განვაცხადეთ, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ბატონი წერეთელი ევროპაში აწარმოებდა, დამფუძნებელი კრებისაგან მისთვის მიცემულ მანდატს სრულიად ეწინააღმდეგებოდა. წერეთელი გაგზავნილ იქნა პარიზში როგორც საქართველოს წარმომადგენელი ვერსალის კონფერენციაზე და ეს დავალება თავისთავად გულისხმობდა, რომ მას კავშირი უნდა დაემყარებინა საზავო კონგრესის ხელმძღვანელ წრეებთან.

ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ წერეთელმა, როგორც სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელმა, სოციალისტების ისეთ ორგანიზაციებთან დაიწყო სეირობა, რომლებიც როგორც ვერსალის, ისე ანტანტის პოლიტიკის აშკარა წინააღმდეგი იყვნენ: "ევროპის გაზეთები მხოლოდ იმას გვაცნობენ, თუ საქართველოს დელეგატებმა გუშინ აბსტერდამში, დღეს ლიუცერნში, თუ ხვალ რომელიმე სოციალისტების სადილზედ რა სიტყვა წარმოსთქვეს ან რომელ სოციალისტურ კომიტეტში იქნენ არჩეულნი.

არც ერთი ცნობა მათი ურთიერთობის შესახებ იმ წრეებთან, რომელნიც დღეს სწყვეტენ ქვეყნიერების ბედს, ვისზედაც დამოკიდებულია საქართველოს ბედი" [17,1].

ამიტომ, მათი აზრით, პოლიტიკაში ასეთ ორმაგ შეუწყნარებლობას არა თუ თანაგრძნობა უნდა მოეპოვებინა იმ ხალხში, ვინც პირდაპირ წინააღმდეგობაში იყვნენ იმ სოციალისტებთან, რომლებთანაც საქართველოს დელეგაციას ჰქონდა კავშირი, არამედ პირიქით, ისინი ჰკარგავდნენ არა მარტო ავტორიტეტს, არამედ ყველა შესაძლო ნდობას. ამიტომ

ზემოთ გამოქვეყნებული ცნობა, „... თუ იგი მართალია, უკვე ყოველივე წრეს გადასული თავხედობაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საქართველოს მთავრობის მხრივ" [18,1].

იმ დროს, როცა საქართველოს მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების მთელი მუშაობა მიმართული იყო ანტანტის და კერძოდ კი, ბრიტანეთის მთავრობის დარწმუნებისაკენ მათი ჯარების ამიერკავკასიაში დატოვების საჭიროების აუცილებლობაში, ჩვენი დელეგატი (ირ. წერეთელი - შ.რ.) მისი ერის სურვილებისა და წადილის საწინააღმდეგოდ მუშაობდა. ამიტომ ეროვნულ-დემოკრატები ელოდნენ, რომ საქართველოს მთავრობა ავტორიტეტულად უარყოფდა ამ ცნობის სინამდვილეს. მაგრამ იგი 13 ღვინობისთვისაც (ოქტომბერი) არ იყო უარყოფილი. ამის გამო ისინი საგარეო საქმეთა მინისტრისაგან საჭირო განმარტებას მოითხოვდნენ.

იმავე გაზეთმა მეორე დღესვე გამოაქვეყნა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელსაც წინ უძღოდა რედაქციის განმარტება, რომ გაზეთ „საქართველო"-ს 14 ღვინობისთვის ნომერში მოთავსებული წერილი სათაურით - „აღმაშფოთებელი განცხადება" - გაზეთ „სახალხო საქმე"-ს ღვინობისთვის ნომრიდან იყო გადაბეჭდილი. ამ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ლიუცერნის სოციალისტურ კონგრესზე საქართველოს დელეგაციის წევრმა ირ. წერეთელმა წარმოთქვა სიტყვა ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარის დროებით დატოვები საწინააღმდეგოდ.

ამ ცნობასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აცხადებდა, რომ ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარის დატოვების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა იყო ერთი იმ საკითხთაგანი, რომელმაც გააერთიანა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლები ევროპაში და ამ პრობლემის შესახებ პარიზის საზავო კონფერენციას სამივე რესპუბლიკის დელეგაციებმა შუამდგომლობით მიმართეს.

„ამგვარად, ცხადია, რომ „საქართველოს" განცხადება, თითქოს ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი ევროპაში აწარმოებდეს საკუთარ პოლიტიკას, დამყარებულია სრულიად ყალბ ცნობებზე და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს". [19,1]

გაზეთის სარედაქციო მინაწერში ნათქვამი იყო, რომ 14 ღვინობისთვის წერილის აზრი საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრივ იმ ცნობის განმარ-

ტებაში მდგომარეობდა, რომელიც გაზეთ „სახალხო საქმე"-ში იყო მოთავსებული. ამ მხრივ სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების განცხადების პირველი ნახევარი ეროვნულ-დემოკრატებისათვის დამაკმაყოფილებელი იყო და მთელი პასუხისმგებლობა ამ ცნობის სიმართლისათვის გაზეთ „სახალხო საქმე"-ს უნდა დაკისრებოდა. ხოლო რაც შეეხებოდა მეორე მტკიცებას, რომ ირ. წერეთელი ევროპაში ისეთ პოლიტიკას არ აწარმოებდა, რომელიც მას მთავრობის მიერ ჰქონდა მინდობილი, ეროვნულ-დემოკრატების აზრით, მართალი არ იყო. მათი აზრით, საგარეო საქმეთა სამინისტრო მხოლოდ ერთში იყო მართალი. ეს არ იყო მარტო ირ. წერეთლის პოლიტიკა. ეს იყო პოლიტიკა პარიზის იმ დელეგაციისა, რომელიც შედგებოდა ირ. წერეთლის, კ. ჩხეიძისა და კ. გვარჯალაძისაგან. ეს პოლიტიკა კი იმაში მდგომარეობდა, რომ, „... ჩვენი დელეგაცია თავის საგარეო მუშაობაში ემყარებოდა მხოლოდ ევროპის სოციალისტურ წრეებს და მხოლოდ მათთან მუდმივი ურთიერთობით კარგავს ყოველივე გავლენას და ნდობას ევროპის დღევანდელ მმართველ პოლიტიკურ წრეებთან, რომელნიც არსებითს წინააღმდეგობაში იმყოფებიან სოციალისტურ ორგანოების მოქმედებასთან". [20, 1]

ეროვნულ-დემოკრატებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს მართალი იყო. ამას ადასტურებდა ევროპის პრესა, რომელიც მხოლოდ ასეთ ცნობებს ავრცელებდა, რადგან სხვაგვარი ცნობები მას არ მოეპოვებოდა. ისინი სვამდნენ კითხვას – ნუთუ ასეთი მუშაობა დაავალა მათ საქართველომ? ვისი დელეგაცია იყო ეს ხალხი – საქართველოს ერისა და მისი მთავრობისა, თუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტისა, ვისი სახელითაც გამოდიოდნენ ისინი მხოლოდ სოციალისტების ყველა მიტინგზე?

ამრიგად, ევროპის სახელმწიფოების მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული ცნობის მიზნით, რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მთავრობის დავალებით, ქართული დელეგაციის მიერ (პოლიტიკურ პარტიებს შორის აზრთა სხვადასხვაობისა და ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგობის მიუხედავად) გამოყენებულ იქნა 1919 წელს ჩატარებული მეორე ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციების (ბერნი, ამსტერდამი, ლიუცერნი) ტრიბუნა. ქართული დელეგაციის ძალისხმევითა და აქტიური მოღვაწეობით, კონფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენციების მიერ მიღებულ იქნა რეზოლუციები საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულ (დე იურე) ცნობას ევროპის სახელმწიფოების მხრიდან.

1. კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი, 1936, ქართული თარგმანი, თბილისი, 1991, გვ. 4.
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 6 ივნისი, №122, გვ. 2.
3. გაზეთი „ერთობა", 1919, 6 ივნისი, №123, გვ. 1.
4. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები. შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ. თბილისი, 1949, გვ. 81.
5. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 5 ივნისი, №121, გვ. 2.
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 29 ივნისი, №141, გვ. 2.
7. გაზეთი „ერთობა", 1919, 11 ივლისი, №152, გვ. 2, აგრეთვე: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 11 ივლისი, №151, გვ. 2.
8. გაზეთი „ერთობა", 1919, 8 ივნისი, №125, გვ. 2.
9. გაზეთი „საქართველო", 1919, 21 ივნისი, №127, გვ. 2.
10. იქვე
11. იქვე
12. გაზეთი „საქართველო", 1919, 20 ივნისი, №126, გვ. 1.
13. გაზეთი „ერთობა", 1919, 6 სექტემბერი, №201, გვ. 3. აგრეთვე: გაზეთი „ერთობა", 1919, 7 სექტემბერი, №202, გვ. 1.
14. გაზეთი „ერთობა", 1920, 13 იანვარი, №8, გვ. 2.
15. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 19 ნოემბერი, №262, გვ. 2.
16. გაზეთი „საქართველო", 1919, 14 ღვინობისთვე (ოქტომბერი) №221, გვ. 1.
17. იქვე
18. გაზეთი „საქართველო", 1919, 15 ღვინობისთვე (ოქტომბერი), №222, გვ. 1.
19. იქვე.
20. იქვე.
21. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები. პარიზი, 1924, ქართული თარგმანი, თბილისი, 1929.
22. ბ. ბებურიშვილი (ვიქტორ ნოზაძე), დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი უცხოეთში, ჟურნალი „კრიტიკა", 1991, №4.
23. ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923 წწ.), თბილისი, 1997.

შენიშვნა: სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია აქაც და შემდგომშიც დოკუმენტისაა. შ.რ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1918 წლის 8 იანვარს აშშ პრეზიდენტმა ტომას ვუდრო ვილსონმა (უილსონი) (1913-1921 წწ.) წერილით მიმართა ამერიკის კონგრესს, სადაც მან 14 პუნქტად ჩამოაყალიბა პირველ მსოფლიო ომში მეომარ სახელმწიფოთა შორის მომავალი ზავის პირობები. ამ პუნქტების მე-5 მუხლი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „თავისუფალი, გულწრფელი და აბსოლუტურად მიუდგომელი გადაწყვეტა ყველა კოლონიური დავებისა დამყარებულს ზუსტად შესრულებულ პრინციპზე, რომ სუვერენიტეტის შესახებ ყველა საკითხების გადაწყვეტისას, მოსახლეობის ინტერესებს უნდა ჰქონდეთ ერთი და იგივე წონა იმ მთავრობების სამართლიან მოთხოვნილებებთან შედარებით, რომელთა უფლება უნდა განსაზღვრულ იქნეს" [4, 81].

Shota Ramishvili

THE PROBLEM OF GEORGIA'S INDEPENDENCE AT THE II INTERNATIONAL CONFERENCES, 1919

Resume

In given work we discussed the problem of acknowledgement of the Republic of Georgia at the Second International Conferences in Bern, Amsterdam, Lucern in 1919. We tried to lay special emphasis on the speeches of the members of Georgian delegation at this conference and received resolutions supported acknowledgement of Republic of Georgia. All this time Georgian Press thoroughly reflected this question.

In spite of discrepancies among Georgian political parties, their joint efforts at the conference promoted the recognition of Republic of Georgia De Jure.

საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მალონა რობაქიძე

რაჭის საერისთავო მე-18 საუკუნის 50-60-იან წლებში

რაჭის საერისთავო, რომელიც ჩამოყალიბდა დაახლოებით X-XI საუკუნეებში[1], თავისი ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიის მთელს მანძილზე ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაჭის ერისთავები - კახაბერიძეები, ბაღვაშთა გვარის წარმომადგენლები იყვნენ და, ბაგრატ IV-დან დაწყებული, გამუდმებით ებრძოდნენ სამეფო ხელისუფლებას. ეს იყო მეფის ცენტრალისტური პოლიტიკისადმი დიდაზნაურთა წინააღმდეგობის ტიპიური მაგალითი, რამაც მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა რაჭის "ყოვლისშემძლე" ერისთავის - როსტომისა და იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ურთიერთობაში. როსტომ შოშიტა მესამეს ძე რაჭის ერისთავია 1749/50-1769 წლებში[2]. მის დროს საერისთავო უკვე წარმოადგენდა ჩვეულებრივ სათავადოს. მისი ტერიტორია, მოქცეული კავკასიონის ქედს, სვანეთს, საწერეთლოს, ოკრიბასა და ლეჩხუმს შორის. ასეთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, იგი ძნელად მისადგომი იყო, რასაც მოხერხებულად იყენებდნენ ურჩი, თავნება და სეპარატისტული სულისკვეთებით განწყობილი ერისთავები. ისინი მუდამ დამოუკიდებლობისა და განკერძოებისაკენ მიისწრაფვოდნენ.

როსტომი ერისთავად გახდომისთანავე შეუდგა თავისი სამფლობელოების გაფართოებას. მე-18-ე საუკუნის 50-60-იან წლებში მან ააწიოკა იმერეთის მომხრე ჯაფარიძეები, იაშვილები, წულუკიძეები და მათი ყმა-მამული თვითონ მიიტაცა. ამ დროს შედგენილ ერთ საბუთში ნათქვამია: "დაიპყრა ყოველნი საწულუკიძეო მამული, სოფელი, ციხე-სიმაგრენი საერისთავოდ. საწულუკიძეო სრულად აღხოცა და ნაცვლად მისსა დასდვა სახელად სარაჭისერისთავო"[3] (ხაზგასმა ჩვენია, მ.რ.). შემდგომში ასეთი ბედი ეწიათ ყიფიანებს, გამყრელიძეებს, გოცირიძეებს და სხვებს. მან რაჭის თავადაზ-

ნაურობის ერთი ნაწილი ამოწყვიტა, მეორე ნაწილი გააძევა და მათი მამულები ხელში ჩაიგდო. მალე ერისთავი რაჭაში მდებარე მეფის სახასო მამულებსაც დაეუფლა და მთელი რაჭის ერთპიროვნული ბატონ-პატრონი გახდა[4].

როსტომ ერისთავისაგან შევიწროებული ფეოდალები მის ძმას, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს-ბესარიონს მიმართავდნენ დახმარებისათვის. ასე მაგალითად, 1750-60-იან წლებში კათოლიკოსი ბესარიონი შემდეგი სახის იმედის წიგნს აძლევს ჯაფარიძეებს: „...სოფრომს, ვახტანგს, გიორგის და მერაბს... რომელიც თქვენის სახლის კაცი, ჩემი ძმის ერისთავის როსტომის ერთგული და სიტყვის მორჩილი იქნეს, თქვენ ჩემის ძმისაგან ან წახდენით, ან გაღარიბებით, არ გიშავდესთ რამე... მე ვიყო თქვენის ცოდვის პასუხის გამცემი"[5]. მაგრამ ზოგჯერ საქმეში ბესარიონის ჩარევასაც შედეგი არ მოჰქონდა. მაგალითად, 1754-1768 წ.წ. მიცემულ იმედის წიგნში კათოლიკოსი იმავე პირებს ბოდიშს უხდის ძმის ქმედებისათვის და ყველაფერს „ჟამთა ვითარებას" მიაწერს... „რომე ჟამთა ვითარებისაგან ჩემს ძმას ერისთავს როსტომს და თქვენს შუა ცოტა რამ გულისტკენა ჩამოვარდა, მერმე ჩვენის ბრძანებითა და შუამდგომლობითა გაგარიგეთ და შეგაერთეთ"...[6] მაგრამ კათოლიკოსის მიერ დადებულმა „ცოდვისა და მადლის წიგნმა" ვერ იხსნა ჯაფარიძეთა საგვარეულო ერისთავის მძლავრობისაგან.

როსტომ ერისთავის მადა წერეთლების მამულებსაც მისწვდა (წერეთლებს მამულები ჰქონდათ რაჭაშიც და ქართლშიც). მე-18ს. შუა ხანებში როსტომ ერისთავსა და წერეთლებს შორის აშკარა მტრობა ჩამოვარდა, რაც შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. როსტომ ერისთავმა, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, ჯრუჭის ხეობა, თავისი შესანიშნავი მონასტრით, წერეთლებს წაართვა და თავის სამფლობელოს შეუერთდა. ეს იმერეთის ამ უძლიერესი გვარის საბოლოო გადამტერებას ნიშნავდა.

წერეთლებმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს მიმართეს. მეფე „საქმეში ჩაერია". მან მონასტერი და მისი მიდამოები ერისთავს ჩამოართვა და ჯრუჭისვე მონასტერს შესწირა. ეს წერეთელთა მხარდაჭერას ნიშნავდა. მეფის ამ გადაწყვეტილებით, ბუნებრივია, უკმაყოფილო განსაკუთრებით როსტომ ერისთავი დარჩა[7].

რაჭის ერისთავის რეზიდენცია იყო სოფელი წესი, სადაც იდგა მათი

სასახლე, რომელსაც ბარაკონი ეწოდებოდა და როსტომის მიერ ღვთის-მშობლის სახელზე აგებული კარის ეკლესია.[8]

ბარაკონის მახლობლად, მაღალი კლდის თავზე, იდგა ერისთავების ძლიერების სიმბოლო - მტრისგან აუღებელი ციხესიმაგრე „მინდა". მას, გარდა ამისა, ჩრდილოეთიდან იცავდა კლდოვანი მთა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდ. რიონი. ამიტომ ბარაკონის სასახლე ტახტიდან ჩამოგდებული თუ მტრებთან ბრძოლაში დამარცხებული ქართველი მეფეების საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. ისინი აქ იკრებდნენ ძალებს, ზვავივით დაეშვებოდნენ მაღალ მთებიდან, ტახტს იბრუნებდნენ და შემოჭრილ თურქებს რისხვად ატყდებოდნენ.[9]

ერისთავი მტკიცედ იცავდა წესის მისადგომებს. ამიტომ საერისთავო, ბუნებრივი თუ ხელოვნური ზღუდეებით გარშემორტყმული, ძნელად მისადგომი იყო. ამითაც გულმოცემული როსტომ ერისთავი მეფეს აღარ ემორჩილებოდა და სრული განცალკევებისაკენ მიისწრაფოდა.

მე-18 საუკუნის 50-იანი წლების ერთი საბუთის მიხედვით „მინდას" ციხე, ხიდისკარი, სამკვიდრო სოფელი წესი, სოფლები ლიხეთი და ურავი - ყველა ეს ერისთავებისადმი ძველთაგანვე ბოძებული იყო მეფეების მიერ და მათ ისინი მემკვიდრეობით ფლობდნენ, მაგრამ შემდეგ გაძლიერებულმა როსტომ ერისთავმა თავისთვის მიისაკუთრა[10].

ამის შემდეგ როსტომ ერისთავი თავის თავს მთელი რაჭის მფლობელად თვლიდა და იქ არსებული სათავადოებისაგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა (ამ დროს რაჭა ერთი საეპისკოპოსოსა და ოთხი - საერისთავო, საწულუკიძეო, საიაშვილო და საჯაფარიძეო - სათავადოსაგან შედგებოდა).

რაჭის ერისთავის გაძლიერებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ის სარდლის სახელოსაც ფლობდა.

გარეშე მტრებთან ბრძოლის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასარდლოს ანუ სადროშოს - განსაზღვრული სახის სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულს. სარდალი სამეფო ხელისუფლების მოხელე იყო. სარდლის სახელო, ისე, როგორც სხვა სახელოები, მემკვიდრეობით ეპყრათ თავადურ გვარებს. „ზემო ქვეყნის" ანუ „ზემო მხარის" (ზემო იმერეთის) სარდლობა წერეთლებს ჰქონდათ, რაჭის - რაჭის ერისთავებს".[11]

ამდენად, გართულებული პოლიტიკური ვითარებისას იმერეთის მეფისათვის როსტომ ერისთავი ანგარიშგასაწევ ფიგურას წარმოადგენდა და

მასთან სამოციანი წლების პირველ ნახევრამდე ფრთხილი ურთიერთობა ჰქონდა.

წერილობითი წყაროებისა და თანამედროვეთა გადმოცემების მიხედვით, როსტომ ერისთავი, ეკლესიებისა და სასახლეების მშენებელი, წიგნიერი და მოხერხებული პიროვნება იყო. მის ჯოგებს, თითქოს, მთა და ბარი ძლივს იტევდა, თითქოს ერისთავი სიმდიდრით მეფე სოლომონს აღემატებოდა.[12] როსტომ ერისთავის გავლენისა და ძლიერების ზრდას ხელს უწყობდა ისიც, რომ მისი ძმა ბესარიონი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი იყო და მხარს უჭერდა ზვიადი ფეოდალის ბრძოლას მეფის წინააღმდეგ.

გაძლიერებული რაჭის ერისთავები თავიანთ განდიდებას ტიტულატურაშიც გამოხატავდნენ. ისინი თავს „ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ-ამერეთის მთავრად და მსაჯულად მოიხსენიებენ[13], ან ასე – ლიხთ-იმერთა სარდალი... მპყრობელი რაჭის".

როსტომი დიდი გავლენით სარგებლობდა არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც. მას პატივით მოიხსენიებდა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორეც.

რთული და წინააღმდეგობრივი იყო სოლომონ პირველის დამოკიდებულება როსტომ ერისთავთან. ქვეყნის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის მებრძოლ მეფეს თავკერძა ფეოდალი დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა, მას კი ერისთავის დასჯა ადვილად არ შეეძლო (მხედველობაში გვაქვს 1752 წლის შეთქმულება ლევან აბაშიძესთან ერთად მეფის წინააღმდეგ). ეს ფაქტი სამეფო, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით უნდა ავხსნათ. სწორედ ამიტომ მეფემ როსტომს „მიუტევა", კვალად შემოირიგა იგი და რაჭის ერისთავად დატოვა.[14]

1755 წელს გელათის ტაძრისადმი მიცემულ სიგელში სოლომონ პირველი სხვა თავადებთან ერთად როსტომ ერისთავსა და ლევან აბაშიძეს მოიხსენიებს, როგორც „დიდებულნი ჩემნი": „კაცთაგან ამის მოწმე ყოვლად სანატრელი უფალი ჩვენი აფხაზეთის კათალიკოსი ბესარიონი და დიდებულნი ჩემნი თავად სპასპეტი და ვიპატოსი ერისთავი როსტომ".[15] სოლომონ პირველი იძულებული გახდა, დროებით დაზავებოდა სამეფოს დაუძინებელ მტრებს.

1757-1759 წლებში გატარებულმა ღონისძიებებმა იმერეთის მეფეს დასავლეთ საქართველოში დიდი ავტორიტეტი მოუპოვა, თუმცა ფეოდალთა

ერთი ნაწილი (თეიმურაზ ბატონიშვილი, როსტომ ერისთავი, ნაწილობრივ – კაცია დადიანი) კვლავ განკერძოებულობისაკენ მიისწრაფვოდნენ. როსტომ ერისთავმა, ამჯერად გარეშე ძალის – თურქების დახმარებით სცადა, ტახტიდან ჩამოეგდო სოლომონ პირველი. შინაფეოდალური ბრძოლა 1765 წელს ზაფხულში დაიწყო. თეიმურაზ ბატონიშვილმა დროებით გაიმარჯვა, მაგრამ 1768 წელს იგი დაატყვევა მეფემ, როსტომის დასასჯელად კი, 1767 წელს, სოლომონმა რაჭას ლეკები მიუსია და გააძარცვინა.

1769 წლის მარტში სოლომონმა, რაჭის საერისთავოს დასუსტების მიზნით, გადამჭრელ ზომებს მიმართა. ძირითად ციხეებში ერთგული კაცები ჩააყენა, დაანგრია ერისთავის სასახლე წესში, გადაწვა ახლომახლო სოფლები, თუმცა როსტომი მაინც ვერ შეიპყრო.

დიდი დანაკლისის მიუხედავად, ურჩმა ფეოდალმა ელჩები გაგზავნა ყაბარდოსა და თურქეთში, მაგრამ უშედეგოდ.

ასევე წარუმატებლად დამთავრდა ბესარიონ კათოლიკოსისა და ქაიხოსრო აბაშიძის მოგზაურობა ახალციხეში. კათოლიკე მისიონერის ლეონის თანახმად, ახალციხის ფაშამ სოლომონს არ აწყენინა, რათა იგი რუსებს არ მიმხრობოდა (ზღურბლზე იყო მომდგარი რუსეთ-თურქეთის ომი). ამავე დროს, ანგარიში გაუწია იმერთა მეფის სიძლიერეს და კათოლიკოსი ბესარიონი, დახმარების ნაცვლად, ციხეში დაამწყვდია. ბესარიონმა შეძლო გაქცევა და ოდიშში, დისშვილთან, კაცია დადიანთან შეაფარა თავი.[16]

ბესარიონ კათოლიკოსის ღალატი მეფეს უპასუხოდ არ დაუტოვებია, 1769 წლის 10 მაისს სოლომონმა სამშობლოსა და ეკლესიის მტრის ნაცვლად საეკლესიო კრებას კათოლიკოსად აკურთხებინა თავისი ძმა – გელათის მიტროპოლიტი იოსები.[17]

იმერეთში რუსის ჯარის შემოსვლისთანავე (აგვისტო-სექტემბერი) მეფემ ღალატით შეიპყრო როსტომ ერისთავი და თვალები დათხარა. ამ საქმის უნებლიე ხელისშემწყობი იოსებ კათოლიკოსი აღმოჩნდა.

როსტომ ერისთავის დასჯის შესახებ დაწვრილებითი ცნობები შემოგვინახა ქართულმა ხალხურმა საისტორიო სიტყვიერებამ.[18]

სოლომონ პირველმა ანდერძი დატოვა: „წყევითა და შეჩვენებით მსოფლიო პატრიარხთაგან, ე.ი. რათა დასასრულამდე ქვეყნისა ძენი და ძის ძენი და შთამომავალნი მათნი (როსტომის მემკვიდრენი) არღარა მიღებულ იქმნენ მემკვიდრედ რაჭისა".[19]

სოლომონ მეორემ სათანადოდ შეასრულა მეფის უკანასკნელი სურვილი და რაჭის საერისთავო საბოლოოდ გააუქმა.

ამრიგად, მე-18ს. 50-60-იან წლებში რაჭის საერისთავო საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა იმერეთის სამეფოში. ერისთავთა მისწრაფება გენკერძოებულობისაკენ საფრთხეს უქმნიდა სამეფო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას.

თურქეთის ექსპანსიის ალაგმვა, ქვეყნის ერთიანობისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის ბრძოლა, "ტყვის სყიდვის" აკრძალვა, შეუძლებელი იყო ურჩი ფეოდალების დამორჩილების გარეშე, რომელთა შორის განსაკუთრებით როსტომ ერისთავი გამოირჩეოდა. 17 წლიანი ბრძოლის შედეგად სოლომონ პირველმა როსტომი დაამარცხა, რაჭის საერისთავო გააუქმა და ტახტის მემკვიდრეს ანდერძად დაუტოვა, იგი აღარასოდეს აღედგინა.

Madona Robakidze

SAERIZTAVO OF RACHA IN 50-60 YEARS OF THE XVIII CENTURE

In 50-60-ies of the XVIII c the Saeristavo of Racha was one of the powerful political units in Imereti Kingdom. The Eristavies desire for seperation threatened the Central Royal authority.

It was impossible to struggle with Turkish expansion, also to struggle for the unity and economical flourishing of the country, to abolish the selling of hostages without doaling with disobedient feudal lords. Among them Rostom Eristavi was distinguished. After 17-year struggle Solomon I managed to defeat him and abolished the Saeristavo of Racha.

ლიტერატურა:

1. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ. 1973, გვ. 68-69.

2. იქვე, გვ. 119.

3. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბ. №706.

4. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (მე-16-19 სს.), თბ. 1988, გვ. 88.

5. საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 1501.

6. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), წ. I, შ. ბურჯანაძის რედ. თბ. 1958, გვ. 117.

7. გ. მეტრეველი, ჟამი ბრძოლისა და თანადგომისა, თბ. 1983, გვ. 56.

8. გაზ. "ივერია", 1902 წ. №62.

9. გაზ. "კომუნიზმის დროშა", 1965 წ. 12 ივნისი.

10. Акти Кав. Археограф. Комисий, т.V., Тф. 1873, с. 91, №109.

11. ო. სოსელია, დასახ. ნაშრ. გვ. 224.

12. Грамоты и другие исторические документи XVIII столетия относящиеся к Грузии, т. I, ред. А. Цагарели. СНБ, 1891, с. 195.

13. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, თბ. 1922, გვ. 149.

14. საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ. 1910, გვ. 596.

15. ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. II, გვ. 5 ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. Sd, საბ. 1563.

16. გაზეთი "კომუნარი", №96, 1959 წ.

17. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H - 2782.

18. სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე, 1895, "კვალის" რედაქცია, სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, თბ., 1936.

19. საქართველოს სიძველენი... III, გვ. 569-570.

საქართველოს ისტორიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

სერგო სვანაძე

სრულვყოთ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზების სამართლებრივი ბაზა

ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისის ფონზე მწვავედ დგას შემოსავლების მობილიზებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და რეზერვების მოძიების საკითხი. არასაკმარისი შემოსავლების გამო ვერ ხერხდება ისედაც მცირე ხარჯების დაფინანსება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურობას და უარყოფითად მოქმედებს მის განვითარებასა და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

აღნიშნული პრობლემა უკავშირდება საგადასახადო პოლიტიკას, ეს კი, თავის მხრივ, საგადასახადო კოდექსს მსჯელობისა და კამათის ობიექტად აქცევს. გამომდინარე საკითხის აქტუალობიდან, მიზანშეწონილია განხილულ იქნას საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხი, რაც, ჩემი აზრით, აუცილებლად ითხოვს რეაგირებას.

საგადასახადო შემოსავლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების დაბეგვრას. აღნიშნული საქონლის წარმოებისა (მიწოდების) თუ იმპორტის განხორციელებით სახელმწიფოს ბიუჯეტში შემოსავალზე გადასახადების სახეობებიდან აქცენტი გარკვეულწილად გაკეთებული აქვს აქციზის გადასახადზე.

თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების აქციზის გადასახადით სრულყოფილად დაბეგვრას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს.

საგადასახადო კოდექსის მოქმედებაში შესვლის პერიოდიდან, 1997 წლიდან, თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების აქციზის გადასახადით დაბეგვრის წესი რამდენიმეჯერ შეიცვალა. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს ოპტიმალური ვარიანტის ძიების პროცესი.

კერძოდ, თავდაპირველად აქციზის გადასახადი განისაზღვრებოდა პროცენტულად საქონლის ღირებულებასთან მიმართებაში, შემდეგ 1998 წლის 1 მაისის №1369-IIს კანონით ალკოჰოლიან სასმელებზე აქციზის გადასახადი დაწესდა ფიქსირებული თანხით მოცულობასთან (1 ლიტრი) მიმართებაში, ხოლო 1998 წლის 30 ოქტომბრის №1666-ს1 ს კანონით თამბაქოს ნაწარმზეც დაწესდა ფიქსირებული თანხა მოცულობაზე (1000 ღერი). 1999 წლის 25 ივნისის №2180-IIს და 23 ივლისის №2343-რს კანონებით კვლავ მოხდა გარკვეული ცვლილებები აქციზის გადასახადით დაბეგვრაში. მაგრამ მიუხედავად კოდექსის 130-ე მუხლში ჩამოყალიბებული თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების დაბეგვრის არსებული წესისა, საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის დებულებათა საფუძველზე (თამბაქოს ნაწარმის თავიდანვე, ხოლო შემდეგ ალკოჰოლიანი სასმელების) ფაქტიურად დღემდე ხდება მათი განსაკუთრებული რეჟიმით დაბეგვრა. კერძოდ, თამბაქოს ნაწარმის იმპორტი დღგ-სა და აქციზის ნაცვლად იბეგრებოდა ფიქსირებული გადასახადით, ხოლო ალკოჰოლიანი სასმელები საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დღგ-ის ნაცვლად კომბინირებული ფიქსირებული გადასახადით მოცულობაზე (1 ლიტრი). 2000 წლიდან თამბაქოს ნაწარმზე იმპორტთან ერთად მიწოდებაც (წარმოება) დაიბეგრა ფიქსირებული გადასახადით, რომელშიც 2001 წლიდან კვლავ შევიდა შესწორება.

ყველა ეს ცვლილებები მეტ-ნაკლებად გათვლილი იყო, ყოველ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო, აღნიშნული პროდუქციის სრულად დაბეგვრაზე და გადასახადების ბიუჯეტში მობილიზების ზრდაზე. მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი ფისკალური ეფექტი მიღწეული ვერ იქნა.

ერთ-ერთი მიზეზი ამისა არის კონტრაბანდული და აღურიცხავი საქონლის წარმოება და იმპორტი, რამაც მნიშვნელოვანი მასშტაბები მიიღო და სერიოზული პრობლემები შექმნა როგორც შემოსავლების ოდენობის მხრივ, ასევე დაბეგვრის სამართლიანობის და სახელმწიფოს მხრიდან კონკურენტუნარიანი სამეწარმეო გარემოს შექმნის საქმეში. მაგ.: გათვლებით საქართველოში შემოსული თამბაქოს ნაწარმის მხოლოდ 30-40%-ია აღრიცხული. ბაზარზე დანარჩენი საქონელი არის აღურიცხავი ან კონტრაბანდული.

სწორედ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების

გადაუხდელობამ, კონტრაბანდის გზით შემოტანილი, აღურიცხავი პრო-
დუქციით ქვეყნის შიდა ბაზრის გაჯერებამ და სხვა ქვეყნების გამოცდი-
ლების გათვალისწინებამ აუცილებელი გახადა ეკონომიკურ სფეროში
ზოგიერთი კატეგორიის დარღვევებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის
გაძლიერება, რის საფუძველზეც 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონით
საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული და საქართველოს ტერიტო-
რიაზე შემოტანილი ალკოჰოლიანი სასმელები და თამბაქოს ნაწარმი
დაექვემდებარა აქციზური მარკების სავალდებულო დართვას, ალკოჰ
ოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და
რეალიზაციაზე სახელმწიფო კონტროლის სრულყოფისა და აღნიშნული
საქონლის გადასახადების ბიუჯეტში დროულად და სრულად მოქცევის
მიზნით.

1999 წლის 1 თებერვლიდან აიკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე
აქციზური მარკებით მარკირების დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სას-
მელებისა და თამბაქოს ნაწარმის იმპორტირება და წარმოება შიდა
მოხმარებისათვის, ხოლო 1999 წლის 1 მარტიდან მათი რეალიზაცია
აქციზური მარკების გარეშე - თანახმად საქართველოს პრეზიდენტის
1999 წლის 28 მაისის №355 ბრძანებისა „საქართველოში ალკოჰოლიანი
სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და
რეალიზაციაზე აქციზური მარკების შემოღების შესახებ". ზემოთ აღნიშ-
ნული ბრძანებულების მე-8 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ტერი-
ტორიაზე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზუ-
რი მარკების გარეშე იმპორტირებისა და რეალიზაციის განსაზღვრული
წესების დარღვევის შემთხვევაში აღნიშნული პროდუქცია დაექვემდებარება
საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ ჩამორთმევას და ფინანსთა
სამინისტროს სპეციალური სტრუქტურული ქვედანაყოფის განკარგუ-
ლებაში გადაცემას. მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად ეკონომიკის
სამინისტროს დაევალა ჩამორთმეული უაქციზო საქონლის შემდგომი
რეალიზაციის წესის შემუშავება და დამტკიცება, ხოლო საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს ჩამორთმეული აქციზური საქონლის განადგუ-
რების წესის შემუშავება.

აღნიშნულის შემდეგ საქართველოს 1999 წლის 23 ივლისს №2343-რს
კანონით საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგინ-

და: „საგადასახადო და საბაჟო ორგანოები, რომლებიც აწესებენ კონ-
ტროლს აქციზის გადახდაზე, დადგენილი წესის შესაბამისად ახდენენ
აქციზური მარკის გარეშე იმპორტირებული ან გასაყიდად მიღებული
აქციზური საქონლის ჩამორთმევას. ჩამორთმევის მომენტიდან საქონელი
ითვლება სახელმწიფო საკუთრებად და მისი რეალიზაცია ან განადგუ-
რება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საგა-
დასახადო შემოსავლების სამინისტროს დადგენილი წესით".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1999 წლის 19 ნოემბერს
გამოცემული იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს
საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარისა და საქარ-
თველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთობლი-
ვი ბრძანება №246/285/224 „სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული,
მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის-ალკოჰოლიანი სას-
მელებისა და თამბაქოს ნაწარმის საქართველოში რეალიზაციის და გა-
ნადგურების წესის შესახებ", რითაც განისაზღვრა და მოხდა რეგლამენტი-
რება იმ ღონისძიებებისა, რის საფუძველზეც და რა წესით უნდა მომხდა-
რიყო ჩამორთმეული უაქციზო საქონლის შეფასება, მარკირება, რეალი-
ზაცია, ამონაგები თანხის განაწილება. რა ფორმით უნდა მომხდარიყო
ჩამორთმეული უაქციზო საქონლის რეალიზაცია, ვის მიერ, რომელ სტრუქ-
ტურას რა უფლებამოსილება გააჩნია. მიუხედავად აღნიშნული ბრძა-
ნებისა, ჯერჯერობით ჩამორთმეული და კონფისკაციაქმნილი უაქციზო
სიგარეტი და ალკოჰოლიანი სასმელი ნადგურდება. არადა ჩვენი ქვეყანა
ეკონომიკურად არც ისე ძლიერია, რომ თავს მივცეთ უფლება დავწვათ ან
სანიაღვრე კოლექტორში გადავღვაროთ უაქციზო სიგარეტი თუ ალკოჰ
ოლიანი სასმელი. ქვეყნის მასშტაბით ასი ათასობით კოლოფი უაქციზო
სიგარეტი თუ ათასობით ბოთლი ალკოჰოლიანი სასმელია ამოღებული
და სახელმწიფომ აქედან არათუ რაიმე სარგებელი ნახა, არამედ შე-
საბამისმა სამსახურებმა დამატებითი ხარჯებიც (თავმოყრა, გადატანა და
ა.შ.) გასწიეს. იმის დამატებით, რასაც აღურიცხავი უაქციზო საქონლის
მოძრაობა ბაზარზე ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებს ზიანს აყენებს.

დღემდე არ ამოქმედდა პრაქტიკულად ის მექანიზმი, რასაც ზემოთ
აღნიშნული ერთობლივი ბრძანება ითვალისწინებს, სახელმწიფო საკუთ-
რებაში მოქცეული უაქციზო სიგარეტისა და ალკოჰოლიანი სასმელების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალიზაციის წესის შესახებ, არადა ქვეყნის დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან მიზანშეწონილი იქნებოდა, ჩამორთმეული, კონფისკაციაქმნილი უაქციზო სიგარეტი თუ ალკოჰოლიანი სასმელი ნიშანდებული იქნეს სპეციალური აქციზური მარკით. ამგვარი საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა, რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით, ნაცვლად ზემოთ აღნიშნული ერთობლივი ბრძანებით დადგენილი განაწილების წესისა, როდესაც ამონაგები თანხის 75% წარიმართება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში, ხოლო 25% - ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში, მიზანშეწონილია განაწილდეს საპირისპირო პროპორციით: 25% საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში, 75% - ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში. ამით, ჯერ ერთი, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს გაუჩნდება დამატებითი წყარო ადგილობრივი ბიუჯეტის შესავსებად და მეორეც, ასეთი მიდგომით ჩამოყალიბდება მიზანმიმართული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა უაქციზო საქონლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კუთხით, ვინაიდან აღნიშნულით ადგილობრივი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის მასშტაბით შესაბამის სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას ემატება მატერიალური დაინტერესება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში დამატებითი სახსრების მოსაზიდად, და ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ საგადასახადო სისტემის ორგანოების პასუხისმგებლობის და ინტერესის ფარგლებს გასცდება.

დაბეგვრის პოლიტიკის ერთ-ერთ მოუგვარებელ საკითხთა რიგს განეკუთვნება მავნე ნივთიერებით გარემოს დაბინძურების გადასახადიც - აღნიშნულ გადასახადს საგადასახადო კოდექსით მოქმედებაში შესვლიდან იხდიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც დაბინძურების მოძრავ წყაროებზე ახორციელებენ ბენზინისა და დიზელის საწვავის საცალო რეალიზაციას, შესაბამისად გადასახადს იხდიდნენ ავტოგასამართი სადგურები და თანხები მიიმართებოდა ტერიტორიულ ბიუჯეტში ანუ მეტ-ნაკლებად ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში რეალიზებული და მოხმარებული საწვავის პროპორციულად შედიოდა თანხები ადგილობრივ ბიუჯეტებში და ამდენად ეს გადასახადი ტერიტორიული ბიუჯეტების შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. საგადა-

სახადო კოდექსში საქართველოს 1998 წლის 1 მაისის №1369-11 ს კანონის თანახმად შეტანილი ცვლილებებით მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების გადასახადის გადამხდელები გახდნენ ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ბენზინის, მაზუთის, დიზელის საწვავის, ნავთისა და თხევადი აირის იმპორტს, აგრეთვე მის წარმოებას. შედეგად, ამჟამად მისი გადამხდელები არიან ნავთობპროდუქტების მწარმოებელი საწარმოები და იმპორტიორები, რომლებიც აღნიშნულ გადასახადს იხდიან საქონლის განბაჟებისას, ე.ი. ცენტრალიზებულად. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სფეროში დასაქმებულ მეწარმე სუბიექტთა წრე შეზღუდულია (მხედველობაში არ მიიღება კონტრაბანდით შემოტანილი საქონელი), ხოლო გადამხდელთა აბსოლუტური უმეტესობა დაფუძნებულია თბილისში ან საქართველოს კიდევ ერთ-ორ ქალაქში - ცხადი ხდება, რომ აღნიშნული გადასახადი შედის მხოლოდ რამდენიმე ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტში, რაც მათ გარკვეულწილად პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნის, მაშინ, როცა საწვავი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოიხმარება. შეიძლება ითქვას, რომ შინაარსობრივად და თავისი ბუნებით ეს გადასახადი არანაკლებ "ცენტრალურია", ვიდრე თვით დღგ. აქედან გამომდინარე, ან უნდა შეიცვალოს ამ გადასახადის გამოანგარიშება-გადახდის მექანიზმი, ან აღნიშნული გადასახადი მიმართული იქნეს ცენტრალურ ბიუჯეტში.

С.И. Сванадзе

УСОВЕРШЕНСТВОВАТЬ ПРАВОВУЮ БАЗУ ГОСУДАРСТВЕННЫХ ДОХОДОВ

Резюме

Вналоговых доходах одно из важнеищих мест занимает вопрос наологооблажения алькололь́них напитов и табачного изделья акцизом, метод которого несолько раз изменялся, а прикахом президента грузии от 28 мая 1998 года №355, С 1 МАРТА 1999 года было запрещено импорт, производство и реализация алькогольного напитка и табачного изделья без акцизных марок. В месте с тем были разработани правила реализации и утилизации неакцизной продукций. Но пока что приисходит только их утилизация. Было бы целосообразно изьятую неакцизную продукцию

ეროვნული ბიბლიოთეკა

маркировать специальным акцизом и произвести их реализацию путем открытого аукциона, а с вирученного средства весомую долю направит - в местный територяльный бюджет.

К вопросам, который требует обсуждения, относится экологический налог (загрязнение окружающей среди вредними веществами)ю

В начале этот налог платили те физические и юридические лица, которые вели роничную реализацию бензина и дизельного топлива. После изменений налогоплательщиками стали производители и импортери. Но так как круг лиц занимающих производством и импортом данной продукции сужен и регистрировани они в основном в Тбилиси, то все поступления от налога входит вданный местный бюджет, а продукция реализуется по всей стране. По этому целосообразно или внести изменения правила вичисления и уплати налога, или направить налог в центральный бьюджет.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი 1997 წ. ივნისი

2. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 28 მაისის №355 ბრძანება „საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და რეალიზაციაზე აქციზური მარკების შემოღების შესახებ".

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის და საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 19 ნოემბრის №246/285/224 ერთობლივი ბრძანება „სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის-ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის საქართველოში რეალიზაციის და განადგურების წესის შესახებ"

4. ი. მესხია, ო. ნიკოლეიშვილი - "გადასახადები და დაბეგვრა" თბილისის 2002 წელი.

5. „საგადასახადო მაცნე" სპეციალური გამოშვება - 1999 წლის მარტი.

ფინანსებისა და კრედიტების კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მარინე სირბილაძე

სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის კავშირის ბუნების ფსიქოლოგიური კვლევის ასპექტები

სიტყვა - ბგერათშეერთება, რომელსაც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს. იგულისხმება, რომ ბგერათა კომპლექსი იმთავითვე არ წარმოადგენს სიტყვას და იგი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა სიტყვად, როცა მასში სათანადო შინაარსი „ჩაიდება". მაშინ შეიძლება ბგერათა კომპლექსმა (როგორც სიტყვამ) შეასრულოს აზრის ან სათანადო შინაარსის გამოხატვის (გადაცემის) ფუნქცია და გადაიქცეს სოციალურ ფენომენად, მეტყველების შემადგენელ ნაწილად.

სახელდება - გაგებულია ისე, როგორც სახელის წოდება, დარქმევა, როგორც სიტყვის ქმნადობა, სახელისა და მნიშვნელობის პირველდაკავშირება.

სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის კავშირის ბუნების კვლევის მიზნით ჩატარებულ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში სამი ძირითადი მიმართულება შეინიშნება: 1. ცალკეული ფონემენების სიმბოლიზმის კვლევა; 2. ბუნებრივი ენები ფონეტიკური სიმბოლიზმის კვლევა და 3. უშუალოდ სახელდების პროცესის კვლევა. თავისი შედეგებით ყველაზე ნაყოფიერად ჩანს მესამე მიმდინარეობა, რომლის ფუძემდებლადაც დ. უზნაძე გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე გამოქვეყნდა ჯ. ინგლიშის ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა გაერკვია „საკუთარი სახელების ფიზიოგნომიის" როლი ამ სახელების მატარებელ უცნობ ინდივიდებზე შემუშავებული წარმოდგენების რაგვარობაში; შემდეგ კი ე. ალსპაჩი აგრძელებს ინგლიშის მიერ წამოწყებულ კვლევას [5,1]. თუმცა მიღებული შედეგები მათ მიერ არ განიხილებოდა სახელდების პრობლემასთან მიმართებაში, აქ

პირველად გამოვლინდა ფაქტი, რომელსაც სახელდების პრობლემის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ცდისპირების მიერ ბგერათა კომპლექსი, რაიმე ცნობიერი და ასოციაციური კავშირების გარეშე, განიცდება ისეთი თვისებების მატარებლად, რომლებიც რაღაცნაირად შეესატყვისებიან იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ცდისპირში ესა თუ ის ინდივიდი იწვევს. ამასთან ერთად დადგინდა, რომ ბგერათა კომპლექსით გამოწვეული ეს შთაბეჭდილებები ხასიათდებიან ერთგვარი ინტრაინდივიდუალური კონსტანტობით.

ხოლო შემდეგ ზ. ფიშერი იკვლევს: როგორ და რა პირობებშია შესაძლებელი საზოგადოდ, რომ ბგერათა კომპლექსმა საგნის წარმომადგენლობა აიღოს თავისთავზე, როგორ ხდება კომპლექსი საგნის სახელად [11].

დ. უზნაძის „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები" წარმოადგენს პირველ ექსპერიმენტულ გამოკვლევას უშუალოდ ამ მიმართულებით და მისი უპირატესობა სხვებთან შედარებით იმაშია, რომ სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის პირველდაკავშირება, ანუ სახელდება, ექსპერიმენტულ პირობებში ხორციელდება, ე.ი. დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს თვით სახელდების პროცესი და არა მისი შედეგი.

მოკლედ თუ ვიტყვით, დ. უზნაძის ექსპერიმენტებში ცდისპირს ევალებოდა უაზრო ბგერათა კომპლექსებიდან შეერჩია სახელი აბსტრაქტული, უაზრო გრაფიკული გამოსახულებისათვის და მოეცა თვითდამკვიდრების ანგარიში.

რა გამოირკვა ამ ექსპერიმენტებით: I. ცდისპირები უაზრო ბგერათკომპლექსს განიცდიდნენ, როგორც გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებელს, 2. სახელდებისათვის აუცილებელია, რომ სახელმდებელი ბგერათა კომპლექსს განიცდიდეს სახელსადები შინაარსის შესატყვისი სახელის ფუნქციის მატარებლად, 3. ბგერათა კომპლექსის გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა ხასიათდება ინტერ - და ინტრაინდივიდუალური კონსტანტობით.

აქედან გამომდინარე დ. უზნაძე ასკვნის: „სიტყვა შემთხვევით კი არ უკავშირდება ობიექტს და, მაშასადამე, იგი შემთხვევით კი არ ღებულობს სახელწოდების ფუნქციას თავის თავზე, არამედ, ჩვეულებრივ, სიტყვისა და ობიექტის წარმოდგენათა მიმართების მონაცემის შესაფერისობას ემყარება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიაც სიტყვისა და ობიექტის მნიშვნელობა ურთიერთს ხვდება" [9,26] ან: „როგორც ქვალიტატური, ისე ქვანტიტატური ანალიზი საკმაო სიცხადით ამტკიცებს, რომ ბგერითი კომპლექსის სახელდების მიზნით გამოყენება შეუძლებელია შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს. მას აქვს თავისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით ბუნებრივად და მაშასადამე, პირველადად ის ზოგადი შთაბეჭდილება, ემოციონალური ტონი და, დასასრულ მოყვანილობა უნდა ჩაითვალოს, რომელშიაც სახელსადები ობიექტი და ბგერითი კომპლექსი ურთიერთს ხვდება" [9,29].

ცხადია, დ. უზნაძის გამოკვლევის შედეგები ეწინააღმდეგებიან ენობრივი ნიშნის პირობითობის, ნებისმიერობის ფართოდ გავრცელებულ თეორიას, ამიტომ ბევრმა მკვლევარმა სცადა, შეემოწმებინა და დაემტკიცებინა დ. უზნაძის მიერ მიღებული შედეგები. მათ შორის აღსანიშნავია ჩ. ფოქსის [12], რ. დევისის [4], რ. ირვინისა და ე. ნიულენდის [6] გამოკვლევები, სადაც დადასტურდა დ. უზნაძის მიერ მიღებული ყველა შედეგი. ამასთან აღმოჩნდა, რომ ცდისპირები ხშირად ერთსა და იმავე ბგერათა კომპლექსს ირჩევდნენ მოცემული სახელსადები შინაარსისათვის, ხოლო სახელდების საფუძვლად სხვადასხვა რამეზე მიუთითებდნენ [12]. აგრეთვე სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევა 9 წლის შემდეგ იღებს გარკვეულ კანონზომიერ ხასიათს [6], ხოლო განსაზღვრული მონაცემებით ცდისპირთა არჩევანის დამთხვევის ხარისხი სხვადასხვა ენისა და კულტურის მქონე ცდისპირებს შორის თითქმის ისეთივეა, როგორც ერთი ენობრივი კულტურის წარმომადგენლებს შორის [4].

ამ ექსპერიმენტებში იმ მიზნით, რომ ცდის პირობები მაქსიმალურად ყოფილიყო მიახლოებული პირველადი სახელდების პირობებთან, გამოყენებული იყო უაზრო მასალა. მაგრამ ასე არ გამოვიდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცდისპირები უაზრო მასალაში მაინც გარკვეულ მნიშვნელობას, აზრს დებდნენ. საქმე იმაშია, რომ როგორც ა. ბაინდურაშვილი ზუსტად მიუთითებს: „... ჩვენი აზრი ობიექტურ მოცემულობად სიტყვაში იქცევა და ამით იგი არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ სხვისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება. ადამიანი სახელდების ამოცანის წინაშე დგება მხოლოდ მაშინ, როცა ის გარკვეული შინაარსის ობიექტივაციას ახდენს და აცნობიერებს, რომ ეს შინაარსი ენაში სიტყვით არ არის ფიქსი-

რებული... უაზრო მასალის სახელდების წინაშე თანამედროვე ადამიანი არასოდეს არ დგას და წარმოუდგენელია, რომ ასეთი ამოცანის წინაშე იგი ოდესმე მდგარიყო, ის, რაც უაზროა, არც ობიექტივაციას საჭიროებს და არც კომუნიკაციის მიზნებისათვის არის გამოსადეგი" [2,89].

ზემოთ მოცემულ გარემოებათა გათვალისწინებით, განსხვავებით უკვე აღნიშნული ექსპერიმენტებისა, ა. ბაინდურაშვილი შეეცადა ექსპერიმენტული სახელდების პირობები მაქსიმალურად მიეახლოვებინა თანამედროვე ადამიანის მიერ წარმოებულ სახელდების პირობებთან. ამ მიზნით მან სახელსადებ შინაარსებად გამოიყენა გარკვეული აზრის, მნიშვნელობის მქონე შინაარსები.

ა. ბაინდურაშვილის ექსპერიმენტებში, გარდა იმისა, რომ დადასტურდა ზემოდასახელებულ ავტორთა მიერ მოპოვებული შედეგები, გამოვლინდა სახელდების პროცესისათვის სპეციფიკურ თავისებურებათა რიგი. ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს, სახელდობრ: ა) სახელების შერჩევის პროცესში ცდისპირები თავისუფალნი არ არიან თავიანთ არჩევანში. ისინი გრძნობენ, რომ მოცემული სახელსადები შინაარსის სახელად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი არ გამოდგება. იმისათვის, რომ სახელდება განხორციელდეს, საჭიროა მან ბგერათა კომპლექსი და სახელსადები შინაარსი ერთიმეორის შესაფერისად, შესატყვისად განიცადოს; აღმოჩნდა, რომ ბგერათა კომპლექსის სახელსადები შინაარსის შესატყვისად განცდისათვის ასოციაციურ ან სემანტიკურ კავშირებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ბ) სახელდების პროცესი სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევით არ მთავრდება. იგი გრძელდება სახელსადები შინაარსისა და სახელად შერჩეულ ბგერათა კომპლექსის განცდათა ურთიერთზემოქმედების სახით, ხორციელდება ამ განცდათა ურთიერთმორგება, რაც ცნობიერების კონტროლს არ ექვემდებარება. ცდისპირი მხოლოდ მისი შედეგის ურთიერთშესატყვისობის გაძლიერების გაცნობიერებას ახერხებს. ურთიერთზემოქმედების პროცესის საბოლოო შედეგს აზრდება წარმოადგენს, რის შედეგადაც სიტყვის ბგერითი მხარე თითქოსდა „გამჭვირვალე" ხდება. უნდა ითქვას, რომ ამ ექსპერიმენტების შედეგად შემუშავებული აზრით, როგორც ზემომოყვანილ დებულებებშია გადმოცემული, კიდევ ერთხელ დასტურდება თანამედროვე ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტულად დასაბუთებული ფაქტი. „ბგერათა კომპლექსებისა და გარკვეული ობიექ-

ტების ასოციაციურ დაკავშირებას არასოდეს არ შესწევს ძალა ბგერების კომპლექსი ობიექტის სახელად აქციოს. ამ ნიადაგზე საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლოა, ბგერამ სიგნალის მნიშვნელობა მოიპოვოს" [10,392]. სიტყვა კი სიგნალი არ არის, სიტყვას ჩვენ უშუალოდ მის მნიშვნელობასთან ერთად მთლიანობაში განვიცდით, სიტყვის აღქმაში მის მნიშვნელობასაც ვიჭერთ, რომ ეს ორი მომენტი - ბგერათა კომპლექსი და სიტყვის მნიშვნელობა - ერთი შინაარსის სახით განიცდება. განცდის ეს მთლიანობა აზრმდებლობის შედეგია. ასეთ დასკვნებს აკეთებენ თავიანთ ნაშრომებში რ. ნათაძე [7], დ. რამიშვილი [8].

ა. ბაინდურაშვილის ექსპერიმენტების საფუძველზე გამოირკვა, რომ ცდისპირები უცნობი ენის სიტყვების ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშეპირისპირების შედეგად გარკვეულ ინფორმაციას ღებულობდნენ მათი ურთიერთშესატყვისობის შესახებ. ეს ინფორმაცია ინტერინდივიდუალური კონსტანტობით ხასიათდება.

უცნობი ენის სიტყვების ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის განცდას უმეტეს შემთხვევაში თან ახლავს რწმენა გამოცნობის სისწორის შესახებ. გამოცნობის სისწორეში მაღალი დარწმუნებულობის პირობებში უცნობი ენის სიტყვები ძირითადად სწორად არის გამოცნობილი. რწმენის ხარისხის ზრდასთან ერთად იზრდება გამოცნობის სისწორე და პირიქით, გარდა ინფორმაციული ღირებულებისა, აღნიშნულ ურთიერთშესატყვისობას გააჩნია მნემური ღირებულებაც, ე.ი. სიტყვები ექვივალენტური მნიშვნელობით ცდისპირებმა ბევრად უფრო ადრე დაიხსომეს, უფრო მტკიცედ და მეტი რაოდენობით, ვიდრე სიტყვები არა ექვივალენტური მნიშვნელობით.

აღმოჩნდა, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის წვდომის უნარით [2].

რაც შეეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც ვაწარმოეთ შესაბამისი მეთოდით უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან, მან დაადასტურა ის აზრი, რაც ზემომოცემულ დებულებებშია გამოხატული. ჩვენმა ექსპერიმენტებმა შესაძლებელი გახადა სიტყვის ბგერითი მხარისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის წვდომის უნარის გამოვლინება აღნიშნულ ასაკში; გარდა ამისა, ურთიერთშესატყვისობის განცდას თან ახლავს მაღალი დარწმუნებულობა გამოცნობის სისწორეში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უცნობი ენის სიტყვები ძირითადად სწორად არის გამოცნობილი; სიტყვის ბგერითი მხარის და მნიშვნელობის ურთიერთშეპირისპირების შედეგად მიღებული ინფორმაცია ცდისპირებს საშუალებას აძლევდათ, სიტყვები ამოეცნოთ სწორად; ამასთან, დადასტურდა სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის მნემური ეფექტიც. გამოვლინდა კორელაცია სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობის შესატყვისობის წვდომის უნარსა და ამ ურთიერთშესატყვისობის მნემურ ეფექტს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დაინტერესება ამ ასაკით განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ როგორც ვთქვით, აქამდე არსებული სისტემატური გამოკვლევებით ითვლება, რომ სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევა ცხრა წლის ასაკამდე გამოკვეთილ კანონზომიერ ხასიათს არ ატარებს. ჩვენმა ექსპერიმენტებმა კი უჩვენეს, რომ ეს პროცესი ცხრა წლის ასაკამდეც სავსებით გამოკვეთილი კანონზომიერებით ხასიათდება. გარდა ამისა, ჩვენი ინტერესი ამ ასაკისადმი განამტკიცა იმ გარემოებამაც, რომლის მიხედვით ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ბევრ ფსიქიკურ თვისებას ეყრება საფუძველი უმცროს სასკოლო ასაკში და, აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს აღნიშნული ასაკის მოსწავლეთა განვითარების რეზერვების გამოვლენას.

Marine Sirbiladze

THE ASPECTS OF PSYCHOLOGICAL RESEARCH OF THE WORD SOUND AND MEANING UNITY NATURE

Resume

In this work some aspects of modern psychological researches about the word sound and meaning unity nature, the process of naming are presented. D. Uznadze is known to be the founder of naming process research. Attention is paid to some results of experiments on research of the denoted problem.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. Alspach E., On the Psychological Response to Unknown proper Names. American Journal of Psychology 28, 1917.

2. ბაინდურაშვილი ა., სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, თბ. 1971.

3. ბაინდურაშვილი ა., უზნაძე დ., სახელდების ექსპერიმენტული კვლევის ფუძემდებელი და პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა, ფსიქოლოგია, 1986.

4. Davis R. The Fitness of Names to Drawings. A cross-cultural Study in Tanganyika. British Journal of psychology, 52, 1961.

5. English G. On the Psychological Response to Unknown proper names. American journal of psychology 27, 1916

6. Irwin F. and Newland E. A genetic study of the naming of visual figures. The journal of psychology, 9, 1940.

7. ნათაძე რ., ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო, 1945.

8. რამიშვილი დ., ენობრივი ნიშნის პრობლემა საბჭოთა ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მე-13 სამეცნიერო სესია, თეზისები.

9. უზნაძე დ., სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, შრომები, ტ. I, 1956 წ.

10. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, 1940.

11. Fischer S. Über das Entstehen und Verstehen von Namen, mit einem Beitrage sur Lehre von den transkortikalen Aphasien. Arch. F. dges Psychol. 1921 N42; 1922, N43.

12. Fox ch. An Experimental study of naming. American journal of psychology vol. 47. 104, 1935.

ფსიქოლოგიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

დალი სოლოღაშვილი

საკუთრება და საზოგადოებრივი პროგრესი

საკუთრება გულისხმობს ადამიანის ურთიერთობას ნივთთან, დოვლათთან, მაგრამ იმავდროულად, საკუთრება ადამიანთა ურთიერთობაა, რომელიც გამოხატავს მის მიერ ამ დოვლათის მითვისების განსაზღვრულ ფორმას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დოვლათის წარმოება და მითვისება საზოგადოების არსებობისა და განვითარების პირობაა. საზოგადოება არ შეიძლება არსებობდეს საკუთრების გარეშე, ისტორიის მანძილზე იცვლებიან მხოლოდ საკუთრების ფორმები.

საკუთრების მრავალი ფორმიდან მთავარი როლი კერძო საკუთრებას (ინდივიდუალურ და კოლექტიურ), სახელმწიფო საკუთრებას და საკუთრების შერეულ ფორმებს ეკუთვნით. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში თანაბარი უფლებით ნებადართულია საკუთრების სამივე ფორმა. საკუთრების უფლებას კანონი იცავს.

საკუთრების სუბიექტი შეიძლება იყოს: ცალკე პიროვნება, ოჯახი, კოლექტივი, სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი, პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია. საკუთრების უფლების ობიექტები კი სამ ჯგუფად იყოფა: 1. უძრავი ქონება: მიწა, წიალისეული, საწარმოო და არა საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი, გზები, ინფრასტრუქტურის ობიექტები და სხვა; 2. მოძრავი ქონება: მანქანები და მოწყობილობანი, ინსტრუმენტები, ავეჯი, მზა პროდუქცია, ფული, ფასიანი ქაღალდები და ა.შ. 3. ინტელექტუალური დოვლათი: გამოგონება, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, ინფორმაცია, პროგრამა გამომთვლელი მანქანებისათვის და ა.შ.

საკუთრების უფლების რეალიზაცია დაკავშირებულია ისეთ ცნებებთან, როგორიცაა: ფლობა, განკარგვა, გამოყენება. სრულყოფილი კლასიკური მესაკუთრეა ის, ვინც ყველა ჩამოთვლილ უფლებას დაუბრკოლებლად და შეუქცევადად ახორციელებს. ე.ი. ვინც არის საკუთრების უფლებით ობიექ-

ტის მფლობელი და განმკარგავიც, ვისაც უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი სურვილის შესაბამისად (გაყიდოს, გაასაჩუქროს, დააგირაოს, იჯარით გასცეს, მემკვიდრეობით გადასცეს და ა.შ.).

საკუთრების ფორმა განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის ბუნებას. ამას ადასტურებს კაცობრიობის მთელი ისტორია. თუნდაც დღევანდელი ჩვენი მაგალითი: რამ გამოიწვია ის, რომ, როცა დღის წესრიგში დადგა სსრ კავშირში არსებული ტოტალიტარული ეკონომიკური სისტემის შეცვლის საკითხი, პირველ რიგში გადასაწყვეტი შეიქმნა საკუთრების პრობლემა? რატომაა, რომ ეკონომიკური კრიზისიდან საქართველოს გამოსვლის უპირველეს პირობად მიჩნეულია საკუთრების რადიკალური რეფორმა?

ორივე კითხვის პასუხი ასეთია: იმიტომ, რომ საკუთრების ფორმის შეცვლის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური სისტემის შეცვლა. იმისათვის, რომ დაჩქარდეს საზოგადოების პროგრესი, აუცილებელია მისი ხელისშემშლელი, მოძველებული მანკიერი ეკონომიკური სისტემის დამსხვრევა, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მისი საფუძვლის, საკუთრების ძირეული გარდაქმნით.

საკუთრების ფორმაზეა დამოკიდებული: 1. წარმოების ფაქტორთა შეერთების წესი; 2. პროდუქციის განაწილების წესი; 3. მეურნეობის მართვის ხასიათი და ფორმა; 4. შრომის სტიმულები; 5. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა; 6. დაზოგვის მიდრეკილება.

წარმოების ფაქტორთა შეერთების წესს განსაზღვრავს წარმოების საშუალებებზე საკუთრების არსებული ფორმა. თუ წარმოების საშუალებები თავად მწარმოებელთა საკუთრებაშია, მაშინ წარმოების ფაქტორთა შეერთება ხდება უშუალოდ. იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების წევრთა ერთი ნაწილი მოკლებულია წარმოების საშუალებებს, სამუშაო ძალის შეერთება სხვა რესურსებთან ერთად ხდება სამუშაო ძალის დაქირავების ან წარმოების საშუალებების იჯარით გაცემის გზით.

წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა განსაზღვრავს წარმოების შედეგის – პროდუქციის განაწილების წესს. პროდუქტი ეკუთვნის იმას, ვისაც ეკუთვნის წარმოების საშუალებები. თუ მწარმოებელი ეკონომიკური რესურსების მესაკუთრეცაა, ცხადია, პროდუქციაც მისი საკუთრებაა. წარმოების საშუალებებს მოკლებული დაქირავებული მუშაკი ღებულობს ხელფასს. თუ წარმოების საშუალებები კოლექტიურ საკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაშია, პროდუქტიც კოლექტივის საკუთრებაა.

საკუთრების ფორმაზეა დამოკიდებული წარმოების მართვის ფორმა-და ხასიათი. როცა წარმოება კერძო საკუთრებაშია, მესაკუთრე თვითონ მართავს მას თავისი შეხედულებისამებრ. კოლექტიური საკუთრების ობიექტთა მართვის ფუნქციას ახორციელებს თვით კოლექტივი და მისი არჩეული ორგანოები. თუ წარმოება სახელმწიფო საკუთრებაა, მას მართავს სახელმწიფოს მიერ დანიშნული პირი.

საკუთრების ფორმა განსაზღვრავს შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულებას. საკუთრებას მოწყვეტილი ადამიანი კარგავს ინტერესს შრომისადმი, შრომის სტიმული გააჩნია იმას, ვინც წარმოების პირობებისა და შედეგების მესაკუთრეა. საკუთრების უფლება ადამიანს სტიმულს აძლევს საკუთრების ობიექტები გამოიყენოს მაქსიმალური ეფექტიანობით.

საკუთრების ხელუხლებლობა სტიმულს აძლევს ადამიანს თავისი შემოსავლის ნაწილი დაზოგოს, დააგროვოს და ამდენად, კიდევ უფრო გამდიდრდეს.

საკუთრების ობიექტთა თავისუფალი განკარგვისა და გამოყენების უფლება ხელს უწყობს ეკონომიკის წონასწორობას.

საკუთრების ფორმის შეცვლა ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლის საფუძველია. ერთობლიობას პროცესებისა და ღონისძიებებისა, რომელსაც საკუთრების ფორმათა შეცვლა მოსდევს, საკუთრების რეფორმა ეწოდება. საკუთრების რეფორმა ერთ-ერთი ელემენტია ეკონომიკური რეფორმისა. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საკუთრების რეფორმის ცენტრალურ პრობლემად იქცა სახელმწიფო საკუთრების დემონტაჟი: მისი უდიდესი ნაწილის გადაქცევა მოქალაქეთა და საწარმოთა საკუთრებად და ამის საფუძველზე კონკურენციულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ამ პროცესის აღსანიშნავად კი ხშირად ვიყენებთ ტერმინს „პრივატიზაცია". სიტყვა „პრივატუს" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს კერძოს, მაგრამ პრივატიზაცია რეალურად გულისხმობს სახელმწიფო საკუთრების ნაწილის გარდაქმნას არა მხოლოდ კერძო საკუთრებად, არამედ საკუთრების სხვა ფორმების დამკვიდრებასაც. პრივატიზაცია არის სახელმწიფო საკუთრების გადაქცევა მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივის, იურიდიული პირების, საზოგადოებების საკუთრებად, სახელმწიფო საწარმოთა აქციონირება და ა.შ.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ პრივატიზაცია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ინსტიტუციონალური გარდაქმნების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც იწვევს საზოგადოებრივ ფასეულობათა ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას. პრივატიზაციის ფორმები, მასშტაბი არსებითად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაზე, საწარმოო ძალების განვითარების დონეზე, ეკონომიკური სტრატეგიისა და ხელსაყრელი სიტუაციის მომზადებაზე.

პრივატიზაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა, მისი ე.წ. ტრადიციული სქემებისაგან არსებითად განსხვავდება. ჯერ ერთი, იგი მოიცავს მთლიანად ეკონომიკას, მის ყველა დარგს, ეს კი სირთულეებს ქმნის თვით პროცესის რეგულირებაში. მეორე, პრივატიზაციის მიზანი არის არა მხოლოდ ახალი მესაკუთრის შექმნა, არამედ ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებაც. პრივატიზაცია არა მარტო სიმდიდრის, არამედ სამეურნეო საქმიანობის შედეგებისთვის პასუხისმგებლობაცაა, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფო წყობის ძირეულ შეცვლას იწვევს. მესამე, პრივატიზაცია არ არის ეკონომიკური გარდაქმნის მიზანი, იგი მხოლოდ საშუალებაა. ეკონომიკის სტრუქტურულმა გარდაქმნამ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანობა არა მარტო საწარმოს დონეზე, არამედ მთლიანად ეკონომიკაში ქვეყნის მასშტაბით შრომითი რესურსების გადანაწილებით, ტექნიკური სიახლეების დანერგვით, მმართველობითი სტიმულების გამოყენებით.

პრივატიზაციის შედეგებმა სრულიად ახლებურად დააყენა საკუთრებისადმი დამოკიდებულების საკითხიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღემდე საყოველთაოდ აღიარებული იყო, რომ ეკონომიკის საფუძველს წარმოებული მატერიალური დოვლათი და წარმოების საშუალებებზე საკუთრება შეადგენს. ამიტომ საკუთრება პოლიტიკური ხელმძღვანელობის მთავარ საკითხად იყო მიჩნეული.

მეცნიერთა ერთი ნაწილი, კაპიტალისტური წყობის ინტერესებიდან გამომდინარე, კერძო საკუთრებას აფეტიშებდა და საბაზრო ურთიერთობებს უხარვეზოდ მიიჩნევდა. მეცნიერთა მეორე ნაწილი, იცავდა რა სოციალისტურ იდეოლოგიას, საზოგადოებრივ (სახელმწიფო) საკუთრებას მიიჩნევდა პროგრესის საფუძვლად და განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და მართვას.

ორივე სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მოიპოვება სათანადო მაგალითები იმისა, რომ საკუთრების ერთი ფორმის პირობებში სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. მაგალითად, ასე იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში, პოლონეთსა და ალბანეთში, უნგრეთსა და ჩინეთში და ა.შ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ჰქონდათ ერთმანეთისაგან განსხვავებული მატერიალური წარმოების სტრუქტურა, საწარმოო ძალების განვითარების დონე, მიუხედავად ერთი და იგივე საკუთრების ფორმის გაბატონებისა.

მსოფლიო პრაქტიკის, განსაკუთრებით საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმების შედეგების კომპლექსური ანალიზი იძლევა რეალურ საფუძველს მნიშვნელოვანი დასკვნებისათვის, რომ საკუთრების არც ერთ ფორმას პოსტსოციალისტურ ქვეყნებში აბსოლუტური ხასიათი არ აქვს. თითოეული მათგანის როლი და ფუნქცია ეკონომიკის განვითარების კონკრეტული ეტაპის შესაბამისად შეიცვლება და გარდაიქმნება. ამ დებულების სისწორეს ამტკიცებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ცხოვრებაც. მაგალითად, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციამ რეალურად მოგვცა შედეგი, რომელმაც გასცა პასუხი უმთავრეს კითხვას, რომ კერძო სექტორსაც აქვს თავისი ადგილი, დონე, რომლის იქით მისი განვითარებისათვის დამახასიათებელი „უხილავი ხელის" მოქმედებაც კი სასურველ ეფექტს ვერ იძლევა. გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის დონე, სოციალურ-ეკონომიკური გარემო განსაზღვრავს საკუთრების ამა თუ იმ ფორმის მდგომარეობას, ადგილსა და როლს ეკონომიკურ სისტემაში. ამასთან ერთად დადასტურდა, რომ საზოგადოებრივ პროგრესს განსაზღვრავს არა იმდენად საკუთრების ფორმა, რამდენადაც ამ ფორმის გამოყენების ეფექტიანობა, მისი შედეგების (ეროვნული შემოსავლის) განაწილების სახელმწიფო მექანიზმის სოციალური საფუძველი.

ასევე დადასტურდა, რომ თანამედროვე საბაზო ეკონომიკაში უმთავრესია საწარმოო ძალების განვითარების დონე და ბუნებასთან ურთიერთობაში წარმოების პროცესის წონასწორობის შენარჩუნება. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში საკუთრება იღებს მრავალმხრივ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ დატვირთვას და

მრავალფეროვანს ხდის ადამიანთა ცალკეული ჯგუფების, კოლექტივების საერთო საზოგადოების დამოკიდებულებას წარმოების, შექმნილი პროდუქტის, მისი ღირებულების განაწილების მიმართ. დღევანდელი რეალური სინამდვილე ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ საკუთრება წარმოების პირობაა და არა თვით წარმოება, იგი შრომის საშუალებაა და არა თავად შრომა, ინტერესის რეალიზაციაა და არა თავად ინტერესი. განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ საკუთრება, როგორც წარმოების საფუძველი, რეალურ ზეგავლენას ახდენს განაწილებაზე და გაცვლაზე მხოლოდ სწორი ორგანიზაციის მრავალმხრივ პროცესში. ამ საქმეში მთავარ როლს ასრულებს წარმოების მმართველი, მისი ცოდნა, გამოცდილება, წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურა, საერთო საზოგადოებრივი მიზანი. საკუთრება „მოძრაობაში" მოყვანის გარეშე საკუთარი ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციას ვერ მოახდენს.

ამრიგად, სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში უმთავრეს კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს არა საკუთრების რომელიმე ფორმის გაბატონებული მდგომარეობა, არამედ საკუთრების ყველა ფორმის ეფექტიანად გამოყენება, რომლის შედეგების სწორად განაწილებისას დაგროვების ბაზაზე იქმნება საწარმოო ძალების განვითარების ხელშემწყობი პირობები.

Dali Sologashvili

FORM OF PROPERTY AND SOCIAL PROGRESS

resume

Property means people's relation with things and wealth, at the same time it is the relation among people, which expresses a definite form of its wealth appropriation. It should be taken into consideration that production and appropriation of wealth are the guarantees of society's existence and development. The society can not exist without property. It changes through the history.

The main forms of property are: private property, state property and other different forms of property. They are allowed to be used in modern marketing. Rights of property are protected by the law.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., პრივატიზაცია - გზა საბაზრო ეკონომიკისაკენ, ჟ. "ეკონომიკა", 1991, №11-12.

2. გოგოხია რ., განსახელმწიფოებრივების და პრივატიზების არსის გაგებისათვის, ჟ. "ეკონომიკა", 1992, №5-6.

3. იუკუსა მ., პრივატიზაცია იაპონურად, ჟ. "ეკონომიკა", 1992. №1-2.

4. სილაგაძე ა., დიდბარიძე გ. და სხვ. საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები თბ., 1996 წ.

5. ქვაჩახია ი., თეორიული ეკონომიკა, თბ., 1996.

6. ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ. 1997.

7. ჩიქავა ლ., პრივატიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, ჟ. "ეკონომიკა" 1994, №9-12.

8. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1995.

9. სალამაძე ვ., პრივატიზაციის გერმანული გამოცდილება, ჟ. "ეკონომიკა", 1993, №1.

10. ჯეფრი დ. საქსი. პრივატიზაცია პოლონურად, ჟ. "ეკონომიკა", 1992 №1.

11. Изд. Правительства росийской Федерации малая приватизация в Россииской федерации. Нижегородская модель.

ეკონომიკის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ვალერიან ქელბაქიანი

სასრულისა და უსასრულოს ცნებები მათემატიკაში, ფიზიკასა და კოსმოლოგიაში

ამჟამად სასრულისა და უსასრულოს ცნებები დიდ მეთოდოლოგიურ როლს თამაშობენ ფიზიკისა და კოსმოლოგიის მეცნიერებებში ჰიპოთეზებისა და კერძო მეთოდების გარკვეული ბაზისის შექმნისათვის. ამ ცნებებით ფუნქციის გამოკვლევა მეცნიერებაში – არის აქტუალური ფილოსოფიის პრობლემა. სასრულისა და უსასრულოს ურთიერთკავშირის მეთოდოლოგიური ასპექტები პოულობენ გარკვეულ ასახვას მათემატიკასა და კოსმოლოგიაში. თავის ზოგადობისა და აბსტრაქტულობის გამო ეს ცნებები მეთოდოლოგიური მნიშვნელობით სხვა მეცნიერებებისათვის მიახლოებული არიან ფილოსოფიასთან, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს მათემატიკური ცნებები თვითონ საჭიროებენ დასაბუთებას.

მათემატიკის განვითარების ისტორიამ გვიჩვენა, რომ მარტო მათემატიკის ფარგლებში შეუძლებელია უსასრულობის ცნების დასაბუთება, იმიტომ რომ:

1. ჯერ ერთი, თავისი აბსტრაქტულობისა და ფორმალური ხასიათის გამო მას არ შეუძლია ასახოს მატერიალური სამყაროს რეალური თვისებები, რომლის ახსნაც თვით ერთიანი სამყაროს შინაგანი კანონზომიერების სიღრმისეულ წვდომას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა ტიპის ფილოსოფიური კონცეფცია ობიექტური რეალობის მიმართ, რომელთაგან ჩვენთვის უფრო საინტერესო გახლავთ ნეოპოზიტივისტური და ობიექტური შეხედულებები მატერიაზე. ნეოპოზიტივიზმის მიმდევარი ჰაიზენბერგი არ იზიარებს დოგმატური რეალიზმის (იგი რეალიზმში მატერიალიზმს მოიაზრებდა) იდეებს და თვლის, რომ ქვანტურმა თეორიამ აჩვენა, თუ როგორაა შესაძლებელი ბუნებრივი მეცნიერება დოგმატური რეალიზმის საფუძვლის გარეშე. ასევე რაიხენბახი აღნიშნავდა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი, იდგა რა

ობიექტივიზმის პოზიციაზე, სუბსტანციას, მატერიას, მოძრაობასა და ტალღებს ობიექტური რეალობის ნიშანს მიაწერდა, რაც „წარმომდგარია ყოველდღიური ცხოვრების პრიმიტიული ცდებიდან", რის გამოც, იგი მათ უხეშ ცნებებს უწოდებს. ამით ფაქტიურად ნეოპოზიტივიზმი ემიჯნება ობიექტივიზმს, ემყარება არამატერიალური სუბსტანციის შესაძლებლობას სამყაროს გაგების საკითხში (1,50).

2. მათემატიკას, როგორც აქსიომატურ მეცნიერებას ჰეგელის თანახმად არ შეუძლია საკუთარი საშუალებებით დაასაბუთოს ამოსავალი ცნებები, რომლისთვისაც მან მეტაფიზიკას უნდა მიმართოს, თანმიმდევრული დასაბუთება კი დაპირისპირებულთა და წინააღმდეგობათა ერთიანობის აღიარების აუცილებლობას ემყარება, „ამიტომ ოდენობა შეიძლება არა მარტო უსასრულოდ გაიზარდოს ან შემცირდეს, არამედ იგი თავად არის საკუთარი ცნების წყალობით მუდმივი გასვლა თავის ფარგლებს გარეთ, ამიტომ იგი ერთი და იგივე წინააღმდეგობის განმეორებას წარმოადგენს" (2,239).

ყოველივე ეს იწვევს კომპლექსური მიდგომის აუცილებლობას თანამედროვე მეცნიერებაში სასრულისა და უსასრულოს კონცეფციების ფუნქციების კვლევისადმი და აერთიანებს ფილოსოფიის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების დანარჩენ მეცნიერებათა ძალისხმევას. უდავოდ თეორიულ-ფილოსოფიური ხასიათი აქვს მათემატიკის ჩარჩოში უსასრულობის მათემატიკური ცნების აბსტრაგირების პროცედურისა და შემოღების მეთოდის უფლებამოსილების საკითხს. ისმება კითხვა: დასაშვებია თუ არა ასეთი მიდგომა (отвлечение) ამ ცნების ფორმების პროცედურისაგან თვით მათემატიკის შიგნით, ან რა შედეგთან მივყავართ ასეთ აბსტრაგირებას.

ჩვენი აზრით, სასრულისა და უსასრულოს ურთიერთკავშირის პრობლემისათვის, როგორც ფილოსოფიური კატეგორია და როგორც მათემატიკური და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცნებისათვის, საკვანძო მნიშვნელობა აქვს ისეთ კატეგორიებს, როგორიც არის ზოგადობის, განსაკუთრებულის და ერთეულის, მთელისა და ნაწილის, წყვეტილისა და უწყვეტის, განსაზღვრულისა და განუსაზღვრელის ურთიერთკავშირის ანალიზს. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ, როგორც საერთო, გვევლინება ფილოსოფიური კატეგორიები ერთეულის - ფიზიკური და კოსმოლოგიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ცნებები, განსაკუთრებით კი – სასრულისა და უსასრულოს მათემატიკური ცნებები, რომლებიც არიან დამაკავშირებელი რგოლები კერძო საგნების ცოდნასა და ფილოსოფიას შორის.

აღსანიშნავია, რომ თვით არისტოტელე სასრულისა და უსასრულოს კატეგორიებს ხსნიდა მთელისა და ნაწილის კონტექსტში. მისი აზრით, „უსასრულობა არის ის, რაც უსასრულოდ იყოფა ნაწილებად" (3, 811) ასევე სასრული სხეული უსასრულოდ არ იყოფა, მაგრამ სასრული მონაკვეთი უსასრულოდ იყოფა. განსხვავება იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფიზიკურ ობიექტთან, მეორეში კი – მათემატიკურთან, იდეალიზირებულთან, რომელიც მხოლოდ აზროვნებაში არსებობს. არისტოტელე დროსა და მანძილს იხილავს როგორც უსასრულო სიმრავლეებს, რომელთა შორის ურთიერთცალსახა თანადობაა და აისახება ზემო აღნიშნული წინააღმდეგობანი. ეს იყო გულუბრყვილო შეხედულება უსასრულობაზე, რომელიც არსებობდა ძველბერძნულ მეცნიერებაში. ს. მელიურინმა და ი. პეტროვმა თავიანთ შრომებში უსასრულობის პრობლემა განიხილეს დაწყებული ძველბერძნული ფილოსოფოსებიდან მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე.

შემდგომში, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის განვითარებამ (ნიუტონთან და ლაიბნიცთან), როგორც უსასრულო მცირეების აღრიცხვამ დაგვანახა, არსებული კავშირი ისეთ კატეგორიებს შორის, როგორიც არის სასრული და უსასრულო, დისკრეტული და უწყვეტი. ბოლოს ბუნებისმეტყველების განვითარებამ გამოავლინა ამ ცნებების ახალი კავშირები: ასე მაგალითად, სასრულის ცნება გაზომვის თანამედროვე თეორიებში ორგანულად დაკავშირებული აღმოჩნდა ისეთ ცნებებთან, როგორიც არის ზუსტი და არაზუსტი, განსაზღვრული და განუსაზღვრელი.

მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში სასრულისა და უსასრულობის პრობლემისადმი ბევრი ნაშრომი არის მიძღვნილი. მათში გამოკვეთილია მათემატიკისა და ფილოსოფიის კავშირი მეცნიერულ დონეზე. მოცემულია მათემატიკაში სასრულისა და უსასრულოს კონცეფციების ფილოსოფიური ანალიზი, ახსნილია უსასრულობის ცნების აზრი სიმრავლეთა თეორიაში, განხილულია სამყაროს სასრული და უსასრულო მოდელების სტატუსი, ანალიზი უკეთდება ამ პრობლემას ფიზიკაში და ა.შ. აქ ხშირად

ვხვდებით საწინააღმდეგო მიდგომებსაც, რაც აიხსნება პრობლემის მრავალწახნაგობით და საერთოდ, მეცნიერების სწრაფი განვითარებით. თანამედროვე მეცნიერების, განსაკუთრებით რელატივობის თეორიისა და ქვანტური მექანიკის გავლენით, მკვეთრად შეიცვალა წარმოდგენები სინამდვილის კანონზომიერების შესახებ. კლასიკური აზროვნება იცნობდა მხოლოდ ევკლიდურ გეომეტრიასა და ნიუტონის მექანიკას. მათ შეუცვლელ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ იგი. კლასიკურ აზროვნებას სიბრტყეზე მდებარე წრფის მიმართ მოცემული წერტილიდან ერთზე მეტი პარალელური წრფის გავლება შეუძლებლად მიაჩნდა. სივრცე, დრო, მოძრაობა, მასა და ა.შ. კლასიკურ ფიზიკაში აბსოლუტურ სიდიდეებს წარმოადგენენ, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებამ, რომელიც მოგვევლინა, ერთი მხრივ, არაევლიდური გეომეტრიის, ხოლო, მეორეს მხრივ, აინშტაინის რელავისტური თეორიის სახით, ყველაფერი თავდაყირა დააყენა, თუმცა ამით კლასიკურ შეხედულებებს თავიანთი ძალა მაინც არ დაუკარგავთ, რადგან ისინი გარკვეული ათვლის სისტემის მიმართ კვლავაც უცვლელნი რჩებიან. ახალმა აღმოჩენებმა უბრალოდ გაზარდა სამყაროს კვლევაძიების მასშტაბები და ალტერნატიული სისტემების ფაქტის წინაშე დაგვაყენა. კლასიკური აზროვნების ფორმების მნიშვნელობას არც ნეოპოზიტივისტები არ უარყოფდნენ. მაგალითად, რაიხენბახი ამას ხსნის „დიდი მასშტაბის სამყაროს" თვისებებით. კერძოდ, არაევკლიდური გეომეტრია და რელატივისტური თეორია დიდი მასშტაბის სამყაროს თვისებებს გამოხატავს, კლასიკური წარმოდგენები კი განსაზღვრავენ „მცირე მასშტაბის სამყაროთა" თვისებებს (4, 28). ასეთ დიდ და მცირე სამყაროებს თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში „ზღვრული სამყაროების" კვალიფიკაცია ენიჭებათ. რაიხენბახის აზრით, ამ დიდ და მცირე სამყაროების შუაში ჩვენ ვცხოვრობთ. იგი მას „საშუალო განზომილების სამყაროს" უწოდებს და თვლის, რომ მის ზევით „მაკროკოსმოსია", ქვევით კი „მიკროკოსმოსი", რომელთაც სრულიად სხვადასხვა თვისებები გააჩნიათ. ფ. ფრანკი ამტკიცებს, რომ თუ შევეცდებით „კლასიკური აზროვნების კანონებით ზღვრული სამყაროების თვისებების აღწერას, მაშინ უთუოდ უზუსტობაში ჩავვარდებით (5, 149).

სამყაროს უსასრულობისა და სასრულობის პრობლემათა ანტინომიების შესატყვისი ანალიზი ცხადყოფს, რომ მიმართებათა სიბრტყის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალსახეობა სუბიექტური შემეცნების პროცესის დამახასიათებელი-ობა-მენტია და მისი გნოსეოლოგიური შეფარდებითი ხასიათი რეალურად არსებული მრავალი სამყაროს ონტოლოგიური არგუმენტაციის რანგში არ უნდა ავიყვანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი შემეცნების მიზანს აზრი ეკარგება, რადგანაც იგი საყოველთაო კანონების უარყოფის დესტრუქციული ფუნქციის მეტს ვერაფერს ვერ შეასრულებს. ეს ვითარება თავის დროზე ძალიან კარგად გააცნობიერა ჰეგელმა კანტის მიერ შემეცნების უნარ-შესაძლებლობათა კრიტიკული ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნების გაბათილებისას, თუმცა, ამავე დროს, არ უგულებელყოფდა მის დიდ დამსახურებას განსჯისა და გონების სფეროთა განსხვავების გამო. "განსჯას თავის საგნად აქვს სასრული და განპირობებული, გონებას კი - უსასრულო და უპირობო, თუმცა, კანტის ფილოსოფია მხოლოდ ცდაზე დამყარებული განსჯითი შემეცნების სასრულობას სცნობდა და მის შინაარსს მოვლენას უწოდებდა, მაგრამ ამ უარყოფით შედეგზე გაჩერება არ შეიძლება და გონების უპირობობა არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ აბსტრაქტულ, განსხვავების გამომრიცხველ თავის თავთან იგივეობაზე" (2,132).

კანტმა მეტაფიზიკა უარყო, როგორც მეცნიერება. კანტორისათვის უსასრულობა არსებობს არა მარტო პოტენციალურად, მაგრამ მისი არსებობა არ გადის ადამიანის გონების საზღვრებს გარეთ. ჰეგელმა, რომელიც გამოვიდა კანტის სუბიექტივისტური პოზიციის წინააღმდეგ, პირველად ფილოსოფიაში დაასაბუთა სასრულისა და უსასრულოს დიალექტიკური ერთიანობის იდეა.

უსასრულო და სასრული აბსტრაქტული ცნებებია, რადგანაც ჩვენს შემეცნებაში ხვდება მხოლოდ ბოლოვადი საგნები. ყოველი მატერიალური ობიექტი არის რეალური სამყაროს ნაწილი, მისი ურთიერთქმედებით. განვსაზღვრავთ რა ობიექტს როგორც სასრულს, ჩვენ მის აბსტრაგირებას ვაკეთებთ უსასრულო ურთიერთქმედებიდან, რომლებშიც ის მონაწილეობს. მაგრამ, სასრული და უსასრულო, როგორც მათემატიკური ობიექტები, განსხვავდებიან ასახული მატერიალური ობიექტებიდან იდეალიზირებულობით.

ადვილად შეიძლება ნათქვამის ილუსტრირება იმ სიტუაციის ანალიზით, რომელიც შეიქმნა დღეისათვის თანამედროვე ფიზიკაში დიფერენცი-

ალური აღრიცხვის გამოყენებისას. პირველ ხანებში მათემატიკაში უსასრულოდ მცირეზე წარმოდგენა იყო მისტიკური, შემდგომში კი დალامბერის, ლაგრანჟისა და ადამარის მიერ გაჩნდა უფრო კონკრეტული აზრი უსასრულოდ მცირის ცნების შესახებ. თითქმის ასეთივეა უსასრულოდ დიდის ცნებაც. ტერმინი "უსასრულოდ მცირე" სინამდვილეში ნიშნავს "განუსაზღვრელ მცირეს". სიტუაციას ამძიმებდა ის მდგომარეობა, რომ დიფერენციალურ აღრიცხვაში სივრცე და დრო მიიღებიან, როგორც უწყვეტი დიფერენცირებადი წერტილების ნაირსახეობა. მიკრო-სამყაროს ფიზიკა იყენებს ისეთ აპარატს, რომლებიც უწყვეტ სივრცე-დროში აღწერენ წერტილოვან მოდელებს 10-12 - 10-15 სმ-მდე სიზუსტით.

ფილოსოფიური მტკიცება იმის შესახებ, რომ უსასრულო შეიცავს თავის თავში სასრულს, იმას კი არ გულისხმობს, რომ სახელდობრ, უსასრულოს ექსტენსიური ასპექტი შეიცავს სასრულს, არამედ იმას, რომ ერთიანი რეალური უსასრულო შეიცავს სასრულს. აღნიშნული დებულება ძალზე რელიეფურად იკვეთება ძენონის ცნობილ აპორიებში, მაგალითად, "კუ და აქილევსი". აქ მტკიცდება ის, რომ მოძრაობისას მათ შორის მანძილი უსასრულოდ მცირდება ისე, რომ ის არასდროს არ ხდება ნულის ტოლი, რომლის ლოგიკური არსებობაც ხელს უშლის დაწევის ფაქტის შესრულებას. არისტოტელე, რომელმაც ჩინებულად გაარჩია ძენონის ყველა პარადოქსი, შენიშნავს, რომ ჩქარი ნელს უსათუოდ დაეწევა, თუკი მას ნებას დართავენ საზღვარი გადალახოს. აქ მთავარი პრობლემა დგას სასრულის მიერ უსასრულოდ კლებადი ზღვარის გადალახვაში.

უსასრულო სიმრავლე არის ის, რაც დევს სასრულის შიგნით. რეალური უსასრულობა იცვლება უსასრულო სიმრავლეში თავისი ნაწილით. ეს განხორციელებადია იმდენად, რამდენადაც უსასრულობაში ნაწილი უდრის მთელს. იმავე დროს შესაძლებელი ხდება უსასრულოს მოდელირება, რადგანაც ის არ გამოდის სასრული ობიექტის ჩარჩოებს გარეთ. უსასრულო სიმრავლის ელემენტები განსხვავდებიან მატერიალურ ობიექტებისაგან. სიმრავლეებზე ოპერაციების ჩატარება დამოკიდებული არ არის მის ელემენტებზე, მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ელემენტთა რაოდენობრივ მხარეს.

სიმრავლეთა თეორიამ კონკრეტიზაცია მიიღო ჯგუფთა თეორიაში. ჯგუფების ცნება აღმოცენდა სიმრავლის ელემენტების ცნებასთან კავ-

შირში, ამიტომ ჯგუფები, როგორც სიმრავლის გარკვეული სახე, ერთგვა-
მათი მთლიანობის ჩარჩოებში. ჯგუფის ელემენტები განსხვავდებიან ჩვე-
ულებრივი სიმრავლის ელემენტებისაგან იმით, რომ ისინი ასახავენ მატე-
რიალური სამყაროს მრავალი სახის ობიექტებს.

ბრიტანელ ფილოსოფოსს, ლოგიკოსს, მათემატიკოსს, სოციოლოგსა და
საზოგადო მოღვაწეს ბერტრან რასელს სჯეროდა, რომ სამყაროს უნივერ-
სუმი ისეთი არსებისაგან შედგება, რომელიც მათემატიკურ კანონზომიე-
რებასა და ჰარმონიულ აგებულებას შეესაბამება, რომ ყველა ლოგიკური
წინააღმდეგობა, რომელიც კი განიხილება ანტინომიებსა და პარადოქ-
სებში, განსაკუთრებით სიმრავლეთა თეორიის შესატყვისი დილემების სახით,
აღმოცენებულია ბუნებრივ ენებში ორაზროვანი და ბუნდოვანი ტერმი-
ნების გამოყენების საფუძველზე. სწორედ ამ მდგომარეობამ აიძულა იგი
ემუშავა მათემატიკური მოდელის შესაბამისი ხელოვნური, მეცნიერული
ენის შექმნაზე (6,321).

რაც შეეხება ავსტრიელ მათემატიკოსსა და ლოგიკოსს კურტ გიო-
დელს, მან სიმრავლეთა აქსიომატური თეორიისა და ნატურალურ რიცხვთა
უსასრულობის დასაბუთებით განსხვავებული დასკვნები გააკეთა. მისი
აზრით, მსგავს სისტემებში მოიპოვება ჭეშმარიტი წინადადებები (აქსიო-
მები), რომლებიც მიღებულია დამტკიცების გარეშე, რამაც ხელი შეუწყო
მეცნიერული კვლევის გაძლიერებას. გიოდელის გამოკვლევებმა მნიშვნე-
ლოვანი შედეგები მოგვცა მოდელების თეორიის შექმნაში, კონსტრუქცი-
ული ლოგიკის სფეროში, რეკურსიულ ფუნქციათა თეორიაში და სხვ.

კლასიკურ მათემატიკაში მოდელირების შემდგომი განვითარება დაკავ-
შირებულია თანამედროვე გამოთვლით მათემატიკასთან. თანამედროვე
მათემატიკური მოდელირება თავის წინაშე სვამს უფრო რთულ ამოცანას,
რაც დაკავშირებულია ბუნებაში მიმდინარე პროცესების მათემატიკურ
აღწერასთან. ამით საფუძველი ეყრება რეალური უსასრულობის მათემა-
ტიკურ კვლევას.

ამ გზის რეალიზაცია განახორციელა ჯონ ნეიმანმა ავტომატების
ლოგიკურ-მათემატიკური თეორიის დამუშავებით. აქ მთავარია ის, რომ
ნეიმანი სასრულისა და უსასრულოს პრობლემის გადასაჭრელად მიდიო-
და არა კლასიკური მათემატიკის ანალიზის აპარატის გამოყენებით, არა-
მედ, პირიქით, დისკრეტული მათემატიკიდან უწყვეტი მათემატიკისაკენ. ჯ.

ნეიმანმა შემოგვთავაზა, უარი გვეთქვა უსასრულოს, როგორც უსაზღვროს ცნებაზე. საქმე იმაშია, რომ პრაქტიკულად ელექტრო-გამომთვლელი მანქანის საშუალებით მთავარია მივიღოთ შედეგი დისკრეტულ, სასრულო ნაბიჯების სასრულ რიცხვში. მხოლოდ მაშინ შეიძლება ოპერაციებში ჩავრთოთ დროის ფაქტორი, რომელიც ახასიათებს რეალური მატერიალური სტრუქტურების მდგომარეობის აღწერას.

კიბერნეტიკისა და ოპტიმალური მართვის თეორიის განვითარებამ მიგვიყვანა ამ იდეების კონკრეტიზაციამდე, რომლებშიც გამოიყენებიან სხვადასხვა სახის ფუნქციები. ძალიან მიზანშეწონილია ამ იდეების გამოყენება მიკრო სამყაროს ფიზიკაში. ამ დროს მხედველობაში მიიღება კვანტური პოსტულატი, ხოლო კვანტური მექანიკის განტოლებები გადაისახებიან მართვის სიმეტრიული სტორასტიკური თეორიის ტერმინებში. მომავალი გვიჩვენებს, რომელი გზა უფრო პერსპექტიული იქნება - ტრადიციული თუ ნეიმანის მიერ შემოთავაზებული.

მათემატიკურმა მოდელირებმა შეაღწია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველა დარგში. მათ შორის კოსმოლოგიაშიც. მათემატიკური მოდელების საშუალებით სამყაროს შესწავლის შესაძლებლობამ საშუალება მოგვცა დღის წესრიგში დაგვესვა სამყაროს უსასრულობის პრობლემა.

ფილოსოფიური თვალსაზრისით, მეცნიერული ცოდნის ჭეშმარიტების კრიტერიუმი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად არის გამოვლენილი თეორიაში საკვლევი ობიექტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზომა. ადამიანთა საზოგადოების პრაქტიკულმა საქმიანობამ, რომელმაც მიაღწია განვითარების მაღალ დონეს, ცალსახად დაამტკიცა ჭეშმარიტი ფილოსოფიის მეცნიერულობა და მეტაფიზიკის ანტიმეცნიერულობა. იმის დასაბუთებამ, რომ სამყაროს ერთადერთი სუბსტანცია არის მატერია, მიგვიყვანა მატერიის სივრცესა და დროში უსასრულობის აღიარებამდე და ამით კი - სამყაროს უსასრულობის აღიარებამდე, რადგან მატერია არის სამყაროს ერთადერთი სუბსტანცია, ის შეიძლება იყოს შეზღუდული მხოლოდ საკუთარი თავის, ე.ი. ის უსასრულოა სივრცეში. რადგანაც მატერია არც იქმნება და არც ისპობა (ქრება), ის უსასრულოა დროში. ამ იდეების მისაღწევად კაცობრიობას დასჭირდა საუკუნეები.

სივრცესა და დროში მატერიის უსასრულობის იდეამ თავისი ასახვა ჰპოვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ნიუტონის მექანიკის ყველა

კანონი ჩამოყალიბებულია უსასრულო სამყაროსათვის, რომლის ნაწილი არის უშუალოდ ჩვენს მიერ აღქმული სასრული საგნების სამყარო, რომელთა მიმართ ადამიანი იყენებს ბუნების კანონებს და ამოწმებს მათ პრაქტიკაში. უნდა შევნიშნოთ, რომ პრაქტიკა არ არის აბსოლუტური, არამედ იგი ჭეშმარიტების შეფარდებითი კრიტერიუმია, რადგანაც თვითონ ვითარდება შემეცნების პროცესის განვითარებასთან ერთად.

ნიუტონის კოსმოლოგიაში სამყაროს უსასრულობის დასაბუთება უკვე აღარ იწვევდა დიდ სიძნელეებს, თუნდაც იმიტომ, რომ კლასიკური ფიზიკა არ შეხებია რაიმე შეზღუდვებს უსასრულობაზე ბუნების კანონების გავრცელების დროს. ამასთან ერთად, დაიყვანა რა მატერია მის მხოლოდ ერთ სახეობამდე – ნივთიერებამდე, ნიუტონის კოსმოლოგიამ განსაზღვრა თავისი გამოყენების ხარისხობრივი საზღვრები და იძულებული შეიქნა, ადგილი დაეთმო უფრო მოქნილი რელატივისტური კოსმოლოგიისათვის. ახალმა კოსმოლოგიამ უკუაგდო კოსმოლოგიური პარადოქსები, რაც ვერ მოახერხა კლასიკურმა კოსმოლოგიამ. რელატივისტურმა კოსმოლოგიამ არა მარტო ახსნა სამყაროს უსასრულობის პრობლემა, არამედ მოხაზა ამ პრობლემის ახალი კონტურები.

რელატივისტურ კოსმოლოგიაში სივრცის ევკლიდურობა არ არის ერთადერთი შესაძლო თვისება, რაც იძლევა საშუალებას დავუშვათ არა მარტო უსასრულო, არამედ ჩაკეტილი სასრული სამყაროს არსებობა. თანამედროვე კოსმოლოგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ჰორიზონტის" არსებობის შემთხვევაში, გაფართოებულ მეტაგალაქტიკაში გარკვეულ ზღვრულ მანძილზე იქეთ დაკვირვება ვერ ხერხდება. ამიტომ შეუძლებელია პირდაპირი დაკვირვებებით დავრწმუნდეთ სამყაროს უსასრულობაში ან სასრულობაში.

რელატივისტური კოსმოლოგია გვთავაზობს უარვყოთ სივრცის მეტრული უსასრულობა და შევცვალოთ ის უნივერსალური და აუცილებელი მახასიათებლით, რაც შეავსებს შედარებით სხვაობას სამყაროს სასრულ და უსასრულო მოდელებს შორის. ამას კი სამყაროს უსასრულობის პრობლემა გადაყავს ფილოსოფიურ პრობლემიდან სუფთა კერძომეცნიერულ პრობლემათა რანგში, მაგრამ ამით იკარგება პრობლემის მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობითი ასპექტები.

აღსანიშნავია, რომ შემეცნებით პროცესს არასდროს არ დასჭირვებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი ექთვა მატეიალური სამყაროს უსასრულობის აღიარებაზე, მიუხედავად თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. ამის საფუძველზე შეიძლება დავასაბუთოდ, რომ რელატივისტური კოსმოლოგია არა მარტო არ უარყოფს სამყაროს უსასრულობის იდეას, პირიქით, შეაქვს თავისი წვლილი ამ იდეის შემდგომ თეორიულ და პრაქტიკულ დასაბუთებაში.

რელატივისტურმა კოსმოლოგიამ დაუშვა კოსმოლოგიური მოდელების სიმრავლე, რომლებიც გვეხმარებიან რეალური სამყაროს აღწერაში. აღსანიშნავია, რომ ერთი სამყაროს არსებობა არ კრძალავს სხვა სამყაროების არსებობას. ამიტომ არსებობს აზრი, რომ ის სამყარო, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, მოთავსებულია სხვა სამყაროების გვერდით. ძველი კლასიკური ფილოსოფიის აზრით, ეს მცირე სამყაროთა ერთობლიობა ქმნის ერთ დიდ უსასრულო სამყაროს. მართალია დიდი ფიზიკოსი ვ.ა. ფოკი, როცა თვლის, რომ უსასრულო მოდელი, უარყოფითი სივრცითი მრუდის, შეიძლება იყოს განხილული როგორც სასრული არეს აღწერა, ამ აზრს ემხრობა გ.ი. ნაანიც: "გვაქვს გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს კოსმოლოგიურ მოდელებში, არის "ფიზიკური უსასრულობა", ე.ი. რაღაც ძალიან განსხვავებული უსასრულობისაგან, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ სიტყვებში სამყაროს უსასრულობა".

ყველაზე პირდაპირი კავშირი თანამედროვე კოსმოლოგიასთან აქვს მ.ა. მარკოვის დასკვნას ცნობილ დამთხვევაზე სამყაროსა და მიკროსკოპიულ ნაწილაკს შორის. აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ ის კანონზომიერება, რომელიც მეფობდა მატერიის განვითარების ყველა დონეზე. როგორც ატომი არის ნივთიერების კვანტი, უჯრედი - ყოველი ცოცხალი ორგანიზმის კვანტი, ფოტონი - სინათლის კვანტი და ა.შ. ასევე, შეიძლება, რეალისტური კოსმოლოგიის მიერ აღმოჩენილი მცირე სამყარო იყოს კვანტი, ატომი. უჯრედი დიდი სამყაროსი. ასეთ კონტექსტში მცირე სამყარო მართლაც უნდა ფლობდეს ელემენტარული ნაწილაკების თვისებებს. მცირე სამყაროთა მოდელების სიმრავლე, რომელთაც აქვთ ბევრი საერთო ნიშანი და ამავე დროს ასე არ გვანან ერთმანეთს, გარკვეულწილად შეესაბამება ელემენტარული ნაწილაკების სიმრავლეს.

ბოლოს შეიძლება დავასკვნათ, რომ სასრულისა და უსასრულოს მეთოდოლოგიური საკითხების ანალიზს მათემატიკაში, ფიზიკასა და კოსმო-

ლოგიაში მივყავართ რეალური სამყაროს ამოუწურაობის ცნებამდე. სამყაროს ამოუწურაობა არის სასრულისა და უსასრულოს წინააღმდეგობების ერთობა და ბრძოლა.

Valerian Kelbakiani

FINITE AND NON-FINITE NOTIONS IN MATHEMATICS, PHYSICS AND COSMOLOGY

abstract

Finite and non-finite Notions play the great methodological role in creating specific basis for various hypothesis and individual methods in the sciences of mathematics, physics and cosmology.

The history of development of sciences serves as a good argument to show that it's above one's possibility to gain scientific evidence of the non-finite notion only within the limits of mathematics. It is a vulnerable philosophical problem as well. The study of the given problem requires united efforts of philosophy, mathematics and natural sciences. It is noteworthy that mathematical simulation has penetrated even into cosmology.

According to the analysis of the problem, on the basis of observations of famous scientists, we can arrive to the conclusion that inexhaustibility of the universe reflects itself in iternal unity and opposition of the finite and non-finite concepts.

ლიტერატურა:

1. Гейзенберг, философские проблемы атомной физики, М., 1953.
2. გ.ვ.ფ. ჰეგელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, თბილისი, 1962.
3. Петров Ю.А., Логические проблемы абстракции бесконечности и осуществимости. М., 1967.
4. N. Reichenback, Atom and cosmos-London, 1932.
5. Ph. Frank, Modern seience and its Philosophy. 1939.
6. Negel, Ceshichte der Philosophie.

ინფორმატიკისა და მათემატიკის
სწავლების მეთოდიკის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მამუკა შენგელია

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და სახეები

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძველი ინსტიტუტია, ის ეფუძნება ჩვეულებით სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებებისა და პრეცედენტების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ.

საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმა, რომელიც ყველა (ან უმრავლესი) სახელმწიფოს მიერაა მიღებული, „საყოველთაოდ აღიარებულ ნორმად" ითვლება[1]. საერთაშორისო სამართალში საერთოდ აღიარებული პრინციპია, რომ სუბიექტის საერთაშორისო-სამართლებრივი ქმედება წარმოშობს საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის იურიდიულ მოვალეობას, მოახდინოს იმ ზიანის ლიკვიდაცია, რომელიც მისი ქმედებით მიადგა სხვა სუბიექტს ან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დარღვევისათვის, ან მოვალეა აუნაზღაუროს მატერიალური ზარალი, რომელიც გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რომელიც არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას, მაგრამ ასეთი ანაზღაურების წესი გათვალისწინებულია სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებით[2].

კანონიერების ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ პასუხისმგებლობა გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ თვით კანონით აკრძალული ქმედებისათვის და კანონის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობის სახეს და მისი გამოყენების სფეროს. საერთაშორისო სამართალი არ ანსხვავებს ერთმანეთისგან დელიქტურ და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, ჩამოყალიბებულია თუ არა იგი ხელშეკრულებაში, ყოველი მისი დარღვევა წარმოშობს ერთი მხრივ

ანაზღაურების მოთხოვნას, ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის ვალდებულებას. საერთაშორისო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მოვალეობა აღიარებული ნორმაა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისა.

ჩვეულებრივ, იურიდიული პასუხისმგებლობა ასოცირდება სამართალდარღვევასთან. ზოგჯერ კი ზარალის ანაზღაურებასთან, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით.

პროფ. მ. კრასნოვი ადარებს რა ერთმანეთს პოზიტიურ (აქტიურ) და ნეგატიურ (რეტროსპექტულ, პასიურ) პასუხისმგებლობას, აკეთებს დასკვნას, რომ მათი გაერთიანება ერთ ჰიბრიდში ნაკლებ ეფექტური და ნაყოფიერია, რადგან მსგავსება მხოლოდ და მხოლოდ ტერმინოლოგიაშია, დანარჩენი არსობრივი გაგება კი სხვადასხვა. პასუხისმგებლობა პოზიტიური გაგებით ეს არის მოვალეობა რაიმეს გაკეთებისა, ხოლო ნეგატიური პასუხისმგებლობა დაკავშირებულია არასასურველ შედეგთან, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ისეთ მოქმედებასთან, რომლის დროსაც ზიანი ადგება მეორე სუბიექტს, თუ სუბიექტებს[3].

პასუხისმგებლობას ხშირად განსაზღვრავენ, როგორც დელიქტის ჩამდენი სახელმწიფოს მოვალეობას, აღიაროს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო აქტის შედეგად წარმოშობილი მისთვის არასასურველი შედეგი[4]. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პასუხისმგებლობა ეს არის მოვალეობის შესრულება იძულებით[5]. იშვიათად პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობას, რომელიც სამართალდარღვევის შედეგად წარმოიშობა.[6]

როგორც ჩანს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დეფინიციური ჩამოყალიბების მოდელი თავისი იურიდიული კონსტრუქციით ყველა მეცნიერ იურისტის გააზრებაში თითქმის ერთი და იგივეა.

საერთო ხასიათის ზოგიერთი ნორმა, რომელიც იძლევა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის რეგულირების მექანიზმებს, გვხვდება საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ასევე ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებში. გაეროს წესდების 39-ე, 41-ე, და 42-ე მუხლები შეიცავენ პასუხისმგებლობის რეალიზაციის პროცედურებს ისეთი საერთაშორისო მართლსა-

წინააღმდეგო აქტების მიმართ, რომლებიც ემუქრებიან მშვიდობასა და უშიშროებას, ლახავენ ყველა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებსა და საერთაშორისო სამართლის ძირითად საწყისებს. პასუხისმგებლობის პრინციპებია დაცული 1948 წლის კონვენციაში გენოციდის დანაშაულის აცდენისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ, ჟენევის 1949 წლის ოთხ კონვენციაში და ამავე კონვენციების 1977 წლის ორ დამატებით ოქმში.

რადგანაც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ლოგიკურია, რომ საერთაშორისო პასუხისმგებლობის ძირითადი სუბიექტი იქნება სახელმწიფო ან სახელმწიფოები.

სახელმწიფო პასუხისმგებელია ყველა თავისი ორგანოს საქმიანობისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება საგარეო ურთიერთობის ორგანოებს. მათი ქმედება, რომელიც არღვევს არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, აკისრებს პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის სუბიექტს – სახელმწიფოს. სახელმწიფო პასუხისმგებელია ყველა იმ მართლსაწინააღმდეგო აქტის გამო, რომელიც ჩადენილია მის ტერიტორიაზე ადგილობრივი ან უცხოელი მოქალაქის მიერ. უფრო სწორად, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა გამოწვეულია იმ ორგანოების უმოქმედობით (დაუდევრობით), რომელთაც ეკისრებათ ასეთი ქმედების საფრთხის თავიდან აცილება ან დამნაშავე პირთა დასჯა.[7]

საერთაშორისო სამართალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც გამოდიან სახელმწიფოს სახელით და მათ მიერ ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდება როგორც სამხედრო დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1974 წელს მიღებული აგრესიის განსაზღვრება აგრესიულ ომს მიიჩნევს საერთაშორისო მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, ხოლო აგრესია მიიჩნევა საერთაშორისო პასუხისმგებლობის საფუძვლად.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებული საერთო პრინციპის მიხედვით საერთაშორისო-სამართლებრივი ქმედება სუბიექტისა წარმოშობს საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ერთმანეთისაგან განასხვა-

ვებენ მატერიალური და არამატერიალური საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეებს. მატერიალური პასუხისმგებლობა გამოხატულია რესტიტუციისა და რეპარაციის ფორმით. რესტიტუციის დროს სამართალდამრღვევი სახელმწიფო მოვალეა ნატურალური გზით აანაზღაუროს ის მატერიალური ზარალი, რაც მიაყენა დაზარალებულ სახელმწიფოს, ანუ რესტიტუცია ითვალისწინებს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე საერთაშორისო სამართლის სუბიექტისათვის იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც ომის დროს იყო უკანონოდ მიტაცებული. რესტიტუციის სახესხვაობას წარმოადგენს სუბსტიტუცია - არაკანონიერად განადგურებული ან დაზიანებული ქონების შეცვლა ანალოგიურით (იმავე ღირებულებისა და დანიშნულების მიხედვით).

რეპარაცია მატერიალური ზარალის ანაზღაურებაა ფულით ან გარკვეული საგნებით, მომსახურებით. რეპარაცია ხორციელდება, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია რესტორაციის ფორმით.

არამატერიალური პასუხისმგებლობა გამოხატულია შემდეგი ფორმით: რესტორაცია, სატისფაქცია და სხვა. რესტორაცია წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი სახელმწიფოს მიერ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას და აქედან გამომდინარე, მისთვის ყოველგვარი არასასურველი შედეგის დაკისრებას. პროფ. ლ. ალექსიძის განმარტებით სატისფაქცია ანუ მორალური დაკმაყოფილება მოწოდებულია დაიცვას სუბიექტის მორალურ-პოლიტიკური ღირსება, როგორც საერთაშორისო სამართლის თანასწორუფლებიანი სუბიექტისა. სატისფაქცია შეიძლება სხვადასხვანაირად გამოიხატოს - სინანულის გამოცხადება, ბოდიშის მოხდა, დამნაშავე პირთა დასჯა, დაზარალებული პირებისათვის ან მათი ნათესავებისათვის კომპენსაციის გადახდა და ა.შ.[8]

ამრიგად, საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, და დღესაც ერთ რთულ მექანიზმად არის მიჩნეული საერთაშორისო სამართლის ნორმების განხორციელების პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. М. Шенгелия

ПОНЯТИЕ МЕЖДУНАРОДНО-ПРАВОВОЙ ОТВЕТСТВЕННОСТИ

В обеспечении исполнения норм международного права важную роль играет институт ответственности. Ответственность в международном праве представляет собой оценку международного правонарушения и субъекта, его совершившего, со стороны мирового сообщества и характеризуется применением определенных мер к правонарушителю.

Ответственность можно рассматривать как непременную обязанность, обусловленную неправомерным поведением.

Международно-правовая ответственность - обязанность субъекта международного права устронить, ликвидировать вред, причиненный им другому субъекту международного права в результате нарушения международно-правового обязательства, или обязанность возместить ущерб в результате правомерных действий, если это предусмотренно договором.

Различают два вида ответственности государств: материальная и нематериальная.

ლიტერატურა:

1. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001, გვ. 15.

2. Международное право, под. ред. проф. Колосова Ю.М. и проф. Кривчикова Э.С., М., 2000 с. 288.

3. М.А. Краснов, юридическая ответственность - целостное правовое явление. Журн. сов. гос. и право, 1984, №3, с. 77.

4. В.А. Кучинский, Личность, свобода, право, М., юрид. литература, 1978, с. 166.

Д.Б. Левин, Ответственность государств в современном международном праве, М., 1966, с. 11.

В.А. Василенко, Ответственность в международном праве, М., 1975, с. 32-33.

5. В.Л. Мазов, Ответственность в международном праве, М.,1979, с.19.

6. С.Н. Братусь, Юридическая ответственность и законность, М., 1976, с. 85.

7. ლ. ალექსიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 144.

8. იქვე, გვ. 145.

სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური
სამართლის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მანანა ჩიტაიშვილი

„ქრისტიანული კედლისმხატვრობა და მისი თავისებურებანი საქართველოში“

ქრისტიანობის გავრცელებას ყველგან თან მოჰყვა ძველ ღირებულებათა გადაფასება და ახალი მორალური სენტენციების დამკვიდრება. შემუშავდა ახალი რელიგიური მოთხოვნები, ეთიკური ნორმები, რაც აისახა ქრისტიანულ ხელოვნებაში, კერძოდ, მონუმენტურ კედლისმხატვრობაში.

ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პირობები საქართველოში სხვაგვარი იყო, ვიდრე მცირე აზიის ელინისტურ ქვეყნებსა და ბიზანტიაში. ადრექრისტიანული ხანის რელიგიური მხატვრობის ძეგლები საქართველოში არ მოიძებნება, რადგან მე-6 ს. დასასრულამდე აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული იყო მონოფიზიტური მოძღვრება, რომელიც თავისი დოგმატური თვალსაზრისით ერიდებოდა ტაძრების შინაგანი სივრცის შემკობას მოზაიკით ან ფრესკებით. რაც შეეხება ბიზანტიის ეკლესიას, საქართველოს ეკლესია მისგან განცალკევებული იყო. ამიტომ სომხური არქიტექტურის უმეტეს ნაწილს არ აქვს კედლისმხატვრობა.

მე-6 ს-ის ბოლოს საქართველო იძულებული გახდა, პოლიტიკური ორიენტაცია აეღო ბიზანტიისაკენ. ამ პერიოდიდან ქართული ეკლესიის ცხოვრებაში, კერძოდ მის ორგანიზაციაში მოხდა ძირეული ცვლილებები. ქართულმა ეკლესიამ კავშირი გაწყვიტა სომხურთან, განკიცხა მონოფიზიტები, რადგანაც ისინი მიიჩნია ჭეშმარიტი ქრისტიანული მოძღვრების მოღალატეებად, ერეტიკოსებად და სავალდებულოდ მიიღო ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილება. ამ ფაქტმა დიდი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის განვითარებაზე. ამ პერიოდიდან მომზადდა ნიადაგი ქრისტიანული კედლისმხატვრობის გასავითარებლად. ამიტომაა, ქართული კედლისმხატვრობის უადრესი ნიმუში (მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიის აფსიდი) გვხვდება 545-586 წლებიდან.

რელიგიურ იდეოლოგიაში ცვალებადობამ მნიშვნელოვანი ძვრები გა-

მოიწვია ხელოვნებაშიც. კერძოდ, კედლისმხატვრობაში. ქართული კედ-
ლისმხატვრობა ვითარდება ბიზანტიურთან კავშირში. მათ აქვთ როგორც
განსხვავების (სხვადასხვაგვარი პლასტიკა), ისე მსგავსების მომენტები:
ტაძრის მოხატულობის საერთო სქემა, თემატიკის შერჩევაში გარკვეული
ორიენტაცია, მხატვრული გამომსახველობითი ენის თავისებურება.

როგორც აღვნიშნეთ, მონუმენტური ფერწერის ტრადიციებს საქართვე-
ლოში საფუძველი ჩაეყარა მე-6 ს. დასასრულს. თავდაპირველად კედ-
ლისმხატვრობა შემოისაზღვრებოდა მხოლოდ საკურთხევლის აფსიდის
მოხატვით (სინას მონასტრისა და კვიპროსის მოზაიკას ეჭირა მხოლოდ
საკურთხევლის კონქი და ტრიუმფალური თაღი).

საყურადღებოა მე-9-10 სს-ში შექმნილი აპოკრიფი საქართველოს, რო-
გორც ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის შესახებ, კერძოდ, საქარ-
თველოში წმ. მარიამს უნდა გაევრცელებინა ქრისტიანობა, მაგრამ ღვთის-
მშობელს მიძინების დრო დაუდგა და ეს მისია მან ანდრია პირველწო-
დებულს დააკისრა: მისცა მას ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობლისა და
ყრმის გამოსახულებით და საქართველოში გამოგზავნა ქრისტიანობის
საქადაგოდ. აღნიშნული თვალსაზრისი ხელს უწყობდა ქართული ეკლე-
სიის განმტკიცებას და მხატვრული შემოქმედებისთვისაც მდიდარ მასა-
ლას იძლეოდა.

აღსანიშნავია ძველ ქართულ კედლისმხატვრობაში დავით გარეჯელის
მოღვაწეობის შესახებ სიუჟეტების ციკლი. მას ქართულ მონუმენტურ
ფერწერაში ისევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორიც იტალიურ-
ში ფრანცისკ ასიზელს. მე-10 ს-ში დეტალურად დამუშავდა დავით გა-
რეჯელის ცხოვრება. მხატვრებისათვის არ არსებობდა მზა შაბლონები და
ამიტომ ისინი თვითონ ქმნიდნენ ორიგინალურ კომპოზიციებს.

431 წელს ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ, ღვთის-
მშობლის კულტმა მიიღო ფართო პოპულარობა და იგი ითვლებოდა
მუდმივ შუამავლად ადამიანებსა და ქრისტეს შორის. ცნობილი კომპოზი-
ცია "დეისუსი" გამოხატავს დოგმატს, ღვთისმშობლისა და ნათლისმცემ-
ლის (წინამორბედის) ქომაგობას ქრისტეს წინაშე, ადამიანთა ცოდვების
შესამსუბუქებლად. წერილობითი წყაროების მიხედვით, "დეისუსი" ცნობილი
იყო ბიზანტიაშიც და აღმოსავლეთშიც. იერუსალიმის პატრიარქი სოფ-
რონ დამასკელი 629 წელს მოიხსენიებს დიდ ხატს, რომლის ცენტრშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსახული იყო ქრისტე, მარჯვნივ ღვთისმშობელი და მარცხნივ ნათლისმცემელი. იგი ძველ რუსეთშიც პოპულარული თემა გახდა, რომელმაც წამყვანი ადგილი დაიკავა საკურთხეველში.

ბიზანტიურ მონუმენტურ მხატვრობაში „დეისუსი" იშვიათად ფიგურირებს და ტაძრის მხატვრობაშიც მას მკაცრად განსაზღვრული ადგილიც არ აქვს. კიევის სოფიის ტაძარში „დეისუსი" ამკობს ტრიუმფალურ თაღს, ვენეციის წმ. მარკოზის ტაძარს, ვატოპედის მონასტერსა და სხვ. აღნიშნული კომპოზიცია განთავსებულია შესასვლელი კარების თავზე, ფოკიდას წმ. ლუკას ტაძარში - გუმბათშია. აქ გუმბათის კომპოზიცია იღებს ესქატოლოგიურ აზრს: „ამაღლება" „მეორედ მოსვლა". „დეისუსი" გუმბათში გვხვდება მხოლოდ ორ ქართულ ეკლესიაში: ყინწვისსა და ტიმოთესუბანში (12-13 სს. მიჯნა). ბიზანტიურ მხატვრობაში, უმეტეს შემთხვევაში, „დეისუსს" არ უჭირავს ის ადგილი, რასაც ითვალისწინებს მხატვრობის იკონოგრაფიული სქემა, საერთოდ დოგმატი. კონსტანტინოპოლის წრის ბიზანტიური კედლისმხატვრობის იკონოგრაფიული სქემების შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ კომპოზიციას საკურთხევლის აფსიდის კონქში არ ათავსებენ. სხვა ქვეყნების მხატვრობაში კი, ბიზანტიის გარდა, „დეისუსს" უჭირავს სწორედ საკურთხევლის აფსიდის კონქი.

საქართველოში „დეისუსი" ძირითადად განთავსებულია საკურთხევლის აფსიდის ნახევარგუმბათში. აქედან ყველაზე უძველესია უდაბნოს მთავარი ტაძრის მხატვრობის პირველი ფენის კომპოზიცია. მე-11 ს-მდე ქართულ კედლისმხატვრობაში „დეისუსი" გამოისახებოდა აუცილებლად საკურთხევლის ნახევარგუმბათში: ქრისტე მთელი ტანით, აღმართული მაკურთხებელი მარჯვენით, „დიდების გარეშე", აქეთ-იქეთ ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის თანხლებით (ქრისტე მთელი ტანით „დეისუსის" კომპოზიციაში ცნობილია მარტვილის ხატზე, ხოვლესა და საფარას საკურთხევლის ზღუდეზე). იმ ქართულ და კაბადოკიურ კედლისმხატვრობაში, სადაც „სამფიგურიანი დეისუსია" (მას უკავია მთავარი აფსიდის ნახევარგუმბათი), „საშინელი სამსჯავროს" დამოუკიდებელი გამოსახულება არ გვხვდება (თუმცა დოგმატური თვალსაზრისით არსებობს კავშირი „საშინელ სამსჯავროსა" და „დეისუსს" შორის).

„დეისუსის" სამფიგურიანი კომპოზიციის ორი ვარიანტიდან ადრექრისტიანულ ეპოქაში უპირატესობა ენიჭებოდა „პეტრე-პავლესეულ დეისუსს"

და შესაბამისად აღმოცენდა „პეტრე-პავლეს" სამფიგურიანი კომპოზიცია, ხოლო ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლისადმი თაყვანისცემის გაზრდასთან დაკავშირებით (განსაკუთრებით ეფესოს მე-3 მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ, 431 წ.) აღმოსავლეთქრისტიანულ ხელოვნებაში, პოპულარული ხდება „დეისუსი" - ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის გამოსახულებით. ჩვენამდე მოღწეულ ყველა ძველ ლიტურგიულ ტექსტში ღვისმშობელი და ნათლისმცემელი მოიხსენიებიან, როგორც კაცთა მოდგმის მფარველები და გამოისახებიან მლოცველების პოზაში, ხოლო ქრისტე - მსაჯულის (რომელიც „საყრდარზეა" დაბრძანებული). სწორედ „დეისუსის" საყდარზე დაბრძანებული ქრისტეა დამკვიდრებული იკონოგრაფიულ ვარიანტად საშინელ სამსჯავროში. „დეისუსის" სხვა ვარიანტი, რომელშიც ქრისტე წარმოდგენილია ფეხზე მდგომი მთელი ტანით, აღმართული მაკურთხებელი მარჯვენით, როგორც უდაბნოს კედლისმხატვრობაში, უეჭველია, ამოდის დასავლეთში გავრცელებული კომპოზიციიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის „დეისუსი" ქართულ ხელოვნებაში წარმოდგენილია უფრო მეტი იკონოგრაფიული ვარიანტის სახით, ვიდრე კაბადოკიის გამოქვაბულის ეკლესიებში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პალესტინისა და კაბადოკიის ხელოვნების გვერდით, საქართველომ გარკვეული წვლილი შეიტანა ბიზანტიის მხატვრული კულტურის განვითარებაში.

Manana Chiteishvili

CHRISTIAN MURAL PAINTING AND ITS PECULIARITIES IN GEORGIA

Mural painting of the time of Early christianity with its contents and style was closely connected with the church architecture. It was not only an important decorative element of the building design but it had the independent ideological meaning. Mural painting of that time was the best way of spreading christian ideas and teaching, as such type of art was more acceptable for the most part of the faithful.

Art monuments of the time of Early Christianity are not found in Georgia because untill the end 6th century monofizitists' teaching was spread in Geor-

gia. This type of teaching was against mural painting.

By the end of the 6th century there were basic changes in the life of the church. Georgian church blamed the Monufizitists and declared Calkedon's World Ecclesiastical Conference decision as Compulsory.

This fact made a great influence of the development of the Georgian culture. Since that time the foundation stone for the development of the christion Mural painting was laid.

ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შალვა, ქართული ხელოვნების ისტორია, „ხელოვნება" თბ., 1961.

2. ბერიძე ვახტანგ, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, „ხელოვნება", 1974.

3. ჩუბინაშვილი გიორგი, ქართული ხელოვნების ისტორია, „მეცნიერება საქართველოში", 1926.

4. Амиранашвили Ш., История монументальной живописи, Т. I, "Сахелгами", 1957.

5. Шевякова Т.С., Монументальная живопись раннего средневековья Грузии, "Хеловнеба", 1983.

ესთეტიკური აღზრდის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

გიორგი ჯანელიძე

ინგლისის დაზვერვა გერმანია-თურქეთის მეტოქეობის შესახებ საქართველოში (1918 წ.)

კოლონიურმა პოლიტიკამ, რომელსაც მთელი XIX საუკუნის მანძილზე წარმატებით აწარმოებდა რუსეთის იმპერია კავკასიაში, გამოიწვია საქართველოს სრული ინტეგრაცია ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში. საქართველოს საკითხმა დაკარგა საერთაშორისო მნიშვნელობა და იქცა რუსეთის საშინაო პრობლემად.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე რუსეთმა წარმატებებს მიაღწია კავკასიის ფრონტზე თურქეთის წინააღმდეგ. 1915-1916 წლებში რუსეთის ჯარმა დაიკავა აღმოსავლეთ ანატოლიის დიდი ნაწილი. თურქეთის სამფლობელოების გადასვლა რუსეთის ხელში ნიშნავდა საქართველოს საერთაშორისო იზოლაციის კიდევ უფრო გაძლიერებას, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურმა რევოლუციამ საქართველოს ბედი კარდინალურად შეცვალა. რუსეთის არმიამ მიატოვა კავკასიის ფრონტი, ხოლო საკუთრივ ეს ქვეყანა ისე ღრმად ჩაეფლო ქაოსში, რომ სრულებით დაკარგა ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე კონტროლი [2,147]. აღნიშნულის შედეგად რეგიონში წარმოშობილი ძალის ვაკუუმის შევსება დაუყოვნებლივ სცადა ოსმალეთის იმპერიამ [5,2]. ვეჰიბ ფაშას III არმიას უპრეცედენტო შესაძლებლობა მიეცა, რომ უბრძოლველად დაებრუნებინა დაკარგული პროვინციები აღმოსავლეთ ანატოლიაში, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის მიმართულებით აეღო გეზი. თავის მოკავშირეს არ ჩამორჩა გერმანიის იმპერიაც. გერმანელები ადრეც იყვნენ დაინტერესებულნი ამიერკავკასიითა და, განსაკუთრებით, საქართველოთი. შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია მათ შესაძლებლობას აძლევდა, რეგიონში წამყვანი ძალის როლში დამკვიდრებულიყვნენ. ამგვარად, საქართველოს საკითხი კვლავ იქცა საერთაშორისო პოლიტიკის საგნად, ამჯერად გერმანია-თურქეთის მეტოქეობის კონტექსტში.

გერმანია-თურქეთის გამოჩენამ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე ძლიერ დააფრთხო დიდი ბრიტანეთი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ რეგიონიდან „ოთხთა კავშირს" შეეძლო დამუქრებოდა ჩრდილოეთ სპარსეთს, ცენტრალურ აზიასა და საბოლოო ჯამში, ბრიტანეთის იმპერიის „მარგალიტს" - ინდოეთს [5;2]. ინგლისის დაინტერესება ამიერკავკასიაში გერმანია-თურქეთის პოლიტიკით სათანადოდ აისახა მისი დაზვერვის საქმიანობაშიც, რომელმაც დაიწყო შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება და მთავრობისათვის მიწოდება. მიმდინარე წლის მაისში თურქეთის რესპუბლიკაში სამეცნიერო მივლინებისას, თურქი კოლეგების დახმარებით, ჩვენ საშუალება მოგვეცა მოგვეპოვებინა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ორი მემორანდუმი - A Memorandum on Turco - German Relations over the Caucasus, October 4, 1918 და A Memorandum on the Political situation in Transcausacia, December 10, 1918.

4 ოქტომბრის მემორანდუმი ეხება თურქეთისა და გერმანიის ამიერკავკასიული პოლიტიკის ძირითად მომენტებს 1918 წლის გაზაფხულიდან შემოდგომამდე. დოკუმენტის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ პრობლემებზე, რომელთა თაობაზეც მოკავშირეთა შორის უთანხმოება არსებობდა. მათ შორის, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბაქოს ნავთობის საბადოებისა და საქართველოს საკითხებს. საქართველოსთან მიმართებაში, მემორანდუმის ავტორები ეხებიან საქართველო-თურქეთის სასაზღვრო დავასა და მასთან დაკავშირებით განიხილავენ გერმანიის პოზიციას. მეორე დოკუმენტის ძირითად შინაარსს იმ პოლიტიკური მიზნების ანალიზი წარმოადგენს, რომელთა მიღწევას გერმანია საქართველოში ცდილობდა 1918 წელს. აქაც აქცენტი გადატანილია თურქეთ-გერმანიის ინტერესთა შეუთავსებლობაზე.

4 ოქტომბრის მემორანდუმის ავტორები გერმანიასა და თურქეთს შორის ამიერკავკასიის თაობაზე უთანხმოების მიზეზად ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებას მიიჩნევენ. „ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერამდე თურქეთსა და გერმანიას შორის კავკასი-

ის თაობაზე რაიმე უთანხმოება არ არსებობდა" [3,1] - აღნიშნულია დოკუმენტში. ამავე დროს ინგლისელების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა საქართველოსადმი გერმანიის განსაკუთრებული ინტერესი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ "...გერმანია ზოგჯერ წარმართავდა ქართულ პროპაგანდას"[8]. ბათუმის კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქეთი და ამიერკავკასია, გერმანია პირველად დაუპირისპირდა თავის მოკავშირეს. თავიდან "ისე ჩანდა, რომ გერმანიას არ სურდა აეღო ინიციატივა თავის თავზე და დაახლოებით 18 მაისს მოლაპარაკებები კვლავ შეწყდა, რადგან ბრესტის ზავის პირობები, რომლებიც უკვე მიიღო ამიერკავკასიის მთავრობამ, აღარ აკმაყოფილებდა თურქეთს" [3,2]. გერმანელთა პასიურობას ბათუმის კონფერენციის პირველ ეტაპზე ინგლისის დაზვერვა ხსნის იმით, რომ თითქოს მათ თურქეთის ზეწოლის გამოყენება სურდათ საქართველოზე, რათა ამ უკანასკნელს თავად გამოეთქვა გერმანელებთან თანამშრომლობის სურვილი. ინგლისელი ანალიტიკოსების აზრით, ანალოგიური მეთოდით ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებისას, გერმანიამ უკრაინაზე ბოლშევიკური ზეწოლის გამოყენებით შეძლო უკრაინის ანტიბოლშევიკური ხელისუფლების პროგერმანული სიმპათიების მოპოვება*. გერმანელთა პოლიტიკამ მათთვის სასურველი შედეგი გამოიღო. ქვეყნის ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა, ოსმალეთის შიშით, პროგერმანული პოზიცია დაიკავეს და, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამით გერმანიას საშუალება გაუჩნდა, შუა აღმოსავლეთში ანტანტის წინააღმდეგ მიმართული სერიოზული პოლიტიკური გეგმები დაესახა. ინგლისის დაზვერვის აზრით, გერმანიის მთავრობას სურდა აღმოსავლეთში შესაღწევად საქართველო პლაცდარმად ექცია. ქართველი ერის მებრძოლი ბუნებიდან გამომდინარე გერმანელები იმედოვნებდნენ შეექმნათ 250 ათას კაციანი ქართული ჯარი, რომელსაც გამოიყენებდნენ კავკასიასა და შუა აღმოსავლეთში თავისი გავლენის გარანტად [4,5]. გერმანელებისათვის ნათელი იყო, რომ მათი გეგმები მკვეთრად უპირისპირდებოდა თურქებისას. როგორც გაზეთი "Kreutz Zeitung"-ი აღნიშნავდა, 1918 წლის 14 აგვისტოს, "თურქეთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მზად იყო უარი ეთქვა მესოპოტამიასა და არაბეთზე ინგლისის სასარგებლოდ, სანაცვლოდ აპირებს გაფართოებას კავკასიისა და მის იქეთ მდებარე ტერიტორიების ხარჯზე, რაც აბსოლუტურად განსხვავდებოდა მსოფლიოს იმ პოლიტიკური სქემისაგან, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით". თავის მხრივ, თურქებს "... არ ესმოდათ, თუ რატომ უნდა ეთქვათ უარი იმაზე, რომ ესარგებლათ კავკასიაში რუსეთის იმპერიის დაშლით, თუკი გერმანიაც იგივეს აკეთებდა ევროპულ რუსეთში უფრო დიდი მასშტაბით" [3,11]. მათი სტრატეგიული ჩანაფიქრით ამიერკავკასიაში აზერბაიჯანლების ლიდერობით უნდა შექმნილიყო ფედერაციული სახელმწიფო, რაც უზრუნველყოფდა ამ რეგიონის მოქცევას ოსმალეთის გავლენაში [4, 5]. რამდენადაც ქართველები და სომხები წინ აღუდგნენ პორტას ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, ოსმალეთის მთავრობა შეეცადა მათ დამორჩილებას ტერიტორიების ჩამოჭრის გზით. 4 ოქტომბრის მემორანდუმის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ახალციხისა და ახალქალაქის რაიონების სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომლებიც 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების ძალით საქართველომ იძულებით დაუთმო ოსმალებს. "ეს რაიონები, - აღნიშნულია მემორანდუმში, - აყალიბებენ სომხეთის პლატოს ჩრდილოეთ ზღუდეს და სტრატეგიულად გაბატონებული არიან იმ დაბლობზე, რომელზედაც გადის რკინიგზა თბილისიდან შავი ზღვისაკენ" [3, 5]. ამრიგად, სამცხე-ჯავახეთიდან თურქებს შეეძლოთ დამუქრებოდნენ როგორც საქართველოს, ისე სომხეთის სასიცოცხლო ცენტრებს, რაც უზრუნველყოფდა მათ პრიორიტეტს ამიერკავკასიაში.

გერმანია შეაშფოთა თურქეთის წარმატებებმა. მთავრობამ მიიღო დიპლომატიური ზომები ურჩი მოკავშირის მოსათოკად. ამ მიზნით 1918 წლის გამოყენებულ იქნა 28 მაისს ფოთში გერმანიასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებები [1,86-88]. საგარეო საქმეთა მინისტრმა კიულმანმა 4 ივნისის ხელშეკრულება იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგებოდა 28 მაისის ხელშეკრულებებს. გერმანიის მთავრობის განცხადებით, ამიერკავკასიის სახელმწიფოთა მომავალი უნდა გადაეწყვიტა კონსტანტინეპოლის კონფერენცი-

ას, რომლის გამართვაც დაგეგმილი იყო 1918 წლის ზაფხულში ამიერკავკასიის სახელმწიფოების და „ოთხთა კავშირის" მონაწილეობით [4,6]. ამავე კონფერენციაზე უნდა მოგვარებულიყო საქართველო-თურქეთის სასაზღვრო დავა ბრესტის საზავო ხელშეკრულებების საფუძველზე, ანუ ახალციხე და ახალქალაქი კვლავ საქართველოს დაუბრუნდებოდა. უფრო მეტიც, ინგლისელთა აზრით, „ქართველებს არ დაუკარგავთ ბათუმის გერმანელთა დახმარებით დაბრუნების იმედი" [3,8].

1918 წლის ზაფხულში ამიერკავკასიაში გერმანია-თურქეთის დაპირისპირების ცენტრმა გადაინაცვლა ბაქოს მიმართულებით. ნავთობისათვის ბრძოლამ გამოიწვია ორივე სახელმწიფოს აქტიურობის შენელება საქართველოში. ორივე მხარე დაკავებული იყო მხოლოდ მოპოვებული პოზიციების განმტკიცებით*. ასეთი მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე გაგრძელდა.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული მემორანდუმები წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროს 1918 წელს საქართველოში გავლენის მოსაპოვებლად გერმანია-თურქეთის მეტოქეობის საკითხის შესწავლის თვალსაზრისით. მათში ასახულია აღნიშნული ბრძოლის საინტერესო დეტალები. ამ დოკუმენტების მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ ისინი მომზადებულია იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური სადაზვერვო სამსახურის მიერ და მათში, ფაქტობრივად, მოცემულია ჩვენთვის საინტერესო პრობლემის მეცნიერული ანალიზის პირველი მცდელობა.

Georgi Djanelidze

BRITISH INTELLIGENCE ABOUT THE GERMAN-TURKEY COMPETITION IN GEORGIA (1918)

In this article discussed the information of British intelligence about the German and Turkey policy in Georgia in 1918. In memorandums of foreign office department of political intelligence is mentioned the meaning of Geogia for this countries.

We discussed the reasons of competition between two Allies in Georgia.

In this article we used very interesting documents, which are important sources for the study this problem.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ. 1990

2. სტივენ ჯონსი, საქართველოს სოციალ-დემოკრატია 1917 წელს, ჟურ. „მნათობი", №5, 1991.

3. IOR: L/P & S/18/c. 191 A Memorandum on Turco-German Relations over the Caucasus, by Political Intelligence Department of Foreign Office, October 4, 1918.

4. FO 371/3301/203251/W/38 A Memorandum on the Political situation in Transcaucasia, by Political Intelligence Department of Foreign office, December 10, 1918.

5. K. Tuncer Ìa?layan, Ingiliz Belgelerine göre Transkafkasyada Osmanli-Alman Rekabeti, Türk Tarih Kongresi, 4-8 Ekim, 1999, Ankara.

საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ირაკლი შენგელია

ნარკომანია 21-ე საუკუნის საფრთხე

მძიმე, რთულ სიტუაციაში მოხვედრა დღეისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყოველი ადამიანი ცდილობს გაუსაძლისი სიტუაციიდან თავის დაღწევას, მას სურს დაივიწყოს ნეგატიური განცდები და რადგანაც სიძნელეების წინაშე უძლურების განცდა ეუფლება, გარბის რეალური ცხოვრებიდან და ხვდება ილუზიურ სამყაროში, სადაც სულიერ სიმშვიდეს აღწევს, საკუთარი „მე"-ს რეალიზაციას ახერხებს, მაგრამ ის ხარკი, რომელსაც საზოგადოება იხდის ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად, დამღუპველია. კაცობრიობა არსებობს იმდენად, რამდენადაც მისი წევრები ქმნიან ფასეულობებს. ნარკომანს კი, როგორც წესი, არა მარტო არაფერი შეაქვს ზოგადსაკაცობრიო ყულაბაში, არამედ თვითონაც სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრობს და, ყველა რომ ამ გზას დადგეს, იგი მიგვიყვანს საზოგადოების მოსპობა-გადაშენებისაკენ.

ყოველ პიროვნებას აზროვნების უნარი აძლევს საშუალებას სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენოს ამ სიტუაციისათვის დასაშვები ქცევები და მიიღოს ამით „სიამოვნება". ასე რომ, „მოაზროვნე ადამიანმა" შექმნა რელიგიური და სახელმწიფო სისტემები, შესძლო გამოემუშავებინა გარკვეული ქცევითი სტერეოტიპები და ისინი მოექცია განსაკუთრებულ მორალურ ტაბუებში. ამან განაპირობა ადამიანის გარდაქმნა „მოაზროვნე ადამიანიდან" „მორალურ ადამიანამდე", ანუ ადამიანად, რომელიც საზოგადოებაში ურთიერთობისას პრიორიტეტს ანიჭებს მორალური და ზნეობრივი კატეგორიებით მოღვაწეობას, ილუზიურ, არარეალურ სამყაროში მყოფ ადამიანს კი, საზოგადოებრივად მისაღები ზნეობრივი ნორმები აღარ აკმაყოფილებს, მეტიც, მას იძულებულს ხდის დაუპირისპირდეს ამ რეალობას, პროტესტი გამოთქვას მის მიმართ ჩაიდინოს მართლსაწინააღ-

მდეგო ქმედება, დანაშაულიც კი. მაგრამ, „ვინც ჩვეულებას გადაუდგება, უბედურებას შეეყრება" – (ეზოპე)

მართალია ნარკომანია უპირველეს ყოვლისა ინდივიდუალური ტრაგედიაა, რომელიც ხელყოფს პიროვნების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, იწვევს ყოველგვარი ურთიერთობების მოშლას და ადამიანი მიჰყავს დეგრადაციისა და თვითგანადგურებისაკენ, მაგრამ პიროვნული ტრაგედია მხოლოდ ნაწილია საერთო უბედურებისა. ნარკოტიკები საზოგადოების მთლიანობის დამრღვევი ძალაა. „ის არის დანაშაულის შედეგიც და გამომწვევიც – ერთდროულად. ეს ისეთი დაავადებაა, რომელიც ასნეულებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, წარმოშობს კორუფციასა და არასტაბილურობას, საფუძველს უქმნის ტერორიზმსა და სახელმწიფო გადატრიალებას, იარაღით ვაჭრობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ნარკოტიკი ის ფენომენია, რომელიც საზოგადოებას ყოველ დონეზე უქმნის საფრხეს"[1].

ნარკომანია უპირველეს და ყველაზე მძიმე დარტყმას აყენებს ოჯახს, რომელიც მთელი საზოგადოების ჭეშმარიტი სახის ანარეკლია. ნარკოტიკებისთვის დამახასიათებელი ყველა ბოროტება ამ მიკროსოციალურ გარემოში იჩენს თავს მთელი თავისი სიხარულითა და მრავალფეროვნებით. მატერიალური პრობლემები და დაძაბული ურთიერთობები, შერყეული სულიერი ჯანმრთელობა, უნდობლობა და გაუცხოება, მოზარდის განვითარებისათვის საზიანო მიკროკლიმატი და სხვა გარემოებანი უმძიმეს ტრაგედიად აქცევს ოჯახურ ცხოვრებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნარკომანს თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძალიან ძვირი უჯდება. მართალია, ზოგიერთი მათგანი ფულს პატიოსანი შრომით ღებულობს, მაგრამ მაღალანაზღაურებადი, მუდმივი სამსახური ადამიანისაგან ბევრ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, რისი გაცემაც წამალდამოკიდებული ადამიანისათვის თანდათანობით შეუძლებელი ხდება. მაშინ იგი იძულებულია ფულის შოვნის სხვადასხვა ხერხს მიმართოს: თავდაპირველად იღებს სესხს, მაგრამ როცა

---

[1] ჯორჯიო ჯაკომელის მიმართვა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით. 1996 წლის 26 ივნისი.

ეს თანხებიც იხარჯება, არ თაკილობს ქურდობას, ყაჩაღობას, სძალავს ფულს საკუთარ მშობლებს. ქალებში მეტად გავრცელებულია პროსტიტუცია ნარკოტიკების გულისთვის. თუმცა გვხვდება მამაკაცებიც, რომლებიც დიდი სიამოვნებით გამოდიან „ალფონსის" როლში.

ნარკომანები თავიანთი ერთი "კაიფისათვის" არ ინდობენ არავის, არც თავის მსგავსს და არც ნებისმიერი სხვა სენით დაავადებულს, სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც კი. ისინი ახალგაზრდებს „ყიდულობენ" ძირითადად მდიდარი ოჯახებიდან და მერე მათ ხარჯზე აგრძელებენ თავიანთ ცხოვრებას. უფრო მეტიც, „ვარდისფერ სამყაროში" მოხვედრის სურვილი მისი „მონატრებით" გამოწვეული ტანჯვა მათ ყველაფერზე წაიყვანს, ისინი სასიკვდილოდ უახლოეს ადამიანსაც კი გაიმეტებენ და მითუმეტეს, არ გაუძნელდებათ თვითმკვლელობა. ასე რომ, „დამოკიდებულება ნარკოტიკებზე არის ყოვლისმომცველი კონტროლის მოდელი, რომელსაც ნებისმიერი ფორმით მივყავართ გაუკუღმართებულ სისულელესთან და არაადამიანურ გაბოროტებასთან (ვილიამ ბეროუზი).

თითოეული პიროვნებისათვის სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღება სახელმწიფოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ ნარკომანიის მიზეზთან თუ შედეგთან ბრძოლა სახელმწიფო აპარატზე მეტად საზოგადოებას ხელეწიფება, რომელსაც უნდა აეხსნას, რომ ნარკომანია „სოციალურად საშიში დაავადებაა", რომელიც, მართალია, უმკაცრესი განკითხვის ღირსია, მაგრამ სანამ ამას მოვიმოქმედებდეთ, დავფიქრდეთ, იქნებ სიყვარულის და თანადგომის გამოვლენამ უფრო მეტი შედეგი გამოიღოს. ჩვენ არ უნდა გავრიყოთ ისინი საზოგადოებისაგან, პირიქით, ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს მათ დახმარებას. ნარკომანს უნდა გაუჩნდეს იმის სურვილი, რომ განიკურნოს, ხოლო შემდეგ ყველაფერი შესაძლებელია.

მართალია დღევანდელ დღეს „სილამაზე", „მშვენიერება", „პოეზია" - შეცვალა „სასარგებლოზე" და „გამოსავალზე" ფიქრმა, სიყვარულის, ადამიანური ურთიერთობების დეფიციტია, ბევრმა დაკარგა საზრისი, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ ერთი ადამიანის სულიერი დაკნინებაც კი და თუ ეს მაინც მოხდა, საღათას ძილისგან უნდა გამოვაფხიზლოთ მოყვარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე უნდა დავაყენოთ იგი.

ქვეყანად ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ხვალ გვიან იქნება, რომ ამ საქმეში ნეიტრალური პოზიციის დაჭერა დანაშაულის ტოლფასია. „ადამიანის სული გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე,რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანეზე" (ნ. დუმბაძე).

საქართველოში განხორციელდა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება და სამუშაო პროცესში ჩართვა. მინდა აღვნიშნო, რომ კარგი იქნებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც გაცილებით ადრე დაიწყეს ამ „სენის" წინააღმდეგ ბრძოლა და გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს და გამოცდილებაც საკმაო დააგროვეს, მათ უბრალოდ მოახდინეს დიფერენცირება თუ ვის წინააღმდეგ და რის წინააღმდეგ უნდა დაეწყოთ ბრძოლა. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში გააუქმეს დასჯადობა ნარკოტიკების მოხმარებისათვის და მთელი ძალები მიმართეს ნარკოტიკების რეალიზაციისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ანუ მოახდინეს ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია. სიტუაციის შესწავლამ და ანალიზმა ცხადყო, რომ პრაქტიკულად უშედეგოა უშუალოდ ნარკომანების დევნა, რადგან ეს მდგომარეობას სულაც არ ცვლის, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა მათი სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსება და არა ციხეებსა და კოლონიებში, სადაც არა თუ იზოლირება ხდება, არამედ დაუბრკოლებლად შეიძლება ნარკოტიკების გადაადგილება.

რაც შეეხება საქართველოში ამ მეთოდების გამოყენებას, ანუ ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციას, ეს საკითხი ლამის განხეთქილების ვაშლად იქცა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორს შორის. ნაწილი ემხრობა პოზიციას დაუყოვნებლივი ლეგალიზაციის შესახებ, რადგან თვლიან, რომ ნარკომანთა დევნა არაფრით არ უშლის

ხელს ნარკომანიის გარვცელებას და ზრდას, ხოლო ნაწილი თვლის, რომ წინასწარი მომზადების გარეშე, ანუ სათანადო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების შექმნისა და აღმზრდელობითი საქმიანობის გარეშე დაუშვებელია ნარკომანიის ლეგალიზება.

ისინი თვლიან, რომ იმ ეტაპზე, სანამ მოხდება ამ პირობების განხორციელება, ნარკომანთა დევნას მაინც ზოგად-პრევენციული დანიშნულება აქვს და შეუძლია მცირე პოზიტიური გავლენა იქონიოს, ისე კი მომხრენი არიან ლეგალიზების.

საზღვარგარეთის განვითარებულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის მკურნალობის სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებით რეაბილიტაციის პირობებში, წარმატებით გამოიყენება მკურნალობის არამედიკამენტოზური მეთოდები, რომლებსაც მიეკუთვნება საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა, რომელიც გარკვეული დოზით აწვდის ნარკომანიასთან დაკავშირებულ ინფორმაციას საზოგადოებას. ყოფილი საბჭოთა კავშირის იმპერიის ტერიტორიაზე და მათ შორის საქართველოშიც, ნარკომანიის თემატიკა ტაბუირებული იყო. შეზღუდული იყო ამგვარი ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით გავრცელება. შესაბამისად ამ საკითხის შესახებ საზოგადოებას მიეწოდებოდა მწირი და ცალმხრივი ინფორმაცია, რომლის მიხედვით ნარკომანები განიხილებოდნენ ასოციალურ პიროვნებებად, მათ კი სჭირდებოდათ არა დახმარება, არამედ საზოგადოებისაგან იზოლაცია. ამ იდეოლოგიამ საზოგადოების უდიდეს ნაწილში ჩამოაყალიბა აზრი იმის შესახებ, რომ ნარკომანია დანაშაულის სახეა და არა დაავადება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში ნარკომანიის დაავადების შესახებ ბევრს საუბრობენ, საზოგადოების უმრავლესობაში ინერციით ძველი სტერეოტიპი მოქმედებს. დღევანდელ საქართველოში ნარკომანია გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. იგი ძირითადად შემოიფარგლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ჟურნალისტების მიერ მიწოდებული ინფორმაციით, რომელიც უფრო ხშირად ზოგად ხასიათს ატარებს და არ არის მიმართული კონკრეტულ ადრესატზე. ამგვარი სახით მიწოდებული ინფორმაცია საზოგადოების „ფხიზელ" ნაწილში იწვევს შიშსა და მიუღებლობას, მო-

ზარდებში - არაჯანსაღი ინტერესების გაღვიძებას, ხოლო თვით ნარკომანებში - პროტესტსა და აგრესიას.

მსოფლიო მასმედიის აზრით, არ არსებობს საზოგადოებისათვის მასზე დიდი პრობლემა, ვიდრე ნარკომანიაა. აუცილებელია საუკუნის ამ სენთან სერიოზული ბრძოლა. ამ მხრივ კი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა, თუ ერთად დავდგებით და მოვინდომებთ დავიცვათ ჩვენი ოჯახები და შთამომავლობა საუკუნის ამ უბედურებისაგან, შედეგიც არ დააყოვნებს.

Irakli Shengelia
Drug Addition as a Danger of the 21st Century
(*Resume*)

Nowadays, one can easily get into a grave, complicated situation. Every person tries to get rid of those unbearable situation; they want to be abandoned by negative perceptions, and, confronted with the feeling of powerlessness, escapes from the real life and find themselves in the illusionary world where they find spiritual peace, and manages to realize their „selves"; but the contribution paid by the society is fatal. The mankind exists as much as its members, create certain values; a drug addict, as a rule, does not contributes to the mankind's wealth, and lives on others expense; and if everyone chooses the same way, this will lead us to the degeration of the entire society.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

თენგიზ სარალიძე

ვარლამ ჩერქეზიშვილის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები

ანარქიზმი ევროპული მოვლენაა. ამ მოძრაობამ განსაკუთრებულ აღმავლობას XIX საუკუნის რუსეთში მიაღწია. საქართველოში ანარქისტული იდეები XIX საუკუნის დასასრულიდან ვრცელდება. ქართველ ანარქისტებს (ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, კომანდო და შალვა გოგელიეები) მოღვაწეობაში დომინირებდა სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები. თუმცა, მათთან ასევე იყო განსჯის საგანი ეკონომიკური საკითხები, ეროვნულ პრობლემატიკა, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები და სხვ.

ვ. ჩერქეზიშვილი მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი ანარქისტია, რომელიც მოღვაწეობდა რუსეთში, ევროპაში, საქართველოში. სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს მის მოღვწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია და მისი პოზიცია ამ საკითხში არსებითად მარქსიზმის უმკაცრესი კრიტიკის საფუძველზე ყალიბდება. ამიტომაც ვ. ჩერქეზიშვილის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების არსის გასაგებად მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხში მარქსიზმის ძირითადი პრინციპების ზოგადი გადმოცემა.

მარქსისტული სოციალურ-პოლიტიკური შეხუდულებები ისტორიის მატერიალისტურ გაგებას ემყარება. კერძოდ, მარქსის თანახმად მატერიალური წარმოების საშუალებები განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს. ისტორიის მატერიალისტური გაგების ქვაკუთხედია საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისობა, რომელიც მუდმივ მოძრაობა ცვალებადობაშია. საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობები გარკვეულ ეტაპამდე ერთმანეთთან შესაბამისობაშია. მაგრამ, მას

შემდეგ, რაც საწარმოო ძალები განვითარების იმ დონეს მიაღწევს, რომელიც წარმოებითი ურთიერთობების ძველ ფორმებთან კომფლიქტში მოდის, მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ყოველი სოციალური რევოლუცია კი, მარქსიზმის თანახმად, ერთი წარმოებითი ურთიერთობის მეორეთი შეცვლის, ახალი საზოგადოებრივ ფორმაციის წარმოშობის საფუძველია. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მარქსის აღნიშვნით კაპიტალიზმის მოსპობა ისევე აუცილებელია, როგორც მისი წარმოშობა.

მარქსის აზრით, პროლეტარიატი, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავე, სპობს არა მხოლოდ ბურჟუაზიას, არამედ თავისთავსაც. პროლეტარიატი ბურჟუაზიის მოსპობით კერძო საკუთრებას აუქმებს, ხოლო თავისი თავის მოსპობით კლასებსა და კლასობრივ ბრძოლას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მარქსი და ენგელსი უფრო შორს გამიზნული და რაც მთავარია უტოპიურ დასკვნას აკეთებენ.

კერძოდ, კერძო საკუთრებისა და კლასების დაპირისპირებასთან უშუალო კავშირშია სახელმწიფოს არსებობა და რადგანაც პროლეტარიატი აუქმებს როგორც კერძო საკუთრებას ისე კლასთან ბრძოლას, ამდენად საფუძველი ეცლება სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობას. მოკლედ მარქსიზმის ფუძემდებელთა აზრით, კერძო საკუთრებისა და კლასების მოსპობის შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურა, პროლეტარიული სახელმწიფო თავისთავის უარყოფამდე მიდის და თავის ნებით ტოვებს არენას.

სახელმწიფოზე, სოციალურ საკითხებზე მარქსისტული შეხედულებები რომ საფუძველს მოკლებული იყო, ეს დღეს კარგად ჩანს. მაგრამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამის დანახვა და თქმა პრობლემის საფუძვლიან ცოდნას და ერთგვარ გამბედაობასაც მოითხოვდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ კუთხით არის დასაფასებელი ვ. ჩერქეზიშვილის ნააზრევი. მისთვის, იმთავითვე აბსოლიტურად მიუღებელი იყო მარქსისტული იდეები და კრიტიკული დამოკიდებულებას ამჟღავნებდა მათ მიმართ.

ვ. ჩერქეზიშვილი მარქსისტული პოზიციის კრიტიკისას საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სპექტრს ეხება, რაც უდავოდ მეტყველებს პრობლემაში მის ღრმა ჩახედულებას. მისთვის მიუღებელია მარქსისტული თვალსაზრისი საზოგადოების ცხოვრებაში საწარმოო ძალებისა და წარმოებითი

ურთიერთობების გადამწყვეტი როლის შესახებ. ვ. ჩერქეზიშვილი ამბობ-ნავს, რომ „ამ ბოლო დროს ხშირად იმეორებენ, რომ წარმოების საშუალებანი და ფორმანი ყოველი საზოგადოების საფუძველს შეადგენენო, რომ ყოველი, ე.ი. სოციალური და პოლიტიკური წეს-ჩვეულება, გონებრივი (სამეცნიერო) და არტისტული განვითარება და სხვა ამ საძირკველის, ე.ი. წარმოების საშუალებათა და ფორმათა ზედნაშენს შეადგენენო[1]. „მაგრამ ასე კია?" კითხულობს ავტორი იქვე და ახალ კითხვებს აყენებს: პროგრესის მიზეზი მართლა არის საწარმოო ძალები და ურთიერთობანი? ნუთუ მათ ემყარება მეცნიერების განვითარება და კანონების აღმოჩენა?

მარქსისტული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ ვ. ჩერქეზიშვილი ფიქრობს, რომ საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი კი არ განსაზღვრავენ, ე.ი; ზედნაშენურ მოვლენებს (მეცნიერება, კულტურა), არამედ პირიქით, - ჩვენი ცოდნის შედეგია იარაღი, მანქანა, ტექნიკა და ა.შ. ახალ-ახალი აღმოჩენები, ბუნებრივი კანონების ცოდნა, მათი შეთვისება და გარვცელებაა წარმოების ახალ საშუალებათა და მათ ფორმათა წყარო და სათავე. „ამა თუ იმ ხალხს, რაც უფრო ბლომად ჰყავს სწავლა-ცოდნით აღჭურვილი კაცები, ტექნიკოსები და ინჟინრები, მით უფრო მაღლა დგას იმისი საინდუსტრიო და საკომერციო განვითარება"[2].

აქ ვ. ჩერქეზიშვილი შეიძლება მეორე უკიდურესობაში ვარდება, როცა საზოგადოების განვითარებაში უგულებელყოფს ეკონომიკურ ფაქტორს, მაგრამ უდავოდ მართალია, როცა აკრიტიკებს ბაზის-ზედნაშენის მიმართების მარქსისტულ პოზიციას (გაგებას).

ასევე მკაცრია ვ. ჩერქეზიშვილის პოზიცია, როცა იგი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების გარკვევისას მარქსისა და ენგელსის „აღმოჩენებს" განიხილავს. ამ საკითხში იგი არ ერიდება იმის აღნიშვნას, რომ მარქსიზმის კლასიკოსები პლაგიატორები არიან.

კარლ კაუცკის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სტატიაში ვ. ჩერქეზიშვილი მარქსისა და ენგელსის აზრებს როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ საკითხებზე მითვისებულად მიიჩნევს მისი აზრით ისტორიის მატერი-

---

[1] ვ. ჩერქეზიშვილი, ცვლილება კაცობრიობის კულტურისა, გაზეთი „ივერია" 1901, №31.

[2] იქვე.

ალისტური გაგება, რითაც ასე თავი მოაქვს ენგელსს, როგორც მარქსის აღმოჩენა, უკვე იყო პლანკთან, ჰიუმთან და სხვებთან. ასევეა ზედმეტობა ღირებულებისა და კაპიტალის დაგროვებასთან დაკავშირებით[1]. ეს აზრები გაიმეორა მან მ. ბაკუნინის შრომის „სახელმწიფო და ანარქიზმის" წინასიტყვაობაში[2].

ვ. ჩერქეზიშვილი ანარქისტი იყო. ანარქიზმი კი სოციალური მიმდინარეობა იყო, მაგრამ ზოგიერთ საკითხში მას პრინციპულად განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ეს განსაკუთრებით ეხება სახელმწიფოზე მოძღვრებას. რუსული ანარქიზმის მამამთავრის მ. ბაკუნინის აზრით, ყოველგვარი სახელმწიფო ბატონობის იარაღია და გამომდინარე აქედან თუკი არსებობს სახელმწიფო მაშინ ბატონობაც არსებობს. ბატონობა კი მონობის გარეშე წარმოუდგენელია.

ანარქიზმი როგორც ცნობილია სახელმწიფოს ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგია. მაგალითად მ. ბაკუნინი ფიქრობდა, რომ ყოველგვარი სახელმწიფო, მათ შორის პროლეტარული შეეცდება თავისი არსებობის მარადიული დაკანონებისათვის. აქედან ერთადერი გამოსავალია თავიდანვე უარი ითქვას ყოველგვარ სახელმწიფოზე, ყოველგვარ პარტიასა და მმართველობაზე. ეს კი საშუალებას მისცემს საზოგადოების შექმნას თავისუფალი თემი, თავისუფალი კავშირი და ასოციაციები, ფიქრობს ბაკუნინი. საერთოდ, ბაკუნინის აზრით, ქვეყნის მოწყობის საუკეთესო ფორმაა ის, რომელიც ხელშეკრულებას ემყარება.

ანარქისტთა ლიდერის ამ აზრებს სრულიად იზიარებს ვ. ჩერქეზიშვილი. თავის მხრივ იგი აღნიშნავს, რომ მარქსამდელი სოციალიზმის თეორიიდან ანარქიზმმა აიღო შემდეგი ძირითადი პრინციპები: დაქირავებული შრომის გაუქმება, მშრომელთა ექსპლუატაციის მოსპობა, წარმოების საშუალებათა გადაცემა მუშებზე, ხოლო სოფლად მიწებისა - თავისუფალ გლეხებზე.

ამასთანავე, ვ. ჩერქეზიშვილი ყველაფერში როდი ეთანხმება სოცია-

---

[1] დაწვრ. იხ. В. Черкозов. Наконец-то сознались! Ответ К. Каутскому. Тифлись, 1907, ст. 2-7.

[2] М.А. Баунин, Избр. Соч. Петроград, 119 предисловие.

ლიზმის მარქსამდელ თეორიას, რადგანაც მათთან არ ჩანს, თუ რატომ წავა არენიდან სახელმწიფო[1]. ასევე არ ეთანხმება იგი ნაროდნიკებს, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ სასამართლო-ადმინისტრაციული ორგანოების არსებობას თემის საზღვრებში[2].

როგორც მარქსიზმის, ისე ანარქიზმის ამოცანა იყო სოციალიზმის გამარჯვება, სოციალისტური წყობილების დამყარება. მაგრამ მისი მიღწევის გზები სხვადასხვანაირად ესახებოდათ. კერძოდ, მარქსიზმის მიხედვით სოციალიზმი უნდა დამყარებულიყო პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე. ანარქიზმი კი თვლიდა, რომ სოციალიზმი ეკონომიკური გადატრიალების შედეგი უნდა ყოფილიყო. საერთოდ ანარქიზმის მიხედვით, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე, უნდა გაუქმდეს სახელმწიფოც, რადგანაც სახელმწიფო თუ შენარჩუნებული იქნება, მაშინ შენარჩუნებული იქნება ბურჟუაზიული ბორკილები. ამ აზრს იზიანებს ვ. ჩერქეზიშვილიც[3].

როგორც აღინიშნა ვ. ჩერქეზიშვილი ეკონომიკურ გადატრიალებას მიიჩნევს სოციალიზმის დამყარების საფუძვლად, რაც ამავე დროს გულისხმობს კერძო საკუთრების და სახელმწიფოს გაუქმებას, თუმცა იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს აზრი დიდი ხანია არსებობს (ადამ სმიტი, დავიდ რიკარდო და სხვები)

ზემოაღნიშნულის საფუძველზე კი ვ. ჩერქეზიშვილი აკეთებს დასკვნას, რომ სწორედ ეკონომიკური ფაქტორი, უფრო ზუსტად, ეკონომიკური თავისუფლება - საფუძველთა საფუძველია როგორც კერძო საკუთრების მოსპობის, ისე სახელმწიფოს გაუქმებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა-ექსპლუატაციისა[4].

ვ. ჩერქეზიშვილის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებში ერთი შეხედვით წინააღმდეგობებიც გვხვდება. თუ ერთ შემთხვევაში იგი სოციალიზმის მარქსისტულ მოდელს აკრიტიკებს, მეორე შემთხვევაში სოციალიზმს

---

[1] В.Черкозов Предтечи Интернационала. Доктрины марксизма Петербург - Москва, 1919, ст. 34.

[2] იქვე გვ. 100.

[3] იქვე. გვ. 86.

[4] იქვე გვ. 147.

ანტისახელმწიფოებრივ მოვლენად მიიჩნევს. მაგრამ აქ ანტისახელმწიფოებრივში იგულისხმება ის, რომ „სოციალიზმის" ცნება თავდაპირველად არ შეიცავდა სახელმწიფო მექანიზმს. სოციალიზმში სახელმწიფოს ელემენტი შეიტანეს მარქსმა და ენგელსმა, აღნიშნავს ვ. ჩერქეზიშვილი. გამომდინარე აქედან, ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, მარქსისა და ენგელსის წყალობით „სოციალიზმი ანტისახელმწიფოებრივი მოძღვრებიდან იქცა სახელმწიფოებრივად, ხოლო ჩვენ კომუნისტ რევოლუციონერებს* და სახელმწიფოს მტრებს მიგვიჩნევენ სოციალიზმის მტრებად"[1].

ვ. ჩერქეზიშვილის მკაცრი პოზიცია სახელმწიფოს წინააღმდეგ კარგად ჩანს. სახელმწიფოს მომხრე სოციალისტების კრიტიკისას, სოციალისტებმა სახელმწიფო გაიგეს, როგორც ხალხის მსახური. ეს აზრი ლუიბლანს ეკუთვნის და იგი სოციალისტებმა ბრმად გადმოიღეს და „უმაღლეს სოციალისტურ სიბრძნედ" მიიჩნიეს. ამ მცდარი აზრის გამო, „მსოფლიო სოციალ-დემოკრატია დაადგა პარლამენტარიზმისა და სახელმწიფოებრიობის გზას"[2].

აქ, ვ. ჩერქეზიშვილის ამ სიტყვებში კარგად ჩანს როგორც მისი ავტორის, ისე საერთოდ ანარქიზმის არსი, მისი საფუძველს მოკლებული პოზიცია, როცა პარლამეტარიზმი და სახელმწიფოებრიობა დიდ ნაკლად არის მიჩნეული.

ანარქისტები და მათ შორის გ. ჩერქეზიშვილი უარყოფენ რა სახელმწიფოს საჭიროებას, ბუნებრივია ფიქრობენ იმაზეც თუ რა მექანიზმებით უნდა შეიცვალოს სახელწმიფო, როგორც გარკვეულ სტრუქტურა. ვ. ჩერქეზიშვილს ასეთ მექანიზმად მიაჩნია ხელშეკრულება, რომელიც ადამიანთა ჯგუფებს შორის დაიდება. ეს ხელშეკრულება აქ ჯგუფების წევრთათვის სავალდებულო უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ იგი მათი ნებასურვილის საფუძველზეა დადებული[3].

აქ ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ანარქისტების, მათ შორის ვ.

---

* ვ. ჩერქეზიშვილი თავისთავს ანარქიზსტ-კომუნისტად და რევოლუციონერად მიიჩნევდა.

[1] В.Черкозов Доктрины марксизма. М. 1905. ст. 62.

[2] იქვე გვ. 59.

[3] В. Черкозов. Пред Интернационала... ст. 50.

ჩერქეზიშვილის ნააზრევი რეალობას მოწყვეტილია და უფრო სურვილის სფეროს განეკუთვნება. საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე, კომუნისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო... კომუნიზმის დამყარების შემდეგ. ეს უტოპიაა და მსგავსი უტოპია დამახასიათებელია ანარქიზმისთვისაც.

რაც შეეხება სოციალიზმის გამარჯვებას, თუკი ერთგან ვ. ჩერქეზიშვილი, ამის საფუძვლად ეკონომიკურ გარდაქმნებს მიიჩნევდა, მეორეგან რევოლუციისა და საყოველთაო-სახალხო აჯანყებას მოიაზრებს ამის პირობად. ამით კი მისი ნააზრევი ერგვარად უახლოვდება მარქსისტულს. მით უმეტეს, რომ იგი დასახული მიზნის მისაღწევად არც ბარიკადებზე ამბობს უარს და არც ახალგაზრდების მხრიდან სისხლისმღვრელი ბრძოლის დაწყებაზე. ამის გარეშე, ყოველგვარი მშვიდობიანი რეფორმა სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასების სასარგებლოდ იქნება, დაასკვნის იგი[1].

ვ. ჩერქეზიშვილი არ იზიარებს კლასთან ბრძოლის მარქსისტულ თვალსაზრისს, რის გაუქმებისთვისაც საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა. ბუნებრივია, რომ მისთვის მიუღებელი იყო პროლეტარიატის დიქტატურაც, რადგანაც სახელმწიფო, ხელისუფლების ეს ფორმაც ერთის მიერ მეორეზე ბატონობის იარაღი გახდება იმ განსხვავებით, რომ ახლა უმრავლესობა გაბატონდება უმცირესობაზე. ამასთანავე, და ეს მთავარია ანარქისტებთან და მათ შორის ჩერქეზიშვილთან, არც ერთი ხელისუფლება და მათ შორის პროლეტარიატის დიქტატურა, ნებაყოფლობით არ დათმობს ძალაუფლებას. განა რომელიმე ხელისუფლება გააუქმებს თავის მმართველობას? მართებულად კითხულობს ვ. ჩერქეზიშვილი, ამიტომაც იგი კატეგორიულად მოითხოვდა სახელმწიფოს ყოველგვარი ფორმის გაუქმებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ანარქიზმი როგორც სოციალური მოძრაობის ნაირსახეობა სახელმწიფოს გაგების საკითხში მცდარ საფუძველზე იდგა. ანარქისტთა შეხედულებები რეალობას მოწყვეტილი და ერგვარად ცას გამოკიდებული იყო.

---

[12] იქვე გვ. 63.

ანარქისტთა და მათ შორის ქართველ ანარქისტთა შეხედულებები მარქსიზმთან სიახლოვესაც ამჟღავნებდა (რევოლუციის გზით სოციალიზმის დამყარებას).

ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ანარქისტები იმ პერიოდში ჩვენში გავრცელებულ სხვა სოციალური მოძრაობებისაგან (ხალხოსნები, სოციალ-დემოკრატები) განსხვავებით ეროვნულ პოზიციაზე იდგნენ, რითაც მათი პოზიცია-მემკვიდრეობა მეტ თანაგრძნობას უნდა იწვევდეს ჩვენში.

Tengiz Saralidze

VARLAM CHERKEZISHVILI'S SOCIO-POLITICAL VIEWPOINTS

The paper gives the insights V.Cherkezishvili's, the Georgian anarchist's, socio-political viewpoints, it analyzes his attitude towards Marxism and Popular activists, this being extremely negative, and being assumed as just in a number of issues. Specifically, V.Cherkezishvili's argumentations against the dictatorship of proletariat has been completely just as far as it cannot guarantee equality, and it facilitates to the establishment of a supra-national state; as for his ideas against the popular activists, his arguments against their nationalist nihilism has been justified.

The paper critically discusses and evaluates the utopist viewpoints of V.Cherkezishvili and his supporters, including M. Bakunin, Their leader.

ლიტერატურა:

1. ვ. ჩერქეზიშვილი, ცვლილებები კაცობრიობის კულტურის, გაზეთი "ივერია" 1901, №31.

2. Черкезов В., Наконец — то сознались! Ответ к Каутскому, Тифлись, 1907.

3. Черкозов В. Предтечи интернационала, Доктрини Марксизма, Петербург — Москва, 1919 г.

4. Черкозов, Доктрини Марксизма, М. 1905 г.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ სარალიძე

ეროვნული საკითხი ქართველ ხალხოსნებთან

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გავლენით ჩამოყალიბებული ქართული ხალხოსნობის ძირითადი თემა სოციალ-პოლიტიკური საკითხები იყო. მათი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები და ამის საფუძველზე რევოლუციური მოღვაწეობა სწორედ რუსი ნაროდნიკების გავლენით იყო განსაზღვრული. ისინი რუსი ნაროდნიკების გავლენით აქტიურობდნენ და რუსეთში მიმდინარე პროცესების საქართველოში გადმოტანას ცდილობდნენ.

გამომდინარე აქედან, ეროვნული საკითხს ქართველ ხალხოსნების მოღვაწეობაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ეს საკითხი მათთან ყურადღებიდს გარეშე არ დარჩენილა. ამ მხრივ საყურადღებოა ნიკო ინაშვილის, ანტონ ფურცელაძის, გიორგი მაიაშვილის (ზდანოვიჩი), ივანე ჯაბადარის და სხვათა შეხედულებები.

ცნობილი ხალხოსანი ნიკო ინაშვილის მსოფლმხედველობა დასავლეთის მოაზროვნეების ოგიუსტ კონტისა და ჯონ სტიუარტ მილის გავლენით ყალიბდება, კერძოდ, კონტის გავლენით არის განსაზღვრული ინაშვილის აგნოსტიციზმი, ხოლო მისი უტილიტარიზმი ჯ. მილის შეხედულებებით.

რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, ინაშვილს იგი ნაკლებად აინტერესებდა და თუკი მას განიხილავს ისიც მხოლოდ საკაცობრიო ინტერესებთან მიმართებაში. ამის მიზეზი კი, ინაშვილის აზრით, არის ის, რომ ეროვნული ინტერესები უპირატესობას ანიჭებს ვიწრო ეროვნულ საკითხებს და „არ მიაქცევს არავითარ ყურადღებას საზოგადო კაცობრიობის ინტერესებს და ამის გამო დიდად ავნებს თავის მამულს".

ხალხოსანთა შორის, ეროვნულ საკითხს ყველაზე ვრცლად ეხება ან-

ტონ ფურელაძე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მისი წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტობა". აქვე შეიძლება ითქვას ისიც, რომ ქართველ ხალხოსანთა ერთგვარი ნიჰილიზმი ეროვნული პრობლემატიკისადმი განპირობებული იყო იმით, რომ ისინი პოზიტივიზმისა და სუბიექტივიზმის, და რაც მთავარია რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებათა გავლენას განიცდიდნენ, მათთან კი მთავარი იყო არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და სოციალ-პოლიტიკური საკითხები.

საერთოდ ქართველი ხალხოსნები და მათ შორის ა. ფურცელაძე იმ აზრის იყო, რომ ეროვნული საკითხი, კერძოდ მისი თავისუფლების მოპოვება შეიძლება, მაგრამ მხოლოდ დემოკრატიის პირობებში, როცა შესაბამისად სოციალ-ეკონომიკური ვითარებაც ნორმალური იქნება.

ა. ფურცელაძე წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიტიზმი" განსჯის საგნად იხდის პატრიოტიზმის ცნებას და შეიძლება ითქვას, რომ მის მცდარ გაგებას იძლევა. პატრიოტიზმში მას რატომღაც მხოლოდ საკუთარი ქვეყნის გაძლიერება და განდიდება ესმის. აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ „ა. ფურცელაძე ერთმანეთს უპირისპირებს ეროვნულ და საკაცობრიო იდეალებს.

პატრიოტობა, ა. ფურცელაძის აზრით, მტრობის, შუღლის დაპირისპირებისა და სხვა არაერთი მსგავსი მოვლენის მიზეზი ხდებოდა. პატრიოტიზმის იდეით შეიარაღებული ადამიანები მრავალი უკეთურების სათავე იყო, „ამგვარ კაცებზედ იყო დამოკიდებული სიცოცხლე თუ სიკვდილი იმ ხალხისა, რომელსაც ესენი ეკუთვნოდნენ. რადგან ვიმეორებთ, საქმე ისე იყო დაყენებული, რომ თუ შენ არ შთანთქავდი, შენ გშთანთქავდნენ, ანუ როგორც კარლეიდი* ჰსახავს ამგვარ კაცთა შორის დამოკიდებულებას, „კაცთა შორის საქმე ასრეა დაყენებული: ვინ დაასწრებს მოკვლას: მე შენ, თუ შენ მე!"[1]

---

* თომას კარლეილი (1795-1881) ინგლისელი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი.

[1] ა. ფურცელაძე, კოსმოპოლიტობა და პატრიოტობა. იხ. მითი კაცობრიობა და ხალხოსნობა, ტფილისი 1906, გვ. 6;

ა. ფურცელაძის საბოლოო აზრით, პატრიოტიზმს მხოლოდ ცუდი შედეგები მოაქვს. ამიტომაც იგი დასაგმობი და უკუსაგდებია. სამაგიეროდ მისთვის მისაღებია კოსმოპოლიტიზმი, რომელიც საყოველთაო სიკეთის მომტანია, ხალხთათვის მშვიდობის დამკვიდრების და ძმობის სინონიმია.

ხალხოსნებისათვის აზრთა არათანმიმდევრულობა და წინააღმდეგობრიობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს „სენი" სჭირს ა. ფურცელაძესაც. თუკი ერთგან პატრიოტობას აკრიტიკებს და კოსმოპოლიტიზმისაკენ იხრება, სხვაგან პატრიოტიზმს მახინჯი გამოვლინების მიზეზად ცუდ გარემოებებსა და ბოროტ ადამიანებს მიიჩნევს. ამასთან ეს ისეთი ვითარებაა, რასაც „თავს ვერ დააღწევს" პატრიოტიზმი: „ცხადია, ვერც პატრიოტობა ასცდებოდა ცუდთა გაკრემოებათა უკეთურთა კაცთა ხელში ცუდს გზას"[1]

ა. ფურცელაძე ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას - თუ რატომ ყალიბდება უარყოფით მოვლენად პატრიოტიზმი. საქმე ის არის, რომ მისი აზრით პატრიოტიზმი წარმოიშვა მაშინ, როცა კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული, არ იყო სათანადოდ განათლებული და ა.შ. „მით უფრო, რომ, როგორც ავხსენით, ის ისრეთს დროსა და საძირკველზედ აღეგო, რომ მხოლოდ ძალიან გვიან შეეძლო აწონვილის მართალ გზაზედ დამდგარიყო"[2].

რამდენადაც ა. ფურცელაძე უარყოფითი აზრისაა პატრიოტიზმზე, იმდენად დადებითად აფასებს იგი კოსმოპოლიტიზმს. შეიძლება ითქვას, რომ იგი კოსმოპოლიტიზმის აპოლოგეტია. მისი ეს თვალსაზრისი კი პოზიტივიზმისა და სუბიექტივიზმის წარმომადგენელთა (ბოკლი, პრუდონი, სპენსერი და სხვ.) შეხედულებებით არის განსაზღვრული.

ა. ფურცელაძის ახლა აღნიშნული მსოფლმხედველობა თავს იჩენს საკუთარი ერისა და მშობლიური ენის მიმართაც. რადგანაც პოზიტივიზმის დიდ გავლენას განიცდის თითქმის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ბუნების მეცნიერების განვითარებას. ამასთან, მისი აზრით, ბუნების საგანთა არსის შემეცნება შეუძლებელია და მხოლოდ იმის შესწავლით უნდა

---

[1] ა. ფურცელაძე, კოსმოპოლიტობა და პატრიოტობა. იხ. მისი კაცობრიობა და ხალხოსნობა, ტფილისი, 1906, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 21-22

დავკმაყოფილდეთ, რაც ჩვენს ირგვლივაა და ზეგავლენას ახდენს ჩვენზე.

პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმზე მსჯელობას ა. ფურცელაძე აგრძელებს მცირე მოცულობის ნაშრომში „კაცობრიობა და ხალხოსნობა" (1906წ.), ნაშრომში ა. ფურცელაძე ერთმანეთისაგან[1] მკვეთრად ანსხვავებს კოსმოპოლიტიზმისა და პატრიტოიზმის ცნებებს. მისი მსოფლმხედველობის მთავარი აზრის მიმართულების გათვალისწინებით, ძნელი არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ მისთვის კოსმოპოლიტიზმი დადებითი მოვლენაა, ხოლო პატრიოტიზმი უარყოფითი.

ა. ფურცელაძისთვის მიუღებელია ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის, ერთი ერის მიერ მეორე ერის დაპყრობა და ჩაგვრა. იგი პროგრესულად მიიჩნევს და დადებითად აფასებს ისეთ სახელმწიფო თუ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთა საქმიანობაც საკაცობრიო იდეალებს ემსახურებოდა და არა ერთი ქვეყნის მიერ მეორის ჩაგვრას, დამონებას და ა.შ. ასეთ გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწეებად მას მიაჩნდა დავით აღმაშენებელი, გეორგ ვაშინგტონი, ჯუზეპე გარიბალდი და სხვა. მათი მოღვაწეობა კი ა. ფურცელაძის აზრით ცხადს ხდის, რომ პატრიოტიზმი მხოლოდ უარყოფითი მოვლენაა

ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრა ა. ფურცელაძეს გაუმართლებლად მიაჩნია იმის გამო, რომ ჩაგრული ერის მძიმე მდგომარეობა ერთგვარად გადამდებია და სხვაზეც უარყოფითად მოქმედებს. საბოლოოდ ყველაფერი ეს მთელ კაცობრიობაზეც გავრცელდება, რადგანაც „ერთი ერის უძლურება ჰმოქმედებს სხვაზედაც, მაშასადამე კაცობრიობაზედაც. და თუ არ მივაქციეთ ყურადღება და ვუპატრონეთ ჯეროვნად ყველა ერთა განსაკუთრებითთა თვისებაა, ცხადია, ეს კიდევ უფრო ცუდად იმოქმედებს მთელს კაცობრიობაზედ"[2]

ასევე საინტერესოა ა. ფურცელაძის მოსაზრებები ერების გაერთიანებაზე. მისთვის ყოვლად მიუღებელია ერების შერჩევა-გადარჩევის ევოლუციონისტური თვალსაზრისი, რომელიც ძლიერი ერების პრიორიტეტს

---

[1] იქვე, გვ. 20
[2] იქვე გვ. 28.

აღიარებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ა. ფურცელაძე ერების გაერთიანების წინააღმდეგია. მაგრამ ეს გაერთიანება ნებაყოფლობით უნდა მოხდეს და ეს იქნება საწინდარი ომებისა და სხვა უბედურების თავიდან აცილებისათვის.

ა. ფურცელაძის საერთო პოზიცია, რაც კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობით არის ნასაზრდოები, კარგად ჩანს მშობლიურ ენაზე გამოთქმულ თვალსაზრისში. იგი წერილში – „ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ" აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა ერების ერთმანეთთან დაახლოება, თუკი ამის საჭიროება შეიქმნება. ამასთანავე, თუკი ამის საჭიროება არ იქნება, ფიქრობს ფურცელაძე, „მანამ ყველამ თავისი ენა დაიცვას".[1]

როგორც აღნიშნულიდან ცხადად ჩანს ფურცელაძის შეხედულებები ეროვნულ საკითხზე წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. შინაგანად მას სურს ეროვნული საკითხის გააზრება ობიექტურად, მაგრამ კოსმოპოლიტურ პოზიციაზე მდგომი საბოლოოდ მაინც ერებსა და ერების ერთიანობის შესაძლებლობას აღიარებს, რაც ნამდვილად ვერ ჩაეთვლება მას დამსახურებად.

ქართული ხალხოსნობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის გიორგი მაიაშვილისათვის (ზდანოვიჩი) ეროვნული პრობლემატიკა მეორე პლანზეა გადატანილი. მაიაშვილის შეხედულებები ეროვნული თავისუფლება „მონატილ" ეკონომიკურ სიდუხჭირეზე ჩვენი დონის ნიჭილისტებთან ამჟღავნებს სიახლოვეს. ამ ყაიდის ადამიანებისათვის ყოველგვარი უკეთურება, უძლურება, რომლებიც გარდამავალი პერიოდის საზოგადოებაში იჩენს თავს, თურმე დამოუკიდებლობის ბრალია.

მაიაშვილის აზრით, ქვეყნის ფეხზე დაყენება შესაძლებელი არაა უცხო მმართველობის მოცილებით და მის ადგილზე ეროვნული ხელისუფლების მოსვლით. სინამდვილეში, თავისუფლებისათვის ბრძოლა უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკის განახლებასთან. „მხოლოდ ღრმა ეკონომიკური ცვლილებებისათვის ბრძოლა არის გზა ნამდვილი თავისუფლებისად-

---

[1] ჟურნალი „ცისკარი", 1867, №1.

მი, მხოლოდ საუკეთესო ეკონომიკურის წესწყობილების დამყარებაა ერთ-ნულს დამოუკიდებლობითურთ, რასაკვირველია, ნამდვილად გაანთავისუფლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას"[1]

ისევე, როგორც ა. ფურცელაძე გ. მაიაშვილის პოზიცია ქვეყნისა და ერის თავისუფლებაზე ეკონომიკურ ფაქტორს ვერ შორდება. მართალია იგი ეროვნული თავისუფლება სამართლიან საქმედ მიიჩნევს, მაგრამ მის საფუძვლად ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას მიიჩნევს. გ. მაიაშვილი აკრიტიკებს იმათ, ვინც მხოლოდ ეროვნულ იდეებსა და ტრადიციებზე ფიქრობს. ამით ისინი, ფიქრობს მაიაშვილი თავისსავე საკუთარი ხელით უთხრიან ორმოს ძვირფას თავის ქვეყანას, უკეთუ ივიწყენენ ხალხის ეკონომიკურ ინტერესებს და გამოსდგომიან მხოლოდ ეროვნულის იდეებს და ტრადიციებს. გ. მაიაშვილის აზრით, სამართალი პოლიტიკა სოციალური პრობლემები ეკონომიკითაა განსაზღვრული.

ეროვნულ საკითხში გ. მაიაშვილის განსჯის საკითხი ხდება ქართველ სამოციანელთა შეხედულებები. იმ საკითხში მისი მსოფლმხედველობის ძირითადი აზრის გათვალისწინებით. ბუნებრივია, რომ გ. მაიაშვილი კრიტიკულად აფასებს, თუმცა აღნიშნავს მათ დამსახურებასაც. კერძოდ, სამოციანელების დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ მათმა დაუღალავმა და კეთილშობილურმა მოღვაწეობამ ქართველ ხალხში ნაციონალური გრძნობა აღაგზნო, მაგარმ ამასთან, სწორედ მათი წყალობით ამ მოძრაობამ ერთობ ნაციონალური სახე და ხასიათი მიიღო - "მეტის მეტი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, კულტურული და მხოლოდ მცირედ ხალხური"[2].

ქართველ სამოციანელთა "კულტურულ გადახრაში" გ. მაიაშვილი უპირველესად გულისხმობს ქართულ ენაზე, ქართულ სკოლებსა ქართულ თეატრსა და საერთო ქართულ მიმართულებაზე მათ გადამეტებულ ზრუნვას, რასაც მიუტესებელ ცოდვად უთვლის. მათ ძირითად ნაკლად კი ისევ და ისევ ეკონომიკური საკითხების უგულებელყოფას თვლის და გამომდინარე აქედან ხალხის ცხოვრებაში ჩაუხედავობას საყვედურობს.

---

[1] გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), რჩეული ნაწერები ორ ტომად ტ. I თსუ 1967 გვ. 29-31.

[2] იქვე.

ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს კიდევ ერთი ხალხოსანი, რუსულ გარემოში მსოფლმხედველობა ჩამოყალიბებული ივანე ჯაბადარი (1852-1913) ჯაბადარი საერთოდ რუსული სინამდვილისადმი რუსეთის ინტელიგენციის დიდი იმედი იყო. იგი წერილში - „ფიქრნი და შენიშვნა გარეთყოფილისა" წერდა: „ეხლა ყოველს პატიოსანსა და განათლებულ რუსს ესმის, რომ რუსეთის ავი და კარგი, მთელი მისი მერმისი დამყარებულია იმის დაწინაურებულს საზოგადოებაზედ, რომელსაც თავი სრულ და ხორცი შეწირული აქვს და კიდევაც შეწირავს თავის სამშობლოს მრავალჯერ კეთილდღეობისათვის"[1]

უფრო ადრე ივ. ჯაბადარმა ჟურნალ "Северный вестник"-ში თებერვალსა და მარტის ნომრებში გამოაქვეყნა წერილი "Писмо о Грузии" სადაც იგი საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის საკითხებს მრუდე სარკეში წარმოადგენდა საერთოდ ქართული კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება წითელ ზოლად გასდევს ჯაბადარის მოღვაწეობას.

ივ. ჯაბადარის "Писмо о Грузии"-ში გაერთიანებულ ნიჰილისტურ აზრებს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე და მკაცრად გააკრიტიკა იგი წერილების სერიაში - „აი ისტორია", რომელიც დაიბეჭდა 1889 წლის გაზეთ „ივერიაში (№№71,77,78,89,90,106, 116, 117, 118, 130, 130) ილიამ თუ შეიძლება ასე ითქვას მისხალ-მისხალ გაარჩია ჯაბადარის აზრები და მისთვის დამახასიათებელი ეროვნული პოზიციიდან უმკაცრესი შეფასება მისცა მას.

მთავარი ის არის, რომ ილიამ ამ წერილების სერიაში აჩვენა ივ. ჯაბადარისა და მისნაირი ქართველების ნააზრევის სიბერწე, უსაფუძვლობა და ზედაპირულობა. თუმცა მისი განხილვა აუცილებლად მიიჩნია რადგანაც ჩათვალა, რომ „ჩიტი ბდღვნად ღირდა".

ილია ჭავჭავაძე ივანე ჯაბადარს საყვედურობს იმას, რომ იგი უცხოელ ავტორთა აზრებს (დ.რეპერის მაგალითად) ყოვლად უსაფუძვლოდ ავრცელებს ქართულ სინამდვილეზე.[2]

---

[1] „ივერია", 1888, №1000

[2] ი. ჭავჭავაძე, სრ. კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბ. 1955, გვ. 19.

ასევე არ იზიარებს ილია ერის, კერძოდ, ქართველი ერის დაბერების ჯაბადარისეულ თვალსაზრისს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ დღეს თუ არა ხვალ გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი უნდა დაბერდეს და უნდა ამოწყდეს არადა, ეს თუ ასე მოხდა, ერის სიბერე არაფერ შუაში არ იქნება, რადგანაც ამბობს ილია, „სიბერე ერისა" ჩვენის ფიქრით, უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის".[1]

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ილიამ წერილების ამ სერიაში გამოააშკარავა ქართველ ხალხზე ივ. ჯაბადარის შეხედულებათა უნიათობა, უსუსურობა და ზედაპირულობა. ილიას ამ გამოსვლის შემდეგ ჯაბადარისა და სხვა მსგავს ავტორთა ამგვარი მოსაზრებებისთვის ქართულ სინამდვილეში, ქართული სააზროვნო სივრცეში ადგილი აღარ რჩებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხოსნები ეროვნულ საკითხს ზერელედ ეკიდებოდნენ და მას სოციალური მოთხოვნების შემდეგ განიხილავდნენ. ამიტომაც იყო, რომ მათ შეხედულებებს სხვა საკითხებზეც კი, ქართველი ხალხისაგან მასობრივი მხარდაჭერა არ ჰქონიათ. ეს იმის გამო, რომ ისინი მთავარში - ეროვნული საკითხის გაგებაში მცდარ პოზიციაზე იდგნენ.

---

[1] იქვე, გვ. 10

Tengiz Saralidze

GEORGIAN POPULAR ACTIVISTS ON THE NATIONAL PROBLEM

The paper addresses Niko Inashvili's, Anton Purtseladze's, Giorgi Maiashvili's, and Ivane Jabadari's viewpoints, they being similarly anti-national, and thus, unacceptable. It describes the epoch and the conditions which facilitated to the formation of national nihilism in their consciousness. The end-point of their evaluations have immediately been based on the standpoint of the public figures of the 1860s, this being founded upon the principles by Ilia Chavchavadze, gread Georgian spiritual leader.

National nihilism of the Georgian Popular activists was due the fact that they were influenced by positivism and subjectivism, and, particularly, by the ideas of Russian revolutionary democrats. The principal issue for them was the struggle against the authorities and the socio-political problems.

ლიტერატურა:

1. ა. ფურცელაძე, კაცობრიობა და ხალხოსნობა, ტფილისი 1906.
2. ჟურნალი "ცისკარი", 1867, №1.
3. "ივერია", 1888, №1000.
4. გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. 1. თსუ 1967 წ.
5. ი. ჭავჭავაძე, სინ. კრებული ათ ტომად, ტ. III თბ. 1955 წ.

(მე-3 გამოცემა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ინგა აბრამიძე – ეგვიპტის საკითხი რომის
სენატში (ძვ. წ. 56 წ.) 3
ანა არგელაძე – ანტიციპაციის კავშირი მხატვრულ–
საშემსრულებლო პროცესების კოდირებასთან 9
ევგენი ბლიაძე – ალექსანდრე ამილახვარი
პოლიტიკის შესახებ 14
ელენე გეგეშიძე – ქართული ხალხური სპორტული
სანახაობა მე–19 საუკუნის ქუთაისში 19
მეგი გორგასლიძე – ეროვნული სიმდიდრის
არსის საკითხისათვის 27
ნათელა ვაშაკიძე, დეზდემონა მაღლაკელიძე –
წლიური ბალანსი და მისი შედგენის
მეთოდიკის საკითხები 36
ნინრა ვირსალაძე – საბაზრო ეკონომიკა და
მოსახლეობის ცხოვრების დონის
ეკონომიკურ–სტატისტიკური მაჩვენებლები 43
მელანო კარანაძე – ავტორთა პირადი არაქონებრივი
უფლებები ინტელექტუალური საკუთრების
სამართალში (საავტორო სამართალი) 49
ნინო კაშია – ეკოლოგიური უფლების
ინფორმაციული უზრუნველყოფა 51
ომარ კახიძე – პლატონის ატომისტიკა 55
მანანა კოპალიანი – ივანე ჯავახიშვილი,
როგორც იურისტი 60
მედეა ლომინაშვილი – ადგილობრივი ბიუჯეტის
როლი იმერეთის მხარის ეკონომიკური და
სოციალური პრობლემების დაძლევის საქმეში 66

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ლომთათაძე – მიმოქცევაში ქაღალდის ფულის დამკვიდრება ევროპასა და აშშ–ში 71
შოთა რამიშვილი – საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი I ინტერნაციონალის კონფერენციებზე (1919 წ) 79
მადონა რობაქიძე – რაჭის საერისთავო მე–18 საუკუნის 50–60–იან წლებში 94
სერგო სვანაძე – სრულყოთ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზების სამართლებრივი ბაზა 101
მარინე სირბილაძე – სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის კავშირის ბუნების ფსიქოლოგიური კვლევის ასპექტები 108
დალი სოლოღაშვილი – საკუთრება და საზოგადოებრივი პროგრესი 115
ვალერიან ქელბაქიანი – სასრულისა და უსასრულოს ცნებები მათემატიკაში, ფიზიკასა და კოსმოლოგიაში 122
მამუკა შენგელია – საერთაშორისო–სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და სახეები 133
მანანა ჩიტაიშვილი – „ქრისტიანული კედლისმხატვრობა და მისი თავისებურებანი საქართველოში“ 138
გიორგი ჯანელიძე – ინგლისის დაზვერვა გერმანია–თურქეთის მეტოქეობის შესახებ საქართველოში (1918 წ.) 143
ირაკლი შენგელია – ნარკომანია – ზნეობრივი დანაშაული 149
თენგიზ სარალიძე – ვარლამ ჩერქეზიშვილის სოციალ–პოლიტიკური შეხედულებები 155
თენგიზ სარალიძე – ეროვნული საკითხი ქართველ ხალხისნებთან 163

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში

გამომცემლობის დირექტორი: შ. კირთაძე
კორექტორი: თ. მამარდაშვილი
ოპერატორები: ი. ნასარიძე
შ. ხუნდაძე

წიგნი დაიბეჭდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში.
9 პირობითი ნაბეჭდი ფორმა
60X84. 1/16

ტირაჟი 200

174
14/5 2004

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ISNN-1512-09-53

შრომები

ტომი 2 (36)
სოციოლოგიურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISNN-1512-09-53

შრომები

ტომი 2 (36)

სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია

მთავარი რედაქტორი: აკად. ავთანდილ ნიკოლეიშვილი

მთავარი სარედაქციო საბჭო: ვახტანგ ამაღლობელი, თორნიკე ეფრემიძე (სარედაქციო–საგამომცემლო საბჭოს თავმჯდომარე), შალვა კირთაძე, ომარ ლანჩავა, გიორგი ონიანი, ლევან სვანაძე, გურამ ჩაჩანიძე, მარინე ქაცარავა (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ნატო წულეისკირი (მდივანი).

Editor in Chief: Academician Avtandil Nikoleishvili

Editorial Board: Vakhtang Amaglobeli, Thornike Efremidze (Chairman of Editorial Board) Shalva Kirthadze, Omar Lanchava, Giorgi Oniani, Guram Chachanidze, Marine Katsarava (Deputy Editor in Chief), Nato Tsuleiskiri (Secretary).

რედაქტორი: ლევან სვანაძე

სარედაქციო კოლეგია: ევგენი ბლიაძე, რობერტ გოლეთიანი, რევაზ კაკულია, იაკობ კუჭუხიძე, გივი ლობჟანიძე, მერაბ მაღრაძე, იაკობ მესხია, ომარ მინდაძე, შოთა რამიშვილი, გივი სანიკიძე, მამუკა შენგელია, ოთარ ჭუმბურიძე, მანანა ჩიტეიშვილი, კოტე ხურცილავა.

Editor: Levan Svanadze

Editorial Board: Evgeni Bliadze, Robert Goletiani, Revaz Kakulia, Iacob Kuchukhidze, Givi Lobjanidze, Merab Magradze, Iacob Meskhia, Omar Mindadze, Shota Ramishvili, Givi Sanikidze, Mamuka Shengelia, Otar Chumburidze, Manana Chiteishvili, Kote Khurtsilava.

© სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ინგა აბრამიძე

ეგვიპტის საკითხი რომის სენატში (ძვ. წ. 56 წ.)

შიდა დაპირისპირებების შედეგად ეგვიპტიდან გამოძევებული მეფის პტოლემაიოს ავლეტის რომში გამოჩენამ დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია იქაურ პოლიტიკურ წრეებში. მართალია, მან რომში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო, მაგრამ საკმაო ხანი და დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ გარკვეული დასაყრდენი მოეპოვებინა სხვადასხვა გავლენიან დაჯგუფებებში. მისი მთავარი მიზანი გვირგვინის დაბრუნება იყო, რომლის მიღწევაც საკუთარი ძალებით არარეალური ჩანდა.

რომის ისედაც მძაფრი პოლიტიკური ცხოვრება ეგვიპტის საკითხის გააქტიურებით კიდევ უფრო დაიმუხტა. რომაელ მოღვაწეთაგან, საკითხი ისე იდგა, რომ ვინც ამ პრობლემას მოაგვარებდა, ბრწყინვალე შესაძლებლობები ექმნებოდა რომის პოლიტიკურ ავანსცენაზე ლიდერის პოზიციების განმტკიცებისათვის. ამ საკმაოდ მიმზიდველი მდგომარეობის მოპოვებისათვის რომის პოლიტიკური ელიტა თავის ფარულ ზრახვებს ავლეტისადმი გულშემატკივრობის საბურველში ახვევდა. სენატის სხდომებზე ეგვიპტის საკითხმა ხანგრძლივი დისკუსიები გამოიწვია, რის შესახებაც დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის ციცერონი თავის წერილებში. კამათი ძირითადად მიმდინარეობდა იმაზე, თუ რა გზით უნდა დაებრუნებინათ ავლეტი ეგვიპტეში და ვინ იქნებოდა ის პიროვნება, ვინც ამ მისიას შეასრულებდა. დებატები რამდენიმე თვის განმავლობაში გრძელდებოდა. ეს გარემოება თავისთავად მიუთითებს ავლეტის ეგვიპტეში დაბრუნების ხერხის რაგვარობის მნიშვნელობაზე რომაელ მოღვაწეთათვის.

ეგვიპტის მეფის ტახტზე აღდგენის ერთ-ერთი ყველაზე რეალური და პირდაპირი გზა, რა თქმა უნდა, სამხედრო ძალის გამოყენება გახლდათ. მაგრამ ვითარება შეიცვალა მას შემდეგ, როცა სახალხო ტრიბუნმა გაიუს კატონმა 56 წ. ე.წ. „სიბილას წინასწარმეტყველება" გამოაქვეყნა, რომელიც ეგვიპტეში სამხედრო გზით შესვლის შესაძლებლობას გამო-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიცხავდა, რადგანაც რომს, თუ იგი სამხედრო აქციას მიმართავდა ეგვიპტის ექს-მეფის ხელახლა გამეფებისათვის, დიდი საფრთხე ემუქრებოდა. დაპირისპირებულმა დაჯგუფებებმა „წინასწარმეტყველების" საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება გადაწყვიტეს. მაგალითად, კატონი ამ რელიგიურ მოტივს თავისი პოლიტიკური ჩანაფიქრის განსახორციელებლად იყენებდა, რადგანაც ეს აკრძალვა უწინარესად იმ კანდიდატების წინააღმდეგ იყო მიმართული, რომლებიც ეგვიპტეში საექსპედიციო ლაშქრის მეთაურებად მოიაზრებოდნენ. სენატმა მხარი დაუჭირა ორაკულის წინასწარმეტყველებას. უნდა ვიფიქროთ, რომ ის ეგვიპტეში ჯარით შესვლის პრინციპული წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ მას მეთაურთა მიმართ უნდა ჰქონოდა აცილება, რომ რომელიმე მათგანი ზედმეტად არ გაძლიერებულიყო და მისი კონტროლიდან არ გამოსულიყო. სენატი, ფაქტობრივად, აჭიანურებდა საქმეს. ციცერონს მიაჩნია, რომ სენატი ითვალისწინებდა ამ აკრძალვას არა მარტო წმინდა რელიგიური მოსაზრებით, არამედ მეფისადმი არაკეთილგანწყობისა და მისი ხელგაშლილობისადმი შურის გამოც (1,207). სენატორებმა კარგად იცოდნენ, რომ მეფის სურვილი იყო ტახტის დაბრუნებაში პომპეუსის მხარდაჭერით ესარგებლა და ამიტომ გარკვეულ თანხასაც უხდიდა მას. სენატორებს კარგად ახსოვდათ პომპეუსის ტრიუმფალი გამარჯვებები აღმოსავლეთში (მითრიდატეს დამარცხება, მეკობრეებთან ბრძოლა და სხვა), რასაც იმთავითვე ვერ ეგუებოდნენ. ისინი ყოველთვის ცდილობდნენ, ხელიდან გამოეგლიჯათ ძალაუფლება მისთვის. ეგვიპტის საკითხის პომპეუსისათვის გადაცემა მხედართმთავრის ხელახალ აღზევებას გამოიწვევდა, რაც მათ ინტერესებში არ შედიოდა. ამდენად, სენატისათვის პომპეუსი მისაღები კანდიდატი არ იყო.

ციცერონს მიაჩნდა, რომ რელიგიური აკრძალვით მანიპულირებას სენატორებმა იმ მიზნითაც მიმართეს, რომ არ გამოჩენილიყო ისეთი პიროვნება, რომელიც მოისურვებდა ალექსანდრიაში გამგზავრებას მხოლოდ არმიის მიღების მიზნით (1, 211) ამიტომაც რელიგიური საკითხი რომაელებს შეთხზულად მიაჩნდათ. ყოველივე ეს ასახავს იმ დაძაბულ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც ამ დროისათვის იყო რომში.

სენატის სხდომებზე იანვარში თავდაპირველად ბიბულუსის წინადადება განიხილებოდა, რომლის მიხედვითაც ავლეტის დაბრუნების საქმე უნდა დავალებოდა სამ ელჩს. ისინი სამხედრო ძალაუფლების არმქონე

კერძო პირებიდან უნდა არჩეულიყვნენ. ეს, პროექტის ავტორის აზრით, გამორიცხავდა ერთი ადამიანის ხელში სრული ძალაუფლების თავმოყრას, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა მას, იგი თავისი სურვილისამებრ, უკონტროლოდ გამოეყენებინა. ე.ი. საქმის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ არ დაეშვათ რომელიმე გავლენიანი პირის მიერ რომის სახელით ეგვიპტის გამოყენება თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად. თავდაპირველად წინადადება ორ ნაწილად გაყვეს და ისე განიხილეს. კერძოდ, ბიბულუსს დაეთანხმნენ საკითხის რელიგიურ ასპექტში. სენატში იმდენად მომწიფდა "წინასწარმეტყველებისადმი" ანგარიშის გაწევის სიტუაცია, რომ შედავებას აზრი აღარ ჰქონდა, ვინაიდან იგი ეგვიპტეში ჯარით დაბრუნებას გამორიცხავდა. ამ წინადადების განხილვამ სენატის არაერთი უშედეგო სხდომა შეიწირა და ბოლოს ის საერთოდ უარყვეს.

ასევე სამი ელჩის დანიშვნას სთავაზობდა სენატს კრასუსიც, მაგრამ მას მიაჩნდა, რომ ერთ-ერთი ამ ელჩთაგან აუცილებლად სამხედრო ძალაუფლებით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. სავარაუდო კანდიდატებს შორის იგი ამით არ გამორიცხავდა პომპეუსს. სამი ელჩის დანიშვნას ეთანხმებოდა ყველა ყოფილი კონსული, გარდა სერვილიუსისა, რომლის აზრით, საჭირო არ იყო უკან დაებრუნებინათ ავლეტი, რაც ალექსანდრიელთა სურვილიც იყო.

ამდენად, სერვილიუსი ერთადერთი პიროვნებაა, რომელიც ალექსანდრიელების ინტერესების გამომხატველად და დამცველად შეიძლება მივიჩნიოთ სენატის სხდომებზე.

სენატური ოლიგარქიის ოფიციალურ კანდიდატს წარმოადგენს კილიკიის პროკონსული ლენტულუს სპინტერი. მის ინტერესებს სენატში ციცერონი გამოხატავდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ სენატორებმა გაითვალისწინეს ლენტულუსის ღირსებები და მხარი დაუჭირეს, რადგანაც ის ამ საქმეს სახელმწიფოსთვის სასარგებლოდ მოაგვარებდა. იანვრის სხდომებზე ლენტულუსს ხოტბას პომპეუსიც ასხამდა, რაც იმის შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ მას არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, თუ ალექსანდრიის მეფის დაბრუნების საქმეს სპინტერი ჩაუდგებოდა სათავეში. მაგრამ ვოლკაციუსის წინადადება, რომელიც სენატს ბიბულუსის წინადადების უარყოფის შემდეგ გადაეცა განსახილველად, პირდაპირ მოითხოვდა ეგვიპტის საკითხის მოგვარება პომპეუსს დავალებოდა, რასაც მხარს უჭერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და პომპეუსის ყველა მეგობარი სხვადასხვა წოდებიდან. ასეთი გულმოდგინება უთუოდ მიუთითებდა იმაზე, რომ თავად პომპეუსს ეს დანიშვნა ძლიერ სწყუროდა და აქტიურად იღწვოდა ამისათვის. პომპეუსის ორმაგი თამაში დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ლენტულუსს. ციცერონის თავგამოდება ლენტულუსისათვის ხშირად ეფექტური გახლდათ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო და ისიც გასათვალისწინებელია, რომ პომპეუსის მოწინააღმდეგენი არც ლენტულუსის მომხრეები იყვნენ.

იანვრის იდებში დიდი დებატები გამოიწვია ჰორტენსიუსის წინადადებამ - დააბრუნოს ავლეტი სპინტერმა ჯარის გამოყენების გარეშე. რაც მეტად არარეალური ჩანდა. ამდენად, მართალია ლენტულუსის მხარდამჭერებმა ჰორტენსიუსმა, ლუკულუსმა და ციცერონმა ჯარის გამოყენების უარყოფით ანგარიში გაუწიეს რელიგიურ აკრძალვას, მაგრამ მათ ეს დიდი ენთუზიაზმით არ გაუკეთებიათ.

„სიბილას წინასწარმეტყველების" უპირობო მიღების შემდეგ სენატში შექმნილი მდგომარეობა სხვაგვარი მოქმედების საშუალებას არ იძლეოდა. მითუმეტეს, რომ ადრე გადაწყვეტილი იყო ეგვიპტის მეფე ლენტულუსს უნდა დაებრუნებინა.

სენატს არავითარი ისეთი დადგენილება არ მიუღია, რომელიც ჩამოაშორებდა ლენტულუსს ალექსანდრიის მეფის აღდგენის საქმისაგან. რელიგიურ საკითხში კომპრომისით ლენტულუსის მომხრეები დიდს არაფერს კარგავდნენ.

მისი მოწინააღმდეგე სახალხო ტრიბუნები, თავის მხრივ, ცდილობდნენ გადაწყვეტილების მიღება სხვადასხვა ხრიკების მეშვეობით გაეჭიანურებინათ. მიმართავდნენ ინტერცესიებს (intercesio - ჩარევა) - სახალხო ტრიბუნების უფლებას, რომლის ძალითაც მათ სხვა თანამდებობის პირთა დადგენილების ან მოქმედების შეჩერება შეეძლოთ. ასევე მათ ჰქონდათ უფლება, რეგლამენტის გარეშე ელაპარაკათ სენატში, რასაც ოსტატურად იყენებდნენ და ხშირად შუაღამემდეც საუბრობდნენ.

იანვრის იდებში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა კამათი კონსულ გნეუს კორნელიუს ლენტულუს მარცელიანუსსა და პომპეუსის მხურვალე მხარდამჭერ სახალხო ტრიბუნ კანინიუსს შორის. მარცელიანუსი სამხედრო ძალების საშუალებით ავლეტის ტახტზე აყვანის სასტიკი მოწინააღმდეგე იყო და, მისი აზრით, ეს საქმე არც სამხედრო ძალაუფლებით

აღჭურვილ პირს უნდა დავალებოდა. ამით ის საერთოდ გამორიცხავდა, როგორც პომპეუსს, ისე სპინტერს. მართალია, ის კეთილგანწყობილი იყო ლენტულუსისადმი, მაგრამ ავლეტის მტრობა ჰქონდა და სწორედ ეს განსაზღვრავდა მის ასეთ პოზიციას.

თებერვლის დასაწყისში კიდევ უფრო გამწვავდა ეგვიპტის საკითხი. დაიძაბა ურთიერთობები დაპირისპირებულ პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის. როცა კატონმა ყველასაგან მოულოდნელად გამოაქვეყნა კანონ-პროექტი კილიკიიდან ლენტულუსის გამოწვევის შესახებ, ხოლო კანინიუს გალამ კანონი იმის შესახებ, რომ ავლეტის ტახტზე აყვანა დავალებოდა პომპეუსს ორი ლიქტორის თანხლებით. როგორც პლუტარქე წერს, პომპეუსი ამ წინადადებით უკმაყოფილო არ იყო, მაგრამ იგი უკუაგდო სენატმა. თავის გასამართლებლად კი მისი პირადი უსაფრთხოების გამო შიში მოიმიზეზა, რომ ისეთი დიდი კაცი, როგორიც პომპეუსი იყო, შესაძლოა განსაცდელში ჩავარდნილიყო (2, 126). როგორც ჩანს, სენატორთა ირონიას საზღვარი არ ჰქონდა. არც პომპეუსისა და არც ლენტულუსის მომხრეები უკან დახევას არ აპირებდნენ. სენატში მდგომარეობა უკიდურესად დაძაბული და არამყარი იყო.

6 თებერვალს სახალხო კრებაზე კლოდიუსმა და მის „ხროვამ" ობსტრუქცია მოუწყო პომპეუსს. კლოდიუსელებმა საჯაროდ ამხილეს პომპეუსის ნამდვილი ზრახვები. კლოდიუსის კითხვაზე – „ვის სწყურია ალექსანდრიაში გამგზავრება? „ისინი პასუხობდნენ: „პომპეუსს". ხოლო კითხვაზე – „თქვენ ვისი გაგზავნა გინდათ ალექსადრიაში? პასუხი იყო – „კრასუსის" (1, 217). ეს არის ერთადერთი წყარო, სადაც ჩანს კრასუსის მისწრაფებები მას დააკისრონ ავლეტის ტახტზე დაბრუნების მისია. კლოდიუსელთა გამოსვლამ კიდევ უფრო სკანდალური გახადა არსებული სიტუაცია. ამის შემდეგ აპოლონის ტაძარში შეიკრიბა სენატი, რომელმაც მიიღო დადგენილება, რომ რაც მოხდა თებერვლის იდებამდე 6 დღით ადრე, ანტისახელმწიფოებრივი ქმედება იყო. აღნიშნულ სხდომაზე კატონის რისხვა ყველაზე მეტად პომპეუსს დაატყდა თავს. თავად პომპეუსი კატონის მწვავე ბრალდებებს არ გამოხმაურებია, რის გამოც ციცერონმა მიიჩნია, რომ მან ალექსანდრიის საქმე სრულიად მიატოვა.

მიუხედავად იმისა, რომ ეგვიპტის საკითხს სენატის არაერთი სხდომა მიეძღვნა, სიტუაცია ავლეტის და მისი ტახტზე აღდგენის შესახებ გაურ-

კვეველი რჩებოდა. ცხადია, ავლეტის მომავალი ერთნაირად "აღელვებდა" მის მომხრეებსაც და მოწინააღმდეგეებსაც. ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს შორის გამარჯვებულს ეგვიპტე დიდ პერსპექტივებს უქადდა, რადგანაც მის ხელში აღმოჩნდებოდა არა მარტო ამ ქვეყნის უდიდესი სიმდიდრე, არამედ მნიშვნელოვნად ამაღლდებოდა მისი პოლიტიკური რეიტინგი რომში. სენატში პრობლემის გადაწყვეტის დრო ჯერ არ დამდგარიყო, რადგანაც "არვის სურდა დაეთმო ეს მსუყე ლუკმა" (3, 325).

Inga Abrämidse

DIE ÄGYPTISCHE FRAGE IM ROMISCHEN SENAT IM 56 V.U.Z

(Resumee)

Die vorliegende Abhandlung bezieht sich auf die Verschärfung der ägyptischen Frage im Römischen Senat, was mit der Flucht von Ptolemaios Auletes aus Ägypten Verbunden war.

Der verjagte König versuchte in römischen politischen Kreisen die Unterstützung zu finden und mit deren Hilfe semen Thron zurückzugewinnen. Die Verfasserin zeigt das Pro und Kontra im Senat und entlarvt die wirkeichen Ziele des römischen politischen Spektrums.

ლიტერატურა:

1. Письма Марка Туллия Цицерона, т. I, М.Л. 1949.
2. პლუტარქე, რჩეული პარალელური ბიოგრაფიები, ტ. I, თბ., 1957.
3. Бенгстсон Г., Правители эпохи эллинизма, М. 1982.

მსოფლიო ისტორიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა არველაძე

ანტიციპაციის კავშირი მხატვრულ-საშემსრულებლო პროცესების კოდირებასთან

ხელოვნება პირობითად „სტატიკურ" და „დინამიურ" სახეებად იყოფა. პირველი სივრცული ფორმით ხასიათდება, მეორენი იმავ დროს წარმოგვიდგებიან ერთგვარი პროცესის სახით. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება მუსიკალური ხელოვნება. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ორ შემოქმედებით პროცესთან: ესაა მხატვრული ფასეულობის შექმნა, ანუ კომპოზიტორის შემოქმედება და ამავე მხატვრული ფასეულობის აღქმა ანუ ხელახალი შექმნა", ეს შემსრულებლის შემოქმედებაა, სწორედ ის განსაზღვრავს მუსიკალური ნაწარმოების ე.წ. ყოფით სტატუსს ანუ არსებობის წესს. (1, გვ. 263-267).

ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, შევეცადოთ ერთიან სისტემად გავიაზროთ მუსიკალური შემსრულებლობის რთული ფენომენი ისეთ ძირეულ კომპონენტებთან, როგორიც არის: დრო და სივრცე, მუსიკალურ-მხატვრული ფასეულობა, შემსრულებლის სმენით-აზროვნებითი და მოძრაობისეული სისტემები, დისკრეტულისა და პროცესუალურის ფენომენი შემსრულებლობაში, ამ პროცესის შემაფერხებელი პირობები და მათი ძიება.

დრო და სივრცე ჩვენს მიერ განხილულია, როგორც მხატვრული ნაწარმოების, ე.წ. „მატერიის" არსებობის ძირითადი ფორმა. მათი შინაარსობრივი მხარე განხორციელებულია ნაწარმოების მხატვრულ ქსოვილში.

ჩვენს მიერ დამუშავებული ლიტერატურიდან გამომდინარე გამოიკვეთა სივრცისა და დროის სამი ძირითადი ტიპით ოპერირება: 1. რეალური დრო და სივრცე, როგორც მატერიის არსებობის ფორმები; 2. პერცეპციული დრო და სივრცე - რეალური სამყაროს გრძნობის ორგანოებით უშუალო ასახვა და 3. კონცეპტუალური დრო და სივრცე-განსხვავებული შემეცნებითი მოდელები, რომელთაც აგებენ ფილოსოფოსები, მათემატიკოსები,

ხელოვანნი, რომელნიც თავის შემოქმედებაში მუდმივად იღწვიანენ ...
რებაში ჭეშმარიტების, ხოლო ხელოვნებაში კი- მხატვრული სიმართლის ამოცნობისა და დადგენისათვის (2; 3; 4).

მუსიკოს-შემსრულებელს საქმე აქვს არა მხოლოდ ობიექტურ რეალობასთან, არამედ პირველ რიგში, მხატვრულთან და აქედან გამომდინარე, ის ერთგვარად ორ დროით-სივრცობრივ პლასტში იმყოფება ერთდროულად.

I ობიექტურ დროშია განფენილი თავად საშემსრულებლო პროცესი; II-ში კი შემოქმედებითი პროცესი, რომელიც დაკავშირებულია შემსრულებლის მიერ მხატვრული სახეების განცდასა და განსახიერებასთან, ის თითქოს "გადის" დროის სუბიექტური პარამეტრებიდან, განერიდება მას.

ჩვენი აზრით, ნაწარმოებზე მუშაობის პროცესში, როდესაც შემსრულებელი არ იმყოფება დროითი "ლიმიტის" პირობებში, მას ეძლევა საშუალება, ცალკეული მოძრაობების აუცილებელი დისკრეტულობიდან თვისობრივი გადასვლა მოახდინოს გამთლიანების პროცესისაკენ. ეს მაშინ, როდესაც იგი უკვე თავისუფლდება ცნობიერის ჩარევიდან, რაც ესოდენ აფერხებს საშემსრულებლო პროცესს.

საშემსრულებლო დრო-სივრცის პრობლემებს მრავალი ასპექტი შეიძლება მოვუნახოთ. ამჯერად ერთ-ერთზე შევჩერდებით - კოდირების მექანიზმზე. დეტალების გამთლიანების პროცესი იძლევა დროის სხვა მასშტაბებში გადასვლის საშუალებას - ობიექტურად არსებული გარე დრო სინთეზირდება დროის შინაგან წარმოსახვა-შეგრძნებასთან და ამით ხდება დროის შემჭიდროება, თითქოსდა შეკვეცა. ბგერები, ბგერათ ელემენტები და უფრო მსხვილი ნაგებობები კოდირდება სისტემებში, მათი ოპერირება კი განშლად საშემსრულებლო პროცესში გაცილებით უფრო ეფექტურია როგორც შემსრულებლის თვითშეგრძნების, ასევე შესრულების შეუფერხებლობის და მთლიანობის თვალსაზრისით. ამგვარი "კოდირების" მექანიზმი მით უფრო მაღალეფექტურია, რაც უფრო მაღალნიჭიერი და კვალიფიციურია შემსრულებელი (5, გვ. 15).

პროფ. ვ. გრიგორიევის აზრით, სწორედ ამგვარ "კოდირებულ" პროფესიულ ინფორმაციაში ძევს "პაგანინის საიდუმლო" (6, გვ. 3).

საერთოდ, კოდირებული აზრი ააქტიურებს გონებრივ საქმიანობას (7, გვ. 15). განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კოდირების უნარები შემოქმე-

დებითი აქტებისათვის, როდესაც ხდება ფორმულების განშლა რეალურად-აჟღერების პროცესში. ნებისმიერი რთული ქმედების დაგეგმვისას სწორედ შემჭიდროებად, დროში შეკუმშულ კოდურ სისტემას ვიშველიებთ. მუსიკალური შემსრულებლობაც ამგვარ კოდირებას გულისხმობს: სმენით - აზრობრივ, სმენით - მოძრაობისეულ, პირველ რიგში სმენით - ინტონაციურ აზროვნებით პროცესებზე დაყრდნობით. ამგვარი ორმაგი დროითი მექანიზმი თავად მუსიკის, როგორც ფენომენის ბუნებაშია დაფარული.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოდ გვესახება მოცარტის მოსაზრებანი ნაწარმოების შექმნის პროცესებზე, კომპოზიტორის უნარზე, რომ ერთდროულად დაინახოს მთელი ნაწარმოები შინაგანი ხედვით ისე, როგორც მხატვრული ტილო.

ავსტრიელ მკვლევარს ი.გ.ეიბლის მოჰყავს რამდენიმე ციტატა მოცარტის I ბიოგრაფის, ჩეხი ფ. ნემიჩეკის წიგნიდან: სამეფო კარის კაპელმეისტერის ვ. ა. მოცარტის ცხოვრება: ვის წარმოსახვაშიც ნაწარმოები წარმოჩინდებოდა, როგორც დაუნაწევრებელი მთლიანობა, რაღაც ერთიანი, ცოცხალი და მკვეთრი" და კიდევ-ვიდრე საწერ მაგიდას მიუჯდებოდა, მის ცნობიერებაში ნაწარმოები უკვე ცხოვრობდა, როგორც დასრულებული მთლიანობა". (8).

ამის დამადასტურებელია ვ. ვაგნერის მოსაზრებაც, რომ ოპერა „ტანჰოეიზერის უვერტიურა მის გონებაში წარმოიქმნა, როგორც ერთდროული ჟღერადობა.

როგორც ცნობილია, საქმიანობის საბოლოო შედეგების შინაარსი ფუნქციონალური სისტემის მიერ წინასწარ ფორმირდება მოდელის სახით (ი. პავლოვი - „მიზნის რეფლექსი"; პ. ანოხინი - „წინასწარი ასახვა", ნ. ბერნშტეინი - „სასურველი მომავლის მოდელი"). ეს პროცესი უმაღლესი კორტიკალური დონის პრეროგატივაა. ბუნებრივია, რომ სმენითი წარმოსახვა წარმოქმნის იდეომოტორულ აქტს, რომლის საშუალებითაც მიზანშეწონილი უნდა იქნას კონკრეტული ჟღერადობის რეალური განხორციელება. ამგვარად, კორტიკალურ სმენით-მოძრაობისეულ ცენტრებში ხდება წინასწარი მექანიკური პროგრამის შერჩევა მოსალოდნელი მოტორული აქტის მიმართ.

ჩვენ შევეცადეთ სისტემურ-სტრუქტურულ მთლიანობაში წარმოგვედგინა საშემსრულებლო პროცესი, რომელშიც ვგულისხმობთ დრო-სივრცე-

ში მიმდინარე პროცესს, რომლის საფუძველიც სმენითი და მოძრაობისეული რთული სისტემების ურთიერთკორელაციაა, იდეოკუსტიკური და იდეომოტორული წარმოდგენების რეალურ აქტში გადაყვანისას (54, 15).

მთელი ეს სისტემური წარმოდგენები დაგვჭირდა იმისათვის, რომ დაგვენახა მათში ანტიციპაციის ადგილი და მნიშვნელობა. ანტიციპაცია ცნების დონეზე ეს არის უნარი, იმოქმედო და მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება გარკვეული დროით - სივრცული წინასწარობით მოსალოდნელი მოვლენის მიმართ.

ტერმინი anticipatio ნიშნავს წინასწარმზაობას, წინასწარჭვრეტას, ჩვენს შემთხვევაში „წინასწარსმენას", მაგრამ ამ წინასწარჭვრეტას არ აქვს ცნობიერი განცდის ხასიათი. ანტიციპაციური პროგრამა იქმნება განწყობის დონეზე და მოცემულია მოქმედებისათვის სუბიექტის მთლიანობით მობილიზაციაში (9).

ანტიციპაციის პრობლემა წინა პლანზეა წამოწეული როგორც ფსიქოლოგიაში, ასევე ფიზიოლოგიაში. ძირითად ნაშრომს წარმოადგენს ბ. ლომოვისა და ე. სურკოვის ერთობლივი მონოგრაფია „ანტიციპაცია საქმიანობის სტრუქტურაში", გამოვარჩევთ ანტიციპაციის ორ მექანიზმს: - დისკრეტულსა და პროცესუალურს, რომელიც ეყრდნობა განსხვავებულ ამოცანათა ბუნებას: I - ნაწარმოებზე მუშაობის პროცესი, რომელშიც წარმოებს აზრობრივ - სმენით-მოძრაობისეული კოდირება. ამ პროცესებში ყურადსაღებია ანტიციპაციები წარმოდგენათა დონეზე, სივრცულ-დროითი ანტიციპაცია და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ანტიციპაციათა ფორმირება ინტონაციური ფორმათქმნადობის დონეზე.

II - პირველისაგან პრინციპულად განსხვავებული - საჯაროდ შესრულების პროცესი, როდესაც საქმე გვაქვს კოდირებული მასალის დროსა და სივრცეში მხატვრულ შემოქმედებით განშლადობასთან. ეს გახლავთ ურთულესი და ძალზე საპასუხისმგებლო ეტაპი, რომლისკენაც არის მიმართული მუსიკოსის მთელი შემოქმედება, აქტი, რომელსაც ახასიათებს უწყვეტობა და შეუქცევადობა. ამ შემთხვევაში წამყვანი პერცეფციული დონის ანტიციპაციების სენსომოტორული ავტომატიზმებზე დაყრდნობით.

საშემსრულებლო პრობლემატიკა, ბუნებრივია, უკავშირდება პედაგოგიურ სფეროს, რომლის გარეშეც პიანისტურ-საშემსრულებლო სრულყოფა შეუძლებელია. ამდენად, ნიშანდობლივია ვ. ლომოვისა და ე. სურკოვის

შემდეგი მოსაზრება: „ნებისმიერ სფეროში სწავლების მეთოდების დამუშავებისას, საჭვოა მოველოდეთ მაღალ შედეგებს, თუ ეს მეთოდები არ ახდენენ ადამიანში ანტიციპაციური პროცესების ფორმირებას იმ დონეზე და იმ რანგში, როგორც ეს ესაჭიროება საქმიანობის მოცემულ სფეროს" (გვ. 28).

А.Г. Арведадзе

СВЯЗЬ ХУДОЖЕСТВЕННО-ИСПОЛЬНИТЕЛЬСКИЙ ПРОЦЕССА С КОДИРОВАНИЕМ АНТИЦИПАЦИИ

В статье рассматривается проблема как представить исполнительский процесс музыкально-художественного произведения в виде целосного системно-структурного образования.

Эта взаимосвязь времени и пространства представляется нами как один из элементов художественно-исполнительского процесса конкретного музыкального произведения.

Большую роль в этом играет антиципация, в частности "предслышание".

ლიტერატურა:

1. Асафьев Б. - Критические статьи, очерки и рецензии. Из наследия 10-х начала 30-х годов, М., 1967.

2. Ломов В., Сурков Е. - Антиципация в структуре деятельности, М., Наука, 1980.

3. Понамарев Я. - Психология творческого мышления, М., Наука, 1960.

4. რ. ხოჯავა - დრო და ხანიერება მუსიკაში - ჟურნალი „რელიგია", 1994, №9.

5. ა. არველაძე - მუსიკალურ-საშემსრულებლო პროცესის უწყვეტობის საკითხისათვის (ანტიციპაციის თეორიული პრობლემატიკის შუქზე), ავტორეფერატი, თბილისი, 1999.

6. Григорьев В. - Николо Паганини, Жизнь и творчество, М., 1987.

7. Бехтерева Н. и др. - Мозговые коды психической деятельности, Л., 1974.

8. Званцов К. - О музыкальном творчестве Моцарта, Письмо Моцарта к барону Ф. (пер. К. Званцова). Музыкальный и театральный вестник, №23, 10 июня, 1956.

9. Д. Узнадзе - "Труды", т. 6,75 г.

ესთეტიკური აღზრდის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ევგენი ბლიაძე

ალექსანდრე ამილახვარი პოლიტიკის შესახებ

საკითხის გარკვევისათვის, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ „პოლიტიკის" ცნება ალ. ამილახვრის ნააზრევში. როგორია მისი დამოკიდებულება პოლიტიკისადმი ვფიქრობთ, ყველაზე მიზანშეწონილი ამ მიმართებით მისი დრამატული ნაწარმოების „მოქმედება ასტრახანში" განხილვა იქნებოდა (4:491-499). იგი აგებულია ორი მოქმედი პირის, ვიბორგის ყოფილი ოფიცრისა და ქართველი თავადის ამირ-ახორის დიალოგზე. ამ დიალოგში ავტორი გადმოგვცემს თავის შეხედულებას პოლიტიკაზე. მისი მრწამსი ასეა ჩამოყალიბებული: „პოლიტიკა ასე კარნახობს და ვინ გაბედავს არ უსმინოს მას: გინდ მეფე იყოს და გინდ მისი კარისკაცები" (4:493).

ავტორს მიაჩნია, რომ კაცობრიობა დასაბამიდან განიცდის პოლიტიკის ზემოქმედებას, მას შესწევს სატანის შესაძლებლობა და უნარი გააჩნია, უდიდესი ბოროტება კვლავაც ჩაიდინოს. ერთადერთი, რაც პოლიტიკას ეწინააღმდეგება და რასაც პოლიტიკა გაურბის, ავტორის აზრით, დროა, „დრო მასზე ბევრად ხნიერია და თან ძლიერი. როცა იგი პოლიტიკას თუნდაც ოდნავ ალმაცერად შეხედავს, პოლიტიკა ისე გარბის, რომ მწევარი ძაღლებიც კი ვერ დაიჭერენ მას" (4: 495). აქვე ამირ-ახორი ოფიცერს გაანდობს, რომ თვითონაც პოლიტიკის მსხვერპლია. „ნუთუ სქართველოშიც არის ის დაწყევლილი კაცი?" - კითხულობს ოფიცერი. „მას ყველგან ნახავთ, - პასუხობს ავტორი, - თუმცა ქართველები მას დიდად არ უპყრობენ ყურს, მხოლოდ ირაკლი, დიდხანს რომ იმყოფებოდა სპარსეთში, დაუახლოვდა მას. რაკი ამ „ბებერმა ქოფაკმა" დაინახა, რომ ირაკლის საქართველოში გავლენა აქვს, ესტუმრა მას; ამან წარმოშვა საქართველოში დიდი ბოროტება" (4:495).

როგორც ვხედავთ, ალ. ამილახვარი პოლიტიკის მიმართ თავის განწყობასაც ამჟღავნებს და პოლიტიკის მოსალოდნელ შედეგებსაც სათა-

ნადოდ გაიაზრებს. ამასთან მიგვაჩნია, რომ იგი სრულებითაც არ არის დახატული მუქ ფერებში და ძირითადად შეესაბამება სინამდვილეს. ვფიქრობთ, ისეთი სიმწარის მნახველ ადამიანს, როგორც ალ. ამილახვარი იყო, ნამდვილად შეიძლებოდა უფრო მძაფრად ეთქვა თავისი სათქმელი. ისტორიული სინამდვილე არის ავტორის შემდეგ სიტყვებშიც „პოლიტიკამ ის (ერეკლე) აიძულა, თავი რუსეთისათვის შეეფარებინა... პოლიტიკამ რუსებს კიდევ ბევრი რამ აფიქრებინა: საქართველოს მეშვეობით თურქეთის განდევნა ევროპიდან; ირანის, რომელიც იმ დროს აღრეულობაში იყო, სრულიად დაპყრობა, რუსეთის მსოფლიო მონარქიის იდეა. რუსეთმა დიდი პატივით მიიღო პოლიტიკის რჩევა: მიიღო ირაკლი თავისი მფარველობის ქვეშ" (4: 496). ამის მიუხედავად, წინ კიდევ ბევრი და ამოუცნობი პროცესებია პოლიტიკისა, ამიტომაც არის საჭირო განსაკუთრებული სიფრთხილე მის მიმართ. საქართველოს რუსეთთან შეერთების საქმე, როგორც ავტორი ფიქრობს, ამით არ დამთავრებულა, ვინაიდან... „პოლიტიკა იმთავითვე როდი იძლევა სარგებელს. იგი ასეთის მიღებას აღგითქვამს რამდენიმე საუკუნის შემდეგ" (4: 496). დღეს ეს სიტყვები არც თუ უსაფუძვლოდ ჟღერს, ავტორი აჯამებს სათქმელს, თუმცა თავის მთავარ მიზანს ოდნავადაც არ სცილდება: „დრომ, დაინახა რა ამდენი უწესობანი პოლიტიკისა, გაურისხდა და იმ ქვეყნად გაამგზავრა სიბერითა და მწუხარებით დაქანცულნი ეკატერინე ხელმწიფე და ირაკლი მეფე. და გაამეფა რუსეთში პავლე პირველი, რომელმაც სრულიად უარყო პოლიტიკა ყველა მისი მომხრეებით, საქართველოში – კი გიორგი ირაკლის ძე, რომელსაც სრულიად არაფერი გაეგებოდა პოლიტიკის ენისა" (4:496). ვფიქრობთ, ბევრი არაფერია სადავო ამ სიტყვების ავტორთან. მას არც პოლიტიკური შეფასება-განსჯის უნარი ღალატობს და არც ცხოვრებისეული მოვლენების წვდომის ალღო. პოლიტიკამ გაწირა საქართველოს უკანასკნელი მეფეც. მან „შთააგონა გიორგის ძმები ამხედრებულიყვნენ ძმის წინააღმდეგ და მათი მეოხებით მთელი სახელმწიფო შფოთისა და უთანხმოების სარბიელად გადააქცია; ძმებისაგან შევიწროებული მეფე გიორგი მთარგმნელების მეშვეობით შთააგონა საქართველო სრულიად გადაეცა რუსეთისათვის. სიკვდილის სარეცელზე მწოლი „გიორგი მეფე ადვილად მოტყუვდა" და საქართველო რუსეთს გადასცა..." (4: 497).

ვერც ამ შეფასებაში შევედავებით ალ. ამილახვარს. იგი სწორედ დიდი

პოლიტიკური მოაზროვნის თვალით აფასებს მომხდარ მოვლენებს, თუმცა თავისი სათქმელი ჯერ დასრულებული არ აქვს. ჯერ კიდევ დროა საჭირო მისი აზრების ჭეშმარიტების დასადგენად. „პოლიტიკა ქმნის მხოლოდ ჩვეულებრივ მეფეებს, - განაგრძობს ალ. ამილახვარი, - ხოლო დროგანსაკუთრებულ მეფეებს, რომლებსაც პოლიტიკა ვერ გაბედავს დაენახოს და რომლებსაც იგი სრულებითაც არ ესაჭიროებათ, მანამ, სანამ მხოლოდ მათი ნება-სურვილი შეადგენს სახელმწიფოებრივი მართვა - გამგეობის საფუძველს და სანამ მათ დრო წყალობს, ვერავინ და ვერაფერი წინ ვერ აღუდგება" (4: 498). ფინალი ამ ფილოსოფიური განსჯისა დროისა და პოლიტიკის შესახებ შესაბამისია. იგი მოცემულია ოფიცრის კითხვაზე: „კარგი იქნებოდა, თუ მისწერდით ჩვენს მოწყალე ხელმწიფეს და აუხსნიდით, თუ როგორ ატყუილებს მას ეს წყეული პოლიტიკა". ამირ-ახორის პასუხში - „მე ამას ვერ ჩავიდენ ორი მიზეზით: პირველი - ჭკუიან ადამიანს ერთსა და იმავე საქმეში მხოლოდ ორჯერ მიეტევება შეცდომა, მესამეჯერ - კი არა. მე უკვე მივსწერე მის ბებიასა და მამას, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მესამეჯერ კი ჭეშმარიტი გონების განსჯა ამის ნებას არ მაძლევს. თუმცა, შენზე უფრო ჭკვიანებსაც ურჩევნიათ ეს... მეტი რა უნდა ვქნა? დროს მოვუცადოთ და, თქვენი ანდაზისა არ იყოს, ეგებ დრომ გაგვაბედნიეროს, ამოხილოს ჩვენი თავიდან ის რწყილები და სისაძაგლე, რაც ჩვენში პოლიტიკას ჩაუნერგია" (4: 498-499).

როგორც ვნახეთ, ამ ნაწარმოებში ალ. ამილახვარს რუსეთთან დამოკიდებულების შესახებ საწინააღმდეგო აზრი აქვს გამოთქმული. სამწუხაროდ, მისი ბევრი მკვლევარი სწორედ ამ მიმართებით განიხილავდა დასახელებულ ნაწარმოებს და წინასწარ შედგენილი სქემის მიხედვით ახდენდა ავტორის შეხედულებათა შეფასებას.

ტრ. რუხაძის აზრით, „ალ. ამილახვარი ულტრასატირიკოსია, ის არავის არ ზოგავს: რუსის მეფეებსა და ოფიცრებს, ირაკლისა და გიორგი მეფეს... საერთოდ, ძნელია იმის თქმა, ვის მხარეზეა მწერალი: იგი პავლე პირველსაც ჰკიცხავს და მის წინააღმდეგ შეთქმულებასაც არ ინდობს. იგი, ვგონებ, ყველას ებრძვის (4: 246).

როგორც ვხედავთ, აღნიშნული დებულების ავტორი, უპირველეს ყოვლისა, მოითხოვს, რომ ალ. ამილახვარი გადაჭრით დადგეს ერთ მხარეს, რათა შავი და თეთრი იოლად გავმიჯნოთ. ტრ. რუხაძე განაგრძობს: „ალ.

ამილახვრის „სახელმწიფოებრივი თვალსაზრისი", თქმა არ უნდა, მავნებელი, ავანტიურისტული იყო ქართველი ხალხის ინტერესების თვალსაზრისით, ვინაიდან ის მიმართული იყო ირაკლისა და გიორგი მეფის ერთადერთი სწორი კურსის წინააღმდეგ" (4:246). დაახლოებით ასეთივე შინაარსის არის გ. აკოფაშვილის შეფასებაც: „ფრიად დამახასიათებელი ჩანს ის გარემობა, რომ. ალ. ამილახვარი თავის პოლიტიკურ მიზნებს უკავშირებს არა რუსეთს, არამედ ისეთ ჩამორჩენილსა და რეაქციულ ძალას, როგორსაც ირანის სახელმწიფო წარმოადგენდა. მართალია, არა პირდაპირ, მაგრამ საკმაოდ თვალსაჩინოდ იგრძნობა ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფოსადმი და იმ დაახლოებისადმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დამდეგს რუსეთსა და საქართველოს შორის" (1:283-284).

როგორც ვხედავთ, ალ. ამილახვრის ამ ორ შეფასებას შორის განსხვავება მხოლოდ ავტორებსა და დროშია. სინამდვილესთან კი ორივეს ძალიან ცოტა აქვს საერთო... გ. აკოფაშვილის ასეთ შეფასებას არ ეთანხმება ვ. კიკნაძეც (3:127).

ვერ დავეთანხმებით პროფესორ ივ. სურგულაძესაც იმაში, რომ „არ არის მართებული ალ. ამილახვრის მოსაზრება, რომ პოლიტიკა შედეგს იძლევა, ანუ, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „პირდება" სარგებლობის მოტანას რამდენიმე საუკუნის შემდეგ" (5:269)... აღნიშნული სრულებითაც არ ეწინააღმდეგება ალ. ამილახვრის დამოწმებულ სიტყვებს, პოლიტიკაზე მის შეხედულებას, რადგან პატივცემული პროფესორი იქვე მიანიშნებს: „ის, რომ გარკვეული პოლიტიკის წარმოებამ, საშინაო იქნება ის თუ საგარეო, შეიძლება სახელმწიფოს მხოლოდ მომავალში მოუტანოს სარგებლობა, სწორია. ავტორის აზრით, პოლიტიკა ისეთი ძალაა, რომელიც ყოველთვის მოქმედებს... ამ შემთხვევაში ავტორის მოსაზრება მართებულია" (5:269). პ. გელეიშვილის აზრით, „ავტორი ამჟღავნებს საზოგადოდ დიდ ერუდიციას, თავისი დროის პოლიტიკური ცხოვრების ზედმიწევნით ცოდნას" (2: 58).

ასეთია ალექსანდრე ამილახვრის ამ პატარა ნაწარმოების დიდი პოლიტიკური პათოსი. ამ საკითხების გაუთვალისწინებლად შეუძლებელია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მისი ავტორის პოლიტიკური აზროვნების შესახებ.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

E. Bliadze

ALEXANDER AMILAKHVARI ABOUT POLITICS (RESUME)

In the work of Political attitude of Alexander Amilakhvari is described his dramatical work "Activities in Astrakhani". The author speaks about the problem of time and political relationships. He considers that the time is the only power and politics and politicians have no power against it.

In the work Amilakhvari expressed his non-Russian orientation. That is why his other works were treated critically.

ლიტერატურა:

1. აკოფაშვილი გ., საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან საქართველოში მე-18 საუკუნის დასასრულს, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. I, თბილისი, 1955 წ.

2. გელეიშვილი პ., ალექსანდრე ამილახორი, თბილისი, 1936.

3. კიკნაძე ვ., ტრაქტატი ბრძენი აღმოსავლეთისა, წიგნში: „ალექსანდრე ამილახვარი, ბრძენი აღმოსავლეთისა", თბილისი, 1997.

4. რუხაძე ტრ., ძველი ქართული თეატრი და დრამატურგია, თბილისი, 1949 წ.

5. სურგულაძე ივ., საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიიდან, თბ., 1986.

ქართული პოლიტიკური აზროვნების
ისტორიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელენე გეგეშიძე

ქართული ხალხური სპორტული სანახაობა მე-19 საუკუნის ქუთაისში

მე-19 საუკუნის რიონისპირა ქალაქის სპორტულ ცხოვრებაში გამორჩეული ადგილი ხალხურ თამაშობებს ეკავა. ხალხში ჯერ კიდევ ცოცხლობდა და თაობიდან თაობას გადაეცემოდა ცხენბურთი, ისინდი, ყაბახი, ლელო, კრივი, ჭაკუნობა, ჭიდაობა და მრავალი სხვა.

საუკუნეების მანძილზე ახალგაზრდობის სწორი ფიზიკური, გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა იმერეთის სამეფო კარის ყოველდღიური ზრუნვისა და განსჯის საგანი იყო.

საუკუნეების მანძილზე ქუთაისსა და მის შემოგარენში რამდენიმე საასპარეზო სარბიელი არსებობდა. ერთ-ერთი ასეთი კეთილმოწყობილი და სპეციალური გალავნით შემოვლებული საასპარეზო მოედანი „ოქროს ჩარდახის" გვერდით მდებარეობდა. იგი მოიცავდა დღევანდელ ბულვარს, სადაც იმართებოდა სამხედრო ვარჯიშობანი, სპორტული თამაშობანი თუ თეატრალიზებული დადგმები. მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 30-იან წლებში ზემოთხსენებულ ადგილებში ბულვარი გაშენდა, მოსახლეობაც კომპაქტურად დასახლდა და სახელმწიფო დანიშნულების შენობაც აიგო. საასპარეზო სათამაშო მოედანს შეუცვალეს ადგილსამყოფელი, და როგორც ქუთაისის თეატრის მკვლევარი ვ. აფრიდონიძე განსაზღვრავს, გადატანეს ქალაქის სამხერთ აღმოსავლეთით, დღევანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტისა და „დინამოს" სტადიონის ტერიტორიაზე. რადგან ახალ კეთილმოწყობილ სარბიელზე ძირითადად ბურთაობა იმართებოდა. მას სახელად საბურთალო ეწოდა.

ქუთაისში ასეთივე საასპარეზო ადგილი ქალაქის დასავლეთით მდებარეობდა, მდინარე ოღასკურას მიდამოებში, რომელიც მოიცავდა ე.წ. „ბაინდუროვების ბაღის" და „ლაგირის" ძველ ტერიტორიებს, დღევანდელი

სასწრაფო დახმარების, ბავშვთა სავადმყოფოს და სამშობიაროს სახლის ტერიტორიას. აღნიშნულ მიდამოებში გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საინტერესო სპორტული ღონისძიებები იმართებოდა როგორც ბურთაობაში, ასევე ცხენოსნობის სახეობის მრავალფეროვან სახეობებშიც. რაც მთავარია, ასეთ მასობრივ სპორტულ ღონისძიებებს ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა. იმერეთის სამეო კარს მრავალი სანადირო ადგილი ჰქონდა, ცნობილია, რომ გეგუთის, საღორიის, მაღლაკის, ოკრიბის, ბაღდათის და საჩინოს ტყეები მდიდარი იყო ფრინველ-ნადირით.

სამონადირეო საქმესთან ერთად, იმერეთის სამეფო კარზე პრესტიჟულად ითვლებოდა მეთევზეობაც. რიონის გარდა თევზით მდიდარი იყო ყვირილა. ვახუშტის სიტყვებით "ყვირილას შინა იპყრობის თევზნი ყოველნი თვინიერ ზუთხისა, ხოლო საჩხერის ზევით არს კალმახთა სიმრავლე[1], თევზით მდიდარი იყო ქუთაისზე გამავალი მდინარეებიც; წყალწითელა და ოღასკურა.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქვეყნის მეფე მთავრებს ძვალრბილში ჰქონდათ გამჯდარი სიყვარული და ინტერესი ნადირობისადმი. იმერეთის უკანასკნელი გვირგვინოსანი ნადირობის მოყვარული ყოფილა. ამასთან დაკავშირებით, 1860 წელს ჟურნალი "ცისკარი" წერდა: „ნადირობა მეფისთვის იყო უპირველესი შესაქცევარი. ზაფხულში ცხოვრობდა ქუთაისში და ნადირობდა დილაზე ადრე საქორისში და რიონის მინდვრებში, სადაც მრავალი იყო კურდღელი და ხოხობი[2].

სოლომონ მეორეს განსაკუთრებით თოფის მიზანში სროლა მოსწონდა. ხშირად სამეო კართან არსებულ სასპარეზო მოედანზე იმართებოდა შეჯიბრი ტყვიით მიზანში სროლაში. ვინც ზუსტი ჩუბინი იქნებოდა, მას მეფე იარაღით და ტანსაცმლით ასაჩუქრებდა.

მართალია, ძველ იმერეთში ფიზიკური აღზრდა მაღალი წრისათვის სათანადო დონეზე იდგა, მაგრამ ამ მხრივ, მდაბიო ხალხის სწორი ფიზიკური და სულიერი აღზრდის თავისებურებანიც არ უნდა დავივიწყოთ. რა თქმა უნდა, სოფლად გლეხებს და ქალაქში ხელოსნებს და ვაჭრებს მათთვის ხელმისაწვდომი გართობა - თამაშობების მრავალფეროვანი „პროგრამა" ჰქონდათ, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

მათში გავრცელებული და პოპულარული იყო სპორტის ისეთი სახეობები, რომლებიც ინდივიდის ფიზიკურ ძალაზე, სიმარდესა და სისწრაფეზე იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამკოიდებული: ლელობურთი, ჭიდაობა, ლახტი და სხვ.

მე-19 საუკუნეში ლელობურთი დასავლეთ საქართველოში განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდა. ქუთაისში ლელობურთის სათამაშო ადგილები იყო საფიჩხიაზე, ე.წ. ხარაზოვის ბაღის მიდამოებში, ოღასკურას ბოლოს – ყოფილი ბანდუროვის ბაღის მიდამოებში. საყურადღებოა, რომ ბჟოლებთან დღევანდელი გ. ტაბიძის და დავით, კონსტანტინეს ქუჩების ტერიტორია ჯაჭვის ხიდამდე ხშირად საასპარეზო ველად იქცეოდა, სადაც ხელოსნები სამუშაოს დამთავრების შემდეგ თამაშს გააჩაღებდნენ. მაგრამ ვერაფერი შეედრებოდა ხონში გიორგობის დღესასწაულისამდი მიძღვნილ ბურთაობას. ეს თამაში ფართოდ იყო დამკვიდრებული, როგორც ქუთაისის, ასევე მთელი იმერეთის სპორტულ ცხოვრებაში და მას როგორც ერთ-ერთ უპირველეს სპორტის სახეს, გამორჩეული ადგილი ეჭირა ქალაქის და მისი ახლო-მახლო რეგიონების ყოველდღიურ ყოფაში.

ლელობურთს ყველა თამაშობდა, განურჩევლად ასაკისა და წოდებისა. ხშირი იყო შემთხვევა, როცა ბურთაობა აყალმაყალითა და მუშტიკრივით მთავრდებოდა. ზედმეტად ფიცხი მობურთავები ხელს იარაღზეც გაივლებდნენ. ასეთ შემთხვევაში საქმეში გავლენიანი თავადაზნაურობა, ან გამოცდილი პირები ჩაერეოდნენ და შერიგდებოდნენ კიდეც მეტოქეები.

1875 წელს ქუთაისში ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ ალექსანდრე ჭიჭინაძემ კერძო სასწავლებელი დაარსა. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები სასწავლებლის თავკაცის დახმარებთი თამაშობდნენ ლელობურთს. ცნობილი პედაგოგი ლელობურთს მიიჩნევდა ადამიანის ფიზიკური აღზრდის კარგ საშუალებად და აღნიშნავდ: „ჩვენი ბურთაობა" იპყრობს ყოველგვარ გიმნატიკურ ვარჯიშებს და საუკეთესოდ ანვითარებს ადამიანის სხეულს. იმ პერიოდში, ქუთაისში მომუშავე ცნობილი საზოგადო მოღვაწეები კარგად გრძნობდნენ, რომ ეროვნულ ხალხურ სპორტულ თამაშობებს ღირსეული ადგილი უნდა დაეჭირა მომავალი თაობის სწორი ფიზიკური და გონებრივი აღზრდის საქმეში.

რაც შეეხება მეფის ბიუროკრატიულ აპარატს, იგი ყოველნაირად ხელს უშლიდა ქართული ეროვნული სპორტული თამაშების მოწყობას, რუსეთის იმპერიის ერთგულ მსახურებს განსაკუთრებით აშინებდა ასეთი ღონისძიებების მასიურობა და ორგანიზებულობა, რადგან ხალხის თავყრი-

ლობასა და ერთიანობაში „ბუნტის" საშიშროებას ხედავდნენ და ყოველივე ამას პოლიტიკური კუთხით ჭვრეტნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესო დოკუმენტი ინახება ქუთაისის ცენტრალურ არქივში: 1894 წლის 14 ივნისს ქალაქ ფოთის პოლიციის უფროსი ოფიციალურ მიმართვას უგზავნის ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს.

„ქალაქ ფოთში და გუბერნიის სხვა ადგილებში დამკვიდრებული ჩვეულების თანახმად გარკვეულ დღეებში მართავენ ბურთის თამაშს, ამასთანავე ამ თამაშებს თან ერთვის ჩხუბი და აურზაური. იმისთვის, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხალხის თავყრილობა, მსგავის უწესრიგობანი, სამოქალაქო საქმის მთავარმართებელმა კავკასიაში 1893 წლის 19 ივლისს გამოსცა ბრძანება ცირკულარის სახით, რომელიც კრძალავს მსგავსი სახის გართობებს. სასურველია მთლიანად აიკრძალოს ბურთის თამაში მრავალრიცხოვანი თავშეყრის ადგილებში, უნდა გამოიძებნოს ისეთი ხერხები, რომელიც აკრძალავდა ან შეზღუდავდა ჩხუბს და აურზაურს[3].

მე-19 საუკუნის ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში კვლავ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ეროვნული სპორტის საცხენოსნო სახეობები, რომელიც ქალაქის გარეუბნებში, კეთილმოწყობილ იპოდრომზე, ოღასკურაზე - სოფელ ბანოჯასთან ახლოს, საღორიის მიდამოებში და სხვა ადგილებში იმართებოდა და, რაც მთავარია, ყოველთვის დიდძალი ხალხი ესწრებოდა. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან ცხენი ქართველურ ტომებში პროფესორ ავ. იოსელიანის აზრით, როგორც მისი თავდაცვის უებარი, განსაკუთრებული მნიშვნელობის საშუალება და დიდი ძალა, იმთავითვე საპატიო ადგილს იკავებს და ადრინდელ ისტორიულ ეპოქაში საკულტო შინაარს იძენს[4]. ქართული ცხენი კი ოდითგანვე განთქმული იყო მთელ მსოფლიოში. ისიც ცნობილია, რომ თემურლენგს სხვა საჩუქრებთან ერთად მეფე გიორგი მე-7-მ 7 ათასი ჯიშიანი ცხენი მიართვა. ქუთაისსა და მთელ იმერეთში მე-19 საუკუნეში კვლავ ყურადღების ცენტრში იყო ყაბახი, ისინდი, დოღი და სხვა. ქალაქში მცხოვრებ მოსახლეობას ასეული ცხენი ჰყავდა, რადგან ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ცხენს, როგორც გამწევ საშუალებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მთელი ქალაქის, ასევე მთელი გუბერნიის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ის ფაქტიც, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქში არსებობდა მეფაიტონეთა. მეკაჭკეთა და მედროგეთა საზოგადოებები, რომლებშიც ასულობით კაცი იყო გაერ-

თიანებული, ნათლად მეტყველებს, რომ ცხენოსნობა კარგად იყო განვითარებული. ბუნებრივია, საცხენოსნო სპორტული ღონისძიებებიც ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი მასიურობით, ხალხმრავალი აუდიტორიით და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით.

საქართველოში ჭიდაობას, ისევე როგორც სხვა სპორტულ თამაშობებს, დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან სამხედრო ფიზიკური აღზრდა აუცილებელი პირობა იყო ერის სიძლიერისთვის. ჩვენში ჭიდაობას განსაკუთრებული, შეიძლება ითქვას პრივილეგირებული ადგილი ეკავა მოზარდი თაობის ფიზიკურად სრულყოფის საქმეში. კარგი მოჭიდავე ფიზიკურად ძლიერი, განვითარებული პიროვნება იყო. ამიტომ შენიშნავდა ცნობილი ქართველი მწერალი ანტონ ფურცელაძე: „ჭიდაობა ჩვენში მეცნიერებად არის ნაქცევიო"[5]. ქართული ჭიდაობა რომ საუკუნეების მანძილზე ჩვენში ასეთი პოპულარობით სარგებლობდა, ნათლად ჩანს ალავერდის ტაძრის ფრესკური მხატვრობიდანაც, სადაც დღემდეა შემორჩენილი უცნობ ფალავანთა ნათელი სახეები.

საქართველოს ქალაქებსა თუ სოფლებს ჭიდაობის სიყვარულში არც ქუთაისი ჩამორჩებოდა. ოდითგანვე ქალაქის განაპირა ადგილებში – ოლასკურასა თუ საფიჩხიაზე, გაბაშვილის გორასა თუ კახიანურში, გოჭოურასა თუ რიონის ნაპირებთან დილიდან საღამომდე ახალგაზრდობა ცდიდა ძალებს, ჭიდაობდნენ თავდავიწყებით.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისში ცნობილმა ვაჭრებმა ხარაზაშვილმა, ააგეს ცირკის შენობა, რომელიც ივარით ჰქონდა აღებული ცნობილ საქმოსანს ტომსონს, ეს უკანასკნელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ცირკის მსახიობებთან ერთად სტუმრად იწვევდა ცნობილ მოჭიდავეებსაც. ამ პერიოდში ქუთაისში ახლად ჩამოყალიბებული იყო მსახიობთა დასი და ის-ის იყო იქმნებოდა თეატრალური საზოგადოება. ბნუებრივია, ახლადშექმნილ თეატრალურ დასს თავისი შენობა არ ჰ ქონდა, ცირკი კი ყოველდღე დაკავებული იყო და მსახიობებს ძლიერ უჭირდათ ბინის ხელში ჩაგდება. გაზეთი „დროების" ფურცლებზე საინტერესო მასალებია მიმოფანტული, რომლებიც ქუთაისში ცნობილ ფალავანთ გამოსვლებს ეძღვნება.

ქუთაისის ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი ქართველი ფალავნები:

ნესტორ ესებუა, კულა გლდანელი, რაჭველი ქვათაძე და სხვები. 1884 წლის 1 დეკემბრის "დროების" ცნობით, კულა გლდანელს კვლავ გამარჯვება მოუპოვებია ქუთაისში, ასპარეზობას დიდძალი ხალხი დასწრებია. იმ დღეს კულას სამი ქუთაისელი ფალავანი წაუქცევია. სამწუხაროდ, გაზეთი არაფერს გვაუწყებს კულას მეტოქეების შესახებ[6].

1885 წლის 6 ივლისს "დროებაში" საინტერესო ცნობაა მოთავსებული, რომელსაც ხელს აწერს ვინმე "ქუთაისელი მემატიანე". გაზეთის ცნობით, 1 ივლისს ერთმანეთს შეხვდნენ ცნობილი ფალავნები ნესტორ ესებუა და რაჭველი ქვათაძე. "დროება" წერს: ამ თვის პირველს ჭიდაობა იყო გამართული თეატრში. მოჭიდავენი იყვნენ იყო ფალავანი – მეგრელი ესებუა და რაჭველი ქვათაძე. ორ ფალავანს თავიანთი ღონე ნაცადი აქვთ გლდანელთან, ჯობნით რომელმა აჯობა, ძნელი სათქმელია[7]".

ქუთათურებს ნესტორ ესებუა, თავიანთ საყვარელ ფალავნად მიაჩნიათ და ბნუებრივია, მის ყოველ გამოსვლას საჭიდაო სარბიელზე გულშემატკივართა დიდი ამალა ესწრებოდა.

900-იანი წლების მიწურულს ევროპიდან რუსეთში ფართოდ მოიკიდა ფეხი მოჭიდავე ქალთა ტურნირებმა. სულ მალე მანდილოსანი ფალავნები საასპარეზოდ ქუთაისში ჩამოვიდნენ. ბნუებრივია, დიდი იყო მასპინძელთა ინტერესი ლამაზი სქესისი წარმომადგენელთა მიმართ. საყურადღებოა, რომ ქუთაისის ხშირი სტუმრები იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი შვედი პეტერსონი, ინლისელი ფალავანი რეიტერი, ესპანეთის ჩემპიონი ჯერალდ გოლდი, ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენელი ოჰფენ ბახერი, შოტლანდიის ფალავანი კელტი, მალოროსიის წარმომადგენელი შევჩენკოს ქალი, "შავი ნიღაბი" და სხვები.

ქუთაისში ცნობილი კინოთეატრი "თამარი" მანდილოსან ფალავანთა საერთაშორისო ტურნირების საასპარეზოდ იქცა.

მე-20 საუკუნეში ქუთაისის საოჯახო სალონებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჭადრაკი. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან საუკუნეების მანძილზე საქართველოს მეფე-დიდებულთა თუ აზნაურთა სასახლეებში ჭადრაკი საკმაოდ პოპულარული ყოფილა და როგორც არქანჯელო ლამბერტი აღნიშნავს, გართობისა და დასვენების ერთ-ერთი მთავარ ატრიბუტს წარმოადგენდა. ცნობილი იყო მამია გურიელის, დიმიტრი ნაზარიშვილის, ფოტნე ჩიქოვანის, კლდიაშვილების, დადიანებისა და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოჯახო სალონები. გადმოგვცემენ, რომ ერთხელ მამია გურიელმა ბარ-ტია წააგო ფოტინე ჩიქოვანთან. პოეტმა მწარედ განიცადა ეს მარცხი, ქართველი მანდილოსანი ფოტინე ჩიქოვანი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი მოჭარაკე იყო, რომელსაც საოჯახო სალონებში არაერთი ჭადრაკის მოყვარული მამაკაცი დაუმარცხებია. ჩვენი ქალაქის ხშირი სტუმარი იყო ცნობილი მოჭადრაკე ანდრია დადიანი, რომელიც ქუთაისელებთან ე.წ. მსუბუქ პარტიებს თამაშობდა. მაშინ სასიქადულო მამულიშვილის სახელი ცნობილი იყო რუსეთის ფარგლებს გარეთაც და საზღვარგარეთის მთელ რიგ ჟურნალე-გაზეთებში სისტემატიურად იბეჭდებოდა მისი ნათამაშები პარტიები.

ჩვენამდე მოაღწია და ამჟამადაც საქართველოს დამსახურებული ექიმის ვახტანგ გიორგაძის ბინაში ინახება დიმიტრი ნაზარაშვილის საოჯახო ჭადრაკი, რომელზეც არაერთხელ უთამაშნიათ ჩვენი ერის სახელოვან შვილებს, მათ შორის აკაკი წერეთელსაც. იყო ერთი დამაბრკოლებელი მიზეზი, რომელიც ხელს უშლიდა ქუთაისში ჭადრაკის პოულარობას და მასობრიობას. ქალაქში არ არსებობდა უბრალო საჭადრაკო ოთახი, რომ არაფერი ვქთვათ კლუბზე, რომლის აუცილებლობა თვალნათლივი იყო. ამის გამო მაშინ ქლაქის საჭადრაკო ცხოვრება არ სცილდებოდა საოჯახო სალონებს და მოსახლეობის ძირითადი ნაწილი შორს იყო საჭადრაკო "ციებ-ცხელებისაგან".

სწორედ დიდმა მგოსანმა აკაკი წერეთელმა იკისრა ფრიად საპატიო მისია - გაეხსნა ქუთაისში ჭადრაკის ოთახი, რაც იმ პერიოდში მეტად რთული საქმე იყო. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შრომის ვეტერანის ა. ჩორგოლაშვილის მოგონება, რომელიც ქუთაისის ბულვარის წინამდებარე წიგნების მაღაზიაში ნოქრად მუშაობდა. აკაკი წერეთლის ამ მაღაზიის ხშირი სტუმარი იყო, ერთობოდა არამარტო მაღაზიის თანამშრომლებთან, არამედ წიგნის საყიდლად მოსულ ქუთაისელებთანაც საუბრითაც. მისი ინიციატივით მოსკოვიდან გამოიწერეს ჭადრაკის კომპლექტი. აკაკი წერეთლის წერილზე პასუხმაც არ დააყოვნა და ამანათი მალე მიიღო მაღაზიამ, რომლის ხელმძღვანელობამაც იქვე გამოყო ჭადრაკის ოთახი, სადაც აკაკი წერეთელი ხშირად დადიოდა გასართობად.

მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში, ველოსიპედი ქუთაისელებისათვის უცხო ხილი იყო და მასზე ბუნდოვანი წარ-

მოდგენა ჰქონდათ. მას შემდეგ, რაც ქალაქში გაისხნა ვალოდია ტერეზინ საფირმო მაღაზია - სახელოსნო, ქუთათურების ყურადღება უცხოური ფირმის ველოსიპედებმა დაიპყრო. საყურადღებოა, მაღაზიის პატრონს რუსეთიდან ჩამოჰქონდა ველოსიპედები გასაყიდად. ბუნებრივია, მაღალი ფასის გამო, ბევრს არ შეეძლო ველოსიპედის შეძენა, მაგრამ იყო ერთი გამოსავალი - მაღაზია ახდენდა ველოსიპედის გაქირავებას სხვადასხვა ვადით. ცხადია სათანადო გასამრჯელოს ფასად. მთავარი ის იყო, რომ თვით ვალოდია ტერკი დიდ პოპულარობას უწევდა ველოსპორტს და ახალი საუკუნის გარიჟრაჟზე, მისი ინიციატივით ქუთაისში, საღორიის ტყის მიდამოებში, სისტემატიურად ეწყობოდა ველოსიპედისტთა შეჯიბრებები.

მე-19 საუკუნის ქუთაისის მდიდარმა და საინტერესო სისხლსავსე ცხოვრებამ ესტაფეტა ღირსეულად გადასცა მე-20 საუკუნეს.

1. ვახუშტი - აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973;
2. ჟურნალი „ცისკარი", 1860;
3. ქ.ცა. ფონდი 195. საქმე 615;
4. ა. იოსელიანი - ნარკვევები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1973;
5. ა. ფურცელაძე - რჩეული ნაწერები, თბ., 1958;
6. გაზ. „დროება" 1884 წ. 1 დეკემბერი;
7. გაზ. „დროება" 1885 წ. 6 ივლისი;

E. Gegeshidze

GEORGIAN FOLK SPORTING COMPETITIONS IN KUTAISI. (XIX CENTURY)

Resume

The author depicts the history of Georgian sport in nineteenth century.On the basis of data obtained the colonial policy lad in Georgia starist Russia was unable eradicate great cultural traditions of Georgian nation.

The system of new physical education, was created in Georgia in the twentieth century. Our era has inherited national spiritual values accumulated over the centuries.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგი გორგასლიძე

ეროვნული სიმდიდრის არსის საკითხისათვის

ეროვნული სიმდიდრე მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებელია; იგი არის ქვეყნის მატერიალური დოვლათი, რომელიც შექმნილია მრავალი თაობის შრომით მთელი განვლილი დროის მანძილზე. ეროვნული სიმდიდრე ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც საზოგადოების მიერ მთელი მისი საწარმოო მოღვაწეობის მანძილზე შექმნილი და დაგროვილი ღირებულების ერთობლიობის ფულადი გამოხატულებაა დროის მოცემული მომენტისათვის.

ეროვნული სიმდიდრე პირველად ინგლისელმა ეკონომისტმა უ. პეტიმ გამოიანგარიშა 1664 წელს, ხოლო საფრანგეთში - 1789 წელს გაიანგარიშეს; აშშ-ში - 1805 წელს, რუსეთში - 1864 წელს. 1947 წელს შეიქმნა ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული სიმდიდრის პრობლემათა საერთაშორისო ასოციაცია. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკურ სტატისტიკაში ეროვნული სიმდიდრისა და ეროვნული შემოსავლის ცნებების მკაფიო გამიჯვნა მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში მოხდა[1].

ეროვნული სიმდიდრის ცნების განსაზღვრა უძველესი დროიდან იწყება, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩამოყალიბდა აზრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ. ინდოელი კაუტილია, ბერძენი ფილოსოფოსები - ქსენეფონტი, პლატონი, არისტოტელე, რომაელი კატონი (ძველ მსოფლიოში), არაბი იბნ-ჰალდუნი (შუა საუკუნეებში) ცდილობდნენ ამ საკითხის გარკვევას ვერბალურად (სიტყვიერად). მათ აინტერესებდათ საკითხი სიმდიდრის წარმოქმნისა და განახლების შესახებ ქვეყანაში. აღსანიშნავია არისტოტელეს ერთი შესანიშნავი იდეა - ეკონომიკისა და ქრემატისტიკის დაპირისპირება. ქრემატისტიკა ნაწარმოებია სიტყვიდან - ქონება, სამ-

[1] Политическая экономия, Энциклопедия, Т.I. М. 1972. с. 168.

ფლობელო, ხოლო არისტოტელესათვის ეკონომიკა - ბუნებრივი, მეურ-
ნეობრივი საქმიანობაა, რომელიც დაკავშირებულია ცხოვრებისათვის აუ-
ცილებელი პროდუქტების, სახმარი ღირებულების წარმოებასთან. ქრემა-
ტისტიკა ესაა „ქონების მოპოვების ხელოვნება", ე.ი. საქმიანობა მიმართუ-
ლი მოგების ამოსაქაჩავად, სიმდიდრის დაგროვებისაკენ, განსაკუთრებით,
ფულად ფორმაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქრემატისტიკა - ეს კაპიტა-
ლის დაბანდებისა და დაგროვების „ხელოვნებაა".

სიმდიდრისადმი ინტერესი შემდგომ პერიოდში უფრო იზრდება, განსა-
კუთრებით ეს ახასიათებს კაპიტალის თავდაპირველ დაგროვების ეპოქას,
რომელიც წარმოადგენს წარმოების შედარებით სწრაფი გადიდების, სა-
ვაჭრო და სამრეწველო ქალაქების ზრდის, მეცნიერებისა და ტექნიკის
განვითარების ეპოქას. ეს არის აღორძინების ეპოქა, რომელსაც ათასწლო-
ვანი შეჩერების შემდეგ თან მოჰქონდა კულტურისა და ხელოვნების
აყვავება. ამ პერიოდს ეკონომიკური თეორიის განვითარების მერკანტი-
ლისტური საფეხური დაემთხვა. „ერის სიმდიდრეს" მერკანტილისტები არ-
სებითად განიხილავდნენ სავაჭრო კაპიტალის ინტერესების პოზიციებიდან.
ამიტომ სიმდიდრეს უპირატესად მის ფულად-ოქროსა და ვერცხლის-
ფორმაში ხედავდნენ.

ეროვნული სიმდიდრე მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა რიგს მიეკუთ-
ვნება. მაკროეკონომიკურ მაჩვენებელთა ანალიზის პირველ ცდას წარმო-
ადგენს ფრანგი ფიზიოკრატის ფ. კენეს ნაშრომი „ეკონომიკური ცხრილი",
რომელიც მატერიალურ ფასეულობათა ნატურალური (საქონლური) და
ფულადი ნაკადების პირველი მაკროეკონომიკური ბადეა. მასში ჩაქსოვი-
ლი იდეები - ეს მომავალი ეკონომიკური მოდელების ჩანასახია.

ეკონომიკური მეცნიერების ისტორიაში უ. პეტი პირველი იყო, ვინც
წამოაყენა საკითხი სახელმწიფო სტატისტიკური სამსახურის შექმნის შე-
სახებ და მოხაზა მონაცემების შეგროვების ზოგიერთი ძირითადი ხაზი.
უ.პეტის ცნობილი ნაშრომი „პოლიტიკური არითმეტიკა" იყო სტატისტი-
კის პირველი სახე: მისი სურვილი იყო რაოდენობრივი ფორმით მოეცა
მისი დროის ინგლისის ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება. იგი შორ-
სმჭვრეტელურად წერდა ქვეყნის ეროვნული შემოსავლისა და სიმდიდრის
გაანგარიშების მნიშვნელობაზე - მაჩვენებლებზე, რომელნიც თანამედრო-
ვე სტატისტიკაში და ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებენ. პეტიმ

პირველმა გამოიანგარიშა ინგლისის ეროვნული სიმდიდრე.

ინგლისის მატერიალურ სიმდიდრეს უ. პეტი 250 მლნ გირვანქა სტერლინგად აფასებდა, მაგრამ გვთავაზობდა ამისათვის დაგვემატებინა თვით მოსახლეობის ფულადი შეფასება 417 მილიონის ოდენობით. ეს პარადოქსული იდეა უფრო ღრმაა, ვიდრე შეიძლება იგი ერთი შეხედვით მოგვეჩვენოს: უ. პეტი ეძებდა ხერხს, როგორმე შეეფასებინა საწარმოო ძალების პირადი ელემენტის – შრომითი ჩვევების, დახელოვნების, ტექნიკის განვითარების პოტენციალის მოცულობა. უ. პეტიმ გამოიანგარიშა ინგლისის ეროვნული შემოსავალი. ამ საწყისიდან აღმოცენდა ეროვნულ გაანგარიშებათა თანამედროვე სისტემა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, განზოგადებული ფორმით გარკვეული ზომის სიზუსტით ვიმსჯელოთ იმის შესახებ, თუ როგორია წარმოების მოცულობა მოცემულ ქვეყანაში, როგორ ნაწილდება შემოსავალი და ა.შ.

ადამ სმითი თავის ცნობილ ნაშრომში „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებებს „სიმდიდრის" არსის შესახებ – „ყოველი ადამიანი მდიდარია ან ღარიბი იმ ზომით, რა ზომითაც მას შეუძლია უზრუნველყოს თავისთვის არსებობა, კომფორტისა და სიამოვნების საგნებით სარგებლობა"[1]. იგი გვაძლევს სიმდიდრის ბუნებრივი განვითარების დახასიათებას. „საგანთა ბუნებრივი მსვლელობისას, ყოველ განვითარებაში მყოფი საზოგადოების კაპიტალი პირველყოვლისა მიმართულია მიწათმოქმედებისაკენ, შემდეგ – მანუფაქტურებისაკენ და ბოლოს – საგარეო ვაჭრობისაკენ. ეს წესი ისე ბუნებრივია, რომ იგი ყოველ საზოგადოებაში, რომელსაც რაიმე შესამჩნევი ტერიტორია ჰქონდა, ყოველთვის სრულდებოდა ამა თუ იმ ზომით. მიწების ნაწილი უნდა დამუშავებულიყო მანამდე, ვიდრე რამდენადმე მნიშვნელოვანი ქალაქები შეიძლება წარმოშობილიყვნენ. და ამ ქალაქებში უნდა არსებულიყო რაიმე, თუნდ განუვითარებელი მრეწველობა, ვიდრე მათთვის შესაძლებელი გახდებოდა იმაზე ფიქრი, რომ საგარეო ვაჭრობისათვის მოეკიდნათ ხელი"[2].

---

[1] ადამ სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. ინგლ. თარგმნ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, გვ. 424, თავი I, წიგნი III. თსუ, 1938.

[2] იქვე, გვ. 436, თავი I. წიგნი III.

ადამ სმითი ყურადღებით იკვლევდა სიმდიდრის ბუნებრივ განვითარებას და მივიდა შემდეგ დასკვნამდე: „სიმდიდრე და, რამდენადაც ძლიერება სიმდიდრეზეა დამოკიდებული, ძლიერება ყოველთვის შეფარდებულია მისი წლიური პროდუქტის ღირებულებასთან, ე.ი. იმ ფონდის ღირებულებასთან, საიდანაც, საბოლოო ანგარიშით, გადახდილი უნდა იქნეს ყველა ხარკი და ყოველი ქვეყნის პოლიტიკური ეკონომიის მთავარ ამოცანას შეადგენს ქვეყნის სიმდიდრისა და ძლიერების გადიდება"[1].

სიმდიდრის ცნების საინტერესო ანალიზი მოგვცა დ. რიკარდომ თავის წიგნში „პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები". კერძოდ, სიმდიდრეს და ღირებულებას იგი განიხილავს ერთმანეთთან დაპირისპირებულებაში: „ღირებულება არსებითად განსხვავდება სიმდიდრისაგან, რადგან ღირებულება დამოკიდებულია არა სიუხვეზე, არამედ სიძნელესა და სიადვილეზე წარმოებისა. ერთი მილიონი ადამიანის შრომა ფაბრიკებში ყოველთვის ერთსა და იმავე ღირებულებას წარმოშობს, მაგრამ ყოველთვის არ წარმოშობს ერთსა და იმავე სიმდიდრეს"[2].

დ. რიკარდო შეცდომად თვლიდა ღირებულების და სიმდიდრის გაიგივებას და ღირებულების მასშტაბის შერჩევაზე ამახვილებს ყურადღებას: „ბევრი შეცდომა პოლიტიკურ ეკონომიაში წარმოსდგა მცდარი შეხედულებიდან ამ საგანზე სახელდობრ იქიდან, რომ სიმდიდრის ზრდას და ღირებულების ზრდას ერთი და იმავედ სთვლიდნენ, აგრეთვე იქიდან, რომ დაუსაბუთებელი ცნებები ჰქონდათ იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს ღირებულების ნორმალურ საზომს. ზოგი ფულს სთვლის ღირებულების მასშტაბად, და, მისი აზრით, ერთი უფრო მდიდარი ან უფრო ღარიბი ხდება შესაბამისად ფულის მეტი ან ნაკლები რაოდენობისა, რომელზედაც შეიძლება გაცვლილ იქნეს ყოველგვარი მისი საქონელი. სხვები ფულს სთვლიან ძალიან შესაფერ საშუალებად გაცვლითი ვაჭრობის მიზნებისათვის, მაგრამ არ მიაჩნიათ იგი ვარგის საზომად. რომლის მიხედვით შეიძლებოდეს სხვა საგნების ღირებულების შეფასება; მათი აზრით, ღირებულების ნამდვილ საზომს პური წარმოადგენს, და ქვეყანა მდიდარი ან ღარიბია

---

[1] ადამ სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ინგ. თარგმნ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, გვ. 424, თავი I, წიგნი III.

[2] დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, ინგლ. თარგმ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თავი მე-20, გვ. 228, თსუ. 1937.

იმის მიხედვით, პურის მეტ თუ ნაკლებ რაოდენობაზე გაიცვლება ხოლმე მისი პროდუქტები. სხვები კიდევ ფიქრობენ, რომ ქვეყანა მდიდარია, თუ ღარიბი არის შრომის იმ რაოდენობის მიხედვით, რომლის ყიდვა მას შეუძლია"[1].

დ. რიკარდომ მოგვცა ქვეყნის სიმდიდრის ორგვარი გზით ზრდის შესაძლებლობა. იგი შეიძლება გადიდდეს შემოსავლების უფრო დიდი ნაწილის გამოყენებით პროდუქტიული შრომის შესანახად, რაც გაადიდებს არა მარტო საქონელთა მთელი მასის რაოდენობას, არამედ მის ღირებულებასაც; ანდა შეიძლება გადიდებულ იქნეს შრომის დამატებითი რაოდენობის დაუხარჯავად, შრომის იმავე რაოდენობის უფრო პროდუქტიულად გადაქცევის გზით, რაც გაადიდებს პროდუქტების რაოდენობას, მაგრამ არა მათ ღირებულებას.

პირველ შემთხვევაში ქვეყანა არა თუ მდიდარი გახდებოდა, არამედ მისი სიმდიდრის ღირებულებაც გაიზრდებოდა. ქვეყანა გამდიდრდებოდა დაზოგვის გზით, იმით, რომ იგი შეამცირებდა ხარჯებს ფუფუნებისა და კომფორტის საგნებისათვის და ამ დანაზოგს რეპროდუქციისათვის მოიხმარდა.

მეორე შემთხვევაში არ შემცირდებოდა აუცილებელი ხარჯები ფუფუნებისა და კომფორტის საგნებისათვის, არც გამოყენებული პროდუქტიული შრომის რაოდენობა გაიზრდებოდა, არამედ იმავე შრომით მეტი პროდუქტი იქნებოდა წარმოებული; გაიზრდებოდა სიმდიდრე, მაგრამ არა ღირებულება. სიმდიდრის გადიდების ამ ორის წესიდან უპირატესობა უნდა მიეკუთვნოს უკანასკნელს, იმიტომ რომ იგი იმავე ეფექტს წარმოშობს და იმავე დროს მას არ ახლავს ის შემცირებები, რაც აუცილებლად შეკავშირებულია პირველ წესთან. კაპიტალი ქვეყნის სიმდიდრის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება სამერმისო წარმოების მიზნით და შეიძლება იმავე წესით იქნეს გადიდებული, როგორც სიმდიდრე.

დ. რიკარდო საინტერესოდ გვიხსნის რენტის სიდიდის ცვლილების შედეგს სიმდიდრის ზრდაზე. „რენტის ზრდა ყოველთვის ქვეყნის სიმდიდრის ზრდისა და მისი გადიდებული მოსახლეობის საზრდოთი მომარაგების სიძნელის შედეგი არის. ეს ნიშანია სიმდიდრისა, მაგრამ არასოდეს

---

[1] დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თარგ. ინგლ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თავი მე-20, გვ. 228, თსუ, 1937.

არაა მისი მიზეზი, ვინაიდან სიმდიდრე ყველაზე უფრო მაშინ იზრდება, როდესაც რენტა სტაციონალურია, ან ეცემა კიდეც. რენტის ზრდა უსწრაფესია მაშინ, როდესაც ადამიანთა განკარგულებაში არსებული მიწა უაღრესად ნაყოფიერია. სადაც იმპორტი ყველაზე ნაკლებ შეზღუდულია და სადაც, სამიწათმოქმედო გაუმჯობესებათა გზით, პროდუქტების რაოდენობა შეიძლება გამრავლებულ იქნეს შრომის რაოდენობის პროპორციულ გაუდიდებლად, სადაც, მაშასადამე, რენტა ნელა იზრდება"[1].

ჟან ბატისტ სეი, როდესაც ადამ სმითის ნაწარმოების ღირსებასა და ნაკლზე ლაპარაკობს, შეცდომად უთვლის სმითს იმას, რომ იგი მარტო ადამიანის შრომას მიაწერს ღირებულების წარმოშობის უნარს. მას მხედველობაში აქვს ა. სმითის სიტყვები – სიმდიდრე სხვა არა არის რა, თუ არა დაგროვილი შრომა და რომ შრომა ერთადერთი საზომია სიმდიდრისა ანუ პროდუქტების ღირებულებისა – უფრო ზედმიწევნით ანალიზი გვიჩვენებს, რომ ღირებულება წარმოსდგება შრომის ანუ, უფრო სწორად, ადამიანთა შრომისმოყვარეობის, ბუნებრივი ძალის და კაპიტალის შეერთებული მოქმედებით. ამ პრინციპის უცოდნელობამ ხელი შეუშალა ა. სმითს დაემყარებია ჭეშმარიტი თეორია მანქანების გავლენისა სიმდიდრის წარმოებაზე. წინააღმდეგ ადამ სმითის შეხედულებისა, ჟან ბატისტ სეი ლაპარაკობს ღირებულებაზე, რასაც პროდუქტებს აძლევენ ისეთი ბუნებრივი ფაქტორები, როგორიცაა მზე, ჰაერი, ატმოსფეროს წნევა და სხვ. რომელნიც ზოგჯერ ადამიანის შრომის მაგივრობას ეწევიან და ზოგჯერ მასთან ერთად მოქმედებენ წარმოებაში.

როგორც აღვნიშნეთ, „სიმდიდრის" ცნებას იმთავითვე მიაპყრო ყურადღება მოაზროვნე ადამიანებმა, რომელთა ნაშრომებშიაც მეტ-ნაკლები სიზუსტით იქნა დახასიათებული იგი. ისინი განიხილავენ ამ კატეგორიას მის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებელთან ერთიანობაში, საზოგადოებრივ ფორმებთან მოძრაობასა და ნივთობრივ სტრუქტურასთან კავშირში, კონკრეტულ ისტორიულ პირობებსა და საზოგადოებრივი კვლავწარმოების სხვა კატეგორიებთან კავშირში; ასევე ზოგჯერ იყენებენ ტერმინს „სიმდიდრეს" – „სიღარიბის" საწინააღმდეგო ტერმინად. „სიმდიდრე"

---

[1] დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიისა და დაბეგვრის საფუძვლები, თარგ. ინგლ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თავი II, მე-20, გვ. 45-46, თსუ, 1937.

გამოიყენება როგორც ეკონომიკური მოვლენების დასახასიათებლად, ასევე ბუნებრივი ფაქტორების მდგომარეობისა და საზოგადოების სულიერი ცხოვრების ცვლილებების გასაგებად.

ეროვნული სიმდიდრე - ეს არის საერთო შედეგი მუდმივად განმეორებადი საზოგადოებრივი პროცესისა ეროვნული ეკონომიკის განვითარების მთელი ისტორიის მანძილზე.

ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული სიმდიდრე განისაზღვრება როგორც ყველა სამეურნეო სუბიექტების საკუთარი კაპიტალის ღირებულება; მასში მატერიალური რესურსების გარდა, ჩართულია ფინანსური აქტივები, არასაწარმოო მატერიალური აქტივები (საავტორო უფლება, ლიცენზია და ა.შ.) მაგრამ აკლდება ფინანსური ვალდებულებები.

ეროვნული სიმდიდრე, ფართო გაგებით, წარმოადგენს ყველაფერს, რასაც ფლობს ერი. ამ აზრით, ეროვნულ სიმდიდრეს მიეკუთვნება არა მარტო მატერიალური დოვლათი, არამედ ყველა ბუნებრივი რესურსები, კლიმატი, ხელოვნების ნაწარმოებები და ბევრი სხვა, მაგრამ ყველა ამათი დათვლა ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია. ამიტომ ეკონომიკური ანალიზის პრაქტიკაში გამოიყენება ეროვნული სიმდიდრის მაჩვენებელი ვიწრო გაგებით, რომელსაც მიეკუთვნება ყველაფერი ის, რაც ადამიანის შრომითაა შექმნილი და შეიძლება მისი კვლავწარმოება. სხვა სიტყვებით, ქვეყნის ეროვნული სიმდიდრე წარმოადგენს მატერიალური და კულტურული დოვლათის ერთობლიობას, რომელიც დაგროვებულია ქვეყანაში მისი ისტორიის მანძილზე (დროის გარკვეული მომენტისათვის). ესაა ადამიანთა მრავალი თაობის შრომის შედეგი.

ასეთი სახით, ეროვნული სიმდიდრე უცილობლად დაკავშირებულია საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოებასთან და მის კვლავწარმოებასთან. ეროვნული სიმდიდრე, უპირველეს ყოვლისა, იზრდება და მატულობს საზოგადოებრივი პროდუქტის ხარჯზე, ე.ი. მოცემულ წელს მიმდინარე მოთხოვნილებასთან საზოგადოებრივი პროდუქტის წარმოების ამაღლების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, ეროვნული სიმდიდრის წყაროდ ითვლება საზოგადოებრივი პროდუქტი, რომელიც იკვლავწარმოება გაფართოებულ საფუძველზე. მაგრამ, ამასთან საქმე გვაქვს მათ შორის უკუკავშირთან:

საზოგადოებრივი პროდუქტის ზრდა, მისი ტემპები, აბსოლუტური [illegible] ოდენობა დამოკიდებულია ეროვნული სიმდიდრის მოცულობაზე და მის სტრუქტურაზე. რაც უფრო მეტია ეროვნული სიმდიდრის მოცულობა და ეფექტურია მისი სტრუქტურა, მით უფრო ჩქარა იზრდება საზოგადოებრივი პროდუქტი.

ეროვნული სიმდიდრის სტრუქტურის განსაზღვრისათვის საჭიროა გავარკვიოთ ეროვნული სიმდიდრის შემადგენელი ნაწილები. პირველი ნაწილი წარმოიქმნება ადამიანთა მიერ წარსულში გაწეული შრომის შედეგად შექმნილი მატერიალური დოვლათის დაგროვებით. იგი კვლავწარმოების მრავალი ციკლის განმავლობაში გროვდება. საქმე იმაშია, რომ წარმოების მოცულობა ყოველ მოცემულ მომენტში აჭარბებს საწარმოო და არასაწარმოო მოხმარებას. ამ პირველ ნაწილს ეწოდება ეროვნული ქონება.

მეორე ნაწილი ბუნებრივი რესურსებია და მისი კვლავწარმოება თვით ბუნების მიერ ხდება.

ეროვნული სიმდიდრე ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და საზოგადოებრივი პროდუქტის გაფართოებული კვლავწარმოების მატერიალური საფუძველია, ამიტომ მისი მოცულობისა და შედგენილობის შესწავლა ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

Megi Gorgaslidse

JUR FRAGE DES WESENS DES NATIONALREICHTUMS

Das Nationalreichtum ist einer der wichtigen kennziffer der ökonomishen stärke des Landes.

Es ist der Geldausdruck der Einhait des während der ganzen Tätigkeit von der Gesellschaft geschaffenen und gesammeltten wertes zum bestimmten zeitpunkt.

Die Kategorie des nationalen Reichtums umfasst ein weites spektrum der kennziffer, deren Verständnis uns eine Möglichkeit gibt von dem ökonomischen Potential unseres Landes eine vollständige Vorstellung zu haben.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. ა. სმითი, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ, ინგლ. თარგ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თსუ, 1938 წ.

2. დ. რიკარდო, პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები, ინგლ. თარგ. ფ. გოგიჩაიშვილის მიერ, თსუ, 1937 წ.

3. Р.У. Голдсмит, Национальное богатство США в послевоенный период, перевод с англ. М. Статистика. 1968.

4. Дж. Кендрик, Совокупный капитал США, перевод с англ. М. 1978г.

5. Политическая экономия, Энциклопедия, Т. I, М. 1972 г.

6. ი. არჩვაძე, საქართველოს ეროვნული სიმდიდრე და მისი ელემენტები, თბილისი, „საქართველო", 1992 წ.

7. ეკონომიკური თეორიის საფუძვლები, ავტ. კოლექტივი, თსუ, 1998 წ.

ეკონომიკის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ნათელა ვაშაკიძე, დეზდემონა ვალლაკელიძე

წლიური ბალანსი და მისი შედგენის მეთოდიკის საკითხები

საწარმოს და მის კლიენტს, მომწოდებელს, პერსონალს ან მფლობელს შორის გარიგებებს ასახავს ფინანსური აღრიცხვა, რის საფუძველზე მენეჯერებმა უნდა მოახდინონ იმის ანგარიშგება, თუ როგორ იქნა გამოყენებული მათზე მინდობილი ფონდები და ამიტომაც აუცილებელია აქტივებისა და ვალდებულებების რეგისტრაცია, რომელიც კეთდება ბალანსისა და მოგება-ზარალის ანგარიშგების შედგენით, როგორც მინიმუმი წელიწადში ერთხელ. ყოველივე ამას აგრეთვე მოითხოვს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპები, რადგან ეს უკანასკნელი ემსახურება ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების ინტერესებს. საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასს) 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა"- მოთხოვნებს. ამ სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულია ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტი და მისი პირველი ფორმა ბალანსია. საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული ფინანსური ანგარიშგების შედგენა მოითხოვს ტრადიციული არსებული წესების სრულყოფას, რაც მიიღწევა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვით და განვითარებით იმ დონეზე, რომელსაც ექნება უნარი დააკმაყოფილოს ფინანსური ინფორმაციის მომხმარებელთა ინტერესები.

ბალანსი ასახავს საწარმოს ქონებას და მისი წარმოქმნის წყაროებს, რომელიც დგება საანგარიშგებო წლის ბოლოს 31 დეკემბრის მდგომარეობით ანუ როდესაც მთავრდება სააღრიცხვო ციკლი. სააღრიცხვო ციკლი ან სააღრიცხვო პროცედურა ეწოდება სააღრიცხვო პროცესის თანმიმდევრობას ბუღალტრული ანგარიშების გახსნიდან წლიური ანგარიშგების შედგენამდე.

საწარმოებს, საანგარიშგებო წლის დამთავრების შემდეგ, გამოყოფილი

აქვთ სამი თვე - იანვარი, თებერვალი და მარტი, რათა ამ პერიოდის განმავლობაში დაასრულონ წლიური ბალანსის შედგენა, რომელიც უნდა შემოწმდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

საანგარიშგებო წლის ბოლოს ჩასატარებელი სააღრიცხვო სამუშაოთა მოცულობა საკმაოდ დიდია. რის გამოც აუცილებელია ამ სამუშაოთა გარკვეული თანმიმდევრობით შესრულება. პირველი, რითაც უნდა დავიწყოთ, ანგარიშებში ნაშთების გამოყვანაა. სააღრიცხვო პროცესის განსაკუთრებით შრომატევადი ეტაპია ბუღალტრულ ანგარიშებში ნაშთების განსაზღვრა, რომელიც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია ინვენტარიზაციის ჩატარებასთან. საწარმოს ქონების მთელი შემადგენლობის და ვალდებულებათა აღწერა გარკვეული დროისათვის შესაძლებელია ინვენტარიზაციით, კერძოდ, საინვენტარიზაციო აღწერილობის შედგენით. ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა, ვალდებულება გამომდინარეობს იქედან, რომ ინვენტარიზაცია ახალ ფუნქციებს იძენს ფინანსურ აღრიცხვაში, რომლის უმთავრესი მიზანია ქონების ფაქტიური რაოდენობის დადგენა აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპების შესაბამისად. ინვენტარიზაცია ბუღალტრული აღრიცხვის მეტად საპასუხისმგებლო ეტაპია, რადგან, როგორც ვხედავთ, იგი ბალანსის შედგენის საფუძველს წარმოადგენს. მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია უნდა მოხდეს მინიმალური შეფასების პრინციპის გათვალისწინებით. წლიური ბალანსის შესადგენად აუცილებელია დაზუსტდეს მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალური ოდენობა.

როგორც წესი, ზოგიერთი ბუღალტრული ანგარიში მათი დანიშნულებიდან გამომდინარე იხსნება საანგარიშგებო წლის დასაწყისში და გამოიყენება წლის ბოლომდე, ისინი დროებითი ანგარიშებია და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დახურვას ექვემდებარებიან. 1999 წლის 12 აგვისტოს საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის №1 დადგენილების თანახმად საქართველოში შემოღებულ ანგარიშთა გეგმიდან დროებითი ანგარიშებია: 6000 - შემოსავალი ძირითადი (სამეწარმეო) საქმიანობიდან; 7000 - ძირითადი (სამეწარმეო) საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები; 8000 - არაძირითადი (არასამეწარმეო) საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები და ხარჯები; 9000 - გაუთვალისწინებელი შემოსავლები და ხარჯები. ანგა-

რიშების დახურვის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ანგარიშის დებეტისა და კრედიტის ბრუნვებს შორის სხვაობის ერთ-ერთ მხარეს დამატებითი ჩანაწერით სადებეტო და საკრედიტო ბრუნვები თანაბრდება და რადგანაც მოცემულ ანგარიშს საწყისი ნაშთი არ გააჩნდა, საბოლოო ნაშთიც ნულოვანი ხდება. ანგარიშები ნულოვანი ნაშთით ბალანსში არ აისახება. დახურვის ოპერაცია აისახება მოგება-ზარალის ანგარიშში. ანგარიშების ბალანსში ასახვის დაბალანსება ან დახურვის საკითხი წყდება იმის მიხედვით, თუ რა დამოკიდებულება გააჩნია ამა თუ იმ ანგარიშზე ასახულ ინფორმაციას ფინანსური შედეგის მიმართ. აღრიცხვის საერთაშორისო პრინციპებიდან გამომდინარე ბალანსში ასახვას ემსახურება ის ანგარიშები, რომლებშიც დაფიქსირებული სამეურნეო ოპერაციები ნეიტრალურია საანგარიშგებო წლის შედეგის მიმართ. ანგარიშთა გეგმის მიხედვით საბალანსო ანგარიშებია: 1000 - მიმდინარე აქტივები; 2000 - გრძელვადიანი აქტივები; 3000 - მიმდინარე ვალდებულებები; 4000 - გრძელვადიანი ვალდებულებები; 5000 - კაპიტალი.

ანგარიშზე საბოლოო ნაშთის განსაზღვრა ანუ ანგარიშის დაბალანსება არის პროცესი, რომლის შედეგადაც ანგარიშის დებეტი და კრედიტი ერთმანეთს უთანაბრდება ნაშთის მოპირდაპირე მხარეს ჩაწერისა და ბალანსში დაფიქსირების გზით. დაბალანსება გულისხმობს სამეურნეო საშუალებათა აქტივიზაციას და საშუალებათა წყაროების პასივაციას. აქტივაცია გულისხმობს სადებეტო ნაშთის განსაზღვრას აქტიურ ანგარიშებში და მის ჩაწერას ამავე ანგარიშის კრედიტსა და ბალანსის აქტივში. პასივაცია კი არის კრედიტის ნაშთის დადგენა პასიურ ანგარიშებში და მისი ჩაწერა ამავე ანგარიშის დებეტსა და ბალანსის პასივში. ეს ჩანაწერები დასკვნითია და მათ შემდეგ დაბალანსებული ანგარიშების დებეტის ჩანაწერების ჯამი უნდა დაემთხვეს კრედიტის ჩანაწერების ჯამს, ანუ შედგება ბალანსი, რომელიც საცდელი ბალანსია და გარკვეული პროცედურების შემდეგ ღებულობს გარეთ გამოსაქვეყნებელ ბალანსის ფორმასა და შინაარსს.

ბალანსში არის საწარმოს ფინანსური მდგომარეობის სურათი, რომელიც აქტივისა და პასივისაგან შედგება. მასში ასახული ინფორმაცია სრული და არსებითი ხასიათის უნდა იყოს. ბალანსი ეფუძნება ცნობილ წონასწორობას: აქტივები=საკუთარი კაპიტალი+ვალდებულებები.

აქტივები არის საწარმოს განკარგულებაში არსებული მატერიალური და არამატერიალური ქონება, რომელთა გამოყენების შედეგად შესაძ-

ლებელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება. აქტივების წყაროა მოქმნის წყაროა ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი, რაც შეესაბამება პასივს. ვალდებულებად იწოდება ნასესხები თანხები, რომელიც საწარმომ უნდა გადაიხადოს. აქციონერებიდან მიღებული თანხები სააქციო კაპიტალია, ასევე საკუთარი კაპიტალის წყაროა გაუნაწილებელი მოგება.

ბალანსის შედგენისას საკმაოდ რთულია ბალანსის გარეგნული ფორმის და ბალანსის მუხლების განლაგების თანმიმდევრობის დადგენა. როგორც ცნობილია, აღრიცხვის მსოფლიო პრაქტიკაში არ არსებობს ბალანსის ერთიანი ნომენკლატურა, ასევე არაერთგვაროვანია ბალანსის აქტივისა და პასივის მუხლების განლაგების თანმიმდევრობა. გარეგნული ფორმით ბუღალტრული ბალანსი შეიძლება შედგეს ერთგვერდიანი ანუ ვერტიკალური სახით, ან ორგვერდიანი ანუ ჰორიზონტალური სახით. ერთგვერდიანი ანუ ვერტიკალური ბალანსის ფორმა მარტივია და არაპროფესიონალებისათვის ძნელად აღსაქმელია, ხოლო ჰორიზონტალური ანუ ორგვერდოვანი ბალანსი, რომლის პრაქტიკა ჩვენს სააღრიცხვო პრაქტიკაში არსებობს, შედარებით რთული ფორმაა, მაგრამ ბალანსი თვალსაჩინო და ადვილად აღქმადია როგორც პროფესიონალების, ისე არაპროფესიონალებისთვისაც კი. ორი მიდგომა არსებობს ბალანსის აქტივისა და პასივის მუხლების განლაგების თანმიმდევრობისადმი. პირველი - როცა ბალანსში მუხლები ჩაითვლება ლიკვიდობის ზრდის მიხედვით და მეორე - ლიკვიდობის კლების მიხედვით. ლიკვიდობის ცნება ნიშნავს აქტივების ადვილად რეალიზებადობის თვისებას და გულისხმობს მატერიალური და არამატერიალური საშუალებების ფულად გადაქცევის უნარს. ამდენად, ფული ითვლება ყველაზე ლიკვიდურ საშუალებად. სასურველია უპირატესობა მივანიჭოთ ჩვენში არსებულ პრაქტიკას ანუ აქტივის მუხლების განლაგებას - ლიკვიდობის ზრდის მიხედვით, რაც არსებითაც ბასს არ ეწინააღმდეგება, ვინაიდან არ აუარესებს ბალანსში წარმოდგენილი ინფორმაციის სისრულის, სიზუსტისა და არსებითობის ხარისხს. ჩვენი აზრით, ასეთი მიდგომა თანამედროვე ეტაპზე უფრო სწორად ბუღალტრული აღრიცხვის რეფორმისას ბუღალტრებს უადვილებს ბუღალტრული ბალანსის არსის შემეცნებას, რაც საწინდარია ბასს-ის პრინციპებით ბალანსის შედგენისა. წლიური ბალანსი შეიძლება შემდეგი სახის იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

11	აქტივი	თანხა		11	პასივი	თანხა	
		წლის დასაწყისი	წლის ბოლო			წლის დასაწყისი	წლის ბოლოს
1.	I გრძელვადიანი აქტივები ძირითადი კაპიტალი (2100)			1.	I საკუთარი კაპიტალი საწესდებო კაპიტალი (5100)		
2.	არამატერიალური აქტივები (2500)			2.	პარტნიორთა კაპიტალი (5200)		
3.	გრძელვადიანი მოთხოვნები (2300)			3.	მოგება-ზარალი (5300)		
4.	გრძელვადიანი ინვესტიციები (2400) სულ I განაყოფი II მიმდინარე აქტივები			4.	რეზერვები და დაფინანსება (5400) სულ I განაყოფი		
5.	სასაქონლო-მატერიალური მარაგი (1600)			5.	II ვალდებულებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები (4100)		
6.	მოკლევადიანი მოთხოვნები (1400)			6.	გადავადებული გადასახადები და სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები (4200)		
7.	მოკლევადიანი სათამასუქო მოთხოვნები (1500)			7.	ანარიცხები (4300)		
8.	დარიცხული მოთხოვნები (1800)			8.	გადავადებული შემოსავალი (4400)		
9.	მოკლევადიანი ინვესტიციები (1300)			9.	მოკლევადიანი ვალდებულებები (3100)		
10.	ფული საბანკო ანგარიშებზე (1200)			10.	მოკლევადიანი სესხები (3200)		
11.	ნაღდი ფული (1100)			11.	საგადასახადო ვალდებულებები (3300)		
12.	წინასწარგაწეული ხარჯები (1700)			12.	დარიცხული ვალდებულებები (3400)		
13.	სხვა მიმდინარე აქტივები (1900) სულ II განაყოფი ბალანსი				სულ II განაყოფი ბალანსი		

ასეთი ფორმით და შინაარსით ბალანსის შედგენა და წარდგენა მისი ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს მიაწვდის რეალურ, არსებით და სრულყოფილ მონაცემს საწარმოს საქმიანობის შესახებ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბალანსი აგებულია ლიკვიდობის ზრდის მიხედვით, ე.ი. დასაწყისში მოცემულია ნაკლებად რეალიზებადი აქტივები, მერე შედარებით ადვილად რეალიზებადი და ბოლოს ადვილად რეალიზებადი. ასევე ვალდებულებებიც დაყოფილია გრძელვადიან ვალდებულებებად და მოკლევადიან ვალდებულებებად, რაც ასევე წარმოადგენს ბასს-ის ძირითად მოთხოვნას.

ბალანსის შემდგენისათვის წლიური ბალანსის შედგენისას აუცილებელია საბალანსო პოლიტიკის განსაზღვრა, და თუ ის ერთი წლიური ანგარიშგებით აპირებს საანგანიშგებო ინფორმაციაზე სამეწარმეო და საგადასახადო მოთხოვნების დაკმაყოფილებას, მაშინ საბალანსო პოლიტიკაც ერთიანი უნდა იყოს შერჩეული, რომ წლიური ბალანსის შედგენის დროს გამოყენებულ იქნას სამეწარმეო-სამართლებრივი, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები და ამავე დროს გათვალისწინებული იყოს საგადასახადო-სამართლებრივი შეზღუდვები.

ამრიგად, აუდიტებული წლიური ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ბასს 1-ით განსაზღვრულ კომპონენტებს: ა) ბალანსს; ბ) მოგება-ზარალის ანგარიშგებას; გ) საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ამსახველ ანგარიშგებას; დ) ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას; ე) სააღრიცხვო პოლიტიკას და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს;

და ბოლოს, ბალანსი, როგორც პირველი კომპონენტი განსაზღვრავს საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ცვლილებებს და შესაბამისად მისი მიზანია საწარმოთა ფინანსური მდგომარეობის ცვლილებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მომხმარებელთა ფართო წრეს, რათა მიიღონ სწორი ეკონომიკური გადაწყვეტილებები. აღნიშნული მიზნის განხორციელებას ემსახურება ბალანსის შედგენის მეთოდიკის სრულყოფა, რომლის კვლევა დღეისათვის ფართო ფრონტით მიმდინარეობს ქართველი პროფესიონალი ეკონომისტი მეცნიერების მიერ.

Nathela Vashakidze, Dezdemona Maglakelidze

ANNUAL BALANCE SEET AND METHODS OF ITS PREPARATION

The financial accounts of an enterprise must correspond with the international standards of accounting. The full share of financial accounts is determined according to the standards and its initial form is Balance. To make the financial accounting oriented on market economy requires the impovement of already exsisting traditional rules, that is achieved by implementing and developing international standards of financial accounts, wich will meet the needs of the information user.

The research of balence sheet preparation methodology aiming to achieve the goal is carried out by professional Georgian economists.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. ბასს-შესავალი-ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სტრუქტურული საფუძვლები

2. ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა

3. ი. მესხია, დ. მაღლაკელიძე, ნ. ვაშაკიძე, ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით, თბილისი, 2001.

4. საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაცია, ფინანსური აღრიცხვა, თბილისი 2000.

5. პ. მიქაძე, მმართველობითი აღრიცხვა, თბილისი, 2000 წ.

6. ჟურნალები ბუღალტრული აღრიცხვა, 2000 წ. და 2001 წ.

საბუღალტრო აღრიცხვის,
ანალიზისა და აუდიტის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ნარა ჭირსალაძე

საბაზრო ეკონომიკა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ეკონომიკურ-სტატისტიკური მაჩვენებლები

ეკონომიკა შინაგანად უკავშირდება ადამიანის ბედს, მისი მოღვაწეობის მიზნებს. ადამიანი უშუალოდ მონაწილეობს ეკონომიკურ საქმიანობაში, პროდუქციის წარმოებასა და მოხმარებაში. იგი ერთდროულად მესაკუთრეც არის, ეკონომიკური საქმიანობის მთავარი ფაქტორიც და მომხმარებელიც. ამიტომ, ბუნებრივია, ეკონომიკის უზენაესი მიზანი ადამიანის მრავალმხრივი ინტერესების რეალიზაცია უნდა იყოს.

საზოგადოება, თავისი განვითარების ყოველ საფეხურზე, ცდილობდა და ცდილობს წარმოების სრულყოფით გაიუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა, დაიკმაყოფილოს მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები. თუ როგორ ახერხებს ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას თითოეული ადამიანი თუ საზოგადოებრივი ჯგუფი, ამას გვიჩვენებს ისეთი განზოგადებული მაკროეკონომიკური მაჩვენებელი, როგორიცაა ცხოვრების დონე. "ცხოვრების დონე გამოხატავს მოსახლეობის კეთილდღეობის რაოდენობრივ მხარეს და ასახავს საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე მოცემულ ქვეყანაში მოსახლეობის ერთ სულზე მატერიალური და სულიერი დოვლათის მოხმარების დონესა და ხარისხს" [3,452].

ცხოვრების დონე ცვალებადი მაჩვენებელია. ისტორიული პერიოდების შესაბამისად იცვლება თვით მოსახლეობის მოთხოვნილებებიც. ცხოვრების დონით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონტინენტები, ქვეყნები და თვით მოსახლეობის ფენებიც. ცხოვრების დონეს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საკუთრებითი ურთიერთობა. საბაზრო ეკონომიკის პირობებში კი, სადაც კერძო საკუთრებაა, საკუთრების მთავარი და მამოძრავებელი ფორმა, სრულიად ახლებურად ისმის ცხოვრების დონის შეფასების საკითხი. საბაზრო ეკონომიკის პირობებში საზოგადოების თითოეული წევრის შრომითი საქ-

მიანობის შედეგები ძირითადად ფულით ფასდება, ფული ცხოვრების დონის განსაზღვრის ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმია.

ცხოვრების დონეს განიხილავენ ვიწრო და ფართო გაგებით. "ვიწრო გაგებით იგი გულისხმობს ადამიანთა მხოლოდ პირად მოხმარებას, ხოლო ფართო გაგებით ცხოვრების ყველა მხარეს, როგორც ეკონომიკურს, ასევე სოციალურს".[1,218]

უნდა ითქვას, რომ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არ გვხვდება მოსახლეობის ცხოვრების დონის კატეგორიის ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრა, აგრეთვე სადაოა იმ მაჩვენებელთა ჩამონათვალიც, რომლებიც აუცილებელია მისი სტატისტიკური დახასიათების ადეკვატურობისათვის. ჯერჯერობით საკმაოდ გავრცელებულად ითვლება მეთოდი, რომლის თანახმად მოსახლეობის ცხოვრების დონე განისაზღვრება, პირველყოვლისა, როგორც საქონლისა და მომსახურების ერთობლიობა, რომლითაც სარგებლობს ცალკეული ადამიანი, ოჯახი, ან მოსახლეობის სოციალური ჯგუფი. ამასთან, ცხოვრების დონის ერთ-ერთ ძალზე მნიშვნელოვან ინდიკატორად, როგორც წესი, ითვლება საოჯახო მეურნეობების შემოსავლები. შინამეურნეობების გამოკვლევას ჩვენს ქვეყანაში საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ სახის პირველი კვლევები საქართველოში ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის პირველ ათწლეულში ხორციელდებოდა.

შინამეურნეობების კვლევის მექანიზმი აგებული იყო სოციალისტური საზოგადოების მოდელზე და ბუნებრივია, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად მომხდარი ცვლილებები ამ კვლევებში ვერ აისახებოდა. რის გამოც 1995-97 წლებში დაინერგა შინამეურნეობების გამოკვლევის თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სისტემა. ახალი სისტემით დამუშავებული მონაცემების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ მოსახლეობის ცხოვრების დონეზე, როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ისე ცალკეული რეგიონების მიხედვით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის ცხოვრების დონის სოციალურ-ეკონომიკურ მაჩვენებელთა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მოსახლეობის შემოსავლებს და ხარჯებს, მოხმარებულ მატერიალურ დოვლათსა და მომსახურებას. საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტის კრებულის „საქართველოს შინამეურნეობები 1997 წელს" მიხედვით იმერეთის რეგიონში მოსახლეობის საშუალო თვი-

ურმა შემოსავლებმა სულ ფულადი და არაფულადი სახსრების მიხედვით შეადგინა 27,2 მლნ. ლარი, რაც მთელი ქვეყნის საშუალო თვიური შემოსავლების 16,3%-ს შეადგენს. საშუალო თვიურმა შემოსავლებმა ერთ შინამეურნეობაზე შეადგინა 130,4 ლარი. საშუალო თვიური შემოსავლებიდან ფულადმა შემოსავლებმა და ტრანსფერტებმა 75,6 ლარი ანუ 58%. არაფულადმა შემოსავლებმა - 41,2 ლარი, ანუ 31,6%, სხვა ფულადმა სახსრებმა კი- 13,6 ლარი ანუ 10,4% [6,32]. უნდა ითქვას, რომ იმერეთის რეგიონში მოსახლეობის საშუალო თვიური შემოსავლების სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წილი უჭირავს შემოსავლებს სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვიდან (25; 1 ლარი ანუ 19,2%) და დაქირავებული შრომიდან (20,5 ლარი ანუ 15,7%).

„მოსახლეობის საშუალო თვიურმა ხარჯებმა 1997 წელს მთლიანად იმერეთის რეგიონში შეადგინა 36,8 მილიონი ლარი. სამომხმარებლო ხარჯებმა 25,2 მლნ ლარი, აქედან სურსათზე დაიხარჯა 14,1 მლნ ლარი, ანუ 56%. ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიურმა ხარჯმა 1997 წელში შეადგინა 176 ლარი. აქედან სამომხმარებლო ხარჯია 120,5 ლარი. სამომხმარებლო ხარჯებიდან 67,3 ლარი, ანუ 55,8% მოდის სურსათზე" [6,33].

უნდა ითქვას, რომ ზემოთ მოცემული მაჩვენებლები გამოხატავს შესასწავლი კატეგორიის რაოდენობრივ მხარეს.

ცხოვრების დონის განზოგადებული დახასიათების მიზნით სტატისტიკაში უფრო მეტად გამოიყენება ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა, მაგალითად, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, წარმოებული ერთობლივი ეროვნული პროდუქტის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე და ა.შ. ეს მაჩვენებლები გამოხატავენ არა მარტო ცხოვრების დონეს, არამედ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ინდიკატორები არიან. ამ სისტემის ზოგიერთი მაჩვენებელი (შემოსავალი, მოხმარება) ჩვეულებრივ განიხილება როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ცხოვრების დონის ანალიზისათვის, თუმცა, ისინი არ შეიცავენ შესასწავლი კატეგორიის ყველა ასპექტს. ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში განიხილება საკითხი ცხოვრების დონის განზოგადებული მაჩვენებლის გამოანგარიშებაზე და მიზანშეწონილობაზე. მართალია ზოგიერთი სპეციალისტი სკეპტიკურად უყურებს ამ საკითხს, მაგრამ მეცნი-

ერთა გარკვეული ნაწილი ცდილობს წარმოადგინოს მოსახლეობის კეთილდღეობის განზოგადებული მაჩვენებლის გამოანგარიშების სქემა. ასე მაგალითად, სულ რამოდენიმე წლის წინათ დაიწყეს „ადამიანური განვითარების ინდექსის" გაანგარიშება. ამ ინდექსის მიხედვით საქართველო ბოლო პერიოდამდე მიეკუთვნებოდა განვითარებული ქვეყნების კატეგორიას, ხოლო 90-იანი წლებიდან, ცხოვრების დონის მკვეთრი დაცემის გამო, ამ მაჩვენებლის მიხედვით იგი განვითარებადი ქვეყნების დონეზეა. ასევე მნიშვნელოვნად შემცირდა ქვეყანაში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა (მიახლოებით ამჟამად იგი 68,5 წელია), სადღეღამისო მოხმარებამ შეადგინა 1695 კ/კალორია, მაშინ, როდესაც ჯანდაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი შიმშილის ზღვარი შეადგენს 2400კ/კალორიას. დაეცა მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე. თუ 1990 წელს ერთ სულზე იგი შეადგენდა 2063 აშშ დოლარს, 1997 წელს შეადგინა 740,8 აშშ დოლარი. ამასთან 1998 წლის ბოლოს მოხდა ლარის მკვეთრი დევალვაცია, რამაც უფრო მეტად დასცა მოსახლეობის ცხოვრების დონე და ხარისხი. 1997 წლის ბოლოს საარსებო მინიმუმი შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისათვის 110,9 ლარით, ხოლო 4 სულიანი ოჯახისათვის 1994, 6 ლარით განისაზღვრა, ამჟამად ნომინალური ხელფასი ერთი დასაქმებულისათვის 40,7 ლარია, ხოლო მინიმალური ხელფასი 20 ლარს შეადგენს, რაც საარსებო მინიმუმის მხოლოდ 16 პროცენტია. მოსახლეობის 52 პროცენტი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც არსებული მონაცემების მიხედვით ფიზიკურად ვერ უნდა იარსებოს, 40 პროცენტს შეადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოსახლეობის შემოსავლების უდიდესი ნაწილი (70 პროცენტამდე) გამოიყენება სურსათის შესაძენად, რაც სიღარიბის ერთ-ერთი არსებითი მაჩვენებელია. გარდამავალ პერიოდში მოხდა მოსახლეობის სოციალური დიფერენციაცია, მისი „უმდიდრესი" 20 პროცენტის შემოსავლები კონტრასტულად აღემატება „უღარიბესი" 20 პროცენტის შემოსავლებს. ამ პროცესს თან ახლავს განათლების, მეცნიერების, ჯანმრთელობის სფეროს კრიზისის გახანგრძლივება, რაც კიდევ უფრო ამძიმებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას. დღეისათვის მოსახლეობის სოციალური დაცვის თვალსაზრისით საქართველოს შედარება განვითარებულ ქვეყნებთან შეუძლებელია. უკიდურე-

სად დაბალია მთლიან შიდა პროდუქტში სოციალურ-კულტურული ღონისძიებათა ხარჯვის ხვედრითი წილი. ოჯახის მთლიან შემოსავლებში სოციალური ტრანსფერტები (პენსიები, სტიპენდიები, დახმარებები) მხოლოდ 5–6 პროცენტს შეადგენს. განსაკუთრებით უმწეო მდგომარეობაში იმყოფებიან პენსიონრები და მარტოხელები. სოციალური დაცვის სისტემა კი, რომელიც ქალებს და ბავშვებს შეეხებოდა, ქვეყანაში ფაქტიურად აღარ არსებობს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო ჯერ კიდევ შორს არის თითოეული ოჯახისთვის ცხოვრების უნარიანობის უზრუნველმყოფი ფაქტორების ამოქმედებისაგან. ცხადია, ასეთ პირობებში საჭიროა თანამედროვე ბერკეტების ამოძრავება. რამაც უფრო მეტად დაუცველი ფენების საკვებით, ტანსაცმლით და საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის პრობლემა უნდა გადაწყვიტოს.

ამრიგად, ზემოთ მოტანილი სტატისტიკური მაჩვენებლებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის ცხოვრების დონე, ჩვენს ქვეყანაში, ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია. კონტრასტულია განსხვავება, შემოსავლებისა და დანახარჯების მიხედვით უმდიდრესთა და უღარიბესთა შორის. სავარაუდოა, რომ საბაზრო ეკონომიკის შემდგომ განვითარებასთან ერთად ეს განსხვავება კიდევ უფრო გაიზრდება, ხოლო დიფერენციაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი (დიფერენციაციის კოეფიციენტი) შემცირდება და მოხდება მოსახლეობის მომიჯნავე დეცილურ ჯგუფებს შორის ცხოვრების დონის თანდათანობით დაახლოება.

Naira Virsaladze

MARKET ECONOMY AND ECONOMIC AND STATISTIC DATA OF POPULATION'S LIVING STANDARD

abstract

Modern statistics has rich and many-sided resources of estimation of the current events and processes among population. But socio-economic situation of the country is generally characterized by choosing of domestic economy and realizes on the base of research. Modern investigations in field of domestic economy, processing of data received in terms of corresponding system of international standard gives us an opportunity to judge the living standard of population, like on a scale of the whole country, so in separate regions as well.

For the purpose of population's characteristic of well-being nowadays statistics applies to "Mankind Evolution Index". According to this index until recently Georgia was ranked among the category of advanced countries, but from the beginning of 1990s depending on the slump of living standard it is on the level of developing countries.

ლიტერატურა:

1. გაბიძაშვილი ბ., სტატისტიკის მოკლე კურსი, თბ., 1998.
2. Экономическая статистика, из. Москва, 1998.
3. ეკონომიკური თეორია, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ., 1998.
4. ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ., 1997.
5. „სოციალური ეკონომიკა", №1; 2; 3; 1999
6. „საქართველოს შინამეურნეობები 1997 წელს", - ეკონომიკურ-სტატისტიკური კრებული, თბ., 1998 წ.
7. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები., II ნაწილი, თბ., 1999.

ეკონომიკის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მელანო კარანაძე

ავტორთა პირადი არაქონებრივი უფლებები ინტელექტუალური საკუთრების სამართალში (საავტორო სამართალი)

კერძოსამართლებრივი ურთიერთობების განვითარების, ცივილური საზოგადოების ჩამოყალიბების პირობებში, ყველა სხვა ფასეულობისდაცვისგვარად მნიშვნელოვანი გახდავთ ინტელექტუალური საკუთრების სამართლით განმტკიცებულ ობიექტთა დაცვა. ინტელექტი, რომლის პარამეტრები დროის სიახლესა და პროგრესთან მიმართებაში საგრძნობად იზრდება, სახასიათოს ხდის ხალხის, ერის კულტურას, მის წინვლას ეხმარება, ხოლო ინტელექტუალური შესაძლებლობების დაცვით სახელმწიფო „თავს იწონებს" როგორც ბჭე და გარანტი, როგორც ამ შეუდარებელ ფასეულობათა ღირსეული დამცველი და მოჭრინახულე.

და მაინც, როგორია დღეს ომებითა და დაპირისპირებულობით აღსავსე ჩვენს დროში პირთა უფლებები ამ სფეროში? ქართულმა სამართალმა ინტელექტუალური საკუთრების სამართალი სამართლიანად მიაკუთვნა კერძო სამართლის სფეროს, რომელიც ორ შტოდაა გაყოფილი. საავტორო და სამრეწველო საკუთრების სამართლად 1999 წელს მიღებულ იქნა კანონი, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ". კანონის მიხედვით ავტორად მიიჩნევა პირი, რომლის ინტელექტუალურ შემოქმედებით შრომის შედეგად შეიქმნა ნაწარმოები. ავტორთა უფლებები კი ორი სახის ქონებრივ და არაქონებრივ (მორალურ) უფლებებად დიფერენცირდება. მორალური უფლებების დაცვა კონტინენტური ევროპის სამართლის პირმშოა და იგი საერთო სამართლის ქვეყნებითაცაა მოწესრიგებული. არც ქართულმა საავტორო სამართალმა აუარა მას გვერდი და უფლებების ამგვარივე დიფერენცირება მოახდინა.

პირადი არაქონებრივი უფლებები დამოუკიდებელია პირადი ქონებრივი უფლებებისაგან. და მოქმედებს არა მარტო ავტორის სიცოცხლეში, არა-

მედ მისი გარდაცვალების შემდეგ. პირის უპირველეს არაქონებრივ უფ-ლებად მისი ავტორის უფლება სახელდება. რაც შესაძლებელობას ანიჭებს ავტორს წინ აღუდგეს სხვა პირის მიერ ამ ფაქტის ხელყოფას. ამასთან, ავტორობის ფარდ უფლებად განიხილება სახელის უფლებაც რომელიც ავტორობის უფლებასთან ერთად განუსხვისებელი უფლებაა. ავტორის მორალურ უფლებებში მოიაზრება შესაძლებლობა დაცული იქნას, ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან. ავტორისაგან პატივისა და ღირსების შეულახაობის პრინციპიდან გამომდინარე, რითაც არამარტო ნაწარმოების შინაარსია დაცული, არამედ დაცულია ფორმა, რა სახითაცაა იგი წარმოდგენილი რაც საავტორო სამართალში რეპუტაციის პატივისცემის უფლებად იწოდება. ავტორის უფლებაა თავად გამოიხმოს ნაწარმოები თუმცა გამოხმობის ხარჯების მთლიანად ავტორი გაიღებს მის ვალდებულებაში შედის გამოხმობის შესახებ საჯარო განცხადების გაკეთება.

Melano Karanadze

ABSTRACT

This work deals with the non-property qualification (moral) rights in the intelectual property law, mainly with the rights of the authorship and reputation of the work.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო კაშია

ეკოლოგიური უფლების ინფორმაციული უზრუნველყოფა

მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები წარმოადგენენ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს განუყოფელ ნაწილს. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ეკოლოგიურ უფლებას. აღნიშნული უფლების ინფორმაციული უზრუნველყოფა, ე.ი. მოქალაქეთა მიერ ეკოლოგიური მნიშვნელობის ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა განსაზღვრავს სახელმწიფოს დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარების დონეს, ნდობის ხარისხს მოქალაქეებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს შორის. საზოგადოებრიობის ინფორმირება ზრდის ადამიანის სამართალშეგნების ხარისხს, ხელს უწყობს ეკოლოგიური პრობლემების გააზრებასა და მათ გადაჭრაში უშუალო მონაწილეობას. 1995 წ. 23-25 ოქტომბერს ქ. სოფიაში მიღებული იქნა ეკოლოგიური პროგრამა ევროპისათვის, სადაც აღნიშნულია, რომ ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ აადვილებს გადაწყვეტილების მიღებას პოლიტიკასა და პრიორიტეტებთან მიმართებაში; ხელს უწყობს მონიტორინგისა და კონტროლის განხორციელებას, უზრუნველყოფს გამჭვირვალობას. გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პოლიტიკის განხორციელებისას თანამშრომლობის განვითარება და გაფართოვება დამოკიდებულია მონაცემების ხარისხის გაზრდაზე და უტყუარობაზე.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს ყოველი ადამიანის უფლებას თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია (მ. 24); გარდა ამისა 37-ე მუხლი ადგენს ადამიანის უფლებას მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ არ არის მიღებული ერთიანი ნორმატიული აქტი, რომელიც მოაწესრიგებდა

ეკოლოგიურ ინფორმაციასთან დაკავშირებულ საკითხებს. რაც შეეხება ეკოლოგიური ინფორმაციის შინაარსს, ზოგიერთი ავტორის აზრით იგი ცნობებს საგნების, ფაქტების, მოვლენებისა და პროცესების შესახებ, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს გარემოს, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და ადამიანის ჯანმრთელობის დაცვისათვის. ამასთან დაკავშირებით ზუსტი ცნება იქნა შემუშავებული თანამეგობრობის ქვეყნებისათვის სამოდელო კანონის სახით. აღნიშნულია, რომ ეს არის ნებისმიერი ინფორმაცია წყლების, ატმოსფეროს, ნიადაგის, დედამიწის, წიაღის, ცოცხალი ორგანიზმებისა და ეკოსისტემების ცვლილებების შესახებ; ასევე იმ საქმიანობის, ფაქტორებისა და ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ გარემოზე; ასევე შეიცავს ინფორმაციას ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით დაგეგმილი ან განხორციელებული საქმიანობის შედეგების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ პრობლემა არ ამოიწურება მხოლოდ ეკოლოგიური უფლების ცნების გარკვევით. პრობლემის მეორე მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ზემოთ აღნიშნული ინფორმაცია რამდენადაა ხელმისაწვდომი და რა სახის ცნობების მიღებაა შეზღუდული მოქალაქეთათვი.ს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 29-ე მუხლი ადგენს, რომ თავისი უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებისას ყოველა ადამიანი იმგვარად უნდა შეიზღუდოს, რაც კანონითაა დაწესებული, ე.ი. სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის, დემოკრატიული მოთხოვნების, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის დაკმაყოფილების მიზნით. ადამიანის უფლება-თავისუფლებათა დაცვის ევროპის კონვენციამ შემოიღო დამატებითი შეზღუდვები ეროვნული უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე. სწორედ სახელმწიფოს უსაფრთხოების ინტერესები იქცა პრობლემატურ მომენტად ინფორმაციული უფლების განხორციელებაში. ცხადია ერთი მხრიდან საჭიროა ამ უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფა, ხოლო მეორე მხრიდან სახელმწიფოს ინტერესების დაცვა. როგორც ჩანს მოცემული წინააღმდეგობის გადაწყვეტა დამოკიდებულია ორი პირობის შესრულებაზე: 1. ეკოლოგებმა უნდა აღიარონ, რომ ეკოლოგიური ინფორმაციის რაღაც გარკვეული ნაწილი შეიძლება იყო გასაიდუმლოებული; 2. პოლიტიკოსებმა კი აღიარონ, რომ ეროვნუ-

ლი უსაფრთხოება არ დაიყვანება მხოლოდ მოწინააღმდეგისაგან თავის დაცვაზე. სამართლებრივი გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს პრიორიტეტების გულმოდგინე ანალიზის გზით. უნდა იქნეს გათვალისწინებული ის პრინციპი, რომ დემოკრატიულ, სამოქალაქო საზოგადოებაში პირველ ადგილზე დგას პიროვნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემა, შემდეგ საზოგადოების და ბოლოს სახელმწიფოს. ამიტომ ხდება აუცილებელი ეკოლოგიური ინფორმაციის საკანონმდებლო რეგულირება და იმ საფუძვლების ამომწურავი ჩამოთვლა, რომლითაც უარი ითქმება მოთხოვნილი ინფორმაციის წარდგენაზე. მოქალაქეთა მიერ გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღებაზე უფლების რეალიზაციის უზრუნველყოფის პრობლემა ფართო დებატების თემაა ევროპის ქვეყნებში. 1990 წ. ევროპის საბჭომ მიიღო დირექტივა „გარემოს შესახებ ინფორმაციის თავისუფლებაზე", რომლის შესაბამისად წევრმა-სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ხელისუფლების ორგანოების ვალდებულება წარუდგინონ ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს მათი შეკითხვის ინტერესების მიზეზები გარკვევის გარეშე; ასევე დაადგინონ ამგვარი ინფორმაციის მიღების უზრუნველყოფის პრაქტიკული ზომების სისტემა. დირექტივა ადგენს იმ საფუძვლებს, რომლითაც შეიძლება უარის თქმა ასეთი ინფორმაციის გაცემაზე. ეს შემთხვევებია:

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მუშაობის კონფიდენციალური ცნობები;
- მონაცემები, რომლებიც ეხება სახელმწიფო უსაფრთხოებას;
- საქმეები, რომლებიც წინასწარი გამოძიების სტადიაზეა;
- კომერციული და სამრეწველო საიდუმლოება;
- პერსონალურ მონაცემთა ბაზის ან დოსიეს საიდუმლოება;
- მასალები, რომელთა გახმაურებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს გარემოს.

- ამავე საკითხზე მიღებულ იქნა დეკლარაცია რიო-დე-ჟანეიროში 1992წ. სადაც აღინიშნა, რომ ეკოლოგიური პრობლემები უნდა იქნეს განხილული ყველაზე უფრო ეფექტურად ყველა დაინტერესებული მოქალაქის მონაწილეობით.

- დღეს აშკარა ხდება საქართველოში ეკოლოგიური ინფორმაციის შესახებ საკანონმდებლო აქტის მიღების აუცილებლობა, სადაც იქნება

ეკოლოგიური ინფორმაციის ზუსტი დეფინიცია, მისი მიღების წესი, ასევე გამონაკლისები და შეზღუდვები ამგვარი ინფორმაციის მიღებაზე. ამ პროცესს კი შეუძლია რეალურად იმოქმედოს სახელმწიფოს საქმიანობაში ლეგიტიმურობისადმი ნდობის ხარისხზე საზოგადოების მხრიდან. ამის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლის დანაწესი, რომ სრულად, ობიექტურად და დროულად აცნობონ მოსახლეობას მოსალოდნელი და მომხდარი იმ მოვლენებისა და შედეგების შესახებ, რომელთაც შეუძლიათ უარყოფითი ზეგავლენა იქონიონ მათზე.

ABSTRACT

The main right of the citizens-the realization of the personal right is the most important part of the democratic state. Ecological right takes a particular place among them, the opportunity of getting information about it helps to solve this ecological problems justly. According to the constitution of Georgia every person has a right to receive or spread information. Every citizen has a right to have information about his or her living environment. And the legislative regulation of this right maybe realized as by inner state acts as by international pacts and agreements.

ლიტერატურა:

1. О.С. Корху, правовое регулирование права на экологическогоинформации, М. 2001. ст. 3—4.
2. А.Л. Архепов реальное гарантии права граждан на экологического информацию, М. 2000 г., стр. 6
3. Экологическая информация и принципы работы 2001, стр. 12—13.
4. Модельный закон об охране окружаюшей среды, страсбург, 1994г., ст. 12—13.
5. საქართველოს კონსტიტუცია - 1995 წ.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ომარ კასიძე

პლატონის ატომისტიკა

ფილოსოფიის ისტორიაში ჯერ არავის დაუკავშირებია ერთმანეთთან ფილოსოფია და მოძღვრება ატომის შესახებ ისე, როგორც ეს დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა გააკეთა. ეს საკითხი მან განიხილა „პლატონის ენციკლოპედიად" და „ანტიკური ცივილიზაციის გვირგვინად" წოდებულ ნაშრომში, დიალოგ „ტიმეოსში". ამ წიგნს იკვლევდნენ თეოლოგები და ფილოსოფოსები, ფილოლოგები და მათემატიკოსები, ბიოლოგები და ანთროპოლოგები, ფიზიკოსები და ასტრონომები, ფსიქოლოგები და მედიკოსები. მიუხედავად ასეთი ღრმა შესწავლისა, იგი მაინც რჩებოდა და დღესაც რჩება ანტიკური ეპოქის „ყველაზე ბნელ და ბუნდოვან წიგნად". ამის მიზეზი ის არის, რომ პლატონი აღნიშნულ ნაშრომში იკვლევს ისეთ ურთულეს პრობლემებს, როგორიცაა: სამყარო, ადამიანი, ბუნება, ატომები, ვარსკვლავები, გალაქტიკები, უსასრულობა, მარადისობა, სული და გონი. ეს საკითხები კი ისეთი „ბნელი" პრობლემებია, რომ ადამიანთა მოდგმას ჯერ არც-ერთ მათგანზე ჭეშმარიტი და ამომწურავი პასუხი არ გაუცია.

ტიმეოსიდან ჩანს, რომ პლატონი კარგად იცნობდა დემოკრიტეს ატომისტურ შეხედულებებს. მათ შორის დიდი მსგავსებაცაა და განსხვავებაც. მაგალითად, დემოკრიტესთან სული მატერიალურია, პლატონთან იმატერიალური, პირველის მიხედვით სული მოკვდავია, მეორეს მიხედვით-უკვდავი. ისინი აღიარებენ მიკრო და მაკრო სამყაროს არსებობას. ორივენი აღიარებენ გონმისაწვდომ სამყაროს რეალობას. ორივეს ატომიზმი მატერიის მათემატიკური კონცეფციისაგან იღებს დასაბამს. მიუხედავად ამ მსგავსებისა, თანამედროვე „ფიზიკის მიღწევების ფონზე - აღნიშნავს „ტიმეოსის" ქართულ ენაზე მთარგმნელი ბაჩანა ბრეგვაძე თავის წინასიტყვაობაში - თანდათანობით გამოიკვეთა რადიკალური სხვაობა პლატონისა და დემოკრიტეს ატომიზმს შორის, ასე რომ, რაც მეტად თუ

ნაკლებად მისატევებელი ჩანდა მეოცე საუკუნის დამდეგს, სრულიად შეუწყნარებელი შეიქნა დღეს" [1,44].

თანამედროვე თეორიული ფიზიკის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელი ვერნერ ჰაიზენბერგი, ადარებს რა მეცნიერთა მიერ აღმოჩენილ ელემენტარულ ნაწილაკებს პლატონის ტიმეოსის წესიერ სხეულებს, აღნიშნავს: „ისინი პირველ სახეებია, მატერიის იდეებია... ეს პირველსახეები მთელ შემდგომ პროცესს განსაზღვრავენ. ისინი ცენტრალური წესრიგის წარმომადგენლები არიან" [2,303].

პლატონის მოძღვრება მიკროელემენტების შესახებ უფრო მაღლა დგას უწესრიგო ფორმის მქონე დემოკრიტეს ატომების კონცეფციაზე და იგი ახლოს არის თანამედროვე მეცნიერთა მიერ მიკვლეულ მიკრონაწილაკთა სურათთან. დემოკრიტეს თანახმად, ატომები არიან უცვლელნი და მარადიული, ისინი ერთმანეთზე არ დაიყვანებიან, ხოლო პლატონის მიხედვით, პირიქით, ატომები იცვლებიან, ჩნდებიან და ქრებიან, გარდაიქმნებიან და ერთმანეთშიც გადადიან. პლატონის ამ უდიდესი აღმოჩენის შესახებ სამართლიანად აღნიშნავს ბაჩანა ბრეგვაძე: „მხოლოდ დიდი მათემატიკოსისა და ბუნებისმეტყველების იშვიათ ნიჭთან ორგანულად შერწყმულ გენიალურ ინტუიციას თუ შეეძლო ღრმად შეჭრილიყო მიკრონაწილაკთა იდუმალ სამყაროში და ჩამოეყალიბებინა თავისი სირთულითა და სითამამით გამაოგნებელი ჰიპოთეზა, რომელიც წინ უსწრებს მთელ ანტიკურობას და თანამედროვე ატომური ფიზიკის თვალსაზრისს უახლოვდება" [1,47].

პლატონიდან ოცდაოთხი საუკუნის შემდეგ ატომური ფიზიკისა და ქიმიის მკვლევარებმა: ბეკერელიმ, კიურებმა, რეზენფორდმა და სხვებმა ექსპერიმენტებით დაამტკიცეს, რომ დემოკრიტეს დებულება ატომთა უცვლელობის შესახებ მცდარია, ქიმიურ ელემენტთა ატომები რადიაქტიული დაშლის შედეგად სხვა ნივთიერებათა ატომებად გარდაიქმნებიან. 1919 წელს რეზენფორდმა ლაბორატორიაში შეძლო გაეხლიჩა ატომური ბირთვი, რომელიც დემოკრიტეს განუყოფელი, უცვლელი და გარდაუქმნელი ეგონა და განახორციელა ისტორიულად ჩვენთვის უცნობი ელემენტთა გარდაქმნის პირველი ხელოვნური რეაქცია. ალფა ნაწილაკებით აზოტის ბირთვის ბომბარდირების შედეგად ბირთვიდან ამოვარდა პროტონები, ხოლო აზოტი ჟანგბადად გადაიქცა. ამ აღმოჩენამ დაადასტურა პლატო-

ნის მოსაზრება ატომის ცვალებადობისა და გარდაქმნის შესახებ. მაგრამ, ამ ექსპერიმენტმა სამწუხაროდ ისიც დაადასტურა, რომ ფიზიკოსები ფილოსოფიისაგან შორს იდგნენ, რადგან ამ ექსპერიმენტის ჩამტარებლებმა არ იცოდნენ, რომ მათ მიერ აღმოჩენილი ატომის თვისებების შესახებ ოცდაოთხი საუკუნის წინ იწინასწარმეტყველა არა ფიზიკოსმა, არამედ ფილოსოფოსმა პლატონმა. თუმცა ფილოსოფოსობა მაშინ ფიზიკოსობასაც, მათემატიკოსობასაც და ბევრ სხვა რამესაც ნიშნავდა. ძალიან გაუჭირდათ ფილოსოფიისაგან შორს მდგარ მეცნიერებს ამ აზრის აღიარება, მაგრამ ჭეშმარიტება და ბუნება პლატონის მხარეზე იდგა. ამ საკითხთან დაკავშირებით ვ. ჰაიზენბერგი აღნიშნავდა: "დემოკრიტეს ფილოსოფიაში ატომები მატერიის მარადიულ განუყოფელ ერთეულებად გვევლინებიან, მათ არ შეუძლიათ ერთიმეორედ გარდაქმნა. თანამედროვე ფიზიკა დემოკრიტეს ამ დებულების წინააღმდეგ გამოდის და პლატონისა და პითაგორას მხარეზე დგება. ელემენტარული ნაწილაკები არ არიან მატერიის მარადიული და განუყოფელი ერთეულები, ფაქტიურად, მათ შეუძლიათ ერთიმეორედ გარდაიქმნან... თანამედროვე ფიზიკური წარმოდგენებისა და პლატონისა და პითაგორელების შეხედულებათა მსგავსება კიდევ უფრო ღრმაა. ელემენტარული ნაწილაკები, რომლებიც განხილულია პლატონის "ტიმეოსში", ბოლოს და ბოლოს მატერია კი არა, მათემატიკური ფორმებია. თანამედროვე კვანტური თეორიის მიხედვით, შეუძლებელია იმაში დაეჭვება, რომ ელემენტარული ნაწილაკები, საბოლოო ანგარიშით, მათემატიკური ფორმებია. თანამედროვე ფიზიკა იმავე გზით მიიწევს წინ, რომლითაც მიდიოდნენ პლატონი და პითაგორელები. ფიზიკის ეს განვითარება ისე გამოიყურება, თითქოს ამ გზის ბოლოს მიღწეული უნდა იქნეს ბუნების კანონის ძალზე მარტივი ფორმულირება, ისეთი მარტივი, როგორის ხილვასაც, იმედითა და სასოებით მოელოდა ჯერ კიდევ პლატონი" [3,48-49].

საუკუნეების განმავლობაში, ფილოსოფიისადმი ცალმხრივმა და არაობიექტურმა მიდგომამ გამოიწვია ატომისტიკაში პლატონის შეხედულებათა იგნორირება და გაყალბება, რამაც დიდი უარყოფითი გავლენა იქონია არა მარტო ფიზიკისა და ასტრონომიის, არამედ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარებაზეც. სამართლიანად აღნიშნავს ბაჩანა ბრეგვაძე, რომ „სკოლის მერხიდანვე ვეცნობით ნივთიერების ატომური აგებულების

დემოკრიტესეულ კონცეფციას, მაგრამ პლატონის ატომებზე მსჯელობა-
რატომღაც „აკრძალულ ხილად" ითვლებოდა მეცნიერებაში და მხოლოდ
ამ ბოლო წლებში გახდა შესაძლებელი, რომ მეცნიერებს თამამად, ყოველ-
გვარი მიკიბვ-მოკიბვისა და „მობოდიშების" გარეშე განეცხადებინათ: „მა-
ტერიის აგებულების პლატონური თეორია არც დემოკრიტეს მოძღვრების
გამეორებაა, არც მისი გადმოცემა თუ გადამუშავება. ესაა სრულიად
ორიგინალური ფიზიკური თეორია, გაცილებით უფრო რთული, უფრო
ღრმა და... უფრო საინტერესო ჩვენი დროის ფიზიკის თვალსაზრისით,
ვიდრე ყოველივე ის, რასაც დემოკრიტეს ატომისტიკაში ვპოულობთ...
პლატონის მიერ „ტიმეოსში" გადმოცემული ატომისტური კონცეფცია არა
მარტო განკერძოებით დგას ანტიკურ მეცნიერებაში: ესაა გამაოგნებელი,
უნიკალური და, გარკვეული თვალსაზრისით, პროვიდენციული მოვლენა
ევროპულ ბუნებისმცოდნეობის ისტორიაში. [1,79]

მეოცე საუკუნეში ფიზიკის დარგში გაკეთებულმა უზარმაზარმა აღმო-
ჩენებმა ხელი შეუწყვეს იმას, რომ პლატონი ნელ-ნელა, მაგრამ მაინც
იკავებს თავის საპატიო ადგილს ატომური ფიზიკის კვლევის დარგში. ამ
აღმოჩენებმა აიძულა ფიზიკოსები, რომ აქამდე იდეალიზმის სიმბოლოდ
წოდებული პლატონი, მატერიის კვლევის საქმეში, მატერიალიზმის
სიმბოლოდ აღიარებულ დემოკრიტეზე მაღლა დაეყენებინათ. თუ ფიზიკო-
სებმა სამართლიანობა აღადგინეს, ასტრონომებმა აწი უნდა გააკეთონ
იგი. პლატონი ისე შორს წავიდა ასტრონომიის გაფილოსოფოსების საქმე-
ში, რომ მან ასტრონომია არა მარტო ფილოსოფიას, არამედ სიყვარულს
დაუკავშირა. გასაოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ პლატონი ასტრონომიის
განმარტებას „ტიმეოსში" კი არ ახდენს, რომელიც სამყაროს წარმო-
შობაზეა მიძღვნილი, არამედ დიალოგ „ნადიმში", სადაც მხოლოდ სიყვა-
რულის საკითხები აქვს განხილული და აცხადებს, რომ „მეცნიერებას
ვარსკვლავთა წრიულ მიმოქცევასა და წელიწადის დროთა ბუნებაზე,
სიყვარულის გავლენის შესახებ ასტრონომია ეწოდება" [4,31].

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ პლატონის შემდგომ და დღევანდელ
ასტრო-ფიზიკოსთა მიერ ნაკვლევ ნაშრომებს პლატონის მიერ მიკვლეუ-
ლი სიყვარული აკლია, რომლის გარეშე ვერც კოსმოსი და ვერც სი-
ცოცხლე ვერ იარსებებდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Omar Kakhidzé

ATOMISTIQUE DE PLATON

Résumé

Dans l'ouvrage sont traitées les opinions de Démocrite et de Platon sur l'atome.

Les analyses des découvertes de physique quantique permettent de tirer la conclusion qu'on peut donnez une appréciation plus haute à la doctrine de l'idéaliste Platon sur l'atome qu'aux opinions atomistiques de Démocrite, matérialiste.

ლიტერატურა:

1. პლატონი, ტიმეოსი, თბილისი, 1994.
2. ჰაიზენბერგი ვ., ნაწილი და მთელი. თბ. 1983.
3. Геизенберг В., Физика и философия, М., 1963.
4. პლატონი, ნადიმი, 1964

პოლიტოლოგიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მანანა კოპალიანი

ივანე ჯავახიშვილი, როგორც იურისტი

დიდი გოეთე ამბობდა: "გამოჩენილ ადამიანთა გახსენება დროდადრო ფიქრებს აგვიშლის ხოლმე. ისინი წამოიმართებიან ჩვენ თვალწინ, როგორც ანდერძი თაობებისა".

ივანე ჯავახიშვილი სწორედ ასეთი ადამიანი იყო. მისი მოღვაწეობა ჭეშმარიტი ანდერძია შემდგომი თაობებისადმი.

ივ. ჯავახიშვილი მეცნიერული იარაღით იცავდა ქართველი ხალხის მონაპოვარს სამართლებრივ სფეროში. იგი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საკუთარი აზრის დაფიქსირებით, არამედ თამამად ასწორებდა ყველა მნიშვნელოვან მიდგომას ამ საკითხებისადმი. აკრიტიკებს რა რუს მეცნიერთა მ. კოვალენსკის და თ. ლეონტოვიჩის ნაშრომებს კავკასიელი და ქართველი ტომების ადათობრივი სამართლის ინსტიტუტების შესახებ, მიუთითებს, რომ ისინი თანამედროვე ზნე-ჩვეულებებში პირველყოფილი სოციალური ცხოვრების კვალს ეძებდნენ, ამ მეთოდით მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და მწერლობის მქონე ერის სოციალური ისტორიის შესწავლა შეუძლებელია და აუცილებლად მცდარ შედეგს მოგვცემს.

ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში უდიდესი ნაშრომი "ქართული სამართლის ისტორია", რომელიც ხანგრძლივი სამეცნიერო მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს და შესანიშნავ წარმოდგენას გვიქმნის ივანე ჯავახიშვილზე, როგორც იურისტზე. დასახელებული ნაშრომის ზოგიერთი ნაწილი ავტორს წინათაც ჰქონდა გამოქვეყნებული. მაგალითად, "Государственный строй древной Грузии и древной Армений, პეტერბურგში 1905 წელს. იმავე 1905 წელს თბილისში ჯერ გაზეთ "ცნობის ფურცელში", ხოლო შემდეგ ცალკე ამონაბეჭდის სახით გამოქვეყნდა ნაშრომი „საქართველოს მეფე და მისი უფლებების ისტორია" და სხვა.

1907 წლისათვის ივ. ჯავახიშვილის უკვე დაწერილი ჰქონდა "ქართუ-

ლი სამართლის ისტორია უძველესი დროიდან მოყოლებული მე-13 საუკუნის დამდეგამდის", რომლის ბეჭდვაც დაიწყო კიდეც 1909 წელს ალმანახში "ერი", მაგრამ ცენზურისაგან ორგანოს შეჩერების გამო პუბლიკაცია მალე შეწყდა. 1919 წელს ქუთაისში გამოქვეყნდა "ქართული სამართლის ისტორია" I წიგნი, რომელიც სინამდვილეში II წიგნის I ნაწილს წარმოადგენდა.

1928 წ. გამოქვეყნდა "ქართული სამართლის ისტორიის" პირველი წიგნი. I წიგნში განხილულია ქართული სამართალი და საეკლესიო სამართლის წყაროები. ნაშრომის ამ ნაწილში ავტორი მთავარ ყურადღებას წყაროების განხილვასა და სამართლის ტერმინოლოგიას აქცევს, რადგან სამართლის ამ საკითხების გარკვევა სამართლის ისტორიის ნამდვილ საფუძველს შეადგენს. აქ ავტორი იკვლევს ყოველი ძეგლის შედგენის დროს, პირობებს, მიზნებს და მოქმედების ასპარეზს, პირვანდელი ტექსტის სახესა და მისი დანაწილების წესებს. ამ საკითხების შესწავლამ ცხადყო, რომ ძველად საქართველოში იურიდიული ძეგლის შედგენის გარკვეული წესები ყოფილა შემუშავებული, რომელთა ცოდნა აუცილებელია ქართული სამართლის ძეგლების დამახინჯებული ადგილების აღდგენისათვის.

"ქართული სამართლის ისტორიის" II წიგნი ორ ნაკვეთად გამოქვეყნდა. პირველში განხილულია მე-9-13 საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო სამართლის, ტერიტორიის, მოსახლეობისა და სამოხელეო წყობილების საკითხები, ხოლო მეორე ნაკვეთით მთავრდება საქართველოს სახელმწიფო, სისხლისა, საკორპორაციო, სამოქალაქო სამართლისა და სამართალწარმოების ისტორია მონღოლთა შემოსევამდე. ამრიგად, მეორე ნაკვეთი პირველის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილმა ქართველოლოგიის მრავალ დარგს ჩაუყარა საფუძველი. ჩვენთვის, იურისტებისათვის, ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ღვაწლი ქართული სამართლის ისტორიაში.

ივ. ჯავახიშვილმა ქართული სამართლის ისტორიის შესწავლა დაიწყო სამართლისა და სამართლის აღმნიშვნელი ტერმინების გამოკვლევით. მან პირველმა მიაკვლია, რომ ტერმინი "კანონი" ქართული არ არის. იგი ქართულში ბერძნულიდან შემოვიდა, ხოლო თვით ბერძნულში ერთ-ერთი სემიტური ენიდან უნდა იყოს შესული, სადაც "კანონი" ლერწამს, ლელს ანუ სწორს ნიშნავდა, ბერძნულში კი კანონს თავდაპირველად ხუროს ერთ

ხის იარაღს ეძახდნენ, რომელსაც ოსტატები მუშაობის დროს თავზეს მაგიერ სისწორის დასაცავად ხმარობდნენ ხოლმე. ამრიგად, ივ. ჯავახიშვილმა მიაკვლია „კანონი", სისწორის სინონიმია, რომელიც სათნოებისა და ბოროტების საზომად ითვლებოდა, მე-2 საუკუნიდან კი „კანონი" სარწმუნოების წესს ნიშნავდა, რომელიც უნდა შესრულებულიყო[1]. ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია, აგრეთვე, სხვა იურიდიული ტერმინები, კერძოდ, „უფლება", „სჯული", „კანონიერება", „კანონმდებლობა", ასევე მრავალი სისხლის და სამოქალაქო სამართლის ცნებების აღმნიშვნელი ტერმინები.

ივ. ჯავახიშვილმა საფუძვლიანად შეისწავლა ქართული სამართლის, როგორც საეკლესიო, ისე საერო წყაროები. კერძოდ, ექვთიმე მთაწმინდელის „მცირე სჯულის" კანონი, „დიდი სჯულის" კანონი, ასევე ქართული საეკლესიო სამართლის ძეგლები: რუის-ურბნისის 1103 წ. კრების „ძეგლისწერა", „კათალიკოზთა სამართალი" და მრავალი სხვა.

საერო-საკანონმდებლო ძეგლებიდან ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს „ხელმწიფის კარის გარიგება", „წესი და განგებაჲ მეფედ კურთხევისა", „დასტურლამალი"(ეს ძეგლები ქართული სახელმწიფო სამართლის ანუ კონსტიტუციური ხასიათისაა). რაც შეეხება სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ძეგლებს, ივ. ჯავახიშვილს განხილული აქვს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლისდადება", ბექას და აღბუღას სამართლის წიგნი, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და კოდიკო, ასევე ერეკლე მეფისა და გიორგი XII-ის დროინდელი სახელმწიფო და სისხლის სამართლის ძეგლები.

ქართული სამართლის ტერმინებისა და ძეგლების შემდეგ იხილავს საქართველოში საგვარეულო წეს-წყობილებას და უძველესი პერიოდის სახელმწიფო წყობილებას[1].

ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო გაერთიანებული ფეოდალური ხანის სახელმწიფო წყობილებას. მან ამომწურავად შეისწავლა ამ პერიოდის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები, მათი ჩამოყალიბების წესი და მოხელეთა უფლებამოსილება[2]. ივ. ჯავახიშვილის მითითებით, საქართველოში ამ პერიოდის ხელისუფლების უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს ეწოდებოდა „დარბაზი", ხოლო მმართველობის უმაღლეს ორგანოს „სავაზირო". მას განხილული აქვს ხელისუფლებისა და მმართველობის ყველა რგოლი და მასში შემა-

ვალი ყველა თანამდებობის პირი: დარბაზის რიგის მოხელენი და ადვოკატ-
რები[2].

გარდა სახელმწიფო სამართლისა, ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს ქართული სისხლის სამართალი[2]. მას გამოკვლეული აქვს დანაშაულის შესახებ ზოგადი მოძღვრება, დანაშაულის აღმნიშვნელი ტერმინები, დანაშაულის კლასიფიკაცია, ბრალი და ბრალეულობა, თანამონაწილეობა დანაშაულში, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები[2].

ქართული სისხლის სამართლიდან ივ. ჯავახიშვილი ცალ-ცალკე იხილავს დანაშაულის ისეთ სახეებს, როგორიცაა სახელმწიფო დანაშაულები (განდგომა და ღალატი, მეფის შეურაცხყოფა), სქესობრივი და ზნეობრივი დანაშაულები, დანაშაული ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ, საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები[2].

სისხლის სამართლის დანაშაულებთან ერთად ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს სასჯელთა სისტემა და დასჯის საშუალებანი, როგორც საერო, ისე საეკლესიო სამართალში[3]. ივ. ჯავახიშვილი იხილავს შემდეგი სახის სასჯელებს: ქონებრივი სასჯელები, გვემითი სასჯელები, თავისუფლების აღკვეთა, საპყრობილეთა ორგანიზაცია, ექსორია და გაძევება, ასოთმიღება ანუ განპატიჟება, სიკვდილით დასჯა. დიდი ყურადღება ეთმობა სასჯელის მიზნებს და დანიშნულებას ქართულ სამართალში.

ივ. ჯავახიშვილს შესწავლილი აქვს ქართული სამოქალაქო სამართალი. იგი იხილავს ნივთებს, მათ სახეებს, ასევე ქონებას, მფლობელობას, საკუთრებას და ვალდებულებით სამართალს, ხელშეკრულების ცალკეულ სახეებს[3].

ივ. ჯავახიშვილი სამოქალაქო სამართალში იხილავს საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის საკითხებს, კერძოდ ქორწინებას, ცოლ-ქმრობის წესებს, განქორწინებას და საცოლქმრო საკუთრებას. სამემკვიდრეო სამართლიდან შესწავლილი აქვს კანონით მემკვიდრეობა და ანდერძით მემკვიდრეობა[3].

ძალზედ საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული ივ. ჯავახიშვილს ქართულ სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის პრობლემებზე. მას განხილული აქვს ქართული სასამართლო წყობილება, ქართული საპრო-

ცესო სამართალი, კერძოდ სისხლის სამართლის პროცესი და დამამტკიცებელი საბუთები[3].

ივ. ჯავახიშვილის ნაღვაწი ქართული სამართლის ისტორიაში მონღოლთა შემოსევამდე მოდის. შემდგომი პერიოდის ქართული სამართლის ისტორიაში მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ: პროფ. ი. სურგულაძეს, პროფ. ი. დოლიძეს, პროფ. ა. ვაჩეიშვილს, პროფ. გ. ნადარეიშვილს, პროფ. მ. კეკელიას და სხვებს.

ივანე ჯავახიშვილმა უდაოდ ფასდაუდებელი ღვაწლი გაწია ქართველი ხალხის სამართლებრივი ფენომენის ყველა ასპექტის გამოსაცემად. მან შექმნა ის ფუნდამენტი, რომელზედაც დგას ქართული სამართალი.

როგორც ცნობილია, მან პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი დაამთავრა და სპეციალური იურიდიული განათლება არ მიუღია. სამართლის მეცნიერებას იგი დამოუკიდებლად დაეუფლა. მან საფუძვლიანად შეისწავლა რომის სამართლის ისტორია და სისტემა, რომელიც სამართლის ისტორიის საფუძველს შეადგენს, ხოლო შემდეგ გამორჩეული მეცნიერების: პ. ბრუნერის, რ. შნედერის, ა. ესმენის, ვ. სერგეევიჩის ფუნდამენტური შრომების მიხედვით გერმანული, ფრანგული, ბიზანტიური და რუსული სამართლის ისტორიას დაეუფლა.

მან საფუძველი ჩაუყარა ქართული იურისპუდენციის შეუცდომელი გზით განვითარებას და ეს ფუნდამენტი ივანე ჯავახიშვილის მიმართული სამართლებრივი მასალით ისე მყარად იქნა აშენებული, რომ თანამედროვე სამართლის მეცნიერება თამამად დგას ამ ძირძველ ეროვნულ საძირკველზე. აი, სწორედ ეს არის უდიდესი დამსახურება ივანე ჯავახიშვილისა ქართული სამართლებრივი მეცნიერების წინაშე.

ეს ბუმბერაზი მეცნიერი – დიდი ივანე მიუხედავად ყველაფრისა, ვერ ასცდა ბუნების კანონზომიერებას – გარდაცვალებას, მაგრამ ჭეშმარიტად ეს იყო გარდაცვალება და არა სიკვდილი.

არწივები თავის სტიქიაში აფრენილნი კვდებიან თურმე, დიდი ივანეც, როგორც თვითონ ამბობდა თავისი საყვარელი საქმის შესრულებისას წავიდა ამ ქვეყნიდან, მოკვდა ლამაზად, მოკვდა ისე, რომ სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იხდიდა ვალს ქვეყნის და ხალხის წინაშე.

М.В. Копалиани

И.А. ДЖАВАХИШВИЛИ, КАК ЮРИСТ

Резюме

В работе подчеркивается, ту огромную роль великого ученого, сыгравшую в систематизации древногрузинской юридической литературы. Известно, что ему принадлежит фундаментальный труд, „История грузинского права", который был опубликован в дух частях.

В данной статье утверждается, что И.А. Джавахишвили способствовал развитию грузинской юриспруденции по верному пути, и этот фундамент оказался настолько прочным, что современная прововая наука до сих пор твердо стоит на этой национальной основе.

ლიტერატურა:

1. ივ. ჯავახიშვილი, სრული კრებული XII ტ., ტ. VI, თბ. 1982 წ.
2. ივ. ჯავახიშვილი, სრული კრებული XII ტ., ტ. VII, თბ. 1984 წ.
3. სერგო ჯორბენაძე, ცხოვრება და ღვაწლი ივ. ჯავახიშვილისა, თბილისი, 1984 წ.

სამართლის თეორიისა და ისტორიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მედეა ლომინაშვილი [1]

ადგილობრივი ბიუჯეტის როლი იმერეთის მხარის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების დაძლევის საქმეში

გარდამავალი პერიოდის საქართველოს ურთულეს პრობლემებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანია ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფა, როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონალურ დონეზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს რეგიონის განვითარებაში არსებული დისპროპორციები, რომელმაც მწვავე გამოვლინება ჰპოვა გარდამავალი კრიზისული პროცესების ფონზე. რეგიონის ეკონომიკური მდგომარეობის დეპრესიულობის უფრო თვალსაჩინოდ ასახვის მიზნით საჭიროა რეგიონალური სიტუაციის ცალ-ცალკე გაანალიზება, თუმცა ახლა ძნელად თუ ვინმეს გააკვირვებს ეკონომიკური დაცემის და დეგრადაციის ფაქტების გამოვლენა, უფრო მეტიც, უკვე მოსაბეზრებელიც კი გახდა მასობრივი ინფორმაციის წყაროების მხრიდან ამ ფაქტების გაშუქება, მაგრამ საქმე იმაშია, რომ მსგავსმა ინფორმაციამ შეიძლება უბიძგოს მართებული გადაწყვეტილების იმპულსის მიღებისაკენ, ამისათვის ანალიზი უნდა იძლეოდეს ტერიტორიის ეკონომიკური მდგომარეობის რაოდენობრივ შეფასებას, რომელიც მოგვცემს რეგიონის რეალური ეკონომიკური შესაძლებლობების დანახვის საშუალებას. ეს საკითხი იმდენად აქტუალურია, რამდენადაც ცალკეულ რეგიონს შეაქვს გარკვეული წვლილი ქვეყნის ეკონომიკური კლიმატის ფორმირების საქმეში.

ცენტრალიზებულ-გეგმიანი ეკონომიკიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პროცესი, განსაკუთრებით მძიმე იმერეთის მხარისათვის, როგორც მთლიანად საქართველოში, იყო 1992-1994 წლებში. 1995-1998

[1] იბეჭდება, როგორც „ფინანსების და კრედიტის" კათედრის ასპირანტის ნაშრომი. ხელმძ. ეკონ. მ/დ, პროფ. რევაზ კაკულია.

წლებში შეიმჩნეოდა მეტ-ნაკლებად სტაბილური და აღმავალი განვითარება, რომელიც 1999 წლის ბიუჯეტის დეფიციტით შეიცვალა. საბიუჯეტო კრიზისი სწორედ ამ ტრანსფორმაციულ პროცესებს უკავშირდება, რომელსაც საფუძველი 90-იან წლებში ჩაეყარა. ქვეყნის ახალი გზით წაყვანისათვის საჭირო იყო რადიკალური ცვლილებები, რომლებიც ხელს შეუწყობდა მისი ისეთი სეგმენტის ჩამოყალიბებას, როგორიცაა ადგილობრივი, ბიუჯეტთაშორისი ურთიერთობების ოპტიმალური მექანიზმი, რაზეც ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა. ხოლო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდმა მკაფიოდ გვიჩვენა, რომ საბიუჯეტო პოლიტიკის ცივილიზებული მოდელის შემუშავება-რეალიზაციამდე ჯერ კიდევ შორს ვართ. საბიუჯეტო სისტემის სტაბილურობის მიღწევის პირობაა თითოეული რეგიონის ბიუჯეტისთვის საკუთარი და მარეგულირებელი შემოსავლების სწორი განსაზღვრა. ამასთანავე საჭიროებისამებრ ხდება მათი დაფინანსება ზემდგომი ბიუჯეტის მიერ, მაგრამ მთავარი არის მაინც საკუთარი საშემოსავლო წყაროებით უზრუნველყოფა, ამასთან დაკავშირებით 2000 წლის იმერეთის ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტის დამტკიცებისას გაჟღერდა ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსული თანხების მთლიანად მათ განკარგულებაში დარჩენის საკითხი, რამეთუ ქვეყანაში გამძაფრებულმა საბიუჯეტო კრიზისმა გაართულა ცენტრალური ბიუჯეტის მხრიდან ტერიტორიული ერთეულების დაფინანსების საკითხი. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემების გაანალიზებისას (ცხრილი 1) თვალსაჩინო და გამჭვირვალეა იმერეთის ცალკეულ რეგიონზე ტრანსფერტის გადაცემის დინამიკა, ჯერ კიდევ 1998 წელს იმერეთის რეგიონზე გაუცემელმა ტრანსფერტებმა შეადგინა 2079,0 ათასი ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებული თანხის 26,6 პროცენტია, ხოლო 1999 წელს მისი სიდიდე იყო 2696,0 ათასი ლარი. მაშასადამე, 1999 წლის მონაცემებით იმერეთის მხარეს დააკლდა გადასაცემი ტრანსფერტის 30,3 პროცენტი, ამ უკანასკნელს დაემატა ბიუჯეტის 5983,0 ათასი ლარით - 16,85 პროცენტით შეუსრულებლობა (ცხრილი 2), შედეგად იმერეთის მხარე დადგა ისეთი პრობლემის წინაშე, როგორიცაა გაუცემელი პენსიები, დახმარებები, განათლების მუშაკთა ხელფასები და სხვა. ტერიტორიული ერთეულების ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების საკითხს კიდევ უფრო მეტი საშიშროების წინაშე აყენებს 2000 წლის ბიუჯეტის დამტკი-

ცების დაგვიანებული პროცესი.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ადგილობრივ ბიუჯეტებზე მიმაგრებული გადასახადები საკმარისი არ არის მათზე დაკისრებული ამოცანების დასაფინანსებლად. მაშასადამე, ტერიტორიული ერთეულების განვითარების ხელშეწყობის მიზნით საჭიროა მათთვის მეტი დამოუკიდებლობის მინიჭება, დღესდღეობით, პირიქით, იზრდება ცენტრალურ ბიუჯეტთან დამოკიდებულების საკითხი. ეს უკანასკნელი ხდება ტერიტორიული ერთეულების მხრიდან სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროგრამების დაუფინანსებლობის მიზეზი.

იმერეთის მხარის ტერიტორიულ ერთეულებზე ბიუჯეტიდან ტრანსფერტების გადაცემის დინამიკა

ტერიტორიული ერთეულების დასახელება	1997			1998			1999			
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	პროექტი
იმერეთის მხარე	5916.0	5679.7	96.0	7811.0	5732.0	73.4	8887.0	6191.0	69.7	11535.0
ქუთაისი	1805.0	1700.0	94.2	2600.0	1890.0	72.7	1960.0	1517.0	77.4	3630.0
ქ. ჭიათურის ზონა	906.0	806.0	89.0	865.0	865.0	100	978.0	663.0	67.8	1080.0
ქ. ტყიბული	623.0	681.7	109.4	666.0	575.0	86.3	944.0	630.0	66.7	975.0
ქ. წყალტუბოს ზონა	348.0	348.0	100	603.0	334.0	503.2	743.0	533.0	71.7	1010.0
ბაღდათის რაიონი	258.0	258.0	100	306.0	215.0	702.6	455.0	325.0	71.4	630.0
ვანის რაიონი	146.0	146.0	100	380.0	335.0	88.2	431.0	314.0	72.9	650.0
ზესტაფონის რაიონი	100.0	100.0	100	48.0	20.0	41.7	313.0	61.0	19.5	280.0
თერჯოლის რაიონი	328.0	328.0	100	396.0	265.0	66.9	591.0	410.00	69.4	690.0
სამტრედიის რაიონი	50.0	50.0	100	382.0	171.0	44.8	382.0	145.0	38.0	180.0
საჩხერის რაიონი	634.0	544.0	85.8	555.0	320.0	57.7	792.0	602.0	76.0	900.0
ხარაგაულის რაიონი	441.0	441.0	100	533.0	391.0	73.4	630.0	485.0	77.0	780.0
ხონის რაიონი	227.0	227.0	100	477.0	351.0	73.6	668.0	506.0	75.7	730.0

წყარო: საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მონაცემები.

რეალურად ადგილობრივი საბიუჯეტო სისტემის მოწყობა უკავშირდება საკანონმდებლო ღონისძიებების გატარებას, რაც გულისხმობს მათზე ისეთი საშემოსავლო წყაროების მიმაგრებას, რომლითაც მიღწეული იქნება საჭირო ოდენობის საბიუჯეტო შემოსავლების მიღება, ანუ დღევანდელ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი ამოცანაა შემოსავლების მაქსიმიზაცია და სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის დეფიციტის მინიმიზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რება. პრობლემის აქტუალობას ხაზს უსვამს იმერეთის რეგიონებისა და ქალაქების 1998-99 წლების კლებადი საშემოსავლო მაჩვენებლები. თუ 1998 წელს მისმა გეგმიურმა მაჩვენებელმა შეადგინა 30955,5 ათასი ლარი, ფაქტიური თანხა იყო 30862,5 ათასი ლარი, ანუ საშუალოდ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი იყო მაღალი - 99,69 პროცენტი, 1999 წელს შემოსავლების გაუმჯობესების ნაცვლად დაფიქსირდა მისი 83,15 პროცენტით შესრულება, ე.ი. წინა წელთან შედარებით ბიუჯეტის დეფიციტი გაიზარდა 16,54 პროცენტამდე (ცხრილი 2). ბიუჯეტის შემოსავლების არასტაბილურობის გამო აქცენტი უნდა გაკეთდეს ცენტრალურ და ადგილობრივ ბიუჯეტებს შორის ზოგიერთი გადასახადის წილობრივი სიდიდის ცვლილებაზე.

იმერეთის რაიონის საბიუჯეტო შემოსავლები 1998-2000 წლებში (ათას ლარებში)

ცხრილი №2

რაიონის დასახელება	სულ შემოსავლები						2000 წ. პროექტი
	1998 წელი			1999 წელი			
	გეგმა	ფაქტი	%	გეგმა	ფაქტი	%	
ქუთაისი	14609.6	14674.7	100.4	15960.0	12971.2	81.3	15000.0
სამტრედია	3104.2	3268.2	105.3	3623.6	3638.6	100.4	3800.0
წყალტუბო	1932.5	2056.7	106.3	2123.0	2191.4	103.2	2351.0
ტყიბული	908.1	706.9	77.8	954.7	678.9	709.34	1046.0
ბაღდათი	792.3	805.0	101.6	810.0	811.2	100.1	930.0
ზესტაფონი	3864.0	4363.4	112.9	3662.3	3255.6	88.9	3795.0
თეკოლა	1605.00	1307.4	81.5	2068.2	1333.9	64.5	1700.0
ხონი	659.7	586.1	88.4	614.0	619.4	100.9	1000.0
ვანი	848.8	867.7	102.2	1136.4	793.7	69.8	1100.0
ხარაგაული	405.0	386.7	95.5	588.5	358.8	60.97	550.0
ჭიათურა	1627.0	1161.7	71.4	3111.9	2225.5	71.5	4200.0
საჩხერე	599.3	678.0	113.1	854.0	645.0	75.5	900.0
სულ იმერეთის მხარე	30955.5	30862.5	99.69	35506.6	29523.2	83.15	36372.0

წყარო: იმერეთის მხარის ეკონომიკის დეპარტამენტის დაცული მუხლების მონაცემები.

თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ საბიუჯეტო დეფიციტის მიზეზი მხოლოდ ზემოთ თქმული არ არის, როგორც მთლიანად საქართველოში, ასევე იმერეთში. უკანასკნელს ამწვავებს ჩრდილოვანი ეკონომიკის მაღალი ხვედრითი წონა და გადამხდელთა დაბალი საგადასახადო კულტურა,

რაც ხშირად ხდება ქვეყანაში ეკონომიკური დესტაბილიზაციის მიზეზი და ქვეყანა დგება სოციალური პრობლემების წინაშე. ამ სფეროს რეორგანიზაციაში არც თუ უმნიშვნელო წვლილი დაკისრებული აქვთ ადგილობრივი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობას. მათ დონეზე უნდა განისაზღვროს რამოდენიმე წლის სოციალურად ორიენტირებული პროგრამები, რაც მეტად რთული და საპასუხისმგებლო მისიაა, რომელიც მოითხოვს დიდ ენერგიასა და ფინანსებს, ეს იძლევა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისათვის მეტი ავტონომიურობის მინიჭების საკითხის წამოჭრის საბაბს.

Medea Lominashvili

LOCAL BUDGET'S ROLE ABOUT THE COPE OF SOCIAL END ECONOMICAL PROBLEMS IN THE REGION OF IMERETI

At present the problem of budget order in Georgia is sharp work and needs ugent maintenance, both in the seperate regional levels as well.

We can note, that it's the main problem. Cardinally must be changed the prinsiple of budget working out. All first policy must be defined and then the ground economic programme must be worked out.

In 1995-98 more or less rising budget was changed by budget crisis. The deficit in the region of Imereti included 5.9834 thousand lari. Situation was strained by the delayed process of passing budget for 2000.

Fore going gives us ground to say, that reform changes taken place letely proved to be nonadequate of existant situation and their further perfect is urgent.

ლიტერატურა:

1. იმერეთის მხარის ეკონომიკის დეპარტამენტის 1998-1999 წლებისა და 2000 წლის პროექტის დაცული მუხლების საპასპორტო მონაცემები.

2. В.Н.Лексин А.Н. Швецов "Государство и регионы", Масква. 1995 г. стр.: 15-63.

ფინანსებისა და კრედიტების კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ნიკოლოზ ლომთაძე [1]

მიმოქცევაში ქაღალდის ფულის დამკვიდრება ევროპასა და აშშ-ში

(კრედიტი არის ძალა, რომელიც შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ შეუძ-ლებელია კონსტრუირებულ იქნას)

მას შემდეგ, რაც მოიპოვება წერილობითი დოკუმენტები, ე.ი. უკვე 3000 წლის წინ, ძვირფასი მეტალები უწევდნენ ადამიანებს ფულის მაგივრობას. უძველესი თიხის ფირფიტები ჩვ.წ.აღ-მდე 3 ათასწლეულიდან მოწმობენ, რომ უკვე იყიდებოდა მინდვრები ვერცხლზე. ვერცხლი უძვე-ლესი დროიდან ასრულებდა ფულის ფუნქციას. ფულის განვითარების ისტორიისთვის ოქრო თამაშობდა მეორეხარისხოვან როლს ვერცხლთან შედარებით. და საერთოდ, ძვირფას მეტალებს გაცილებით დიდი ისტორია აქვთ ქაღალდის ფულთან შედარებით.

იმ დროს, როცა 17-18 საუკუნეებში მიმოქცევაში შემოვიდა ოქროს ვალუტა და თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია მე-19 საუკუნეში, ვითარდებოდა აგრეთვე ქაღალდის ფული.

დამრგვალებული რაოდენობის გამომხატველი, დაბეჭდილი ქაღალდის ფული ევროპაში პირველად შვეიცარიაში გამოვიდა მიმოქცევაში 1661 წელს. მაგრამ მე-17 საუკუნეში გამოგონება ქაღალდის ფული ჯერ კიდევ ჰაერში იყო გამოკიდებული. ქაღალდის ფულის პირველმა ნაკადმა ვერ ჰპოვა სწრაფი გავრცელება, რადგან იგი ასოცირდებოდა მიმოქცევაში მყოფ თამასუქებთან. ქაღალდის ფული უფლებამოსილებას აძლევდა მის მფლობელს, მიეღო იმ დროისათვის შვეიცარიაში მიმოქცევაში მყოფი სპი-ლენძის ფულის განსაზღვრული რაოდენობა. ამ ეკონომიკური ინსტრუ-მენტის გამომგონებელი იყო იოჰან პალმსტრუხი, რომელიც წარმოშობით იყო რიგიდან და იმ დროისათვის მსახურობდა შვეიცარიის მეფის კარზე.

---

[1] გერმანიის რესპუბლიკის ქ. საარბრიუკენის უნივერსიტეტის სტუდენტი და პროფ. რ. კაკულიას ასპირანტი.

ქაღალდის ფულის უპირატესობას წარმოადგენდა მისი დაბალი წონა სპილენძის ფულთან შედარებით; 10 ტალერიანი სპილენძის მონეტა იწონიდა დაახლოებით 20 კგ-ს, 2 ტალერიანი - 3,5 კგ-ს. ქაღალდის ფული, თავისი დაბალი წონის გამო, შესაძლებლობას ქმნიდა, გადაჭრილიყო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ბანკნოტების განაღდება ხდებოდა სტოკჰოლმის ბანკის მიერ ("Stockholm Banco"). ბანკნოტების გასანაღდებლად აუცილებელი სპილენძის რაოდენობა, რეზერვად შენახვის ნაცვლად დაგირავებულ იქნა ბანკის მიერ. ამიტომ უკვე 2 წლის შემდეგ 1663 წელს ბანკს აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ბანკნოტების განაღდება. ამის გამო 1664 წელს სტოკჰოლმის ბანკი დაიხურა.

უნდა აღინიშნოს, რომ 1661 წლამდეც არსებობდნენ ქაღალდის ბანკნოტები, მაგრამ მხოლოდ როგორც სადეპოზიტო ბარათები ღირებულების გამოხატვის წილადური ფორმით. სიახლე პალმსტრუხის კონსტრუქციაში იყო ის, რომ ბანკნოტები

- გამოსახავდნენ ღირებულების დამრგვალებულ ერთეულს
- იყვნენ დაბეჭდილნი

ამ ბანკნოტებზე, გარდამავალი ჩეკებისგან განსხვავებით, არ იყო დაფიქსირებული გაცემული იყვნენ ისინი ბანკში არსებული ძვირფასი ლითონის მარაგის საფუძველზე, თუ ბანკის მიერ შექმნილი კრედიტით. ეს კი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო საკრედიტო ურთიერთობების განვითარებისთვის.

ბანკნოტების გამომშვები შემდეგი ბანკი იყო ინგლისის ბანკი ("Bank of England"), რომელიც დაარსდა 1694 წელს. საკუთარი ვალის ასანაზღაურებლად, რომელიც შეადგენდა 1,2 მლნ. ფუნტს, მთავრობამ ინგლისის ბანკს მიანიჭა უფლება, გამოეშვა ქაღალდის ფული, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება განაღდებულიყო მეტალის მონეტებით. მიუხედავად არადივერსიფიცირებული პორტფელისა, ბანკის სოლვენტობის გარანტს წარმოადგენდა ნდობა სახელმწიფოსადმი.

100 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ ინგლისის ბანკის ბანკნოტები მიმოქცევაში და მათი განაღდება შესაძლებელი იყო ვერცხლით ან ოქროთი. 1797-დან 1820 წლამდე საფრანგეთთან ომის გამო მოხდა ბანკნოტების განაღდების სუსპენდირება. იგივე განმეორდა პირველი მსოფლიო

ომის პერიოდში 1914-1918 და ომისშემდგომ წლებში 1925 წლამდე. 1925 წლიდან შეწყდა ინგლისის ბანკის ბანკნოტების განაღდება მხოლოდ ოქროს მონეტებით, ხოლო 1931 წელს შეწყდა საერთოდ ოქროთი განაღდება.

ჯონ კენტ გოლბრაითი თავის წიგნში - ფული, საიდან მოდის ის და საით მიდის - აღნიშნავს: „თუ სავაჭრო ბანკების ისტორია ეკუთვნის იტალიელებს და ცენტრალური ბანკის - ინგლისელებს, მაშინ მთავრობის მიერ გამოცემული ქაღალდის ფულის ისტორია ეჭვგარეშე ეკუთვნის ამერიკელებს."

უკვე 1690 წელს უშვებდა მასაჩუსეტის კოლონია 10 შილინგიან კუპიურებს, რომელთა განაღდება სახელმწიფო სალაროებში 5%-იანი პრემიით ხდებოდა. მალე დანარჩენმა კოლონიებმაც მიბაძეს მასაჩუსეტს. 1751 წელს ინგლისის პარლამენტმა აკრძალა ქაღალდის ფულის გამოცემა ნიუინგლენდში (ინგლისის კოლონია ამერიკაში) და შემდეგ დანარჩენ კოლონიებშიც.

აგრეთვე კანადაში, საფრანგეთის კოლონიებში, 1685 წლიდან უკვე გამოიცემოდა „სათამაშო კარტის ფული". ჯარისკაცებისათვის გადასაცემი სოლდების ტრანსპორტირება გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, ამიტომ საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელი დე მიულე მივიდა დასკვნამდე, რომ მიმოქცევაში მყოფ კარტის ფულზე გაეკეთებინა თავისი ხელმოწერა; ამით იგი იძლეოდა პირად გარანტიას განაღდებაზე. ამ მცდელობამ მართლაც გაამართლა, როგორც მიულე აღნიშნავდა საფრანგეთის მთავრობისადმი გაკეთებულ მოხსენებებში. სათამაშო კარტის ფული 1685 წლიდან მე-18 საუკუნის შუახანებამდე დარჩა მიმოქცევაში კანადაში (საფრანგეთის კოლონიებში).

ამერიკაში სამოქალაქო ომის დაწყებასთან ერთად ქაღალდის ფულის ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი - ჭენებითი ინფლაცია.

1775-1779 წლებში ამერიკის კონგრესმა გამოსცა „ბილზ ოვ კრედიტი" ("bills of credit" ანუ იგივე "continental money"), 1781 წელს ღირებულებითი თანაფარდობების შემოწმებისას უცხოურ ვალუტებთან, ფულის კურსმა შეადგინა თავდაპირველი ღირებულების 1%. ამის გამო მოხდა „ბილს ოვ კრედიტის" რეპუდირება ანუ მიმოქცევიდან მისი ამოღება.

აშშ-ში ქაღალდის ფულის წარუმატებელი სტარტის შემდეგ მისი რო-

ლი შემდგომ წლებში საგრძნობლად შემცირდა. მაგრამ მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ამერიკაში იმატა მცირე კერძო ბანკების რაოდენობამ: 329 ბანკი - 1829 წელს, 1600 ბანკი - 1861 წელს. 1600-მა ბანკმა გამოუშვა 7000 სხვადასხვა სახის ბანკნოტები, რომელთაგან 5000 გაყალბებულ იქნა.

აშშ-ში ჭენებითი ინფლაციის პერიოდი, რომელიც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, დაიწყო სამოქალაქო ომის დაწყებასთან ერთად და მისი ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ ომის დაფინანსება ხდებოდა სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ქაღალდის ფულით "გრინბეკი", რომელიც წარმოადგენდა კანონიერ საგადამხდელო საშუალებას და ეროვნული ბანკების მიერ გამოშვებული ბანკნოტებით, რომელთა განაღდებაც შეიძლებოდა "გრინბეკით". მაშინ, როცა სხვა ბანკნოტების ღირებულება 43-ჯერ დაეცა, გრინბეკმა შეძლო შედარებით შეენარჩუნებინა თავისი კურსი; მისი ღირებულება მხოლოდ 2-ჯერ დაეცა. 1879 წლის 1 იანვრიდან იგი უკვე შეიძლებოდა ოქროთი განაღდებულიყო ისე, რომ მისი რაოდენობა მიმოქცევაში არ შემცირებულა.

1913 წელს ძალაში შევიდა ფედერალური სარეზერვო აქტი და 1914 წელს დაარსდა ფედერალური სარეზერვო სისტემა. მის მიერ გამოცემული ბანკნოტების მოცულობა ძალიან მცირე იყო და მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიაღწია დიდ მასშტაბებს.

საფრანგეთში ქაღალდის ფულის გამოშვებასთან დაკავშირებული პირველი ნაბიჯები უკავშირდება შოტენ ჯონ ლოს სახელს. მან 1716 წელს დააარსა გენერალური ბანკი ("Banque Gènérale"), რომლის ფუნქციონირება წარიმართა ინგლისის ბანკის მოქმედების პრინციპით. გენერალურმა ბანკმა თავის თავზე აიღო სახელმწიფო ვალის ნაწილი და გამოსცა ბანკნოტები, რომელთა განაღდება შესაძლებელი იყო მიმოქცევაში მყოფი მონეტებით. ჯონ ლომ მოახერხა შეექმნა სპეკულატიური ჰავა, რის გამოც გენერალური ბანკის და ბანკთან არსებული საზოგადოებების აქციებმა საკმაო წონა შეიძინეს. თანდათან ბანკნოტებმა მყარად მოიკიდა ფეხი მიმოქცევაში. ამას ხელი შეუწყო მეტალის მონეტების 2-ჯერ შეცვლამაც. ისინი გამოცხადდა გაუქმებულად და შეიცვალა ახლად გამოშვებული მონეტებით, რა თქმა უნდა, ნაწილობრივი პროცენტული დაქვითვის ხარჯზე, რაც ნიშნავდა მეტალის ფულის მფლობელთა დაბეგვრას. სწორედ ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზით ამოღებული თანხის საფუძველზე ხდებოდა ბანკნოტების გასანაღდებელი თანხის უზრუნველყოფა.

მაგრამ ბანკმა ვერ შესძლო დაეძლია დაკისრებული ამოცანა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სახელმწიფო ვალი დაეფარათ ბანკნოტებითა და აქციებით. ბანკნოტებზე მოთხოვნა რომ გაზრდილიყო, მათ უნდა შეესრულებინათ ფულის ფუნქციები და მიმოქცევაში უნდა დაეჭირათ მონეტების ადგილი. ამიტომ აკრძალულ იქნა გადახდა მეტალის მონეტებით და საბოლოოდ 1720 წლის 1 მაისს აიკრძალა ოქროთი გადახდაც. მიმოქცევაში მყოფ ქაღალდებზე კონტროლის შესანარჩუნებლად გამოცემულმა კანონმა 1720 წლის 21 მაისს, რომელიც ანახევრებდა ბანკნოტების ღირებულებას, კრახი განიცადა. უკვე მეორე დღეს მილიარდობით ღირებულების აქციებმა და ბანკნოტებმა დაკარგეს თავიანთი ღირებულება. ასეთი გამოცდების შემდეგ მომდევნო ათწლეულებში ქაღალდის ფულმა ველარ მოიკიდა ფეხი. მხოლოდ 1776 წელს კვლავ დაარსდა ბანკი, რომელმაც მოახდინა ბანკნოტების ემისია. 1793 წელს ბანკი დაიხურა და მოხდა მისი ბანკნოტების განაღდება ასიგნატებით. ასიგნატებზე დიდ დაწოლას ახდენდა მიმოქცევაში მყოფი ფულის დიდი რაოდენობა, ამის გამო მისი ფასი თანდათან ეცემოდა.

1793 წელს იმ პირს, რომელიც განსხვავებულ ფასებს მოითხოვდა ასიგნატებითა და მეტალის მონეტებით გადახდის დროს, ელოდა 6 წელი პატიმრობა. 1794 წლის მაისში გამოცემული კანონის თანახმად სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა ყველას, ვინც კი სავაჭრო გარიგებაში მიუთითებდა მონეტებით მომხდარიყო გადახდა თუ ასიგნატებით. ამ "ტერორისტულ" რეჟიმს ბოლო მოეღო 1794 წლის 27 ივნისს რობესპიერის სიკვდილით დასჯის შემდეგ.

1796 წელს იყო მცდელობა აღდგენილიყო ნდობა დისკრედიტირებული ქაღალდის ფულის მიმართ. ამისათვის მას ეწოდა ახალი სახელი --- "ტერიტორიალური მანდატი", მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკვე აღარ შეიძლებოდა მოსახლეობის იძულება აეღოთ ქაღალდის ფული, რადგან ასიგნატებმაც და ტერიტორიალურმა მანდატმაც სრულიად დაკარგეს თავიანთი ღირებულება ჭენებითი ინფლაციის გამო.

1800 წელს დაარსებულ იქნა საფრანგეთის ბანკი ("Banuqe de France"),

რომელსაც 1803 წელს მონოპოლია ჰქონდა პარიზში და 1848 წელს უკვე მთელს საფრანგეთში ბანკნოტების გამოშვებაზე. პირველი მსოფლიო ომის დაწყებიდან საფრანგეთის ბანკმა მოიშორა ვალდებულება მეტალის მონეტებით გაენაღდებინა თავისი ბანკნოტები, ხოლო საბოლოოდ ოქროთი განაღდება შეწყდა 1936 წელს.

გერმანიაში რაიხის დაარსებისას 1871 წელს არსებობდა 33 სანოტო ბანკი, რომლებიც უშვებდა ბანკნოტებს. ამ ბანკებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ავსტრიის ეროვნული ბანკი ("Die osterreichishc Nationalbank"). და პრუსიის ბანკი (Die Preußische Bank"). ავსტრიის ეროვნული ბანკი დაარსებულ იქნა 1816 წელს და ჰქონდა ბანკნოტების მიმოქცევის ყველაზე დიდი მოცულობა. პრუსიის ბანკმა მოქმედება დაიწყო 1847 წელს და მისი ბანკნოტების განაღდება შეიძლებოდა მეტალის მონეტებით სხვა ბანკების სალაროებშიც, თუმცა ისინი არ წარმოადგენდნენ კანონიერ საგადამხდელო საშუალებას. პრუსიის ბანკის წინამორბედს წარმოადგენდა პრუსიაში 1765 წელს დაარსებული სამეფო ბანკი ("Königliche Bank"), რომელმაც 1766 წელს მიიღო ბანკნოტების გამოშვების უფლება. 1806 წელს ნაპოლეონთან ომის დროს ბანკმა შეაჩერა ბანკნოტების გამოცემა და კვლავ განაახლა 1820 წელს, მაგრამ ძალიან შეზღუდული რაოდენობით.

რაიხის დაარსების შემდეგ 1875 წლის 14 მარტს დაარსდა რაიხის ბანკი ("Reichsbank"), რომელმაც მოქმედება დაიწყო 1876 წლის 1 იანვარს. ამ ბანკის მიერ გამოშვებული ბანკნოტები 1909 წელს გახდა კანონიერი საგადამხდელო საშუალება და მიმოქცევაში იმყოფებოდა სხვა ბანკნოტებთან ერთად, რომელთა რაოდენობა საკმაოდ შეზღუდული იყო. 1914 წელს პირველი მსოფლიო ომის დროს შეწყდა ბანკნოტების ოქროთი განაღდება.

პირველი მსოფლიო ომის დროს და განსაკუთრებით ომის შემდგომ წლებში 1923 წლამდე მოხდა რაიხსბანკნოტების დიდი მოცულობის ემისია და საბოლოოდ 1923 წლის დეკემბერში მიაღწია 496 ტრილიონ მარკას. ასეთი დიდი ემისიის გამო მოხდა ფასების ძალიან სწრაფი და არანორმალური ზრდა, რამაც ჰიპერ-ინფლაციის ძლიერი ტალღა გამოიწვია.

ფულის მზარდი გაუფასურების გამო ხალხი გადავიდა ნატურალურ-გაცვლაზე. საშინელი კრახი განიცადა საკრედიტო ბიზნესმა. კრედიტები გაიცემოდა 1 დღიანი ვადით და საპროცენტო განაკვეთმა შეადგინა 10% დღეში. 130 სტამბა და 30 ქაღალდის ფაბრიკა იყო დაკავებული საემისიო ბანკნოტების ბეჭდვით და მოთხოვნილება დღითიდღე იზრდებოდა. ინფლაციის ასეთი მაღალი დონე გამოიწვია მიმოქცევაში დიდი ფულადი მასის დაგროვებამ. ამის ძირითადი მიზეზი იყო რაიხის დეფიციტი, რომელიც დაფარულ იქნა ხაზინის ხარჯზე და ამიტომ 1919-1923 წწ ხაზინამ დაკარგა ქონების ნახევარი. რაიხის დეფიციტს ჰქონდა სხვადასხვა მიზეზები, მათ შორის: 1918 წლის რევოლუცია, გერმანიის დასავლეთ საზღვარზე საბაჟო კონტროლის გადასვლა საფრანგეთის ხელში და რურის ოლქის დაკარგვა.

1923 წელს დაფიქსირდა დოლარის კურსი მარკასთან მიმართებაში და 1 ოქროს დოლარმა შეადგინა 4,2 მილიონი მარკა, რის საფუძველზედაც 1923 წლის ნოემბერში შეწყდა კრედიტების გაცემა რაიხის მიმართ, ამით შეჩერებულ იქნა ინფლაციის პროცესი. 1924 წელს მოხდა დოლარის შესასყიდი კურსის ზედა და ქვედა ზღვრის დაფიქსირება. 1930 წელს უკვე შეიძლებოდა რაიხსმარკის ოქროთი განაღდება.

Nikoloz Lomtadze

PAPER MANEY APPEARANCE IN THE USA AND EUROPE

Abstract

Centuries ago precious metal was used instead of maney.

Gold currency appeared in XVII-XVIII cc and its final development took place in XIX c. It also was the time when papermoney appeared.

In Europe printed paper money first appeared in Sweden in 1661. Its greatest advantage was very low weight and was very convinient for transportation.

Bank-notes' further production was made by the English Bank and these bank-notes had been in use for 100 years.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. რ. კაკულია, საერთაშორისო სავალუტო და საკრედიტო ურთიერთობები, თბ., 1996 წ.

2. რ. კაკულია, ფინანსების საფუძვლები, თბ. 1999 წ.

3. რ. კაკულია, გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ., 2000 წ.

3. Friedman, Milton; Schwatz, Anna Jacobson: "A Monetary History of the United States 1867-1960", Princeton, 1971.

4. Bagehot, Walter: "Lombard Street, A Description of the Money Market", Homewood 1962.

5. Studensky, Paul; Kross, Hermann E.: "Financial History of the United States", New York, Toronto, London 1952.

6. Stucken, Rudolf: "Deutsche Geld- und Kreditpolitik 1914-1963", Tübingen 1964.

7. Deutsche Bundesbank: "Von der Königlichen Bank zur Deutschen Reichsbank" 1940.

8. Borchart, Knut: "Währungs- und Finanzpolitik von der Reichsgründung bis zum I. Weltkrieg", Frankfurt, 1976.

9. Gabraith, John Kennth: "Geld. Woher es kommt, wohin es geht", München/Zürich 1976.

ფინანსების და კრედიტების კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ზოია რამიშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი II ინტერნაციონალის კონფერენციებზე (1919 წ)

1998 წლის 26 მაისს დღის 5 საათსა და 10 წუთზე საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა გამოაცხადა და ეს ამბავი რესპუბლიკის მთავრობამ იმავე დღეს უცხოეთის სახელმწიფოებს აცნობა. მაგრამ, თითქმის მთელი წლინახევრის მანძილზე საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა ცნო მხოლოდ სამმა ქვეყანამ, კერძოდ, თურქეთმა, 1918 წლის 26 მაისს დე ფაქტოდ და 3 ივნისს დე იურედ; გერმანიამ და ავსტრიამ - 1918 წლის 10 და 18 ივნისს, დე ფაქტო. ამიტომ საქართველო სრულიად სამართლიანად ცდილობდა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იურიდიული აღიარებისათვის თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა ნებისმიერი სახის საერთაშორისო ფორუმები. ამის ნათელი დადასტურება იყო რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა ევროპის სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობისათვის, მისი ცდები პარიზის (ვერსალი) საერთაშორისო საზავო კონფერენციაში (1919 წლის იანვარი - 1920 წლის იანვარი) მონაწილეობის მისაღებად, საერთაშორისო ორგანიზაციის - ერთა ლიგის სრულუფლებიან წევრად საქართველოს მიღებისათვის და სხვ. მაგრამ I მსოფლიო ომის მიმდინარეობის გამო საქართველოდან ევროპაში მიმოსვლა თითქმის შეუძლებელი, ხოლო ევროპის სახელმწიფოებთან საქართველოსათვის აუცილებელი ურთიერთობის დამყარება უაღრესად გართულებული იყო.

რესპუბლიკის მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის აზრით, რათა მომენტი ხელიდან არ ყოფილიყო გაშვებული, საჭირო იყო ევროპის სოციალისტებთან, პირველ რიგში კი II ინტერნაციონალთან კავშირის გაბმა, მასთან მუშაობის გაწევითა და მისი მორალური დახმარებით ევროპის სახელმწიფოების მხრიდან ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ცნობის

ალიარება. სწორედ ამ მიზნით 1918 წლის ოქტომბერში პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება სპეციალური მემორანდუმით ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში თავისი ერთი წევრის გაგზავნის შესახებ, რომელიც მიმართული იქნებოდა სოციალისტური ინტერნაციონალისა და მის ყველა სექციისადმი. ასეთი ქმედებით ჩვენი ქვეყნის ოფიციალური დიპლომატიის გვერდით პარტია მიზნად ისახავდა პროპაგანდისტულ მუშაობას ევროპის სახელმწიფოების სოციალისტურ წრეებში, მის პარალელურად, კი ცდილობდა ნიადაგი მოემზადებინა, რათა ევროპის სახელმწიფოებს ეცნოთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მიერ შედგენილ მემორანდუმში მოკლედ იყო გაშუქებული საქართველოსა და მისი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ისტორია, იმ დროინდელი საერთაშორისო ვითარება და ის პირობები, რომლებიც გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა: „რევოლუციის ქარცეცხლში, - ხაზგასმული იყო მემორანდუმში, - გამოსჭედა ჩვენმა ხალხმა თავის სახელმწიფო და მან გადასწყვიტა მთელი თავის ძალღონით ბოლომდე დაიცვას იმ სახელმწიფოს არსებობა. ამაში ის ხედავს ერთადერთ საწინდარს თავის არსებობის შენახვისას და კულტურული განვითარების შესაძლებლობას" [1,4].

ევროპაში წასვლა და მემორანდუმის დანიშნულებისამებრ გადაცემა დაევალა ცნობილ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეს კონსტანტინე გვარჯალაძეს.

მემორანდუმი (ნოე ჟორდანიას კერძო წერილთან ერთად), პირველ რიგში, გადაეცათ ევროპის საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის თვალსაჩინო მოღვაწეებს, კერძოდ გერმანიაში: შეიდემანს, კაუცკის, ბერნშტეინს, ჰაასზეს და სხვ. (აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოს სოციალ-დემოკრატიას მანამდეც ჰყავდა გაგზავნილი თავისი წარმომადგენელი გერმანიაში - ვლადიმერ ახმეტელაშვილი, შემდგომში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი გერმანიაში); სკანდინავიის ქვეყნებში - დანიაში - შტაუნინგს, ჰიუსმანს (II ინტერნაციონალის მაშინდელ მდივანს); შვეციაში-ბრანტინგს; ინგლისში-ჰაიდმანს (მან, თავის მხრივ, მემორანდუმი გააცნო ლაბურ პარტიის გენერალურ მდივანს მიდლეტონს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრს ლის და იმ

დროს ლონდონში მყოფ ბელგიელ სოციალისტებს ანსელესა და ბანდერველ-ს, აგრეთვე ფრანგ სოციალისტს ლონგეს); საფრანგეთში რენოდელსა და ბრიუკერს და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის ქვეყნებში სოციალისტებს შორის გაწეულმა მუშაობამ სასურველი შედეგიც გამოიღო და ევროპელმა 1919 წლის II ინტერნაციონალის საერთაშორისო კონფერენციებზე სოციალისტებმა დიდი თანადგომა გაუწიეს ქართველ სოციალ-დემოკრატებს საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მხარდაჭერის საკითხში.

პირველი დიდი საერთაშორისო ფორუმი, სადაც ქართული დელეგაციის მონაწილეობით განხილულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი, მოწვეული იქნა 1919 წლის აპრილში II ინტერნაციონალის ბერნის (შვეიცარია) სოციალისტური) კონფერენციის, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ აკაკი ჩხენკელი (შემდგომში საქართველოს სრულუფლებიანი დიპლომატიური წარმომადგენელი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში (საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი) და ხარიტონ შავიშვილი (შემდგომში საქართველოს წარმომადგენელი შვეიცარიასა და ერთა ლიგაში).

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა აკ. ჩხენკელმა გულისტკივილით აღნიშნა, რომ დიდმა სახელმწიფოებმა ჯერჯერობით არ ცნეს საქართველოს დამოუკიდებლობა. ჩვენს მხარეში, – აღნიშნა მან, – უმთავრეს როლს თამაშობენ სოციალისტები, რომელთაც არ სურთ გვცნონ, მიუხედავად იმისა, რომ სრულიად დამოუკიდებელნი ვართ.

მიმართა რა კონფერენციის მონაწილეებს, აკაკი ჩხენკელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ის მხარე, რომლის მთავარი სახელმწიფო მოღვაწეები თავისი ამხანაგები იყვნენ, თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას ინტერნაციონალიდან მოელოდნენ და თან დარწმუნებული იყო, რომ ეს იმ დღესვე მოხდებოდა. ასეთი მორალური მხარდაჭერა კი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ქართული დელეგაციისათვის, რომელიც შემდგომ პარიზის კონფერენციისაგან გაორკეცებული ენერგიით მოითხოვდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას.

მან კონფერენციის მონაწილეებს შეახსენა, რომ დიდ სახელმწიფოებს, როგორც ამას გაზეთები იტყობინებოდნენ, განზრახული ჰქონდათ ახლადშექმნილი სახელმწიფოებისათვის „ოპეკუნები" (მეურვეები) დაენიშნათ. ამ მიზნით ისინი აგროვებდნენ ე.წ. მანდატარიებს, რომლებიც ამ მხარეებში

უნდა გაბატონებულიყვნენ.

აკ. ჩხენკელმა, თავისი პარტიისა და ქართველი ერის სახელით, კატეგორიული პროტესტი გამოთქვა ასეთი განზრახვის წინააღმდეგ, რადგან თუ საქართველომ შეძლო ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, იგი ასევე აქტიურად შეებრძოლებოდა მთელს მსოფლიოს, იმპერიალიზმს, მხოლოდ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციისა და საერთაშორისო პროლეტარიატის დახმარებით [2,2].

ქართულმა დელეგაციამ კონფერენციაზე გაიტანა რეზოლუციის პროექტი საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. მას, სხვებთან ერთად, მხარი დაუჭირეს რუსმა მენშევიკებმა და ესერებმა. რეზოლუციის პროექტი ერთხმად მოიწონა სათანადო კომისიამ. რადგან რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებული ახალი სახელმწიფოებისა და ერების შესახებ სხვა რეზოლუციები მზად არ იყო, ამიტომ კონფერენციის პლენუმს ქართული დელეგაციის რეზოლუცია არ განუხილავს და იგი გადასცა პერმანენტულ კომისიას, რომელმაც ადრინდელი საერთაშორისო ბიუროს ადგილი დაიკავა და რომლის შემადგენლობაში საქართველოს წარმომადგენელიც იყო შეყვანილი.

1919 წლის 6 ივნისის გაზეთის „ერთობა" მეთაურ წერილში სათაურით - „პატარა ერები და დიდი დიპლომატები" აღნიშნული იყო, რომ „ბერნის სოციალისტურმა კონფერენციამ ქებით მოიხსენია საქართველოს დემოკრატიის შეგნება და სახელმწიფოებრივი უნარი და ჩვენი დამოუკიდებლობა იცნო" [3-1].

ამ კონფერენციის მუშაობაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის შესახებ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა" ინფორმაციაში სათაურით - „ბერნის სოციალისტური კონფერენცია და საქართველოს დამოუკიდებლობა" იუწყებოდა, რომ საქართველოს დელეგაციამ საერთაშორისო სოციალისტურ კონფერენციას გადასცა ინტერნაციონალისადმი მიმართული რეზოლუცია, რომელიც მიღებულ იქნა. რეზოლუცია რუსეთის დელეგაციასთან შეთანხმებით იყო შედგენილი, მას ხელს აწერდნენ: აქსელროდი და გავრონსკი, აგრეთვე კონფერენციის პრეზიდენტი ბრანტინგი, კონფერენციის მდივანი გიუსმანსი, ჰენდერსონი, უსტონი, რენოდელი, ალბერ ტომა და სხვ.

გაზეთში გამოქვეყნებული იყო კონფერენციის მიერ მიღებული რეზო-

ლუცია: „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოწოდების საპასუხოდ, რომელიც მიმართული იყო ინტერნაციონალისადმი ბერნის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია აცხადებს, რომ ის სთვლის საქართველოს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებად მის ნაციონალურ დამოუკიდებლობას, რომელიც ეთანხმება ხალხთა უფლების უმთავრეს დებულებას, თვითგამორკვევას, რომელიც დიდი ხანია რაც გამოაქვეყნა ინტერნაციონალმა, და რომელიც მიღებულია პრეზიდენტ ვილსონის პროგრამაში, როგორც საფუძველი ზავისა. ქართველმა ხალხმა გამოიჩინა უდავო პოლიტიკური შეგნება, როდესაც, ყველაზე მძიმე პირობების მიუხედავად, დემოკრატიული და რესპუბლიკანური წეს-წყობილება შექმნა და დამოუკიდებლად ცხოვრობდა უკვე რვა თვის განმავლობაში. ამიტომ საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია მოითხოვს საზავო კონფერენციისაგან, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ოფიციალურად იქნეს ცნობილი, რომელიც უარყოფს ყოველგვარ ოპეკას, როგორიც არ უნდა იყოს ის, ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოს მხრივ და რომელიც აგრეთვე უარყოფს ყოველგვარი თვალყურის დევნებას მის დემოკრატიულ დაწესებულებებზე" [5,2].

II ინტენაციონალიის კომისიამ, რომელიც არჩეულ იქნა ბერნის კონფერენციაზე, პარიზის საზავო კონფერენციას წარუდგინა მემორანდუმი, რომელშიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებისადმი მხარდაჭერა იყო გამოთქმული.

კომისია ცნობდა საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ ერთხმად მიღებულ გადაწყვეტილებას (1919 წლის მარტი) და მიუთითებდა, რომ ქართველმა ხალხმა დაამტკიცა თავისი პოლიტიკური ნიჭი, უცუდეს პირობებში შექმნა და განამტკიცა რესპუბლიკურ-დემოკრატიული კონსტიტუცია. კომისიამ განაცხადა, რომ ქართველი ხალხის მოთხოვნა სამართლიანი იყო და შეეფარდებოდა ვილსონის პროგრამას. ამის საფუძველზე კომისია მოითხოვდა, რომ ქართველ ხალხს მინიჭებოდა სრული დამოუკიდებლობა და განთავისუფლებულიყო უცხოეთის ყოველგვარი თავდებობისაგან [6,2].

ლონდონიდან ჩამოსულმა საქართველოს ელჩმა ინგლისში დავით ღამბაშიძემ 1919 წლის 9 ივლისს რეპუბლიკის დამფუძნებელი კრების სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციაში გააკეთა მოხსენება თემაზე: „საქარ-

თველოს საკითხი ევროპაში და კერძოდ საზავო კონფერენციაზე". სხვა საკითხებთან ერთად იგი ბერნის კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლობის საკითხს შეეხო და აღნიშნა, რომ ქართული დელეგაციის მონაწილეობას ბერნის სოციალისტურ კონფერენციაზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ევროპის მიერ საქართველოს გაცნობის საქმეში, რადგან "... ევროპაში მასსა არ იცნობს არამც თუ საქართველოს, არამედ - მათ ხშირად ასეთი წარმოდგენა აქვთ, რომ ვენის იქით აზია არის და შავკანიანი ხალხი ცხოვრობსო. ბერნის კონფერენციის დადგენილება ჯერ ერთი რომ გავლენას იქონიებს ევროპის პოლიტიკურ სფეროებზე, აგრეთვე ამით მუშათა კლასი გაეცნო საქართველოს და ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს" [7,2].

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის სასარგებლოდ ბერნის კონფერენციის გადაწყვეტილების ანალოგიური რეზოლუცია მიიღო ქ. ამსტერდამში (ჰოლანდია) II ინტერნაციონალთან არსებულმა სოციალისტთა საერთაშორისო მუდმივმა კომისიამ, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდა ირაკლი წერეთელი. აი, ამ რეზოლუციის ტექსტიც:

"ვიღებთ რა მხედველობაში, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს ხალხისა იყო დადასტურებული ერთხმად თფილისში 12 მარტს 1919 წ. დამფუძნებელ კრების მიერ, რომელიც არჩეულია ყველა 20 წლოვანი მოქალაქის მიერ განურჩევლად სქესისა, ვიღებთ რა მხედველობაში, რომ ქართველმა ხალხმა შექმნა და იცავდა ისეთ კრიტიკულ პირობებში რესპუბლიკანურ, დემოკრატიულ კონსტიტუციას და მართავდა რა რესპუბლიკას ნორმალურათ საკუთარი ძალით ერთი წლის განმავლობაში, დაუმტკიცა მთელს ქვეყნიერებას თავისი უდავო პოლიტიკური ნიჭი, მუდმივი ინტერნაციონალური კომისია სცნობს ქართველი ხალხის მისწრაფებას დამოუკიდებლობისადმი სამართლიანად, რომელიც ეთანხმება ხალხთა უფლებას განაგოს თავისი ბედი თითონ, რაც დიდი ხანია აღიარა ინტერნაციონალმა და დღეს შეტანილია პრეზიდენტ ვილსონის პროგრამაში ზავის ერთ მთავარ პირობად.

კომისია დაბეჯითებით მოითხოვს, რომ საზავო კონფერენციამ პარიზში და სახელმწიფოებმა ფორმალურად იცნონ საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, რომელიც უარყოფს ოპეკას ერთი ან რამოდენიმე სახელმწიფოსას და ყოველ უცხოეთის კონტროლს მის დემოკრატიულ დაწესებულებებზე" [8,2].

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მიზნით სოციალისტთა საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის აუცილებლობის საკითხზე რესპუბლიკის წამყვან პოლიტიკურ პარტიებს ერთგვაროვანი შეხედულება არ ჰქონდათ.

მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი აზრი მხარს უჭერდა მთავრობის პოლიტიკას ყველა შესაძლო გზით მიეღწია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის უცხოეთის სახელმწიფოების მხრივ, ამ პოზიციას ოპონენტებიც ჰყავდა. ამის მაგალითი იყო დამფუძნებელი კრების 1919 წლის 17 ივნისის სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის, ნაფიცი ვექილის, გიორგი გვაზავას მიერ წარმოთქმული სიტყვა.

„მართალია – განაცხადა მან, – ჩვენ გავგზავნეთ დელეგაცია პარიზში, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ სამწუხაროდ, ჩვენი დელეგატები, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს წარმოდგენისა და მისი ინტერესების დაცვისა, უფრო პარტიულ მუშაობას განაგრძობდნენ, ვიდრე სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურს, არ შორდებოდნენ სოციალისტურ წრეებს, მიდიოდნენ ხან ბერნში, ხან ამსტერდამში, მონაწილეობას იღებდნენ იქაურ სოციალისტურ და რევოლუციურ მოძრაობაში და...ამით, ეჭვი არ არის, ასამარებენ საქართველოს დამოუკიდებლობას. საქართველოს ცნობა, დამოკიდებულია პარიზის კონფერენციაზე და არა სხვა უპასუხისმგებლო პარტიულ ყრილობებზე. ეს გზა ჩვენ სიკეთეს ვერ მოგვიტანს, ამიტომ მთავრობამ უნდა მიიღოს ზომა, დელეგაცია ჩააყენოს მისი მოვალეობის ასრულების ფარგალში და საზოგადოდ გამოსცვალოს თავისი საერთაშორისო პოლიტიკა... [9,2]

საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგ. გეგეჭკორმა დამფუძნებელი კრების მონაწილეებს შეახსენა, რომ დელეგაციის გაგზავნის წინ გ. გვაზავა წერდა და ამტკიცებდა, რომ თუ პარიზში სოციალისტები გავგზავნეთ, კონფერენციაზე არ დაუშვებენო: „...მაგრამ თქვენ ხედავთ და გვაზავამაც იცის, რომ სოციალისტები გაუშვეს, მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში ბ-ნ გვაზავას ალაპარაკებს მხოლოდ პარტიული ინტერესები, ვინაიდან ობიექტური მხარე საქმისა საბუთს არ გვაძლევს ასეთი გამოსვლებისა. დღეს მის აქ გამოსვლას, უნდა ვსთქვა, რომ გლახა სუნი უდის, ერთი რომ სიმართლეს ღალატობს... [10,2]

შემდეგ ევგ. გეგეჭკორმა უპასუხა გ. გვაზავას კითხვას ირ. წერეთლის ამსტერდამის კონფერენციაზე დასწრების თაობაზე და აღნიშნა, რომ ქართულმა დელეგაციამ თავისი მოვალეობა შეასრულა, რადგან სხვანაირად არ შეეძლო. მისი აზრით, საქართველოს მოთხოვნებს სიმპათია უნდა მოეპოვებინა საერთაშორისო დემოკრატიის თვალში, რაც მთავრობის მთავარი მიზანი იყო. მართალია, გ. გვაზავა ლაპარაკობდა დემოკრატიულ პოლიტიკაზე, მაგრამ სულ სხვა შინაარსით. მთავრობისათვის კი დემოკრატიული პოლიტიკის შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ ქართულ დემოკრატიას მჭიდრო კავშირი გაება სხვა ქვეყნების დემოკრატიასთან.

და აი, გ. გვაზავას რეპლიკაზე – ინტერნაციონალის საშუალებით? ! ევგ. გეგეჭკორმა უპასუხა – დიახ, ინტერნაციონალის საშუალებით.

იმავე სხდომაზე განმეორებით სიტყვით გამოსულმა გ. გვაზავამ პარიზის კონფერენციის მნიშვნელობაზე უფრო დაწვრილებით ისაუბრა და განაცხადა: „ის სისხლი, რომელიც ჩვენ დავღვარეთ გერმანიის საზღვრებზე... უნდა იქნეს გატანილი და დადებული საერთაშორისო სასწორზე, სადაც სწყდება ჩვენი ბედი. გაიტანეთ და წარადგინეთ ეს დოკუმენტები? არა. ჩვენი დელეგაცია ივიწყებს ამას და გადადის მოწინააღმდეგის ბანაკში. ეს ბანაკია – ბერნი და ამსტერდამი, და იქიდან ემუქრება ინგლისს და საფრანგეთს რევოლუციით, თითქოს იქაური რევოლუცია რაიმე სიკეთეს მოუტანს საქართველოს" [11,2].

ევგ. გეგეჭკორმა ისევ მოითხოვა სიტყვა და შეეცადა დაემტკიცებინა, რომ ინტერნაციონალზე დამყარებული პოლიტიკა ძალიან სასარგებლო იყო.

რა თქმა უნდა, ეს არ იყო მის მიერ ნათქვამი ლიტონი სიტყვები. მან, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, კარგად იცოდა ბერნისა და ამსტერდამის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციების და საერთოდ, II ინტერნაციონალის გადაწყვეტილებები საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობისათვის მხარდაჭერის თაობაზე.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ზემოთ აღნიშნული პოზიცია გამოხატულ იქნა გაზეთ „საქართველო"-ს (ამ პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო, რედაქტორი რესპუბლიკის პარლამენტის წევრი გერონტი ქიქოძე) 20 ივნისის მეთაურ წერილში – „ევროპის ინფორმატორები" და „ჩვენი დელეგაცია".

გაზეთი წერდა, რომ ევროპაში მუყაითად მუშაობდა საქართველოს საწინააღმდეგოდ მიმართული უჩინარი ხელი. თავდაპირველად ოფიციალურად თითქოს არავინ არ იყო წინააღმდეგი ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობისა, მაგრამ დიპლომატიურ კულისებში და მრავალ არაოფიციალურ გავლენიან წრეებში საქართველოს დამოუკიდებლობა აშკარა უკმაყოფილებას იწვევდა.

„შემთხვევა გვქონია მრავალჯერ მიგვეთითებინა ამ გარემოებაზე ჩვენი „დიპლომატების" (სიტყვა „დიპლომატები" ბრჭყალებში იყო ჩასმული. შ.რ.) ყურადღება, რათა სპეციალურად გამგზავრებულ საქართველოს დიპლომატიურ დელეგაციას გაეთვალისწინებინა ყველა საწინააღმდეგო ფაქტორები და სათანადო ზომები მიეღო მათ გასაბათილებლად". [12,1]

გაზეთის მტკიცებით, ევროპის მმართველ და პასუხისმგებელ წრეებში საქართველოს წინააღმდეგ სპეციალური „ინფორმატორები" მოქმედებდნენ, რადგან ცხადი იყო, რომ გადამწყვეტი მსჯავრი სწორედ ამ წრეებიდან იქნებოდა გამოტანილი. ათას რჯულის აგენტები საზიზღარ ჭორებსა და ინსინუაციებს ავრცელებდნენ საქართველოს შესახებ.

კიდევ უფრო მძაფრი ტონით იყო დაწერილი მეორე სარედაქციო წერილი 1919 წლის 21 ივნისის გაზეთში „საქართველო".

1919 წლის 2-9 აგვისტოს ლიუტერნში (შვეიცარია) ჩატარდა II ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენცია.

კონფერენციაზე სიტყვით გამოსულმა ირ. წერეთელმა აღნიშნა:

„თუ ჩვენ დავინახავდით, რომ ბოლშევიკურ დიქტატურას მიჰყავს მთელი პროლეტარიატი სოციალიზმის განხორციელებისაკენ, მაშინ, მიუხედავად ტერორისა, ჩვენ ვაღიარებდით, რომ ბოლშევიზმი ჩვენ წინაშე მართალი აღმოჩნდა. მაგრამ ის წარმოადგენს უმცირესობის დიქტატურას და მიჰყავს ქვეყანა დანგრევისა და გახრწნისაკენ.

ამ დანგრევისა და გახრწნის მიზეზები უნდა ვეძებოთ არა ბლოკადაში, არამედ - ბალშევიკური რეჟიმის რაობაში. პროლეტარიატის სიმპატიები ბალშევიზმისადმი შეცდომის ნაყოფია. პროლეტარიატს წამს, რომ ბალშევიზმი სოციალიზმის გამარჯვებას ამზადებს. ეს შეცდომაა, რომელიც უნდა გაფანტულ იქნეს ყველა ზომებით, რადაც არ უნდა დაჯდეს. საჭიროა აშორებულ იქნას ბალშევიკური ექსპერიმენტების განმეორების შესაძლებლობა" [13,3].

9 აგვისტოს ლიუცერნის კონფერენციამ ჰილფერდინგისა და ირ. წერეთლის მიერ შედგენილი რეზოლუცია (რუსეთის საქმეში ჩარევის შესახებ) მიიღო, რომელშიც გამოთქმული იყო მხარდაჭერა საქართველოს დამოუკიდებლობისადმი. მასში, გარდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ადგილზე ჩამოყალიბებული ახალი სახელმწიფოების ცნობისა, შეტანილ იქნა მუხლი, რომელიც ყველა ნაციონალურ სექციასა და პარტიას ავალებდა, რომ ამ სახელმწიფოების დამოუკიდებლობისათვის მხარის დაჭერის მიზნით სისტემატურად გამოსულიყვნენ როგორც თავიანთი ქვეყნების პარლამენტებში, ისე - სხვაგან. [14,2]

მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ცხადყო, რომ სწორი იყო ბერნის სოციალისტური კონფერენციისა და ინტერნაციონალის მუდმივი კომისიის რეზოლუციებში, ბერნის კონფერენციაზე აკაკი ჩხენკელის სიტყვაში გამოთქმული შეშფოთება იმის თაობაზე, რომ პირველ მსოფლიო ომში მოკავშირე ქვეყნები (ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, აშშ და იაპონია) ფიქრობდნენ ახლადჩამოყალიბებული სახელმწიფოების არა სრული დამოუკიდებლობის აღიარებას, არამედ მათზე ერთი ან რამდენიმე ქვეყნის მეურვეობას, მათზე ერთი ან რამდენიმე მანდატის (ხელმდებლობის რწმუნებულობა) გაცემას და მათ დემოკრატიულ დაწესებულებებზე თვალთვალს. სწორედ ასეთი ჩანაფიქრის განხორციელების სურვილზე მიუთითებდა გაზეთ „ფაქტი"-ს წერილის - „აღმოსავლეთის საკითხი და ამიერკავკასიის რესპუბლიკები" შემდეგი მტკიცება: „გენ. ჰარბორდის მისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ აღმოსავლეთის ხალხთა არსებობის დასაცავად ამერიკამ უნდა მიიღოს მანდატი არა მარტო ოსმალეთსა და სომხეთზე, არამედ აზერბაიჯანსა და საქართველოზედაც". [15,2]

გაზეთ „საქართველო"-ს 1919 წლის 14 ღვინობისთვის (ოქტომბერი) მეთაურ წერილში სათაურით - „აღმაშფოთებელი განცხადება" - საუბარი იყო გაზეთში „სახალხო საქმე" (გაზეთი „სახალხო საქმე" იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტის ორგანო) 7 ღვინობისთვის ნომერში მოთავსებული ცნობის შესახებ, რომ ლიუცერნის სოციალისტურ კონგრესზე ამიერკავკასიის საქმეების გამო ცხარე კამათი გამართულა. ამის საბაბი კი გამხდარა საქართველოსა და სომხეთის თხოვნა ინგლისელებისადმი, რომ მათ, გარკვეული დროის მანძილზე თავიანთი ჯარები არ გაეყვანათ ამიერკავკასიიდან. ამ

პირობით მოკავშირეთა საზღვარგარეთელ წარმომადგენლებს "ლიბერალების პარტიისათვის" მიუმართავთ, რომლის მოთხოვნითაც მიჰყავდათ ამიერკავკასიიდან ინგლისის ჯარები.

ლიუცერნის კონგრესში მონაწილეობა მიუღიათ მიქ. ვარანდიანსა და ს. აკიბიანს. ვირანდიანის სიტყვის შემდეგ კონგრესმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მოითხოვდა ამიერკავკასიიდან ინგლისელთა ჯარების გაყვანის დროებით გადადებას: "ამ ფორმულის წინააღმდეგ სიტყვა წარმოუთქვამს ქართველ მენშევიკების წარმომადგენელს წერეთელს..." [16,1] ხაზგასმა გაზეთისაა შ.რ.), რასაც ქართულ საზოგადოებაში სამართლიანი აღშფოთება გამოუწვევია.

ჩვენ, - წერდნენ ეროვნულ-დემოკრატები, - არა ერთხელ განვაცხადეთ, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ბატონი წერეთელი ევროპაში აწარმოებდა, დამფუძნებელი კრებისაგან მისთვის მიცემულ მანდატს სრულიად ეწინააღმდეგებოდა. წერეთელი გაგზავნილ იქნა პარიზში როგორც საქართველოს წარმომადგენელი ვერსალის კონფერენციაზე და ეს დავალება თავისთავად გულისხმობდა, რომ მას კავშირი უნდა დაემყარებინა საზავო კონგრესის ხელმძღვანელ წრეებთან.

ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ წერეთელმა, როგორც სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელმა, სოციალისტების ისეთ ორგანიზაციებთან დაიწყო სეირობა, რომლებიც როგორც ვერსალის, ისე ანტანტის პოლიტიკის აშკარა წინააღმდეგი იყვნენ: "ევროპის გაზეთები მხოლოდ იმას გვაცნობენ, თუ საქართველოს დელეგატებმა გუშინ აბსტერდამში, დღეს ლიუცერნში, თუ ხვალ რომელიმე სოციალისტების სადილზედ რა სიტყვა წარმოსთქვეს ან რომელ სოციალისტურ კომიტეტში იქნენ არჩეულნი.

არც ერთი ცნობა მათი ურთიერთობის შესახებ იმ წრეებთან, რომელნიც დღეს სწყვეტენ ქვეყნიერების ბედს, ვისზედაც დამოკიდებულია საქართველოს ბედი" [17,1].

ამიტომ, მათი აზრით, პოლიტიკაში ასეთ ორმაგ შეუწყნარებლობას არა თუ თანაგრძნობა უნდა მოეპოვებინა იმ ხალხში, ვინც პირდაპირ წინააღმდეგობაში იყვნენ იმ სოციალისტებთან, რომლებთანაც საქართველოს დელეგაციას ჰქონდა კავშირი, არამედ პირიქით, ისინი ჰკარგავდნენ არა მარტო ავტორიტეტს, არამედ ყველა შესაძლო ნდობას. ამიტომ

ზემოთ გამოქვეყნებული ცნობა, „... თუ იგი მართალია, უკვე ყოველივე წრეს გადასული თავხედობაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საქართველოს მთავრობის მხრივ" [18,1].

იმ დროს, როცა საქართველოს მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების მთელი მუშაობა მიმართული იყო ანტანტის და კერძოდ კი, ბრიტანეთის მთავრობის დარწმუნებისაკენ მათი ჯარების ამიერკავკასიაში დატოვების საჭიროების აუცილებლობაში, ჩვენი დელეგატი (ირ. წერეთელი - შ.რ.) მისი ერის სურვილებისა და წადილის საწინააღმდეგოდ მუშაობდა. ამიტომ ეროვნულ-დემოკრატები ელოდნენ, რომ საქართველოს მთავრობა ავტორიტეტულად უარყოფდა ამ ცნობის სინამდვილეს. მაგრამ იგი 13 ღვინობისთვისაც (ოქტომბერი) არ იყო უარყოფილი. ამის გამო ისინი საგარეო საქმეთა მინისტრისაგან საჭირო განმარტებას მოითხოვდნენ.

იმავე გაზეთმა მეორე დღესვე გამოაქვეყნა საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება, რომელსაც წინ უძღოდა რედაქციის განმარტება, რომ გაზეთ „საქართველო"-ს 14 ღვინობისთვის ნომერში მოთავსებული წერილი სათაურით - „აღმაშფოთებელი განცხადება" - გაზეთ „სახალხო საქმე"-ს ღვინობისთვის ნომრიდან იყო გადაბეჭდილი. ამ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ლიუცერნის სოციალისტურ კონგრესზე საქართველოს დელეგაციის წევრმა ირ. წერეთელმა წარმოთქვა სიტყვა ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარის დროებით დატოვები საწინააღმდეგოდ.

ამ ცნობასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო განყოფილება აცხადებდა, რომ ამიერკავკასიაში ინგლისის ჯარის დატოვების შესახებ შუამდგომლობის აღძვრა იყო ერთი იმ საკითხთაგანი, რომელმაც გააერთიანა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის წარმომადგენლები ევროპაში და ამ პრობლემის შესახებ პარიზის საზავო კონფერენციას სამივე რესპუბლიკის დელეგაციებმა შუამდგომლობით მიმართეს.

„ამგვარად, ცხადია, რომ „საქართველოს" განცხადება, თითქოს ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი ევროპაში აწარმოებდეს საკუთარ პოლიტიკას, დამყარებულია სრულიად ყალბ ცნობებზე და მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს". [19,1]

გაზეთის სარედაქციო მინაწერში ნათქვამი იყო, რომ 14 ღვინობისთვის წერილის აზრი საგარეო საქმეთა სამინისტროს მხრივ იმ ცნობის განმარ-

ტებაში მდგომარეობდა, რომელიც გაზეთ „სახალხო საქმე"-ში იყო მოთავსებული. ამ მხრივ სამინისტროს საინფორმაციო განყოფილების განცხადების პირველი ნახევარი ეროვნულ-დემოკრატებისათვის დამაკმაყოფილებელი იყო და მთელი პასუხისმგებლობა ამ ცნობის სიმართლისათვის გაზეთ „სახალხო საქმე"-ს უნდა დაკისრებოდა. ხოლო რაც შეეხებოდა მეორე მტკიცებას, რომ ირ. წერეთელი ევროპაში ისეთ პოლიტიკას არ აწარმოებდა, რომელიც მას მთავრობის მიერ ჰქონდა მინდობილი, ეროვნულ-დემოკრატების აზრით, მართალი არ იყო. მათი აზრით, საგარეო საქმეთა სამინისტრო მხოლოდ ერთში იყო მართალი. ეს არ იყო მარტო ირ. წერეთლის პოლიტიკა. ეს იყო პოლიტიკა პარიზის იმ დელეგაციისა, რომელიც შედგებოდა ირ. წერეთლის, კ. ჩხეიძისა და კ. გვარჯალაძისაგან. ეს პოლიტიკა კი იმაში მდგომარეობდა, რომ, „... ჩვენი დელეგაცია თავის საგარეო მუშაობაში ემყარებოდა მხოლოდ ევროპის სოციალისტურ წრეებს და მხოლოდ მათთან მუდმივი ურთიერთობით კარგავს ყოველივე გავლენას და ნდობას ევროპის დღევანდელ მმართველ პოლიტიკურ წრეებთან, რომელნიც არსებითს წინააღმდეგობაში იმყოფებიან სოციალისტურ ორგანოების მოქმედებასთან". [20, 1]

ეროვნულ-დემოკრატებს ეჭვი არ ეპარებოდათ, რომ ეს მართალი იყო. ამას ადასტურებდა ევროპის პრესა, რომელიც მხოლოდ ასეთ ცნობებს ავრცელებდა, რადგან სხვაგვარი ცნობები მას არ მოეპოვებოდა. ისინი სვამდნენ კითხვას – ნუთუ ასეთი მუშაობა დაავალა მათ საქართველომ? ვისი დელეგაცია იყო ეს ხალხი – საქართველოს ერისა და მისი მთავრობისა, თუ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტისა, ვისი სახელითაც გამოდიოდნენ ისინი მხოლოდ სოციალისტების ყველა მიტინგზე?

ამრიგად, ევროპის სახელმწიფოების მხრივ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიული ცნობის მიზნით, რესპუბლიკის სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) მთავრობის დავალებით, ქართული დელეგაციის მიერ (პოლიტიკურ პარტიებს შორის აზრთა სხვადასხვაობისა და ოპოზიციური პარტიის წინააღმდეგობის მიუხედავად) გამოყენებულ იქნა 1919 წელს ჩატარებული მეორე ინტერნაციონალის საერთაშორისო სოციალისტური კონფერენციების (ბერნი, ამსტერდამი, ლიუცერნი) ტრიბუნა. ქართული დელეგაციის ძალისხმევითა და აქტიური მოღვაწეობით, კონფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენციების მიერ მიღებულ იქნა რეზოლუციები საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდასაჭერად, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იურიდიულ (დე იურე) ცნობას ევროპის სახელმწიფოების მხრიდან.

1. კ. გვარჯალაძე, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში, პარიზი, 1936, ქართული თარგმანი, თბილისი, 1991, გვ. 4.
2. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 6 ივნისი, №122, გვ. 2.
3. გაზეთი „ერთობა", 1919, 6 ივნისი, №123, გვ. 1.
4. საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობის დოკუმენტები. შეადგინა და კომენტარები დაურთო დ. ენუქიძემ. თბილისი, 1949, გვ. 81.
5. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 5 ივნისი, №121, გვ. 2.
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 29 ივნისი, №141, გვ. 2.
7. გაზეთი „ერთობა", 1919, 11 ივლისი, №152, გვ. 2, აგრეთვე: გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 11 ივლისი, №151, გვ. 2.
8. გაზეთი „ერთობა", 1919, 8 ივნისი, №125, გვ. 2.
9. გაზეთი „საქართველო", 1919, 21 ივნისი, №127, გვ. 2.
10. იქვე
11. იქვე
12. გაზეთი „საქართველო", 1919, 20 ივნისი, №126, გვ. 1.
13. გაზეთი „ერთობა", 1919, 6 სექტემბერი, №201, გვ. 3. აგრეთვე: გაზეთი „ერთობა", 1919, 7 სექტემბერი, №202, გვ. 1.
14. გაზეთი „ერთობა", 1920, 13 იანვარი, №8, გვ. 2.
15. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა", 1919, 19 ნოემბერი, №262, გვ. 2.
16. გაზეთი „საქართველო", 1919, 14 ღვინობისთვე (ოქტომბერი) №221, გვ. 1.
17. იქვე
18. გაზეთი „საქართველო", 1919, 15 ღვინობისთვე (ოქტომბერი), №222, გვ. 1.
19. იქვე.
20. იქვე.
21. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, მოგონებანი, ნარკვევები. პარიზი, 1924, ქართული თარგმანი, თბილისი, 1929.
22. ბ. ბებურიშვილი (ვიქტორ ნოზაძე), დამოუკიდებელი საქართველოს საკითხი უცხოეთში, ჟურნალი „კრიტიკა", 1991, №4.
23. ნ. კირთაძე, ევროპა და დამოუკიდებელი საქართველო (1919-1923 წწ.), თბილისი, 1997.

შენიშვნა: სტილი, ორთოგრაფია და პუნქტუაცია აქაც და შემდგომშიც დოკუმენტისაა. შ.რ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1918 წლის 8 იანვარს აშშ პრეზიდენტმა ტომას ვუდრო ვილსონმა (უილსონი) (1913-1921 წწ.) წერილით მიმართა ამერიკის კონგრესს, სადაც მან 14 პუნქტად ჩამოაყალიბა პირველ მსოფლიო ომში მეომარ სახელმწიფოთა შორის მომავალი ზავის პირობები. ამ პუნქტების მე-5 მუხლი შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „თავისუფალი, გულწრფელი და აბსოლუტურად მიუდგომელი გადაწყვეტა ყველა კოლონიური დავებისა დამყარებულს ზუსტად შესრულებულ პრინციპზე, რომ სუვერენიტეტის შესახებ ყველა საკითხების გადაწყვეტისას, მოსახლეობის ინტერესებს უნდა ჰქონდეთ ერთი და იგივე წონა იმ მთავრობების სამართლიან მოთხოვნილებებთან შედარებით, რომელთა უფლება უნდა განსაზღვრულ იქნეს" [4, 81].

Shota Ramishvili

THE PROBLEM OF GEORGIA'S INDEPENDENCE AT THE II INTERNATIONAL CONFERENCES, 1919

Resume

In given work we discussed the problem of acknowledgement of the Republic of Georgia at the Second International Conferences in Bern, Amsterdam, Lucern in 1919. We tried to lay special emphasis on the speeches of the members of Georgian delegation at this conference and received resolutions supported acknowledgement of Republic of Georgia. All this time Georgian Press thoroughly reflected this question.

In spite of discrepancies among Georgian political parties, their joint efforts at the conference promoted the recognition of Republic of Georgia De Jure.

საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მალონა რობაქიძე

რაჭის საერისთავო მე-18 საუკუნის 50-60-იან წლებში

რაჭის საერისთავო, რომელიც ჩამოყალიბდა დაახლოებით X-XI საუკუნეებში[1], თავისი ხანგრძლივი და წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიის მთელს მანძილზე ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. რაჭის ერისთავები - კახაბერიძეები, ბაღვაშთა გვარის წარმომადგენლები იყვნენ და, ბაგრატ IV-დან დაწყებული, გამუდმებით ებრძოდნენ სამეფო ხელისუფლებას. ეს იყო მეფის ცენტრალისტური პოლიტიკისადმი დიდაზნაურთა წინააღმდეგობის ტიპიური მაგალითი, რამაც მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა რაჭის "ყოვლისშემძლე" ერისთავის - როსტომისა და იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ურთიერთობაში. როსტომ შოშიტა მესამეს ძე რაჭის ერისთავია 1749/50-1769 წლებში[2]. მის დროს საერისთავო უკვე წარმოადგენდა ჩვეულებრივ სათავადოს. მისი ტერიტორია, მოქცეული კავკასიონის ქედს, სვანეთს, საწერეთლოს, ოკრიბასა და ლეჩხუმს შორის. ასეთი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, იგი ძნელად მისადგომი იყო, რასაც მოხერხებულად იყენებდნენ ურჩი, თავნება და სეპარატისტული სულისკვეთებით განწყობილი ერისთავები. ისინი მუდამ დამოუკიდებლობისა და განკერძოებისაკენ მიისწრაფვოდნენ.

როსტომი ერისთავად გახდომისთანავე შეუდგა თავისი სამფლობელოების გაფართოებას. მე-18-ე საუკუნის 50-60-იან წლებში მან ააწიოკა იმერეთის მომხრე ჯაფარიძეები, იაშვილები, წულუკიძეები და მათი ყმა-მამული თვითონ მიიტაცა. ამ დროს შედგენილ ერთ საბუთში ნათქვამია: "დაიპყრა ყოველნი საწულუკიძეო მამული, სოფელი, ციხე-სიმაგრენი საერისთავოდ. საწულუკიძეო სრულად აღხოცა და ნაცვლად მისსა დასდვა სახელად სარაჭისერისთავო"[3] (ხაზგასმა ჩვენია, მ.რ.). შემდგომში ასეთი ბედი ეწიათ ყიფიანებს, გამყრელიძეებს, გოცირიძეებს და სხვებს. მან რაჭის თავადაზ-

ნაურობის ერთი ნაწილი ამოწყვიტა, მეორე ნაწილი გააძევა და მათი მამულები ხელში ჩაიგდო. მალე ერისთავი რაჭაში მდებარე მეფის სახასო მამულებსაც დაეუფლა და მთელი რაჭის ერთპიროვნული ბატონ-პატრონი გახდა[4].

როსტომ ერისთავისაგან შევიწროებული ფეოდალები მის ძმას, დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს-ბესარიონს მიმართავდნენ დახმარებისათვის. ასე მაგალითად, 1750-60-იან წლებში კათოლიკოსი ბესარიონი შემდეგი სახის იმედის წიგნს აძლევს ჯაფარიძეებს: „...სოფრომს, ვახტანგს, გიორგის და მერაბს... რომელიც თქვენის სახლის კაცი, ჩემი ძმის ერისთავის როსტომის ერთგული და სიტყვის მორჩილი იქნეს, თქვენ ჩემის ძმისაგან ან წახდენით, ან გაღარიბებით, არ გიშავდესთ რამე... მე ვიყო თქვენის ცოდვის პასუხის გამცემი"[5]. მაგრამ ზოგჯერ საქმეში ბესარიონის ჩარევასაც შედეგი არ მოჰქონდა. მაგალითად, 1754-1768 წ.წ. მიცემულ იმედის წიგნში კათოლიკოსი იმავე პირებს ბოდიშს უხდის ძმის ქმედებისათვის და ყველაფერს „ჟამთა ვითარებას" მიაწერს... „რომე ჟამთა ვითარებისაგან ჩემს ძმას ერისთავს როსტომს და თქვენს შუა ცოტა რამ გულისტკენა ჩამოვარდა, მერმე ჩვენის ბრძანებითა და შუამდგომლობითა გაგარიგეთ და შეგაერთეთ"...[6] მაგრამ კათოლიკოსის მიერ დადებულმა „ცოდვისა და მადლის წიგნმა" ვერ იხსნა ჯაფარიძეთა საგვარეულო ერისთავის მძლავრობისაგან.

როსტომ ერისთავის მადა წერეთლების მამულებსაც მისწვდა (წერეთლებს მამულები ჰქონდათ რაჭაშიც და ქართლშიც). მე-18ს. შუა ხანებში როსტომ ერისთავსა და წერეთლებს შორის აშკარა მტრობა ჩამოვარდა, რაც შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. როსტომ ერისთავმა, ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ, ჯრუჭის ხეობა, თავისი შესანიშნავი მონასტრით, წერეთლებს წაართვა და თავის სამფლობელოს შეუერთდა. ეს იმერეთის ამ უძლიერესი გვარის საბოლოო გადამტერებას ნიშნავდა.

წერეთლებმა დახმარებისათვის იმერეთის მეფეს სოლომონ პირველს მიმართეს. მეფე „საქმეში ჩაერია". მან მონასტერი და მისი მიდამოები ერისთავს ჩამოართვა და ჯრუჭისვე მონასტერს შესწირა. ეს წერეთელთა მხარდაჭერას ნიშნავდა. მეფის ამ გადაწყვეტილებით, ბუნებრივია, უკმაყოფილო განსაკუთრებით როსტომ ერისთავი დარჩა[7].

რაჭის ერისთავის რეზიდენცია იყო სოფელი წესი, სადაც იდგა მათი

სასახლე, რომელსაც ბარაკონი ეწოდებოდა და როსტომის მიერ ღვთის-მშობლის სახელზე აგებული კარის ეკლესია.[8]

ბარაკონის მახლობლად, მაღალი კლდის თავზე, იდგა ერისთავების ძლიერების სიმბოლო - მტრისგან აუღებელი ციხესიმაგრე „მინდა". მას, გარდა ამისა, ჩრდილოეთიდან იცავდა კლდოვანი მთა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდ. რიონი. ამიტომ ბარაკონის სასახლე ტახტიდან ჩამოგდებული თუ მტრებთან ბრძოლაში დამარცხებული ქართველი მეფეების საიმედო თავშესაფარს წარმოადგენდა. ისინი აქ იკრებდნენ ძალებს, ზვავივით დაეშვებოდნენ მაღალ მთებიდან, ტახტს იბრუნებდნენ და შემოჭრილ თურქებს რისხვად ატყდებოდნენ.[9]

ერისთავი მტკიცედ იცავდა წესის მისადგომებს. ამიტომ საერისთავო, ბუნებრივი თუ ხელოვნური ზღუდეებით გარშემორტყმული, ძნელად მისადგომი იყო. ამითაც გულმოცემული როსტომ ერისთავი მეფეს აღარ ემორჩილებოდა და სრული განცალკევებისაკენ მიისწრაფოდა.

მე-18 საუკუნის 50-იანი წლების ერთი საბუთის მიხედვით „მინდას" ციხე, ხიდისკარი, სამკვიდრო სოფელი წესი, სოფლები ლიხეთი და ურავი - ყველა ეს ერისთავებისადმი ძველთაგანვე ბოძებული იყო მეფეების მიერ და მათ ისინი მემკვიდრეობით ფლობდნენ, მაგრამ შემდეგ გაძლიერებულმა როსტომ ერისთავმა თავისთვის მიისაკუთრა[10].

ამის შემდეგ როსტომ ერისთავი თავის თავს მთელი რაჭის მფლობელად თვლიდა და იქ არსებული სათავადოებისაგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა (ამ დროს რაჭა ერთი საეპისკოპოსოსა და ოთხი - საერისთავო, საწულუკიძეო, საიაშვილო და საჯაფარიძეო - სათავადოსაგან შედგებოდა).

რაჭის ერისთავის გაძლიერებას ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ის სარდლის სახელოსაც ფლობდა.

გარეშე მტრებთან ბრძოლის დროს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სასარდლოს ანუ სადროშოს - განსაზღვრული სახის სამხედრო-ტერიტორიულ ერთეულს. სარდალი სამეფო ხელისუფლების მოხელე იყო. სარდლის სახელო, ისე, როგორც სხვა სახელოები, მემკვიდრეობით ეპყრათ თავადურ გვარებს. „ზემო ქვეყნის" ანუ „ზემო მხარის" (ზემო იმერეთის) სარდლობა წერეთლებს ჰქონდათ, რაჭის - რაჭის ერისთავებს".[11]

ამდენად, გართულებული პოლიტიკური ვითარებისას იმერეთის მეფისათვის როსტომ ერისთავი ანგარიშგასაწევ ფიგურას წარმოადგენდა და

მასთან სამოციანი წლების პირველ ნახევრამდე ფრთხილი ურთიერთობა ჰქონდა.

წერილობითი წყაროებისა და თანამედროვეთა გადმოცემების მიხედვით, როსტომ ერისთავი, ეკლესიებისა და სასახლეების მშენებელი, წიგნიერი და მოხერხებული პიროვნება იყო. მის ჯოგებს, თითქოს, მთა და ბარი ძლივს იტევდა, თითქოს ერისთავი სიმდიდრით მეფე სოლომონს აღემატებოდა.[12] როსტომ ერისთავის გავლენისა და ძლიერების ზრდას ხელს უწყობდა ისიც, რომ მისი ძმა ბესარიონი დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი იყო და მხარს უჭერდა ზვიადი ფეოდალის ბრძოლას მეფის წინააღმდეგ.

გაძლიერებული რაჭის ერისთავები თავიანთ განდიდებას ტიტულატურაშიც გამოხატავდნენ. ისინი თავს „ლიხთ-იმერეთისა და ლიხთ-ამერეთის მთავრად და მსაჯულად მოიხსენიებენ[13], ან ასე – ლიხთ-იმერთა სარდალი... მპყრობელი რაჭის".

როსტომი დიდი გავლენით სარგებლობდა არა მარტო დასავლეთ, არამედ აღმოსავლეთ საქართველოშიც. მას პატივით მოიხსენიებდა რუსეთის იმპერატორი ეკატერინე მეორეც.

რთული და წინააღმდეგობრივი იყო სოლომონ პირველის დამოკიდებულება როსტომ ერისთავთან. ქვეყნის დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისათვის მებრძოლ მეფეს თავკერძა ფეოდალი დიდ დაბრკოლებებს უქმნიდა, მას კი ერისთავის დასჯა ადვილად არ შეეძლო (მხედველობაში გვაქვს 1752 წლის შეთქმულება ლევან აბაშიძესთან ერთად მეფის წინააღმდეგ). ეს ფაქტი სამეფო, ცენტრალური ხელისუფლების სისუსტით უნდა ავხსნათ. სწორედ ამიტომ მეფემ როსტომს „მიუტევა", კვალად შემოირიგა იგი და რაჭის ერისთავად დატოვა.[14]

1755 წელს გელათის ტაძრისადმი მიცემულ სიგელში სოლომონ პირველი სხვა თავადებთან ერთად როსტომ ერისთავსა და ლევან აბაშიძეს მოიხსენიებს, როგორც „დიდებულნი ჩემნი": „კაცთაგან ამის მოწმე ყოვლად სანატრელი უფალი ჩვენი აფხაზეთის კათალიკოსი ბესარიონი და დიდებულნი ჩემნი თავად სპასპეტი და ვიპატოსი ერისთავი როსტომ".[15] სოლომონ პირველი იძულებული გახდა, დროებით დაზავებოდა სამეფოს დაუძინებელ მტრებს.

1757-1759 წლებში გატარებულმა ღონისძიებებმა იმერეთის მეფეს დასავლეთ საქართველოში დიდი ავტორიტეტი მოუპოვა, თუმცა ფეოდალთა

ერთი ნაწილი (თეიმურაზ ბატონიშვილი, როსტომ ერისთავი, ნაწილობრივ – კაცია დადიანი) კვლავ განკერძოებულობისაკენ მიისწრაფვოდნენ. როსტომ ერისთავმა, ამჯერად გარეშე ძალის – თურქების დახმარებით სცადა, ტახტიდან ჩამოეგდო სოლომონ პირველი. შინაფეოდალური ბრძოლა 1765 წელს ზაფხულში დაიწყო. თეიმურაზ ბატონიშვილმა დროებით გაიმარჯვა, მაგრამ 1768 წელს იგი დაატყვევა მეფემ, როსტომის დასასჯელად კი, 1767 წელს, სოლომონმა რაჭას ლეკები მიუსია და გააძარცვინა.

1769 წლის მარტში სოლომონმა, რაჭის საერისთავოს დასუსტების მიზნით, გადამჭრელ ზომებს მიმართა. ძირითად ციხეებში ერთგული კაცები ჩააყენა, დაანგრია ერისთავის სასახლე წესში, გადაწვა ახლომახლო სოფლები, თუმცა როსტომი მაინც ვერ შეიპყრო.

დიდი დანაკლისის მიუხედავად, ურჩმა ფეოდალმა ელჩები გაგზავნა ყაბარდოსა და თურქეთში, მაგრამ უშედეგოდ.

ასევე წარუმატებლად დამთავრდა ბესარიონ კათოლიკოსისა და ქაიხოსრო აბაშიძის მოგზაურობა ახალციხეში. კათოლიკე მისიონერის ლეონის თანახმად, ახალციხის ფაშამ სოლომონს არ აწყენინა, რათა იგი რუსებს არ მიმხრობოდა (ზღურბლზე იყო მომდგარი რუსეთ-თურქეთის ომი). ამავე დროს, ანგარიში გაუწია იმერთა მეფის სიძლიერეს და კათოლიკოსი ბესარიონი, დახმარების ნაცვლად, ციხეში დაამწყვდია. ბესარიონმა შეძლო გაქცევა და ოდიშში, დისშვილთან, კაცია დადიანთან შეაფარა თავი.[16]

ბესარიონ კათოლიკოსის ღალატი მეფეს უპასუხოდ არ დაუტოვებია, 1769 წლის 10 მაისს სოლომონმა სამშობლოსა და ეკლესიის მტრის ნაცვლად საეკლესიო კრებას კათოლიკოსად აკურთხებინა თავისი ძმა – გელათის მიტროპოლიტი იოსები.[17]

იმერეთში რუსის ჯარის შემოსვლისთანავე (აგვისტო-სექტემბერი) მეფემ ღალატით შეიპყრო როსტომ ერისთავი და თვალები დათხარა. ამ საქმის უნებლიე ხელისშემწყობი იოსებ კათოლიკოსი აღმოჩნდა.

როსტომ ერისთავის დასჯის შესახებ დაწვრილებითი ცნობები შემოგვინახა ქართულმა ხალხურმა საისტორიო სიტყვიერებამ.[18]

სოლომონ პირველმა ანდერძი დატოვა: „წყევითა და შეჩვენებით მსოფლიო პატრიარხთაგან, ე.ი. რათა დასასრულამდე ქვეყნისა ძენი და ძის ძენი და შთამომავალნი მათნი (როსტომის მემკვიდრენი) არღარა მიღებულ იქმნენ მემკვიდრედ რაჭისა".[19]

სოლომონ მეორემ სათანადოდ შეასრულა მეფის უკანასკნელი სურვილი და რაჭის საერისთავო საბოლოოდ გააუქმა.

ამრიგად, მე-18ს. 50-60-იან წლებში რაჭის საერისთავო საკმაოდ ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა იმერეთის სამეფოში. ერისთავთა მისწრაფება გენკერძოებულობისაკენ საფრთხეს უქმნიდა სამეფო ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცებას.

თურქეთის ექსპანსიის ალაგმვა, ქვეყნის ერთიანობისა და ეკონომიკური აღორძინებისათვის ბრძოლა, "ტყვის სყიდვის" აკრძალვა, შეუძლებელი იყო ურჩი ფეოდალების დამორჩილების გარეშე, რომელთა შორის განსაკუთრებით როსტომ ერისთავი გამოირჩეოდა. 17 წლიანი ბრძოლის შედეგად სოლომონ პირველმა როსტომი დაამარცხა, რაჭის საერისთავო გააუქმა და ტახტის მემკვიდრეს ანდერძად დაუტოვა, იგი აღარასოდეს აღედგინა.

Madona Robakidze

SAERIZTAVO OF RACHA IN 50-60 YEARS OF THE XVIII CENTURE

In 50-60-ies of the XVIII c the Saeristavo of Racha was one of the powerful political units in Imereti Kingdom. The Eristavies desire for seperation threatened the Central Royal authority.

It was impossible to struggle with Turkish expansion, also to struggle for the unity and economical flourishing of the country, to abolish the selling of hostages without doaling with disobedient feudal lords. Among them Rostom Eristavi was distinguished. After 17-year struggle Solomon I managed to defeat him and abolished the Saeristavo of Racha.

ლიტერატურა:

1. ო. სოსელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ. 1973, გვ. 68-69.

2. იქვე, გვ. 119.

3. ქუთაისის ნ. ბერძენიშვილის სახ. სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბ. №706.

4. გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება (მე-16-19 სს.), თბ. 1988, გვ. 88.

5. საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. 1501.

6. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა (1466-1770 წწ.), წ. I, შ. ბურჯანაძის რედ. თბ. 1958, გვ. 117.

7. გ. მეტრეველი, ჟამი ბრძოლისა და თანადგომისა, თბ. 1983, გვ. 56.

8. გაზ. "ივერია", 1902 წ. №62.

9. გაზ. "კომუნიზმის დროშა", 1965 წ. 12 ივნისი.

10. Акти Кав. Археограф. Комисий, т.V., Тф. 1873, с. 91, №109.

11. ო. სოსელია, დასახ. ნაშრ. გვ. 224.

12. Грамоты и другие исторические документи XVIII столетия относящиеся к Грузии, т. I, ред. А. Цагарели. СНБ, 1891, с. 195.

13. ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, თბ. 1922, გვ. 149.

14. საქართველოს სიძველენი, ტ. III, თბ. 1910, გვ. 596.

15. ს. კაკაბაძე, დას. საქართველოს საეკლესიო საბუთები, ტ. II, გვ. 5 ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. Sd, საბ. 1563.

16. გაზეთი "კომუნარი", №96, 1959 წ.

17. ხელნაწერთა ინსტიტუტი, H - 2782.

18. სოლომონ პირველი დიდი, იმერეთის მეფე, 1895, "კვალის" რედაქცია, სოლომონ მეფე და როსტომ ერისთავი, თბ., 1936.

19. საქართველოს სიძველენი... III, გვ. 569-570.

საქართველოს ისტორიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

სერგო სვანაძე

სრულვყოთ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზების სამართლებრივი ბაზა

ქვეყანაში არსებული საბიუჯეტო კრიზისის ფონზე მწვავედ დგას შემოსავლების მობილიზებაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და რეზერვების მოძიების საკითხი. არასაკმარისი შემოსავლების გამო ვერ ხერხდება ისედაც მცირე ხარჯების დაფინანსება, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის ქვეყნის სტაბილურობას და უარყოფითად მოქმედებს მის განვითარებასა და მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობაზე.

აღნიშნული პრობლემა უკავშირდება საგადასახადო პოლიტიკას, ეს კი, თავის მხრივ, საგადასახადო კოდექსს მსჯელობისა და კამათის ობიექტად აქცევს. გამომდინარე საკითხის აქტუალობიდან, მიზანშეწონილია განხილულ იქნას საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი მეთოდოლოგიური და ორგანიზაციული საკითხი, რაც, ჩემი აზრით, აუცილებლად ითხოვს რეაგირებას.

საგადასახადო შემოსავლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების დაბეგვრას. აღნიშნული საქონლის წარმოებისა (მიწოდების) თუ იმპორტის განხორციელებით სახელმწიფოს ბიუჯეტში შემოსავალზე გადასახადების სახეობებიდან აქცენტი გარკვეულწილად გაკეთებული აქვს აქციზის გადასახადზე.

თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების აქციზის გადასახადით სრულყოფილად დაბეგვრას განსაკუთრებული პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი უზრუნველყოფს სახელმწიფო შემოსავლების მნიშვნელოვან ნაწილს.

საგადასახადო კოდექსის მოქმედებაში შესვლის პერიოდიდან, 1997 წლიდან, თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების აქციზის გადასახადით დაბეგვრის წესი რამდენიმეჯერ შეიცვალა. აღნიშნული იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ მიმდინარეობს ოპტიმალური ვარიანტის ძიების პროცესი.

კერძოდ, თავდაპირველად აქციზის გადასახადი განისაზღვრებოდა პროცენტულად საქონლის ღირებულებასთან მიმართებაში, შემდეგ 1998 წლის 1 მაისის №1369-IIს კანონით ალკოჰოლიან სასმელებზე აქციზის გადასახადი დაწესდა ფიქსირებული თანხით მოცულობასთან (1 ლიტრი) მიმართებაში, ხოლო 1998 წლის 30 ოქტომბრის №1666-ს1 ს კანონით თამბაქოს ნაწარმზეც დაწესდა ფიქსირებული თანხა მოცულობაზე (1000 ღერი). 1999 წლის 25 ივნისის №2180-IIს და 23 ივლისის №2343-რს კანონებით კვლავ მოხდა გარკვეული ცვლილებები აქციზის გადასახადით დაბეგვრაში. მაგრამ მიუხედავად კოდექსის 130-ე მუხლში ჩამოყალიბებული თამბაქოსა და ალკოჰოლიანი სასმელების დაბეგვრის არსებული წესისა, საგადასახადო კოდექსის 273-ე მუხლის დებულებათა საფუძველზე (თამბაქოს ნაწარმის თავიდანვე, ხოლო შემდეგ ალკოჰოლიანი სასმელების) ფაქტიურად დღემდე ხდება მათი განსაკუთრებული რეჟიმით დაბეგვრა. კერძოდ, თამბაქოს ნაწარმის იმპორტი დღგ-სა და აქციზის ნაცვლად იბეგრებოდა ფიქსირებული გადასახადით, ხოლო ალკოჰოლიანი სასმელები საბაჟო გადასახადის, აქციზისა და დღგ-ის ნაცვლად კომბინირებული ფიქსირებული გადასახადით მოცულობაზე (1 ლიტრი). 2000 წლიდან თამბაქოს ნაწარმზე იმპორტთან ერთად მიწოდებაც (წარმოება) დაიბეგრა ფიქსირებული გადასახადით, რომელშიც 2001 წლიდან კვლავ შევიდა შესწორება.

ყველა ეს ცვლილებები მეტ-ნაკლებად გათვლილი იყო, ყოველ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო, აღნიშნული პროდუქციის სრულად დაბეგვრაზე და გადასახადების ბიუჯეტში მობილიზების ზრდაზე. მაგრამ რაიმე მნიშვნელოვანი ფისკალური ეფექტი მიღწეული ვერ იქნა.

ერთ-ერთი მიზეზი ამისა არის კონტრაბანდული და აღურიცხავი საქონლის წარმოება და იმპორტი, რამაც მნიშვნელოვანი მასშტაბები მიიღო და სერიოზული პრობლემები შექმნა როგორც შემოსავლების ოდენობის მხრივ, ასევე დაბეგვრის სამართლიანობის და სახელმწიფოს მხრიდან კონკურენტუნარიანი სამეწარმეო გარემოს შექმნის საქმეში. მაგ.: გათვლებით საქართველოში შემოსული თამბაქოს ნაწარმის მხოლოდ 30-40%-ია აღრიცხული. ბაზარზე დანარჩენი საქონელი არის აღურიცხავი ან კონტრაბანდული.

სწორედ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების

გადაუხდელობამ, კონტრაბანდის გზით შემოტანილი, აღურიცხავი პრო-
დუქციით ქვეყნის შიდა ბაზრის გაჯერებამ და სხვა ქვეყნების გამოცდი-
ლების გათვალისწინებამ აუცილებელი გახადა ეკონომიკურ სფეროში
ზოგიერთი კატეგორიის დარღვევებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის
გაძლიერება, რის საფუძველზეც 1998 წლის 30 ოქტომბრის კანონით
საქართველოს ტერიტორიაზე წარმოებული და საქართველოს ტერიტო-
რიაზე შემოტანილი ალკოჰოლიანი სასმელები და თამბაქოს ნაწარმი
დაექვემდებარა აქციზური მარკების სავალდებულო დართვას, ალკოჰ
ოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და
რეალიზაციაზე სახელმწიფო კონტროლის სრულყოფისა და აღნიშნული
საქონლის გადასახადების ბიუჯეტში დროულად და სრულად მოქცევის
მიზნით.

1999 წლის 1 თებერვლიდან აიკრძალა საქართველოს ტერიტორიაზე
აქციზური მარკებით მარკირების დაქვემდებარებული ალკოჰოლიანი სას-
მელებისა და თამბაქოს ნაწარმის იმპორტირება და წარმოება შიდა
მოხმარებისათვის, ხოლო 1999 წლის 1 მარტიდან მათი რეალიზაცია
აქციზური მარკების გარეშე - თანახმად საქართველოს პრეზიდენტის
1999 წლის 28 მაისის №355 ბრძანებისა „საქართველოში ალკოჰოლიანი
სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და
რეალიზაციაზე აქციზური მარკების შემოღების შესახებ". ზემოთ აღნიშ-
ნული ბრძანებულების მე-8 პუნქტის შესაბამისად საქართველოს ტერი-
ტორიაზე მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზუ-
რი მარკების გარეშე იმპორტირებისა და რეალიზაციის განსაზღვრული
წესების დარღვევის შემთხვევაში აღნიშნული პროდუქცია დაექვემდებარება
საგადასახადო და საბაჟო სამსახურების მიერ ჩამორთმევას და ფინანსთა
სამინისტროს სპეციალური სტრუქტურული ქვედანაყოფის განკარგუ-
ლებაში გადაცემას. მე-9 და მე-10 პუნქტების შესაბამისად ეკონომიკის
სამინისტროს დაევალა ჩამორთმეული უაქციზო საქონლის შემდგომი
რეალიზაციის წესის შემუშავება და დამტკიცება, ხოლო საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს ჩამორთმეული აქციზური საქონლის განადგუ-
რების წესის შემუშავება.

აღნიშნულის შემდეგ საქართველოს 1999 წლის 23 ივლისს №2343-რს
კანონით საგადასახადო კოდექსის 134-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგინ-

და: „საგადასახადო და საბაჟო ორგანოები, რომლებიც აწესებენ კონ-
ტროლს აქციზის გადახდაზე, დადგენილი წესის შესაბამისად ახდენენ
აქციზური მარკის გარეშე იმპორტირებული ან გასაყიდად მიღებული
აქციზური საქონლის ჩამორთმევას. ჩამორთმევის მომენტიდან საქონელი
ითვლება სახელმწიფო საკუთრებად და მისი რეალიზაცია ან განადგუ-
რება ხდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს საგა-
დასახადო შემოსავლების სამინისტროს დადგენილი წესით".

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, 1999 წლის 19 ნოემბერს
გამოცემული იქნა საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს
საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარისა და საქარ-
თველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ერთობლი-
ვი ბრძანება №246/285/224 „სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული,
მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის-ალკოჰოლიანი სას-
მელებისა და თამბაქოს ნაწარმის საქართველოში რეალიზაციის და გა-
ნადგურების წესის შესახებ", რითაც განისაზღვრა და მოხდა რეგლამენტი-
რება იმ ღონისძიებებისა, რის საფუძველზეც და რა წესით უნდა მომხდა-
რიყო ჩამორთმეული უაქციზო საქონლის შეფასება, მარკირება, რეალი-
ზაცია, ამონაგები თანხის განაწილება. რა ფორმით უნდა მომხდარიყო
ჩამორთმეული უაქციზო საქონლის რეალიზაცია, ვის მიერ, რომელ სტრუქ-
ტურას რა უფლებამოსილება გააჩნია. მიუხედავად აღნიშნული ბრძა-
ნებისა, ჯერჯერობით ჩამორთმეული და კონფისკაციაქმნილი უაქციზო
სიგარეტი და ალკოჰოლიანი სასმელი ნადგურდება. არადა ჩვენი ქვეყანა
ეკონომიკურად არც ისე ძლიერია, რომ თავს მივცეთ უფლება დავწვათ ან
სანიაღვრე კოლექტორში გადავღვაროთ უაქციზო სიგარეტი თუ ალკოჰ
ოლიანი სასმელი. ქვეყნის მასშტაბით ასი ათასობით კოლოფი უაქციზო
სიგარეტი თუ ათასობით ბოთლი ალკოჰოლიანი სასმელია ამოღებული
და სახელმწიფომ აქედან არათუ რაიმე სარგებელი ნახა, არამედ შე-
საბამისმა სამსახურებმა დამატებითი ხარჯებიც (თავმოყრა, გადატანა და
ა.შ.) გასწიეს. იმის დამატებით, რასაც აღურიცხავი უაქციზო საქონლის
მოძრაობა ბაზარზე ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებს ზიანს აყენებს.

დღემდე არ ამოქმედდა პრაქტიკულად ის მექანიზმი, რასაც ზემოთ
აღნიშნული ერთობლივი ბრძანება ითვალისწინებს, სახელმწიფო საკუთ-
რებაში მოქცეული უაქციზო სიგარეტისა და ალკოჰოლიანი სასმელების

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალიზაციის წესის შესახებ, არადა ქვეყნის დღევანდელი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან მიზანშეწონილი იქნებოდა, ჩამორთმეული, კონფისკაციაქმნილი უაქციზო სიგარეტი თუ ალკოჰოლიანი სასმელი ნიშანდებული იქნეს სპეციალური აქციზური მარკით. ამგვარი საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა, რეალიზაციაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით, ნაცვლად ზემოთ აღნიშნული ერთობლივი ბრძანებით დადგენილი განაწილების წესისა, როდესაც ამონაგები თანხის 75% წარიმართება საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში, ხოლო 25% - ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში, მიზანშეწონილია განაწილდეს საპირისპირო პროპორციით: 25% საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში, 75% - ავტონომიური რესპუბლიკისა და საქართველოს სხვა ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში. ამით, ჯერ ერთი, შესაბამის ტერიტორიულ ერთეულს გაუჩნდება დამატებითი წყარო ადგილობრივი ბიუჯეტის შესავსებად და მეორეც, ასეთი მიდგომით ჩამოყალიბდება მიზანმიმართული და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა უაქციზო საქონლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების კუთხით, ვინაიდან აღნიშნულით ადგილობრივი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის მასშტაბით შესაბამის სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას ემატება მატერიალური დაინტერესება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში დამატებითი სახსრების მოსაზიდად, და ამ მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ საგადასახადო სისტემის ორგანოების პასუხისმგებლობის და ინტერესის ფარგლებს გასცდება.

დაბეგვრის პოლიტიკის ერთ-ერთ მოუგვარებელ საკითხთა რიგს განეკუთვნება მავნე ნივთიერებით გარემოს დაბინძურების გადასახადიც - აღნიშნულ გადასახადს საგადასახადო კოდექსით მოქმედებაში შესვლიდან იხდიდნენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც დაბინძურების მოძრავ წყაროებზე ახორციელებენ ბენზინისა და დიზელის საწვავის საცალო რეალიზაციას, შესაბამისად გადასახადს იხდიდნენ ავტოგასამართი სადგურები და თანხები მიიმართებოდა ტერიტორიულ ბიუჯეტში ანუ მეტ-ნაკლებად ცალკეული ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში რეალიზებული და მოხმარებული საწვავის პროპორციულად შედიოდა თანხები ადგილობრივ ბიუჯეტებში და ამდენად ეს გადასახადი ტერიტორიული ბიუჯეტების შემოსავლის წყაროს წარმოადგენს. საგადა-

სახადო კოდექსში საქართველოს 1998 წლის 1 მაისის №1369-11 ს კანონის თანახმად შეტანილი ცვლილებებით მავნე ნივთიერებებით გარემოს დაბინძურების გადასახადის გადამხდელები გახდნენ ის ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც ახორციელებენ ბენზინის, მაზუთის, დიზელის საწვავის, ნავთისა და თხევადი აირის იმპორტს, აგრეთვე მის წარმოებას. შედეგად, ამჟამად მისი გადამხდელები არიან ნავთობპროდუქტების მწარმოებელი საწარმოები და იმპორტიორები, რომლებიც აღნიშნულ გადასახადს იხდიან საქონლის განბაჟებისას, ე.ი. ცენტრალიზებულად. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ სფეროში დასაქმებულ მეწარმე სუბიექტთა წრე შეზღუდულია (მხედველობაში არ მიიღება კონტრაბანდით შემოტანილი საქონელი), ხოლო გადამხდელთა აბსოლუტური უმეტესობა დაფუძნებულია თბილისში ან საქართველოს კიდევ ერთ-ორ ქალაქში - ცხადი ხდება, რომ აღნიშნული გადასახადი შედის მხოლოდ რამდენიმე ტერიტორიული ერთეულის ბიუჯეტში, რაც მათ გარკვეულწილად პრივილეგირებულ მდგომარეობას უქმნის, მაშინ, როცა საწვავი მთელი ქვეყნის მასშტაბით მოიხმარება. შეიძლება ითქვას, რომ შინაარსობრივად და თავისი ბუნებით ეს გადასახადი არანაკლებ "ცენტრალურია", ვიდრე თვით დღგ. აქედან გამომდინარე, ან უნდა შეიცვალოს ამ გადასახადის გამოანგარიშება-გადახდის მექანიზმი, ან აღნიშნული გადასახადი მიმართული იქნეს ცენტრალურ ბიუჯეტში.

С.И. Сванадзе

УСОВЕРШЕНСТВОВАТЬ ПРАВОВУЮ БАЗУ ГОСУДАРСТВЕННЫХ ДОХОДОВ

Резюме

Вналоговых доходах одно из важнеищих мест занимает вопрос наологооблажения алькололь́них напитов и табачного изделья акцизом, метод которого несолько раз изменялся, а прикахом президента грузии от 28 мая 1998 года №355, С 1 МАРТА 1999 года было запрещено импорт, производство и реализация алькогольного напитка и табачного изделья без акцизных марок. В месте с тем были разработани правила реализации и утилизации неакцизной продукций. Но пока что приисходит только их утилизация. Было бы целосообразно изьятую неакцизную продукцию

ეროვნული ბიბლიოთეკა

маркировать специальным акцизом и произвести их реализацию путем открытого аукциона, а с вирученного средства весомую долю направит - в местный територяльный бюджет.

К вопросам, который требует обсуждения, относится экологический налог (загрязнение окружающей среди вредними веществами)ю

В начале этот налог платили те физические и юридические лица, которые вели роничную реализацию бензина и дизельного топлива. После изменений налогоплательщиками стали производители и импортери. Но так как круг лиц занимающих производством и импортом данной продукции сужен и регистрировани они в основном в Тбилиси, то все поступления от налога входит вданный местный бюджет, а продукция реализуется по всей стране. По этому целосообразно или внести изменения правила вичисления и уплати налога, или направить налог в центральный бьюджет.

ლიტერატურა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. თბილისი 1997 წ. ივნისი

2. საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 28 მაისის №355 ბრძანება „საქართველოში ალკოჰოლიანი სასმელების, ლუდისა და თამბაქოს ნაწარმის წარმოებაზე, იმპორტსა და რეალიზაციაზე აქციზური მარკების შემოღების შესახებ".

3. საქართველოს ფინანსთა მინისტრის, საქართველოს საგადასახადო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის და საქართველოს საბაჟო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 19 ნოემბრის №246/285/224 ერთობლივი ბრძანება „სახელმწიფო საკუთრებაში მოქცეული, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის-ალკოჰოლიანი სასმელებისა და თამბაქოს ნაწარმის საქართველოში რეალიზაციის და განადგურების წესის შესახებ"

4. ი. მესხია, ო. ნიკოლეიშვილი - "გადასახადები და დაბეგვრა" თბილისის 2002 წელი.

5. „საგადასახადო მაცნე" სპეციალური გამოშვება - 1999 წლის მარტი.

ფინანსებისა და კრედიტების კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მარინე სირბილაძე

სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის კავშირის ბუნების ფსიქოლოგიური კვლევის ასპექტები

სიტყვა - ბგერათშეერთება, რომელსაც ლექსიკური (საგნობრივი) მნიშვნელობა აქვს. იგულისხმება, რომ ბგერათა კომპლექსი იმთავითვე არ წარმოადგენს სიტყვას და იგი მხოლოდ მაშინ გადაიქცევა სიტყვად, როცა მასში სათანადო შინაარსი „ჩაიდება". მაშინ შეიძლება ბგერათა კომპლექსმა (როგორც სიტყვამ) შეასრულოს აზრის ან სათანადო შინაარსის გამოხატვის (გადაცემის) ფუნქცია და გადაიქცეს სოციალურ ფენომენად, მეტყველების შემადგენელ ნაწილად.

სახელდება - გაგებულია ისე, როგორც სახელის წოდება, დარქმევა, როგორც სიტყვის ქმნადობა, სახელისა და მნიშვნელობის პირველდაკავშირება.

სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის კავშირის ბუნების კვლევის მიზნით ჩატარებულ მრავალრიცხოვან გამოკვლევებში სამი ძირითადი მიმართულება შეინიშნება: 1. ცალკეული ფონემენების სიმბოლიზმის კვლევა; 2. ბუნებრივი ენები ფონეტიკური სიმბოლიზმის კვლევა და 3. უშუალოდ სახელდების პროცესის კვლევა. თავისი შედეგებით ყველაზე ნაყოფიერად ჩანს მესამე მიმდინარეობა, რომლის ფუძემდებლადაც დ. უზნაძე გვევლინება. მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნის 20-იან წლებამდე გამოქვეყნდა ჯ. ინგლიშის ექსპერიმენტული გამოკვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა გაერკვია „საკუთარი სახელების ფიზიოგნომიის" როლი ამ სახელების მატარებელ უცნობ ინდივიდებზე შემუშავებული წარმოდგენების რაგვარობაში; შემდეგ კი ე. ალსპაჩი აგრძელებს ინგლიშის მიერ წამოწყებულ კვლევას [5,1]. თუმცა მიღებული შედეგები მათ მიერ არ განიხილებოდა სახელდების პრობლემასთან მიმართებაში, აქ

პირველად გამოვლინდა ფაქტი, რომელსაც სახელდების პრობლემის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. კერძოდ, ცდისპირების მიერ ბგერათა კომპლექსი, რაიმე ცნობიერი და ასოციაციური კავშირების გარეშე, განიცდება ისეთი თვისებების მატარებლად, რომლებიც რაღაცნაირად შეესატყვისებიან იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც ცდისპირში ესა თუ ის ინდივიდი იწვევს. ამასთან ერთად დადგინდა, რომ ბგერათა კომპლექსით გამოწვეული ეს შთაბეჭდილებები ხასიათდებიან ერთგვარი ინტრაინდივიდუალური კონსტანტობით.

ხოლო შემდეგ ზ. ფიშერი იკვლევს: როგორ და რა პირობებშია შესაძლებელი საზოგადოდ, რომ ბგერათა კომპლექსმა საგნის წარმომადგენლობა აიღოს თავისთავზე, როგორ ხდება კომპლექსი საგნის სახელად [11].

დ. უზნაძის „სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები" წარმოადგენს პირველ ექსპერიმენტულ გამოკვლევას უშუალოდ ამ მიმართულებით და მისი უპირატესობა სხვებთან შედარებით იმაშია, რომ სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის პირველდაკავშირება, ანუ სახელდება, ექსპერიმენტულ პირობებში ხორციელდება, ე.ი. დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს თვით სახელდების პროცესი და არა მისი შედეგი.

მოკლედ თუ ვიტყვით, დ. უზნაძის ექსპერიმენტებში ცდისპირს ევალებოდა უაზრო ბგერათა კომპლექსებიდან შეერჩია სახელი აბსტრაქტული, უაზრო გრაფიკული გამოსახულებისათვის და მოეცა თვითდამკვიდრების ანგარიში.

რა გამოირკვა ამ ექსპერიმენტებით: I. ცდისპირები უაზრო ბგერათკომპლექსს განიცდიდნენ, როგორც გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებელს, 2. სახელდებისათვის აუცილებელია, რომ სახელმდებელი ბგერათა კომპლექსს განიცდიდეს სახელსადები შინაარსის შესატყვისი სახელის ფუნქციის მატარებლად, 3. ბგერათა კომპლექსის გარკვეული სახელის ფუნქციის მატარებლად განცდა ხასიათდება ინტერ - და ინტრაინდივიდუალური კონსტანტობით.

აქედან გამომდინარე დ. უზნაძე ასკვნის: „სიტყვა შემთხვევით კი არ უკავშირდება ობიექტს და, მაშასადამე, იგი შემთხვევით კი არ ღებულობს სახელწოდების ფუნქციას თავის თავზე, არამედ, ჩვეულებრივ, სიტყვისა და ობიექტის წარმოდგენათა მიმართების მონაცემის შესაფერისობას ემყარება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელშიაც სიტყვისა და ობიექტის მნიშვნელობა ურთიერთს ხვდება" [9,26] ან: „როგორც ქვალიტატური, ისე ქვანტიტატური ანალიზი საკმაო სიცხადით ამტკიცებს, რომ ბგერითი კომპლექსის სახელდების მიზნით გამოყენება შეუძლებელია შემთხვევით მოვლენად ჩაითვალოს. მას აქვს თავისი ფსიქოლოგიური საფუძვლები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით ბუნებრივად და მაშასადამე, პირველადად ის ზოგადი შთაბეჭდილება, ემოციონალური ტონი და, დასასრულ მოყვანილობა უნდა ჩაითვალოს, რომელშიაც სახელსადები ობიექტი და ბგერითი კომპლექსი ურთიერთს ხვდება" [9,29].

ცხადია, დ. უზნაძის გამოკვლევის შედეგები ეწინააღმდეგებიან ენობრივი ნიშნის პირობითობის, ნებისმიერობის ფართოდ გავრცელებულ თეორიას, ამიტომ ბევრმა მკვლევარმა სცადა, შეემოწმებინა და დაემტკიცებინა დ. უზნაძის მიერ მიღებული შედეგები. მათ შორის აღსანიშნავია ჩ. ფოქსის [12], რ. დევისის [4], რ. ირვინისა და ე. ნიულენდის [6] გამოკვლევები, სადაც დადასტურდა დ. უზნაძის მიერ მიღებული ყველა შედეგი. ამასთან აღმოჩნდა, რომ ცდისპირები ხშირად ერთსა და იმავე ბგერათა კომპლექსს ირჩევდნენ მოცემული სახელსადები შინაარსისათვის, ხოლო სახელდების საფუძვლად სხვადასხვა რამეზე მიუთითებდნენ [12]. აგრეთვე სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევა 9 წლის შემდეგ იღებს გარკვეულ კანონზომიერ ხასიათს [6], ხოლო განსაზღვრული მონაცემებით ცდისპირთა არჩევანის დამთხვევის ხარისხი სხვადასხვა ენისა და კულტურის მქონე ცდისპირებს შორის თითქმის ისეთივეა, როგორც ერთი ენობრივი კულტურის წარმომადგენლებს შორის [4].

ამ ექსპერიმენტებში იმ მიზნით, რომ ცდის პირობები მაქსიმალურად ყოფილიყო მიახლოებული პირველადი სახელდების პირობებთან, გამოყენებული იყო უაზრო მასალა. მაგრამ ასე არ გამოვიდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ცდისპირები უაზრო მასალაში მაინც გარკვეულ მნიშვნელობას, აზრს დებდნენ. საქმე იმაშია, რომ როგორც ა. ბაინდურაშვილი ზუსტად მიუთითებს: „... ჩვენი აზრი ობიექტურ მოცემულობად სიტყვაში იქცევა და ამით იგი არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ სხვისთვისაც ხელმისაწვდომი ხდება. ადამიანი სახელდების ამოცანის წინაშე დგება მხოლოდ მაშინ, როცა ის გარკვეული შინაარსის ობიექტივაციას ახდენს და აცნობიერებს, რომ ეს შინაარსი ენაში სიტყვით არ არის ფიქსი-

რებული... უაზრო მასალის სახელდების წინაშე თანამედროვე ადამიანი არასოდეს არ დგას და წარმოუდგენელია, რომ ასეთი ამოცანის წინაშე იგი ოდესმე მდგარიყო, ის, რაც უაზროა, არც ობიექტივაციას საჭიროებს და არც კომუნიკაციის მიზნებისათვის არის გამოსადეგი" [2,89].

ზემოთ მოცემულ გარემოებათა გათვალისწინებით, განსხვავებით უკვე აღნიშნული ექსპერიმენტებისა, ა. ბაინდურაშვილი შეეცადა ექსპერიმენტული სახელდების პირობები მაქსიმალურად მიეახლოვებინა თანამედროვე ადამიანის მიერ წარმოებულ სახელდების პირობებთან. ამ მიზნით მან სახელსადებ შინაარსებად გამოიყენა გარკვეული აზრის, მნიშვნელობის მქონე შინაარსები.

ა. ბაინდურაშვილის ექსპერიმენტებში, გარდა იმისა, რომ დადასტურდა ზემოდასახელებულ ავტორთა მიერ მოპოვებული შედეგები, გამოვლინდა სახელდების პროცესისათვის სპეციფიკურ თავისებურებათა რიგი. ჩვენ აქ მოვიყვანთ ზოგიერთ მათგანს, სახელდობრ: ა) სახელების შერჩევის პროცესში ცდისპირები თავისუფალნი არ არიან თავიანთ არჩევანში. ისინი გრძნობენ, რომ მოცემული სახელსადები შინაარსის სახელად ნებისმიერი ბგერათა კომპლექსი არ გამოდგება. იმისათვის, რომ სახელდება განხორციელდეს, საჭიროა მან ბგერათა კომპლექსი და სახელსადები შინაარსი ერთიმეორის შესაფერისად, შესატყვისად განიცადოს; აღმოჩნდა, რომ ბგერათა კომპლექსის სახელსადები შინაარსის შესატყვისად განცდისათვის ასოციაციურ ან სემანტიკურ კავშირებს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. ბ) სახელდების პროცესი სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევით არ მთავრდება. იგი გრძელდება სახელსადები შინაარსისა და სახელად შერჩეულ ბგერათა კომპლექსის განცდათა ურთიერთზემოქმედების სახით, ხორციელდება ამ განცდათა ურთიერთმორგება, რაც ცნობიერების კონტროლს არ ექვემდებარება. ცდისპირი მხოლოდ მისი შედეგის ურთიერთშესატყვისობის გაძლიერების გაცნობიერებას ახერხებს. ურთიერთზემოქმედების პროცესის საბოლოო შედეგს აზრდება წარმოადგენს, რის შედეგადაც სიტყვის ბგერითი მხარე თითქოსდა „გამჭვირვალე" ხდება. უნდა ითქვას, რომ ამ ექსპერიმენტების შედეგად შემუშავებული აზრით, როგორც ზემომოყვანილ დებულებებშია გადმოცემული, კიდევ ერთხელ დასტურდება თანამედროვე ფსიქოლოგიაში ექსპერიმენტულად დასაბუთებული ფაქტი. „ბგერათა კომპლექსებისა და გარკვეული ობიექ-

ტების ასოციაციურ დაკავშირებას არასოდეს არ შესწევს ძალა ბგერების კომპლექსი ობიექტის სახელად აქციოს. ამ ნიადაგზე საუკეთესო შემთხვევაში, შესაძლოა, ბგერამ სიგნალის მნიშვნელობა მოიპოვოს" [10,392]. სიტყვა კი სიგნალი არ არის, სიტყვას ჩვენ უშუალოდ მის მნიშვნელობასთან ერთად მთლიანობაში განვიცდით, სიტყვის აღქმაში მის მნიშვნელობასაც ვიჭერთ, რომ ეს ორი მომენტი - ბგერათა კომპლექსი და სიტყვის მნიშვნელობა - ერთი შინაარსის სახით განიცდება. განცდის ეს მთლიანობა აზრმდებლობის შედეგია. ასეთ დასკვნებს აკეთებენ თავიანთ ნაშრომებში რ. ნათაძე [7], დ. რამიშვილი [8].

ა. ბაინდურაშვილის ექსპერიმენტების საფუძველზე გამოირკვა, რომ ცდისპირები უცნობი ენის სიტყვების ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშეპირისპირების შედეგად გარკვეულ ინფორმაციას ღებულობდნენ მათი ურთიერთშესატყვისობის შესახებ. ეს ინფორმაცია ინტერინდივიდუალური კონსტანტობით ხასიათდება.

უცნობი ენის სიტყვების ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის განცდას უმეტეს შემთხვევაში თან ახლავს რწმენა გამოცნობის სისწორის შესახებ. გამოცნობის სისწორეში მაღალი დარწმუნებულობის პირობებში უცნობი ენის სიტყვები ძირითადად სწორად არის გამოცნობილი. რწმენის ხარისხის ზრდასთან ერთად იზრდება გამოცნობის სისწორე და პირიქით, გარდა ინფორმაციული ღირებულებისა, აღნიშნულ ურთიერთშესატყვისობას გააჩნია მნემური ღირებულებაც, ე.ი. სიტყვები ექვივალენტური მნიშვნელობით ცდისპირებმა ბევრად უფრო ადრე დაიხსომეს, უფრო მტკიცედ და მეტი რაოდენობით, ვიდრე სიტყვები არა ექვივალენტური მნიშვნელობით.

აღმოჩნდა, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის წვდომის უნარით [2].

რაც შეეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ კვლევას, რომელიც ვაწარმოეთ შესაბამისი მეთოდით უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეებთან, მან დაადასტურა ის აზრი, რაც ზემომოცემულ დებულებებშია გამოხატული. ჩვენმა ექსპერიმენტებმა შესაძლებელი გახადა სიტყვის ბგერითი მხარისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის წვდომის უნარის გამოვლინება აღნიშნულ ასაკში; გარდა ამისა, ურთიერთშესატყვისობის განცდას თან ახლავს მაღალი დარწმუნებულობა გამოცნობის სისწორეში. ამ უკანასკნელ შემთხვევაში უცნობი ენის სიტყვები ძირითადად სწორად არის გამოცნობილი; სიტყვის ბგერითი მხარის და მნიშვნელობის ურთიერთშეპირისპირების შედეგად მიღებული ინფორმაცია ცდისპირებს საშუალებას აძლევდათ, სიტყვები ამოეცნოთ სწორად; ამასთან, დადასტურდა სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის ურთიერთშესატყვისობის მნემური ეფექტიც. გამოვლინდა კორელაცია სიტყვის ბგერით მხარესა და მნიშვნელობის შესატყვისობის წვდომის უნარსა და ამ ურთიერთშესატყვისობის მნემურ ეფექტს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი დაინტერესება ამ ასაკით განაპირობა, უპირველეს ყოვლისა, იმან, რომ როგორც ვთქვით, აქამდე არსებული სისტემატური გამოკვლევებით ითვლება, რომ სახელსადები შინაარსისათვის სახელის შერჩევა ცხრა წლის ასაკამდე გამოკვეთილ კანონზომიერ ხასიათს არ ატარებს. ჩვენმა ექსპერიმენტებმა კი უჩვენეს, რომ ეს პროცესი ცხრა წლის ასაკამდეც სავსებით გამოკვეთილი კანონზომიერებით ხასიათდება. გარდა ამისა, ჩვენი ინტერესი ამ ასაკისადმი განამტკიცა იმ გარემოებამაც, რომლის მიხედვით ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ბევრ ფსიქიკურ თვისებას ეყრება საფუძველი უმცროს სასკოლო ასაკში და, აქედან გამომდინარე, დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს აღნიშნული ასაკის მოსწავლეთა განვითარების რეზერვების გამოვლენას.

Marine Sirbiladze

THE ASPECTS OF PSYCHOLOGICAL RESEARCH OF THE WORD SOUND AND MEANING UNITY NATURE

Resume

In this work some aspects of modern psychological researches about the word sound and meaning unity nature, the process of naming are presented. D. Uznadze is known to be the founder of naming process research. Attention is paid to some results of experiments on research of the denoted problem.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. Alspach E., On the Psychological Response to Unknown proper Names. American Journal of Psychology 28, 1917.

2. ბაინდურაშვილი ა., სახელდების ექსპერიმენტული ფსიქოლოგია, თბ. 1971.

3. ბაინდურაშვილი ა., უზნაძე დ., სახელდების ექსპერიმენტული კვლევის ფუძემდებელი და პრობლემის თანამედროვე მდგომარეობა, ფსიქოლოგია, 1986.

4. Davis R. The Fitness of Names to Drawings. A cross-cultural Study in Tanganyika. British Journal of psychology, 52, 1961.

5. English G. On the Psychological Response to Unknown proper names. American journal of psychology 27, 1916

6. Irwin F. and Newland E. A genetic study of the naming of visual figures. The journal of psychology, 9, 1940.

7. ნათაძე რ., ფსიქოლოგიის სახელმძღვანელო, 1945.

8. რამიშვილი დ., ენობრივი ნიშნის პრობლემა საბჭოთა ფსიქოლოგიის თვალსაზრისით. დ. უზნაძის სახ. ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მე-13 სამეცნიერო სესია, თეზისები.

9. უზნაძე დ., სახელდების ფსიქოლოგიური საფუძვლები, შრომები, ტ. I, 1956 წ.

10. უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, 1940.

11. Fischer S. Über das Entstehen und Verstehen von Namen, mit einem Beitrage sur Lehre von den transkortikalen Aphasien. Arch. F. dges Psychol. 1921 N42; 1922, N43.

12. Fox ch. An Experimental study of naming. American journal of psychology vol. 47. 104, 1935.

ფსიქოლოგიის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

დალი სოლოღაშვილი

საკუთრება და საზოგადოებრივი პროგრესი

საკუთრება გულისხმობს ადამიანის ურთიერთობას ნივთთან, დოვლათთან, მაგრამ იმავდროულად, საკუთრება ადამიანთა ურთიერთობაა, რომელიც გამოხატავს მის მიერ ამ დოვლათის მითვისების განსაზღვრულ ფორმას. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ დოვლათის წარმოება და მითვისება საზოგადოების არსებობისა და განვითარების პირობაა. საზოგადოება არ შეიძლება არსებობდეს საკუთრების გარეშე, ისტორიის მანძილზე იცვლებიან მხოლოდ საკუთრების ფორმები.

საკუთრების მრავალი ფორმიდან მთავარი როლი კერძო საკუთრებას (ინდივიდუალურ და კოლექტიურ), სახელმწიფო საკუთრებას და საკუთრების შერეულ ფორმებს ეკუთვნით. თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში თანაბარი უფლებით ნებადართულია საკუთრების სამივე ფორმა. საკუთრების უფლებას კანონი იცავს.

საკუთრების სუბიექტი შეიძლება იყოს: ცალკე პიროვნება, ოჯახი, კოლექტივი, სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი, პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაცია. საკუთრების უფლების ობიექტები კი სამ ჯგუფად იყოფა: 1. უძრავი ქონება: მიწა, წიალისეული, საწარმოო და არა საწარმოო დანიშნულების შენობა-ნაგებობანი, გზები, ინფრასტრუქტურის ობიექტები და სხვა; 2. მოძრავი ქონება: მანქანები და მოწყობილობანი, ინსტრუმენტები, ავეჯი, მზა პროდუქცია, ფული, ფასიანი ქაღალდები და ა.შ. 3. ინტელექტუალური დოვლათი: გამოგონება, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები, ინფორმაცია, პროგრამა გამომთვლელი მანქანებისათვის და ა.შ.

საკუთრების უფლების რეალიზაცია დაკავშირებულია ისეთ ცნებებთან, როგორიცაა: ფლობა, განკარგვა, გამოყენება. სრულყოფილი კლასიკური მესაკუთრეა ის, ვინც ყველა ჩამოთვლილ უფლებას დაუბრკოლებლად და შეუქცევადად ახორციელებს. ე.ი. ვინც არის საკუთრების უფლებით ობიექ-

ტის მფლობელი და განმკარგავიც, ვისაც უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი სურვილის შესაბამისად (გაყიდოს, გაასაჩუქროს, დააგირაოს, იჯარით გასცეს, მემკვიდრეობით გადასცეს და ა.შ.).

საკუთრების ფორმა განსაზღვრავს ეკონომიკური სისტემის ბუნებას. ამას ადასტურებს კაცობრიობის მთელი ისტორია. თუნდაც დღევანდელი ჩვენი მაგალითი: რამ გამოიწვია ის, რომ, როცა დღის წესრიგში დადგა სსრ კავშირში არსებული ტოტალიტარული ეკონომიკური სისტემის შეცვლის საკითხი, პირველ რიგში გადასაწყვეტი შეიქმნა საკუთრების პრობლემა? რატომაა, რომ ეკონომიკური კრიზისიდან საქართველოს გამოსვლის უპირველეს პირობად მიჩნეულია საკუთრების რადიკალური რეფორმა?

ორივე კითხვის პასუხი ასეთია: იმიტომ, რომ საკუთრების ფორმის შეცვლის გარეშე შეუძლებელია ეკონომიკური სისტემის შეცვლა. იმისათვის, რომ დაჩქარდეს საზოგადოების პროგრესი, აუცილებელია მისი ხელისშემშლელი, მოძველებული მანკიერი ეკონომიკური სისტემის დამსხვრევა, მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ მისი საფუძვლის, საკუთრების ძირეული გარდაქმნით.

საკუთრების ფორმაზეა დამოკიდებული: 1. წარმოების ფაქტორთა შეერთების წესი; 2. პროდუქციის განაწილების წესი; 3. მეურნეობის მართვის ხასიათი და ფორმა; 4. შრომის სტიმულები; 5. რესურსების გამოყენების ეფექტიანობა; 6. დაზოგვის მიდრეკილება.

წარმოების ფაქტორთა შეერთების წესს განსაზღვრავს წარმოების საშუალებებზე საკუთრების არსებული ფორმა. თუ წარმოების საშუალებები თავად მწარმოებელთა საკუთრებაშია, მაშინ წარმოების ფაქტორთა შეერთება ხდება უშუალოდ. იმ შემთხვევაში, როცა საზოგადოების წევრთა ერთი ნაწილი მოკლებულია წარმოების საშუალებებს, სამუშაო ძალის შეერთება სხვა რესურსებთან ერთად ხდება სამუშაო ძალის დაქირავების ან წარმოების საშუალებების იჯარით გაცემის გზით.

წარმოების საშუალებებზე საკუთრების ფორმა განსაზღვრავს წარმოების შედეგის – პროდუქციის განაწილების წესს. პროდუქტი ეკუთვნის იმას, ვისაც ეკუთვნის წარმოების საშუალებები. თუ მწარმოებელი ეკონომიკური რესურსების მესაკუთრეცაა, ცხადია, პროდუქციაც მისი საკუთრებაა. წარმოების საშუალებებს მოკლებული დაქირავებული მუშაკი ღებულობს ხელფასს. თუ წარმოების საშუალებები კოლექტიურ საკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებაშია, პროდუქტიც კოლექტივის საკუთრებაა.

საკუთრების ფორმაზეა დამოკიდებული წარმოების მართვის ფორმა-და ხასიათი. როცა წარმოება კერძო საკუთრებაშია, მესაკუთრე თვითონ მართავს მას თავისი შეხედულებისამებრ. კოლექტიური საკუთრების ობიექტთა მართვის ფუნქციას ახორციელებს თვით კოლექტივი და მისი არჩეული ორგანოები. თუ წარმოება სახელმწიფო საკუთრებაა, მას მართავს სახელმწიფოს მიერ დანიშნული პირი.

საკუთრების ფორმა განსაზღვრავს შრომისადმი ადამიანის დამოკიდებულებას. საკუთრებას მოწყვეტილი ადამიანი კარგავს ინტერესს შრომისადმი, შრომის სტიმული გააჩნია იმას, ვინც წარმოების პირობებისა და შედეგების მესაკუთრეა. საკუთრების უფლება ადამიანს სტიმულს აძლევს საკუთრების ობიექტები გამოიყენოს მაქსიმალური ეფექტიანობით.

საკუთრების ხელუხლებლობა სტიმულს აძლევს ადამიანს თავისი შემოსავლის ნაწილი დაზოგოს, დააგროვოს და ამდენად, კიდევ უფრო გამდიდრდეს.

საკუთრების ობიექტთა თავისუფალი განკარგვისა და გამოყენების უფლება ხელს უწყობს ეკონომიკის წონასწორობას.

საკუთრების ფორმის შეცვლა ერთი ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე გადასვლის საფუძველია. ერთობლიობას პროცესებისა და ღონისძიებებისა, რომელსაც საკუთრების ფორმათა შეცვლა მოსდევს, საკუთრების რეფორმა ეწოდება. საკუთრების რეფორმა ერთ-ერთი ელემენტია ეკონომიკური რეფორმისა. პოსტსოციალისტურ ქვეყნებში საკუთრების რეფორმის ცენტრალურ პრობლემად იქცა სახელმწიფო საკუთრების დემონტაჟი: მისი უდიდესი ნაწილის გადაქცევა მოქალაქეთა და საწარმოთა საკუთრებად და ამის საფუძველზე კონკურენციულ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. ამ პროცესის აღსანიშნავად კი ხშირად ვიყენებთ ტერმინს „პრივატიზაცია". სიტყვა „პრივატუს" ლათინური სიტყვაა და ნიშნავს კერძოს, მაგრამ პრივატიზაცია რეალურად გულისხმობს სახელმწიფო საკუთრების ნაწილის გარდაქმნას არა მხოლოდ კერძო საკუთრებად, არამედ საკუთრების სხვა ფორმების დამკვიდრებასაც. პრივატიზაცია არის სახელმწიფო საკუთრების გადაქცევა მოქალაქეთა, შრომითი კოლექტივის, იურიდიული პირების, საზოგადოებების საკუთრებად, სახელმწიფო საწარმოთა აქციონირება და ა.შ.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ პრივატიზაცია პოსტსოციალისტურ ქვეყნებში ინსტიტუციონალური გარდაქმნების ერთ-ერთი ფორმაა, რომელიც იწვევს საზოგადოებრივ ფასეულობათა ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას. პრივატიზაციის ფორმები, მასშტაბი არსებითად დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკის სტრუქტურაზე, საწარმოო ძალების განვითარების დონეზე, ეკონომიკური სტრატეგიისა და ხელსაყრელი სიტუაციის მომზადებაზე.

პრივატიზაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა, მისი ე.წ. ტრადიციული სქემებისაგან არსებითად განსხვავდება. ჯერ ერთი, იგი მოიცავს მთლიანად ეკონომიკას, მის ყველა დარგს, ეს კი სირთულეებს ქმნის თვით პროცესის რეგულირებაში. მეორე, პრივატიზაციის მიზანი არის არა მხოლოდ ახალი მესაკუთრის შექმნა, არამედ ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის ფორმირებაც. პრივატიზაცია არა მარტო სიმდიდრის, არამედ სამეურნეო საქმიანობის შედეგებისთვის პასუხისმგებლობაცაა, რომელიც საბოლოოდ სახელმწიფო წყობის ძირეულ შეცვლას იწვევს. მესამე, პრივატიზაცია არ არის ეკონომიკური გარდაქმნის მიზანი, იგი მხოლოდ საშუალებაა. ეკონომიკის სტრუქტურულმა გარდაქმნამ უნდა უზრუნველყოს ეფექტიანობა არა მარტო საწარმოს დონეზე, არამედ მთლიანად ეკონომიკაში ქვეყნის მასშტაბით შრომითი რესურსების გადანაწილებით, ტექნიკური სიახლეების დანერგვით, მმართველობითი სტიმულების გამოყენებით.

პრივატიზაციის შედეგებმა სრულიად ახლებურად დააყენა საკუთრებისადმი დამოკიდებულების საკითხიც. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დღემდე საყოველთაოდ აღიარებული იყო, რომ ეკონომიკის საფუძველს წარმოებული მატერიალური დოვლათი და წარმოების საშუალებებზე საკუთრება შეადგენს. ამიტომ საკუთრება პოლიტიკური ხელმძღვანელობის მთავარ საკითხად იყო მიჩნეული.

მეცნიერთა ერთი ნაწილი, კაპიტალისტური წყობის ინტერესებიდან გამომდინარე, კერძო საკუთრებას აფეტიშებდა და საბაზრო ურთიერთობებს უხარვეზოდ მიიჩნევდა. მეცნიერთა მეორე ნაწილი, იცავდა რა სოციალისტურ იდეოლოგიას, საზოგადოებრივ (სახელმწიფო) საკუთრებას მიიჩნევდა პროგრესის საფუძვლად და განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და მართვას.

ორივე სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში მოიპოვება სათანადო მაგალითები იმისა, რომ საკუთრების ერთი ფორმის პირობებში სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობის კეთილდღეობა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება. მაგალითად, ასე იყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირში, პოლონეთსა და ალბანეთში, უნგრეთსა და ჩინეთში და ა.შ. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ჰქონდათ ერთმანეთისაგან განსხვავებული მატერიალური წარმოების სტრუქტურა, საწარმოო ძალების განვითარების დონე, მიუხედავად ერთი და იგივე საკუთრების ფორმის გაბატონებისა.

მსოფლიო პრაქტიკის, განსაკუთრებით საქართველოს პოსტსაბჭოთა პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური კატაკლიზმების შედეგების კომპლექსური ანალიზი იძლევა რეალურ საფუძველს მნიშვნელოვანი დასკვნებისათვის, რომ საკუთრების არც ერთ ფორმას პოსტსოციალისტურ ქვეყნებში აბსოლუტური ხასიათი არ აქვს. თითოეული მათგანის როლი და ფუნქცია ეკონომიკის განვითარების კონკრეტული ეტაპის შესაბამისად შეიცვლება და გარდაიქმნება. ამ დებულების სისწორეს ამტკიცებს ჩვენი ქვეყნის დღევანდელი ცხოვრებაც. მაგალითად, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციამ რეალურად მოგვცა შედეგი, რომელმაც გასცა პასუხი უმთავრეს კითხვას, რომ კერძო სექტორსაც აქვს თავისი ადგილი, დონე, რომლის იქით მისი განვითარებისათვის დამახასიათებელი „უხილავი ხელის" მოქმედებაც კი სასურველ ეფექტს ვერ იძლევა. გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის დონე, სოციალურ-ეკონომიკური გარემო განსაზღვრავს საკუთრების ამა თუ იმ ფორმის მდგომარეობას, ადგილსა და როლს ეკონომიკურ სისტემაში. ამასთან ერთად დადასტურდა, რომ საზოგადოებრივ პროგრესს განსაზღვრავს არა იმდენად საკუთრების ფორმა, რამდენადაც ამ ფორმის გამოყენების ეფექტიანობა, მისი შედეგების (ეროვნული შემოსავლის) განაწილების სახელმწიფო მექანიზმის სოციალური საფუძველი.

ასევე დადასტურდა, რომ თანამედროვე საბაზო ეკონომიკაში უმთავრესია საწარმოო ძალების განვითარების დონე და ბუნებასთან ურთიერთობაში წარმოების პროცესის წონასწორობის შენარჩუნება. საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში საკუთრება იღებს მრავალმხრივ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ დატვირთვას და

მრავალფეროვანს ხდის ადამიანთა ცალკეული ჯგუფების, კოლექტივების საერთო საზოგადოების დამოკიდებულებას წარმოების, შექმნილი პროდუქტის, მისი ღირებულების განაწილების მიმართ. დღევანდელი რეალური სინამდვილე ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, რომ საკუთრება წარმოების პირობაა და არა თვით წარმოება, იგი შრომის საშუალებაა და არა თავად შრომა, ინტერესის რეალიზაციაა და არა თავად ინტერესი. განვლილმა პერიოდმა ცხადყო, რომ საკუთრება, როგორც წარმოების საფუძველი, რეალურ ზეგავლენას ახდენს განაწილებაზე და გაცვლაზე მხოლოდ სწორი ორგანიზაციის მრავალმხრივ პროცესში. ამ საქმეში მთავარ როლს ასრულებს წარმოების მმართველი, მისი ცოდნა, გამოცდილება, წარმოების ორგანიზაციული სტრუქტურა, საერთო საზოგადოებრივი მიზანი. საკუთრება „მოძრაობაში" მოყვანის გარეშე საკუთარი ეკონომიკური ურთიერთობების რეალიზაციას ვერ მოახდენს.

ამრიგად, სახელმწიფოს ეკონომიკურ პოლიტიკაში უმთავრეს კრიტერიუმად უნდა ჩაითვალოს არა საკუთრების რომელიმე ფორმის გაბატონებული მდგომარეობა, არამედ საკუთრების ყველა ფორმის ეფექტიანად გამოყენება, რომლის შედეგების სწორად განაწილებისას დაგროვების ბაზაზე იქმნება საწარმოო ძალების განვითარების ხელშემწყობი პირობები.

Dali Sologashvili

FORM OF PROPERTY AND SOCIAL PROGRESS

resume

Property means people's relation with things and wealth, at the same time it is the relation among people, which expresses a definite form of its wealth appropriation. It should be taken into consideration that production and appropriation of wealth are the guarantees of society's existence and development. The society can not exist without property. It changes through the history.

The main forms of property are: private property, state property and other different forms of property. They are allowed to be used in modern marketing. Rights of property are protected by the law.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. ასათიანი რ., პრივატიზაცია - გზა საბაზრო ეკონომიკისაკენ, ჟ. "ეკონომიკა", 1991, №11-12.

2. გოგოხია რ., განსახელმწიფოებრივების და პრივატიზების არსის გაგებისათვის, ჟ. "ეკონომიკა", 1992, №5-6.

3. იუკუსა მ., პრივატიზაცია იაპონურად, ჟ. "ეკონომიკა", 1992. №1-2.

4. სილაგაძე ა., დიდბარიძე გ. და სხვ. საქართველოში სახელმწიფო ქონების პრივატიზების საკითხები თბ., 1996 წ.

5. ქვაჩახია ი., თეორიული ეკონომიკა, თბ., 1996.

6. ჩიქავა ლ., ეკონომიკური თეორიის მოკლე კურსი, თბ. 1997.

7. ჩიქავა ლ., პრივატიზაციის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, ჟ. "ეკონომიკა" 1994, №9-12.

8. ჭითანავა ნ., გარდამავალი პერიოდის სოციალ-ეკონომიკური პრობლემები, თბ., 1995.

9. სალამაძე ვ., პრივატიზაციის გერმანული გამოცდილება, ჟ. "ეკონომიკა", 1993, №1.

10. ჯეფრი დ. საქსი. პრივატიზაცია პოლონურად, ჟ. "ეკონომიკა", 1992 №1.

11. Изд. Правительства росийской Федерации малая приватизация в Россииской федерации. Нижегородская модель.

ეკონომიკის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ვალერიან ქელბაქიანი

სასრულისა და უსასრულოს ცნებები მათემატიკაში, ფიზიკასა და კოსმოლოგიაში

ამჟამად სასრულისა და უსასრულოს ცნებები დიდ მეთოდოლოგიურ როლს თამაშობენ ფიზიკისა და კოსმოლოგიის მეცნიერებებში ჰიპოთეზებისა და კერძო მეთოდების გარკვეული ბაზისის შექმნისათვის. ამ ცნებებით ფუნქციის გამოკვლევა მეცნიერებაში – არის აქტუალური ფილოსოფიის პრობლემა. სასრულისა და უსასრულოს ურთიერთკავშირის მეთოდოლოგიური ასპექტები პოულობენ გარკვეულ ასახვას მათემატიკასა და კოსმოლოგიაში. თავის ზოგადობისა და აბსტრაქტულობის გამო ეს ცნებები მეთოდოლოგიური მნიშვნელობით სხვა მეცნიერებებისათვის მიახლოებული არიან ფილოსოფიასთან, მაგრამ, ამასთან ერთად, ეს მათემატიკური ცნებები თვითონ საჭიროებენ დასაბუთებას.

მათემატიკის განვითარების ისტორიამ გვიჩვენა, რომ მარტო მათემატიკის ფარგლებში შეუძლებელია უსასრულობის ცნების დასაბუთება, იმიტომ რომ:

1. ჯერ ერთი, თავისი აბსტრაქტულობისა და ფორმალური ხასიათის გამო მას არ შეუძლია ასახოს მატერიალური სამყაროს რეალური თვისებები, რომლის ახსნაც თვით ერთიანი სამყაროს შინაგანი კანონზომიერების სიღრმისეულ წვდომას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით შეიძლება განხილულ იქნეს სხვადასხვა ტიპის ფილოსოფიური კონცეფცია ობიექტური რეალობის მიმართ, რომელთაგან ჩვენთვის უფრო საინტერესო გახლავთ ნეოპოზიტივისტური და ობიექტური შეხედულებები მატერიაზე. ნეოპოზიტივიზმის მიმდევარი ჰაიზენბერგი არ იზიარებს დოგმატური რეალიზმის (იგი რეალიზმში მატერიალიზმს მოიაზრებდა) იდეებს და თვლის, რომ ქვანტურმა თეორიამ აჩვენა, თუ როგორაა შესაძლებელი ბუნებრივი მეცნიერება დოგმატური რეალიზმის საფუძვლის გარეშე. ასევე რაიხენბახი აღნიშნავდა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმი, იდგა რა

ობიექტივიზმის პოზიციაზე, სუბსტანციას, მატერიას, მოძრაობასა და ტალღებს ობიექტური რეალობის ნიშანს მიაწერდა, რაც „წარმომდგარია ყოველდღიური ცხოვრების პრიმიტიული ცდებიდან", რის გამოც, იგი მათ უხეშ ცნებებს უწოდებს. ამით ფაქტიურად ნეოპოზიტივიზმი ემიჯნება ობიექტივიზმს, ემყარება არამატერიალური სუბსტანციის შესაძლებლობას სამყაროს გაგების საკითხში (1,50).

2. მათემატიკას, როგორც აქსიომატურ მეცნიერებას ჰეგელის თანახმად არ შეუძლია საკუთარი საშუალებებით დაასაბუთოს ამოსავალი ცნებები, რომლისთვისაც მან მეტაფიზიკას უნდა მიმართოს, თანმიმდევრული დასაბუთება კი დაპირისპირებულთა და წინააღმდეგობათა ერთიანობის აღიარების აუცილებლობას ემყარება, „ამიტომ ოდენობა შეიძლება არა მარტო უსასრულოდ გაიზარდოს ან შემცირდეს, არამედ იგი თავად არის საკუთარი ცნების წყალობით მუდმივი გასვლა თავის ფარგლებს გარეთ, ამიტომ იგი ერთი და იგივე წინააღმდეგობის განმეორებას წარმოადგენს" (2,239).

ყოველივე ეს იწვევს კომპლექსური მიდგომის აუცილებლობას თანამედროვე მეცნიერებაში სასრულისა და უსასრულოს კონცეფციების ფუნქციების კვლევისადმი და აერთიანებს ფილოსოფიის, მათემატიკის და ბუნებისმეტყველების დანარჩენ მეცნიერებათა ძალისხმევას. უდავოდ თეორიულ-ფილოსოფიური ხასიათი აქვს მათემატიკის ჩარჩოში უსასრულობის მათემატიკური ცნების აბსტრაგირების პროცედურისა და შემოღების მეთოდის უფლებამოსილების საკითხს. ისმება კითხვა: დასაშვებია თუ არა ასეთი მიდგომა (отвлечение) ამ ცნების ფორმების პროცედურისაგან თვით მათემატიკის შიგნით, ან რა შედეგთან მივყავართ ასეთ აბსტრაგირებას.

ჩვენი აზრით, სასრულისა და უსასრულოს ურთიერთკავშირის პრობლემისათვის, როგორც ფილოსოფიური კატეგორია და როგორც მათემატიკური და საბუნებისმეტყველო-სამეცნიერო ცნებისათვის, საკვანძო მნიშვნელობა აქვს ისეთ კატეგორიებს, როგორიც არის ზოგადობის, განსაკუთრებულის და ერთეულის, მთელისა და ნაწილის, წყვეტილისა და უწყვეტის, განსაზღვრულისა და განუსაზღვრელის ურთიერთკავშირის ანალიზს. უნდა შევნიშნოთ, რომ აქ, როგორც საერთო, გვევლინება ფილოსოფიური კატეგორიები ერთეულის - ფიზიკური და კოსმოლოგიუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი ცნებები, განსაკუთრებით კი – სასრულისა და უსასრულოს მათემატიკური ცნებები, რომლებიც არიან დამაკავშირებელი რგოლები კერძო საგნების ცოდნასა და ფილოსოფიას შორის.

აღსანიშნავია, რომ თვით არისტოტელე სასრულისა და უსასრულოს კატეგორიებს ხსნიდა მთელისა და ნაწილის კონტექსტში. მისი აზრით, „უსასრულობა არის ის, რაც უსასრულოდ იყოფა ნაწილებად" (3, 811) ასევე სასრული სხეული უსასრულოდ არ იყოფა, მაგრამ სასრული მონაკვეთი უსასრულოდ იყოფა. განსხვავება იმაშია, რომ პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფიზიკურ ობიექტთან, მეორეში კი – მათემატიკურთან, იდეალიზირებულთან, რომელიც მხოლოდ აზროვნებაში არსებობს. არისტოტელე დროსა და მანძილს იხილავს როგორც უსასრულო სიმრავლეებს, რომელთა შორის ურთიერთცალსახა თანადობაა და აისახება ზემო აღნიშნული წინააღმდეგობანი. ეს იყო გულუბრყვილო შეხედულება უსასრულობაზე, რომელიც არსებობდა ძველბერძნულ მეცნიერებაში. ს. მელიურინმა და ი. პეტროვმა თავიანთ შრომებში უსასრულობის პრობლემა განიხილეს დაწყებული ძველბერძნული ფილოსოფოსებიდან მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე.

შემდგომში, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვის განვითარებამ (ნიუტონთან და ლაიბნიცთან), როგორც უსასრულო მცირეების აღრიცხვამ დაგვანახა, არსებული კავშირი ისეთ კატეგორიებს შორის, როგორიც არის სასრული და უსასრულო, დისკრეტული და უწყვეტი. ბოლოს ბუნებისმეტყველების განვითარებამ გამოავლინა ამ ცნებების ახალი კავშირები: ასე მაგალითად, სასრულის ცნება გაზომვის თანამედროვე თეორიებში ორგანულად დაკავშირებული აღმოჩნდა ისეთ ცნებებთან, როგორიც არის ზუსტი და არაზუსტი, განსაზღვრული და განუსაზღვრელი.

მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში სასრულისა და უსასრულობის პრობლემისადმი ბევრი ნაშრომი არის მიძღვნილი. მათში გამოკვეთილია მათემატიკისა და ფილოსოფიის კავშირი მეცნიერულ დონეზე. მოცემულია მათემატიკაში სასრულისა და უსასრულოს კონცეფციების ფილოსოფიური ანალიზი, ახსნილია უსასრულობის ცნების აზრი სიმრავლეთა თეორიაში, განხილულია სამყაროს სასრული და უსასრულო მოდელების სტატუსი, ანალიზი უკეთდება ამ პრობლემას ფიზიკაში და ა.შ. აქ ხშირად

ვხვდებით საწინააღმდეგო მიდგომებსაც, რაც აიხსნება პრობლემის მრავალწახნაგობით და საერთოდ, მეცნიერების სწრაფი განვითარებით. თანამედროვე მეცნიერების, განსაკუთრებით რელატივობის თეორიისა და ქვანტური მექანიკის გავლენით, მკვეთრად შეიცვალა წარმოდგენები სინამდვილის კანონზომიერების შესახებ. კლასიკური აზროვნება იცნობდა მხოლოდ ევკლიდურ გეომეტრიასა და ნიუტონის მექანიკას. მათ შეუცვლელ ჭეშმარიტებად მიაჩნდათ იგი. კლასიკურ აზროვნებას სიბრტყეზე მდებარე წრფის მიმართ მოცემული წერტილიდან ერთზე მეტი პარალელური წრფის გავლება შეუძლებლად მიაჩნდა. სივრცე, დრო, მოძრაობა, მასა და ა.შ. კლასიკურ ფიზიკაში აბსოლუტურ სიდიდეებს წარმოადგენენ, მაგრამ თანამედროვე მეცნიერებამ, რომელიც მოგვევლინა, ერთი მხრივ, არაევლიდური გეომეტრიის, ხოლო, მეორეს მხრივ, აინშტაინის რელავისტური თეორიის სახით, ყველაფერი თავდაყირა დააყენა, თუმცა ამით კლასიკურ შეხედულებებს თავიანთი ძალა მაინც არ დაუკარგავთ, რადგან ისინი გარკვეული ათვლის სისტემის მიმართ კვლავაც უცვლელნი რჩებიან. ახალმა აღმოჩენებმა უბრალოდ გაზარდა სამყაროს კვლევაძიების მასშტაბები და ალტერნატიული სისტემების ფაქტის წინაშე დაგვაყენა. კლასიკური აზროვნების ფორმების მნიშვნელობას არც ნეოპოზიტივისტები არ უარყოფდნენ. მაგალითად, რაიხენბახი ამას ხსნის „დიდი მასშტაბის სამყაროს" თვისებებით. კერძოდ, არაევკლიდური გეომეტრია და რელატივისტური თეორია დიდი მასშტაბის სამყაროს თვისებებს გამოხატავს, კლასიკური წარმოდგენები კი განსაზღვრავენ „მცირე მასშტაბის სამყაროთა" თვისებებს (4, 28). ასეთ დიდ და მცირე სამყაროებს თანამედროვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში „ზღვრული სამყაროების" კვალიფიკაცია ენიჭებათ. რაიხენბახის აზრით, ამ დიდ და მცირე სამყაროების შუაში ჩვენ ვცხოვრობთ. იგი მას „საშუალო განზომილების სამყაროს" უწოდებს და თვლის, რომ მის ზევით „მაკროკოსმოსია", ქვევით კი „მიკროკოსმოსი", რომელთაც სრულიად სხვადასხვა თვისებები გააჩნიათ. ფ. ფრანკი ამტკიცებს, რომ თუ შევეცდებით „კლასიკური აზროვნების კანონებით ზღვრული სამყაროების თვისებების აღწერას, მაშინ უთუოდ უზუსტობაში ჩავვარდებით (5, 149).

სამყაროს უსასრულობისა და სასრულობის პრობლემათა ანტინომიების შესატყვისი ანალიზი ცხადყოფს, რომ მიმართებათა სიბრტყის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალსახეობა სუბიექტური შემეცნების პროცესის დამახასიათებელი-ობა-მენტია და მისი გნოსეოლოგიური შეფარდებითი ხასიათი რეალურად არსებული მრავალი სამყაროს ონტოლოგიური არგუმენტაციის რანგში არ უნდა ავიყვანოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი შემეცნების მიზანს აზრი ეკარგება, რადგანაც იგი საყოველთაო კანონების უარყოფის დესტრუქციული ფუნქციის მეტს ვერაფერს ვერ შეასრულებს. ეს ვითარება თავის დროზე ძალიან კარგად გააცნობიერა ჰეგელმა კანტის მიერ შემეცნების უნარ-შესაძლებლობათა კრიტიკული ანალიზის შედეგად გაკეთებული დასკვნების გაბათილებისას, თუმცა, ამავე დროს, არ უგულებელყოფდა მის დიდ დამსახურებას განსჯისა და გონების სფეროთა განსხვავების გამო. "განსჯას თავის საგნად აქვს სასრული და განპირობებული, გონებას კი - უსასრულო და უპირობო, თუმცა, კანტის ფილოსოფია მხოლოდ ცდაზე დამყარებული განსჯითი შემეცნების სასრულობას სცნობდა და მის შინაარსს მოვლენას უწოდებდა, მაგრამ ამ უარყოფით შედეგზე გაჩერება არ შეიძლება და გონების უპირობობა არ უნდა დავიყვანოთ მხოლოდ აბსტრაქტულ, განსხვავების გამომრიცხველ თავის თავთან იგივეობაზე" (2,132).

კანტმა მეტაფიზიკა უარყო, როგორც მეცნიერება. კანტორისათვის უსასრულობა არსებობს არა მარტო პოტენციალურად, მაგრამ მისი არსებობა არ გადის ადამიანის გონების საზღვრებს გარეთ. ჰეგელმა, რომელიც გამოვიდა კანტის სუბიექტივისტური პოზიციის წინააღმდეგ, პირველად ფილოსოფიაში დაასაბუთა სასრულისა და უსასრულოს დიალექტიკური ერთიანობის იდეა.

უსასრულო და სასრული აბსტრაქტული ცნებებია, რადგანაც ჩვენს შემეცნებაში ხვდება მხოლოდ ბოლოვადი საგნები. ყოველი მატერიალური ობიექტი არის რეალური სამყაროს ნაწილი, მისი ურთიერთქმედებით. განვსაზღვრავთ რა ობიექტს როგორც სასრულს, ჩვენ მის აბსტრაგირებას ვაკეთებთ უსასრულო ურთიერთქმედებიდან, რომლებშიც ის მონაწილეობს. მაგრამ, სასრული და უსასრულო, როგორც მათემატიკური ობიექტები, განსხვავდებიან ასახული მატერიალური ობიექტებიდან იდეალიზირებულობით.

ადვილად შეიძლება ნათქვამის ილუსტრირება იმ სიტუაციის ანალიზით, რომელიც შეიქმნა დღეისათვის თანამედროვე ფიზიკაში დიფერენცი-

ალური აღრიცხვის გამოყენებისას. პირველ ხანებში მათემატიკაში უსასრულოდ მცირეზე წარმოდგენა იყო მისტიკური, შემდგომში კი დალامბერის, ლაგრანჟისა და ადამარის მიერ გაჩნდა უფრო კონკრეტული აზრი უსასრულოდ მცირის ცნების შესახებ. თითქმის ასეთივეა უსასრულოდ დიდის ცნებაც. ტერმინი "უსასრულოდ მცირე" სინამდვილეში ნიშნავს "განუსაზღვრელ მცირეს". სიტუაციას ამძიმებდა ის მდგომარეობა, რომ დიფერენციალურ აღრიცხვაში სივრცე და დრო მიიღებიან, როგორც უწყვეტი დიფერენცირებადი წერტილების ნაირსახეობა. მიკრო-სამყაროს ფიზიკა იყენებს ისეთ აპარატს, რომლებიც უწყვეტ სივრცე-დროში აღწერენ წერტილოვან მოდელებს 10-12 - 10-15 სმ-მდე სიზუსტით.

ფილოსოფიური მტკიცება იმის შესახებ, რომ უსასრულო შეიცავს თავის თავში სასრულს, იმას კი არ გულისხმობს, რომ სახელდობრ, უსასრულოს ექსტენსიური ასპექტი შეიცავს სასრულს, არამედ იმას, რომ ერთიანი რეალური უსასრულო შეიცავს სასრულს. აღნიშნული დებულება ძალზე რელიეფურად იკვეთება ძენონის ცნობილ აპორიებში, მაგალითად, "კუ და აქილევსი". აქ მტკიცდება ის, რომ მოძრაობისას მათ შორის მანძილი უსასრულოდ მცირდება ისე, რომ ის არასდროს არ ხდება ნულის ტოლი, რომლის ლოგიკური არსებობაც ხელს უშლის დაწევის ფაქტის შესრულებას. არისტოტელე, რომელმაც ჩინებულად გაარჩია ძენონის ყველა პარადოქსი, შენიშნავს, რომ ჩქარი ნელს უსათუოდ დაეწევა, თუკი მას ნებას დართავენ საზღვარი გადალახოს. აქ მთავარი პრობლემა დგას სასრულის მიერ უსასრულოდ კლებადი ზღვარის გადალახვაში.

უსასრულო სიმრავლე არის ის, რაც დევს სასრულის შიგნით. რეალური უსასრულობა იცვლება უსასრულო სიმრავლეში თავისი ნაწილით. ეს განხორციელებადია იმდენად, რამდენადაც უსასრულობაში ნაწილი უდრის მთელს. იმავე დროს შესაძლებელი ხდება უსასრულოს მოდელირება, რადგანაც ის არ გამოდის სასრული ობიექტის ჩარჩოებს გარეთ. უსასრულო სიმრავლის ელემენტები განსხვავდებიან მატერიალურ ობიექტებისაგან. სიმრავლეებზე ოპერაციების ჩატარება დამოკიდებული არ არის მის ელემენტებზე, მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ელემენტთა რაოდენობრივ მხარეს.

სიმრავლეთა თეორიამ კონკრეტიზაცია მიიღო ჯგუფთა თეორიაში. ჯგუფების ცნება აღმოცენდა სიმრავლის ელემენტების ცნებასთან კავ-

შირში, ამიტომ ჯგუფები, როგორც სიმრავლის გარკვეული სახე, ერთგვა-
მათი მთლიანობის ჩარჩოებში. ჯგუფის ელემენტები განსხვავდებიან ჩვე-
ულებრივი სიმრავლის ელემენტებისაგან იმით, რომ ისინი ასახავენ მატე-
რიალური სამყაროს მრავალი სახის ობიექტებს.

ბრიტანელ ფილოსოფოსს, ლოგიკოსს, მათემატიკოსს, სოციოლოგსა და
საზოგადო მოღვაწეს ბერტრან რასელს სჯეროდა, რომ სამყაროს უნივერ-
სუმი ისეთი არსებისაგან შედგება, რომელიც მათემატიკურ კანონზომიე-
რებასა და ჰარმონიულ აგებულებას შეესაბამება, რომ ყველა ლოგიკური
წინააღმდეგობა, რომელიც კი განიხილება ანტინომიებსა და პარადოქ-
სებში, განსაკუთრებით სიმრავლეთა თეორიის შესატყვისი დილემების სახით,
აღმოცენებულია ბუნებრივ ენებში ორაზროვანი და ბუნდოვანი ტერმი-
ნების გამოყენების საფუძველზე. სწორედ ამ მდგომარეობამ აიძულა იგი
ემუშავა მათემატიკური მოდელის შესაბამისი ხელოვნური, მეცნიერული
ენის შექმნაზე (6,321).

რაც შეეხება ავსტრიელ მათემატიკოსსა და ლოგიკოსს კურტ გიო-
დელს, მან სიმრავლეთა აქსიომატური თეორიისა და ნატურალურ რიცხვთა
უსასრულობის დასაბუთებით განსხვავებული დასკვნები გააკეთა. მისი
აზრით, მსგავს სისტემებში მოიპოვება ჭეშმარიტი წინადადებები (აქსიო-
მები), რომლებიც მიღებულია დამტკიცების გარეშე, რამაც ხელი შეუწყო
მეცნიერული კვლევის გაძლიერებას. გიოდელის გამოკვლევებმა მნიშვნე-
ლოვანი შედეგები მოგვცა მოდელების თეორიის შექმნაში, კონსტრუქცი-
ული ლოგიკის სფეროში, რეკურსიულ ფუნქციათა თეორიაში და სხვ.

კლასიკურ მათემატიკაში მოდელირების შემდგომი განვითარება დაკავ-
შირებულია თანამედროვე გამოთვლით მათემატიკასთან. თანამედროვე
მათემატიკური მოდელირება თავის წინაშე სვამს უფრო რთულ ამოცანას,
რაც დაკავშირებულია ბუნებაში მიმდინარე პროცესების მათემატიკურ
აღწერასთან. ამით საფუძველი ეყრება რეალური უსასრულობის მათემა-
ტიკურ კვლევას.

ამ გზის რეალიზაცია განახორციელა ჯონ ნეიმანმა ავტომატების
ლოგიკურ-მათემატიკური თეორიის დამუშავებით. აქ მთავარია ის, რომ
ნეიმანი სასრულისა და უსასრულოს პრობლემის გადასაჭრელად მიდიო-
და არა კლასიკური მათემატიკის ანალიზის აპარატის გამოყენებით, არა-
მედ, პირიქით, დისკრეტული მათემატიკიდან უწყვეტი მათემატიკისაკენ. ჯ.

ნეიმანმა შემოგვთავაზა, უარი გვეთქვა უსასრულოს, როგორც უსაზღვროს ცნებაზე. საქმე იმაშია, რომ პრაქტიკულად ელექტრო-გამომთვლელი მანქანის საშუალებით მთავარია მივიღოთ შედეგი დისკრეტულ, სასრულო ნაბიჯების სასრულ რიცხვში. მხოლოდ მაშინ შეიძლება ოპერაციებში ჩავრთოთ დროის ფაქტორი, რომელიც ახასიათებს რეალური მატერიალური სტრუქტურების მდგომარეობის აღწერას.

კიბერნეტიკისა და ოპტიმალური მართვის თეორიის განვითარებამ მიგვიყვანა ამ იდეების კონკრეტიზაციამდე, რომლებშიც გამოიყენებიან სხვადასხვა სახის ფუნქციები. ძალიან მიზანშეწონილია ამ იდეების გამოყენება მიკრო სამყაროს ფიზიკაში. ამ დროს მხედველობაში მიიღება კვანტური პოსტულატი, ხოლო კვანტური მექანიკის განტოლებები გადაისახებიან მართვის სიმეტრიული სტორასტიკური თეორიის ტერმინებში. მომავალი გვიჩვენებს, რომელი გზა უფრო პერსპექტიული იქნება - ტრადიციული თუ ნეიმანის მიერ შემოთავაზებული.

მათემატიკურმა მოდელირებმა შეაღწია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ყველა დარგში. მათ შორის კოსმოლოგიაშიც. მათემატიკური მოდელების საშუალებით სამყაროს შესწავლის შესაძლებლობამ საშუალება მოგვცა დღის წესრიგში დაგვესვა სამყაროს უსასრულობის პრობლემა.

ფილოსოფიური თვალსაზრისით, მეცნიერული ცოდნის ჭეშმარიტების კრიტერიუმი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად არის გამოვლენილი თეორიაში საკვლევი ობიექტის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზომა. ადამიანთა საზოგადოების პრაქტიკულმა საქმიანობამ, რომელმაც მიაღწია განვითარების მაღალ დონეს, ცალსახად დაამტკიცა ჭეშმარიტი ფილოსოფიის მეცნიერულობა და მეტაფიზიკის ანტიმეცნიერულობა. იმის დასაბუთებამ, რომ სამყაროს ერთადერთი სუბსტანცია არის მატერია, მიგვიყვანა მატერიის სივრცესა და დროში უსასრულობის აღიარებამდე და ამით კი - სამყაროს უსასრულობის აღიარებამდე, რადგან მატერია არის სამყაროს ერთადერთი სუბსტანცია, ის შეიძლება იყოს შეზღუდული მხოლოდ საკუთარი თავის, ე.ი. ის უსასრულოა სივრცეში. რადგანაც მატერია არც იქმნება და არც ისპობა (ქრება), ის უსასრულოა დროში. ამ იდეების მისაღწევად კაცობრიობას დასჭირდა საუკუნეები.

სივრცესა და დროში მატერიის უსასრულობის იდეამ თავისი ასახვა ჰპოვა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. ნიუტონის მექანიკის ყველა

კანონი ჩამოყალიბებულია უსასრულო სამყაროსათვის, რომლის ნაწილი არის უშუალოდ ჩვენს მიერ აღქმული სასრული საგნების სამყარო, რომელთა მიმართ ადამიანი იყენებს ბუნების კანონებს და ამოწმებს მათ პრაქტიკაში. უნდა შევნიშნოთ, რომ პრაქტიკა არ არის აბსოლუტური, არამედ იგი ჭეშმარიტების შეფარდებითი კრიტერიუმია, რადგანაც თვითონ ვითარდება შემეცნების პროცესის განვითარებასთან ერთად.

ნიუტონის კოსმოლოგიაში სამყაროს უსასრულობის დასაბუთება უკვე აღარ იწვევდა დიდ სიძნელეებს, თუნდაც იმიტომ, რომ კლასიკური ფიზიკა არ შეხებია რაიმე შეზღუდვებს უსასრულობაზე ბუნების კანონების გავრცელების დროს. ამასთან ერთად, დაიყვანა რა მატერია მის მხოლოდ ერთ სახეობამდე – ნივთიერებამდე, ნიუტონის კოსმოლოგიამ განსაზღვრა თავისი გამოყენების ხარისხობრივი საზღვრები და იძულებული შეიქნა, ადგილი დაეთმო უფრო მოქნილი რელატივისტური კოსმოლოგიისათვის. ახალმა კოსმოლოგიამ უკუაგდო კოსმოლოგიური პარადოქსები, რაც ვერ მოახერხა კლასიკურმა კოსმოლოგიამ. რელატივისტურმა კოსმოლოგიამ არა მარტო ახსნა სამყაროს უსასრულობის პრობლემა, არამედ მოხაზა ამ პრობლემის ახალი კონტურები.

რელატივისტურ კოსმოლოგიაში სივრცის ევკლიდურობა არ არის ერთადერთი შესაძლო თვისება, რაც იძლევა საშუალებას დავუშვათ არა მარტო უსასრულო, არამედ ჩაკეტილი სასრული სამყაროს არსებობა. თანამედროვე კოსმოლოგია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „ჰორიზონტის" არსებობის შემთხვევაში, გაფართოებულ მეტაგალაქტიკაში გარკვეულ ზღვრულ მანძილზე იქეთ დაკვირვება ვერ ხერხდება. ამიტომ შეუძლებელია პირდაპირი დაკვირვებებით დავრწმუნდეთ სამყაროს უსასრულობაში ან სასრულობაში.

რელატივისტური კოსმოლოგია გვთავაზობს უარვყოთ სივრცის მეტრული უსასრულობა და შევცვალოთ ის უნივერსალური და აუცილებელი მახასიათებლით, რაც შეავსებს შედარებით სხვაობას სამყაროს სასრულ და უსასრულო მოდელებს შორის. ამას კი სამყაროს უსასრულობის პრობლემა გადაყავს ფილოსოფიურ პრობლემიდან სუფთა კერძომეცნიერულ პრობლემათა რანგში, მაგრამ ამით იკარგება პრობლემის მნიშვნელოვანი მსოფლმხედველობითი ასპექტები.

აღსანიშნავია, რომ შემეცნებით პროცესს არასდროს არ დასჭირვებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარი ექთვა მატეიალური სამყაროს უსასრულობის აღიარებაზე, მიუხედავად თავისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა. ამის საფუძველზე შეიძლება დავასაბუთოდ, რომ რელატივისტური კოსმოლოგია არა მარტო არ უარყოფს სამყაროს უსასრულობის იდეას, პირიქით, შეაქვს თავისი წვლილი ამ იდეის შემდგომ თეორიულ და პრაქტიკულ დასაბუთებაში.

რელატივისტურმა კოსმოლოგიამ დაუშვა კოსმოლოგიური მოდელების სიმრავლე, რომლებიც გვეხმარებიან რეალური სამყაროს აღწერაში. აღსანიშნავია, რომ ერთი სამყაროს არსებობა არ კრძალავს სხვა სამყაროების არსებობას. ამიტომ არსებობს აზრი, რომ ის სამყარო, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, მოთავსებულია სხვა სამყაროების გვერდით. ძველი კლასიკური ფილოსოფიის აზრით, ეს მცირე სამყაროთა ერთობლიობა ქმნის ერთ დიდ უსასრულო სამყაროს. მართალია დიდი ფიზიკოსი ვ.ა. ფოკი, როცა თვლის, რომ უსასრულო მოდელი, უარყოფითი სივრცითი მრუდის, შეიძლება იყოს განხილული როგორც სასრული არეს აღწერა, ამ აზრს ემხრობა გ.ი. ნაანიც: "გვაქვს გარკვეული საფუძველი ვივარაუდოთ, რომელთანაც ჩვენ საქმე გვაქვს კოსმოლოგიურ მოდელებში, არის "ფიზიკური უსასრულობა", ე.ი. რაღაც ძალიან განსხვავებული უსასრულობისაგან, რომელსაც ჩვენ ვხმარობთ სიტყვებში სამყაროს უსასრულობა".

ყველაზე პირდაპირი კავშირი თანამედროვე კოსმოლოგიასთან აქვს მ.ა. მარკოვის დასკვნას ცნობილ დამთხვევაზე სამყაროსა და მიკროსკოპიულ ნაწილაკს შორის. აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ ის კანონზომიერება, რომელიც მეფობდა მატერიის განვითარების ყველა დონეზე. როგორც ატომი არის ნივთიერების კვანტი, უჯრედი - ყოველი ცოცხალი ორგანიზმის კვანტი, ფოტონი - სინათლის კვანტი და ა.შ. ასევე, შეიძლება, რეალისტური კოსმოლოგიის მიერ აღმოჩენილი მცირე სამყარო იყოს კვანტი, ატომი. უჯრედი დიდი სამყაროსი. ასეთ კონტექსტში მცირე სამყარო მართლაც უნდა ფლობდეს ელემენტარული ნაწილაკების თვისებებს. მცირე სამყაროთა მოდელების სიმრავლე, რომელთაც აქვთ ბევრი საერთო ნიშანი და ამავე დროს ასე არ გვანან ერთმანეთს, გარკვეულწილად შეესაბამება ელემენტარული ნაწილაკების სიმრავლეს.

ბოლოს შეიძლება დავასკვნათ, რომ სასრულისა და უსასრულოს მეთოდოლოგიური საკითხების ანალიზს მათემატიკაში, ფიზიკასა და კოსმო-

ლოგიაში მივყავართ რეალური სამყაროს ამოუწურაობის ცნებამდე. სამყაროს ამოუწურაობა არის სასრულისა და უსასრულოს წინააღმდეგობების ერთობა და ბრძოლა.

Valerian Kelbakiani

FINITE AND NON-FINITE NOTIONS IN MATHEMATICS, PHYSICS AND COSMOLOGY

abstract

Finite and non-finite Notions play the great methodological role in creating specific basis for various hypothesis and individual methods in the sciences of mathematics, physics and cosmology.

The history of development of sciences serves as a good argument to show that it's above one's possibility to gain scientific evidence of the non-finite notion only within the limits of mathematics. It is a vulnerable philosophical problem as well. The study of the given problem requires united efforts of philosophy, mathematics and natural sciences. It is noteworthy that mathematical simulation has penetrated even into cosmology.

According to the analysis of the problem, on the basis of observations of famous scientists, we can arrive to the conclusion that inexhaustibility of the universe reflects itself in iternal unity and opposition of the finite and non-finite concepts.

ლიტერატურა:

1. Гейзенберг, философские проблемы атомной физики, М., 1953.
2. გ.ვ.ფ. ჰეგელი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედია, თბილისი, 1962.
3. Петров Ю.А., Логические проблемы абстракции бесконечности и осуществимости. М., 1967.
4. N. Reichenback, Atom and cosmos-London, 1932.
5. Ph. Frank, Modern seience and its Philosophy. 1939.
6. Negel, Ceshichte der Philosophie.

ინფორმატიკისა და მათემატიკის
სწავლების მეთოდიკის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მამუკა შენგელია

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და სახეები

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ძველი ინსტიტუტია, ის ეფუძნება ჩვეულებით სამართლებრივ ნორმებს, რომლებიც სასამართლო გადაწყვეტილებებისა და პრეცედენტების საფუძველზე ჩამოყალიბდნენ.

საერთაშორისო სამართლის ჩვეულებითი ნორმა, რომელიც ყველა (ან უმრავლესი) სახელმწიფოს მიერაა მიღებული, „საყოველთაოდ აღიარებულ ნორმად" ითვლება[1]. საერთაშორისო სამართალში საერთოდ აღიარებული პრინციპია, რომ სუბიექტის საერთაშორისო-სამართლებრივი ქმედება წარმოშობს საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა კი წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის სუბიექტის იურიდიულ მოვალეობას, მოახდინოს იმ ზიანის ლიკვიდაცია, რომელიც მისი ქმედებით მიადგა სხვა სუბიექტს ან საერთაშორისო სამართლის სუბიექტებს საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმების დარღვევისათვის, ან მოვალეა აუნაზღაუროს მატერიალური ზარალი, რომელიც გამოწვეულია ისეთი ქმედებით, რომელიც არ წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევას, მაგრამ ასეთი ანაზღაურების წესი გათვალისწინებულია სპეციალური საერთაშორისო ხელშეკრულებით[2].

კანონიერების ძირითადი მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ პასუხისმგებლობა გამოიყენოს მხოლოდ და მხოლოდ თვით კანონით აკრძალული ქმედებისათვის და კანონის ფარგლებში, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობის სახეს და მისი გამოყენების სფეროს. საერთაშორისო სამართალი არ ანსხვავებს ერთმანეთისგან დელიქტურ და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას. მიუხედავად იმისა, ჩამოყალიბებულია თუ არა იგი ხელშეკრულებაში, ყოველი მისი დარღვევა წარმოშობს ერთი მხრივ

ანაზღაურების მოთხოვნას, ხოლო მეორე მხრივ, პასუხისმგებლობის ვალდებულებას. საერთაშორისო სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების მოვალეობა აღიარებული ნორმაა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლისა.

ჩვეულებრივ, იურიდიული პასუხისმგებლობა ასოცირდება სამართალდარღვევასთან. ზოგჯერ კი ზარალის ანაზღაურებასთან, რომელიც გამოწვეულია სახელმწიფოს მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით.

პროფ. მ. კრასნოვი ადარებს რა ერთმანეთს პოზიტიურ (აქტიურ) და ნეგატიურ (რეტროსპექტულ, პასიურ) პასუხისმგებლობას, აკეთებს დასკვნას, რომ მათი გაერთიანება ერთ ჰიბრიდში ნაკლებ ეფექტური და ნაყოფიერია, რადგან მსგავსება მხოლოდ და მხოლოდ ტერმინოლოგიაშია, დანარჩენი არსობრივი გაგება კი სხვადასხვა. პასუხისმგებლობა პოზიტიური გაგებით ეს არის მოვალეობა რაიმეს გაკეთებისა, ხოლო ნეგატიური პასუხისმგებლობა დაკავშირებულია არასასურველ შედეგთან, საერთაშორისო სამართლის სუბიექტის ისეთ მოქმედებასთან, რომლის დროსაც ზიანი ადგება მეორე სუბიექტს, თუ სუბიექტებს[3].

პასუხისმგებლობას ხშირად განსაზღვრავენ, როგორც დელიქტის ჩამდენი სახელმწიფოს მოვალეობას, აღიაროს მის მიერ განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო აქტის შედეგად წარმოშობილი მისთვის არასასურველი შედეგი[4]. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, პასუხისმგებლობა ეს არის მოვალეობის შესრულება იძულებით[5]. იშვიათად პასუხისმგებლობას განსაზღვრავენ, როგორც სამართლებრივი ურთიერთობების ერთობლიობას, რომელიც სამართალდარღვევის შედეგად წარმოიშობა.[6]

როგორც ჩანს, საერთაშორისო სამართლებრივი პასუხისმგებლობის დეფინიციური ჩამოყალიბების მოდელი თავისი იურიდიული კონსტრუქციით ყველა მეცნიერ იურისტის გააზრებაში თითქმის ერთი და იგივეა.

საერთო ხასიათის ზოგიერთი ნორმა, რომელიც იძლევა პასუხისმგებლობის ინსტიტუტის რეგულირების მექანიზმებს, გვხვდება საერთაშორისო ხელშეკრულებებში, ასევე ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების რეზოლუციებში. გაეროს წესდების 39-ე, 41-ე, და 42-ე მუხლები შეიცავენ პასუხისმგებლობის რეალიზაციის პროცედურებს ისეთი საერთაშორისო მართლსა-

წინააღმდეგო აქტების მიმართ, რომლებიც ემუქრებიან მშვიდობასა და უშიშროებას, ლახავენ ყველა სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებსა და საერთაშორისო სამართლის ძირითად საწყისებს. პასუხისმგებლობის პრინციპებია დაცული 1948 წლის კონვენციაში გენოციდის დანაშაულის აცდენისა და გენოციდისათვის დასჯის შესახებ, ჟენევის 1949 წლის ოთხ კონვენციაში და ამავე კონვენციების 1977 წლის ორ დამატებით ოქმში.

რადგანაც საერთაშორისო სამართლის ძირითადი სუბიექტი სახელმწიფოა, ლოგიკურია, რომ საერთაშორისო პასუხისმგებლობის ძირითადი სუბიექტი იქნება სახელმწიფო ან სახელმწიფოები.

სახელმწიფო პასუხისმგებელია ყველა თავისი ორგანოს საქმიანობისათვის. განსაკუთრებით ეს ეხება საგარეო ურთიერთობის ორგანოებს. მათი ქმედება, რომელიც არღვევს არსებულ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს, აკისრებს პასუხისმგებლობას საერთაშორისო სამართლის სუბიექტს – სახელმწიფოს. სახელმწიფო პასუხისმგებელია ყველა იმ მართლსაწინააღმდეგო აქტის გამო, რომელიც ჩადენილია მის ტერიტორიაზე ადგილობრივი ან უცხოელი მოქალაქის მიერ. უფრო სწორად, ამ შემთხვევაში სახელმწიფოს საერთაშორისო პასუხისმგებლობა გამოწვეულია იმ ორგანოების უმოქმედობით (დაუდევრობით), რომელთაც ეკისრებათ ასეთი ქმედების საფრთხის თავიდან აცილება ან დამნაშავე პირთა დასჯა.[7]

საერთაშორისო სამართალში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ფიზიკურ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, რომლებიც გამოდიან სახელმწიფოს სახელით და მათ მიერ ჩადენილი ქმედება კვალიფიცირდება როგორც სამხედრო დანაშაული და დანაშაული კაცობრიობის წინააღმდეგ. გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1974 წელს მიღებული აგრესიის განსაზღვრება აგრესიულ ომს მიიჩნევს საერთაშორისო მშვიდობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად, ხოლო აგრესია მიიჩნევა საერთაშორისო პასუხისმგებლობის საფუძვლად.

როგორც აღვნიშნეთ, საერთაშორისო სამართალში ჩამოყალიბებული საერთო პრინციპის მიხედვით საერთაშორისო-სამართლებრივი ქმედება სუბიექტისა წარმოშობს საერთაშორისო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების შესრულების უზრუნველყოფაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ერთმანეთისაგან განასხვა-

ვებენ მატერიალური და არამატერიალური საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეებს. მატერიალური პასუხისმგებლობა გამოხატულია რესტიტუციისა და რეპარაციის ფორმით. რესტიტუციის დროს სამართალდამრღვევი სახელმწიფო მოვალეა ნატურალური გზით აანაზღაუროს ის მატერიალური ზარალი, რაც მიაყენა დაზარალებულ სახელმწიფოს, ანუ რესტიტუცია ითვალისწინებს ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე საერთაშორისო სამართლის სუბიექტისათვის იმ ქონების დაბრუნებას, რომელიც ომის დროს იყო უკანონოდ მიტაცებული. რესტიტუციის სახესხვაობას წარმოადგენს სუბსტიტუცია - არაკანონიერად განადგურებული ან დაზიანებული ქონების შეცვლა ანალოგიურით (იმავე ღირებულებისა და დანიშნულების მიხედვით).

რეპარაცია მატერიალური ზარალის ანაზღაურებაა ფულით ან გარკვეული საგნებით, მომსახურებით. რეპარაცია ხორციელდება, როდესაც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა შეუძლებელია რესტორაციის ფორმით.

არამატერიალური პასუხისმგებლობა გამოხატულია შემდეგი ფორმით: რესტორაცია, სატისფაქცია და სხვა. რესტორაცია წარმოადგენს მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩამდენი სახელმწიფოს მიერ პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას და აქედან გამომდინარე, მისთვის ყოველგვარი არასასურველი შედეგის დაკისრებას. პროფ. ლ. ალექსიძის განმარტებით სატისფაქცია ანუ მორალური დაკმაყოფილება მოწოდებულია დაიცვას სუბიექტის მორალურ-პოლიტიკური ღირსება, როგორც საერთაშორისო სამართლის თანასწორუფლებიანი სუბიექტისა. სატისფაქცია შეიძლება სხვადასხვანაირად გამოიხატოს - სინანულის გამოცხადება, ბოდიშის მოხდა, დამნაშავე პირთა დასჯა, დაზარალებული პირებისათვის ან მათი ნათესავებისათვის კომპენსაციის გადახდა და ა.შ.[8]

ამრიგად, საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ინსტიტუტი საერთაშორისო სამართლის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა, და დღესაც ერთ რთულ მექანიზმად არის მიჩნეული საერთაშორისო სამართლის ნორმების განხორციელების პროცესში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. М. Шенгелия

ПОНЯТИЕ МЕЖДУНАРОДНО-ПРАВОВОЙ ОТВЕТСТВЕННОСТИ

В обеспечении исполнения норм международного права важную роль играет институт ответственности. Ответственность в международном праве представляет собой оценку международного правонарушения и субъекта, его совершившего, со стороны мирового сообщества и характеризуется применением определенных мер к правонарушителю.

Ответственность можно рассматривать как непременную обязанность, обусловленную неправомерным поведением.

Международно-правовая ответственность - обязанность субъекта международного права устронить, ликвидировать вред, причиненный им другому субъекту международного права в результате нарушения международно-правового обязательства, или обязанность возместить ущерб в результате правомерных действий, если это предусмотренно договором.

Различают два вида ответственности государств: материальная и нематериальная.

ლიტერატურა:

1. ლ. ალექსიძე, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბ., 2001, გვ. 15.

2. Международное право, под. ред. проф. Колосова Ю.М. и проф. Кривчикова Э.С., М., 2000 с. 288.

3. М.А. Краснов, юридическая ответственность - целостное правовое явление. Журн. сов. гос. и право, 1984, №3, с. 77.

4. В.А. Кучинский, Личность, свобода, право, М., юрид. литература, 1978, с. 166.

Д.Б. Левин, Ответственность государств в современном международном праве, М., 1966, с. 11.

В.А. Василенко, Ответственность в международном праве, М., 1975, с. 32-33.

5. В.Л. Мазов, Ответственность в международном праве, М.,1979, с.19.

6. С.Н. Братусь, Юридическая ответственность и законность, М., 1976, с. 85.

7. ლ. ალექსიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 144.

8. იქვე, გვ. 145.

სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური
სამართლის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

მანანა ჩიტაიშვილი

„ქრისტიანული კედლისმხატვრობა და მისი თავისებურებანი საქართველოში“

ქრისტიანობის გავრცელებას ყველგან თან მოჰყვა ძველ ღირებულებათა გადაფასება და ახალი მორალური სენტენციების დამკვიდრება. შემუშავდა ახალი რელიგიური მოთხოვნები, ეთიკური ნორმები, რაც აისახა ქრისტიანულ ხელოვნებაში, კერძოდ, მონუმენტურ კედლისმხატვრობაში.

ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პირობები საქართველოში სხვაგვარი იყო, ვიდრე მცირე აზიის ელინისტურ ქვეყნებსა და ბიზანტიაში. ადრექრისტიანული ხანის რელიგიური მხატვრობის ძეგლები საქართველოში არ მოიძებნება, რადგან მე-6 ს. დასასრულამდე აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებული იყო მონოფიზიტური მოძღვრება, რომელიც თავისი დოგმატური თვალსაზრისით ერიდებოდა ტაძრების შინაგანი სივრცის შემკობას მოზაიკით ან ფრესკებით. რაც შეეხება ბიზანტიის ეკლესიას, საქართველოს ეკლესია მისგან განცალკევებული იყო. ამიტომ სომხური არქიტექტურის უმეტეს ნაწილს არ აქვს კედლისმხატვრობა.

მე-6 ს-ის ბოლოს საქართველო იძულებული გახდა, პოლიტიკური ორიენტაცია აეღო ბიზანტიისაკენ. ამ პერიოდიდან ქართული ეკლესიის ცხოვრებაში, კერძოდ მის ორგანიზაციაში მოხდა ძირეული ცვლილებები. ქართულმა ეკლესიამ კავშირი გაწყვიტა სომხურთან, განკიცხა მონოფიზიტები, რადგანაც ისინი მიიჩნია ჭეშმარიტი ქრისტიანული მოძღვრების მოღალატეებად, ერეტიკოსებად და სავალდებულოდ მიიღო ქალკედონის მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილება. ამ ფაქტმა დიდი გავლენა მოახდინა ქართული კულტურის განვითარებაზე. ამ პერიოდიდან მომზადდა ნიადაგი ქრისტიანული კედლისმხატვრობის გასავითარებლად. ამიტომაა, ქართული კედლისმხატვრობის უადრესი ნიმუში (მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიის აფსიდი) გვხვდება 545-586 წლებიდან.

რელიგიურ იდეოლოგიაში ცვალებადობამ მნიშვნელოვანი ძვრები გა-

მოიწვია ხელოვნებაშიც. კერძოდ, კედლისმხატვრობაში. ქართული კედ-
ლისმხატვრობა ვითარდება ბიზანტიურთან კავშირში. მათ აქვთ როგორც
განსხვავების (სხვადასხვაგვარი პლასტიკა), ისე მსგავსების მომენტები:
ტაძრის მოხატულობის საერთო სქემა, თემატიკის შერჩევაში გარკვეული
ორიენტაცია, მხატვრული გამომსახველობითი ენის თავისებურება.

როგორც აღვნიშნეთ, მონუმენტური ფერწერის ტრადიციებს საქართვე-
ლოში საფუძველი ჩაეყარა მე-6 ს. დასასრულს. თავდაპირველად კედ-
ლისმხატვრობა შემოისაზღვრებოდა მხოლოდ საკურთხევლის აფსიდის
მოხატვით (სინას მონასტრისა და კვიპროსის მოზაიკას ეჭირა მხოლოდ
საკურთხევლის კონქი და ტრიუმფალური თაღი).

საყურადღებოა მე-9-10 სს-ში შექმნილი აპოკრიფი საქართველოს, რო-
გორც ღვთისმშობლის წილხვდომილი ქვეყნის შესახებ, კერძოდ, საქარ-
თველოში წმ. მარიამს უნდა გაევრცელებინა ქრისტიანობა, მაგრამ ღვთის-
მშობელს მიძინების დრო დაუდგა და ეს მისია მან ანდრია პირველწო-
დებულს დააკისრა: მისცა მას ხელთუქმნელი ხატი ღვთისმშობლისა და
ყრმის გამოსახულებით და საქართველოში გამოგზავნა ქრისტიანობის
საქადაგოდ. აღნიშნული თვალსაზრისი ხელს უწყობდა ქართული ეკლე-
სიის განმტკიცებას და მხატვრული შემოქმედებისთვისაც მდიდარ მასა-
ლას იძლეოდა.

აღსანიშნავია ძველ ქართულ კედლისმხატვრობაში დავით გარეჯელის
მოღვაწეობის შესახებ სიუჟეტების ციკლი. მას ქართულ მონუმენტურ
ფერწერაში ისევე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, როგორიც იტალიურ-
ში ფრანცისკ ასიზელს. მე-10 ს-ში დეტალურად დამუშავდა დავით გა-
რეჯელის ცხოვრება. მხატვრებისათვის არ არსებობდა მზა შაბლონები და
ამიტომ ისინი თვითონ ქმნიდნენ ორიგინალურ კომპოზიციებს.

431 წელს ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ, ღვთის-
მშობლის კულტმა მიიღო ფართო პოპულარობა და იგი ითვლებოდა
მუდმივ შუამავლად ადამიანებსა და ქრისტეს შორის. ცნობილი კომპოზი-
ცია "დეისუსი" გამოხატავს დოგმატს, ღვთისმშობლისა და ნათლისმცემ-
ლის (წინამორბედის) ქომაგობას ქრისტეს წინაშე, ადამიანთა ცოდვების
შესამსუბუქებლად. წერილობითი წყაროების მიხედვით, "დეისუსი" ცნობილი
იყო ბიზანტიაშიც და აღმოსავლეთშიც. იერუსალიმის პატრიარქი სოფ-
რონ დამასკელი 629 წელს მოიხსენიებს დიდ ხატს, რომლის ცენტრშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსახული იყო ქრისტე, მარჯვნივ ღვთისმშობელი და მარცხნივ ნათლისმცემელი. იგი ძველ რუსეთშიც პოპულარული თემა გახდა, რომელმაც წამყვანი ადგილი დაიკავა საკურთხეველში.

ბიზანტიურ მონუმენტურ მხატვრობაში „დეისუსი" იშვიათად ფიგურირებს და ტაძრის მხატვრობაშიც მას მკაცრად განსაზღვრული ადგილიც არ აქვს. კიევის სოფიის ტაძარში „დეისუსი" ამკობს ტრიუმფალურ თაღს, ვენეციის წმ. მარკოზის ტაძარს, ვატოპედის მონასტერსა და სხვ. აღნიშნული კომპოზიცია განთავსებულია შესასვლელი კარების თავზე, ფოკიდას წმ. ლუკას ტაძარში - გუმბათშია. აქ გუმბათის კომპოზიცია იღებს ესქატოლოგიურ აზრს: „ამაღლება" „მეორედ მოსვლა". „დეისუსი" გუმბათში გვხვდება მხოლოდ ორ ქართულ ეკლესიაში: ყინწვისსა და ტიმოთესუბანში (12-13 სს. მიჯნა). ბიზანტიურ მხატვრობაში, უმეტეს შემთხვევაში, „დეისუსს" არ უჭირავს ის ადგილი, რასაც ითვალისწინებს მხატვრობის იკონოგრაფიული სქემა, საერთოდ დოგმატი. კონსტანტინოპოლის წრის ბიზანტიური კედლისმხატვრობის იკონოგრაფიული სქემების შესწავლამ გვიჩვენა, რომ აღნიშნულ კომპოზიციას საკურთხევლის აფსიდის კონქში არ ათავსებენ. სხვა ქვეყნების მხატვრობაში კი, ბიზანტიის გარდა, „დეისუსს" უჭირავს სწორედ საკურთხევლის აფსიდის კონქი.

საქართველოში „დეისუსი" ძირითადად განთავსებულია საკურთხევლის აფსიდის ნახევარგუმბათში. აქედან ყველაზე უძველესია უდაბნოს მთავარი ტაძრის მხატვრობის პირველი ფენის კომპოზიცია. მე-11 ს-მდე ქართულ კედლისმხატვრობაში „დეისუსი" გამოისახებოდა აუცილებლად საკურთხევლის ნახევარგუმბათში: ქრისტე მთელი ტანით, აღმართული მაკურთხებელი მარჯვენით, „დიდების გარეშე", აქეთ-იქეთ ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის თანხლებით (ქრისტე მთელი ტანით „დეისუსის" კომპოზიციაში ცნობილია მარტვილის ხატზე, ხოვლესა და საფარას საკურთხევლის ზღუდეზე). იმ ქართულ და კაბადოკიურ კედლისმხატვრობაში, სადაც „სამფიგურიანი დეისუსია" (მას უკავია მთავარი აფსიდის ნახევარგუმბათი), „საშინელი სამსჯავროს" დამოუკიდებელი გამოსახულება არ გვხვდება (თუმცა დოგმატური თვალსაზრისით არსებობს კავშირი „საშინელ სამსჯავროსა" და „დეისუსს" შორის).

„დეისუსის" სამფიგურიანი კომპოზიციის ორი ვარიანტიდან ადრექრისტიანულ ეპოქაში უპირატესობა ენიჭებოდა „პეტრე-პავლესეულ დეისუსს"

და შესაბამისად აღმოცენდა „პეტრე-პავლეს" სამფიგურიანი კომპოზიცია, ხოლო ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლისადმი თაყვანისცემის გაზრდასთან დაკავშირებით (განსაკუთრებით ეფესოს მე-3 მსოფლიო საეკლესიო კრების შემდეგ, 431 წ.) აღმოსავლეთქრისტიანულ ხელოვნებაში, პოპულარული ხდება „დეისუსი" - ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის გამოსახულებით. ჩვენამდე მოღწეულ ყველა ძველ ლიტურგიულ ტექსტში ღვისმშობელი და ნათლისმცემელი მოიხსენიებიან, როგორც კაცთა მოდგმის მფარველები და გამოისახებიან მლოცველების პოზაში, ხოლო ქრისტე - მსაჯულის (რომელიც „საყრდარზეა" დაბრძანებული). სწორედ „დეისუსის" საყდარზე დაბრძანებული ქრისტეა დამკვიდრებული იკონოგრაფიულ ვარიანტად საშინელ სამსჯავროში. „დეისუსის" სხვა ვარიანტი, რომელშიც ქრისტე წარმოდგენილია ფეხზე მდგომი მთელი ტანით, აღმართული მაკურთხებელი მარჯვენით, როგორც უდაბნოს კედლისმხატვრობაში, უეჭველია, ამოდის დასავლეთში გავრცელებული კომპოზიციიდან. უნდა აღინიშნოს, რომ ღვთისმშობლისა და ნათლისმცემლის „დეისუსი" ქართულ ხელოვნებაში წარმოდგენილია უფრო მეტი იკონოგრაფიული ვარიანტის სახით, ვიდრე კაბადოკიის გამოქვაბულის ეკლესიებში. აქედან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, რომ პალესტინისა და კაბადოკიის ხელოვნების გვერდით, საქართველომ გარკვეული წვლილი შეიტანა ბიზანტიის მხატვრული კულტურის განვითარებაში.

Manana Chiteishvili

CHRISTIAN MURAL PAINTING AND ITS PECULIARITIES IN GEORGIA

Mural painting of the time of Early christianity with its contents and style was closely connected with the church architecture. It was not only an important decorative element of the building design but it had the independent ideological meaning. Mural painting of that time was the best way of spreading christian ideas and teaching, as such type of art was more acceptable for the most part of the faithful.

Art monuments of the time of Early Christianity are not found in Georgia because untill the end 6th century monofizitists' teaching was spread in Geor-

gia. This type of teaching was against mural painting.

By the end of the 6th century there were basic changes in the life of the church. Georgian church blamed the Monufizitists and declared Calkedon's World Ecclesiastical Conference decision as Compulsory.

This fact made a great influence of the development of the Georgian culture. Since that time the foundation stone for the development of the christion Mural painting was laid.

ლიტერატურა:

1. ამირანაშვილი შალვა, ქართული ხელოვნების ისტორია, „ხელოვნება" თბ., 1961.

2. ბერიძე ვახტანგ, ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, „ხელოვნება", 1974.

3. ჩუბინაშვილი გიორგი, ქართული ხელოვნების ისტორია, „მეცნიერება საქართველოში", 1926.

4. Амиранашвили Ш., История монументальной живописи, Т. I, "Сахелгами", 1957.

5. Шевякова Т.С., Монументальная живопись раннего средневековья Грузии, "Хеловнеба", 1983.

ესთეტიკური აღზრდის კათედრა

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

გიორგი ჯანელიძე

ინგლისის დაზვერვა გერმანია-თურქეთის მეტოქეობის შესახებ საქართველოში (1918 წ.)

კოლონიურმა პოლიტიკამ, რომელსაც მთელი XIX საუკუნის მანძილზე წარმატებით აწარმოებდა რუსეთის იმპერია კავკასიაში, გამოიწვია საქართველოს სრული ინტეგრაცია ამ სახელმწიფოს შემადგენლობაში. საქართველოს საკითხმა დაკარგა საერთაშორისო მნიშვნელობა და იქცა რუსეთის საშინაო პრობლემად.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე რუსეთმა წარმატებებს მიაღწია კავკასიის ფრონტზე თურქეთის წინააღმდეგ. 1915-1916 წლებში რუსეთის ჯარმა დაიკავა აღმოსავლეთ ანატოლიის დიდი ნაწილი. თურქეთის სამფლობელოების გადასვლა რუსეთის ხელში ნიშნავდა საქართველოს საერთაშორისო იზოლაციის კიდევ უფრო გაძლიერებას, მაგრამ 1917 წლის ოქტომბრის ბოლშევიკურმა რევოლუციამ საქართველოს ბედი კარდინალურად შეცვალა. რუსეთის არმიამ მიატოვა კავკასიის ფრონტი, ხოლო საკუთრივ ეს ქვეყანა ისე ღრმად ჩაეფლო ქაოსში, რომ სრულებით დაკარგა ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე კონტროლი [2,147]. აღნიშნულის შედეგად რეგიონში წარმოშობილი ძალის ვაკუუმის შევსება დაუყოვნებლივ სცადა ოსმალეთის იმპერიამ [5,2]. ვეჰიბ ფაშას III არმიას უპრეცედენტო შესაძლებლობა მიეცა, რომ უბრძოლველად დაებრუნებინა დაკარგული პროვინციები აღმოსავლეთ ანატოლიაში, ხოლო შემდეგ ამიერკავკასიის მიმართულებით აეღო გეზი. თავის მოკავშირეს არ ჩამორჩა გერმანიის იმპერიაც. გერმანელები ადრეც იყვნენ დაინტერესებულნი ამიერკავკასიითა და, განსაკუთრებით, საქართველოთი. შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაცია მათ შესაძლებლობას აძლევდა, რეგიონში წამყვანი ძალის როლში დამკვიდრებულიყვნენ. ამგვარად, საქართველოს საკითხი კვლავ იქცა საერთაშორისო პოლიტიკის საგნად, ამჯერად გერმანია-თურქეთის მეტოქეობის კონტექსტში.

გერმანია-თურქეთის გამოჩენამ ამიერკავკასიის პოლიტიკურ ასპარეზზე ძლიერ დააფრთხო დიდი ბრიტანეთი. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ამ რეგიონიდან „ოთხთა კავშირს" შეეძლო დამუქრებოდა ჩრდილოეთ სპარსეთს, ცენტრალურ აზიასა და საბოლოო ჯამში, ბრიტანეთის იმპერიის „მარგალიტს" - ინდოეთს [5;2]. ინგლისის დაინტერესება ამიერკავკასიაში გერმანია-თურქეთის პოლიტიკით სათანადოდ აისახა მისი დაზვერვის საქმიანობაშიც, რომელმაც დაიწყო შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება და მთავრობისათვის მიწოდება. მიმდინარე წლის მაისში თურქეთის რესპუბლიკაში სამეცნიერო მივლინებისას, თურქი კოლეგების დახმარებით, ჩვენ საშუალება მოგვეცა მოგვეპოვებინა ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დაზვერვის დეპარტამენტის მიერ მომზადებული ორი მემორანდუმი - A Memorandum on Turco - German Relations over the Caucasus, October 4, 1918 და A Memorandum on the Political situation in Transcausacia, December 10, 1918.

4 ოქტომბრის მემორანდუმი ეხება თურქეთისა და გერმანიის ამიერკავკასიული პოლიტიკის ძირითად მომენტებს 1918 წლის გაზაფხულიდან შემოდგომამდე. დოკუმენტის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ პრობლემებზე, რომელთა თაობაზეც მოკავშირეთა შორის უთანხმოება არსებობდა. მათ შორის, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება ბაქოს ნავთობის საბადოებისა და საქართველოს საკითხებს. საქართველოსთან მიმართებაში, მემორანდუმის ავტორები ეხებიან საქართველო-თურქეთის სასაზღვრო დავასა და მასთან დაკავშირებით განიხილავენ გერმანიის პოზიციას. მეორე დოკუმენტის ძირითად შინაარსს იმ პოლიტიკური მიზნების ანალიზი წარმოადგენს, რომელთა მიღწევას გერმანია საქართველოში ცდილობდა 1918 წელს. აქაც აქცენტი გადატანილია თურქეთ-გერმანიის ინტერესთა შეუთავსებლობაზე.

4 ოქტომბრის მემორანდუმის ავტორები გერმანიასა და თურქეთს შორის ამიერკავკასიის თაობაზე უთანხმოების მიზეზად ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებას მიიჩნევენ. „ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების ხელმოწერამდე თურქეთსა და გერმანიას შორის კავკასი-

ის თაობაზე რაიმე უთანხმოება არ არსებობდა" [3,1] - აღნიშნულია დოკუმენტში. ამავე დროს ინგლისელების ყურადღების მიღმა არ დარჩენილა საქართველოსადმი გერმანიის განსაკუთრებული ინტერესი, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ "...გერმანია ზოგჯერ წარმართავდა ქართულ პროპაგანდას"[8]. ბათუმის კონფერენციაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ თურქეთი და ამიერკავკასია, გერმანია პირველად დაუპირისპირდა თავის მოკავშირეს. თავიდან "ისე ჩანდა, რომ გერმანიას არ სურდა აეღო ინიციატივა თავის თავზე და დაახლოებით 18 მაისს მოლაპარაკებები კვლავ შეწყდა, რადგან ბრესტის ზავის პირობები, რომლებიც უკვე მიიღო ამიერკავკასიის მთავრობამ, აღარ აკმაყოფილებდა თურქეთს" [3,2]. გერმანელთა პასიურობას ბათუმის კონფერენციის პირველ ეტაპზე ინგლისის დაზვერვა ხსნის იმით, რომ თითქოს მათ თურქეთის ზეწოლის გამოყენება სურდათ საქართველოზე, რათა ამ უკანასკნელს თავად გამოეთქვა გერმანელებთან თანამშრომლობის სურვილი. ინგლისელი ანალიტიკოსების აზრით, ანალოგიური მეთოდით ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებისას, გერმანიამ უკრაინაზე ბოლშევიკური ზეწოლის გამოყენებით შეძლო უკრაინის ანტიბოლშევიკური ხელისუფლების პროგერმანული სიმპათიების მოპოვება*. გერმანელთა პოლიტიკამ მათთვის სასურველი შედეგი გამოიღო. ქვეყნის ყველაზე გავლენიანმა პოლიტიკურმა ძალებმა, ოსმალეთის შიშით, პროგერმანული პოზიცია დაიკავეს და, 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს. ამით გერმანიას საშუალება გაუჩნდა, შუა აღმოსავლეთში ანტანტის წინააღმდეგ მიმართული სერიოზული პოლიტიკური გეგმები დაესახა. ინგლისის დაზვერვის აზრით, გერმანიის მთავრობას სურდა აღმოსავლეთში შესაღწევად საქართველო პლაცდარმად ექცია. ქართველი ერის მებრძოლი ბუნებიდან გამომდინარე გერმანელები იმედოვნებდნენ შეექმნათ 250 ათას კაციანი ქართული ჯარი, რომელსაც გამოიყენებდნენ კავკასიასა და შუა აღმოსავლეთში თავისი გავლენის გარანტად [4,5]. გერმანელებისათვის ნათელი იყო, რომ მათი გეგმები მკვეთრად უპირისპირდებოდა თურქებისას. როგორც გაზეთი "Kreutz Zeitung"-ი აღნიშნავდა, 1918 წლის 14 აგვისტოს, "თურქეთი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც მზად იყო უარი ეთქვა მესოპოტამიასა და არაბეთზე ინგლისის სასარგებლოდ, სანაცვლოდ აპირებს გაფართოებას კავკასიისა და მის იქეთ მდებარე ტერიტორიების ხარჯზე, რაც აბსოლუტურად განსხვავდებოდა მსოფლიოს იმ პოლიტიკური სქემისაგან, რომლისთვისაც ჩვენ ვიბრძვით". თავის მხრივ, თურქებს "... არ ესმოდათ, თუ რატომ უნდა ეთქვათ უარი იმაზე, რომ ესარგებლათ კავკასიაში რუსეთის იმპერიის დაშლით, თუკი გერმანიაც იგივეს აკეთებდა ევროპულ რუსეთში უფრო დიდი მასშტაბით" [3,11]. მათი სტრატეგიული ჩანაფიქრით ამიერკავკასიაში აზერბაიჯანლების ლიდერობით უნდა შექმნილიყო ფედერაციული სახელმწიფო, რაც უზრუნველყოფდა ამ რეგიონის მოქცევას ოსმალეთის გავლენაში [4, 5]. რამდენადაც ქართველები და სომხები წინ აღუდგნენ პორტას ჰეგემონისტურ მისწრაფებებს, ოსმალეთის მთავრობა შეეცადა მათ დამორჩილებას ტერიტორიების ჩამოჭრის გზით. 4 ოქტომბრის მემორანდუმის ავტორები ხაზგასმით აღნიშნავდნენ ახალციხისა და ახალქალაქის რაიონების სტრატეგიულ მნიშვნელობას, რომლებიც 1918 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების ძალით საქართველომ იძულებით დაუთმო ოსმალებს. "ეს რაიონები, - აღნიშნულია მემორანდუმში, - აყალიბებენ სომხეთის პლატოს ჩრდილოეთ ზღუდეს და სტრატეგიულად გაბატონებული არიან იმ დაბლობზე, რომელზედაც გადის რკინიგზა თბილისიდან შავი ზღვისაკენ" [3, 5]. ამრიგად, სამცხე-ჯავახეთიდან თურქებს შეეძლოთ დამუქრებოდნენ როგორც საქართველოს, ისე სომხეთის სასიცოცხლო ცენტრებს, რაც უზრუნველყოფდა მათ პრიორიტეტს ამიერკავკასიაში.

გერმანია შეაშფოთა თურქეთის წარმატებებმა. მთავრობამ მიიღო დიპლომატიური ზომები ურჩი მოკავშირის მოსათოკად. ამ მიზნით 1918 წლის გამოყენებულ იქნა 28 მაისს ფოთში გერმანიასა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულებები [1,86-88]. საგარეო საქმეთა მინისტრმა კიულმანმა 4 ივნისის ხელშეკრულება იურიდიული ძალის არმქონედ გამოაცხადა, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგებოდა 28 მაისის ხელშეკრულებებს. გერმანიის მთავრობის განცხადებით, ამიერკავკასიის სახელმწიფოთა მომავალი უნდა გადაეწყვიტა კონსტანტინეპოლის კონფერენცი-

ას, რომლის გამართვაც დაგეგმილი იყო 1918 წლის ზაფხულში ამიერკავკასიის სახელმწიფოების და „ოთხთა კავშირის" მონაწილეობით [4,6]. ამავე კონფერენციაზე უნდა მოგვარებულიყო საქართველო-თურქეთის სასაზღვრო დავა ბრესტის საზავო ხელშეკრულებების საფუძველზე, ანუ ახალციხე და ახალქალაქი კვლავ საქართველოს დაუბრუნდებოდა. უფრო მეტიც, ინგლისელთა აზრით, „ქართველებს არ დაუკარგავთ ბათუმის გერმანელთა დახმარებით დაბრუნების იმედი" [3,8].

1918 წლის ზაფხულში ამიერკავკასიაში გერმანია-თურქეთის დაპირისპირების ცენტრმა გადაინაცვლა ბაქოს მიმართულებით. ნავთობისათვის ბრძოლამ გამოიწვია ორივე სახელმწიფოს აქტიურობის შენელება საქართველოში. ორივე მხარე დაკავებული იყო მხოლოდ მოპოვებული პოზიციების განმტკიცებით*. ასეთი მდგომარეობა პირველი მსოფლიო ომის დასასრულამდე გაგრძელდა.

ამრიგად, ჩვენს მიერ განხილული მემორანდუმები წარმოადგენენ მნიშვნელოვან წყაროს 1918 წელს საქართველოში გავლენის მოსაპოვებლად გერმანია-თურქეთის მეტოქეობის საკითხის შესწავლის თვალსაზრისით. მათში ასახულია აღნიშნული ბრძოლის საინტერესო დეტალები. ამ დოკუმენტების მნიშვნელობას ზრდის ის ფაქტი, რომ ისინი მომზადებულია იმ ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე კომპეტენტური სადაზვერვო სამსახურის მიერ და მათში, ფაქტობრივად, მოცემულია ჩვენთვის საინტერესო პრობლემის მეცნიერული ანალიზის პირველი მცდელობა.

Georgi Djanelidze

BRITISH INTELLIGENCE ABOUT THE GERMAN-TURKEY COMPETITION IN GEORGIA (1918)

In this article discussed the information of British intelligence about the German and Turkey policy in Georgia in 1918. In memorandums of foreign office department of political intelligence is mentioned the meaning of Geogia for this countries.

We discussed the reasons of competition between two Allies in Georgia.

In this article we used very interesting documents, which are important sources for the study this problem.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ. 1990

2. სტივენ ჯონსი, საქართველოს სოციალ-დემოკრატია 1917 წელს, ჟურ. „მნათობი", №5, 1991.

3. IOR: L/P & S/18/c. 191 A Memorandum on Turco-German Relations over the Caucasus, by Political Intelligence Department of Foreign Office, October 4, 1918.

4. FO 371/3301/203251/W/38 A Memorandum on the Political situation in Transcaucasia, by Political Intelligence Department of Foreign office, December 10, 1918.

5. K. Tuncer Ìa?layan, Ingiliz Belgelerine göre Transkafkasyada Osmanli-Alman Rekabeti, Türk Tarih Kongresi, 4-8 Ekim, 1999, Ankara.

საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ირაკლი შენგელია

ნარკომანია 21-ე საუკუნის საფრთხე

მძიმე, რთულ სიტუაციაში მოხვედრა დღეისათვის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. ყოველი ადამიანი ცდილობს გაუსაძლისი სიტუაციიდან თავის დაღწევას, მას სურს დაივიწყოს ნეგატიური განცდები და რადგანაც სიძნელეების წინაშე უძლურების განცდა ეუფლება, გარბის რეალური ცხოვრებიდან და ხვდება ილუზიურ სამყაროში, სადაც სულიერ სიმშვიდეს აღწევს, საკუთარი „მე"-ს რეალიზაციას ახერხებს, მაგრამ ის ხარკი, რომელსაც საზოგადოება იხდის ამ სურვილის დასაკმაყოფილებლად, დამღუპველია. კაცობრიობა არსებობს იმდენად, რამდენადაც მისი წევრები ქმნიან ფასეულობებს. ნარკომანს კი, როგორც წესი, არა მარტო არაფერი შეაქვს ზოგადსაკაცობრიო ყულაბაში, არამედ თვითონაც სხვისი შრომის ხარჯზე ცხოვრობს და, ყველა რომ ამ გზას დადგეს, იგი მიგვიყვანს საზოგადოების მოსპობა-გადაშენებისაკენ.

ყოველ პიროვნებას აზროვნების უნარი აძლევს საშუალებას სხვადასხვა სიტუაციაში გამოიყენოს ამ სიტუაციისათვის დასაშვები ქცევები და მიიღოს ამით „სიამოვნება". ასე რომ, „მოაზროვნე ადამიანმა" შექმნა რელიგიური და სახელმწიფო სისტემები, შესძლო გამოემუშავებინა გარკვეული ქცევითი სტერეოტიპები და ისინი მოექცია განსაკუთრებულ მორალურ ტაბუებში. ამან განაპირობა ადამიანის გარდაქმნა „მოაზროვნე ადამიანიდან" „მორალურ ადამიანამდე", ანუ ადამიანად, რომელიც საზოგადოებაში ურთიერთობისას პრიორიტეტს ანიჭებს მორალური და ზნეობრივი კატეგორიებით მოღვაწეობას, ილუზიურ, არარეალურ სამყაროში მყოფ ადამიანს კი, საზოგადოებრივად მისაღები ზნეობრივი ნორმები აღარ აკმაყოფილებს, მეტიც, მას იძულებულს ხდის დაუპირისპირდეს ამ რეალობას, პროტესტი გამოთქვას მის მიმართ ჩაიდინოს მართლსაწინააღ-

მდეგო ქმედება, დანაშაულიც კი. მაგრამ, „ვინც ჩვეულებას გადაუდგება, უბედურებას შეეყრება" – (ეზოპე)

მართალია ნარკომანია უპირველეს ყოვლისა ინდივიდუალური ტრაგედიაა, რომელიც ხელყოფს პიროვნების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას, იწვევს ყოველგვარი ურთიერთობების მოშლას და ადამიანი მიჰყავს დეგრადაციისა და თვითგანადგურებისაკენ, მაგრამ პიროვნული ტრაგედია მხოლოდ ნაწილია საერთო უბედურებისა. ნარკოტიკები საზოგადოების მთლიანობის დამრღვევი ძალაა. „ის არის დანაშაულის შედეგიც და გამომწვევიც – ერთდროულად. ეს ისეთი დაავადებაა, რომელიც ასნეულებს სახელმწიფო ინსტიტუტებს, წარმოშობს კორუფციასა და არასტაბილურობას, საფუძველს უქმნის ტერორიზმსა და სახელმწიფო გადატრიალებას, იარაღით ვაჭრობას. მოკლედ რომ ვთქვათ, ნარკოტიკი ის ფენომენია, რომელიც საზოგადოებას ყოველ დონეზე უქმნის საფრხეს"[1].

ნარკომანია უპირველეს და ყველაზე მძიმე დარტყმას აყენებს ოჯახს, რომელიც მთელი საზოგადოების ჭეშმარიტი სახის ანარეკლია. ნარკოტიკებისთვის დამახასიათებელი ყველა ბოროტება ამ მიკროსოციალურ გარემოში იჩენს თავს მთელი თავისი სიხარულითა და მრავალფეროვნებით. მატერიალური პრობლემები და დაძაბული ურთიერთობები, შერყეული სულიერი ჯანმრთელობა, უნდობლობა და გაუცხოება, მოზარდის განვითარებისათვის საზიანო მიკროკლიმატი და სხვა გარემოებანი უმძიმეს ტრაგედიად აქცევს ოჯახურ ცხოვრებას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ნარკომანს თავისი მოთხოვნილების დაკმაყოფილება ძალიან ძვირი უჯდება. მართალია, ზოგიერთი მათგანი ფულს პატიოსანი შრომით ღებულობს, მაგრამ მაღალანაზღაურებადი, მუდმივი სამსახური ადამიანისაგან ბევრ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, რისი გაცემაც წამალდამოკიდებული ადამიანისათვის თანდათანობით შეუძლებელი ხდება. მაშინ იგი იძულებულია ფულის შოვნის სხვადასხვა ხერხს მიმართოს: თავდაპირველად იღებს სესხს, მაგრამ როცა

---

[1] ჯორჯიო ჯაკომელის მიმართვა ნარკოტიკების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლის დღესთან დაკავშირებით. 1996 წლის 26 ივნისი.

ეს თანხებიც იხარჯება, არ თაკილობს ქურდობას, ყაჩაღობას, სძალავს ფულს საკუთარ მშობლებს. ქალებში მეტად გავრცელებულია პროსტიტუცია ნარკოტიკების გულისთვის. თუმცა გვხვდება მამაკაცებიც, რომლებიც დიდი სიამოვნებით გამოდიან „ალფონსის" როლში.

ნარკომანები თავიანთი ერთი "კაიფისათვის" არ ინდობენ არავის, არც თავის მსგავსს და არც ნებისმიერი სხვა სენით დაავადებულს, სრულიად ჯანმრთელ ადამიანსაც კი. ისინი ახალგაზრდებს „ყიდულობენ" ძირითადად მდიდარი ოჯახებიდან და მერე მათ ხარჯზე აგრძელებენ თავიანთ ცხოვრებას. უფრო მეტიც, „ვარდისფერ სამყაროში" მოხვედრის სურვილი მისი „მონატრებით" გამოწვეული ტანჯვა მათ ყველაფერზე წაიყვანს, ისინი სასიკვდილოდ უახლოეს ადამიანსაც კი გაიმეტებენ და მითუმეტეს, არ გაუძნელდებათ თვითმკვლელობა. ასე რომ, „დამოკიდებულება ნარკოტიკებზე არის ყოვლისმომცველი კონტროლის მოდელი, რომელსაც ნებისმიერი ფორმით მივყავართ გაუკუღმართებულ სისულელესთან და არაადამიანურ გაბოროტებასთან (ვილიამ ბეროუზი).

თითოეული პიროვნებისათვის სულიერი და ფიზიკური გაჯანსაღება სახელმწიფოს უპირველეს ამოცანას წარმოადგენს. თუმცა ყველასათვის ცხადია, რომ ნარკომანიის მიზეზთან თუ შედეგთან ბრძოლა სახელმწიფო აპარატზე მეტად საზოგადოებას ხელეწიფება, რომელსაც უნდა აეხსნას, რომ ნარკომანია „სოციალურად საშიში დაავადებაა", რომელიც, მართალია, უმკაცრესი განკითხვის ღირსია, მაგრამ სანამ ამას მოვიმოქმედებდეთ, დავფიქრდეთ, იქნებ სიყვარულის და თანადგომის გამოვლენამ უფრო მეტი შედეგი გამოიღოს. ჩვენ არ უნდა გავრიყოთ ისინი საზოგადოებისაგან, პირიქით, ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს მათ დახმარებას. ნარკომანს უნდა გაუჩნდეს იმის სურვილი, რომ განიკურნოს, ხოლო შემდეგ ყველაფერი შესაძლებელია.

მართალია დღევანდელ დღეს „სილამაზე", „მშვენიერება", „პოეზია" - შეცვალა „სასარგებლოზე" და „გამოსავალზე" ფიქრმა, სიყვარულის, ადამიანური ურთიერთობების დეფიციტია, ბევრმა დაკარგა საზრისი, მაგრამ ჩვენ არ უნდა დავუშვათ ერთი ადამიანის სულიერი დაკნინებაც კი და თუ ეს მაინც მოხდა, საღათას ძილისგან უნდა გამოვაფხიზლოთ მოყვარე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტაძრისაკენ მიმავალ გზაზე უნდა დავაყენოთ იგი.

ქვეყანად ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ხვალ გვიან იქნება, რომ ამ საქმეში ნეიტრალური პოზიციის დაჭერა დანაშაულის ტოლფასია. „ადამიანის სული გაცილებით მძიმეა, ვიდრე სხეული, იმდენად მძიმე,რომ ერთ ადამიანს მისი ტარება არ შეუძლია. ამიტომ ვიდრე ცოცხლები ვართ, ერთმანეთს ხელი უნდა შევაშველოთ და ვეცადოთ, როგორმე უკვდავყოთ ერთმანეთის სული: თქვენ ჩემი, მე სხვისი, სხვამ სხვისი და ასე დაუსაბამოდ, რამეთუ იმ სხვისი გარდაცვალების შემდეგ არ დავობლდეთ და მარტონი არ დავრჩეთ ამ ქვეყანეზე" (ნ. დუმბაძე).

საქართველოში განხორციელდა ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი კონტროლის გაძლიერება და სამუშაო პროცესში ჩართვა. მინდა აღვნიშნო, რომ კარგი იქნებოდა საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რომლებმაც გაცილებით ადრე დაიწყეს ამ „სენის" წინააღმდეგ ბრძოლა და გარკვეულ შედეგებს მიაღწიეს და გამოცდილებაც საკმაო დააგროვეს, მათ უბრალოდ მოახდინეს დიფერენცირება თუ ვის წინააღმდეგ და რის წინააღმდეგ უნდა დაეწყოთ ბრძოლა. დასავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში გააუქმეს დასჯადობა ნარკოტიკების მოხმარებისათვის და მთელი ძალები მიმართეს ნარკოტიკების რეალიზაციისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ ანუ მოახდინეს ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაცია. სიტუაციის შესწავლამ და ანალიზმა ცხადყო, რომ პრაქტიკულად უშედეგოა უშუალოდ ნარკომანების დევნა, რადგან ეს მდგომარეობას სულაც არ ცვლის, ამიტომ უმჯობესი იქნებოდა მათი სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსება და არა ციხეებსა და კოლონიებში, სადაც არა თუ იზოლირება ხდება, არამედ დაუბრკოლებლად შეიძლება ნარკოტიკების გადაადგილება.

რაც შეეხება საქართველოში ამ მეთოდების გამოყენებას, ანუ ნარკოტიკების მოხმარების ლეგალიზაციას, ეს საკითხი ლამის განხეთქილების ვაშლად იქცა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და არასამთავრობო სექტორს შორის. ნაწილი ემხრობა პოზიციას დაუყოვნებლივი ლეგალიზაციის შესახებ, რადგან თვლიან, რომ ნარკომანთა დევნა არაფრით არ უშლის

ხელს ნარკომანიის გარვცელებას და ზრდას, ხოლო ნაწილი თვლის, რომ წინასწარი მომზადების გარეშე, ანუ სათანადო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების შექმნისა და აღმზრდელობითი საქმიანობის გარეშე დაუშვებელია ნარკომანიის ლეგალიზება.

ისინი თვლიან, რომ იმ ეტაპზე, სანამ მოხდება ამ პირობების განხორციელება, ნარკომანთა დევნას მაინც ზოგად-პრევენციული დანიშნულება აქვს და შეუძლია მცირე პოზიტიური გავლენა იქონიოს, ისე კი მომხრენი არიან ლეგალიზების.

საზღვარგარეთის განვითარებულ სახელმწიფოთა უმრავლესობაში ნარკომანიისა და ტოქსიკომანიის მკურნალობის სხვადასხვა ეტაპზე, განსაკუთრებით რეაბილიტაციის პირობებში, წარმატებით გამოიყენება მკურნალობის არამედიკამენტოზური მეთოდები, რომლებსაც მიეკუთვნება საზოგადოების ინფორმაციით უზრუნველყოფა, რომელიც გარკვეული დოზით აწვდის ნარკომანიასთან დაკავშირებულ ინფორმაციას საზოგადოებას. ყოფილი საბჭოთა კავშირის იმპერიის ტერიტორიაზე და მათ შორის საქართველოშიც, ნარკომანიის თემატიკა ტაბუირებული იყო. შეზღუდული იყო ამგვარი ინფორმაციის მასობრივი საშუალებებით გავრცელება. შესაბამისად ამ საკითხის შესახებ საზოგადოებას მიეწოდებოდა მწირი და ცალმხრივი ინფორმაცია, რომლის მიხედვით ნარკომანები განიხილებოდნენ ასოციალურ პიროვნებებად, მათ კი სჭირდებოდათ არა დახმარება, არამედ საზოგადოებისაგან იზოლაცია. ამ იდეოლოგიამ საზოგადოების უდიდეს ნაწილში ჩამოაყალიბა აზრი იმის შესახებ, რომ ნარკომანია დანაშაულის სახეა და არა დაავადება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოში ნარკომანიის დაავადების შესახებ ბევრს საუბრობენ, საზოგადოების უმრავლესობაში ინერციით ძველი სტერეოტიპი მოქმედებს. დღევანდელ საქართველოში ნარკომანია გარკვეულ პრობლემებთან არის დაკავშირებული. იგი ძირითადად შემოიფარგლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ჟურნალისტების მიერ მიწოდებული ინფორმაციით, რომელიც უფრო ხშირად ზოგად ხასიათს ატარებს და არ არის მიმართული კონკრეტულ ადრესატზე. ამგვარი სახით მიწოდებული ინფორმაცია საზოგადოების „ფხიზელ" ნაწილში იწვევს შიშსა და მიუღებლობას, მო-

ზარდებში - არაჯანსაღი ინტერესების გაღვიძებას, ხოლო თვით ნარკომანებში - პროტესტსა და აგრესიას.

მსოფლიო მასმედიის აზრით, არ არსებობს საზოგადოებისათვის მასზე დიდი პრობლემა, ვიდრე ნარკომანიაა. აუცილებელია საუკუნის ამ სენთან სერიოზული ბრძოლა. ამ მხრივ კი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალებაა, თუ ერთად დავდგებით და მოვინდომებთ დავიცვათ ჩვენი ოჯახები და შთამომავლობა საუკუნის ამ უბედურებისაგან, შედეგიც არ დააყოვნებს.

Irakli Shengelia
Drug Addition as a Danger of the 21st Century
(*Resume*)

Nowadays, one can easily get into a grave, complicated situation. Every person tries to get rid of those unbearable situation; they want to be abandoned by negative perceptions, and, confronted with the feeling of powerlessness, escapes from the real life and find themselves in the illusionary world where they find spiritual peace, and manages to realize their „selves"; but the contribution paid by the society is fatal. The mankind exists as much as its members, create certain values; a drug addict, as a rule, does not contributes to the mankind's wealth, and lives on others expense; and if everyone chooses the same way, this will lead us to the degeration of the entire society.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

თენგიზ სარალიძე

ვარლამ ჩერქეზიშვილის სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები

ანარქიზმი ევროპული მოვლენაა. ამ მოძრაობამ განსაკუთრებულ აღმავლობას XIX საუკუნის რუსეთში მიაღწია. საქართველოში ანარქისტული იდეები XIX საუკუნის დასასრულიდან ვრცელდება. ქართველ ანარქისტებს (ვარლამ ჩერქეზიშვილი, მიხაკო წერეთელი, კომანდო და შალვა გოგელიეები) მოღვაწეობაში დომინირებდა სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები. თუმცა, მათთან ასევე იყო განსჯის საგანი ეკონომიკური საკითხები, ეროვნულ პრობლემატიკა, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებები და სხვ.

ვ. ჩერქეზიშვილი მსოფლიო მნიშვნელობის ქართველი ანარქისტია, რომელიც მოღვაწეობდა რუსეთში, ევროპაში, საქართველოში. სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებს მის მოღვწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია და მისი პოზიცია ამ საკითხში არსებითად მარქსიზმის უმკაცრესი კრიტიკის საფუძველზე ყალიბდება. ამიტომაც ვ. ჩერქეზიშვილის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების არსის გასაგებად მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხში მარქსიზმის ძირითადი პრინციპების ზოგადი გადმოცემა.

მარქსისტული სოციალურ-პოლიტიკური შეხუდულებები ისტორიის მატერიალისტურ გაგებას ემყარება. კერძოდ, მარქსის თანახმად მატერიალური წარმოების საშუალებები განსაზღვრავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეს. ისტორიის მატერიალისტური გაგების ქვაკუთხედია საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისობა, რომელიც მუდმივ მოძრაობა ცვალებადობაშია. საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობები გარკვეულ ეტაპამდე ერთმანეთთან შესაბამისობაშია. მაგრამ, მას

შემდეგ, რაც საწარმოო ძალები განვითარების იმ დონეს მიაღწევს, რომელიც წარმოებითი ურთიერთობების ძველ ფორმებთან კომფლიქტში მოდის, მაშინ დგება სოციალური რევოლუციის ეპოქა. ყოველი სოციალური რევოლუცია კი, მარქსიზმის თანახმად, ერთი წარმოებითი ურთიერთობის მეორეთი შეცვლის, ახალი საზოგადოებრივ ფორმაციის წარმოშობის საფუძველია. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მარქსის აღნიშვნით კაპიტალიზმის მოსპობა ისევე აუცილებელია, როგორც მისი წარმოშობა.

მარქსის აზრით, პროლეტარიატი, როგორც კაპიტალიზმის მესაფლავე, სპობს არა მხოლოდ ბურჟუაზიას, არამედ თავისთავსაც. პროლეტარიატი ბურჟუაზიის მოსპობით კერძო საკუთრებას აუქმებს, ხოლო თავისი თავის მოსპობით კლასებსა და კლასობრივ ბრძოლას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე მარქსი და ენგელსი უფრო შორს გამიზნული და რაც მთავარია უტოპიურ დასკვნას აკეთებენ.

კერძოდ, კერძო საკუთრებისა და კლასების დაპირისპირებასთან უშუალო კავშირშია სახელმწიფოს არსებობა და რადგანაც პროლეტარიატი აუქმებს როგორც კერძო საკუთრებას ისე კლასთან ბრძოლას, ამდენად საფუძველი ეცლება სახელმწიფოს არსებობის აუცილებლობას. მოკლედ მარქსიზმის ფუძემდებელთა აზრით, კერძო საკუთრებისა და კლასების მოსპობის შემდეგ პროლეტარიატის დიქტატურა, პროლეტარიული სახელმწიფო თავისთავის უარყოფამდე მიდის და თავის ნებით ტოვებს არენას.

სახელმწიფოზე, სოციალურ საკითხებზე მარქსისტული შეხედულებები რომ საფუძველს მოკლებული იყო, ეს დღეს კარგად ჩანს. მაგრამ XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამის დანახვა და თქმა პრობლემის საფუძვლიან ცოდნას და ერთგვარ გამბედაობასაც მოითხოვდა. ვფიქრობთ, სწორედ ამ კუთხით არის დასაფასებელი ვ. ჩერქეზიშვილის ნააზრევი. მისთვის, იმთავითვე აბსოლიტურად მიუღებელი იყო მარქსისტული იდეები და კრიტიკული დამოკიდებულებას ამჟღავნებდა მათ მიმართ.

ვ. ჩერქეზიშვილი მარქსისტული პოზიციის კრიტიკისას საზოგადოებრივი ცხოვრების ფართო სპექტრს ეხება, რაც უდავოდ მეტყველებს პრობლემაში მის ღრმა ჩახედულებას. მისთვის მიუღებელია მარქსისტული თვალსაზრისი საზოგადოების ცხოვრებაში საწარმოო ძალებისა და წარმოებითი

ურთიერთობების გადამწყვეტი როლის შესახებ. ვ. ჩერქეზიშვილი ამბობ-ნავს, რომ „ამ ბოლო დროს ხშირად იმეორებენ, რომ წარმოების საშუალებანი და ფორმანი ყოველი საზოგადოების საფუძველს შეადგენენო, რომ ყოველი, ე.ი. სოციალური და პოლიტიკური წეს-ჩვეულება, გონებრივი (სამეცნიერო) და არტისტული განვითარება და სხვა ამ საძირკველის, ე.ი. წარმოების საშუალებათა და ფორმათა ზედნაშენს შეადგენენო[1]. „მაგრამ ასე კია?" კითხულობს ავტორი იქვე და ახალ კითხვებს აყენებს: პროგრესის მიზეზი მართლა არის საწარმოო ძალები და ურთიერთობანი? ნუთუ მათ ემყარება მეცნიერების განვითარება და კანონების აღმოჩენა?

მარქსისტული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ ვ. ჩერქეზიშვილი ფიქრობს, რომ საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი კი არ განსაზღვრავენ, ე.ი; ზედნაშენურ მოვლენებს (მეცნიერება, კულტურა), არამედ პირიქით, - ჩვენი ცოდნის შედეგია იარაღი, მანქანა, ტექნიკა და ა.შ. ახალ-ახალი აღმოჩენები, ბუნებრივი კანონების ცოდნა, მათი შეთვისება და გარვცელებაა წარმოების ახალ საშუალებათა და მათ ფორმათა წყარო და სათავე. „ამა თუ იმ ხალხს, რაც უფრო ბლომად ჰყავს სწავლა-ცოდნით აღჭურვილი კაცები, ტექნიკოსები და ინჟინრები, მით უფრო მაღლა დგას იმისი საინდუსტრიო და საკომერციო განვითარება"[2].

აქ ვ. ჩერქეზიშვილი შეიძლება მეორე უკიდურესობაში ვარდება, როცა საზოგადოების განვითარებაში უგულებელყოფს ეკონომიკურ ფაქტორს, მაგრამ უდავოდ მართალია, როცა აკრიტიკებს ბაზის-ზედნაშენის მიმართების მარქსისტულ პოზიციას (გაგებას).

ასევე მკაცრია ვ. ჩერქეზიშვილის პოზიცია, როცა იგი საზოგადოებრივი ცხოვრების კანონზომიერების გარკვევისას მარქსისა და ენგელსის „აღმოჩენებს" განიხილავს. ამ საკითხში იგი არ ერიდება იმის აღნიშვნას, რომ მარქსიზმის კლასიკოსები პლაგიატორები არიან.

კარლ კაუცკის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სტატიაში ვ. ჩერქეზიშვილი მარქსისა და ენგელსის აზრებს როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ საკითხებზე მითვისებულად მიიჩნევს მისი აზრით ისტორიის მატერი-

---

[1] ვ. ჩერქეზიშვილი, ცვლილება კაცობრიობის კულტურისა, გაზეთი „ივერია" 1901, №31.

[2] იქვე.

ალისტური გაგება, რითაც ასე თავი მოაქვს ენგელსს, როგორც მარქსის აღმოჩენა, უკვე იყო პლანკთან, ჰიუმთან და სხვებთან. ასევეა ზედმეტობა ღირებულებისა და კაპიტალის დაგროვებასთან დაკავშირებით[1]. ეს აზრები გაიმეორა მან მ. ბაკუნინის შრომის „სახელმწიფო და ანარქიზმის" წინასიტყვაობაში[2].

ვ. ჩერქეზიშვილი ანარქისტი იყო. ანარქიზმი კი სოციალური მიმდინარეობა იყო, მაგრამ ზოგიერთ საკითხში მას პრინციპულად განსხვავებული პოზიცია ჰქონდა. ეს განსაკუთრებით ეხება სახელმწიფოზე მოძღვრებას. რუსული ანარქიზმის მამამთავრის მ. ბაკუნინის აზრით, ყოველგვარი სახელმწიფო ბატონობის იარაღია და გამომდინარე აქედან თუკი არსებობს სახელმწიფო მაშინ ბატონობაც არსებობს. ბატონობა კი მონობის გარეშე წარმოუდგენელია.

ანარქიზმი როგორც ცნობილია სახელმწიფოს ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგია. მაგალითად მ. ბაკუნინი ფიქრობდა, რომ ყოველგვარი სახელმწიფო, მათ შორის პროლეტარული შეეცდება თავისი არსებობის მარადიული დაკანონებისათვის. აქედან ერთადერი გამოსავალია თავიდანვე უარი ითქვას ყოველგვარ სახელმწიფოზე, ყოველგვარ პარტიასა და მმართველობაზე. ეს კი საშუალებას მისცემს საზოგადოების შექმნას თავისუფალი თემი, თავისუფალი კავშირი და ასოციაციები, ფიქრობს ბაკუნინი. საერთოდ, ბაკუნინის აზრით, ქვეყნის მოწყობის საუკეთესო ფორმაა ის, რომელიც ხელშეკრულებას ემყარება.

ანარქისტთა ლიდერის ამ აზრებს სრულიად იზიარებს ვ. ჩერქეზიშვილი. თავის მხრივ იგი აღნიშნავს, რომ მარქსამდელი სოციალიზმის თეორიიდან ანარქიზმმა აიღო შემდეგი ძირითადი პრინციპები: დაქირავებული შრომის გაუქმება, მშრომელთა ექსპლუატაციის მოსპობა, წარმოების საშუალებათა გადაცემა მუშებზე, ხოლო სოფლად მიწებისა - თავისუფალ გლეხებზე.

ამასთანავე, ვ. ჩერქეზიშვილი ყველაფერში როდი ეთანხმება სოცია-

---

[1] დაწვრ. იხ. В. Черкозов. Наконец-то сознались! Ответ К. Каутскому. Тифлись, 1907, ст. 2-7.

[2] М.А. Баунин, Избр. Соч. Петроград, 119 предисловие.

ლიზმის მარქსამდელ თეორიას, რადგანაც მათთან არ ჩანს, თუ რატომ წავა არენიდან სახელმწიფო[1]. ასევე არ ეთანხმება იგი ნაროდნიკებს, რომლებიც შესაძლებლად მიიჩნევენ სასამართლო-ადმინისტრაციული ორგანოების არსებობას თემის საზღვრებში[2].

როგორც მარქსიზმის, ისე ანარქიზმის ამოცანა იყო სოციალიზმის გამარჯვება, სოციალისტური წყობილების დამყარება. მაგრამ მისი მიღწევის გზები სხვადასხვანაირად ესახებოდათ. კერძოდ, მარქსიზმის მიხედვით სოციალიზმი უნდა დამყარებულიყო პროლეტარიატის დიქტატურის საფუძველზე. ანარქიზმი კი თვლიდა, რომ სოციალიზმი ეკონომიკური გადატრიალების შედეგი უნდა ყოფილიყო. საერთოდ ანარქიზმის მიხედვით, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე, უნდა გაუქმდეს სახელმწიფოც, რადგანაც სახელმწიფო თუ შენარჩუნებული იქნება, მაშინ შენარჩუნებული იქნება ბურჟუაზიული ბორკილები. ამ აზრს იზიანებს ვ. ჩერქეზიშვილიც[3].

როგორც აღინიშნა ვ. ჩერქეზიშვილი ეკონომიკურ გადატრიალებას მიიჩნევს სოციალიზმის დამყარების საფუძვლად, რაც ამავე დროს გულისხმობს კერძო საკუთრების და სახელმწიფოს გაუქმებას, თუმცა იგი იმასაც აღნიშნავს, რომ ეს აზრი დიდი ხანია არსებობს (ადამ სმიტი, დავიდ რიკარდო და სხვები)

ზემოაღნიშნულის საფუძველზე კი ვ. ჩერქეზიშვილი აკეთებს დასკვნას, რომ სწორედ ეკონომიკური ფაქტორი, უფრო ზუსტად, ეკონომიკური თავისუფლება - საფუძველთა საფუძველია როგორც კერძო საკუთრების მოსპობის, ისე სახელმწიფოს გაუქმებისა და ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა-ექსპლუატაციისა[4].

ვ. ჩერქეზიშვილის სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებში ერთი შეხედვით წინააღმდეგობებიც გვხვდება. თუ ერთ შემთხვევაში იგი სოციალიზმის მარქსისტულ მოდელს აკრიტიკებს, მეორე შემთხვევაში სოციალიზმს

---

[1] В.Черкозов Предтечи Интернационала. Доктрины марксизма Петербург - Москва, 1919, ст. 34.

[2] იქვე გვ. 100.

[3] იქვე. გვ. 86.

[4] იქვე გვ. 147.

ანტისახელმწიფოებრივ მოვლენად მიიჩნევს. მაგრამ აქ ანტისახელმწიფოებრივში იგულისხმება ის, რომ „სოციალიზმის" ცნება თავდაპირველად არ შეიცავდა სახელმწიფო მექანიზმს. სოციალიზმში სახელმწიფოს ელემენტი შეიტანეს მარქსმა და ენგელსმა, აღნიშნავს ვ. ჩერქეზიშვილი. გამომდინარე აქედან, ვ. ჩერქეზიშვილის აზრით, მარქსისა და ენგელსის წყალობით „სოციალიზმი ანტისახელმწიფოებრივი მოძღვრებიდან იქცა სახელმწიფოებრივად, ხოლო ჩვენ კომუნისტ რევოლუციონერებს* და სახელმწიფოს მტრებს მიგვიჩნევენ სოციალიზმის მტრებად"[1].

ვ. ჩერქეზიშვილის მკაცრი პოზიცია სახელმწიფოს წინააღმდეგ კარგად ჩანს. სახელმწიფოს მომხრე სოციალისტების კრიტიკისას, სოციალისტებმა სახელმწიფო გაიგეს, როგორც ხალხის მსახური. ეს აზრი ლუიბლანს ეკუთვნის და იგი სოციალისტებმა ბრმად გადმოიღეს და „უმაღლეს სოციალისტურ სიბრძნედ" მიიჩნიეს. ამ მცდარი აზრის გამო, „მსოფლიო სოციალ-დემოკრატია დაადგა პარლამენტარიზმისა და სახელმწიფოებრიობის გზას"[2].

აქ, ვ. ჩერქეზიშვილის ამ სიტყვებში კარგად ჩანს როგორც მისი ავტორის, ისე საერთოდ ანარქიზმის არსი, მისი საფუძველს მოკლებული პოზიცია, როცა პარლამეტარიზმი და სახელმწიფოებრიობა დიდ ნაკლად არის მიჩნეული.

ანარქისტები და მათ შორის გ. ჩერქეზიშვილი უარყოფენ რა სახელმწიფოს საჭიროებას, ბუნებრივია ფიქრობენ იმაზეც თუ რა მექანიზმებით უნდა შეიცვალოს სახელწმიფო, როგორც გარკვეულ სტრუქტურა. ვ. ჩერქეზიშვილს ასეთ მექანიზმად მიაჩნია ხელშეკრულება, რომელიც ადამიანთა ჯგუფებს შორის დაიდება. ეს ხელშეკრულება აქ ჯგუფების წევრთათვის სავალდებულო უნდა იყოს, მით უმეტეს, რომ იგი მათი ნებასურვილის საფუძველზეა დადებული[3].

აქ ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ანარქისტების, მათ შორის ვ.

---

* ვ. ჩერქეზიშვილი თავისთავს ანარქიზსტ-კომუნისტად და რევოლუციონერად მიიჩნევდა.

[1] В.Черкозов Доктрины марксизма. М. 1905. ст. 62.

[2] იქვე გვ. 59.

[3] В. Черкозов. Пред Интернационала... ст. 50.

ჩერქეზიშვილის ნააზრევი რეალობას მოწყვეტილია და უფრო სურვილის სფეროს განეკუთვნება. საზოგადოება სახელმწიფოს გარეშე, კომუნისტური იდეოლოგიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი იყო... კომუნიზმის დამყარების შემდეგ. ეს უტოპიაა და მსგავსი უტოპია დამახასიათებელია ანარქიზმისთვისაც.

რაც შეეხება სოციალიზმის გამარჯვებას, თუკი ერთგან ვ. ჩერქეზიშვილი, ამის საფუძვლად ეკონომიკურ გარდაქმნებს მიიჩნევდა, მეორეგან რევოლუციისა და საყოველთაო-სახალხო აჯანყებას მოიაზრებს ამის პირობად. ამით კი მისი ნააზრევი ერგვარად უახლოვდება მარქსისტულს. მით უმეტეს, რომ იგი დასახული მიზნის მისაღწევად არც ბარიკადებზე ამბობს უარს და არც ახალგაზრდების მხრიდან სისხლისმღვრელი ბრძოლის დაწყებაზე. ამის გარეშე, ყოველგვარი მშვიდობიანი რეფორმა სახელმწიფოსა და გაბატონებული კლასების სასარგებლოდ იქნება, დაასკვნის იგი[1].

ვ. ჩერქეზიშვილი არ იზიარებს კლასთან ბრძოლის მარქსისტულ თვალსაზრისს, რის გაუქმებისთვისაც საჭიროა პროლეტარიატის დიქტატურა. ბუნებრივია, რომ მისთვის მიუღებელი იყო პროლეტარიატის დიქტატურაც, რადგანაც სახელმწიფო, ხელისუფლების ეს ფორმაც ერთის მიერ მეორეზე ბატონობის იარაღი გახდება იმ განსხვავებით, რომ ახლა უმრავლესობა გაბატონდება უმცირესობაზე. ამასთანავე, და ეს მთავარია ანარქისტებთან და მათ შორის ჩერქეზიშვილთან, არც ერთი ხელისუფლება და მათ შორის პროლეტარიატის დიქტატურა, ნებაყოფლობით არ დათმობს ძალაუფლებას. განა რომელიმე ხელისუფლება გააუქმებს თავის მმართველობას? მართებულად კითხულობს ვ. ჩერქეზიშვილი, ამიტომაც იგი კატეგორიულად მოითხოვდა სახელმწიფოს ყოველგვარი ფორმის გაუქმებას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ანარქიზმი როგორც სოციალური მოძრაობის ნაირსახეობა სახელმწიფოს გაგების საკითხში მცდარ საფუძველზე იდგა. ანარქისტთა შეხედულებები რეალობას მოწყვეტილი და ერგვარად ცას გამოკიდებული იყო.

---

[12] იქვე გვ. 63.

ანარქისტთა და მათ შორის ქართველ ანარქისტთა შეხედულებები მარქსიზმთან სიახლოვესაც ამჟღავნებდა (რევოლუციის გზით სოციალიზმის დამყარებას).

ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ანარქისტები იმ პერიოდში ჩვენში გავრცელებულ სხვა სოციალური მოძრაობებისაგან (ხალხოსნები, სოციალ-დემოკრატები) განსხვავებით ეროვნულ პოზიციაზე იდგნენ, რითაც მათი პოზიცია-მემკვიდრეობა მეტ თანაგრძნობას უნდა იწვევდეს ჩვენში.

Tengiz Saralidze

VARLAM CHERKEZISHVILI'S SOCIO-POLITICAL VIEWPOINTS

The paper gives the insights V.Cherkezishvili's, the Georgian anarchist's, socio-political viewpoints, it analyzes his attitude towards Marxism and Popular activists, this being extremely negative, and being assumed as just in a number of issues. Specifically, V.Cherkezishvili's argumentations against the dictatorship of proletariat has been completely just as far as it cannot guarantee equality, and it facilitates to the establishment of a supra-national state; as for his ideas against the popular activists, his arguments against their nationalist nihilism has been justified.

The paper critically discusses and evaluates the utopist viewpoints of V.Cherkezishvili and his supporters, including M. Bakunin, Their leader.

ლიტერატურა:

1. ვ. ჩერქეზიშვილი, ცვლილებები კაცობრიობის კულტურის, გაზეთი "ივერია" 1901, №31.

2. Черкезов В., Наконец — то сознались! Ответ к Каутскому, Тифлись, 1907.

3. Черкозов В. Предтечи интернационала, Доктрини Марксизма, Петербург — Москва, 1919 г.

4. Черкозов, Доктрини Марксизма, М. 1905 г.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის
შრომები, ტ. 2 (36), 2002
სოციალურ და ეკონომიკურ მეცნიერებათა სერია, 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

თენგიზ სარალიძე

ეროვნული საკითხი ქართველ ხალხოსნებთან

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების გავლენით ჩამოყალიბებული ქართული ხალხოსნობის ძირითადი თემა სოციალ-პოლიტიკური საკითხები იყო. მათი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები და ამის საფუძველზე რევოლუციური მოღვაწეობა სწორედ რუსი ნაროდნიკების გავლენით იყო განსაზღვრული. ისინი რუსი ნაროდნიკების გავლენით აქტიურობდნენ და რუსეთში მიმდინარე პროცესების საქართველოში გადმოტანას ცდილობდნენ.

გამომდინარე აქედან, ეროვნული საკითხს ქართველ ხალხოსნების მოღვაწეობაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა, თუმცა ეს საკითხი მათთან ყურადღებიდს გარეშე არ დარჩენილა. ამ მხრივ საყურადღებოა ნიკო ინაშვილის, ანტონ ფურცელაძის, გიორგი მაიაშვილის (ზდანოვიჩი), ივანე ჯაბადარის და სხვათა შეხედულებები.

ცნობილი ხალხოსანი ნიკო ინაშვილის მსოფლმხედველობა დასავლეთის მოაზროვნეების ოგიუსტ კონტისა და ჯონ სტიუარტ მილის გავლენით ყალიბდება, კერძოდ, კონტის გავლენით არის განსაზღვრული ინაშვილის აგნოსტიციზმი, ხოლო მისი უტილიტარიზმი ჯ. მილის შეხედულებებით.

რაც შეეხება ეროვნულ საკითხს, ინაშვილს იგი ნაკლებად აინტერესებდა და თუკი მას განიხილავს ისიც მხოლოდ საკაცობრიო ინტერესებთან მიმართებაში. ამის მიზეზი კი, ინაშვილის აზრით, არის ის, რომ ეროვნული ინტერესები უპირატესობას ანიჭებს ვიწრო ეროვნულ საკითხებს და „არ მიაქცევს არავითარ ყურადღებას საზოგადო კაცობრიობის ინტერესებს და ამის გამო დიდად ავნებს თავის მამულს".

ხალხოსანთა შორის, ეროვნულ საკითხს ყველაზე ვრცლად ეხება ან-

ტონ ფურელაძე. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს მისი წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტობა". აქვე შეიძლება ითქვას ისიც, რომ ქართველ ხალხოსანთა ერთგვარი ნიჰილიზმი ეროვნული პრობლემატიკისადმი განპირობებული იყო იმით, რომ ისინი პოზიტივიზმისა და სუბიექტივიზმის, და რაც მთავარია რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებათა გავლენას განიცდიდნენ, მათთან კი მთავარი იყო არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლა და სოციალ-პოლიტიკური საკითხები.

საერთოდ ქართველი ხალხოსნები და მათ შორის ა. ფურცელაძე იმ აზრის იყო, რომ ეროვნული საკითხი, კერძოდ მისი თავისუფლების მოპოვება შეიძლება, მაგრამ მხოლოდ დემოკრატიის პირობებში, როცა შესაბამისად სოციალ-ეკონომიკური ვითარებაც ნორმალური იქნება.

ა. ფურცელაძე წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიტიზმი" განსჯის საგნად იხდის პატრიოტიზმის ცნებას და შეიძლება ითქვას, რომ მის მცდარ გაგებას იძლევა. პატრიოტიზმში მას რატომღაც მხოლოდ საკუთარი ქვეყნის გაძლიერება და განდიდება ესმის. აქედან გამომდინარე, არ უნდა იყოს გასაკვირი, რომ „ა. ფურცელაძე ერთმანეთს უპირისპირებს ეროვნულ და საკაცობრიო იდეალებს.

პატრიოტობა, ა. ფურცელაძის აზრით, მტრობის, შუღლის დაპირისპირებისა და სხვა არაერთი მსგავსი მოვლენის მიზეზი ხდებოდა. პატრიოტიზმის იდეით შეიარაღებული ადამიანები მრავალი უკეთურების სათავე იყო, „ამგვარ კაცებზედ იყო დამოკიდებული სიცოცხლე თუ სიკვდილი იმ ხალხისა, რომელსაც ესენი ეკუთვნოდნენ. რადგან ვიმეორებთ, საქმე ისე იყო დაყენებული, რომ თუ შენ არ შთანთქავდი, შენ გშთანთქავდნენ, ანუ როგორც კარლეიდი* ჰსახავს ამგვარ კაცთა შორის დამოკიდებულებას, „კაცთა შორის საქმე ასრეა დაყენებული: ვინ დაასწრებს მოკვლას: მე შენ, თუ შენ მე!"[1]

---

* თომას კარლეილი (1795-1881) ინგლისელი ისტორიკოსი, პუბლიცისტი და ფილოსოფოსი.

[1] ა. ფურცელაძე, კოსმოპოლიტობა და პატრიოტობა. იხ. მითი კაცობრიობა და ხალხოსნობა, ტფილისი 1906, გვ. 6;

ა. ფურცელაძის საბოლოო აზრით, პატრიოტიზმს მხოლოდ ცუდი შედეგები მოაქვს. ამიტომაც იგი დასაგმობი და უკუსაგდებია. სამაგიეროდ მისთვის მისაღებია კოსმოპოლიტიზმი, რომელიც საყოველთაო სიკეთის მომტანია, ხალხთათვის მშვიდობის დამკვიდრების და ძმობის სინონიმია.

ხალხოსნებისათვის აზრთა არათანმიმდევრულობა და წინააღმდეგობრიობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. ეს „სენი" სჭირს ა. ფურცელაძესაც. თუკი ერთგან პატრიოტობას აკრიტიკებს და კოსმოპოლიტიზმისაკენ იხრება, სხვაგან პატრიოტიზმს მახინჯი გამოვლინების მიზეზად ცუდ გარემოებებსა და ბოროტ ადამიანებს მიიჩნევს. ამასთან ეს ისეთი ვითარებაა, რასაც „თავს ვერ დააღწევს" პატრიოტიზმი: „ცხადია, ვერც პატრიოტობა ასცდებოდა ცუდთა გაკრემოებათა უკეთურთა კაცთა ხელში ცუდს გზას"[1]

ა. ფურცელაძე ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას - თუ რატომ ყალიბდება უარყოფით მოვლენად პატრიოტიზმი. საქმე ის არის, რომ მისი აზრით პატრიოტიზმი წარმოიშვა მაშინ, როცა კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ განვითარებული, არ იყო სათანადოდ განათლებული და ა.შ. „მით უფრო, რომ, როგორც ავხსენით, ის ისრეთს დროსა და საძირკველზედ აღეგო, რომ მხოლოდ ძალიან გვიან შეეძლო აწონვილის მართალ გზაზედ დამდგარიყო"[2].

რამდენადაც ა. ფურცელაძე უარყოფითი აზრისაა პატრიოტიზმზე, იმდენად დადებითად აფასებს იგი კოსმოპოლიტიზმს. შეიძლება ითქვას, რომ იგი კოსმოპოლიტიზმის აპოლოგეტია. მისი ეს თვალსაზრისი კი პოზიტივიზმისა და სუბიექტივიზმის წარმომადგენელთა (ბოკლი, პრუდონი, სპენსერი და სხვ.) შეხედულებებით არის განსაზღვრული.

ა. ფურცელაძის ახლა აღნიშნული მსოფლმხედველობა თავს იჩენს საკუთარი ერისა და მშობლიური ენის მიმართაც. რადგანაც პოზიტივიზმის დიდ გავლენას განიცდის თითქმის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ბუნების მეცნიერების განვითარებას. ამასთან, მისი აზრით, ბუნების საგანთა არსის შემეცნება შეუძლებელია და მხოლოდ იმის შესწავლით უნდა

---

[1] ა. ფურცელაძე, კოსმოპოლიტობა და პატრიოტობა. იხ. მისი კაცობრიობა და ხალხოსნობა, ტფილისი, 1906, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 21-22

დავკმაყოფილდეთ, რაც ჩვენს ირგვლივაა და ზეგავლენას ახდენს ჩვენზე.

პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმზე მსჯელობას ა. ფურცელაძე აგრძელებს მცირე მოცულობის ნაშრომში „კაცობრიობა და ხალხოსნობა" (1906წ.), ნაშრომში ა. ფურცელაძე ერთმანეთისაგან[1] მკვეთრად ანსხვავებს კოსმოპოლიტიზმისა და პატრიტოიზმის ცნებებს. მისი მსოფლმხედველობის მთავარი აზრის მიმართულების გათვალისწინებით, ძნელი არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ მისთვის კოსმოპოლიტიზმი დადებითი მოვლენაა, ხოლო პატრიოტიზმი უარყოფითი.

ა. ფურცელაძისთვის მიუღებელია ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის, ერთი ერის მიერ მეორე ერის დაპყრობა და ჩაგვრა. იგი პროგრესულად მიიჩნევს და დადებითად აფასებს ისეთ სახელმწიფო თუ პოლიტიკურ მოღვაწეებს, რომელთა საქმიანობაც საკაცობრიო იდეალებს ემსახურებოდა და არა ერთი ქვეყნის მიერ მეორის ჩაგვრას, დამონებას და ა.შ. ასეთ გამორჩეულ სახელმწიფო მოღვაწეებად მას მიაჩნდა დავით აღმაშენებელი, გეორგ ვაშინგტონი, ჯუზეპე გარიბალდი და სხვა. მათი მოღვაწეობა კი ა. ფურცელაძის აზრით ცხადს ხდის, რომ პატრიოტიზმი მხოლოდ უარყოფითი მოვლენაა

ერთი ერის მიერ მეორე ერის ჩაგვრა ა. ფურცელაძეს გაუმართლებლად მიაჩნია იმის გამო, რომ ჩაგრული ერის მძიმე მდგომარეობა ერთგვარად გადამდებია და სხვაზეც უარყოფითად მოქმედებს. საბოლოოდ ყველაფერი ეს მთელ კაცობრიობაზეც გავრცელდება, რადგანაც „ერთი ერის უძლურება ჰმოქმედებს სხვაზედაც, მაშასადამე კაცობრიობაზედაც. და თუ არ მივაქციეთ ყურადღება და ვუპატრონეთ ჯეროვნად ყველა ერთა განსაკუთრებითთა თვისებაა, ცხადია, ეს კიდევ უფრო ცუდად იმოქმედებს მთელს კაცობრიობაზედ"[2]

ასევე საინტერესოა ა. ფურცელაძის მოსაზრებები ერების გაერთიანებაზე. მისთვის ყოვლად მიუღებელია ერების შერჩევა-გადარჩევის ევოლუციონისტური თვალსაზრისი, რომელიც ძლიერი ერების პრიორიტეტს

---

[1] იქვე, გვ. 20
[2] იქვე გვ. 28.

აღიარებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ა. ფურცელაძე ერების გაერთიანების წინააღმდეგია. მაგრამ ეს გაერთიანება ნებაყოფლობით უნდა მოხდეს და ეს იქნება საწინდარი ომებისა და სხვა უბედურების თავიდან აცილებისათვის.

ა. ფურცელაძის საერთო პოზიცია, რაც კოსმოპოლიტური მსოფლმხედველობით არის ნასაზრდოები, კარგად ჩანს მშობლიურ ენაზე გამოთქმულ თვალსაზრისში. იგი წერილში – „ჩვენი ლიტერატურისა და ბეჭდვის შესახებ" აღნიშნავდა, რომ შესაძლებელია სხვადასხვა ერების ერთმანეთთან დაახლოება, თუკი ამის საჭიროება შეიქმნება. ამასთანავე, თუკი ამის საჭიროება არ იქნება, ფიქრობს ფურცელაძე, „მანამ ყველამ თავისი ენა დაიცვას".[1]

როგორც აღნიშნულიდან ცხადად ჩანს ფურცელაძის შეხედულებები ეროვნულ საკითხზე წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. შინაგანად მას სურს ეროვნული საკითხის გააზრება ობიექტურად, მაგრამ კოსმოპოლიტურ პოზიციაზე მდგომი საბოლოოდ მაინც ერებსა და ერების ერთიანობის შესაძლებლობას აღიარებს, რაც ნამდვილად ვერ ჩაეთვლება მას დამსახურებად.

ქართული ხალხოსნობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენლის გიორგი მაიაშვილისათვის (ზდანოვიჩი) ეროვნული პრობლემატიკა მეორე პლანზეა გადატანილი. მაიაშვილის შეხედულებები ეროვნული თავისუფლება „მონატილ" ეკონომიკურ სიდუხჭირეზე ჩვენი დონის ნიჭილისტებთან ამჟღავნებს სიახლოვეს. ამ ყაიდის ადამიანებისათვის ყოველგვარი უკეთურება, უძლურება, რომლებიც გარდამავალი პერიოდის საზოგადოებაში იჩენს თავს, თურმე დამოუკიდებლობის ბრალია.

მაიაშვილის აზრით, ქვეყნის ფეხზე დაყენება შესაძლებელი არაა უცხო მმართველობის მოცილებით და მის ადგილზე ეროვნული ხელისუფლების მოსვლით. სინამდვილეში, თავისუფლებისათვის ბრძოლა უშუალოდ არის დაკავშირებული ეკონომიკის განახლებასთან. „მხოლოდ ღრმა ეკონომიკური ცვლილებებისათვის ბრძოლა არის გზა ნამდვილი თავისუფლებისად-

---

[1] ჟურნალი „ცისკარი", 1867, №1.

მი, მხოლოდ საუკეთესო ეკონომიკურის წესწყობილების დამყარებაა ერთ-ნულს დამოუკიდებლობითურთ, რასაკვირველია, ნამდვილად გაანთავისუფლებს ხალხს და მისცემს მას ჭეშმარიტ თავისუფლებას"[1]

ისევე, როგორც ა. ფურცელაძე გ. მაიაშვილის პოზიცია ქვეყნისა და ერის თავისუფლებაზე ეკონომიკურ ფაქტორს ვერ შორდება. მართალია იგი ეროვნული თავისუფლება სამართლიან საქმედ მიიჩნევს, მაგრამ მის საფუძვლად ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას მიიჩნევს. გ. მაიაშვილი აკრიტიკებს იმათ, ვინც მხოლოდ ეროვნულ იდეებსა და ტრადიციებზე ფიქრობს. ამით ისინი, ფიქრობს მაიაშვილი თავისსავე საკუთარი ხელით უთხრიან ორმოს ძვირფას თავის ქვეყანას, უკეთუ ივიწყენენ ხალხის ეკონომიკურ ინტერესებს და გამოსდგომიან მხოლოდ ეროვნულის იდეებს და ტრადიციებს. გ. მაიაშვილის აზრით, სამართალი პოლიტიკა სოციალური პრობლემები ეკონომიკითაა განსაზღვრული.

ეროვნულ საკითხში გ. მაიაშვილის განსჯის საკითხი ხდება ქართველ სამოციანელთა შეხედულებები. იმ საკითხში მისი მსოფლმხედველობის ძირითადი აზრის გათვალისწინებით. ბუნებრივია, რომ გ. მაიაშვილი კრიტიკულად აფასებს, თუმცა აღნიშნავს მათ დამსახურებასაც. კერძოდ, სამოციანელების დამსახურებად მიიჩნევს იმას, რომ მათმა დაუღალავმა და კეთილშობილურმა მოღვაწეობამ ქართველ ხალხში ნაციონალური გრძნობა აღაგზნო, მაგარმ ამასთან, სწორედ მათი წყალობით ამ მოძრაობამ ერთობ ნაციონალური სახე და ხასიათი მიიღო - "მეტის მეტი, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, კულტურული და მხოლოდ მცირედ ხალხური"[2].

ქართველ სამოციანელთა "კულტურულ გადახრაში" გ. მაიაშვილი უპირველესად გულისხმობს ქართულ ენაზე, ქართულ სკოლებსა ქართულ თეატრსა და საერთო ქართულ მიმართულებაზე მათ გადამეტებულ ზრუნვას, რასაც მიუტესებელ ცოდვად უთვლის. მათ ძირითად ნაკლად კი ისევ და ისევ ეკონომიკური საკითხების უგულებელყოფას თვლის და გამომდინარე აქედან ხალხის ცხოვრებაში ჩაუხედავობას საყვედურობს.

---

[1] გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), რჩეული ნაწერები ორ ტომად ტ. I თსუ 1967 გვ. 29-31.

[2] იქვე.

ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს კიდევ ერთი ხალხოსანი, რუსულ გარემოში მსოფლმხედველობა ჩამოყალიბებული ივანე ჯაბადარი (1852-1913) ჯაბადარი საერთოდ რუსული სინამდვილისადმი რუსეთის ინტელიგენციის დიდი იმედი იყო. იგი წერილში - „ფიქრნი და შენიშვნა გარეთყოფილისა" წერდა: „ეხლა ყოველს პატიოსანსა და განათლებულ რუსს ესმის, რომ რუსეთის ავი და კარგი, მთელი მისი მერმისი დამყარებულია იმის დაწინაურებულს საზოგადოებაზედ, რომელსაც თავი სრულ და ხორცი შეწირული აქვს და კიდევაც შეწირავს თავის სამშობლოს მრავალჯერ კეთილდღეობისათვის"[1]

უფრო ადრე ივ. ჯაბადარმა ჟურნალ "Северный вестник"-ში თებერვალსა და მარტის ნომრებში გამოაქვეყნა წერილი "Писмо о Грузии" სადაც იგი საქართველოს ისტორიის, ქართული კულტურის საკითხებს მრუდე სარკეში წარმოადგენდა საერთოდ ქართული კულტურისადმი ნიჰილისტური დამოკიდებულება წითელ ზოლად გასდევს ჯაბადარის მოღვაწეობას.

ივ. ჯაბადარის "Писмо о Грузии"-ში გაერთიანებულ ნიჰილისტურ აზრებს გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძე და მკაცრად გააკრიტიკა იგი წერილების სერიაში - „აი ისტორია", რომელიც დაიბეჭდა 1889 წლის გაზეთ „ივერიაში (№№71,77,78,89,90,106, 116, 117, 118, 130, 130) ილიამ თუ შეიძლება ასე ითქვას მისხალ-მისხალ გაარჩია ჯაბადარის აზრები და მისთვის დამახასიათებელი ეროვნული პოზიციიდან უმკაცრესი შეფასება მისცა მას.

მთავარი ის არის, რომ ილიამ ამ წერილების სერიაში აჩვენა ივ. ჯაბადარისა და მისნაირი ქართველების ნააზრევის სიბერწე, უსაფუძვლობა და ზედაპირულობა. თუმცა მისი განხილვა აუცილებლად მიიჩნია რადგანაც ჩათვალა, რომ „ჩიტი ბდღვნად ღირდა".

ილია ჭავჭავაძე ივანე ჯაბადარს საყვედურობს იმას, რომ იგი უცხოელ ავტორთა აზრებს (დ.რეპერის მაგალითად) ყოვლად უსაფუძვლოდ ავრცელებს ქართულ სინამდვილეზე.[2]

---

[1] „ივერია", 1888, №1000

[2] ი. ჭავჭავაძე, სრ. კრებული ათ ტომად, ტ. IV, თბ. 1955, გვ. 19.

ასევე არ იზიარებს ილია ერის, კერძოდ, ქართველი ერის დაბერების ჯაბადარისეულ თვალსაზრისს. ეს რომ ასე იყოს, მაშინ დღეს თუ არა ხვალ გერმანია, ინგლისი და საფრანგეთი უნდა დაბერდეს და უნდა ამოწყდეს არადა, ეს თუ ასე მოხდა, ერის სიბერე არაფერ შუაში არ იქნება, რადგანაც ამბობს ილია, „სიბერე ერისა" ჩვენის ფიქრით, უქმი სიტყვაა, მისი საგანი არ არსებობს და წარმოუდგენელიც არის".[1]

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ილიამ წერილების ამ სერიაში გამოააშკარავა ქართველ ხალხზე ივ. ჯაბადარის შეხედულებათა უნიათობა, უსუსურობა და ზედაპირულობა. ილიას ამ გამოსვლის შემდეგ ჯაბადარისა და სხვა მსგავს ავტორთა ამგვარი მოსაზრებებისთვის ქართულ სინამდვილეში, ქართული სააზროვნო სივრცეში ადგილი აღარ რჩებოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხოსნები ეროვნულ საკითხს ზერელედ ეკიდებოდნენ და მას სოციალური მოთხოვნების შემდეგ განიხილავდნენ. ამიტომაც იყო, რომ მათ შეხედულებებს სხვა საკითხებზეც კი, ქართველი ხალხისაგან მასობრივი მხარდაჭერა არ ჰქონიათ. ეს იმის გამო, რომ ისინი მთავარში - ეროვნული საკითხის გაგებაში მცდარ პოზიციაზე იდგნენ.

---

[1] იქვე, გვ. 10

Tengiz Saralidze

GEORGIAN POPULAR ACTIVISTS ON THE NATIONAL PROBLEM

The paper addresses Niko Inashvili's, Anton Purtseladze's, Giorgi Maiashvili's, and Ivane Jabadari's viewpoints, they being similarly anti-national, and thus, unacceptable. It describes the epoch and the conditions which facilitated to the formation of national nihilism in their consciousness. The end-point of their evaluations have immediately been based on the standpoint of the public figures of the 1860s, this being founded upon the principles by Ilia Chavchavadze, gread Georgian spiritual leader.

National nihilism of the Georgian Popular activists was due the fact that they were influenced by positivism and subjectivism, and, particularly, by the ideas of Russian revolutionary democrats. The principal issue for them was the struggle against the authorities and the socio-political problems.

ლიტერატურა:

1. ა. ფურცელაძე, კაცობრიობა და ხალხოსნობა, ტფილისი 1906.
2. ჟურნალი "ცისკარი", 1867, №1.
3. "ივერია", 1888, №1000.
4. გ. მაიაშვილი (ზდანოვიჩი), რჩეული ნაწერები ორ ტომად. ტ. 1. თსუ 1967 წ.
5. ი. ჭავჭავაძე, სინ. კრებული ათ ტომად, ტ. III თბ. 1955 წ.

(მე-3 გამოცემა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ინგა აბრამიძე – ეგვიპტის საკითხი რომის
სენატში (ძვ. წ. 56 წ.) 3
ანა არგელაძე – ანტიციპაციის კავშირი მხატვრულ–
საშემსრულებლო პროცესების კოდირებასთან 9
ევგენი ბლიაძე – ალექსანდრე ამილახვარი
პოლიტიკის შესახებ 14
ელენე გეგეშიძე – ქართული ხალხური სპორტული
სანახაობა მე–19 საუკუნის ქუთაისში 19
მეგი გორგასლიძე – ეროვნული სიმდიდრის
არსის საკითხისათვის 27
ნათელა ვაშაკიძე, დეზდემონა მაღლაკელიძე –
წლიური ბალანსი და მისი შედგენის
მეთოდიკის საკითხები 36
ნინრა ვირსალაძე – საბაზრო ეკონომიკა და
მოსახლეობის ცხოვრების დონის
ეკონომიკურ–სტატისტიკური მაჩვენებლები 43
მელანო კარანაძე – ავტორთა პირადი არაქონებრივი
უფლებები ინტელექტუალური საკუთრების
სამართალში (საავტორო სამართალი) 49
ნინო კაშია – ეკოლოგიური უფლების
ინფორმაციული უზრუნველყოფა 51
ომარ კახიძე – პლატონის ატომისტიკა 55
მანანა კოპალიანი – ივანე ჯავახიშვილი,
როგორც იურისტი 60
მედეა ლომინაშვილი – ადგილობრივი ბიუჯეტის
როლი იმერეთის მხარის ეკონომიკური და
სოციალური პრობლემების დაძლევის საქმეში 66

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ლომთათაძე – მიმოქცევაში ქაღალდის ფულის დამკვიდრება ევროპასა და აშშ–ში 71
შოთა რამიშვილი – საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი I ინტერნაციონალის კონფერენციებზე (1919 წ) 79
მადონა რობაქიძე – რაჭის საერისთავო მე–18 საუკუნის 50–60–იან წლებში 94
სერგო სვანაძე – სრულყოთ სახელმწიფო შემოსავლების მობილიზების სამართლებრივი ბაზა 101
მარინე სირბილაძე – სიტყვის ბგერითი მხარისა და მნიშვნელობის კავშირის ბუნების ფსიქოლოგიური კვლევის ასპექტები 108
დალი სოლოღაშვილი – საკუთრება და საზოგადოებრივი პროგრესი 115
ვალერიან ქელბაქიანი – სასრულისა და უსასრულოს ცნებები მათემატიკაში, ფიზიკასა და კოსმოლოგიაში 122
მამუკა შენგელია – საერთაშორისო–სამართლებრივი პასუხისმგებლობის ცნება და სახეები 133
მანანა ჩიტაიშვილი – „ქრისტიანული კედლისმხატვრობა და მისი თავისებურებანი საქართველოში“ 138
გიორგი ჯანელიძე – ინგლისის დაზვერვა გერმანია–თურქეთის მეტოქეობის შესახებ საქართველოში (1918 წ.) 143
ირაკლი შენგელია – ნარკომანია – ზნეობრივი დანაშაული 149
თენგიზ სარალიძე – ვარლამ ჩერქეზიშვილის სოციალ–პოლიტიკური შეხედულებები 155
თენგიზ სარალიძე – ეროვნული საკითხი ქართველ ხალხისნებთან 163

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წიგნი აიწყო და დაკაბადონდა ქუთაისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობაში

გამომცემლობის დირექტორი: შ. კირთაძე
კორექტორი: თ. მამარდაშვილი
ოპერატორები: ი. ნასარიძე
შ. ხუნდაძე

წიგნი დაიბეჭდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის
სახელმწიფო უნივერსიტეტის სტამბაში.
9 პირობითი ნაბეჭდი ფორმა
60X84. 1/16

ტირაჟი 200

174
14/5 2004